დათო ბარბაქაძე
თარგმანები 2018-2021

მერწყული

DATO BARBAKADSE

ÜBERSETZUNGEN 2018-2021

ILSE AICHINGER
MANFRED CHOBOT
INGO CESARO
GÜNTER EICH
UTE EISINGER
KARK FRIEDRICH-KOSSAT
HANS-GEORG GADAMER
HERMANN VON GILM
STEFANIE GOLISCH
FRIEDRICH HEBBEL
MARTIN HÜTTEL
JUNE M. JORDAN
ANSELM KIEFER
BENEDIKT LEDEBUR
LUDWIG LEGGE
NIKOLAUS LENAU
HELMUTH A. NIEDERLE
FRIEDRICH NIETZSCHE
EZRA POUND
GÉRARD PRESGURVIC
FERDINAND VON SAAR
GEORG TRAKL
ERIC WAGNER
RABBI CHANANYA WEISSMAN
WOLFGANG WODARG
SUN XUE

Diese Ausgabe wurde unterstützt von
Gitte Walthers

ყდაზე: ჰანს თომა, *მომთაბარე ნაკადული* (1906)

Mertskuli Verlag
Tbilissi 2021, August

საარქივო გამოცემა

იბეჭდება ტიპოსკრიპტის უფლებით.

გამომცემლობა *მერწყული*
თბილისი, 2021 წლის აგვისტო

ISBN 978-9941-8-3652-7

დათო ბახბაქაძე

თახგმანები
2018 - 2021

ფრიდრიხ ჰებბელი

ნიბელუნგები

ჩემს მეუღლეს, ქრისტინე ჰებრიეტეს,
დაბ. ენგეჰაუზენს

ჯერაც ნინველი ვიყავ მაშინ, როცა მაისის
ერთ მშვენიერ დღეს, ბაღში მარტოდ ხეტიალისას,
იქ, მაგიდაზე, თვალი ვკიდე ყდაგაცრეცილ წიგნს,
გადავშალე და დამატყვევა ამ წიგნმა უმალ,
თითქოს აღსრულდა ჯადოსიტყვა, ერთ დროს ნათქვამი,
დამცდარი თუნდაც ბავშვის ბაგეს, მიუხედავად
ყველა რისხვის და ჯოჯოხეთის, ეშმაკის წესმა
მაინც რომ უნდა აღასრულოს. ვერ დავთმე წიგნი,
თან წარვიტანე, მიუგნები ალაგი ვპოვე
და დავეწაფე ზიგფრიდის და კრიმჰილდის ამბავს.
თითქოს, ჯადოსნურ წყაროს წყალთან თავად მე ვიჯექ,
მე ვიყავ, თითქოს, ვისი გულიც ამოერჩიათ
ჭაღარა ნიმფებს ყველა ავდრის თავშესაყრელად,
და სწორედ ამ დროს ჩიტუნებიც თავს დამმღეროდნენ,
ხეთა ტოტებზე ირწეოდნენ, სიცოცხლით მთვრალნი,
ხოტბას ასხამდნენ ამ სამყაროს დიდებულებას.
მხოლოდ მიმწუხრზე, დაზაფრულმა, დამუნჯებულმა,
წიგნი უკანვე დავაბრუნე, და წელიწადებს
უნდა ჩაევლოთ, ვიდრე მე მას ისევ ვნახავდი.
მაგრამ ხსოვნაში ჩამებეჭდა მათი ხატება
ისე ძალუმად, რომ დრომ უკვე ვეღარ წაშალა
ჩუმი სურვილი, რომ ოდესმე გამომესახა

ისინი თუნდაც წყალზე ან, ვთქვათ, სულაც ქვიშაზე.
ხშირად ვწვდი კალამს, არც თუ მტკიცე გაბედულებით,
რომ ვიფიქრებდი, წარმატებით გავართვი მეთქი
თავი რაღაც სხვას, მაგრამ ისევ უკან ვიხევდი.
და აი, ერთხელ, იმ ტაძარში, მუზების სახლში,
სადაც პოეტთა აჩრდილები, გაფითრებულნი,
ვით ოდისევსის რაზმი, უცხო სისხლით ღვივიან,
მეც შევაბიჯე. სახლი ჩურჩულს მოეცვა, მაგრამ
წმინდა დუმილი იშვა მყისვე, როს ფარდა გაქრა,
რადგან გამოჩნდი შენ, კრიმჰილდად გარდასახული,
შურისძიებით შეპყრობილი, და როდი იყო
აპოლონის ძე, შენი პირით ვინც ამეტყველდა,
მაგრამ ისინი, ეს სიტყვები, მოჰგავდნენ ისრებს,
ზუსტად ნასროლებს, დამტეებლებს ოქროს კაპარჭის,
ჯერაც ჟღერადის, როს ტიფონი სისხლში ცურავდა.
და ხმამაღალმა აღტაცებამ დაიპყრო სივრცე,
როცა შენ, გულში საზარელი ტანჯვის დამტევს და
გაფითრებული ბაგეებით წყლულთა დამთმენელს,
უკვე მეორე საქორწილო ღამისთვის გრთავდნენ
შენივე ნებით; ყველა სულში უკანასკნელი
ყინულიც გალღვა და მდუღარე ცრემლმა იჩქეფა
მაყურებელთა თვალებიდან, ხოლო მე ვდუმდი
და მხოლოდ ახლა გეუბნები მადლობის სიტყვას.
დიახაც, სწორედ ამ საღამომ შეასხა ფრთები
ოცნებას ჩემი სიყმაწვილის. ნიბელუნგები,
ყველანი ერთად, მომდგარიყვნენ, საფლავებიდან
წამომდგარიყვნენ, თითქოს, ჩემთან შეხვედრა სურდათ.
ჰაგენ ტრონიელს ეკუთვნოდა პირველი სიტყვა.
ამიტომ შენთვის მომიძღვნია ის, რაც შენგანვე
სულჩადგმულია, შენ გეკუთვნის, და მას სიცოცხლე
თუ უწერია, მხოლოდ შენი დიდების ძეგლად
დამიდგამს იგი, ადიდებდეს შენს ხელოვნებას!

პირველი ნაწილი

რქოვანგარსიანი ზიგფრიდი

პროლოგი ერთ აქტად

მოქმედი პირები:

მეფე გუნთერი
ჰაგენ ტრონიელი
დანკვარტი, მისი ძმა
ფოლკერი, მემუსიკე
გიზელჰერი და გერენოტი, მეფის ძმები
რუმოლტი, მზარეულთუხუცესი
ზიგფრიდი
უტე, მეფე დანკრატის ქვრივი
კრიმჰილდი, მისი ქალიშვილი
რაინდები, ხალხი

ბურგუნდეთი, რაინის ვორმსი, მეფე გუნთერის ციხე-დარბაზი. განთიადი. ერთად მოუყრიათ თავი გუნთერს, გიზელჰერს, გერენოტს, დანკვარტს, მემუსიკე ფოლკერს და სხვა რაინდებს.

პირველი სცენა

შემოდის ჰაგენ ტრონიელი.

ჰაგენი
მაშ, არ ვნადირობთ?

გუნთერი არა, დღეს ხომ უფლის დღე არის!

ჰაგენი
იმ სატანასაც წაულია სახლის მოძღვარი,
რომელზეც ყბედობს!

გუნთერი ეი, ჰაგენ, ხმას დაუწიე!

ჰაგენი
დღეს რაღა ხდება? რა ხანია, რაც დაიბადა!
ეს ხომ... შეხედეთ!.. მაშინ მოხდა, თოვლი რომ იდო!
მაგის ზეიმმა ჩაგვიმწარა დათვების დევნა!

გიზელჰერი
ნეტავ, ბიძია ვის გულისხმობს?

ჰაგენი ჯვარსაც აცვეს და
კიდეც მოკვდა და კიდეც დაფლეს... ხომ არ მეშლება?

გერენოტი
ჩვენს მხსნელზე ამბობს.

ჰაგენი რა გახდა და რით ვერ დამთავრდა?..
ვინ დამეწვევა? მე ხორცს ღამით არ გეახლებით,
თუ შუადღემდე უვნებელი ტყავი არ მოსავს,

და არც ღვინოს ვსვამ, იმ რქაში თუ არ ჩაისხმება,
რომელსაც თავად მე ავართმევ ნანადირევ ხარს!

გუნთერი

რაკი ასეა, ჩემო ძმაო, თევზი გაღეჭე,
აღდგომის დილით სანადიროდ ვერავინ წავა.

ჰაგენი

მაშ, რა ვაკეთოთ? წმინდა კაცი სადღაა, ნეტავ?
რის ნებას გვაძლევს? ყურს ჩიტების ჭიკჭიკი სწვდება.
როგორც ჩანს, ამის უფლება აქვს ადამიანსაც.
(ფოლკერს) აბა, ხემს უხმე, ყველა სიმის მთლად დაწყვეტამდე!

ფოლკერი

ვიდრე მზე გვიმზერს, ჩემი ხემი ხმას ვერ გაიღებს,
სალხინო საქმე მე ღამისთვის შემოვინახე.

ჰაგენი

ჰო, შენ შენი მტრის ნაწლავსაც კი გადაჭიმავდი
და ვიოლინოს გაუბამდი სიმებად, ძვალს კი
ხემად იხმარდი.

ფოლკერი იქნებ, შენ ხარ, ვინც ამ პირობით
მევიოლინე გახდებოდი ჩვენი დარბაზის?

ჰაგენი

ძვირფასო ფოლკერ, კარგად გიცნობ! ასე არ არის?
მაშინ მეტყველებ, დაკვრის ნება როცა არა გაქვს,
და მაშინ უკრავ, ხმლის ქნევა რომ არ შეგიძლია.

ფოლკერი

ძმობილო, იქნებ, ასეც იყოს.

გუნთერი რამე გვიამბე,
თორემ რა გალევს ამ დღეს უქმად. ბევრი რამ იცი
შენ სახელოვან გმირებზე და ამაყ ქალებზე.

ჰაგენი
ოღონდ ცოცხლებზე მოგვიყევი, შენც თუ შეიტკბობ,
რათა თავს ვუთხრათ: იმ გმირებსაც მალე მივწვდები
და დავამარცხებ, ზოგს - ჩემი ხმლით, ზოგს - ჩემი მკლავით.

ფოლკერი
სწორედ ცოცხლებზე მოგიყვები, თუმცა, მოგიწევს
მაგ ოცნებების უკუგდება და დავიწყება.
რაინდიც ვიცი, ვერასდროს რომ ვერ დაამარცხებ
და ქალიც ვიცი, არასდროს რომ შენ არ გერგება.

ჰაგენი
როგორ! მაშ, ქალიც? ზიგფრიდია, რაინდს რომ ამბობ,
გველი რომ მოკლა, ხმალს რომ იქნევს, სახელად ბალმუნგს.
ვინც ერთხელ, როცა ოფლი ღვარა, განიბანა და
მეორე ბრძოლას, აი, ასე გამოერიდა...
მაგრამ ქალიო?

ფოლკერი მე იმ ქალზე არაფერს გეტყვი!
შენ შეგიძლია, გაეშურო მის მოსახვეჭად,
მაგრამ, თავს დავდებ, შინ პატარძლით ვერ დაბრუნდები.
თვით გველის მკვლელიც ვერ იფიქრებს ამას ვერასდროს:
როგორც სასიძომ, ბრუნჰილდს კარზე მიუკაკუნოს.

ჰაგენი
ზიგფრიდს მისხალსაც არ დავუთმობ გაბედულებით,
მაგრამ მისკენ რომ მივაქციო ჩემი მახვილი,
ეს იგივეა, შევუტიო ქვას და ბრინჯაოს.

გინდათ მენდეთ და გინდათ - არა, როგორც გენებოთ:
მე გველის სისხლში განბანვაზე უარს ვიტყოდი!
აქვს კი უფლება წარუქცეველს, მახვილს იქნევდეს?

გიზელჰერი *(ფოლკერს)*
მასზე ლაყბობა მეც ბევრისგან მომისმენია,
მაგრამ სიმღერას ვერ დავარქმევ ჩიტების ჟღურტულს.
რაც კი რამ იცი მის შესახებ, ყველა გვიამბე.

გუნთერი
უპირველესად ქალზე გვითხარ. ვინ არის იგი?

ფოლკერი
გეტყვით. შორეულ ჩრდილოეთში, სადაც ღამეა
უდასასრულო, სინათლე კი, იქ რომლის შუქზეც
ქარვით ავსებენ ბადეებს და ისრავენ სელაპს,
ამომზევდება ჭაობიდან ცეცხლოვან ბურთად...

(შორიდან ისმის ბუკის ხმა)

ჰაგენი
საყვირი!

გუნთერი მერე?

ფოლკერი სილამაზით ჯერარნახული
ერთი ასული იზრდებოდა იქ სადედოფლოდ,
ისეთი უცხო, იმთავითვე თითქოს ბუნებას
დაეზოგა და მხოლოდ მისთვის ეგროვებინა
ყველა ქალური სიკეთე და მშვენიერება,
ულევი ხიბლი მხოლოდ მისთვის ებოძებინა.
შენ ხომ გსმენია იმ რუნებზე, უცხო ხელებმა

საიდუმლოდ რომ ამოკვეთეს არაერთ ხეზე
ყომრალ ღამეში: ვინც მათ ერთხელ მზერას შეავლებს,
თვალს ვეღარ მოსწყვეტს, ვეღარც იძვრის და იქვე რჩება,
ჩაუღრმავდება, ცდილობს ჩასწვდეს მათ მნიშვნელობას,
მაგრამ ვერ სწვდება, უვარდება ხელიდან ხმალი,
ჭაღარავდება, კვდება, მაგრამ ვერ წყვეტს ძიებას:
ასულის სახეს დაჭდევია ასეთი რუნა!

გუნთერი

ეს რა თქვი, ფოლკერ? ქვეყნად მსგავსი ქალი არსებობს
და ამას მხოლოდ ახლა ვიგებ?

ფოლკერი მეტსაც გაიგებ!

ასეა. თოვლის და ყინულის გარემოცვაში,
ოდენ ზვიგენთა და ვეშაპთა თვალგასახარად,
ცის ქვეშ, რომელსაც რიგიანად ისიც არ ძალუძს,
ეს სილამაზე გაანათოს, ხანად და ხანად
მთამ თუ თავისი ალისფერი ელვის სხივები
არ ამოტყორცნა მიწისქვეშა უფსკრულებიდან,
ყველა ასულზე უმშვენესი იშლება, ხარობს.
მაგრამ ეს მხარე, უდაბური, მისი მშობელი,
ისეთი ეჭვით დაჰკანკალებს ამ ერთადერთ განძს,
მოშურნის ისეთ შიშს მოუცავს, ისე მფარველობს,
თითქოს, იმავ წამს, ქალწული რომ პატარძლად იქცეს
და საქორწილო სარეცელი გაიზიაროს,
მშობელს ზღვა დანთქავს მზვაობარი. ასული ცხოვრობს
ცეცხლოვან ციხესიმაგრეში, მისკენ სავალ გზას
ფხიზლად დარაჯობს ქონდრისკაცთა ვერაგი მოდგმა,
მკვირცხლად რომ იცის ყელში წვდომა, მსხვერპლის მოხრჩობა,
იმათ მბრძანებელს უწოდებენ ველურ ალბერიხს.
თვით ასული კი ჯერარნახულ ისეთ ძალას ფლობს,
რომელიც გმირსაც წაახდენს და აჰყრის იარაღს.

გუნთერი
ეგ როგორ?

ფოლკერი მის ხელს ვინც მოითხოვს, იმავდროულად
სიკვდილს მოითხოვს, რადგან ვინც მას შინ ვერ წაიყვანს,
ის ვერც მშობლიურ მამულს ნახავს უკვე ვერასდროს,
და თუ ძნელია გზის გაგნება მის მისაგნებად,
ბევრად ძნელია იქ მისულის ცოცხლად დარჩენა.
იქ ციცი მიწა მალე იმდენ სასიძოს შეჭამს,
რამდენი ასოც იმ ასულს აქვს თავის სხეულზე,
რამეთუ უკვე ბევრმა განვლო ეს გზა გმირულად,
მაგრამ იქიდან ჯერ არავინ დაბრუნებულა!

გუნთერი
მაშ, უეჭველად, ჩემთვის არის იგი შექმნილი!
ჰა! აქ დასრულდა საპატარძლო ჩემი ვნებები,
მაშ, ბურგუნდების დედოფალი იყოს ბრუნჰილდი!

(ბუკის ხმა ძლიერ ახლოს ისმის)

რა ხდება?

ჰაგენი *(სარკმელთან მივა)*
რა და გმირი გვსტუმრობს ნიდერლანდელი.

გუნთერი
შენ რა, მას იცნობ?

ჰაგენი აბა, ნახე! სხვა იმის მეტი,
ხლებული თორმეტკაციანი ამალით მხოლოდ,
ასე თამამად ჩვენთან მოსვლას ვინ გაბედავდა!

გუნთერი *(ისიც სარკმელთან მივა)*
მეც ასე ვფიქრობ! შენ ის მითხარ, რამ მოიყვანა?

ჰაგენი
აბა, რა ვიცი, რამ მოხიბლა! ქედმოსახრელად
რომ არ მოსულა შენს წინაშე, შენც კარგად ხვდები,
და არც რა არის ისეთი, რომ მას არ გააჩნდეს.

გიზელჰერი
მართლაც ნამდვილი რაინდია!

გუნთერი როგორ მივიღოთ?

ჰაგენი
გირჩევ, მიუგო ისე, როგორც ის მოგესალმოს.

გიზელჰერი
წავალ, შევხვდები!

გერენოტი მეც, ასევე, შევეგებები!

ჰაგენი
და ასეთ ქცევას თვითდამცრობა არ დაერქმევა!
ის არა მარტო რქოვან გარსში არის ნაწრთობი,
და წელს უმშვენებს უძლეველი ხმალი ბალმუნგი,
ნიბელუნგების განძეულის ბატონიც არის,
უჩინმაჩინის ჩაჩიც მისი საკუთრებაა,
და ყოველივეს, პატიოსნად ვიტყვი ამასაც,
ფლობს ძალით, არა ცბიერებით. აი, ამიტომ
შევეგებები.

გუნთერი ვფიქრობ, უკვე დავაგვიანეთ.

მეორე სცენა

ზიგფრიდი *(შემოდის თავის თორმეტ რაინდთან ერთად)*
გუნთერ, ბურგუნდთა ხელმწიფეო, მოგესალმები!..
თვალს არ უჯერებ, შენს წინაშე ზიგფრიდი რომ დგას?
ის სამეფოსთვის საბრძოლველად მოსულა შენთან!

გუნთერი
არავინ იბრძვის აქ იმისთვის, რასაც უკვე ფლობს!

ზიგფრიდი
მაშინ - იმისთვის, რაც გაკლია! მე ვფლობ სამეფოს,
იმგვარადვე დიდს, ვით შენია. თუ დამამარცხებ,
მისი ხელმწიფე შენ გახდები, მეტი რა გინდა?
ხმალს რატომ ჯერაც არ იშიშვლებ? აკი, მსმენია,
ბინა უდევთო აქ რაინდთა შორის უმტკიცესთ
და ისე უშიშთ, რომ ისინი სადმე მუხნარში
თუ გადააწყდნენ, თავად თორსაც შეებმებიან
ელჭექისთვის და სიამაყეც იმგვარი მოსდგამთ,
რომ ალაფს კი არ მისწვდებიან, უგანებენო.
მართლად არ ვუწყი ეს ყოველი? იქნებ გაეჭვებს
მართებულობა ჩემი სიტყვის ან სულაც ფიქრობ,
ვიდრემდე მამა ცოცხალი ჰყავს, ვერც რას მომცემსო?
რა ჟამსაც უკან მივიქცევი, ხელმწიფე ზიგმუნდს
ჩემად ეგულვის უკვე ტახტი, ნატვრად ქცევია
იმას ეს წუთი. მოუთმენლად მელის მოხუცი,
რაკიღა უკვე თვისივ სკიპტრა დამძიმებია.
და ყველა რაინდს, ვინც კეთილად გემსახურება,
სამმაგად გიზღავ, და ყოველი შენი სოფლისთვის
ქალაქს ჩამოვალ, და რაინის ერთი წილისთვის
მთელ რაინს მოგცემ! მაშ, მოდი და დაისაკუთრე!

ᲓᲐᲜᲙᲕᲐᲠᲢᲘ
ხელმწიფეს ასე ვინ მიმართავს?

ᲖᲘᲒᲤᲠᲘᲓᲘ ვინ და - ხელმწიფე!
ერთი რაინდი სხვა რაინდთან ასე არ უბნობს?
ფლობის ღირსი და შემძლებელი ვით იყოს იგი,
ვინც არ დასტურჰყოს, რომ მორჭმით ფლობს თავის საუფლოს?
და ვით დააცხროს თავის ირგვლივ მან მითქმა-მოთქმა,
ვიდრე უძლეველს, ჯერაც ცოცხალს, მიწად არ დასცემს
და დამარცხებულს მისი ფეხი არ დაედგმება?
მძლევარი არ ხარ? მაშინ მითხარ, ვინ არის იგი,
ვისაც შენ უფრთხი, და უმალვე მასთან გავჩნდები,
შენს ნაცვლად იმას გამოიწვევს ჩემი მახვილი!
არც სახელს ამბობ იმისას და არც ხმალს იშიშვლებ?
მე იმ რაინდთან შერკინების სახმილით ვიწვი,
ვინც ჩემს სიმდიდრეს წყვილად აქცევს ან სრულად წამგვრის -
გეუცხოება შენ ეს გრძნობა? არა მგონია!
შენთა მსახურთა ცქერითაც რომ შემოვიფარგლო:
ასეთ ქედმაღალ კაცებს როგორ დაიურვებდი,
სწორედ ჩემსავით რომ არ გქონდეს ნაწრთობი გრძნობა!

ᲓᲐᲜᲙᲕᲐᲠᲢᲘ
ბრძოლის სახმილით, უდავოა, მას მერე იწვი,
რაც იმ ლინდვურმის საფარველით გარემოსილხარ!
შენსავით როდი გააბრიყვა ყველამ სიკვდილი,
როცა ჩვენ გვსტუმრობს, კარი მუდამ ღია უხვდება.

ᲖᲘᲒᲤᲠᲘᲓᲘ
მეც რომ მესტუმროს! შენ გიმადლი, ბებერო ცაცხვო,
ერთი ფოთოლი რომ დათმე და გადმომაფინე
დრაკონის სისხლში ამოვლებულს და მობანავეს!
გმადლობ, ო, ქარო, შენ რომ მაშინ ხე შეარხიე!

პასუხსაც გავცემ ამის მერე ყველა ავყიას,
ვისაც დაცინვით შეუნიღბავს თვისივე ლაჩრობა.

ჰაგენი
მეფეო ზიგფრიდ, მე მიხმობენ ჰაგენ ტრონიელს,
ეს კი, იცოდეთ, ჩემი ძმაა!

ზიგფრიდი ჰაგენ ტრონიელს
მივესალმები! მაგრამ გული თუ დაგისერა
იმან, რაც ჩემგან მოისმინე, მხოლოდ მითხარი
და დაეხსნები მეფისწულს და მე შენს წინაშე
ისე წარვსდგები, თითქოს იყო თავად გუნთერი.

გუნთერი
სიტყვა აღარ სთქვა შენი მეფის სიტყვამდე, ჰაგენ!

ზიგფრიდი
ხოლო თუ შიშობ, რომ ეგ შენი პირმტკიცე ხმალი
ჩემი რქოვანი საფარველის წერად იქცევა,
მაშინ გთავაზობ, მივაშუროთ სასახლის ეზოს,
რომლის შუაგულშიც კლდეს მომწყდარი ლოდი შევნიშნე,
შენთვის და ჩემთვის რომ იქნება თანაბრად მძიმე.

გუნთერი
კეთილი იყოს შენი ფეხი! რასაც ისურვებ,
შენ გეკუთვნოდეს, დაე, გმირო ნიდერლანდელო,
თუმც წასაღების წაღებამდე ჩვენთან ილხინე!

ზიგფრიდი
ისე სათუთად დამიყვავე, ამასლა ვითხოვ:
დაუყოვნებლივ მამაჩემთან უკუმაქციე,
რაკიღა მხოლოდ მას აქვს ჩემი დატუქსვის ნება.

ჯერ კი ის მინდა, გავჯიუტდე ანცი ბალღივით,
იოლად რომ არ დაეთმობა უზნეო ქცევა:
ლოდი გავტყორცნოთ, ხოლო მერე ვილხინოთ ერთად!

გუნთერი
მეფეო ზიგფრიდ, ასე იყოს!

ზიგფრიდი *(დანკვარტს)* თქვენ კი, როგორც ჩანს,
მესამე მკლავი მოგისინჯეთ, რომელიც, ვიცი,
არ გაგაჩნიათ, ამიტომაც სულ არ გტკენიათ!
(ყველას) აქ შემოსული, უჩვეულო ძრწოლამ შემიპყრო,
ისეთმა, რომ არ განმიცდია, რაც თავი მახსოვს;
თითქოს ერთბაშად დაზამთრდაო, ისე შემიჯდა
ტანში ციება; დედაჩემი დამიდგა თვალწინ,
რომელსაც სულ არ უტირია, სახლს რომ ვტოვებდი,
ახლა კი ცრემლად იღვრებოდა, ქვეყნის ყველა წყალს
თითქოს მის თვალში მოენახა გამოსავალი.
ისე ამრია და დამზაფრა ამ ყველაფერმა,
ჩემი ცხენიდან ჩამოხტომას არც ვაპირებდი...
ახლა კი ვხედავ, დამიყოვნებთ მასზე შეჯდომას.

(ყველანი გადიან)

მესამე სცენა

შემოდიან უტე და კრიმჰილდი.

უტე
შევარდენია შენი ქმარი!

კრიმჰილდი გაჩუმდი, დედა,

თუკი სხვაგვარად ვერ ახერხებ ამ სიზმრის ახსნას.
სულ ის მესმოდა, რომ სიყვარულს ხანმოკლე ტკბობა,
ხოლო ხანგრძლივი ურვა მოაქვს, ამას მიჩვენებს
შენი ცხოვრებაც და არასდროს შემიყვარდება,
არა, არასდროს, ო, არასდროს!

უტე რას ამბობ, შვილო?
თუმცა კი ტრფობის დასასრულიც მწუხარებაა,
რაკიღა ერთი მეორეზე ადრე მოკვდება,
ხოლო მეორეს როგორ უმძიმს, შენც კარგად ხედავ;
მაგრამ ყველა ის მწარე ცრემლი, რომელსაც მე ვღვრი,
წინდაწინვეა გადახდილი პირველი კოცნით,
მრავალი წლის წინ მამაშენმა რომელიც მიძღვნა.
მეტიც, ნუგეში დამიტოვა, ვიდრე წავიდა:
აბა, სხვა რაა სიამაყე, მე რომ განვიცდი,
ჩემს მამაც ვაჟებს რომ შევხარი ან შენ ამ წუთას
გულში რომ გიკრავ, ეს ყოველი სიყვარულს მოაქვს.
აი, ამიტომ ნუ შეგაკრთობს ეს შეგონება:
ხანგრძლივი იყო ჩემი ტკბობა, ხანმოკლე - ურვა.

კრიმჰილდი
უმჯობესია, არ გაგაჩნდეს, ვიდრე - დაკარგო!

უტე
რამე ისეთი თუა ქვეყნად, რომ არ დაკარგავ?!
თუნდ შენი თავი?! რაც ახლა ხარ, იმად დარჩები?
აბა, მიყურე! ღიმილს მოგგვრის ჩემი სიტყვები:
ერთ დროს შენ გგავდი, და გახსოვდეს, მე რომ ახლა ვარ,
ერთხელ ასეთი შენ გახდები. რას მოიხელთებ,
თუ შენი თავის მოხელთებაც არ შეგიძლია?
სწორედ ამიტომ, რაც გეძლევა, უნდა აიღო,
და შენც ჩვენსავით მოიწიო მოწონებული,

თუმცა სიკვდილი მას მტკვრად გიქცევს, როცა ისურვებს:
აკი, ის ხელიც მტკვრად იქცევა, რომლითაც იხვეჭ!

კრიმჰილდი *(მივა სარკმელთან)*
ლოდიეით მიმძიმს, დედაჩემო, ეს გული, ვფიცავ...
(გარეთ იყურება და სიტყვა უწყდება)

უტე
რატომ დადუმდი? ან ალისფრად რატომ აენთე?
რამ შეგაშფოთა?

კრიმჰილდი *(სარკმლიდან უკან იხევს)*
როდის მერე დაიდო წესად
ჩვენს სასახლეში, რომ ჩვენ უკვე ვეღარ ვგებულობთ
უცხო სტუმრების აქ შემოსვლას და დაყოვნებას?
რაინის ვორმსის ეს ამაყი ციხესიმაგრე
მწყემსთა სადგომად გადაიქცა, დღისით თუ ღამით
რომელშიც ყველა, ვისაც უნდა, მოეხეტება?

უტე
რატომ გაფიცხდი?

კრიმჰილდი რომ ვიფიქრე, გადამეხედა
და სასაცილოდ მობაჯბაჯე და დაბურთული
დათვის ბელების თამაშობით გამერთო თვალი
და გულუბრყვილოდ გამოვხსენი სარკმლის დარაბა,
უმალ უტიფრად მომაშტერდა ერთი რაინდი.

უტე
და ამ რაინდმა შეუძლებლად გადაგიგცია
წამოწყებული შენი ფიცის დაბოლოება?
(ისიც სარკმელთან მივა)

ჰა, რა თქმა უნდა, ვინც თვალს ჰკიდებს მას და მის დგომას,
თავის თავს ჰკითხავს, აზრი თუ აქვს ფიცის განვრცობას.

კრიმჰილდი
ჩემი ძმის სტუმრებს კი არ ვნაღვლობ! მინდა ვიცოდე,
როგორ შევძლო და ავარიდო თავი ამ სტუმრებს.

უტე
მე კი მახარებს, რომ ამჯერად მაგ შენმა რისხვამ
მხოლოდ ღაწვები შეგილება, რადგან ჭაბუკ გმირს,
შენს დათვებსა და შენს შორის რომ შემოაბიჯა,
მეულლეც ჰყავს და ერთი ვაჟიც, დიდი ხანია.

კრიმჰილდი
შენ რა, მას იცნობ?

უტე უეჭველად!

კრიმჰილდი მერე რა ჰქვია?

უტე
არ ვიცი! აი, შენ კი მართლაც კარგად გიცანი,
გაფითრებულხარ ერთიანად, როგორც სიკვდილი!
და ჭეშმარიტად, ამ შევარდენს თუ მოიხელთებ,
მერე ნურასდროს ნუ გექნება არწივის შიში!
პირობას გაძლევ, თითოეულს გაუსწორდება!

კრიმჰილდი
ამიერიდან შენ ჩემს სიზმრებს აღარ გაგანდობ!

უტე
კრიმჰილდ, ნუ ბრაზობ! მე შენს სიზმრებს როდი დავცინი.

უფლის თითია, რასაც ვხედავთ ხშირად სიზმარში,
და მერე, როცა ვიღვიძებთ და ისე, როგორც შენ,
ჯერაც ვცახცახებთ, ნიშნავს: იგი მართლაც გვინახავს.
ჩვენ მხოლოდ გვმართებს, ის ნიშანი, რომელსაც გვაძლევს,
სწორად გავიგოთ, და არც შიშით ატანილებმა
დავდოთ პირობა შეუძლებლის. მაშ, დაიფარე
ის შევარდენი, შენ რომელიც მოგიფრინდება,
და ვერაგ არწივს დასაფლეთად არ დაანებო;
ოღონდ არასდროს გაიფიქრო მისი დაფრთხობა,
თორემ განდევნი ამით შენგან სიცოცხლის ხალისს,
გახსოვდეს, მთელი ქვეყნის ზურგზე, კეთილშობილი
რაინდის ტრფობას არაფერი აღემატება,
ქალწულებრივი გვირგვინის ქვეშ რასაც ჯერ ვერ გრძნობ;
იქნებ, არც გეძლევნას უკეთესი, ვიდრე ეს არის.
მე მას შინისკენ მისაქცევ გზას არ ვუჩვენებდი.
(სარკმელში იმზირება)

კრიმჰილდი
ჩემს სათხოვნელად არ მოსულა, ვერც გზას ვასწავლი.

უტე *(იცინის)*
ჩემს ასაკშიც კი ვისკუპებდი ამ სიშორეზე.

კრიმჰილდი
რას ხედავ ისეთს, სიცილი რომ მოგგვარა, დედა?

უტე
როგორც ჩანს, ერთურთს შორს სროლაში ეჯიბრებიან.
აი, შენმა ძმამ, გიზელჰერმა, ტყორცნა პირველმა.
ის ხომ ყველაზე უმცროსია. მაგრამ უყურე!
უცხო რაინდმა უნდა ტყორცნოს. ოჰ, ჩემო ბიჭო,
ნეტა რამდენით ჩამორჩები? შეხედე, ისიც!
მოემზადა და ტყორცნის კიდეც, ქვა გაფრინდება,

როგორც ფრინველი... რალას უცდი, სარკმელთან მოდი,
ჩემს უკან დადექ, შენ მეორედ ველარ იხილავ
ამგვარ სანახავს, უჩვეულო რამ ხდება ახლა:
სურს, რომ ამ შეჯიბრს ერთი ტყორცნით მოულოს ბოლო!
თვალები ხომ არ მღალატობენ, ამას რას ვხედავ!
უფრო შორს - ვერა?

კრიმჰილდი *(უახლოვდება)*
ნაადრევად ხომ არ შეაქე?

უტე
სულ ერთი ციდის სხვაობაა!

კრიმჰილდი *(უტეს ზურგს უკან დგება)*
მაგრამ ეს მაინც
გოჯზე მეტია.

უტე ბავშვის ციდის ზომით აჯობა
და არა - მეტით...

კრიმჰილდი ჰო, ნამდვილად არ არის ბევრი!
მეტადრე მაშინ, თითებიც თუ დაიჭიმება.

უტე
ან როგორ ხვნეშის!

კრიმჰილდი რაც, ცხადია, ასეთ გოლიათს
სასაცილოს ხდის! მე რომ ვიყო, თანამიგრძნობდნენ,
და, როგორც გოგო, საქებარიც შევიქნებოდი.

უტე
ახლა კი უკვე ჩვენს გერენოტს უწია ჯერმა.

და ეს შეჯიბრიც როგორ შვენის! ხომ მართალს ვამბობ?
ყველაზე მეტად მამას ეგ ჰგავს. ჩემო ვაჟკაცო,
აბა, ყოჩაღად!.. აი, სროლაც ასეთი უნდა!

კრიმჰილდი

ნახე, დათვიც კი სახტად დარჩა, არ მოელოდა,
და უცებ როგორ აცეტდა და შეიკუნტრუშა.

უტე

საითაც გულმა გაგიწიოს, იქით მოკურცხლე!..
გიზელჰერი კი არსად წავა.

კრიმჰილდი ახლა რა ხდება?
არა, იდექი, სადაც დგახარ, აქედანაც ჩანს.

უტე

ისევ რაინდი ემზადება! ოღონდ ამჯერად
არ იძაბება; ჩანს, რომ თავის გამარჯვებაში
წინდაწინვეა საიმედოდ დარწმუნებული.
მაინც რარიგად ვცდებით ხოლმე!.. მაგრამ რას სჩადის?
ნახე, შებრუნდა და სამიზნეს ზურგი აქცია,
იმის ნაცვლად, რომ უყურებდეს... ქვა აზიდა და
თავს და მხარს ზემოთ გადაიგდო... არა, მართლაც რომ
ჭკუიდან შეცდე შეიძლება! როგორც გიზელჰერს,
სძლია გერენოტს.

კრიმჰილდი სხვაობა კი უწინდელივით
მხოლოდ გოჯია! მაგრამ ახლა სულაც არ ხვნეშის.

უტე

მეამაყება, ზნეკეთილი შვილები რომ მყავს.
გულღიად უწვდის უცხო სტუმარს ხელს გერენოტი,

სხვა მის ადგილას უსათუოდ ხმალს იშიშვლებდა,
კეთილშობილ კაცს არ ამშვენებს გულზვიადობა.

კრიმჰილდი
დღენათელივით ცხადია, რომ ცუდს არ იზრახავს.

უტე
უხმოდ გადადო ვიოლინო გვერდზე ფოლკერმა,
დამცინავად რომ აჟღერებდა!

კრიმჰილდი ერთი გოჯია,
რამაც ხალისი დაუკარგა. სახლთუხუცესის
ჯერია ახლა, აღმასვლა რომ გაგრძელდებოდეს,
როგორც კიბეზე, ნაბიჯ-ნაბიჯ, მაგრამ აქ დანკვარტს
მეფე გუნთერი ჯიქურ უკან დაახევინებს,
სურს თავად სცადოს.

უტე წარმატებით გატყორცნა კიდეც,
ორჯერ შორს, ვიდრე - გერენოტმა.

კრიმჰილდი და მაინც, არა
საკმარისად შორს. აკი, ხედავ, არ დაახანა
უცხო რაინდმა, და სხვაობა ისევ გოჯია.

უტე
მეფე იცინის. თუ ასეა, მეც გავიცინებ.
დიდი ხანია, მიყვდი, ეს ის შევარდენია,
შენი სიზმარი არასდროს რომ არ აუხდება;
აი, ახლა კი მოიკრიბა მთელი ძალ-ღონე.

კრიმჰილდი
ჰა, ტრონიელის ჯერიც დადგა.

უტე გულს ბოლმა უღრღნის,
თუმც იერ-სახე ლაღი უჩანს!.. ქვას ისე დასწვდა,
თითქოს დაფშვნისო. ნახე ერთი, როგორ გაფრინდა!
კედელს უწვდინა! ამაზე შორს სადღა გატყორცნის!
მაგ ნასროლს მართლაც ვეღარავინ აღემატება,
გოჯისთვისაც კი აღარ დარჩა უკვე ადგილი.

კრიმჰილდი
არადა, რაინდს ისევ მოაქვს ლოდი სატყორცნად.

უტე
კი, მაგრამ რისთვის? რა მოხდება, ღმერთო მაღალო!
ციხესიმაგრე თავზე ხომ არ ჩამოგვემხობა?
ეგ პირი უჩანს!

კრიმჰილდი გაუწვდინა კოშკის სიმაღლეს,
ჭკებს და ღამურებს ერეკება ბუდეებიდან...

უტე
ბრმად შეერივნენ დღის სინათლეს!

კრიმჰილდი გალავანი კი
გარღვეულია.

უტე ვერ ვიჯერებ.

კრიმჰილდი ცოტაც დაიცა,
მტვერი განქარდეს. სარკმელივით დიდი ხვრელია!
გაუხვრეტია გალავანი.

უტე ახლა მეც ვხედავ.

კრიმჰილდი
ლოდი რაინში გადაფრინდა.

უტე ვინ დაიჯერებს!
არადა, ჩვენი თვალით ვნახეთ, წყალიც მოწმეა,
ლამის ცას შესწვდეს წყლის შხეფები.

კრიმჰილდი ეს კი მცირედით
აღემატება გოჯის სიგრძეს.

უტე სამაგიეროდ,
ბოლოსდაბოლოს, მოიწმინდა შუბლიდან ოფლი.
ტრონიელს ჯავრი რომ არ მოკლავს, მადლობა უფალს!

კრიმჰილდი
შეჯიბრი უკვე დაასრულეს. ხელებს იფერთხენ.
დანკვარტს და ფოლკერს არ მოუწევთ ხელის დაფერთხვა.

უტე
უნდა ვიჩქაროთ, წირვის დროა, სულ დაგვავიწყდა.

(ორივე გადის)

მეოთხე სცენა

ისევ შემოდიან რაინდები.

გუნთერი
თქვენ ეშმაკობა არ გკლებიათ!

ზიგფრიდი გაგანაწყენეთ?

გიზელჰერი
გთხოვთ, მომიტევეთ, რომ გავბედე და გაგიტოლდით,
მაგრამ სასჯელიც მოვუფიქრე ამ ჩემს საქციელს:
მოხუც დედაჩემს, უტეს უნდა გავემეტოქო,
და თუ მოვუგებ, მაშინ მთელი ხალხის წინაშე
და ხმამაღალი საყვირების გარემოცვაში,
ნება თქვენია, მუხის ფოთლის გვირგვინით მომრთეთ!

ზიგფრიდი
მორჩეს, შევწყვიტოთ! თქვენ ურიგოდ სულ არ გისვრიათ,
არ გყოფნით მხოლოდ ათი წელი.

ჰაგენი
ბოლოს რომ ტყორცნეთ,
სრულად გვიჩვენეთ თქვენი ძალა?

ზიგფრიდი
ძალუძს კი თამაშს
ამის ჩვენება?

გუნთერი
კიდევ ერთხელ კეთილი იყოს
აქ შენი ფეხი, ბედნიერად შევრაცხდი ჩემს თავს,
რომ შემძლებოდა ნაჩქარევი შენი სტუმრობა
გადამექცია ხანგრძლივ ლხინად. მაგრამ რა უნდა
შემოგთავაზო მე ასეთი?! რომც ყოფილიყო
ჩემი მარჯვენა, რომლის ფასად სიამოვნებით
შენი მარცხენის მსახურებას მოვიპოვებდი,
უარს იტყოდი და ხანგრძლივად არ დარჩებოდი!

ზიგფრიდი
ფრთხილად იყავი, შეიძლება გთხოვო კიდევაც!

გუნთერი
რაც უნდა მთხოვო, წინდაწინვე მიღებული გაქვს.

ზიგფრიდი
მადლობას გიძღვნი ამ სიტყვისთვის! და მე შენ ამას
არ დაგივიწყებ, თუმც ახლავე უკან გიბრუნებ,
რამეთუ ჩემი სურვილები იმაზე უფრო
თავზედურია, ვიდრე ფიქრობ. მოკრძალებული
მაშინ ვიყავი, სამეფო რომ მოგთხოვე.

გუნთერი შენ მე
ვერ შემაშინებ.

ზიგფრიდი შესაძლოა, კიდეც გსმენია
ჩემს საგანძურზე, ამიტომაც, უნდა იცოდე,
ოქრო-ვერცხლისთვის შენ არ გმართებს შიში და ძრწოლა,
თავად იმდენს ვფლობ, უმალ დიდი სიამოვნებით
გავაჩუქებდი, ვიდრე იმ განძს შინ მივზიდავდი.
რა უნდა მარგოს? ოქრო-ვერცხლზე არ იყიდება
ის, რაც მწადია.

გუნთერი რა გწადია?

ზიგფრიდი ჯერაც ვერ მიხვდი?..
სხვა სახე, ვიდრე ის, რომელსაც შენ ახლა ხედავ!

გუნთერი
და ძველის ძალა შენგან უკვე გამოცდილია?

ზიგფრიდი
ჰო, დედაჩემზე! და ფრიადი წარმატებითაც,
რადგან მას მოსწონს!

გუნთერი კიდევ რაა?

ზიგფრიდი სხვა არაფერი!

არ შეგინიშნავს? ცოტა ხნის წინ ერთი ასული
გადმოგვცქეროდა ჩვენ ეზოში, და როცა იმან,
ოქროს კულულთა მიმორხევით, თითქოს ისინი
მისი თვალების დამფარავი ფარდები იყო,
მზერა შემავლო მე თქვენს შორის, უკანვე გახლტა
იმაზე სწრაფად, ვიდრე ერთხელ ეს ჩემმა ფეხმა
ჯუჯაკაცების სამეფოში მოიმოქმედა,
მათ მიწაზე რომ შევაბიჯე, ხოლო ეს მიწა
სახედ შეიკრა და კბილები მიჩვენა!

გუნთერი რიდი

ყოფილა მხოლოდ! ისევ სცადე. მაგრამ მაშვალი
თუ არავინ გყავს, ამ სამსახურს თავად გაგიწევ,
ოღონდ იგივე სამსახურსაც მოვითხოვ შენგან,
რამეთუ კრიმჰილდს, ჩემს დას, მანამ ვერსად გავუშვებ,
სანამ აქ ბრუნჰილდს ჯერაც ფეხი არ შემოუდგამს.

ზიგფრიდი

ვისი სახელი მომეყურა, ჰოი, მეფეო?
შენ რა, ფიქრად გაქვს ჩრდილოელი ასულის შერთვა?
ვისაც გამლღვარი რკინა უდუღს თავის ძარღვებში?
ოჰ, დაივიწყე!

გუნთერი რატომ? ამად ის სულაც არ ღირს?

ზიგფრიდი

ამად არ ღირსო? განადიდებს მის სახელს ყველა,
მაგრამ ჭიდილში ვერავინ სძლევს მას ერთის მეტი,
ხოლო ის ერთი მას არასდროს შეირთავს ცოლად!

გუნთერი

ვაი, სირცხვილო! ბევრად მიჯობს უმალ სიკვდილი
მისივე ხელით, ვიდრე თუნდაც ათასი წელი

ვიცოცხლო ჩემი უძლურებით თავლაფდასხმულმა.

ზიგფრიდი

არ იცი, რაზე ლაპარაკობ. სამარცხვინოა,
ცეცხლი როცა გწვავს, ხოლო წყალი უფსკრულში გითრევს?
სწორედ ასეთი არის იგი თხემით ტერფამდე,
როგორც სტიქია, და ერთადერთ კაცს ძალუძს ქვეყნად,
დაიმორჩილოს ისე, როგორც მოესურვება,
მერე ეუფლოს ანდა სულაც გაასაჩუქროს!
მაგრამ გნებავს კი იმ კაცისგან მისი მიღება,
ვინც არც მამაა იმისი და არც ძმად ეკუთვნის?

გუნთერი

ჯერ უნდა ვნახო, თუ მე თავად რა შემიძლია!

ზიგფრიდი

ვერ დაამარცხებ, ეს არც არის შესაძლებელი,
გაგაცამტვერებს! და იმედი არ გქონდეს, თითქოს
მის რკინის მკერდში ბინა ედოს ლმობიერებას
და უმალ, რაწამს თვალს შეგავლებს, ის შენთან სასტიკ
შეტაკებაზე უარს იტყვის! მისთვის უცხოა
ეს გრძნობა, თავის სიქალწულეს ისე დარაჯობს,
თითქოს იცავდეს იგი ამით თავის სიცოცხლეს,
და როგორც ელვა, თვალები რომ არ გააჩნია
ან - ზღვა, რომელიც უგრძნობია ყვირილის მიმართ,
შეუბრალებლად ანადგურებს ის ყველა რაინდს,
ვისაც სწადია, მას ქალწულის სარტყელი შეხსნას.
და ამიტომაც ნუღარასდროს იფიქრებ მასზე,
თუკი შენ არ გსურს, რომ ის სხვისი ხელით მოგერთვას;
თუ არ ინებებ, რომ ის ჩემი ხელით გებოძოს!

გუნთერი

რატომ არ უნდა ვინებებდე?

ზიგფრიდი ეგ შენს თავს ჰკითხე!
მე მზად ვარ, მხარში ამოგიდგე, გვერდით დაგიდგე,
თუ შემპირდები, რომ სანაცვლოდ შენს დას მე შემრთავ,
რადგან ის არის ერთადერთი, ვისთვისაც აქ ვარ;
რომც დაგეკარგა ჩემთან მთელი შენი სამეფო,
ამ ყოველივეს სწორედ მისით გამოისყიდდი.

ჰაგენი
როგორ აპირებ შენ ამ საქმეს?

ზიგფრიდი მძიმე იქნება
ყველა გამოცდა! ლოდს მოისვრის იგი ჩემსავით,
გაფრენილ ამ ლოდს მიეწევა მერე ნახტომით;
შუბს გატყორცნის და შუბი გახვრეტს ას ნაბიჯს იქით
შვიდკეცა ლითონს; სხვაც ბევრია მსგავსი გამოცდა.
მარტო ვინ შეძლოს! ჩვენ კი საქმეს გავინაწილებთ:
ის იმოძრავებს, ხოლო შრომა მე უნდა მანდოს!

ჰაგენი
გაქანდება და სწორედ ამ დროს შენ ლოდს გატყორცნი
და გადახტები?

ზიგფრიდი ამას ვამბობ! და, უფრო მეტიც,
თავად გუნთერი უნდა ვზიდო!

ჰაგენი ეს სიგიჟეა!
მის მოტყუებას როგორ შეძლებ?

ზიგფრიდი სწორედ იმ ჩაჩით,
რომელმაც ერთხელ მე მის მზერას გამომარიდა!

ჰაგენი
მაშ, შენ იქ უკვე ნამყოფი ხარ?

ზიგფრიდი ჰო, ნამყოფი ვარ,
თვალს ვადევნებდი მხოლოდ, მე კი ვერვინ მხედავდა! -
განცვიფრებულნი მიყურებთ და, ვხედავ, ვერ მალავთ
თქვენს გაოგნებას. რომ დარწმუნდეთ, დამალობანა
უნდა დავიწყო, მაგრამ ვფიქრობ, აჯობებს გზისთვის
შემოგინახოთ, რადგან გრძელი სავალი გვიდევს;
იმასაც შევძლებ, ჩემს შესახებ როცა გიამბობთ,
წყალს ჩავცქეროდე!

გუნთერი არა, არა, ახლა გვიამბე
ისლანდიაზეც და იმაზეც, რაც თავს გადაგხდა.
სიამოვნებით ყურს დაგიგდებთ. თავად ვფიქრობდით
იქ გამგზავრებას.

ზიგფრიდი მაშ, ამასაც? მე ბრძოლის ჟინმა
შემიყოლია ასე შორს და პირველივე დღეს
ორ ჭაბუკ რაინდს შევეყარე გამოქვაბულთან,
დაუნდობი რომ გაემართათ შეხლა-შემოხლა.
ესენი მეფე ნიბელუნგის ვაჟები იყვნენ,
რომლებსაც მამა ჯერაც ისევ არ დაემარხათ...
და, როგორც მერე მოვისმინე, მათვე მოუკლავთ...
და აი, უკვე სამემკვიდროს გამო ქიშპობდნენ.
გროვებად იყო ახორხლილი ძვირფასი თვლები
მათ ირგვლივ, ძველი გვირგვინებიც და საუცხოოდ
შემოგრაგნილი რქებიც, იქვე, უწინარესი -
ბალმუნგი, ხოლო ქვაბურიდან გამოსჭვიოდა
წითელი ოქროს ელვარება. მე რომ გამოვჩნდი,
მყისვე ისურვეს მათ, ველური გამძვინვარებით,
მე, როგორც უცხოს, იმათ შორის განძი გამეყო,
და სიკვდილი რომ აღმეკვეთა, რომლითაც ერთურთს
ემუქრებოდნენ, თანხმობა ვთქვი, მაგრამ - ამაოდ.
თითოეულმა, როცა მოვრჩი, თავისი წილი
უფრო ნაკლებად მიიჩნია და მრისხანებდა.

მათი მოთხოვნით განაყოფი გავამთლიანე
და კვლავ გავყავი. მაგრამ ახლა ისინი უფრო
მეტად განრისხდნენ და როცა მე, მუხლებმოყრილი,
ჩუმად ვფიქრობდი, რა მეღონა, რათა ისინი
შერიგებოდნენ ერთურთს, ცოფით ატანილებმა
ხელი იტაცეს დაშნებზე და მყის თავს დამესხნენ.
გაშმაგებული ამ ძმებისგან თავდასაცავად
ბალმუნგს ვწვდი, რაკი იქვე იდო, ხოლო ჩემს მახვილს
მსგავსი სისწრაფით ქარქაშიდან ვერ ვიშიშვლებდი,
და ვიდრე რამე მოვისაზრე, უკვე ორივე,
როგორც ტახები, ფოლადისკენ ბრმად რომ მიქრიან,
წამოგებოდნენ ამ ხმალს თავად, თუმც კი მინდოდა
მათი დანდობა, ასე გავხდი მთელი ამ განძის
მემკვიდრე.

ჰაგენი სისხლით, მაგრამ მაინც სრული ღირსებით!

ზიგფრიდი

გამოქვაბულში შესვლა მსურდა! დიდად გავოცდი,
რომ ველარ ვნახე შესასვლელი. მიწის სიღრმიდან
უცებ ზვინული ამოირღვა, როგორც მეჩვენა,
და აღიმართა ჩემს წინაშე, და მის გახვრეტას
ვცდილობდი, გზა რომ გამეკვლია. მაგრამ იქიდან
წყლის ნაცვლად სისხლმა იჩქეფა და ისე ფეთქავდა,
ვიფიქრე, გველი იმალვოდა. მაგრამ ვცდებოდი,
მთელი ზვინული ერთადერთი გველი ყოფილა,
ამ კლდის ნაპრალში რომ ეძინა ათასი წელი,
ხავსით, ბალახით დაფარული; და დაკბილული
მისივე ზურგი გორაკების ჯაჭვს უფრო ჰგავდა,
ვიდრე ცხოველს ან მსგავს ნაშიერს, რომელიც სუნთქავს.

ჰაგენი
დრაკონი, არა?

ზიგფრიდი ჰო, დრაკონი! მე ის მოვკალი,
ვიდრე ეს მორგვი იხსნებოდა, მივეპარე და
ზედ მოვექეცი, მის კისერზე ამხედრებულმა
გადავუხლიჩე ლურჯი თავი. ეს იყო, ალბათ,
ყველაზე ძნელი, რაც ოდესმე ჩამიდენია,
და უბალმუნგოდ ვერ შევძლებდი იქ გამარჯვებას.
მერე კი სავალს ჩეხვა-ჩეხვით მივიკვალავდი
ამ უშველებელ ტან-ხორცში და საზარ ძვლებს შორის,
ვით კლდოვან მთაში, და, ამგვარად, გამოქვაბულსაც
ვუწიე, მაგრამ შიგ არ მქონდა ფეხი შედგმული,
სალტესავით რომ შემომომეჭდო მძლავრი მკლავები,
რომლებსაც ვგრძნობდი, მაგრამ ვერ კი ვხედავდი იმას,
ვინც ამ დროს ლამის ჩამიმსხვრია ყოველი ნეკნი
და უკვე სუნთქვაც გამიძნელა; თავად ჰაერი
მებრძოდა თითქოს! ალბერიხი, ველური ჯუჯა,
მბოჭავდა თურმე, და სიკვდილი ისე თვალნათლივ
არ დამინახავს მე არასდროს, ვით ამ ურჩხულთან
სასტიკ ჭიდილში. თუმცა ბოლოს მაინც ხილული
გახდა იგი და ორთაბრძოლაც ამით დასრულდა.
როცა ვებრძოდი, თურმე ამ დროს უჩინმაჩინის
ჩაჩი შემთხვევით წამიცლია მისთვის თავიდან,
და ძლიერება რომ წარტაცა თავსაბურავმა,
უმალვე, ძალაგამოცლილი, ძირს დაენარცხა.
მინდოდა, ისე გამესრისა, როგორც ქვემძვრომი,
მაგრამ ყელზე რომ ფეხს ვაჭერდი, მან სწორედ ამ დროს
გათქვა სასწრაფოდ საიდუმლო, ჩემთვის უცნობი:
მე მან ის ჯადო გამიმხილა, ოხშივრიანი
დრაკონის სისხლი რომ მალავდა. აღარ მოვკალი,
მე კი ვიჩქარე წითელ ტბაში ამოსავლებად.

გუნთერი
ერთადერთ დღეში მოიპოვე ეს ყველაფერი:
ხმალი ბალმუნგი, განძი, ჩაჩი უჩინმაჩინის

და ეგ რქოვანი შენი გარსი?

ზიგფრიდი სწორედ ერთ დღეში!
ფრინველთა ენაც! ერთი წვეთი იმ ჯადოსისხლის
რაწამს ტუჩებზე დამეღვენთა, უმალ გავიგე,
რასაც ჩიტები ჩემს თავზემოთ ჭიკჭიკით ბჭობდნენ,
და მყისვე რომ არ მომეწმინდა პირიდან სისხლი,
იმათ ენასაც გავიგებდი, რაც რბის და დახტის.
წარმოიდგინეთ: უცებ მესმის უხვად გაბარჯღულ
ბებერი ცაცხვის ხის ტოტებში ჩურჩულის ხმები,
სიცილ-ქირქილი და ქილიკი, თითქოს ფოთლებში
დამალულანო კაცთაგანნი და დასცინიან
ჩემს ნამოქმედარს. მზერას ვძაბავ, თვალს მოვატარებ,
და არავინ ჩანს. მხოლოდ ჩიტებს, ჭკებს, ყვავებს, ბუებს
ცხარე კამათი გაუმართავთ. ბრუნჰილდის სახელს
ახსენებენ და იქვე - ჩემსას. გაუგებარი
სიტყვების კოშტი მიმოიფრენს, და მე უტყუვრად
ვიცი, რომ ისევ ფათერაკი მზადდება ჩემს თავს.
და მეც ავენთე. წინ ჭკა მიფრენს, უკან ბუ მისდევს.
მალევე ვხედავ, ცეცხლოვანი ტბა ხერგავს სავალს,
ხოლო მის მიღმა აღმართულა ციხესიმაგრე,
როგორც ლითონი მოვარვარე, მოლურჯოს შერწყმულ
მწვანედ მბრწყინავი. მე ვჩერდები. ჭკა ჩამომძახის:
"ამოაშიშვლე ქარქაშიდან და შენს თავზემოთ
ბალმუნგი სამჯერ მოიქნიე!". ასეც ვიქცევი,
და ტბა იმაზე სწრაფად ქრება, ვიდრე - სანათი.
ახლა კი უკვე ცოცხლად ვხედავ ციხესიმაგრეს,
ხალხს - ქონგურებთან, მოფრიალე თავსაბურავებს,
და - ერთ ყმაწვილქალს, გალავნიდან ამაყად მზირალს.
"აი, ეს არის საპატარძლო! - ბუ ჩამომკივლებს, -
თავიდან ჩაჩი მოიშორე!" მხოლოდ საცდელად
მოვირგე იგი, იმის მერე აღარც მახსოვდა,
კვლავ თუ მეხურა. მაგრამ ახლა უკეთ მოვირგე

და ხელებითაც ჩავეჭიდე, რაკი ვხედავდი,
თავხედ ფრინველებს რომ უნდოდათ მისი წართმევა.
მთელი თავისი სილამაზის მიუხედავად,
ბრუნჰილდმა გული ოდნავადაც ვერ ამიძგერა,
ხოლო როცა გრძნობ, ხელის თხოვნა არ შეგიძლია,
არც უნდა წარსდგე.

ფოლკერი ღირსეული სიტყვაა მართლაც.

ზიგფრიდი
ასე უჩინრად გავერიდე, მაგრამ მე ვიცი
ციხესიმაგრეც, საიდუმლოც მისი და - ის გზაც.

გუნთერი
მაშ, მეც მასწავლე, გმირო!

ფოლკერი არა, შინ დარჩი, მეფევ,
ცუდი ექნება ამას ბოლო.

ზიგფრიდი ფიქრობ, ჩემს სიტყვას
ვერ შევასრულებ?

ფოლკერი ო, პირიქით, მე იმას ვფიქრობ,
რომ იჩხიბური ეს ხრიკები არ გვეკადრება!

გუნთერი
სხვაგვარად რომ არ მოხერხდება?!

ფოლკერი ჰოდა, შედექი.

გერენოტი
იგივეს გირჩევ.

ჰაგენი ჰეი! რატომ?

გუნთერი მე კი მგონია,
იმაზე უფრო სამარცხვინო სულაც არ არის,
ცურვით მიღწევა ვინც ვერ შეძლო უცხო ნაპირის,
გემზე ავიდეს; ან საქმეში დაშნა ჩაერთოს,
თუ მუშტი არ ჭრის.

ზიგფრიდი ასე იყოს! თქვი ბოლო სიტყვა!

გუნთერი
შევთანხმდით! ბრუნჰილდს მომიხვეჭ და ცოლად გრთავ
კრიმჰილდს,
მერე კი ერთად გაიმართოს ჩვენი ქორწილი!

ჰაგენი *(თითი პირთან მიაქვს, ზიგფრიდს უყურებს და მერე ამ თითს ხმალზე დაიკრავს)*

ზიგფრიდი
ქალი ხომ არ ვარ? საუკუნოდ ვერვინ გაიგებს!
საასპარეზოდ როცა გახვალთ, მოვიმიზეზებ,
რომ ჩვენი გემი საჭიროებს ჩემს მზრუნველობას
და სანაპიროს მივაშურებ მის დასანახად,
მაგრამ მალევე დავბრუნდები უჩინმაჩინის
ჩაჩით და მკლავზე როცა გიჩქმეტ, შენთან მიგულე!

(ყველანი გადიან)

მეორე ნაწილი

ზიგფრიდის სიკვდილი

ტრაგედია ხუთ აქტად

მოქმედი პირები:

მეფე გუნთერი
ჰაგენ ტრონიელი
დანკვარტი
ფოლკერი
გიზელჰერი
გერენოტი
ვულფი და ტრუქსი, რაინდები
რუმოლტი
ზიგფრიდი
უტე
კრიმჰილდი
ბრუნჰილდი, ისლანდიის დედოფალი
ფრიგა, მისი გადია
კაპელანი
კარისკაცი
რაინდები, ხალხი, მოახლეები, ჯუჯები

პირველი აქტი

ისლანდია, ბრუნჰილდის ციხე-დარბაზი. ალიონი.

პირველი სცენა

ურთიერთსაპირისპირო მხარეებიდან შემოდიან ბრუნჰილდი და ფრიგა.

ბრუნჰილდი
საიდან - ასე ადრიანად? თმა დაგნამვია,
კაბა კი სისხლით მოგითხვრია.

ფრიგა მსხვერპლი შევწირე
ოდინდელ ღმერთებს, ვიდრე მთვარე ჯერაც არ იყო
გადატეხილი.

ბრუნჰილდი შევწირეო ოდინდელ ღმერთებს!
ახლა ჯვარია მბრძანებელი, და თორს და ოდინს
ჯოჯოხეთი ხრავთ, ვით ეშმაკებს.

ფრიგა და შენც ნაკლებად
ამიტომ უფრთხი? იმათ კვლავაც ხელეწიფებათ
ჩვენი შერისხვა, თუმც არ ძალუძთ დამწყალობება,
და მათ კუთვნილ ვაცს მეც მორჩილად მივართმევ ხოლმე.
ო, რომ იქმოდე შენც იგივეს! და მიზეზიც გაქვს,
როგორც სხვას არვის.

ბრუნჰილდი მიზეზიც მაქვს?

ფრიგა როგორმე სხვა დროს!

დიდი ხანია, რაც მოყოლას ვაპირებ. დღეს კი მარჯვე ჟამია საამისოდ.

ბრუნჰილდი მე კი ვფიქრობდი, ეგ ჟამი შენი სიკვდილით თუ დაგვიდგებოდა, არ გაჩქარებდი ამიტომაც.

ფრიგა მაშინ მისმინე! იმ ცეცხლოვანი ჩვენი მთიდან მოულოდნელად დაჩნდა მოხუცი და რუნების დაფასთან ერთად გამომიწოდა იმან ბავშვი.

ბრუნჰილდი ეს ღამით მოხდა?

ფრიგა
საიდან იცი?

ბრუნჰილდი ზოგ-ზოგები შენმა სიზმარმა გამიზიარა: როცა მთვარე სახეს გინათებს, შენ ლაპარაკობ.

ფრიგა შენ კი მისმენ, არა?.. კეთილი!.. შუაღამისას! ჩვენ დედოფლის ცხედარს ვუთევდით ღამეს... იმ მოხუცს მთლად თოვლივით თეთრი თმა ჰქონდა, ყველა დიაცის თმაზე გრძელი, რაც კი ოდესმე ჩემს თვალს უნახავს. განვრცობილი სამოსელივით შემოტალღვოდა იმას ეს თმა, უკან დასთრევდა.

ბრუნჰილდი
სული მთებისა!

ფრიგა ეს არ ვიცი. არ დასცდენია

თუნდ ერთი სიტყვა. გოგონამ კი ოქროს გვირგვინის
მიმართულებით გაიწვდინა ციცქნა ხელები,
და, საოცრებავ, ცხედრის თავზე რაც ბრწყინვალებდა,
იმას მოერგო.

ბრუნჰილდი როგორ! ნუთუ იმ ბავშვს მოერგო?

ფრიგა
ჰო, სწორედ იმ ბავშვს! ფართო სულაც არა ჰქონია,
მერე კი უკვე - ალარც ვიწრო!

ბრუნჰილდი როგორც მე მადგას!

ფრიგა
როგორც შენ გადგას! კიდევ უფრო საოცარს გეტყვი:
გოგონა იმ ბავშვს, მკლავებზე რომ ეწვინა ცხედარს
და ისე სწრაფად რომ განქარდა თვალთახედვიდან,
არ არსებულა თითქოს სულაც, სახე-იერით
ჰგავდა იმგვარად, ისე ძლიერ, რომ მხოლოდ სუნთქვა
განასხვავებდა ერთურთისგან იმათ; ბუნებას
ერთი სხეული, ერთი მიზნის საწვდომად, თითქოს
ორჯერ შეექმნა, და მარტოდენ ერთი მეორის
სისხლით აღევსო.

ბრუნჰილდი შენ ამბობ, რომ დედოფალს მკლავზე
ბავშვი ეწვინა?

ფრიგა დედოფალი მშობიარობას
გადაჰყოლოდა და ნაყოფიც იმასთან ერთად
დაღუპულიყო.

ბრუნჰილდი ეს აქამდე არ გითქვამს ჩემთვის.

ფრიგა

მაშ, უნებლიეთ დამვიწყნია! გული გაუსკდა
იმაზე დარდით, რომ მეუღლეს ვერ უჩვენებდა
ჩვილს. სულ ამაოდ ჰქონებია გადაქცეული
მეფეს ოცნებად სანუკვარი ბედნიერება
მრავალი წელი, გაჩენიდან ერთი თვის თავზე
ჩვილი უეცრად მიიტაცა სიკვდილმა.

ბრუნჰილდი მერე!

ფრიგა

დიდხანს ეძებდა ჩვენი თვალი მოხუცს. ის უკვე
აღარსად ჩანდა; და ვაშლივით შუაზე გაჭრილი
მთაც, სარკმლის მილმა ჩვენი მზერა რომ დაატყვევა,
კვლავ აღიძრა და ნება-ნება შეიკრა პირი.

ბრუნჰილდი

და ის მოხუცი აღარ დაჩნდა?

ფრიგა ყური დამიგდე!

მომდევნო დილით დედოფალი ჩვენ აკლდამაში
გადავასვენეთ, ხოლო მღვდელმა იმავდროულად
ისურვა, ბავშვი მოენათლა. მაგრამ ვიდრემდე
იგი წმინდა წყალს ასხურებდა შუბლზე გოგონას,
მოწესეს ხელი გაუშეშდა და ამის მერე
ვეღარ აღმართა მან ის ხელი.

ბრუნჰილდი ვეღარ აღმართა?!

ფრიგა

ხანმოთეული რაკი იყო, არ შევუპყრივართ
შიშს, და სხვას ვუხმეთ. ხოლო იმან მარჯვედ ასხურა
ბავშვს წმინდა წყალი, მაგრამ უმალ ენა წაერთვა,

ბავშვის დალოცვა როცა სურდა, და რომ დამუნჯდა,
კიდევაც დარჩა უმეტყველოდ.

ბრუნჰილდი მესამეს რა ხვდა?

ფრიგა
მესამე დიდხანს ვერ მოვნახეთ! ვინმე ისეთი
უნდა მოგვეხმო შორეთიდან, ეს ყველაფერი
ვინც არ უწყოდა. აღასრულა იმან ნათლობა,
მაგრამ მოხედვაც ვერ მოასწრო, ისე დაეცა,
რათა მიწიდან ველარასდროს წამომდგარიყო!

ბრუნჰილდი
და ის გოგონა?

ფრიგა გაიზარდა, მოღონიერდა,
ჩვენ კი ნიშნებად ყველაფრისთვის, რასაც ვიქმოდით,
მისი ბავშვური თამაშები გვესახებოდა,
და არც არასდროს უმტყუვნიათ, რუნების დაფამ
როგორც გვაუწყა ეს წინდაწინ.

ბრუნჰილდი ო, ფრიგა, ფრიგა!

ფრიგა
ჰო! ჰო! ის შენ ხარ! ახლა მაინც ხომ ჩასწვდი ყოველს?
არა საკანში, სადაც მკვდრები მტვრად იქცევიან,
მხოლოდ ჰეკლაზე, სადაც ძველი ღმერთები ჰგიან,
და ნორნებსა და ვალკირიებს შორის უთუოდ,
უნდა ეძებო დედაშენი, ჯერ კიდევ თუ გყავს!..
ოჰ, იმ წმინდა წყლის ერთი წვეთი, რა იქნებოდა,
არ სხურებოდა მაშინ შენს შუბლს! ხომ შევიტყობდით
ახლა უფრო მეტს?

ბრუნჰილდი რას ბუტბუტებ?

ფრიგა ის როგორ მოხდა,
რომ ჩვენ ამ დილით გაგვეღვიძა არა საწოლში,
არამედ - სკამებს შერჩენილთ და სამოსგაუხდელთ,
ლურჯი ტუჩებით, და კბილებიც გვიკაწკაწებდა?

ბრუნჰილდი
ალბათ, მოხდა, რომ უცაბედად ჩამოგვეძინა.

ფრიგა
მსგავსი რამ ადრეც დაგვმართნია?

ბრუნჰილდი არა, არასდროს.

ფრიგა
ხომ ხედავ! მოხუცს ლაპარაკი უნდოდა ჩვენთან!
ის აქ იყო და ვნახე კიდეც, ასე მგონია,
როგორ განჯღრეევდა და მე როგორ მემუქრებოდა,
შენთვის კი ამ დროს ყურთასმენა დაეხშო ღრმა ძილს,
რადგან არ უნდა მოგესმინა იმის შესახებ,
რაც შენ მოგელის უცილობლად, თუკი არ დათმობ,
ამიტომ მსხვერპლი შესწირე და გათავისუფლდი.
ოჰ, მღვდლისთვის ყური რომ არ მეგდო, რასაც ის მაშინ
ჩამჩიჩინებდა! მაგრამ მე ხომ ჯერაც ვერ შევძელ
დაფის განჩხიბვა. ჰქმენ ეს, შვილო, ნუ დააზანებ,
რამეთუ საფრთხე მოახლოვდა.

ბრუნჰილდი საფრთხე?

ფრიგა ჰო, საფრთხე!
შენც იცი, უკვე რა ხანია ჩაქრა ცეცხლის ტბა,
შენს ციხე-დარბაზს გარს რომ ეკრა.

ბრუნჰილდი და მაინც დღემდე
ჩვენ არ გვინახავს აქ რაინდი ბალმუნგიანი,
ცხენით რომ უნდა გადმოეჭრა ეს ტბა მას მერე,
როცა ფაფნერის სისხლიან განძს დაეპატრონა.

ფრიგა
თუმც ვკითხულობდი ადრე მცდარად, მე ვერ შემაცდენს
ახლა მეორე ეს ნიშანი, რაკიღა ვიცი
დიდი ხანია, გადამწყვეტი ჟამი რომ მოვა,
გამოცხადება გელოდება. შესწირე, შვილო!
იქნებ უჩინრად მოუყრია შენს ირგვლივ თავი
უკვე ყველა ღმერთს, და უმალვე გამოჩნდებიან,
სისხლის პირველი წვეთი როცა აციაგდება.

ბრუნჰილდი
არ მეშინია.

(ისმის საყვირთა ხმა)

ფრიგა საყვირები!

ბრუნჰილდი საყვირთა ხმები
პირველად გესმის?

ფრიგა ძრწოლით მოცულს მესმის პირველად.
ნარშავებს თავებს რომ აცლიდი, ის დრო წავიდა,
ახლა შენს თვალწინ ამოზრდილან რკინის თავები.

ბრუნჰილდი
მაშ, თუ ასეა, აქეთ! აქეთ! ვუჩვენო ერთი,
რომ ისევ ძალმიძს გამარჯვება. როცა აქ ჯერაც
ტბა ცეცხლად დუღდა, ვესწრაფვოდი თქვენთან შეხვედრას,
და მეგობრულად, როგორც ძაღლი საკუთარ პატრონს

მიურბის თვალწინ, გამიხლტოდა ერთგული ალი
და იყოფოდა ხანად მარცხნივ და ხანად - მარჯვნივ:
ახლა სავალი გახსნილია, გული კი - არა.
(ამასობაში ტახტიდან წამოიმართება)
ბჭე ღია დახვდეთ და შემოსვლის ებოძოთ ნება!
ვინც უნდა იყოს, მისი თავი ჩემი იქნება!

მეორე სცენა

ბჭე იღება; შემოდიან ზიგფრიდი, გუნთერი, ჰაგენი და ფოლკერი.

ბრუნჰილდი
აბა, ვინ არის, დღეს სიკვდილი ვისაც სურს?
(ზიგფრიდს) შენ ხარ?

ზიგფრიდი
არც სიკვდილი მსურს და არც ხელის თხოვნა მწადია,
ისედაც დიდი პატივია ეს უკვე ჩემთვის,
მეფე გუნთერზე უწინ მე რომ მომიძღვნი სალამს.
მე მხოლოდ მისი მეგზური ვარ.

ბრუნჰილდი *(გუნთერს მიმართავს)*
მაშ, შენ ყოფილხარ?
თუ იცი მაინც ამის ფასი?

გუნთერი ცხადია, ვიცი!

ზიგფრიდი
შორს აქვს სახელი გავარდნილი შენს სილამაზეს,
ხოლო შენეულ მრისხანებას - კიდევ უფრო შორს,
და ნებისმიერს, ვინც შენს თვალში ჩაიხედავს და
თავს ბრუ დაესხმის, ერთი მაინც არ ავიწყდება:
ბნელი სიკვდილი ჰქვია იმას, გვერდით რომ გიდგას.

ბრუნჰილდი
სწორედაც! ვინც აქ ვერ იმარჯვებს, უმალვე კვდება,
მისი მსახურიც - მასთან ერთად. რატომ იღიმი?
ქედს ნუ იღერებ! ჩემს წინაშე ისე კი ჩინობ,
თითქოს შეგეძლოს, თასი, ღვინით პირთამდე სავსე,
გედგას თავზე და, ერთი წვეთის ჩამოუღვრელად,
შემომცქეროდე, როგორც ნახატს აკვირდებიან:
გეფიცები, რომ მასთან ერთად სიკვდილი გელის.
(გუნთერს.) შენ კი გირჩევდი, შესმენა თუ არ გეძნელება:
ჩემს მოახლეებს დაეკითხო, ჩამოგითვალონ
ის რაინდები, ჩემმა ხელმა რომლებიც მოსრა;
იქნებ ერია იმათ შორის ვინმე ისეთი,
შენთან ძალა რომ მოუსინჯავს ან, ვთქვათ, ისეთი,
დამხობილი რომ უნახიხარ თავის ფეხებთან!

ჰაგენი
მეფე გუნთერი ჯერ არვისგან დამარცხებულა.

ზიგფრიდი
რაინის ვორმსში აზიდულა მისი სასახლე,
ყველა მშვენებით მდიდარია მისი ქვეყანა,
მაგრამ უმეტეს თავად ზვაობს რაინდთა შორის,
და მისი თავიც ღირსებებით უფრო შემკულა.

ჰაგენი
ნიდერლანდელო, ხელი მომეც! სიტყვაც ეს არის!

ფოლკერი
ნუთუ აგრერიგ გეძნელება - ეს ბერწი მიწა
და მისი ზღვების უდაბური ეს სიმარტოვე
თავადვე დათმო, ქვესკნელიდან და წყვდიადიდან
მეფესთან ერთად გამოხვიდე დღის სინათლეზე?
ამას ხომ მიწას ვერც უწოდებ, არც კი ეკუთვნის

ის ხმელეთს, უფრო მიგდებული რაღაც რიფია,
ელდანაცემი სულდგმულნი რომ გარიდებიან,
და თუ შენ გიყვარს ეს ადგილი, მხოლოდ - იმიტომ,
რომ შენ ბოლო ხარ იმათ შორის, ვინც აქ შობილა!
ამ ქარიშხალთა ტრიალი და ტალღების ზათქი,
ამ ცეცხლოვანი მთების ქშენა; და უწინარეს -
მაინც წითელი ეს ნათება, რომელიც უწყვეტ
ნაკადად ისე დაიღვრება ზეცის თაღიდან,
თითქოსდა იგი სამსხვერპლოდან ედინებოდეს,
საზარელია და - ეშმაკის ზიარი მხოლოდ:
აქ ხომ ჩასუნთქვაც სისხლის სმაა, სხვა არაფერი!

ბრუნჰილდი

განა რა იცი შენ ჩემეულ სიმარტოვეზე?
მე თქვენს საცხოვრისს ჯერ არაფერს დავნატრებივარ,
და რომ მკლებოდა, მოვიხვეჭდი, მენდეთ, ჩემითვე,
ძღვნად მორთმეული ამიტომაც არად მარგია!

ზიგფრიდი

არ გაფრთხილებდით წინდაწინვე? ბრძოლას ვესწრაფოთ!
მხოლოდ ძალით თუ გამოსტაცებ შენ მას ამ მხარეს!
ეს რომ მოხდება, მადლობასაც მაშინ მოისმენ.

ბრუნჰილდი

ასე გგონია? იქნებ, ცდები? თუ იცით მაინც,
მსხვერპლად რა უნდა შემოგწიროთ? თქვენ ეს არ იცით,
და არც ვინმეა, ეს სცნობოდეს. ჯერ შეისმინეთ,
და ჰკითხეთ თქვენს თავს, მე მას თქვენგან რარიგ დავიცავ!
თუმც აქ დრო-ჟამი გარინდულა და ჩვენ არ ვიცით
არც გაზაფხული, არც - ზაფხული, არც - შემოდგომა,
აქ წელიწადი თავის სახეს არასდროს იცვლის
და მასთან ერთად ჩვენც მარადის ვრჩებით უცვლელნი.
თუმც აქ არასდროს აყვავდება ის ყოველივე,

რაც თქვენთან ხარობს მზის სხივებში ამოვლებული,
სამაგიეროდ ჩვენს ღამეში ის მწიფს, თქვენ რასაც
ვერასგზით დარგავთ ან დათესავთ და ააყვავებთ.
ბრძოლა კიდევაც მახარებს და კიდევაც დავცემ
ყიჟინას, როცა იმ ქედმაღალ მტერს დავამარცხებ,
თავისუფლების წაგვრა რომ სურს ჩემთვის, ჯერ კიდევ
თან მახლავს გზნება ყმაწვილური და გრძნობაუხვი
სულისკვეთებაც სიცოცხლისა, ხოლო ვიდრემდე
ზურგს არ შემაქცევს ეს ყოველი, ბედმა, რომელმაც
მე მომიბოძა საოცარი ნიჭი ფარულად,
თავის უმაღლეს ქურუმადაც დამასხა ხელი.

ფრიგა
ეს - როგორ? ნუთუ ჩემი მსხვერპლი საკმარისია?

ბრუნჰილდი
მიწა პირს გახსნის ჩემს წინაშე მოულოდნელად
და გამომიჩენს, გულისგულში რასაც ინახავს;
მაღლით ვარსკვლავთა წკრიალის ხმა მომეყურება
და ზეციური მათი ჰანგის შევძლებ გაგებას;
და მომეცემა მე მესამე ბედნიერებაც,
მესამე, რომლის წარმოდგენა არავის ძალუძს!

ფრიგა
ეს შენ ხარ, ოდინ! მისთვის თვალი შენ აგიხილავს,
რაკი დაგიხვდა მისი ყური ღამით დახშული;
ნორნე რას უქსოვს, თავად ხედავს ამიერიდან!

ბრუნჰილდი *(დაჟინებული მზერით, ზეშემართული)*
გამითენდება დილა, როცა ნაცვლად დათვებზე
ნადირობისა ანდა სულაც ნაცვლად იმისა,
ავხსნა ყინულის მარწუხებში გამომწყვდეული
ზღვის გველი, რათა არ გააპოს იმან პლანეტა,

ციხესიმაგრეს დილაბნელზე დავტოვებ. შავრას
მივაჯირითებ მხნედ და ისიც მიმაფრენს ლაღად,
მაგრამ მოვზიდავ მყის სადავეს. ჩემს თვალწინ მიწა
იქცა ჰაერად! დაზაფრულმა უკუვაქციე
ცხენი. უკანაც იგივეა. ის გამჭვირვალედ
გადაქცეულა. ჩემს ფეხქვეშაც და თავზემოთაც
ფერად-ფერადი ღრუბლებია. არ წყვეტენ ჭარტალს
მოსამსახურე გოგოები. ვუხმობ: "დაბრმავდით?
ვერაფერს ხედავთ? უფსკრულში ვართ გამოკიდული!"
უკვირთ, მდუმარედ გააქნევენ თავებს, ჩემს ირგვლივ
მჭიდროვდებიან. მაგრამ ფრიგა ასე ჩურჩულებს:
"შენი დროც დადგა?" მე კი მხოლოდ ახლა შევნიშნე!
ეს მიწის ბურთი ჩემთვის ბროლად გადაქცეულა,
და ღრუბლეული რაც მეგონა, წნული ყოფილა
ოქროს და ვერცხლის ძარღვებისა, მოკაშკაშენი
მას ძირიანად რომ მსჭვალავენ.

ფრიგა

მარჯი! ტრიუმფი!

ბრუნჰილდი

საღამოვდება. არა - უმალ. ჩანს - უფრო გვიან.
აქ ერთად ვსხედვართ. გოგოები მოულოდნელად
დაეყრებიან, როგორც მკვდრები, მათ ბოლო სიტყვა
შეეყინებათ ბაგეებზე, მე კი კოშკისკენ
მივილტვი, რადგან ჩემს თავს ზემოთ ჟღერადობაა,
და საკუთარი ხმით ხმოვანებს ყველა ვარსკვლავი.
თავიდან მხოლოდ მუსიკაა ეს ჩემთვის, მაგრამ
როცა ინათებს, ბუტბუტს ვიწყებ მძინარესავით:
"მეფე ღამემდე ვერ გაატანს, ხოლო მეფის ვაჟს
არ უწერია დაბადება, იგი სულს დალევს
დედის საშოში!" უწინარეს სხვები მეტყვიან,
რომ ეს მე მითქვამს; ვერც კი ვხვდები, ეს ყველაფერი
საიდან ვიცი. მაგრამ მერე მალევე ვწვდები

და პოლუსიდან პოლუსამდეც მალე ვრცელდება.
ალიძვრებიან მერე ჩემკენ, ისე, ვით ახლა,
თუმც - არა ხმლებით, ჩემთან ბრძოლას დახარბებულნი,
არა! მორჩილად, უგვირგვინო თავებით მხოლოდ,
რათა ჩემს სიზმრებს ყური უგდონ, რათა განჩხიბონ
ჩემი ბუტბუტი, რადგან ჩემს თვალს ძალუძს განჭვრიტოს
მერმისი, ხოლო ხელთ მიპყრია მე გასაღები
ყველა საუნჯის, რაც კი ჩინობს ამ ქვეყანაზე.
ასე ვმეუფებ ბედს დახსნილი, თუმც მცოდნე ბედთა,
აღმატებული ყველაზე და მიმავიწყდება,
რომ ალთქმულია უფრო მეტი. აი, ჩემს მიღმა
განქარდებიან ასწლეულნი, ათასწლეულნი,
მე კი ვერას ვგრძნობ! თუმცა ბოლოს ჩემივ თავს ვკითხავ:
"ნეტავ, სიკვდილი რად არ მსტუმრობს?" პასუხს გამცემენ
სარკეში ჩემივ კულულები, ერთი ჭაღარა
არ ურევიათ შავად ფენილთ, და მყის შევძახებ:
"აი, მესამეც: სიკვდილი რომ არ მეკარება!"

(უკან გადავარდება, მოახლე გოგოები შეაკავებენ)

ფრიგა
მაშ, რაღას ვუფრთხი? თვით იმ რაინდს, ბალმუნგის მფლობელს,
ახლა ხომ იგი მტკიცე ფარით დაუხვდებოდა!
და თუმცა უყვარს, თუკი მაინც შეებრძოლება,
დასცემს, და კიდეც შეებმება, რაკი ეს იცის.

ბრუნჰილდი *(ისევ წამოიმართება)*
ელაპარაკობდი! რას ვამბობდი?

ფრიგა სწვდი შენს მშვილდს, შვილო,
ისარს გატყორცნი შენ დღეს ისე, როგორც არასდროს
გაგიტყორცნია!

ბრუნჰილდი *(რაინდებს)* მაშ, დავიწყოთ!

ზიგფრიდი *(ბრუნჰილდს)* ფიცი მოგვეცი,
რომ დამარცხება თუ იწვნიე, ჩვენ გამოგვყვები!

ბრუნჰილდი *(იცინის)*
ვფიცავ!

ზიგფრიდი
კეთილი! ნავს გავმართავ ამასობაში!

ბრუნჰილდი *(ფრიგას, გასვლისას)*
შენ კი წახვალ და საალაფო დარბაზში ახლა
კიდევ ერთ ლურსმანს მიაჭედებ! *(რაინდებს)* აბა, შევუდგეთ!

(ყველა გადის)

მეორე აქტი

ვორმსი. ციხე-დარბაზის ეზო.

პირველი სცენა

ერთმანეთს ხვდებიან რუმოლტი და გიზელჰერი.

გიზელჰერი
ერთ ხეს თუ მაინც დაგვიტოვებ მოუჭრელს, რუმოლტ?
რამდენი კვირა გაილია, რაც ტყეებს მუსრავ
და ქორწილისთვის ემზადები ისე მრისხანედ,
თითქოს ელოდე ერთდროულად კაცს, ალფს და ჯუჯას.

რუმოლტი
ჰო, მონდომება არ მაკლია, და თუ წავაწყდი
ქვაბს, მთლად თავამდე მოუვსებელს, იმ ნაკლულ ქვაბში
ზარმაც მზარეულს ჩავუძახებ ელვის სისწრაფით
და ხელს წავავლებ მის შეგირდს და იმით მოვურევ.

გიზელჰერი
მაშ, საქმე როგორ დასრულდება, წინდაწინ იცი?

რუმოლტი
რაკი გამრიგე ზიგფრიდია, ვიცი. ვინც გზადმყოფ
ამ ორ უფლისწულს შეიპყრობს და ისე მოგვართმევს,
თითქოს ბუჩქებში მიგნებული კურდღლები იყონ,
თვით კუდიანებს მოიხელთებს იგი იოლად.

გიზელჰერი
ეგ მართალია. ლუდეგასტი და ლუდიგერი
გამოდგებიან შენი სიტყვის ნამდვილ საწინდრად!
ისეთი ლაშქრით მოინდომეს მათ ჩვენთან მოსვლა,
რომლის სიმრავლე ჩვენს ბურგუნდეთს ჯერ არ უნახავს,
მაგრამ ჩვენამდე მოაღწიეს ისეთ ტყვეებად,
სამეთვალყუროდ მცველიც რომ არ დასჭირვებიათ:
ასე განაგრძე! ვინ მოგაკლებს, ძმობილო, სტუმარს!

(შემოდის გერენოტი)

ჰა, მონადირეც!

გერენოტი მაგრამ არა ნანადირევით!
კოშკზე ვიყავი ასული და რაინს გავცქერდი,
სულმთლად ნავებით მიმოფარულს.

რუგოლტი პატარძალია!
ვბრძანებ, ახლავე საოხშივრედ გადააქციონ,
რაც ბღავის, ღმუის, ღრუტუნებს და ზმუის ეზოში,
რათა შორითვე მისწვდებოდეს იმის სასმენელს,
როგორ დავხვდებით და მივიღებთ!

(ისმის ბუკის ხმა)

გერენოტი დავაგვიანეთ!

მეორე სცენა

ზიგფრიდი *(შემოდის ამალითურთ)*
აი, დავბრუნდი!

გიზელჰერი შენს გვერდით რომ ჩემს ძმას ვერ ვხედავ?

ზიგფრიდი
დამშვიდდი! შენი ძმის მაცნეა, ვისაც აქ ხედავ! -
მაგრამ უწყება გამიზნული არ არის *შენთვის*!
იგი დედაშენს ეუწყება, და იმედი მაქვს,
რომ ახლა უკვე შეიძლება, შენი დაც ვნახო.

გიზელჰერი
ნახავ, რაინდო, უსათუოდ, რადგან ვალად გვაქვს
მადლიერებაც ჩვენ დანიის ორივ პრინცისთვის.

ზიგფრიდი
არ ვისურვებდი ახლა თქვენთან მათ გამოგზავნას.

გიზელჰერი
რატომ? ამაზე უკეთესად ვერ გვიჩვენებდი,

შენმა მარჯვენამ რა სარგებლით გაგვანებივრა,
ისინი მართლაც არ ყოფილან ურიგო კაცნი.

ზიგფრიდი

ალბათ, ასეა! მაგრამ ეს რომ არ ჩამედინა,
საჯარაუდოდ ჩიტი ამბავს გაავრცელებდა,
რომ მე მათ მომკლეს, ხოლო ახლა ჩემს თავს ვკითხავდი:
როგორ მიიღო თვით კრიმჰილდმა ეს ყველაფერი?

გიზელჰერი

უამისოდაც გამოგადგნენ ჩვენთან ისინი!
ლითონს და მადანს საქმის მცოდნე ოსტატის ხელი
მარჯვე დარტყმებით საყვირად რომ შემოამრგვალებს,
დიახაც ვიცი, მაგრამ კაცის გამოკვერვისა
არც რა მსმენოდა, და ამ ორმა ერთად დასტურყო,
რა შეუძლია ისეთ მჭედელს, როგორიც შენ ხარ.
ისე გაქებდნენ, შენს ყურამდე რომ მოელწია,
დღესაც წითელი იქნებოდი! არა იმ ჭკუით,
მტერს ერთობ ხშირად გამიზნულად რომელიც აქებს,
რათა თავისი დამარცხების მთელი სირცხვილი
შენიღბოს. არა! გულმართალი სულისკვეთებით.
თუმცა შენ ამას თვით კრიმჰილდი უკეთ გიამბობს,
რომელიც მათი გამოკითხვით სულ არ დაღლილა:
და, აი, ისიც, აქეთ მოდის.

მესამე სცენა

შემოდიან უტე და კრიმჰილდი.

ზიგფრიდი — გთხოვ!

გიზელჰერი — რას გულისხმობ?

ზიგფრიდი
არ ვისურვებდი, მამა მხარში ამომდგომოდა
იმის სათქმელად, ხმალი როგორ უნდა ვიქნიო,
მაგრამ დედაჩემს მართლაც ვნატრობ ახლა ჩემს გვერდით,
რათა მეკითხა, როგორ ითქმის წყობილი სიტყვა.

გიზელჰერი
ხელი მომეცი, რაკი ასე გაფითრებულხარ.
ბალღს მიწოდებენ სასახლეში. ჰოდა, იხილონ,
ბალღი ლომს როგორ მიუძღვება.
(ზიგფრიდი მიჰყავს ქალბატონებთან) ეს გახლავთ გმირი
ნიდერლანდელი!

ზიგფრიდი არ შეშინდეთ, კეთილშობილო
ქალბატონებო, მარტო რომ ვარ!

უტე მამაცო ზიგფრიდ,
არ შევშინდებით, რა თქმა უნდა! შენ ის რაინდი
როდი ხარ, ყველა რომ კვდება და უბედურების
მაცნედ იქცევა ერთადერთი, ვინც არ დაეცა.
შენ მეტყვი, რომ მე კიდევ ერთი ქალიშვილი მყავს,
ანუ რომ კრიმჰილდს უკვე დაც ჰყავს.

ზიგფრიდი სწორედ ამის თქმა
მსურს, დედოფალო!

გიზელჰერი სხვა არაფრის? და რაც თქვი, ისიც
დიდი წვალებით ამოღერღე! იქნებ შეგშურდა
ის ხელმწიფისთვის, ჩემი ძმისთვის, ან იქნებ სულაც
ენა ბრძოლაში მოგეწეწკა? რაც, როგორც ვიცით,
ჯერაც არასდროს დაგმართვნია! თუმცა, მოიცა,
ახლა არ იყო, ამ ენით რომ ოქროპირობდი,

სწორედ ბრუნჰილდის თაფლისფერი თვალების შუქით,
მისი შავი თმით მოხიბლული?!

ზიგფრიდი არ დაუჯეროთ!

გიზელჰერი
დაბეჯითებით რომ უარყოს, სამ თითს აღმართავს
დასაფიცებლად და იტყვის, რომ არის ქერა და
არის ლურჯთვალა.

უტე ენამწარე ეშმაკის ფეხი,
გამოხირული არყის ხეს და თხილის ბუჩქს შორის!
დედის წკეპლისთვის საკმარისად დიდია უკვე,
მამის შოლტი კი არასოდეს გამოუცდია,
ონავარია ამიტომაც, როგორც ის კვიცი,
არც აღვირი და არც მათრახი რომ არ უგრძვნია.
ან აპატიე ან დასაჯე!

ზიგფრიდი ამ საშიშ საქმეს
მოვერიდები! ამოლაგმო ველური კვიცი,
არ იოლია. შერცხვენილი ბევრი დაკოჭლდა,
ველურ კვიცს ვიდრე გახედნიდა!

უტე ჰა, ამჯერადაც
გაექცა დასჯას!

გიზელჰერი ჰოდა, როგორც სამადლობელი,
მინდა, რომ ახლა გაგიმხილო რაღაც.

ზიგფრიდი გიზელჰერ!

გიზელჰერი
იქნებ რამე გაქვს დასამალი? ნუ გეშინია!

შენს საიდუმლოს მე არ ვიცნობ, არც სულს ვუბერავ
მე შენს ნაღვერდალს, ნაცარი რომ გადაეცალოს.

უტე
რა უნდა გეთქვა?

გიზელჰერი აღარ მახსოვს, გადამავიწყდა!
როცა დაიკოს ლოყა ასე შეეფაკლება,
ბუნებრივია, ძამიკო რომ ფიქრმა შეიპყროს
და ამის მიზეზს ჩაეძიოს. რაც არის, არის!
გამახსენდება სიკვდილამდე და მოვახსენებ
უმალ ჩვენს გმირსაც.

ზიგფრიდი ვიმსახურებ მე შენს დაცინვას,
სულ დავივიწყე რაკი ჩემი მოვალეობა,
და საზეიმო კაბით ვიდრე მოირთვებოდეთ,
საყვირთა ხმასაც გაიგონებთ და თვით გუნთერსაც
ციხე-დარბაზში პატარძალთან ერთად იხილავთ!

გიზელჰერი
ხედავ, მზარეულთუხუცესი როგორ ირჯება?
რომ დაგინახა, ამით უკვე ითქვა ყოველი!
ამოვუდგები მაინც მხარში! *(მიდის რუმოლტისკენ)*

კრიმჰილდი ჩვენს კეთილშობილ
ელჩს მის საკადრის ძღვენს ვერ ვუძღვნით!

ზიგფრიდი როგორ ვერ უძღვნით!

კრიმჰილდი *(სამაგრს იკრავს და ამ დროს ხელიდან თავსაფარი უვარდება)*

ზიგფრიდი *(ხელს სტაცებს თავსაფარს)*
ეს იყოს ძღვენი!

კრიმჰილდი არც შენ, არც მე რომ არ შეგვფერის?!

ზიგფრიდი
ჩემთვის განძეულს ის ფასი აქვს, რაც მტვერს - სხვებისთვის,
თუ მომესურვა, ოქრო-ვერცხლით სახლებს ავაგებ,
მაგრამ ასეთი თავსაფარი არ მაქვს.

კრიმჰილდი მაშ, გქონდეს.
თავად მოვქსოვე.

ზიგფრიდი და დამითმობ დაუნანებლად?

კრიმჰილდი
კეთილშობილო ჩემო ზიგფრიდ, - დაუნანებლად!

უტე
ახლა კი ნება უნდა გთხოვოთ და გაგერიდოთ!

(გადის კრიმჰილდთან ერთად.)

მეოთხე სცენა

ზიგფრიდი *(მარტო)*
ისე ვიდექი, დავემსგავსე ქვადქცეულ როლანდს!
გამკვირვებია, ჩემს თმაში რომ ამ დროს ბელურამ
არ დაიბუდა.

მეხუთე სცენა

კაპელანი *(მიუახლოვდება)*
მომიტევეთ, ღირსო რაინდო,
ბრუნჰილდი თუა მონათლული?

ზიგფრიდი მონათლულია!

კაპელანი
ქრისტიანული ქვეყანაა მისი სამშობლო?

ზიგფრიდი
ჯვარს თაყვანს სცემენ.

კაპელანი *(ისევ უკან იხევს)*
თაყვანს სცემენ, ალბათ, ჩვენსავით,
რომ ეკრძალვიან ამავე დროს ვოდანის მუხას,
რაკიღა ქვეყნად არვის ძალუძს იმის გაგება,
სუფევს თუ არა მასში ჯადო; ისევე, როგორც
ყველაზე უფრო ღვთისმოსავი ქრისტიანიც კი
კერპს ვერ დაამსხვრევს ხელიოლად, რამეთუ მასში
კვლავ ჩუმად იძვრის ძველი შიშის შემონარჩენი,
დაკარკლულ თვალებს როცა ხედავს.

მეექვსე სცენა

საყვირები, ბრუნჰილდი, ფრიგა, გუნთერი, ჰაგენი, ფოლკერი ამალა. ციხე-დარბაზიდან მათთან შეხვედრას ეშურებიან კრიმჰილდი და უტე.

გუნთერი მოვედით კიდეც,

და დედაჩემი და ჩემი და ჩქარობენ, რათა
სალამი გიძღვნან.

ფოლკერი *(ბრუნჰილდს, ვიდრე ქალები მათკენ მოემართებიან)*
მონაგები არ ჰქვიათ ამათ?

ჰაგენი
ზიგფრიდ, სიტყვა მაქვს! შენი რჩევა ცუდად დაგვირჩა.

ზიგფრიდი
ცუდად დაგირჩათ ჩემი რჩევა? რა, არ დამარცხდა?
აკი, თან გახლავთ?

ჰაგენი მერე ამით რას მივაღწიეთ?

ზიგფრიდი
ვფიქრობ, ყველაფერს.

ჰაგენი სულ ვერაფერს! ვინც იმის კოცნას
ვერ მიიტაცებს, იგი ვერც მის დამორჩილებას
შეძლებს ოდესმე, გუნთერი კი ამას ვერ შეძლებს.

ზიგფრიდი
ეცადა?

ჰაგენი აბა, რისთვის ვშვრები სალაპარაკოდ?
ეცადა! ციხე-დარბაზი რომ გამოჩნდა. ის კი
ჯერ გაჯიუტდა, ქალწულთა წესს როგორც შეჰფერის,
და ვით სჩვეოდათ ჩვენს დედებსაც ჭირვეულობა,
მაგრამ რომ ნახა, ცერის ერთი შეხებით შეძლო
თავიდან საქმროს მოშორება, უმალ შეიპყრო
ის მრისხანებამ, და მეფეც რომ აღარ მოეშვა,

ხელი სტაცა და, სამუდამო სირცხვილად მისდა
და ჩვენდა, ასე ეპყრა იგი რაინის თავზე
გაწვდილი ხელით.

ზიგფრიდი კუდიანიც ასეთი უნდა!

ჰაგენი
რას იკურთხები? დაგვეხმარე!

ზიგფრიდი მე ვფიქრობ, მღვდელი
რომ შეაერთებს...

ჰაგენი ის მოხუცი მსახური ქალი
რომ არა, მუდამ თან რომ ახლავს... მთელი დღე ზვერავს,
გამოიკითხავს, გვერდით უზის, ეგ არის თითქოს
სამოცდაათი-ოთხმოცი წლის მისი გონება!
მაგ ქალის უფრო მეშინია!

უტე *(კრიმჰილდს და ბრუნჰილდს)*
დაე, გიყვარდეთ
მტკიცედ ერთურთი, ხოლო რგოლი, თქვენმა მკლავებმა
გულის პირველი გაქანებით რომ შეკრეს ახლა,
თანდათანობით ქცეულიყოს იმ განვრცობილ წრედ,
რომელშიც ერთურთს მზარს მისცემთ და მიწყივ შემოწერთ
თანაზიარი ხალისით და ერთსულოვნებით.
თქვენ უკეთესი ბედი გერგოთ, ვიდრე მე მქონდა,
რადგან თუ რამეს ვერ ვეტყოდი მე ჩემს მეუფეს,
გულში ღრმად უნდა დამემარხა, არავინ მყავდა,
ვისაც, სულ მცირე, შევჩივლებდი ჩემს სადარდებელს.

კრიმჰილდი
მაშ, ერთმანეთის დები გავხდეთ.

ბრუნჰილდი თქვენი გულისთვის
თქვენმა ძემ და ძმამ, ვიდრე ეს დღე ღამედ იქცევა,
ნიშნით, რომელიც მე მის მხევლად დამაკანონებს,
დადაღოს ჩემი ბაგეები, რაკიღა ჩემთვის,
ვით ნორჩი ხისთვის, უცნობია ჯერ ცეცხლის დაღი,
და თქვენ რომ ასე არ მოგერთოთ, მე არასოდეს
გავიკარებდი არც იმ სირცხვილს, რომელიც მელის.

უტე
რომელ სირცხვილზე ლაპარაკობ?

ბრუნჰილდი გთხოვთ, მომიტევოთ,
თუმცა რასაც ვგრძნობ, იმას ვამბობ. ჩემთვის უცხოა
თქვენი საუფლო, და თქვენ როგორც შეგაშინებდათ
ჩემი სამშობლო, იქ რომ ერთხელ დაგედგათ ფეხი,
ისე ვძრწი ახლა თქვენს წინაშე. ასე მგონია,
მე ვერასოდეს შევიძლებდი აქ დაბადებას,
არადა ჯერ არს აქ ვიცხოვრო!.. თქვენი ცა მუდამ
ასე ლურჯია?

კრიმჰილდი მუდამ - არა. თუმცა - მეტწილად.

ბრუნჰილდი
ჩვენთვის სილურჯე უცნობია, თუ არა - თვალის,
და ისიც - მხოლოდ ძოწისფერ თმას და რძისფერ სახეს
შეზავებული! და ჰაერიც თქვენთან ყოველთვის
ასე მშვიდია?

კრიმჰილდი ხდება ხოლმე - აზავთდებიან
ზოგჯერ ქარები და დღე ღამედ შემოგვექცევა,
ელვა და მეხი მძვინვარებენ.

ბრუნჰილდი ო, თუ ასეა,
ვნატრობ - დღეს მოხდეს! რომ სამშობლომ მოკითხვა მიძღვნას!
ასეთ ჭარბ ნათელს ვერ ვეჩვევი, ტკივილს მაყენებს,
ეს იგივეა, შიშველი რომ ვიარებოდე,
თითქოს ერთბაშად გამჭვირვალე სამოსი მეცვას!..
ყვავილებია? წითელ-ყვითელ-მწვანედ ფერილი!

კრიმჰილდი
თუმც არ გენახა ყვავილები, ფერებს მაინც ცნობ?

ბრუნჰილდი
ჩვენ ყოველგვარი ძვირფასი ქვა მოგვეპოვება,
მხოლოდ თეთრი და შავი - არა, მაგრამ თეთრია
ჩემივე ხელი, და შავია აკი ჩემი თმა.

კრიმჰილდი
მაშ, შენ სურნელიც არ გცნობია!
(იას მოუწყვეტს)

ბრუნჰილდი რა ლამაზია!
და ერთი ბეწო ეს ყვავილი აფრქვევს ამ სურნელს,
ეს ერთადერთი, ჩემმა თვალმა რომ ვერ შენიშნა?
სიამოვნებით დავარქმევდი რამე ტკბილ სახელს,
მაგრამ, ცხადია, უკვე ჰქვია.

კრიმჰილდი ყვავილს ვერ ნახავ,
ამაზე კრძალულს, შენი ფეხი ვერ გათელავდა
უფრო იოლად ვერც ერთ ყვავილს, რაკიღა თითქმის
რცხვენია თითქოს - აღემატოს სიმაღლით ბალახს,
ისე ბეჯითად იმალება, არადა მაინც
შენ მან პირველი საალერსო სიტყვა დაგტყუა.
დაე, ის გექცეს ნიშნად, რომ აქ შენი მზერისთვის

სხვაც მრავალია დაფარული, რაც მოგანიჭებს
ბედნიერებას.

ბრუნჰილდი ვიმედოვნებ და კიდეც მჯერა! -
თუმც უმალ მიმძიმს! შენ არ იცი, რა აქვს სახელად -
ქალი იყო და მაინც ყველა ორთაბრძოლაში
სძლევდე მამაკაცს, და იმ ძალას, რომელიც იმას
გამოეცლება, გადმოღვრილი სისხლიდან ჩენილს,
შენსკენ ოხშივრად წარმოდენილს, მარტოდენ სუნთქვით
ეწაფებოდე! თავს კი მიწყივ უფრო ძლიერად
და გაბედულად შეიგრძნობდე, და სწორედ მაშინ,
როცა ისე გწამს გამარჯვების, როგორც არასდროს...
(ანაზდად შებრუნდება)
ფრიგა, ერთხელაც უნდა გკითხო! მაინც რა იყო,
რას ვხედავდი და რას ვამბობდი ბოლო ბრძოლის წინ?

ფრიგა
თითქოს გენახა შენ გონებით უკვე ეს მხარე.

ბრუნჰილდი
ეს მხარე!

ფრიგა იყავ მონუსხული.

ბრუნჰილდი მონუსხულიო!..
შენს თვალებში კი ცეცხლი ენთო.

ფრიგა რაკი გხედავდი
ასე ბედნიერს.

ბრუნჰილდი და თოვლივით თეთრი ვიხილე
ეს რაინდები.

ფრიგა ასეთები იყვნენ მანამდეც.

ბრუნჰილდი
მერედა რატომ მიმალავდი ამდენი ხანი?

ფრიგა
თავად ჩემთვისაც მხოლოდ ახლა გახდა ნათელი,
როცა შევძელი შედარება.

ბრუნჰილდი თუ მონუსხული
ვიყავი მაშინ, მე ეს მხარე როცა ვიხილე,
ახლაც იგივე უნდა ვიგრძნო.

ფრიგა უეჭველია!

ბრუნჰილდი
მაგრამ ასევე ვახსენებდი, თუ სწორად მახსოვს,
ვარსკვლავებსაც და ლითონებსაც...

ფრიგა დასტურ ამასაც!
ამბობდი, რომ აქ ვარსკვლავები უფრო ბრწყინავენ,
მაგრამ სანაცვლოდ დაბინდულან ოქრო და ვერცხლი.

ბრუნჰილდი
ნუთუ?!

ფრიგა *(ჰაგენს)*
არ ვამბობ განა მართალს?

ჰაგენი ყურს არ გიგდებდით.

ბრუნჰილდი
როგორც ბავშვს, ისე მომეპყარით, ყველას ამას გთხოვთ,

იმაზე სწრაფად გავიზრდები, სხვა რომ იზრდება,
მაგრამ ჯერ ისევ ბავშვად ვრჩები. *(ფრიგას.)* მაშ, ასე იყო?

ფრიგა
ჰო, ასე იყო!

ბრუნჰილდი რა კარგია! მართლაც - რა კარგი!..

უტე *(მოსულ გუნთერს)*
თუმც კი სიკერპით შემართულა შენს წინააღმდეგ,
ადროვე, შვილო! დღენიადაგ ყვავ-ყორნის ჩხავილს
თუკი ისმენდა, მისი გული ვით გახსნილიყო,
მაგრამ მოხდება სულ იოლად, ამას შეძლებენ
მალე ტოროლას გალობა და ბულბულის სტვენა.

ჰაგენი
ასე ბაასობს მემუსიკე, ხურვება რომ სჭირს
ან წამოზრდილ ძაღლს უალერსებს. მაგრამ - კეთილი.
ქალწულს დიახაც დრო მიეცეს გასააზრებლად,
დედოფალმა კი ინებოს და სიტყვა დაიცვას.
შენ გამარჯვების წესით გერგო იგი ბრძოლაში,
ჰოდა, ეუფლე!
(გასძახის) კაპელანო! *(წინაურდება)*

გუნთერი სიამოვნებით!

ზიგფრიდი
მოიცა, გუნთერ, მოიცადე, შენ რას შემპირდი?

გუნთერი
თუ შეიძლება, შეგირჩიო მეულლე, კრიმჰილდ?

კრიმჰილდი
ისე ჰქმენ, როგორც შენ ინებებ, მეფევ და ძმაო!

გუნთერი *(უტეს)*
არ მეშინოდეს, რომ მივიღებ უარის სიტყვას?

უტე
ხელმწიფე შენ ხარ, ჩვენ კი - მხოლოდ შენი მხევლები!

გუნთერი
მაშინ ჩემივე გვარეულის თვალწინ ამას გთხოვ:
არ გაგვიცუდო ჩვენი აღთქმა, და შენი ბედი
დაუკავშირე კეთილშობილ ზიგფრიდს.

ზიგფრიდი *არ ძალმიძს*
ისე გესიტყვო, როგორც მე მსურს, როცა შენს სახეს
ვუყურებ ახლა, და ეს ჩემი ენის ბორძიკიც
არახალია უკვე შენთვის, უხვად გსმენია,
ამიტომ გკითხავ მხოლოდ ისე, როგორც იკითხავს
ნებისმიერი მონადირე, ოღონდ მათსავით
ქუდს ბუმბულს სულაც არ დავაცლი: ქალწულო, გსურვარ?
მაგრამ ამ ჩემმა სიბრყვილემ რომ არ მოგისყიდოს
და უმრჩევლოდაც რომ არ დარჩე შენს არჩევანში,
ვიდრე მეტყოდე ჰოს ან არას, აქვე გაუწყებ,
როგორ და რისთვის მამუნათებს მშობელი დედა.
თუმცა კი გაქვსო, ამბობს იგი, საკმაო ძალა
ქვეყნიერების მოსახვეჭად, არ გაქვსო ჭკუა,
დაინარჩუნო ერთი ბეწო თხუნელას სორო,
და თურმე თვალსაც თუ არ ვკარგავ, მხოლოდ იმიტომ,
რომ ეს ბუნების წესს და კანონს უნებებია.
პირველ საყვედურს თუ დაჰყვები, ნება შენია,
ხოლო მეორე უყოყმანოდ უნდა უარვყო,
რადგან თუ მოხდა და დიახაც მოგინადირე,

ყველა იხილავს, როგორ ძალმიძს დანარჩუნება.
მაშ, კიდევ ერთხელ გეკითხები: კრიმჰილდ, თუ გსურვარ?

კრიმჰილდი
შენ გელიმება, დედაჩემო! ოჰ, არ გამქრალა
ჩემი ხსოვნიდან, რაც მესიზმრა, და არც ის ძრწოლა
განქარებულა, უფრო მეტად მაფრთხილებს ახლა,
თუმც გაბედულად ამიტომაც უნდა ვთქვა: დიახ!

ბრუნჰილდი *(კრიმჰილდსა და ზიგფრიდს შორის ჩადგება)*
კრიმჰილდ!

კრიმჰილდი რა გნებავს?

ბრუნჰილდი დაგარწმუნო, რომ მე ღირსეულ
დობას გაგიწევ!

კრიმჰილდი ახლა? როგორ?

ბრუნჰილდი *(ზიგფრიდს)* რა ძალით ბედავ,
რომ ხელს სთავაზობ, მერედა ვის - ხელმწიფის ასულს,
მაშინ, როცა შენ ვასალი ხარ და ქვეშევრდომი
მხოლოდ და მხოლოდ!

ზიგფრიდი როგორ?

ბრუნჰილდი აკი მეგზურად მოხველ
და მერე მეკვლედ უკუიქეც?
(გუნთერს) შენ კი ვით ითმენ
და თანაუგრძნობ მის საქციელს?

გუნთერი რაინდთა შორის
უპირველესი რაინდია!

ბრუნჰილდი
დაე, ამისთვის
შენს სატახტოში პირველ ადგილს განუწესებდე.

გუნთერი
მისი სიმდიდრეც ჩემსას ბევრად აღემატება!

ბრუნჰილდი
ფუი! ნუთუ ეს მას შენს დაზე აძლევს უფლებას?

გუნთერი
ჩემი მრავალი მტერი მოსრა მისმა მახვილმა.

ბრუნჰილდი
ვის რას უმადლის გმირი, ჩემი დამმარცხებელი!

გუნთერი
იგი ჩემსავით ხელმწიფეა.

ბრუნჰილდი
და მან ადგილი
მსახურთა შორის აირჩია?

გუნთერი
ამ გამოცანის
პასუხს გაგიმხელ მაშინ, როცა ჩემი გახდები!

ბრუნჰილდი
ეს არ მოხდება, საიდუმლოს ვიდრე არ მეტყვი.

უტე
ცოცხალი თავით არ აპირებ, დედა მიწოდო?
ნუ დააყოვნებ დიდხანს, რადგან უკვე მოვხუცდი,
და არც სიმწარე დამკლებია!

ბრუნჰილდი ეკლესიაში
წავყვები, როგორც დავიფიცე, და სიხარულით
გექცევი შვილად, მას კი არა - თანამეცხედრედ.

ჰაგენი *(ფრიგას)*
დააშოშმინე!

ფრიგა აბა, მე აქ რა მესაქმება?
რაკიღა ერთხელ უკვე სძლია, ეჭვგარეშეა,
მისი მოხვეჭა არც მეორედ გაუჭირდება,
ხოლო ქალწულის უფლებაა, ჭირვეულობდეს.

ზიგფრიდი *(კრიმჰილდის ხელი ხელში უჭირავს)*
ხელმწიფე რომ ვარ, ამის აქვე დასამტკიცებლად,
ნიბელუნგების განძი შენთვის მიჩუქებია.
ახლა აღსრულდეს ჩემი ნება და შენი სიტყვა.
(კოცნის)

ჰაგენი
ტაძრისკენ!

ფრიგა როგორ, ნიბელუნგთა განძი მისია?

ჰაგენი
თავად გესმოდა. საყვირები!

ფრიგა ხმალი ბალმუნგიც?

ჰაგენი
სწორედაც! აბა, საქორწილო ჩაჰბერეთ მძლავრად!

(მუსიკა ძლიერდება. ყველანი გადიან)

მეშვიდე სცენა

დარბაზი. შემოდიან ტრუქსი და ვულფი. ჯუჯები სცენაზე განძს ჩაატარებენ.

ტრუქსი
კრიმჰილდს ვემხრობი.

ვულფი თუ ასეა, მე ვირჩევ ბრუნჰილდს.

ტრუქსი
როგორც გენებოს, მაგრამ - რატომ?

ვულფი თუ არა ასე,
როგორ გამართავ შუბოსანთა ასპარეზობას,
ყველა ერთ ფერზე ხომ არ დავდებთ?

ტრუქსი უტყუარია,
რასაც მიზეზად ასახელებ, სხვა შემთხვევაში
მართლაც სიგიჟე იქნებოდა.

ვულფი ჰეი! იყურე,
მაგ უცხოტომელს ერთგულებას ბევრი ჰპირდება.

ტრუქსი
განსხვავდებიან ერთურთისგან, ვით დღე და ღამე.

ვულფი
განა უარვყოფ? მაგრამ ღამეც არაერთს უყვარს!
(ჯუჯებზე მიუთითებს)
ზურგს რა უმძიმებთ?

ტრუქსი თუ არ ვცდები, ეს ის განძია,

ნიბელუნგებთან შეხვედრისგან ზიგფრიდს რომ დარჩა;
აქ წამოსულმა, თან იახლა მან ეს მხლებლები
და განძიც უმალ მოიყოლა და, ყურს რაც მომწვდა,
ვით საპატარძლო საჩუქარი, კრიმჰილდს უბოძა.

ვულფი

ავსულებს ჰგვანან ეს ჯუჯები, ფუტურო ზურგით!
დაეც გულდაღმა და მყის ვარცლად გადაიქცევა.

ტრუძსი

რატომ გვიკვირდეს, თუ მატლების მოდგმასთან ერთად
მიწის საშოში ბინადრობენ, მთის ქვაბურებში,
ნათესაობენ თხუნელებთან!

ვულფი ძალა კი მოსდგამთ!

ტრუძსი

ჭკუაც! ის, ვისაც მეგობრებად გაუხდებიან,
არ საჭიროებს მანდრაგორას ფესვის მოხილვას.

ვულფი *(განძზე უთითებს)*
ამის მფლობელს კი აღარც ერთი არ დასჭირდება.

ტრუძსი

ამ განძს არ ვნატრობ. ოდინდელი გამოთქმა ვიცი:
იმაზე ხარბად სწყურიაო ჯადოსნურ ოქროს
სისხლი, გამომშრალ ღრუბელს ვიდრე წყალი სწყურია;
და ნიბელუნგი რაინდებიც რალაც უცნაურს
და გაუგებარს მეტყველებენ.

ვულფი ყორანს გულისხმობ!
ნაკლებად მოსწვდა ჩემს ყურს. რაო, რა თქვეს, რა იყო?

ტრუქსი

განძს რომ ტვირთავდნენ თურმე გემში, ამ დროს ყორანი
მოფრენილა და დაყუნცვია ოქროს და ისე
აჩხავლებულა, რომ ზიგფრიდი, რომელსაც მისი
ენა ესმოდა, ყურს იცობდა და თან უსტვენდა;
მერე ძვირფასი ქვა უსვრია მთლად გაცეცხლებულს,
და ბოლოს, მაინც რომ ვერ იქნა და ვერ დააცხრო,
თურმე შუბს მისწვდა და ის სტყორცნა აბეზარ ფრინველს.

ვულფი

მაინც რას ნიშნავს! აკი ზიგფრიდს თანაბრად ამკობს
გულჩვილობა და სიმამაცე. *(ისმის საყვირის ხმა)* გესმის? ჩვენც
გვიხმობს!

ჰა, თავს იყრიან! ვაშა ბრუნჰილდს!

ტრუქსი მაშ, ვაშა კრიმჰილდს!

(გადიან. სხვა რაინდები, რომლებსაც ამასობაში თავი მოუყრიათ, ერთმანეთს შეერევიან და დაძახილს იმეორებენ. თანდათანობით ბნელდება)

მერვე სცენა

შემოდიან ჰაგენი და ზიგფრიდი.

ზიგფრიდი

რა გინდა, ჰაგენ? რატომ მიხმობ და რატომ ცდილობ,
რომ ლხინის სუფრას გამარიდო? მსგავი დღეობა
ჩემთვის ხომ უკვე აღარასდროს განმეორდება;
ეს დღე ალალი სამსახურით დავიმსახურე,
ჰოდა, შემარგეთ.

ჰაგენი სამუშაკო უფრო ბევრია.

ზიგფრიდი
ხვალისთვის იყოს! ჩემთვის ახლა ყოველი წუთი
წელიწადია; თითოეულ სიტყვას ჩამოვთვლი,
რაც ჩემმა ენამ მოასწრო და პატარძალს უთხრა;
საღამოს მაინც შევიტკბობდე ჩემს ცოლთან ერთად.

ჰაგენი
ჯერ არ მომხდარა, გამესარჯოს უგასაჭიროდ
ტრფობით და ღვინით დაბანგული. არაფერს გარგებს
შენ ეგ ურჩობა, მოვალე ხარ. თავად გესმოდა,
ბრუნჰილდმა რაც თქვა, და ქორწილში როგორც იქცევა,
ამასაც ხედავ, ლხინშია და ცრემლად იღვრება.

ზიგფრიდი
თუ შემიძლია რამის შეცვლა?

ჰაგენი ეჭვგარეშეა,
ფიცი რომ დადო, თავის აღთქმას ეგ არ გადავა,
და რაც, სულ მცირე, გვემუქრება, სამარადისო
არის სირცხვილი! ამას შენც ხომ უდავოდ ხვდები?

ზიგფრიდი
რისი თქმა გინდა?

ჰაგენი რომ შენ უნდა დაიმორჩილო!

(შემოდის გუნთერი)

ზიგფრიდი
მე?

ჰაგენი

ყური მიგდე, მასთან ერთად საძინებელში
ხელმწიფე შევა. შენ კი შენი ჩაჩით მიჰყვები.
ვიდრე ის მანდილს მოიხდიდეს, ხელმწიფე ჯიქურ
მიეჭრება და კოცნას მოსთხოვს. ის უარს იტყვის.
როცა ხელმწიფე შეებმება, ის გამარჯვების
სიცილს მიახლის. აქ სანათი ხელმწიფის ხელით,
ვითომ შემთხვევით, ჩაქრება და იქვე შესძახებს:
"მოვრჩეთ ხუმრობას! ახლა უკვე გემზე აღარ ვართ!"
შენ ამ დროს ბრუნჰილდს ხელს სტაცებ და ისე მოიმწყვდევ,
რომ მოწყალებას და სიცოცხლეს გევედრებოდეს.
ეს მოხდება და დააფიცებს კიდეც ხელმწიფე,
რომ ის მეუღლეს მორჩილ მხევლად გადაექცევა,
და შენც, ვით შეხველ, ისე გახვალ!

გუნთერი მზად ხარ თუ არა,
ამ უკანასკნელ სამსახურზეც მითხრა თანხმობა?
მე ამის მერე აღარაფერს მოვითხოვ შენგან.

ჰაგენი

უნდა დაგთანხმდეს. მან დაიწყო აკი ეს საქმე
და მანვე უნდა მოამთავროს.

ზიგფრიდი რომც ვინებებდე, -
და, ჭეშმარიტად, ახლა ჩემგან იმას მოითხოვთ,
რაზეც არათუ ქორწილის დღეს, ყველა სხვა დღესაც
სრული უფლება მექნებოდა, უარი მეთქვა, -
ეს როგორ უნდა შეგისრულოთ? კრიმჰილდს რა ვუთხრა?
მიწა მეცლება ფეხქვეშ, როცა იმაზე ვფიქრობ,
უამისოდაც თუ რამდენი უნდა შემინდოს;
და კიდევ ერთხელ რომ შევცოდო მე მის წინაშე,
ვაითუ მოხდეს - სიცოცხლეში არ მაპატიოს.

ჰაგენი
როცა ქალწული დედის კალთას ემშვიდობება
და ოთახიდან, სადაც მისი აკვანი იდგა,
ხამს საქორწინო სარეცელში გადაინაცვლოს,
დამშვიდობება ხანგრძლივდება, ჩემო ძმობილო!
ასე რომ, არც შენ აგვიანებ - ხელი მომეცი!
(აქ ზიგფრიდი ხელს არ უწვდის)
ისარდაკრული ფრინველია ახლა ბრუნჰილდი,
ხოლო რიგიან მონადირეს არ შეეშლება
და დაჭრილს უმალ დაადევნებს მეორე ისარს.
რაც დაკარგულა - დაკარგულა, განქარებულა,
ვალკირიების და ნორნების ეს ქედმაღალი
მემკვიდრე უკვე სულს ღაფავს და როცა მოკვდება,
მეორე დილით შემოგვცინებს ქალი ხალისით
და, დიდი-დიდი, გვითხრას: "ცუდი სიზმარი მქონდა!"

ზიგფრიდი
მაინც არ ვიცი, რა მაკავებს.

ჰაგენი შენ ფიქრობ - უტე
საქმეს შენზე წინ მოამთავრებს! მაშინ გახსოვდეს,
ის კრიმჰილდს უხმობს დასალოცად, მოსაფერებლად,
სულ მცირე, სამჯერ!

ზიგფრიდი არა, მაინც უარზე ვდგავარ!

ჰაგენი
როგორ? ახლა რომ გამოცხადდეს უეცრად მაცნე
და მოგახსენოს, მამაშენი სულთმობრძავი წევს,
სიკვდილს ებრძვისო, განა უმალ ქურანს არ უხმობ
და განა თავად შენი ცოლიც არ დააჩქარებს
შენს ამხედრებას? მაშინ, როცა მშობელი მამა,

თუნდაც ჭარმაგი, შეიძლება, გამოჯანმრთელდეს,
სნეულ ღირსებას მეყვსეულად თუ არ უწამლე,
ველარ უშველი და მკვდრეთით ხომ სულ ვერ აღადგენ.
ხოლო ღირსება ხელმწიფისა არის ვარსკვლავი,
რომელიც ყველა თავის რაინდს კვალად ანათებს,
კვალად აბნელებს! ვაი იმას, ვინც შეყოვნდება
და მნათობს ამით თუნდაც ერთ სხივს დააკარგვინებს!
მე რომ ეს საქმე შემძლებოდა, შენ როდი გთხოვდი,
აღვასრულებდი თავადვე და ვიამაყებდი,
მაგრამ დაიწყო ჯადოსნობით ეს ყველაფერი
და ჯადოსნობის ხელოვნებით უნდა დამთავრდეს:
მაშ, აღასრულე! დაგიჩოქო?

ზიგფრიდი — არ ვიქმ ხალისით!
ვინ იფიქრებდა! რა იოლად ხელმისაწვდომი
ჩანდა ყოველი! ო, ბუნებავ, სამჯერ წმინდაო!
ჩემს სიცოცხლეში არ მიგრძვნია ასეთი ზიზღი,
მაგრამ შენს სიტყვას მიზეზი აქვს, და დასტურს ვამბობ.

გუნთერი
მაშ, თუ ასეა, ნიშანს მივცემ ახლა დედაჩემს...

ჰაგენი
არამც და არამც! ქალი - არა! აქ სამნი ვდგავართ
და, ვიმედოვნებ, ენა არც ერთს მტრად არ გვექცევა,
ჩვენი მეოთხე მოკავშირე იყოს სიკვდილი!

(ყველანი გადიან)

მესამე აქტი

დილა. ციხე-დარბაზის ეზო. ტაძრის ერთ მხარესთან.

პირველი სცენა

გამოდიან შეიარაღებული რუმოლტი და დანკვარტი.

რუმოლტი
სამი მკვდარია!

დანკვარტი გუშინდელ დღეს ეგეც ეყოფა,
ეგ შესავალი იყო მხოლოდ! სულ სხვა ამბავი
დატრიალდება დღევანდელ დღეს.

რუმოლტი ამ ნიბელუნგებს
სუდარა მოსავთ ერთიანად, თითოეული
აღჭურვილია მისით, როგორც საკუთარი ხმლით.

დანკვარტი
ჩრდილოეთის ხალხს უჩვეულო ადათები აქვს,
რამეთუ, მთები როგორც უფრო ველურდებიან,
გულღია მუხებს როგორც სძლევენ ბნელი ნაძვები,
ისე ქუფრდება კაციც, ვიდრე, ბოლოს და ბოლოს,
მთლად განილევა და ნადირად გადაიქცევა!
ჯერ სახლობს ხალხი, სიმღერა რომ არ შეუძლია,
მას ესაზღვრება სიცილს ყოვლად უჩვევი ხალხი,
ამას კი მუნჯი ხალხი მოსდევს, ასე გრძელდება.

მეორე სცენა

მუსიკა. გრძელი მსვლელობა. ვულფი და ტრუქსი რაინდებს შორის.

რუმოლტი *(უერთდება მსვლელობას დანკვარტთან ერთად)*
ჰაგენი ახლა კმაყოფილი იქნება?

დანკვარტი ფრიად!
საომრად აღძრულს ედრებიან მისი მხედრები!
და არის კიდეც ის მართალი, ეს დედოფალი
ცისკრის სხვა ჰანგებს საჭიროებს და არა - ისეთს,
ცაცხვის ხის ტოტზე ტოროლა რომ იწყებს გალობას!

(ჩაივლიან)

მესამე სცენა

შემოდიან ზიგფრიდი და კრიმჰილდი.

კრიმჰილდი *(თავის სამოსზე უთითებს)*
აბა? მიმადლი?

ზიგფრიდი რას გულისხმობ, რომ ვერ მიგიხვდი?

კრიმჰილდი
კარგად შემხედე!

ზიგფრიდი რომ არსებობ, ამისთვის გმადლობ,
და, აი, ასე რომ იღიმი, და რომ ცისფერი
და არა შავი თვალები გაქვს...

კრიმჰილდი შენ ღმერთს ადიდებ
მის მსახურ ქალში! მაშ, სულელო, ჩემივე თავიც
თავად შევქმენ და ეს თვალებიც, ახლა რომ მიქებ,
მე ავირჩიე?

ზიგფრიდი ვფიქრობ, ასეთ უცნაურ ხილვებს
შობს სიყვარული! ჰო, ერთ დილით, როცა მაისი
ისე, როგორც დღეს, ყოველივეს ბრწყინვით მსჭვალავდა,
შენ ლაჟვარდისფერ ორ მაჩიტას შეკიდებული
ცვარ-ნამის ორი უნათლესი წვეთი შეხსენი
და იმის მერე შენი მზერა ზეცას ორმაგად
გამოაშუქებს.

კრიმჰილდი სჯობს, მადლობა იმისთვის მითხრა,
რომ ბავშვობაში გონივრულად წავიქეცი და
მხოლოდ საფეთქელს შერჩა, აი, ეს ნაწიბური,
როცა ჩემს თვალებს განსაცდელი ავს უმზადებდა.

ზიგფრიდი
მაგ ნაწიბურზე მაკოცნინე!

კრიმჰილდი ცეცხლოვან მკურნალს
ვურჩევ, სალბუნი არ გაფლანგოს, აკი ჭრილობა
დიდი ხანია ნაწამლია! არა! სხვა?

ზიგფრიდი მაშინ
მადლობას ვეტყვი შენს ბაგეებს...

კრიმჰილდი სიტყვით?

ზიგფრიდი *(მისი მოხვევნა სურს)*
ამგვარად?

კრიმჰილდი *(უკან იხევს)*
გგონია, გიწვევ?

ზიგფრიდი თუ ასეა, სიტყვისთვის - სიტყვა!
არა, იმაზე უტკბესისთვის, ვიდრე სიტყვაა!
იმ დაფარულთა, მწყალობელთა, ბუტბუტით თქმისთვის,
ყურისთვის ისე საამურთა, როგორც ბაგისთვის
შენი კოცნაა; და თავად იმ დაფარულთათვის;
სარკმლიდან შენი თვალთვალისთვის, ქვას რომ ვტყორცნიდით;
რას ვიფიქრებდი! იმისთვისაც, რომ დამცინოდი
და ხალისობდი...

კრიმჰილდი ღირსება რომ არ შეგელახოს,
ასე მიმეტებ? მეგობარო, რა მზაკვრობაა!
მე სიბნელეში გაგიმხილე! გინდა ხედავდე,
თუ გავწითლდები, ამ ყველაფერს დღის სინათლეზე
რომ მიმეორებ? ჩემი სისხლი ერთობ ბრიყვია,
სწრაფად იხუვლებს, ხოლო მერე სწრაფადვე ცხრება,
და დედაჩემიც იმ ვარდის ბუჩქს მადარებს ხშირად,
ერთ ღეროზე რომ გამოიღებს თეთრ და წითელ ვარდს.
ამ ყველაფერს ხომ შენ სხვაგვარად ვერც შეიტყობდი;
გუშინ დილით კი, ჩემმა ძმამ რომ გამომაჯავრა,
მეც კარგად ვიგრძენ, უმალ ღაწვი როგორ ამეწვა,
და ისღა დამრჩა, ჩემს ცოდვებში გამოგტყდომოდი!

ზიგფრიდი
ვუსურვებ, დღესვე რჩეულ ირემს გადაეყაროს!

კრიმჰილდი
და ააცდინოს! ჰო! მე მინდა, ესეც ვუსურვო...
შენ რა, ბიძია ტრონიელის ალი-კვალი ხარ,
ახალ ხიფთანს რომ მოუქსოვენ და შეუმჩნევლად

გადაუფენენ სასთუმალთან, ის კი მაშინღა
შენიშნავს, როცა ვერ მოირგებს იმ სამოსს?

ზიგფრიდი რატომ?

კრიმჰილდი
ვერაფერს ამჩნევ შენ იმის მეტს, ღმერთს და ბუნებას
რაც ჩემთვის მუქთად მოუციათ, ჩემი ღვაწლი კი
შენს თვალს უსხლტება, აი, თუნდაც კაბით დავიწყოთ,
ერთხელაც კი არ შეგინიშნავს ჩემი სარტყელი.

ზიგფრიდი
ვხედავ, ჭრელია! მაგრამ უფრო მეტად მწადია,
წელს შემოგავლო ცისარტყელა, რაკიღა ვფიქრობ,
რომ თქვენ ერთმანეთს უსათუოდ დაამშვენებდით.

კრიმჰილდი
კეთილი, ღამით მომიტანე, ამის სანაცვლოდ
მოვირგებ, ოღონდ არ მიაგდო ამ სარტყელივით,
შენი ძღვენი ხომ ამჯერადაც ძნელად შევნიშნე!

ზიგფრიდი
ვერ მივხვდი, რაზე ლაპარაკობ?

კრიმჰილდი ქვები რომ არა,
ამ სარტყელს ახლაც მაგიდის ქვეშ ელოდა მოცდა,
მაგრამ ცეცხლი ხომ თავს არსად და არასდროს მალავს.

ზიგფრიდი
ამბობ, ჩემია?

კრიმჰილდი რა თქმა უნდა.

ზიგფრიდი სიზმარს მიყვები!

კრიმჰილდი
ოთახში ვნახე.

ზიგფრიდი დედაშენმა დაკარგა, ალბათ,
და მიავიწყდა!

კრიმჰილდი დედაჩემმა დაკარგა? არა,
მის მორთულობას კარგად ვიცნობ! მე კი ვიფიქრე,
ნიბელუნგების განძის ნაწილს შევახე ხელი,
და შევიფერე უმალ, შენ რომ გაგხარებოდა!

ზიგფრიდი
მადლიერი ვარ, მაგრამ მართლაც პირველად ვხედავ!

კრიმჰილდი *(იხსნის სარტყელს)*
მაშ, თუ ასეა, ოქროს ქობა გამოჩნდეს ისევ,
შენ რომ მიფარავ! მოკაზმული ვიყავი უკვე,
როცა სარტყელი შემოვიკარი, რათა შენთვისაც
და დედისთვისაც, ერთდროულად, პატივი მეცა,
დედამ მაჩუქა რაკი ქობა!

ზიგფრიდი საოცარია!
ქვემოთ ეგდოო, ამბობ?

კრიმჰილდი დიახ!

ზიგფრიდი დაგორგლებული?

კრიმჰილდი
აკი გცნობია! როგორც ხედავ, ამ ხუმრობასაც

ის ბედი ერგო, რაც შენს პირველ ხუმრობას, მე კი -
ორმაგი ჯაფა! *(სურს, ხელახლა მოირგოს სარტყელი)*

ზიგფრიდი ღვთის გულისთვის, ამას ნუ იზამ!

კრიმჰილდი
მართალს ამბობ თუ ისევ ხუმრობ?

ზიგფრიდი *(თავისთვის)* ცდილობდა ჩემთვის
ხელების შეკვრას.

კრიმჰილდი არ იცინი?

ზიგფრიდი *(თავისთვის)* მაშინ განვრისხდი
და ძალას ვუხმე.

კრიმჰილდი არც ამჯერად იცინი, არა?

ზიგფრიდი *(თავისთვის)*
რაღაც წავგლიჯე!

კრიმჰილდი მალე ვიტყვი, რომ აღარ ხუმრობ.

ზიგფრიდი *(თავისთვის)*
მეტანებოდა წასართმევად და ამიტომაც
გულის უბეში ჩავიჩურთე და... დამიბრუნე,
ისეთი ღრმა ჭა არსად არის, ეს რომ დამალოს,
ქვას გამოვაბამ და რაინში გადავუძახებ!

კრიმჰილდი
ზიგფრიდ!

ზიგფრიდი მერე კი დამივარდა!.. მომეცი ჩქარა!

კრიმჰილდი
კი, მაგრამ როგორ ჩაგივარდა ხელში?

ზიგფრიდი ეს არის
დიდად ბედკრული საიდუმლო და ვერ გაგიმხელ
ამ საიდუმლოს ვერც ერთ მისხალს.

კრიმჰილდი აკი გამანდე
ამაზე დიდი საიდუმლო, მე უკვე ვიცი
ადგილი, სადაც შეუძლია მოგაგნოს სიკვდილს.

ზიგფრიდი
მაგ საიდუმლოს მარტო მე ვფლობ!

კრიმჰილდი ამას კი, ალბათ,
ორნი!

ზიგფრიდი *(თავისთვის)*
ეშმაკსაც წავუღივარ! რარიგ ვიჩქარე!

კრიმჰილდი *(სახეს იფარავს)*
შენ ხომ შემპირდი მე რაღაცას! რატომ შემპირდი?
არ მითხოვია მე ეს შენთვის.

ზიგფრიდი ვფიცავ სიცოცხლეს,
რომ ქალი ჩემთვის უცნობია!

კრიმჰილდი *(მაღლა სწევს სარტყელს)*

ზიგფრიდი შეკრული ვიყავ
ამ სარტყლით!

კრიმჰილდი ჩემთვის ლომს რომ ეთქვა, რასაც შენ ამბობ,
უფრო სარწმუნო იქნებოდა!

ზიგფრიდი სიმართლეს ვამბობ!

კრიმჰილდი
გულსატკენია! კაცს, შენ რომ ხარ, არ შეუძლია
ისეთი ცოდვა ჩაიდინოს, თუნდ უმძიმესი,
რომელიც უფრო უარესად წარმოაჩენდა
მას, ვიდრე - ცოდვის შემნიღბავი სიცრუე!

(შემოდიან გუნთერი და ბრუნჰილდი.)

ზიგფრიდი ჩქარა,
აქეთ მოდიან!

კრიმჰილდი ვინ, ბრუნჰილდი? ის იცნობს სარტყელს?

ზიგფრიდი
დამალე მეთქი!

კრიმჰილდი არა, არა, უნდა ვაჩვენო!

ზიგფრიდი
დამალე მეთქი, და ყველაფერს უკლებლივ გეტყვი.

კრიმჰილდი *(ამასობაში სარტყელს მალავს)*
მაშ, მისთვის მართლაც ცნობილია?

ზიგფრიდი ყური დამიგდე!

(ორივე უერთდება მსვლელობას)

მეოთხე სცენა

ბრუნჰილდი
კრიმჰილდი იყო, არა?

გუნთერი მართლაც.

ბრუნჰილდი კიდევ რამდენ ხანს
დაჰყოფს რაინზე?

გუნთერი ალბათ, უკვე მალე დაგვტოვებს,
რაკიღა ზიგფრიდს შინ ელიან.

ბრუნჰილდი ჰოდა, დროებით
კი არ გავუშვებ, მეტს ვაჩუქებ: სრულად დავითხოვ.

გუნთერი
ნუთუ, ასერიგ გძულს ზიგფრიდი?

ბრუნჰილდი მიმძიმს ყურება,
კეთილშობილი შენი და თავს როგორ იმცირებს.

გუნთერი
როგორც შენ - ჩემთან.

ბრუნჰილდი არა, არა, ქმარი ხარ ჩემი!
და თვით ეს სიტყვაც, ადრე მტრულად რომ ჟღერდა ჩემთვის,
აწ უკვე მავსებს სიხარულით და სიამაყით!
ჰო, გუნთერ, მართლაც უჩვეულოდ გარდავისახე:
ხომ მეთანხმები?

გუნთერი მეუღლე ხარ კეთილშობილი!

ბრუნჰილდი

ყურს მიტკბობ, ასე რომ მომმართავ, და ახლა უკვე
თავადვე მიკვირს, ოდესღაც რომ ცხენს ვაჭენებდი
და შუბს ვისროდი; სწორედ ასე გავიკვირვებდი,
შენ რომ მენახე სამწვადით და შამფურით ხელში!
დასანახადაც ველარ ვიტან აბჯარ-იარაღს,
და უკვე ისე დამიმძიმდა ჩემივე ფარი,
მისი აღება და შენახვა რომ დავაპირე,
მოახლე გოგო დავიხმარე! ჰო, ახლა უფრო
ეს მსურს - ვუსმენდე, ობობები რა გამრჯედ ქსოვენ
და რა ბეჯითად იშენებენ ბუდეს ჩიტები,
ვიდრე შენ გახლდე!

გუნთერი უნდა მახლდე დღეს უპირობოდ!

ბრუნჰილდი

ვიცი, რატომაც. მომიტევე! რაც უმწეობა
მეგონა, იყო სულგრძელობა. მხოლოდ ეს გსურდა
შენ მაშინ გემზე, უჯიათად როცა გავჯიქდი:
არ შეგერცხვინე! უცხო იყო ჩემი გულისთვის
ის ყველაფერი, ამიტომაც მოხდა, რომ ძალა,
ერთ დროს ბუნების ახირებით კვალარეული
და ჩემში მცდარად მოხვედრილი, შენ დაგიბრუნდა!

გუნთერი

ჰოდა, ზიგფრიდსაც შეურიგდი, რაკი ასეთი
ლმობიერი ხარ!

ბრუნჰილდი არ მიხსენო მისი სახელი!

გუნთერი

არადა, მისი სიძულვილის მიზეზი არ გაქვს.

ბრუნჰილდი
სწორედაც არ მაქვს! საკუთარ თავს როცა ხელმწიფე
ისე იმცირებს, რომ მეგზურად გადაქცეულა
და მალემსრბოლებს ენაცვლება, ეს ისეთივე
უჩვეულოა, როგორც კაცმა დაიდგას ზურგზე
უნაგირი და ამოიკრას მოსართავები
ან ძაღლის ნაცვლად აყეფდეს და მიუხტეს ნადირს,
თუმცა თავად თუ ელხინება, მე რა მადარდებს!

გუნთერი
ასე არ იყო.

ბრუნჰილდი სახალისო იქნება ბევრად,
თუ მასზე, თავით და მხარ-ბეჭით რომელიც სხვებზე
უპირატესობს, იფიქრებენ, - გადაწყვიტაო,
ქვეყნიერების ყველა კუთხის მეფეთა გვირგვინს
ეუფლოს, თავი მოუყაროს და გამოკეროს
ერთი გვირგვინი, პირველად რომ გახდეს საჩინო
მთელი თავისი ბრწყინვალებით დიდებულება,
რამეთუ აკი სიმართლეა: ვიდრე ამ ქვეყნად
ბრწყინავს ბევრი და არა ერთი, სრული არც რაა;
შენს შუბლსაც განა რა ამშვენებს მზის დისკოს ნაცვლად,
თუ არა - აი, ეგ ფერმკრთალი ნახევარმთვარე!

გუნთერი
ნუთუ ვერ ხედავ, რომ შენ იგი უკვე სხვა თვალით
აწონ-დაწონე?

ბრუნჰილდი შენზე ადრე მას მივესალმე!
შური იძიე! გამოიხმე ბრძოლაში, მოჰკალ!

გუნთერი
რას ამბობ, ბრუნჰილდ! მეუღლეა იგი ჩემი დის

და მისი სისხლი - ჩემი სისხლი.

ბრუნჰილდი მაშინ შეები,
ძირს დაანარცხე, ამოსვარე ჭუჭყში და მტვერში
და გამომიჩნდი დიდებულად აღზევებული,
ძოლოსავით რომ გაეგება იგი შენს ფეხქვეშ.

გუნთერი
ჩვენ აქ არც ეგ გვაქვს ადათ-წესად.

ბრუნჰილდი არ დაგეხსნები,
უნდა ვიხილო ეს ერთხელაც. შენ ფლობ გულისგულს,
არსებას, ის კი - მხოლოდ იერს და აღნაგობას!
ქარს გაატანე მისი გრძნება, რომლის მზერითაც
ბრიყვნი დაბმულან. თუ კრიმჰილდი ქვე დახრის თვალებს,
ახლა რომ ლამის მედიდურად მიმოატარებს
მის გვერდით მყოფი, ამით მას ხომ სულ არაფერი
დაუშავდება, მე კი, შენ თუ ერთხელ ამ საქმეს
მოიმოქმედებ, სულ სხვაგვარად შემიყვარდები.

გუნთერი
არც მას აკლია ძლიერება.

ბრუნჰილდი მერე რა, თუ მან
ლინდვურმი მოკლა და ალბერიხს სძლია: არ კმარა,
რომ ამ ყველაფრით გაგიტოლდეს. შენით და ჩემით
სამარადჟამოდ დაასრულეს ქმარმა და ცოლმა
უკანასკნელი ორთაბრძოლა პირველობისთვის.
გამარჯვებული შენ ხარ, და მე არაფერს ვითხოვ
გარდა იმისა, რომ თავადვე შეიმკო თავი
ყველა ღირსებით, რაც აქამდე მწყუროდა. შენ ხარ
უძლიერესი ქვეყანაზე, და ამიტომაც

მათრახის ცემით გამოდევნე ოქროს ღრუბლიდან,
ჩემს საამებლად, და დატოვე შიშველ-ტიტველი,
მერე იცოცხლოს ასი წელი ან უფრო მეტიც.

(ორივე გადის)

მეხუთე სცენა

შემოდიან ფრიგა და უტე.

უტე
ვხედავ, ბრუნჰილდის იერსახე დღეს გუშინდელზე
მხიარულია.

ფრიგა დედოფალო, მართლაც ასეა.

უტე
ვიცოდი, ეს რომ მოხდებოდა.

ფრიგა მე... არა! არა!
ისე შეცვლია ნირი, სულ არ გამაკვირვებდა,
გარდასახული რომ მეხილა მისი არსება,
და მისი შავი კულულებიც, ოქროს სავარცხელს
ჩემს ხელებში რომ ასე დიდხანს შეჰღუღუნებდნენ,
ამასობაში ქცეულიყვნენ ღია ფერისად.

უტე
ხომ არ მწუხარებ ამის გამო?

ფრიგა მხოლოდ მაკვირვებს,
და შენ თავად რომ გაგეზარდა ეს გმირთაგმირი,

როგორც მე ვზრდიდი, და გცოდნოდა ის ყველაფერი,
რაც ვიცი, მაშინ შენც ჩემსავით გაგაკვირვებდა.

უტე *(უკანვე, ციხე-დარბაზისკენ გეზაღებული)*
ჰქმენი საქმნელი!

ფრიგა იმაზე მეტს ვიქმოდი, ვიდრე
თქვენ შეიძლება დაგესიზმროთ! ვერ კი მივმხვდარვარ,
მაინც რა მოხდა, მაგრამ ის თუ ბედნიერია,
მეც დავდუმდები და, ცხადია, არ გავახსენებ
გარდასულ დრო-ჟამს, მას რომელიც დავიწყებია.

მეექვსე სცენა

შემოდიან ხელიხელჩაკიდებული კრიმჰილდი და ბრუნჰილდი, თავს იყრის მრავალი რაინდი და ხალხი.

კრიმჰილდი
განა არ არის უმჯობესი, ბრძოლებს უცქირო,
ვიდრე იბრძოდე?

ბრუნჰილდი გამოსცადე უკვე ორივე
და ძალგიძს, ერთურთს შეადარო?

კრიმჰილდი არც ვისურვებდი
ამის გამოცდას.

ბრუნჰილდი ჰოდა, მაშინ ასე თამამად
ნუ განსჯი!.. ამას მე საწყენად არ გეუბნები,
და შეგიძლია შენი ხელი კვლავ ანდო ჩემსას...
დე, ასე იყოს, მაგრამ ვფიქრობ, რომ მხოლოდ ჩემთვის

არის ეს ტკბობა ბოძებული.

კრიმჰილდი თქვი, რას გულისხმობ?

ბრუნჰილდი
ხომ არ ზეიმობს ქალი, როცა თავის ძლეულ ქმარს უყურებს!

კრიმჰილდი არა, რა თქმა უნდა!

ბრუნჰილდი არც თავს იტყუებს,
ქმარი უნაგირს თუკი შერჩა მხოლოდ იმიტომ,
რომ მისივ ბატონს დაუნდვია.

კრიმჰილდი სწორედ ასეა!

ბრუნჰილდი
კეთილი!

კრიმჰილდი აკი, დაცული ვარ მე ამ ხვედრისგან!
შენ რა, იღიმი?

ბრუნჰილდი მეღიმება, ისე მტკიცედ გწამს.

კრიმჰილდი
მაქვს კიდეც ნება!

ბრუნჰილდი და გამოცდაც არ გემუქრება,
ტკბილი სიზმარი საამოა. ჰოდა, იძინე,
იძინე, მე არ გაგაღვიძებ!

კრიმჰილდი ეს რა სიტყვაა!

კეთილშობილი ჩემი ქმარი ლმობიერია
მეტისმეტად და არას ავნებს მისი სამეფოს
მბრძანებლებს, თორემ თავის დაშნას ჯერ კიდევ როდის
გადაადნობდა უმალ სკიპტრად, ხოლო იმ სკიპტრით
მთელ დედამიწას ექცეოდა იგი მბრძანებლად.
დიახაც სწორედ მას მორჩილებს ყველა ქვეყანა
და მათგან ერთიც რომ დაეჭვდეს, მყის მოვითხოვდი,
რომ ის ქვეყანა ქცეულიყო ჩემს ყვავილნარად.

ბრუნჰილდი
თუკი ასეა, ჩემი ქმარი ვინღაა, კრიმჰილდ?

კრიმჰილდი
ის ჩემი ძმაა, მეუფების ტახტი უპყრია
და მისი წონა არავისგან აიწონება.

ბრუნჰილდი
არა, იგია თვით საზომი ქვეყნიერების,
და როგორც ნივთთა ჭეშმარიტ ფასს დაადგენს ოქრო,
ისე დაუდგენს ის გმირებს და რაინდებს წონას!
საპირისპიროს ნურას მეტყვი, ძვირფასო ბავშვო,
სამაგიეროდ მოთმინებით ვისწავლი შენგან,
თუკი მიჩვენებ, ნემსი როგორ გამოვიყენო.

კრიმჰილდი
ბრუნჰილდ!

ბრუნჰილდი გულწრფელად გეუბნები, კი არ დაგცინი,
მინდა ვისწავლო, ამის ცოდნა დაბადებითვე
არ დამყოლია, განსხვავებით შუბის ტყორცნისგან,
რისთვისაც ოსტატს სწორედ ისე არ ვსაჭიროებ,
როგორც დგომა და სიარული არ მესწავლება.

კრიმჰილდი

რაკი გწადია, შეგვიძლია ახლავე ვცადოთ,
და ჭრილობების მიყენება ასე თუ მოგწონს,
საქმე დავიწყოთ ამოქარგვით, ერთი ნიმუში
მაქვს კიდეც აქვე და გიჩვენებ! *(სურს სარტყლის ამოღება)*
არა, შეეშცდარვარ!

ბრუნჰილდი

შენ შენს დაიკოს აღარ უმზერ კვლავინდებურად
და მეგობრულიც სულ არ ჰქვია მაგ შენს საქციელს:
ხელი, სათუთად რომ მეჭირა, იმაზე ადრე
წარმტაცე, ვიდრე გაგიშვებდი. აკი, სულ მცირე,
საპირისპიროს ითხოვს ჩვენი წეს-ჩვეულება.
არ შეგიძლია აიტანო, არა, რომ სკიპტრა,
შენთვის ესოდენ საოცნებო, შენს ძმას უპყრია?
არადა, და ხარ: შენს თავს უნდა ინუგეშებდე,
რამეთუ შენი ძმის დიდება აწ სანახევროდ
შენია, მეტიც, ვფიქრობ, სხვებზე უწინარესად,
სწორედ მე უნდა მომიბოძო შენი პატივი,
რაკიღა შენად, სულერთია, ვერ დაიგულებ,
ჩემზე მეტი კი მასში არვის გადაუხდია!

კრიმჰილდი

ვხედავ, ბუნებას რაც მომწყდარა, შურს ვით იძიებს:
შენ ხომ სიყვარულს აუჯანყდი, როგორც - არავინ,
ჰოდა, ორმაგი სიბრმავით გსჯის ეგ სიყვარული.

ბრუნჰილდი

შენ ახლა შენზე ლაპარაკობ და არა - ჩემზე!
არაფერი გვაქვს საკამათო. ქვეყანამ იცის!
ჩემი ძლევა რომ მხოლოდ ჩემზე ძლიერს შეეძლო,
ჩემს გაჩენამდე უკვე იყო გადაწყვეტილი...

კრიმჰილდი
სიამოვნებით გიდასტურებ.

ბრუნჰილდი მერე?

კრიმჰილდი *(იცინის)*

ბრუნჰილდი გიჟი ხარ!
შიშმა შეგიპყრო და ფიქრობ, რომ ვასალთა მიმართ
ერთობ მკაცრნი ვართ? არა, შიშის მიზეზი არ გაქვს!
და არც ყვავილნარს გავიშენებ, და შენზე წინაც,
თუ ამის გამო ზედმეტად არ გაჯიუტდები,
ამ ერთადერთხელ წარვსდგამ ნაბიჯს და - აღარასდროს,
მხოლოდ დღეს და აქ, ამ ტაძარში, შევალ პირველი.

კრიმჰილდი
სხვა დროს ნამდვილად არ გეტყოდი ამაზე უარს,
მაგრამ აქ ჩემი ქმრის ღირსებას ეხება საქმე
და ამიტომაც ვერ დავიხევ უკან.

ბრუნჰილდი შენ იგი
თავად გიბრძანებს.

კრიმჰილდი გაბედავ და აუგს აკადრებ?

ბრუნჰილდი
ჩვენთან მოსული ის უკუდგა, შენს ძმას რომ ახლდა,
მეფის წინაშე ვით ვასალი, და იუარა
სალამი, მე რომ შევთავაზე. და ასეც უნდა
მოქცეულიყო, რა თქმა უნდა, მას მერე, როცა
ოდენ მსახურად მივიჩნიე, როგორც გამეცნო,
მაგრამ ამჯერად სულ სხვას ვფიქრობ.

კრიმჰილდი მაინც რას ფიქრობ?

ბრუნჰილდი
დათვის წინაშე მოკრძალებით მიმოქცეული
მგელი მინახავს, და თვით დათვიც - ვეებერთელა
ხარის წინაშე. ვასალია იგი, სხვა არც ვინ,
ფიცით შეკრული რომც არ იყოს.

კრიმჰილდი სიტყვა აღარ თქვა!

ბრუნჰილდი
ეს მუქარაა? არ დაკარგო, პატარავ, თავი!
მე საღი აზრი არ მღალატობს! იგივეს გირჩევ!
აკი ყველაფერს საფუძველი უნდა გააჩნდეს.

კრიმჰილდი
მაქვს საფუძველი! შეგიპყრობდა უმალ ცახცახი,
შენ რომ ხვდებოდე.

ბრუნჰილდი მაშ, ცახცახი!

კრიმჰილდი დიახ, ცახცახი!
თუმცა, არაფრის გეშინოდეს! მე შენ ახლაც კი
ისეთი ძალით მიყვარხარ, რომ ვერ შეგიძულებ,
ვერ გამოგიჩენ ამ საფუძველს. და რომც შემძულდე,
მოვასწრებდი და გავითხრიდი ჩემივე ხელით
დაუყოვნებლივ მე სამარეს! არამც და არამც!
დიახაც არ მსურს, მიწის ზურგზე ჩემი მიზეზით
ყველაზე უფრო სავალალო არსებად იქცე,
იყავ ამაყი და თავხედი, მოწყალედ ვდუმვარ!

ბრუნჰილდი
განაგრძე, კრიმჰილდ, ეგ ტრაბახი, მე კი შენ მძულხარ!

კრიმჰილდი
ვძულვარ, მერე ვის, ვის და ჩემი მეულლის ხასას!

ბრუნჰილდი
ჯაჭვით შეკარით! შეიპყარით! ჭკუიდან შეცდა!

კრიმჰილდი *(სარტყელს ამოიღებს)*
ამ სარტყელს თუ ცნობ?

ბრუნჰილდი რა თქმა უნდა, ეს ხომ ჩემია,
და რაკი მე მას ახლა უცხო ხელებში ვხედავ,
როგორც ჩანს, ღამით მოუპარავს იგი ვიღაცას!

კრიმჰილდი
მოუპარავსო! ჩემთვის ქურდს რომ არ მოუცია?!

ბრუნჰილდი
აბა, ვინ მოგცა?

კრიმჰილდი კაცმა, შენ რომ დაგიმორჩილა!
მაგრამ ჩემი ძმა არ ყოფილა!

ბრუნჰილდი კრიმჰილდ!

კრიმჰილდი კაცქალო,
ჩემს ძმას ხომ უმალ მოაშთობდი და მერე, ალბათ,
თავს დაისჯიდი იმით, რომ მკვდარს შეიყვარებდი!
მეულლემ მომცა!

ბრუნჰილდი არა! არა!

კრიმჰილდი სწორედ ასეა!

მაშ, ამის მერეც დაამცირე! ახლა თუ დამრთავ
ნებას, ტაძარში შენზე უწინ რომ შევდგა ფეხი?
(თავის თანმხლებ ქალებს)
მომყევით! უნდა დავანახო, რისი ნება მაქვს!
(შედის ტაძარში)

მეშვიდე სცენა

ბრუნჰილდი
რატომ ვერ ვხედავ ბურგუნდეთის რაინდებს?.. ფრიგა!
შენ ეს გესმოდა?

ფრიგა მესმოდა და კიდევაც მჯერა.

ბრუნჰილდი
მკლავ! ნუთუ, მართლა ასე მოხდა?

ფრიგა იმაზე მეტი
ილაპარაკა, ვიდრე მოხდა, მაგრამ ერთი რამ
ეჭვგარეშეა: მოგატყუეს!

ბრუნჰილდი მან არ იცრუა?

ფრიგა
სწორედ ის იყო, ბალმუნგს ვინც ფლობს. ტბა როცა ჩაქრა,
ის იდგა ტბასთან.

ბრუნჰილდი და მეც სწორედ მაშინ უარმყო!
აკი ქონგურზე ვიდექი და დამინახავდა.
მთლად მისით იყო შეპყრობილი, უეჭველია.

ფრიგა
დაე, იცოდე, რა წაგერთვა შენ ამ სიცრუით...

მე გიმალავდი ყოველივეს!

ბრუნჰილდი *(ყურს არ უგდებს, ისე განაგრძობს)*
ამიტომ იყო,
ის მედიდური სიმშვიდით რომ მიმზერდა.

ფრიგა განა
მარტოდენ მწირი ეს ქვეყანა, მთლად დედამიწა
შენ გერგებოდა სამფლობელოდ, და ვარსკვლავებსაც
ელაპარაკათ უნდა შენთან, თვით სიკვდილსაც კი
შენს სიცოცხლეზე მეუფება წაერთმეოდა.

ბრუნჰილდი
ამაზე სიტყვა აღარ დაძრა!

ფრიგა რატომ? თუმცა კი
ვერ დაიბრუნებ ამ ყველაფერს, ხომ შეგიძლია,
შური იძიო, შვილო!

ბრუნჰილდი შურს კი მართლაც ვიძიებ!
უგულებელმყო! დედაკაცო, ო, დედაკაცო,
ერთი ღამითაც თუ დამცინე შენ მის მკლავებში,
ხანგრძლივ გოდებად გადაგიქცევ მე იმ დაცინვას,
მე მსურს... რას ვამბობ! მეც მასავით უსუსური ვარ.
(ფრიგას მკერდზე მიემხობა)

მერვე სცენა

შემოდიან გუნთერი, ჰაგენი, დანკვარტი, რუმოლტი, გერენოტი, გიზელჰერი და ზიგფრიდი.

ჰაგენი
რა ხდება?

ბრუნჰილდი *(წამოიმართება)*
მეფევ, ნუთუ მართლა შენი ხასა ვარ?

გუნთერი
როგორ თუ - ხასა?

ბრუნჰილდი მე შენი და ასე მიწოდებს!

ჰაგენი *(ფრიგას)*
რა დაგემართათ?

ფრიგა ყველაფერი გამჟღავნდა! ვიცით,
ვინც გაიმარჯვა, ხოლო კრიმჰილდს თუ დავუჯერებთ,
გაუმარჯვია იმას ორჯერ.

ჰაგენი *(გუნთერს)* წამოუროშავს!
(მას ფარულად ელაპარაკება)

მეცხრე სცენა

კრიმჰილდი *(რომელიც ამასობაში ტაძრიდან გამოვიდა)*
ჩემო მეუღლევ, მომიტევე! დამნაშავე ვარ,
მაგრამ თავად რომ მოგესმინა, როგორ გქირდავდა...

გუნთერი *(ზიგფრიდს)*
მაშ, იტრაბახე, არა?

ზიგფრიდი *(კრიმჰილდს თავზე ხელს ადებს)*
ვფიცავ ამის სიცოცხლეს,
ეს არ მიქნია.

ჰაგენი დაფიცების გარეშეც მჯერა!
მხოლოდ და მხოლოდ სიმართლე თქვა.

ზიგფრიდი მაგრამ არ მითქვამს
უგასაჭიროდ!

ჰაგენი მცირედითაც არ მეეჭვება!
ამაზე - სხვა დროს. მაგრამ ახლა დედაკაცები
დააშოშმინე და ერთმანეთს გაჰყარე, თორემ
საკმარისია მათი თვალი ერთმანეთს შეხვდეს,
იფეთქებენ და დაგესლავენ კვლავაც ერთმანეთს.

ზიგფრიდი
არ დავახანებ, გაგეცლებით. წამოდი, კრიმჰილდ!

კრიმჰილდი *(ბრუნჰილდს)*
თუ დაფიქრდები, შენ მე გული როგორ მატკინე,
მაშინ თავადაც...

ბრუნჰილდი *(შებრუნდება)*

კრიმჰილდი აკი გიყვარს ჩემი ძმა?! მაშინ
როგორღა ძალგიძს, იმ ხერხს გმობდე, რომლის ძალითაც
შენ მისი გახდი?

ბრუნჰილდი ოჰ!

ჰაგენი ახლავე გადით აქედან!

ზიგფრიდი *(თან კრიმჰილდი გაჰყავს)*
თავად იხილავთ, რომ არავის წამოუროშავს! *(გადის)*

მეათე სცენა

ჰაგენი
ახლა კი აქეთ მოდექით და დაუყოვნებლივ
ვქმნათ დამნაშავის სამართალი.

გუნთერი ეგ რა სიტყვაა?

ჰაგენი
როგორ, მიზეზი საცილოა? მარტო მე ვხედავ,
დამცირებული დედოფალი მდუღარე ცრემლებს
როგორ ღვრის?!
(ბრუნჰილდს) გმირის სახებაო კეთილშობილო,
შენ, ერთადერთო, ვის წინაშე თავს მეც ნებით ვხრი:
კაცი, რომელმაც ეს დაგმართა, სასიკვდილოა!

გუნთერი
ჰაგენ!

ჰაგენი ის კაცი უნდა მოკვდეს, თუკი შენ თავად
არ ჩაუდგები შუაში იმას და შურისმგებელს.

ბრუნჰილდი
ლუკმას არ შევჭამ, ვიდრე სიტყვას არ აღასრულებთ.

ჰაგენი
პატიებას გთხოვ, მეფევ, სიტყვა შენზე წინ რომ ვთქვი,

მხოლოდ ის მსურდა, ვითარება მეჩვენებინა,
თუმცა, ცხადია, შეგიძლია თავად განსაჯო,
და ამ ორს შორის არჩევანიც აკი შენ გრჩება.

გიზელჰერი
თქვენ რა, არ ხუმრობთ? რაღაც მცირე ცთომის გულისთვის
დედამიწაზე უერთგულეს კაცს უსჯით სიკვდილს?
თქვი „არა", ჩემო ხელმწიფეო და ჩემო ძმაო!

ჰაგენი
გსურთ, თქვენს სასახლეს ნაბუშრები შემოუსიოთ?
ვეჭვობ, ამაყმა ბურგუნდებმა იმათ გვირგვინი
დაადგან თავზე! თუმცა შენ ხარ აქ მბრძანებელი!

გერენოტი
რა გნიასი აქვთ! ჩვენ თუ ახლა ვერ მოვახერხებთ,
ამათ უდავოდ მხნე ზიგფრიდი დააშოშმინებს.

ჰაგენი
დუმხარ! კეთილი! დანარჩენზე თავად ვიზრუნებ!

გიზელჰერი
მე ვემიჯნები მაგ სისხლიან თქვენს განჩინებას! *(გადის)*

მეთერთმეტე სცენა

ბრუნჰილდი
ბოლო მოეღოს მის სიცოცხლეს ან - ჩემსას, ფრიგა!

ფრიგა
იმისას, შვილო!

ბრუნჰილდი არა მარტო უგულებელმყვეს,
არამედ კიდეც გამაჩუქეს, ჩემით ივაჭრეს!

ფრიგა
ივაჭრეს, შვილო!

ბრუნჰილდი უკვე ცოლად დაწუნებული,
მისთვის სხვა ცოლის შესაძენი პფენინგი ვიყავ!

ფრიგა
პფენინგი, შვილო!

ბრუნჰილდი ეს მოკვლაზე ბევრად მეტია,
და მე ამისთვის შურს ვიძიებ! შურისძიება!

(ყველანი გადიან)

მეოთხე აქტი

ვორმსი.

პირველი სცენა

დარბაზი. გუნთერი თავის რაინდებთან ერთად. ჰაგენს ხელში ოროლი უჭირავს.

ჰაგენი
ცაცხვის ფოთოლს ხომ თვალდავსილიც არ ააცილებს;
მე მსურს, სხვა ვცადო: გადავთვალო ორმოცდაათი
ნაბიჯი, ვტყორცნო ოროლი და თხილი გავტეხო.

გიზელჰერი
მაგ ჩუბინობას თუ გვიჩვენებ, ახალს რას გვეტყვი?
რომ არაფერი გიჟანგდება, ჩვენც კარგად ვიცით.

ჰაგენი
ის მოდის! აბა, დამანახეთ, რომ შეგიძლიათ
ჭმუნვით მზერა და შუბლის შეკვრა მაშინაც, როცა
მამას არ გლოვობთ.

მეორე სცენა

ზიგფრიდი *(შემოდის)*
რაინდებო, განა არ გესმით,
მწევრები როგორ ყმუიან და ბუკებს წინდაწინ
როგორ ცდის ყველა მონადირე! ცხენებს მოახტით!

ჰაგენი
რა ჩინებული დღე იქნება!

ზიგფრიდი არავინ გითხრათ,
რაკი დათვები უკვე თავლებს ეტანებიან
და არწივები ჩამომსხდარან კარებწინ, დილით
რომ გააღებენ, შეიძლება ხელდახელ ბავშვი
გამოკუნტრუშდეს?

ფოლკერი ასეთი რამ უკვე მომხდარა.

ზიგფრიდი
ცუდად მოუხდა ნადირობას ჩვენი ნიშნობა!
მაშ, თავგასული მტერი ერთად უკუვაქციოთ
და გამოვხშიროთ!

ჰაგენი ჩვენ, ძმობილო, ახლა სხვა გვმართებს:
ხმლები ავლესოთ, გავუმაგროთ პირები შუბებს.

ზიგფრიდი
რატომ?

ჰაგენი ბოლო დროს შენ ალერსი გაგიხანგრძლივდა,
თორემ აქამდეც შეიტყობდი, რაც ჩვენს თავს ხდება.

ზიგფრიდი
აკი, თქვენც იცით, ვეშურები დამშვიდობებას!
თუმც თქვით: რა ხდება?

ჰაგენი ზაქსები და დანიელები
ისევ მოდიან.

ზიგფრიდი როგორ, განა მათი მთავრები,
ფიცი რომ მოგვცეს, უკვე მოკვდნენ?

ჰაგენი ო, სულაც არა,
სწორედ ისინი მოუძღვიან.

ზიგფრიდი ის ლუდეგასტი
და ლუდიგერი, მე რომ მაშინ დავატყვევე და
თავისუფლება მივანიჭე უხარკოდ?

გუნთერი გუშინ
გამოგვიცხადეს ისევ ომი.

ზიგფრიდი მათი შიკრიკი
რამდენ ნაწილად აკუწეთ და დაანაწევრეთ?
ყველა სვავს ერგო სათანადოდ თავისი წილი?

ჰაგენი
ასეთი რისხვა?!

ზიგფრიდი ვინც მსგავს გველებს ემსახურება,
გაისრისება იმათსავით. რა გეენაა,
მე ასეთ რისხვას პირველად ვგრძნობ! ხშირად ვფიქრობდი,
რომ მძულვარებას ავეტანე, თუმცა ვცდებოდი,
მხოლოდ ნაკლებად მყვარებია. თუკი რამე მძულს,
აი, ეს არის - ღალატი და პირუმტკიცობა,
ფარისევლობა და ლაჩრული უკეთურობა,
ამათ ეყრდნობა და მოცოცავს, როგორც ობობა
მიმოგრეხილი კიდურებით. ნუთუ, მოხდა და
შიშის არმცოდნე ამ კაცებმა, - მე ასეთებად
ვცანი ისინი, - სამუდამოდ მოიჭრეს თავი?
ძვირფასო ძმებო, ნუ დამდგარხართ ასე გულცივად,
ნუ მიმზერთ ისე, თითქოს ერთურთს სიშლეგით შევრთე
დიდი და მცირე! აკი დღემდე ჩვენგან არც ერთი
შეურაცხყოფით არ ვნებულა. აუღელვებლად
წაშალეთ ყველა ძველი წყენა, უკლებლივ ყველა,
მხოლოდ ამ ორმა დააშავა.

გიზელჰერი სირცხვილი ჭამეს!
ახლაც ჩამესმის, შენ ისინი როგორ გაქებდნენ.
აქ როდის იყო ეგ შიკრიკი?

ჰაგენი არც შენ მოგიკრავს
იმისთვის თვალი? სულ ახლახან, ისე მოკურცხლა
აქედან, როცა მოამთავრა თავისი საქმე,
საზღაურისთვის უკან არც კი გამოუხედავს.

ზიგფრიდი
ვაი, სირცხვილო! დაუსჯელი როგორ დაგირჩათ

მისი ასეთი თავხედობა! ამის მერე ხომ
ამოეთხარა უნდა ყორანს მისთვის თვალები
და მის ბატონთა თვალწინ ზიზღით ამოენთხია;
ეს იქნებოდა ღირსეული ჩვენი პასუხი.
აქ რა ხელი აქვს მტერთან მტრობას და სასტიკ ბრძოლას
უფლებისთვის და ადათისთვის, მავნე მხეცებზე
ნადირობაა, აქ რაც ფასობს! ნუ გელიმება,
ჰაგენ! ის გვიჯობს, თავადური მახვილი დავთმოთ
და საჯალათო ნაჯახებით შევიარაღდეთ,
გვჭირდება კიდეც აკი უფრო, - რაკი ისინიც
მთლად რკინისანი არიან და ხმლის ჯიშისანი, -
ბაწარი როცა მიგვჭირდება ძაღლის საჭერი.

ჰაგენი
მართლაც რომ!

ზიგფრიდი თუ არ მეჩვენება, დამცინი კიდეც.
ვერ კი ვიჯერებ, რაკი სხვა დროს უცებ ენთები!
წლებით რომ ჩემზე უფროსი ხარ, ცხადია, ვიცი,
მაგრამ მე ახლა სიჭაბუკე როდი აღმაგზნებს,
არც ჯავრი მახრჩობს იმის გამო, რომ მე ვიყავი,
მიმტევებლობა ვინც გირჩიათ. ასე მგონია,
ქვეყნიერებას ვიცავ ახლა, და ჩემი ენა,
ვით ზარი ლოცვად, ისე უხმობს ახლა კაცად კაცს
დიახაც შურის საძიებლად და განსასჯელად.

გუნთერი
სწორედ ასეა!

ზიგფრიდი *(ჰაგენს)*
იცნობ ღალატს? პირუმტკიცობას?
ჰოდა, თვალებში რომ ჩახედავ, მერე დამცინე.
შენ იმას იწვევ პატიოსან ორთაბრძოლაში

და დასცემ. მაგრამ სიამაყე, ღირსებაზე რომ
არაფერი ვთქვა, მისი მოკვლის ნებას არ გაძლევს,
თავისუფლებას უბრუნებ და თავადვე უწვდი
იმ იარაღებს, ბრძოლაში რომ დაათმობინე.
ხელს არ აგიკრავს, შენს წინაშე კბილებს დააღრჭენს,
მადლობას გიხდის, ქებას გიძღვნის, მთლად განგადიდებს,
ათასი ფიცით გეფიცება, კაცურ აღთქმას დებს:
მაგრამ როცა შენ, ჯერაც ისევ ყურდათაფლული,
დაღლილი, ძილად მიეგდები შენს საგებელზე
და შიშველი და დაუცველი ბავშვივით წევხარ,
მოგეპარება და სიცოცხლეს გამოგასალმებს,
და იქნებ სულაც დაგაფურთხებს, შენ როცა კვდები.

გუნთერი *(ჰაგენს)*
რას იტყვი?

ჰაგენი *(გუნთერს)*
მე ეს მრისხანება კეთილშობილი
მაგულიანებს საიმისოდ, ჩვენს ძმობილს ვკითხო,
თუ ისურვებდა კიდევ ერთხელ ჩვენს გვერდით დგომას.

ზიგფრიდი
მე მარტოდმარტო წავალ ჩემი ნიბელუნგებით,
რაკიღა ბრალი მე მიმიძღვის, რომ ხელმეორედ
გახდა ეს საქმე გასარჯელი! თუმც კი მწადია,
დედას ვუჩვენო ჩემი ქალი და გავიგონო
პირველად მისი საქებარი მთელი სისრულით:
ეს არ მოხდება, ამ თვალთმაქცებს ვიდრე ჯერ კიდევ
აქვთ ღუმელი და იქ გამომცხვარ პურს მიირთმევენ
და ჭის წყალს სვამენ! უარს ვამბობ გამგზავრებაზე
და ყველას თვალწინ პირობას ვდებ მე თქვენს წინაშე:
ცოცხლებს მოვიყვან, და ისინი ამიერიდან

უნდა ეყარონ შეჯაჭვულნი ჩემი კოშკის წინ
და ყეფდნენ, როცა ჩავუვლი ან უკუვიქცევი! *(სწრაფად გადის)*

მესამე სცენა

ჰაგენი
მასთან გაქანდა, უეჭველად, განრისხებული,
და როცა დაემშვიდობება, მეც იქ გავჩნდები.

გუნთერი
მე აქ ვსვამ წერტილს.

ჰაგენი ვერ მიგიხვდი, მეფეო, სათქმელს!

გუნთერი
ახლავე უხმე ახალ შიკრიკს, რომელიც გვამცნობს,
რომ კვლავ მშვიდობა ჩამოვარდა.

ჰაგენი ასეც მოხდება,
რაწამს კრიმჰილდი საიდუმლოს გამანდობს.

გუნთერი შენ რა,
მკერდში ქვის გული ხომ არ გიდევს, ამ ყველაფერმა
როგორ არ შეგძრა შენც ჩემსავით?

ჰაგენი ვერ ვხვდები, მეფევ,
უფრო მკაფიოდ ამიხსენი.

გუნთერი არ უნდა მოკვდეს.

ჰაგენი
ვიდრე არ ბრძანებ, ის იცოცხლებს! ტყეშიც რომ ვიდგე

მე მის ზურგსუკან, ხელში ოროლმომარჯვებული,
თუკი მანიშნებ, მხეცს დავცემ და არა ავისმქმნელს!

გუნთერი

არ არის-მეთქი ავისმქმნელი! რა დააშავა?
თან რომ სარტყელი გაიყოლა, რომელიც მერე
კრიმჰილდმა ნახა? სარტყელი ხომ ამოუვარდა
და მიავიწყდა, ვით მებრძოლი ივიწყებს ისარს,
ომის მერე თუ მან აბჯარი არ დაიფერთხა,
და ჩხარაჩხური რომ ჩაესმის, მაშინ შენიშნავს.
შენც თქვი და ყველა თქვენგანმაც თქვას: დამნაშავეა?

ჰაგენი

არამც და არამც! ვინ აბრალებს? რა დააშავა,
გონების ძალა თუ არ ეყო თავდასაძვრენად?!
არ მეეჭვება, პირველივე ცდაზე გაწითლდა.

გუნთერი

მაშ, რა ვიღონოთ? რაღა გვრჩება?

ჰაგენი

დედოფლის ფიცი!

გიზელჰერი

კეთილი, სისხლი თუ სწყურია, თავადვე მოკლას.

ჰაგენი

ასე ბავშვები კინკლაობენ. არ შეიძლება,
საჭურველს თავი მოუყარო, რომც არ იცოდე,
თუ დაგჭირდება ის ერთხელაც? და თუკი ქვეყნის
ყველა ბილიკი და გზაწვრილი უნდა მოჩხრიკო,
არ შეიძლება შეისწავლო გმირი? კრიმჰილდთან
ბედი მე მაინც უნდა ვცადო, თუნდაც იმისთვის,

რომ არ დაგვირჩეს სულ ამაოდ მოფიქრებული
ულამაზესი ჩვენი ხრიკი! ის ხომ ვერაფერს
გამიმხელს ისეთს, ზიგფრიდს რომ არ გაუმხელია
მისთვის, მერე კი მხოლოდ თქვენი მისახედია,
თქვენს სარგოდ იმას თუ ისურვებთ, რასაც შევიტყობ;
აკი თქვენ მართლაც შეგიძლიათ, თუ გიღირთ, ის ჰქმნათ,
მე თვალთმაქცობა რისთვისაც მსურს, და დაიფაროთ
ომის დროს მისი ის მოკვდავი ერთი ადგილი,
მაგრამ ამისთვის იმ ადგილის ცოდნა გჭირდებათ. *(გადის)*

მეოთხე სცენა

გიზელჰერი *(გუნთერს)*
შენ ახლა თავად დაუბრუნდი ერთგულებას და
სიმაღლეს, თორემ უნდა მეთქვა, რომ ეს თამაში
მეფის ღირსებას აკნინებდა!

ფოლკერი ეგ შენი ბრაზი
ძნელი არ არის გასაგებად, შენც ხომ მოტყუვდი.

გიზელჰერი
ამიტომ - არა. მაგრამ შენთან კამათი არ მსურს,
ხომ ისევ კარგი პირი უჩანს ყველაფერს.

ფოლკერი როგორ?

გიზელჰერი
როგორ?

ფოლკერი გავიგე, დედოფალი სამგლოვიარო
კაბით არისო შემოსილი, საჭმელ-სასმელსაც
პირს არ აკარებს, წყალსაც არ სვამს.

გუნთერი ჰო, სამწუხაროდ!

ფოლკერი
მაშ, საქმე კარგად როგორღაა? ჰაგენმა რაც თქვა,
ეგ სიმართლეა. სხვებს ბრუნჰილდი ნამდვილად არ ჰგავს
და დროის ქროლვამ გულისწყრომა სულ ვერ დაუცხრო,
ამიტომ ითხოვს დაჟინებით, ან - ის, ან - მეო!
თუმც მართალი ხარ, ზიგფრიდს ბრალი როდი მიუძღვის,
მას ეს სარტყელი გველივით რომ ჩამოეკიდა,
არა, ცხადია, ეს წმინდა წყლის უბედობაა,
მაგრამ ვაი, რომ სიკვდილს იწვევს ეს უბედობა
და ისღა გრჩება, გადაწყვიტო, რომელი მოკლას.

გიზელჰერი
მოკვდეს, სიცოცხლე ვისაც არ სურს!

გუნთერი ეს არჩევანი
საშინელია.

ფოლკერი გაფრთხილებდი მე იმთავითვე,
სწორი გზით გევლო, მაგრამ ახლა ეს ერთადერთი
მიზანი დარჩა.

დანკვარტი განა ჩვენი კანონით ყველა
თავად არ აგებს პასუხს თავის უბედობაზე?
ვისაც სიფრთხილემ უღალატა და ბნელ ღამეში
საუკეთესო თავის ძმობილს შუბი აძგერა,
ამას ტირილით უკვე ვეღარ გამოისყიდის,
თუნდაც მდუღარე ნიაღვრებად ღვაროს ცრემლები,
სისხლით უნდა ზღოს ყოველივე.

გუნთერი მე ბრუნჰილდს ვნახავ. *(გადის)*

მეხუთე სცენა

ფოლკერი
კრიმჰილდი მოდის, მთლად შემცბარი, ჰაგენთან ერთად.
ასეც ფიქრობდა. ჩვენც წავიდეთ!

(ყველანი გადიან)

მეექვსე სცენა

შემოდიან ჰაგენი და კრიმჰილდი.

ჰაგენი ასე ადრიან
დარბაზში ჯერ არ მინახიხარ.

კრიმჰილდი ბიძია, ვერ ვძლებ
დიდხანს ოთახში.

ჰაგენი თუ არ ვცდები, შენი მეუღლე
ახლახანს შენგან გამოვიდა. ცეცხლი ეკიდა,
თითქოს რაღაცამ განარისხა. ნუთუ თქვენს შორის
მშვიდობა ჯერაც არ აღმდგარა? იქნებ ბოროტად
იყენებს თავის მამაკაცურ უფლებებს შენთან?
ხომ არ ისურვებ, ვესაუბრო?

კრიმჰილდი ო, არა, არა!
სულ სხვა რამ რომ არ მახსენებდეს იმ აგბედით დღეს,
მეგონებოდა, ვნახე-მეთქი მხოლოდ სიზმარი:
ჩემს მეუღლეს კი ჩემთვის ერთი სიტყვაც არ უთქვამს!

ჰაგენი
მახარებს, ასე ლმობიერი რომ არის.

კრიმჰილდი მე კი
მერჩივნა, მწარედ გავეკიცხე, ნეტავ იცოდეს,
ჩემს თავს მე თვითონ როგორ ვკიცხავ!

ჰაგენი ზედმეტსაც ნუ იქმ!

კრიმჰილდი
მე ვიცი, ბრუნჰილდს გული რარიგ მწარედ ვატკინე,
ჩემს თავს ვერასდროს ვაპატიებ! ამ საქციელს ხომ
ბევრად მიჯობდა, დამეთმინა, რაც ჩაიდინა.

ჰაგენი
და შენ ეს გდევნის ოთახიდან დილაადრიან?

კრიმჰილდი
ეს? არა! მე ეს შემდევნიდა უმალ უკანვე.
ზიგფრიდის გამო შიში მტანჯავს.

ჰაგენი ზიგფრიდის გამო?

კრიმჰილდი
აკი კვლავ ომი იქნებაო.

ჰაგენი ეს მართალია.

კრიმჰილდი
სიტყვის გამტეხი გარეწრები!

ჰაგენი გამგზავრების წინ
ჩალაგება რომ შეგიფერხდა, ასე ნუ ბრაზობ!
ხელს ნუ შეიშლი და განაგრძე მშვიდად ფუსფუსი,
მოგვიანებით ზედ დაადებ ზიგფრიდის აბჯარს.

თუმცა რას ვჩმახავ! ის ხომ აბჯარს არასდროს იცვამს
და, რა თქმა უნდა, არც სჭირდება.

კრიმჰილდი ასე გგონია?

ჰაგენი
თავს ვერ ვიკავებ სიცილისგან. ასე რომ სხვის ცოლს
დაეწუწუნა, მივუგებდი: "შვილო, ათასი
ისრიდან ერთი თუ მოხვდება და ისიც მყისვე
გადაიქცევა ნამსხვრევებად!" შენ კი დაგცინებ
და გირჩევ, უფრო ლაღ ტოროლებს დაუმეგობრდე!

კრიმჰილდი
ისრებს ახსენებ! ისრებია, რაც მე მაშინებს
ასე ძალიან. ერთი ისრის წვერიც იკმარებს,
თუნდ ჩემი ცერის ფრჩხილისტოლა ადგილს ნაძგერი,
რომ შეაღწიოს და სიკვდილი გამოიწვიოს.

ჰაგენი
მეტადრე მაშინ, თუ ისარი მოწამლულია,
ამ ველურებს კი, იმ ჯებირის მომრღვევ-მომშლელებს,
ჩვენ რომ აღვმართეთ და გვეგონა თავი დაცული,
თვით ომის დროსაც რაკი იგი ჩვენთვის წმინდაა,
ხელეწიფებათ ვით ის საქმე, ისე - ეს საქმე.

კრიმჰილდი
აი, ხომ ხედავ!

ჰაგენი ეს შენს ზიგფრიდს რით ემუქრება?
მოუწყვლადია. და ისრებიც რომ არსებობდეს,
ტანს მზის სხივებზე უზუსტესად რომლებიც ხვდება,
დაიფერთხავდა, ჩვენ თოვლს როგორც ვიფერთხავთ ხოლმე!

ეს ხომ თავადაც კარგად იცის, და ის ამ გრძნობას
ომში წამითაც არ ივიწყებს. ის იმას ბედავს,
რაც ჩვენ, ვერხვის ქვეშ ვინც ასევე არ გავჩენილვართ,
თითქმის ცახცახს გვგვრის. ხოლო როცა ის ამას ამჩნევს,
იცინის ხოლმე და ჩვენც მასთან ერთად ვიცინით
სულით და გულით. აკი რკინას ძალუძს, რომ მშვიდად
შევიდეს ცეცხლში: იქ ფოლადად გადაიქცევა.

კრიმჰილდი
დაზაფრული ვარ!

ჰაგენი ეს-ეს არის გათხოვდი, შვილო,
თორემ ასეთი მფრთხალი რომ ხარ, გამახარებდა.

კრიმჰილდი
დაგავიწყდა თუ არც კი იცი იმის შესახებ,
მემუსიკენი რასაც უკვე ხშირად მღერიან:
რომ მოწყვლადი აქვს ზიგფრიდს ტანზე ერთი ადგილი?

ჰაგენი
სულ დამავიწყდა, მართალია, რასაც შენ ამბობ,
მაგრამ მე ვიცი, რაც ამაზე თავად გვიამბო.
მახსოვს, ის რაღაც ფოთოლზე რომ ლაპარაკობდა,
თუმცა ამაოდ ვცდილობ მივხვდე, რას გულისხმობდა.

კრიმჰილდი
ცაცხვის ხის ფოთოლს.

ჰაგენი მართლაც! მაგრამ შენ ეს მითხარი:
როგორღა შეძლო მისი ვნება ცაცხვის ფოთოლმა?
მე სხვა ასეთი გამოცანა არც შემხვედრია.

კრიმჰილდი

მას ეს ფოთოლი ქარის სწრაფმა ქროლამ მიაგო,
სწორედ დრაკონის სისხლში როცა იპოხებოდა;
სადაც მიეკრა, ის ადგილი შერჩა მოწყვლადი.

ჰაგენი

რაკი ფოთოლი ვერ შენიშნა, ზურგზე მიჰკვრია! -
მერე რა! ხედავ, უახლოეს შენს ნათესავებს,
ჰო, შენს ძმებს, ვისაც მისი დაცვა შეეძლებოდათ,
საფრთხის ჩრდილიც რომ შეხებოდა მოულოდნელად,
ცოდნა არა აქვთ იმ მოწყვლადი ერთი ადგილის:
მაშ, რა გაშინებს? თავს იტანჯავ არაფრის გამო.

კრიმჰილდი

ვალკირიების მეშინია! როგორც ამბობენ,
ისინი მუდამ გამორჩეულ გმირებს ირჩევენ,
მათ მონიშნულს კი ბრმა მოისრეც ვერ ააცილებს.

ჰაგენი

თუკი ასეა, საჭიროებს ერთგულ მეაბჯრეს,
რომელიც მის ზურგს დაიცავდა. არ მეთანხმები?

კრიმჰილდი

დავიძინებდი უფრო მშვიდად.

ჰაგენი მაშ, ასე, კრიმჰილდ!
ის რომ, - შენ იცი, ერთხელ მას ეს თითქმის შეემთხვა, -
ფუჭი ნავიდან ღრმა რაინში ჩავარდნილიყო
და ამ დროს მძიმედ დაეზიდა აბჯარ-საჭურველს,
ხარბი თევზების გასახარად ქვემოთ წაელო,
ან ვუშველიდი ან მის კვალად ჩავეშვებოდი
ფსკერზე.

კრიმჰილდი ბიძია, ასეთ სულგრძელ ფიქრებს ინახავ?

ჰაგენი
სწორედ რომ ასეთს!.. მისი ციხე-დარბაზის თავზე
წითელ მამალს რომ დაეყივლა ყომრალ ღამეში
და მას, თვალების გახელამდე თითქმის გაგუდულს,
გზა ვერ გაეგნო, ჩემს მკლავებზე დავიწვენდი და
გამოვიყვანდი, მაგრამ ბედი თუ მიმუხთლებდა,
მაშინ გვნახავდნენ ჩვენ იქ ერთად დანახშირებულს.

კრიმჰილდი *(სურს მოეხვიოს)*
ბიძია...

ჰაგენი *(გაინაპირებს)*
კარგი! ვფიცავ, ასე მოვიქცეოდი.
დავძენ: მის მიმართ მცირე ხნის წინ გავხდი ასეთი!

კრიმჰილდი
მცირე ხანია მას მერე, რაც დანათესავდით!
მითხარი, სათქმელს თუ მიგიხვდი? შენ ისურვებდი,
თავად...

ჰაგენი ჰო! სწორედ ეს გითხარი! ის ჩემთვის იბრძვის
და მე უმცირეს წილს დავიდებ ვერვისგან დათვლილ
იმ სასწაულთა სიმრავლეში, რომლებსაც სჩადის,
ვიდრე იომებს, მე დავიცავ!

კრიმჰილდი არ მოველოდი
მე შენგან ამას!

ჰაგენი ოღონდ მისი დაცვა რომ შევძლო,
ადგილი უნდა აღმიწერო.

კრიმჰილდი ჰო, მართალია!
აი, აქ! ზუსტად ბეჭებს შორის, ეს ადგილია!

ჰაგენი
ზუსტად სამიზნის სიმაღლეზე!

კრიმჰილდი ბიძია, მას ხომ
არ აზღვევინებთ იმას, რაც მე მოვიმოქმედე?

ჰაგენი
როგორ იფიქრე!

კრიმჰილდი ეჭვი იყო, სხვა არაფერი,
რამაც გონება დამიბნელა, თორემ ბრუნჰილდის
ტრაბახს გულმშვიდად შევხვდებოდი!

ჰაგენი ეჭვიო, ამბობ!

კრიმჰილდი
მრცხვენია! მაგრამ იმ ღამით რომ ცემაზე მეტი
არც არაფერი მომხდარიყო - რაც მსურს ვირწმუნო -,
ამ ცემის გამოც დამტანჯავდა ეჭვი მის მიმართ!

ჰაგენი
დაავიწყდება, არაუშავს.

კრიმჰილდი ის მართალია,
რომ სმა და ჭამა აიკრძალა?

ჰაგენი იგი ყოველთვის
მარხულობს ამ დროს. ეს კვირაა ნორნების კვირა,
რომელსაც ახლაც თაყვანს სცემენ ისლანდიაში.

კრიმჰილდი
უკვე სამი დღე გაილია!

ჰაგენი ჩვენ რა გვანაღვლებს?
მოვრჩეთ. მოდიან.

კრიმჰილდი და?..

ჰაგენი რას იტყვი, არ აჯობებდა,
მის სამოსელზე ციცქნა ჯვარი ამოგექარგა?
ეს ყველაფერი, ვიცი, მართლაც სისულელეა,
ხოლო ზიგფრიდს თუ მოუყვები, მწარედ დაგცინებს,
მაგრამ მე ახლა რაკი უკვე მისი მცველი ვარ,
მსურს, არაფერი გამოვტოვო.

კრიმჰილდი ამოვუქარგავ!
(მიემართება უტესთან და კაპელანთან შესახვედრად.)

მეშვიდე სცენა

ჰაგენი *(კრიმჰილდის კვალად)*
აწ შენი გმირი კიდევ ერთი მხეცია ჩემთვის!
ზღვარი რომ ეცნო, იქნებოდა აკი უსაფრთხოდ,
მაგრამ ვიცოდი იმთავითვე, რაც მოხდებოდა.
როცა მწერს ჰგავხარ გამჭვირვალეს, რომლის სხეულსაც
მწვანე საკვები მწვანედ ფერავს, წითელი - წითლად,
საიდუმლოსგან თავსაც მტკიცედ უნდა იცავდე,
რადგან შენივე შიგნეული გაგცემს უეცრად! *(გადის)*

მერვე სცენა

შემოდიან უტე და კაპელანი.

კაპელანი

არ იპოვება სააბისო ნიმუში ქვეყნად!
თქვენ გსურთ, ნიადაგ ადარებდეთ და გსურთ, რომ ჩასწვდეთ,
ჩვენ კი არ გვივის არც ნიშანი და არც - მენაკი.
უფლის წინაშე დაემხეთ და ასე ილოცეთ
და თქვენ თუ მაშინ სინანულით და მორჩილებით
დაგავიწყდებათ თქვენი თავი, იქნებ მოხდეს და,
თუნდაც იმ დროით, რა დროითაც დედამიწაზე
ყოვნდება ელვა, აგიტაცოთ ზეცაში ლოცვამ.

უტე

და შეიძლება, რომ ეს მოხდეს?

კაპელანი

წმინდა სტეფანეს
როცა ქოლავდნენ მძვინვარებით გაცეცხლებული
ებრაელები, მან იხილა სამოთხის კარი
უკვე განხვნილი, და იმღერდა და უხაროდა.
როცა მკვლელები ქვებს ესროდნენ მის საწყალ სხეულს,
და ფიქრობდნენ, რომ ახვედრებდნენ ბრმა მრისხანებით,
სრულად განძარცვულს სამოსისგან, მას ისე უჩნდა,
შემოახვევდნენ თითქოს ტანზე დაძონძილ სამოსს.

უტე *(კრიმჰილდს, რომელიც მათ შეუერთდა)*
ყური დაუგდე, კრიმჰილდ!

კრიმჰილდი ვუსმენ.

კაპელანი
რწმენის! ახლა კი შეიმეცნეთ კრულვაც ყოველი
დაეჭვებისა! პეტრემ, ვისაც წელს ეკლესიის
ხმალი არტყია და უპყრია კლიტენი მისნი,
ერთი მოწაფე აღზარდა და ყველაზე მეტად
უყვარდა იგი. შემდგარიყო ერთხელ მოწაფე
კლდეზე, რომელსაც ველური ზღვა ეკვროდა ირგვლივ
და აწყდებოდა ზათქით. ამ დროს მას გაახსენდა
რწმენა, რომლითაც ბატონმა და მოძღვარმა მისმა
ნავი დატოვა ჩვენი მხსნელის პირველ ნიშანზე
და უმტკიცესი ნაბიჯებით შევიდა ზღვაში,
რომელიც იმას გარდაუვალ სიკვდილს უქადდა.
ამ გამოცდაზე ფიქრებმაც კი თავბრუ დაასხა
მოულოდნელად, და იმდენად შეუძლებელი
ეჩვენა მას ეს სასწაული, რომ ჩაეჭიდა
კლდის ძგიდეს, რათა ჩაქცევისგან დაეცვა თავი,
და იღრიალა: "ყველაფერი, ოღონდ ეს - არა!".
ამ დროს უფალმა დაჰბერა და მყისვე დაიფშვნა
მის ფეხქვეშ კბოდე, და დაცურდა, ქვე-ქვე დაეშვა,
და უიმედო, ატანილი შიშით და ძრწოლით,
ერთბაშად თავით გადაეშვა ღია მორევში.
მაგრამ მორევმა მარადისის იგივე ქროლვის
შეხება იგრძნო და მის ფეხქვეშ ისე გამყარდა,
როგორც ჩემს ფეხქვეშ და თქვენს ფეხქვეშ მყარია მიწა,
და სინანულით თქვა მან: "ღმერთო, დიდება შენდა!"

უტე
სამარადისოდ!

კრიმჰილდი მაშ, ილოცე, სათნო მამაო,
რომ იმან, ვისაც ქვა და წყალი ასე მორჩილებს,
ჩემი ზიგფრიდიც დაიფაროს. მე კი მის გვერდით

ყოფნის ყოველი წლისთვის, ჩემთვის ბოძებულისთვის,
ერთ წმინდანს მუდამ აღვუმართავ ერთ საკურთხეველს. *(გადის)*

კაპელანი

გიკვირს ასეთი სასწაული. ნება მომეცი,
ისიც გიამბო, როგორ გავხდი ღმერთის მსახური.
წარმომავლობით მე ვეკუთვნი ანგლების მოდგმას,
წარმართად ვიშვი იმ წარმართი ხალხის წიაღში.
ყოვლად ველური ვიზრდებოდი, თხუთმეტი წლისას
ხმალი მეკიდა უკვე წელზე. ხოლო ჩვენს შორის
უფლის პირველი მოციქულიც მაშინ გამოჩნდა.
შეურაცხყოფდნენ, დასცინოდნენ, და იქნა ბოლოს
მოკვდინებული. დედოფალო, მეც იქ ვიდექი,
სწორედ მე ვიყავ, ვინც, სხვებისგან წაქეზებულმა,
მას ბოლო დარტყმა მიაყენა, აი, ამ ხელით,
იმის მერე რომ არაფერში აღარ მარგია,
თუმცა გამხმარი სულ არ არის, როგორც თქვენ ფიქრობთ...
და მისი ლოცვა გავიგონე. ის ლოცულობდა
ჩემთვის. თქვა "ამინ" და აღმოხდა სული. მე ამან
ამომიბრუნა მკერდში გული, უმალ მიწაზე
დავაგდე ხმალი, შევიმოსე მისი სამოსით,
გამოვედი და შევუდექი ჯვრის ქადაგებას.

უტე

ჩემი ვაჟია, აქეთ მოდის! ო, რომ შეძლებდე
და სასახლეში იმ მშვიდობას დაგვიბრუნებდე,
რომელმაც ზურგი შეგვაქცია!

(ორივე გადის)

მეცხრე სცენა

შემოდის გუნთერი ჰაგენთან და სხვებთან ერთად.

გუნთერი
როგორც გითხარით:
ისე მოელის ჩვენს ქმედებას, როგორც ჩვენ ველით
ვაშლს, შემოდგომა როცა დგება. სადედოფლოში
მის საცდუნებლად თურმე ხორბლის ასი მარცვალი
მიმოუფანტავს იმ დედაბერს, მაგრამ - ამაოდ:
ხელუხლებელი ყრია ყველა.

გიზელჰერი
ეს როგორ ხდება,
რომ სიცოცხლის წილ იგი თავის სიცოცხლეს წირავს?

ჰაგენი
მეც ეს მინდოდა, რომ მეკითხა.

გუნთერი
ამასთანავე,
არც - ფორიაქი, არც - სისწრაფე, არც რამ ისეთი,
დროს და ადგილს და კაციშვილის ნება-სურვილებს
ბუნებრივად რომ ეხლართება, არა - შეკითხვა,
არც - იერსახის რამ ცვლილება, მხოლოდ ის უკვირს,
პირს რომ აღებენ, მაგრამ ჯერაც არ აუწყებენ:
აღვასრულეთო!

ჰაგენი
ჰოდა, ერთხელ კიდეც გითხარი:
ზიგფრიდით არის მონუსხული, და ამ სიძულვილს
საფუძვლად უდევს სიყვარული!

გუნთერი
შენც ასე ფიქრობ?

ჰაგენი
მაგრამ არ არის ეს ის ტრფობა, ქალს და მამაკაცს

რომ შეაერთებს!

გუნთერი მაშ, რა არის?

ჰაგენი ჯადოსაქმეა,
რომლის ძალითაც მის გვარს თავის გადარჩენა სურს,
ის აღძრავს ბოლო გოლიათ ქალს, მთლად უსურვილოდ
და უარჩევნოდ, გოლიათი ბოლო კაცისკენ.

გუნთერი
ეს რას ცვლის?

ჰაგენი რას და - სიკვდილია, რაც მას განჩხიბავს!
მის სისხლს გაყინავს ქვადქცეული სისხლი ზიგფრიდის,
რომელიც იყო მოვლენილი, რათა მოეკლა
ლინდვურმი, ხოლო დასდგომოდა მერე მისივ გზას.

(ისმის აურზაურის ხმა)

გუნთერი
რა ამბავია?

ჰაგენი ცრუ შიკრიკებს დევნის დანკვარტი.
კარგად უძღვება ის ამ საქმეს, ხომ მართალია?
ვინც მისცემია ალერსს, ეს ხმა მასაც მისწვდება!

მეათე სცენა

შემოდის ზიგფრიდი; მას ჰაგენი შენიშნავს.

ჰაგენი
ეშმაკის ჯარაც ამას ჰქვია! არა და არა!

ეს ჩვენს ღირსებას შელახავდა! დასტურ, ზიგფრიდიც
ჩემსავით ფიქრობს. აი, ვხედავ, ისიც მოსულა!
სიტყვა შენზეა, გადაწყვიტე!
(შემოდის დანკვარტი) თუმც შენი სიტყვა
ველარას შეცვლის, მისაგები მიგებულია,
(დანკვარტს) არ მეეჭვება, მათრახი რომ არ დაგიზოგავს!
(ზიგფრიდს) მაშ, შენმა დამღამ განამტკიცოს ჩვენი პასუხი!

ზიგფრიდი
რა მოხდა?

ჰაგენი რა და - ეს ძაღლები ახლა ხელახლა
გვთხოვენ მშვიდობას, მაგრამ ვბრძანე, ჩვენი კარიდან
ქვემძვრომ შიკრიკთა გაძევება, ვიდრე ისინი
სიტყვის სათქმელად პირს გახსნიდნენ.

ზიგფრიდი სწორიც გიქმნია!

ჰაგენი
მეფე კი მძრახავს და ფიქრობს, რომ არავინ იცის,
თუ რა მოხდება...

ზიგფრიდი მაშ, არავინ იცისო! აჰა!..
მე, ეს მე ვიცი! მგელს კუდში თუ წაავლე ხელი,
აღარ იქნება მისი ყბები საშიში!

ჰაგენი მართლაც!

ზიგფრიდი
კიდევ რა უნდათ! იმათ ზურგში ველური მოდგმის
ბევრნი და ბევრნი ფუთფუთებენ. მოსურვებიათ -
მოიმკონ, რაც არ დაუთესავთ.

ჰაგენი ახლა ხომ ხედავთ?

ზიგფრიდი
განა ისურვებთ მგლის დანდობას მხოლოდ იმიტომ,
რომ შესაფერი დრო ვერ ჰპოვა, თავი დაეცვა?

ჰაგენი
ცხადია, არა.

ზიგფრიდი მაშ, მელიებს მხარში დავუდგეთ
და შევამწყვდიოთ ჩვენ ეს მგელი ბოლო სოროში,
ანუ - სწორედაც მათ მუცელში!

ჰაგენი ასე მოვიქცეთ,
ოღონდ არ ვფიქრობ, გაცხარება იყოს საჭირო,
და გირჩევთ, რომ დღეს ვინადიროთ.

გიზელჰერი მე არ წამოვალ.

გერენოტი
არც მე წამოვალ.

ზიგფრიდი განა ასეთ თამამ ყმაწვილებს
გსურთ, ნადირობას გამოაკლდეთ და შინ დაგვირჩეთ?
მე დასაბმელი გაუხდებოდი, და რომც დავებით,
ბაწარს დავღრღნიდი. ნადირობას რა შეედრება!
და სიმღერაც რომ წამოგვეწყო!

ჰაგენი მაშ, თანახმა ხარ?

ზიგფრიდი
თანახმა? ბრაზით და რისხვით ვარ სავსე, ძმობილო,

ქიშპი მწყურია მე ყველასთან, და უნდა ვნახო
ამიტომ სისხლი!

ჰაგენი უნდა ნახო? მეც უნდა ვნახო!

მეთერთმეტე სცენა

მოდის კრიმჰილდი.

კრიმჰილდი
ნადირობა გაქვთ განზრახული?

ზიგფრიდი დიახ! სამწვადის
შეკვეთას ვიღებ!

კრიმჰილდი გთხოვ, შინ დარჩი, ძვირფასო ზიგფრიდ!

ზიგფრიდი
ჩემო პატარავ, ნაადრევი სულ არ იქნება
შენთვის ეს ცოდნა: შინ დარჩიო, კაცს არავინ სთხოვს!
მას სთხოვენ, რომ თან წაიყვანონ!

კრიმჰილდი თან წამიყვანე!

ჰაგენი
ეს არ გამოვა!

ზიგფრიდი ვითომ რატომ? თუ გულადია?
განა ისეთი რა მოხდება, რაც არ მომხდარა!
აბა, მიჰგვარეთ შევარდენი! რაც ფრენს, მას ერგოს,
ჩვენ კი - რაც რბის და რაც ნავარდობს. მაშ, მოვილხინოთ!

ჰაგენი
ერთი სირცხვილით ოთახში რომ გამოკეტილა,
მეორე ამ დროს სანადიროდ ტყე-ტყე ვატაროთ?
დაემსგავსება ეს დაცინვას!

ზიგფრიდი მართლაც, ამაზე
არ მიფიქრია. არ ეგება.

კრიმჰილდი სამოსი მაინც
გამოიცვალე!

ზიგფრიდი სამოსიო? ყველა შენს სურვილს
შევასრულებ და ახირებას - არა.

კრიმჰილდი მკაცრი ხარ.

ზიგფრიდი
ჰოდა, გამიშვი! ეს სიმკაცრე ქარმა წაიღოს,
ხვალ საღამოს კი მოგივალ და პატიებას გთხოვ!

ჰაგენი
წავიდეთ!

ზიგფრიდი მოვქრი! ერთი კოცნა დამშვიდობების.
(კრიმჰილდს იხუტებს)
არ იბუტები? შენც ჩემსავით - ხვალ საღამოსო! -
არ იტყვი? დიდსულოვანი ხარ!

კრიმჰილდი შენ დამიბრუნდი!

ზიგფრიდი
რა უცნაური სურვილია! რა გემართება?

მე ხომ პირუთვნელ მეგობრებთან ერთად მივდივარ,
და მთები თუ არ ჩამოგვექცნენ და არ დაგვემხნენ
თავზე, სხვა იქ ჩვენ არაფერი დაგვიშავდება!

კრიმჰილდი
ვაი, რომ სწორედ იმას ამბობ, რაც მე მესიზმრა!

ზიგფრიდი
ჩემო პატარავ, მყარად დგანან.

კრიმჰილდი *(კიდევ ერთხელ მოეხვევა)*
ოღონდ დაბრუნდი!

(რაინდები გადიან)

მეთორმეტე სცენა

კრიმჰილდი
ზიგფრიდ!

ზიგფრიდი *(კიდევ ერთხელ გამოჩნდება)*
რა ხდება?

კრიმჰილდი თუკი შენ არ გამიბრაზდები...

ჰაგენი *(სწრაფად მიჰყვება ზიგფრიდს)*
მონახე შენი თითისტარი?

ზიგფრიდი აი, ხომ გესმის,
ძაღლებმა ისე აიწყვიტეს, ველარ ვაკავებთ,
როგორ მოვიქცე?

ჰაგენი დაელოდე სელის ანაძენძს!
უნდა დაართო მთვარის შუქზე დრუდებთან ერთად.

კრიმჰილდი
წადით! მინდოდა, შენთვის კიდევ შემეკლო თვალი!

ჰაგენი და ზიგფრიდი *(გადიან)*

მეცამეტე სცენა

კრიმჰილდი
კიდევ ათჯერ რომ მოვუხმო და შემოვაბრუნო,
გაბედულება არ მეყოფა ამის სათქმელად.
როგორ ჩავდივართ იმას, რასაც მაშინვე ვნანობთ!

მეთოთხმეტე სცენა

შემოდიან გერენოტი და გიზელჰერი.

კრიმჰილდი
თქვენ ჯერაც აქ ხართ? ეს ხომ ღმერთის საჩუქარია!
ძვირფასო ძმებო, გევედრებით მთელი არსებით,
ერთი სურვილი შემისრულეთ, რარიგ ბრიყვულიც
უნდა გეჩვენოთ. არ მოსცილდეთ თქვენ ჩემს მეუღლეს
თუნდაც ნაბიჯით, გამუდმებით ზურგში ედექით.

გერენოტი
ჩვენ არ გავყევით, ნადირობის ხალისი არ გვაქვს.

კრიმჰილდი
ხალისი არ გაქვთ!

გიზელჰერი დრო არ გვაქვს და არა - ხალისი!
ბევრი რამ არის მოსასწრები გამგზავრებამდე.

კრიმჰილდი
და თქვენ, ყმაწვილებს, დაგევალათ ეს ყველაფერი?
თქვენთვის თუ მართლაც ძვირფასი ვარ და ისიც გახსოვთ,
რომ ჩვენ, სამივე, ერთი დედის რძით ვართ გაზრდილი,
მისკენ იჩქარეთ.

გიზელჰერი რა ხანია, ტყეში არიან.

გერენოტი
შენი ერთ-ერთი ძმაც იქ არის, ბოლოს და ბოლოს.

კრიმჰილდი
გემუდარებით!

გიზელჰერი იარაღი უნდა გავსინჯოთ,
შენ თვითონ ნახავ. *(წასვლა სურს)*

კრიმჰილდი მაშინ მხოლოდ ერთი მითხარით:
თუ ძმობს ჰაგენი ზიგფრიდს?

გერენოტი რატომ არ უნდა ძმობდეს?

კრიმჰილდი
იგი ოდესმე თუ უქია?

გიზელჰერი ცხადია, აქებს,
თუ არ აძაგებს, მე კი ყური ჯერ არ მომიკრავს,
ეძაგებინოს მას ზიგფრიდი.

(ორივე გადის)

კრიმჰილდი სხვა ყველაფერზე
მეტად ეს მზარავს. ესენი რომ იქ არ არიან!

მეთხუთმეტე სცენა

შემოდის ფრიგა.

კრიმჰილდი
შენ ხარ, მოხუცო? მე მეძებდი?

ფრიგა არავის ვეძებ.

კრიმჰილდი
ან, იქნებ, სულაც დედოფლისთვის ისურვებ რამეს?

ფრიგა
არც რა სჭირდება.

კრიმჰილდი არც რა, არც რა, ისევ და ისევ!
არ შეუძლია, მაპატიოს?

ფრიგა მე ეს არ ვიცი!
არ მისცემია საბაბი, რომ გამოეხატა,
გული არავის უტკენია! ბუკის ხმა მომწვდა,
დღეს ნადირობენ?

კრიმჰილდი შენ ინებე ეს ნადირობა?

ფრიგა
მე!.. არა! *(გადის)*

მეთექვსმეტე სცენა

კრიმჰილდი ო, მე ზიგფრიდისთვის ეს უნდა მეთქვა!
უძვირფასესო მეუღლეო, რა ნათლად ვხედავ,
რომ ქალი მართლაც არ გცნობია! თორემ არასდროს
ანდობდი ასეთ საიდუმლოს აცახცახებულ
არსებას, შიშმა თავი ვისაც გააცემინა!
ახლაც ჩამესმის ის ხუმრობა, რომლით ნაფერი,
გამანდე შენ ეს საიდუმლო ჩურჩულით, როცა
დრაკონს ვაქებდი! მე ვიყავი, ვინც დაგაფიცა,
რომ ქვეყნად არვის გაუმხელდი ოდესმე ამას,
ახლა კი... თავს რომ დამტრიალებთ, ჩემო ფრთოსნებო,
თეთრო მტრედებო, განუყრელო თანამგზავრებო,
გთხოვთ შემიბრალოთ, გააფრთხილოთ, მისკენ ისწრაფოთ!

მეხუთე აქტი

ოდენვალდი.

პირველი სცენა

შემოდიან ჰაგენი, გუნთერი, ფოლკერი, დანკვარტი და მსახურები.

ჰაგენი
ეს ადგილია. გესმით კიდეც წყაროს რაკრაკი,
ბუჩქნარი მალავს. დასალევად ვინც დაიხრება,
აქ თუ დავდგები, მივაჭედებ მე იმას შუბით
ამ გალავანზე.

გუნთერი მე ეს ჯერ არ მიბრძანებია.

ჰაგენი
მაგრამ შენ ასე მოიქცევი, სწორად თუ განსჯი,
სხვა ხერხი მართლა არ არსებობს, და არ დადგება
სხვა ასეთი დღე, დღეს რომ არის. თქვი ამიტომაც,
და თუ დუმილი გირჩევნია, დადუმდი!
(მსახურთა მიმართ) ჰეი!
აქ დავისვენოთ!

(მსახურები ტრაპეზს შლიან)

გუნთერი შენ მას მიწყივ ავად უმზერდი.

ჰაგენი
მე არ მსურს იმის უარყოფა, რომ სიხარულით
მსახურობს ჩემი ეს მარჯვენა და ნებისმიერს
შევებმებოდი მხოლოდ მაშინ, თუ ეცდებოდა,
ჩემს და მას შორის ჩამდგარიყო, თუმც ამის გამო
ნაკლებ როდი ვცნობ მე ამ საქმეს სამართლიანად.

გუნთერი
და მაინც, ეს გზა ჩემმა ძმებმა მყისვე უარყვეს
და ჩვენ მათ ზურგი შეგვაქციეს.

ჰაგენი განა გაბედეს
იმავდროულად მასზე ზრუნვა და საქმის ჩაშლა?
დიახაც გრძნობენ ისინი, რომ ჩვენ მართლები ვართ,
და მხოლოდ ზაფრავთ, როგორც ყველა ყმაწვილს სჩვევია,
სისხლი, რომელიც არ იღვრება ღია ბრძოლაში.

გუნთერი
და ასეც არის!

ჰაგენი ის ხომ სიკვდილს დაეპატრონა,
რითაც მკვლელობა ააზატა.
(მსახურთა მიმართ) აბა, ბუკს ჰკარით
და ყველამ თავი მოიყაროს, რადგან ჯერ უნდა
დავნაყრდეთ.

(ბუკს აჟღერებენ)

შექმნილ ვითარებას თვალი უსწორე
და მოქმედება დამანებე. თუ შენი გული
არ დასერილა, და რაც მოხდა, გსურს აპატიო,
ნება შენია, შენს მსახურს კი ხელს ნუ შეუშლი,
შური იძიოს გმირთა სწორი შენი ცოლისთვის
და იხსნას კიდეც! დადებულ ფიცს ის არ გადავა,
ხოლო ჩვენდამი მშვიდი რწმენა - რომ აღთქმის ხუნდებს
სწორედ ჩვენ ავხსნით - მას თუ ერთხელ გაუცრუვდება,
მაშინ სიცოცხლის უსამანო ის სიხარული,
ისევ რომ უნდა ეჩუხჩუხა მის ნორჩ ძარღვებში,
სიკვდილის ჟამით მოწევნილ ბინდს როგორც კი იგრძნობს,
ერთადერთ წყევლად იხუვლებს და სხვადაც არაფრად,
შენს თავს დანთხეულ უკანასკნელ, ერთადერთ წყევლად!

გუნთერი
დრო კიდევ არის!

მეორე სცენა

შემოდის ზიგფრიდი რუმოლტთან და მოსამსახურეებთან ერთად.

ზიგფრიდი მეც მოვედი! აბა, მიჩვენეთ,
ნანადირევი სად გიწყვიათ, მონადირენო?

ჩემსას საზიდრით მოგართმევდით, მაგრამ ვაგლახად
დაგვემტვრა იგი!

ჰაგენი მე დღეს მარტო ლომზე ვნადირობ,
მაგრამ ჯერაც ვერ მოვიხელთე.

ზიგფრიდი არც მეეჭვება,
რადგან ეგ ლომი მე მოვკალი!.. სუფრა იშლება:
სწორედ რომ ერთობ დროულია! ვინც ითავკაცა,
ჩაჰბერეთ იმის საქებარი... აქაც წყეული
ყორნები?.. ისე ჩაჰბერეთ, რომ ბუკები დასკდეს!..
მაინც რა მხეცით არ დავაძღე ამათი ჯოგი,
სულ ბოლოს იყო, მელია რომ მიიღეს ჩემგან,
მაგრამ არ ჰყოფნით, არადა ამ ახასხასებულ
მწვანეში ისე ამაზრზენი არაფერია,
როგორც თვით ეშმაკს მინამსგავსი მათი სიშავე.
ასე მტერედებს რომ მოეყარათ ჩემს ირგვლივ თავი!
გადაღამებას აქ ვაპირებთ?

გუნთერი ასე ვიფიქრეთ...

ზიგფრიდი

ჰეი, ადგილი ჩინებულად შეგირჩევიათ.
იმ პირდაფჩენილ, ფუტურო ხეს დავისაკუთრებ!
მე ხომ სიყრმიდან ნაჩვევი ვარ ამ ყოველივეს,
და სხვა იმაზე უკეთესი არც რა მეგულვის,
მთელი ღამე რომ რბილ ბრელოში ჩაგირგავს თავი,
ძილ-ღვიძილს შორის მისცემიხარ თვლემა-ზმანებას,
მერე კი ერთობ ნება-ნება, ერთურთის კვალად
ახმიანებულ-გალაღებულ ჩიტებთან ერთად,
დროის სვლას ითვლი, აი, ასე: ტიკ-ტიკ, ტიკ-ტიკ-ტიკ!
უკვე ორია. ჭიკ-ჭიკ, ჭიკ-ჭიკ! გაიზმორები.

ჟივ-ჟივ, ჟივ-ჟივ-ჟივ! მზემ თვალები დაახამხამა
და მეყვსეულად ახელს კიდეც. ყიყლი, ყიყლიყო!
აბა, წამოხტით, ცემინება თუ არ გსურთ.

ფოლკერი მართლაც,
ისე ჩანს, თითქოს თავად დროა, მათ რომ აღვიძებს,
როცა ის ჯერაც წყვდიადშია დაუნჯებული,
რათა უწყვეტად აუქცერონ დინების ტაქტი.
და თანაბარი დახანებით, ვით მინის ძაბრში
იცლება ქვიშა ან საათზე როგორც მიცოცავს
მზისმაჩვენებლის გრძელი ჩრდილი, ენაცვლებიან
ერთურთს როჭო და შავი შაშვი და ასპუჭაკა
და ხელს არ უშლის, როგორც დღისით, ერთი მეორეს,
დრო თითოეულს მაშინ იწვევს, როცა ჯერია.
ეს არაერთხელ შემინიშნავს.

ზიგფრიდი ხომ მართალია?..
არ გიხარია, ჩემო ქვისლო!

გუნთერი ცდები!

ზიგფრიდი ო, არა!
მინახავს ხალხი, ქორწილში რომ მიუხარია,
და - მიცვალებულს რომ აცილებს, და შემიძლია
მათი იერი განვასხვავო. აი, მომბაძეთ
და მოიქეცით ისე, თითქოს ერთურთს არ ვიცნობთ
და გადავაწყდით ამ დროს ტყეში, ხოლო ალაფით
ერთი ასეა დატვირთული, მეორე - ისე.
ერთად შევყაროთ ყოველივე, რაც გაგვაჩნია,
და იგი ერთურთს სიხარულით გავუზიაროთ.
ჰოდა, შევუდგეთ, მე გთავაზობთ ყველა სახის ხორცს,
თქვენ კი სანაცვლოდ ამ ხარის და ამ ხუთი ტახის

და ოცდაათი თუ ორმოცი ირმის და, აქვე,
იმდენი ქათმის, თქვენ რამდენსაც მოერეოდეთ,
ლომს და დათვებს თუ არ მივათვლით ამ ნანადირევს,
სულ ერთი კათხა ციცი ღვინო გამომიწოდეთ.

ᲓᲐᲜᲙᲕᲐᲠᲢᲘ
ვაგლახ!

ᲖᲘᲒᲤᲠᲘᲓᲘ რა მოხდა?

ᲰᲐᲒᲔᲜᲘ დავკარგეთ სწორედ სასმელი.

ᲖᲘᲒᲤᲠᲘᲓᲘ
მჯერა. და ყველა მონადირეს ეს შეიძლება
შეემთხვეს, როცა ნაღვერდალი ულვივის პირში
ნაცვლად ენისა, დასვენების დრო როცა დგება.
მაშ, როგორც ძაღლმა, ახლა თავად უნდა ვეძებო,
თუმც კი მისებრ ცხვირს, სამწუხაროდ, მოკლებული ვარ,
დე, ასე იყოს, ოხუნჯობა მაინც შემრჩება. *(ეძებს)*
აქ კასრს ვერ ვხედავ! არც აქ არის! სად მემალება?
გთხოვ, შემეშველე, მემუსიკევ, თორემ ყველაზე
ხმახაფი კაცი უჩუმესად გადაგექცევით.

ᲰᲐᲒᲔᲜᲘ
შესაძლოც არის, რაკი ღვინო არ გაგვაჩნია.

ᲖᲘᲒᲤᲠᲘᲓᲘ
ჰოდა, ეშმაკის გზაც ჰქონია თქვენს ნადირობას,
თუ მონადირეს შესატყვისად არ მომეპყრობით!
სასმელზე მაინც რომელ თქვენგანს უნდა ეზრუნა?

ᲰᲐᲒᲔᲜᲘ
მე!.. მაგრამ რაკი არ ვიცოდი, სად მოვხვდებოდით,

შპესარტს გავგზავნე, სადაც, ვფიქრობ, მისი დამლევი
არავინ არის.

ზიგფრიდი იმსახურებ მართლაც მადლობას!
რაო, აქ წყალიც არსად არის? დაისის ცვარ-ნამს
უნდა დავჯერდეთ და ფოთლებზე შერჩენილ წვეთებს
თუ ვნახავთ, ენა გავისველოთ?

ჰაგენი პირი დახურე
და შენივ ყური განუგეშებს!

ზიგფრიდი *(აყურადებს)*
ჰო, მორაკრაკებს!
მოგესალმები, ნაკადულო! მე, მართალია,
მეყვარებოდი უფრო მეტად, ქვიდან მხლტომარეს
ასე სწრაფად რომ არ გეპოვნა შენ ჩემი ბაგე
და დაკლაკნილი გზებით ვაზი რომ გამოგევლო,
რამეთუ შორი იმ მგზავრობით ბევრს მომიტანდი,
იმას, რაც ჩვენს თავს მხიარული სიშლეგით ავსებს,
თუმცა ასეთსაც ქებას გიძღვნი!
(მიდის წყაროსკენ) მაგრამ ჯერ - არა,
ჯერ მსურს, რომ თავი დავისაჯო, თქვენ კი მემოწმეთ,
რომ სწორედ ასე მოვიქეცი. მე ვარ თქვენს შორის
უმწყურვალესი, და მე მინდა, ბოლოს დავლიო,
რაკი კრიმჰილდის მიმართ ოდნავ მკაცრი ვიყავი.

ჰაგენი
მაშინ პირველი მე ვიქნები. *(მიდის წყაროსკენ)*

ზიგფრიდი *(გუნთერს)* გამხიარულდი,
მე ვიცი ხერხი, ბრუნჰილდს როგორც შემოვირიგებთ,
პირველ კოცნამდე შენ დიდი გზა სულაც არ გიდევს,

და მინდა, თავი შევიკავო ისე, როგორც - შენ.

ჰაგენი *(ბრუნდება და იარაღს აიყრის)*
ვერ დავლევ, თუ არ დავიხრები, ამით ვერ შევძლებ. *(კვლავ მიდის წყაროსკენ)*

ზიგფრიდი
კრიმჰილდს ნებავს, რომ მთელი შენი ხალხის წინაშე,
ვიდრე დაგტოვებთ, პატიება ითხოვოს მისგან,
თავად იფიცა, თუმც ისურვა, ღაწვშეფაკლული
მყის გზას გაუდგეს.

ჰაგენი *(ისევ ბრუნდება)*
ყინულივით ცივი წყალია.

ზიგფრიდი
შემდეგი?

ფოლკერი ჩვენ ჯერ დავნაყრდებით.

ზიგფრიდი კეთილი!
(მიდის წყაროსკენ, მაგრამ ისევ ბრუნდება) ასე!
(იარაღს აიყრის და მიდის)

ჰაგენი *(იარაღზე მითითებით)*
ეს მოაშორეთ.

დანკვარტი *(იარაღი გააქვს)*

ჰაგენი *(რომელმაც თავისი იარაღი ისევ აისხა და, გუნთერისკენ განუწყვეტლივ ზურგშექცეული, გაექანება და შუბს გატყორცნის)*

ზიგფრიდი *(შეჰყვირებს)*
ძმებო!

ჰაგენი *(შესძახებს)*
ჯერ არ ჩაჩუმებულხარ?
(დანარჩენებს) თქვენ არაფერი უპასუხოთ, რაც არ უნდა თქვას!

ზიგფრიდი *(მათკენ მოხოხავს)*
მკვლელობა! მომკლეს!.. ეს - თქვენ? სმისას! გუნთერ, ო, გუნთერ,
ვიმსახურებდი შენგან ამას? ერთგულად გედექ
ყველა ჭირსა და განსაცდელში.

ჰაგენი აბა, შესხიპეთ
ხეებს ტოტები საკაცისთვის, ოღონდ - ძლიერი,
მკვდარი მძიმეა. ჩქარა!

ზიგფრიდი მოვკვდი, მაგრამ ბოლომდე
ჯერ არ მოვმკვდარვარ!
(ზე წამოიჭრება) ჩემი ხმალი სად დაიკარგა?
გადაუმალავთ. სიმამაცეს გაფიცებ, ჰაგენ,
ხმალი მიეცი მკვდარ კაცს! მე შენ, აი, ახლაც კი
ბრძოლაში გიწვევ!

ჰაგენი ჯერაც იმ მტრის ძებნას განაგრძობს,
რომელიც თავის პირშივე ჰყავს.

ზიგფრიდი ისე ვილევი,
როგორც სანთელი ანთებული, სწრაფად რომ იწვის,
მაგრამ ეს მკვლელი მე იარაღს მაინც არ მაძლევს,
თუნდაც უმცირეს ღირსებას რაც დაუბრუნებდა.
ფუი ლაჩრობას! ჩემი ცერა თითი აშინებს,
აკი ესღა ვარ, ჩემივ ცერი.

(თავის ფარზე წაიბორძიკებს) შენ, ჩემო ფარო!
ერთგულო ფარო, ამ ძაღლს შენით გავუსწორდები!
(ფარის ასაღებად იხრება, მაგრამ ვერ შეძლებს და ბარბაცით ისევ აიმართება)
ისეა, თითქოს მიულურსმავთ! დამიგვიანდა
თუნდაც ასეთი შურისგება!

ჰაგენი ჰა! ამ მოლაყბეს
ჭარტალა ენა, ჯერაც ლაგამამოუდები,
იმ კბილებით რომ გაესრისა, რომელთა შორის
სცოდავდა იგი დაუსჯელად ამდენი ხანი!
მართლაც შეძლებდა შურისგებას, აკი ამ ენამ
მოულო ბოლო.

ზიგფრიდი სიცრუეა! ეს შენი შურის
ნახელავია!

ჰაგენი ჩუმად! ჩუმად!

ზიგფრიდი მკვდარს ემუქრები?
კარგად მისვრია, რაკი შენთვის კვლავ ცოცხალი ვარ!
მაშ, იმოქმედე, დავეცემი ახლა თავადვე,
და შეგიძლია დამაფურთხო, როგორც მტვრის გროვას,
დავეცი კიდეც... *(ძირს ენარცხება)*
მოიშორეთ უკვე ზიგფრიდი!
მაგრამ იცოდეთ, მისით თქვენს თავს მოულეთ ბოლო,
ვინლა გენდობათ! თქვენზეც ისე ინადირებენ,
როგორც მე მსურდა დანიელთა მოსპობა...

ჰაგენი ამ ბრიყვს
ჯერ კიდევ სჯერა ჩვენი ხრიკის!

ზიგფრიდი

ეს სიცრუეა?
მზარავს! მაძრწუნებს! კაციშვილმა ასე იცრუოს!..
მაგრამ კეთილი! სულ მარტო ხართ ამიერიდან!
ყველა მაწყევრის წყევლას იწვნევთ, ასე იტყვიან:
გომბეშოები, გველგესლები და ბურგუნდები!..
არა, თქვენ - თავში, რაკი თქვენთვის გაქრა ღირსება,
დიდებაც, კეთილშობილებაც ჩემსავით გაქრა!
მაშ: ბურგუნდები, გველგესლები, გომბეშოები!
არც ზომა უდევს და არც ზღვარი უკეთურებას!
გულის გაპობაც შეუძლია კაცის ხელს, მაგრამ,
უეჭველია, ეს მას ბოლო საქმედ ექცევა!
ჩემო საბრალო, წინათმგრძნობო ჩემო მეუღლევ,
როგორ დაითმენ ამ ყველაფერს! თუ მეფე გუნთერს
შერჩა ნასახი სიყვარულის და ერთგულების,
დაე, შენს მიმართ მოაქცევდეს ორივეს!.. თუმცა
გიჯობს, წახვიდე მამაჩემთან!.. თუ გესმის, კრიმჰილდ?
(კვდება)

ჰაგენი

ახლა დუმს. მაგრამ ახლა წვლილად ვერ ჩაეთვლება!

დანკვარტი

რა ვთქვათ?

ჰაგენი თქვით რამე სულელური! რომ ის წიწვნარში
მოუკლავთ თურმე ავაზაკებს. თუმც კი არავინ
ირწმუნებს ამას, მე ვფიქრობ, რომ მატყუარებსაც
ვერვინ გვიწოდებს! ჩვენ ხომ ისევ იქ ვიმყოფებით,
სადაც პასუხი არავისგან მოგვეთხოვება,
და ცეცხლივით და წყალივით ვართ. როცა რაინი
კალაპოტიდან გადმორღვევის მიზეზს მოჩმახავს,

ხოლო ხანძარი მოთხზავს, მაინც რატომ იფეთქა,
თავი ჩვენც მაშინ ავიტკიოთ. ჩემო მეფეო,
გახსოვდეს, რომ შენ არაფერი გიბრძანებია,
მე ვარ თავდები ერთადერთი... ახლა წაიღეთ!

(გვამი გააქვთ და ყველანი გადიან)

მესამე სცენა

კრიმჰილდის მოსასვენებელი ოთახი, გვიანი ღამე.

კრიმჰილდი

ერთობ ადრეა, ჩემმა სისხლმა გამომაღვიძა,
არა - მამალმა, რომლის ყივილს, ასე მეგონა,
ცხადად ვისმენდი.
(სარკმელთან მივა და ერთ დარაბას აღებს)
ვარსკვლავები ჯერ არ ჩამქრალან,
უდავოდ მთელი საათია ჯერაც წირვამდე!
ერთი სული მაქვს, დღეს ტაძარში მალე ვილოცო.

მეოთხე სცენა

ფრთხილად შემოდის უტე.

უტე

უკვე ადექი, კრიმჰილდ?

კრიმჰილდი
როგორ მაკვირვებ, დედა!
შენ ხომ წესად გაქვს, ალიონზე ინებო ძილი
და გაგაღვიძოს, მინდობილი დედის სამართალს,

ყოველთვის შენმა ქალიშვილმა, რომელსაც ერთ დროს
შენ აღვიძებდი.

უტე დღეს ისეთი ხმაური იყო,
რომ დაძინება გამიძნელდა.

კრიმჰილდი შენც გაიგონე?

უტე
ჰო, ასე ხდება, როცა კაცებს ჩუმად ყოფნა სურთ.

კრიმჰილდი
მაშ, არ შევმცდარვარ.

უტე მაშინ, როცა სუნთქვას იკრავენ,
ხელიდან ხმალი უვარდებათ! ფეხის წვერებზე
დგანან და ღუმელს დაამხობენ! ძაღლს აჩუმებენ
და იქვე თათზე აბიჯებენ!

კრიმჰილდი როგორც ჩანს, უკვე
დაბრუნდნენ.

უტე მონადირეები?

კრიმჰილდი ერთი პირობა
ჩამესმა, თითქოს ფეხაკრეფით მოადგა ვიღაც
ჩემს კარს. ზიგფრიდი არის-მეთქი, ვიფიქრე.

უტე მერე?
რომ არ გეძინა, არ ანიშნე?

კრიმჰილდი არა.

უტე ზიგფრიდიც
შეიძლებოდა ყოფილიყო! თუმცა იგი ხომ
არ წავიდოდა ნაჩქარევად.

კრიმჰილდი მეც ასე ვფიქრობ!
და არც კაკუნი გამიგია.

უტე აკი ისინი,
როგორც მე ვიცი, მოსალხენად სულ არ აღძრულან,
უნდათ, სიმშვიდე მოუპოვონ ჩვენს მდაბიურებს,
რომლებიც ყველა გუთნის დაწვით იმუქრებიან,
მიწყივ ტახები რაკი მკიან იმათ დათესილს!

კრიმჰილდი
მართლა?

უტე კაბითაც შემოსილხარ შენ უკვე, შვილო,
მაგრამ მოახლეს რატომ ერთსაც ვერ ვხედავ?

კრიმჰილდი მინდა
გავიგო, მათში თვალს პირველი რომელი ახელს,
გამახალისა კიდეც ამან.

უტე მე რიგრიგობით
სანთლის შუქს ყველა იმათგანის სახე ვუჩვენე.
ყველას ასაკის წესით სძინავს! ხუთი და ექვსი
წლისას მოჰგვანან თხუთმეტის და თექვსმეტისანი.
ჩვიდმეტის ხედავს სიზმრებს, ხოლო თვრამეტის - ფიქრებს,
ცხრამეტის - უკვე მთლად სურვილებს...

მეხუთე სცენა

კარისკაცი *(კართან შეჰყვირებს)* წმინდაო ღმერთო!

უტე
რა ხდება? ეს რა ყვირილია?

კარისკაცი *(შემოდის)* ლამის დავეცი.

უტე
და ასე ამის გამო ყვირი?

კარისკაცი მკვდარი კაცია!

უტე
რა თქვი? როგორ თქვი?

კარისკაცი იქ, კარის წინ, მკვდარი კაცი წევს.

უტე
მკვდარი კაცი წევს?

კრიმჰილდი *(წაიქცევა)* ის, ვინც იქ წევს, ჩემი ქმარია!

უტე *(ხელს სტაცებს)*
არა! *(კარისკაცს)*
უნათე!

კარისკაცი *(მიუნათებს და მერე თავს დააქნევს)*

უტე ზიგფრიდია?.. მკვდარია! მოკლეს!
გამოიღვიძეთ!

კარისკაცი დაგვეხმარეთ!

(შემორბიან მოახლე გოგოები)

უტე ვაი შენს კრიმჰილდს!

კრიმჰილდი *(დგება)*
ბრუნჰილდის რჩევით, ეს ჰაგენის ჩადენილია!..
სანათი!

უტე შვილო! ის...

კრიმჰილდი *(სანთელს ხელს სტაცებს)*
ასეა! ვიცი, მე ვიცი!
ოღონდ არავინ დააბიჯოს. აკი გესმოდა,
კარისკაცები ბორძიკობენ... კარისკაცები!..
იმაზე, ვისაც ყველა მეფე უფრთხოდა.

უტე აქეთ...

კრიმჰილდი
არა, მე თავად მოვათავსებ.
(კარს გამოალებს და წაიქცევა)
ო, დედა, დედა,
ნეტავი სულ არ გაგეჩინე!.. ძვირფასო თავო,
პირველად ხდება, რომ გკოცნი და ბაგეს არ ვეძებ,
ის ყველგან არის. შენ თავს უკვე ველარ დაიცავ,
თორემ იქმოდი ალბათ ამას, ეს ტუჩები ხომ...
როგორ გავუძლო!

კარისკაცი ის მოკვდება.

უტე მე ვუსურვებდი,

რომ სწორედ ასე მომხდარიყო!

მეექვსე სცენა

შემოდის გუნთერი დანკვარტთან, რუმოლტთან, გიზელჰერთან და გერენოტთან ერთად.

უტე *(გუნთერისკენ მიემართება)* რა მოხდა, შვილო?

გუნთერი
თავადვე მინდა, რომ ვიტირო... თქვენ ასე მალე
როგორ შეიტყვეთ? მღვდელმსახურის წმინდა პირიდან
უნდა გაგეგოთ ყოველივე, ჯერ კიდევ ღამით
მას ვანდე მე ეს დავალება.

უტე *(ხელის ერთი მოძრაობით)* აი, ხომ ხედავ,
თვით მოგვიტანა ეს უწყება საბრალო მკვდარმა!

გუნთერი *(დანკვარტს - ფარულად)*
ეს როგორ მოხდა?

დანკვარტი ეს ჩემი ძმის ნახელავია!

გუნთერი
ფუი!

დანკვარტი
ვერაფრით დავუშალეთ ამის ჩადენა,
და რომ დაბრუნდა, იცინოდა: უკანასკნელი
მისი სიტყვების საპასუხოდ მადლობა ვთქვიო.

მეშვიდე სცენა

კაპელანი *(შემოდის)*

გუნთერი *(მისკენ მიემართება)*
დავიგვიანეთ!

კაპელანი და წიწვნარში ეს კაცი მოკლეს?!

დანკვარტი
შემთხვევა ექცა დამგეზებლად ავაზაკის შუბს,
რომელიც მოწყვლად ადგილს მოხვდა. ამგვარად ძალუძთ
გოლიათების მოკვლა ბალღებს.

უტე *(მოახლე გოგოებთან ერთად განუწყვეტლივ კრიმჰილდს რომ დასტრიალებს)* ადექი, კრიმჰილდ!

კრიმჰილდი
კვლავ განშორება? არა! ისე შემოვეჯდობი,
რომ მასთან ერთად მეც დამმარხოთ ან დამანებოთ
მისი სხეული. არ დამცალდა ცოცხლის ალერსი,
ამიტომ ახლა გარდაცვლილი უნდა შევიტკბო.
ო, პირიქით რომ ყოფილიყო! მისთვის თვალებში
ერთხელაც კი არ მიკოცნია! ახლაღა ვსწავლობ!
გვეგონა, გვქონდა ულევი დრო.

უტე ადექი, შვილო!
მას ასე მტვერში მწოლიარეს ხომ ვერ დავტოვებთ.

კრიმჰილდი
ოჰ, მართალს ამბობ! რაც ნატიფი და მდიდრულია,
დღეს მისაწვდომი უნდა გახდეს.

(დგება) გასაღებები!
(მოისვრის გასაღებებს)
ამიერიდან არ არსებობს დღესასწაული!
გამოიტანეთ აბრეშუმიც, ტილოც, სამოსიც
ოქროქსოვილი! ყვავილები არ დაივიწყოთ,
აკი უყვარდა მას ისინი, მოწყვიტეთ ყველა,
უკლებლივ ყველა, ეს-ესაა დაკოკრებულიც,
აბა, ვისთვისღა იყვავილონ! ეს მის კუბოში
ჩააწყვეთ, ჩემი საპატარძლო კაბა - სულ ზემოთ,
მერე სათუთად ჩააწვინეთ, ხოლო მე ასე
(მკლავებს გაშლის)
გადავექცევი სამუდამო სუდარად!

გუნთერი *(თავის თანამყოფთ)* ფიცი!
არავინ ავნებს ამის მერე.

კრიმჰილდი *(შემობრუნდება)* აქ ხართ, მკვლელებო?
თავიდან მომწყდით! რომ არ წასკდეს ხელახლა სისხლი!
არა! მობრუნდით!
(ხელს სტაცებს დანკვარტს) რათა თავად მან დაამოწმოს!
(ხელს შეიწმენდს კაბაზე)
ფუი, მე უკვე ვეღარ შევძლებ მარჯვენა ხელით
მასთან შეხებას! სდის თუ არა საბრალო სისხლი?
დედა, უნახე! მე ვერ შევძლებ! არა? ესენი
ყოფილან მხოლოდ დამმალავნი, მკვლელი კი არ ჩანს
ამათში. ჰაგენ ტრონიელი თუკი აქ არის,
წინ გამოვიდეს, გავამართლებ და ხელს გავუწვდი.

უტე
შვილო...

კრიმჰილდი
შენ ოღონდ გადადი და ბრუნჰილდი ნახე,

ჭამს, სვამს, იცინის.

უტე ავაზაკთა ჩადენილია...

კრიმჰილდი
მე ვიცნობ მკვლელებს.
(გიზელჰერს და გერენოტს ხელს ჩასჭიდებს)
მათთან ერთად შენ არ ყოფილხარ!
არც შენ ყოფილხარ!

უტე მომისმინე!

რუმოლტი ჩვენ გავნაწილდით
ტყეში, რაკიღა მან თავადვე ისურვა ასე,
და წესადაც გვაქვს, ხოლო როცა კლავ შევიყარეთ,
უკვე მომაკვდავს გადავაწყდით.

კრიმჰილდი გადავაწყდითო?
მერედა რა თქვა? ერთი სიტყვა! სულ ბოლო სიტყვა!
მე დაგიჯერებ, იმ სიტყვას თუ გაიმეორებ,
დაე, არ იყოს იგი კრულვა! მაგრამ გაფრთხილდი,
შენი პირიდან უმალ ვარდი ამოიზრდება,
ვიდრე მოჩმახავ იმას, რაც არ გაგიგონია.
(რაკი რუმოლტს ენა ჩაუწყდება)
იცრუე!

კაპელანი იქნებ ასეც იყო! აკი მომხდარა,
რომ კაჭკაჭს დანა გავარდნია და ის მოუკლავს,
კაცთა ხელისთვის ვინც რჩებოდა მიუწვდომელი,
და თუ ფრთოსან ქურდს შემთხვევია ეს იმ მიზეზით,
რომ მოელვარე ნაქურდალი დამძიმებია,
შეემთხვეოდა ავაზაკსაც.

კრიმჰილდი სათნო მამაო,
არ იცი!

დანკვარტი წმინდა, მაგრამ ბრმა და უსამართლოა
შენი ტკივილი, დედოფალო! გემოწმებიან
აღმატებული რაინდები...

(ამასობაში კარი იხურება და ცხედარი აღარ ჩანს)

კრიმჰილდი *(როცა ის ამას შენიშნავს)* სდექ! ვინ გაბედა...
(კარისკენ იჩქარის)

უტე
შეჩერდი! როგორც შენ ისურვე, ისე სათუთად
აიყვანენ და იზრუნებენ ისინი...

კრიმჰილდი ჩემკენ!
თორემ უთუოდ მომპარავენ და დამარხავენ
იქ, სადაც მე მას ველარასდროს ვნახავ!

კაპელანი ტაძარში!
გავყვები, რადგან ახლა იგი უფალს ეკუთვნის. *(გადის)*

მერვე სცენა

კრიმჰილდი
დიახ! ტაძარში!
(გუნთერს) ავაზაკნი იყვნენო, ამბობ?
კეთილი, შენ და ყველა შენი გვარეულისაც
გამოიცადეთ მკვდრით ტაძარში.

გუნთერი დაე, აღსრულდეს!

კრიმჰილდი

ვთქვი, ყველა-მეთქი. მაგრამ ყველას მე აქ ვერ ვხედავ.
უხმე იმასაც, ვინც თქვენს შორის არ არის ახლა!

(ყველანი გადიან, ოღონდ მამაკაცები და ქალები -
სხვადასხვა კარიდან)

მეცხრე სცენა

ტაძარი.
ჩირაღდნები. კაპელანი სხვა მღვდელმსახურებთან ერთად დგას,
გვერდითა მხარეს, რკინის კარის წინ. პორტალში თავს იყრიან
ჰაგენის ნათესავები, სამოცამდე ადამიანი. ბოლოს - ჰაგენი,
გუნთერი და სხვები.
ისმის კაკუნი.

კაპელანი

ვინ აკაკუნებს?

პასუხი გარედან ხელმწიფეა ნიდერლანდელი,
შვენის გვირგვინი იმდენივე, რამდენიც - თითი.

კაპელანი

არ ვიცნობ.

(კვლავ ისმის კაკუნი)

კაპელანი თქვას, ვინ აკაკუნებს?

პასუხი გარედან უბადლო გმირი,

და მას იმდენი ალაფი აქვს, რამდენიც - კბილი.

კაპელანი
არ ვიცნობ.

(კვლავ ისმის კაკუნი)

კაპელანი თქვას, ვინ აკაკუნებს?

პასუხი გარედან ძმაა, ზიგფრიდი,
რამდენი თმაც აქვს, დაბუნძლულა იმდენი ცოდვით.

კაპელანი
კარი გაუღეთ!

(კარი იღება და კუბოთი შემოასვენებენ ზიგფრიდის ცხედარს. მას მოჰყვებიან კრიმჰილდი და უტე, მოახლე გოგოებთან ერთად)

კაპელანი *(ცხედარს მიმართავს)*
მკვდარო ძმაო, მოგესალმები,
მშვიდობას ეძებ შენ აქ!

(ქალების, როცა მათ კუბოსგან გამიჯნავს, იმავდროულად კი, ქვემოთ დაშვებულ კუბოსა და მათ შორის დგება)

და თქვენც მოგესალმებით,
მშვიდობას თქვენც თუ ისე ეძებთ, როგორც ის ეძებს.
(კრიმჰილდის წინაშე ჯვარს ალმართავს)
ძალგიძს თუ არა, ამ სიწმინდეს ზურგი აქციო?

კრიმჰილდი
მე აქ სიმართლის და სამართლის საძებრად მოველ.

კაპელანი

შენ აქ ეძიებ შურისგებას, მაგრამ უფალმა
უფლება თავად დაიტოვა შურისძიების,
მხოლოდ ის ხედავს დაფარულს და ისვე მიუზღავს!

კრიმჰილდი

მე ვარ საბრალო, სანახევროდ თელილი ქალი,
არ ძალმიძს, ჩემი კულულებით დავახრჩო თუნდაც
ერთი რაინდი: შური როგორ უნდა ვიძიო?

კაპელანი

რაში გარგია, მაშ, შენი მტრის გამოძიება,
თუ მართლა არ გსურს, შენ იმაზე შური იძიო?
ნუთუ არ კმარა, რომ მას მისი მსაჯული იცნობს?

კრიმჰილდი

რადგან არ მინდა, ის დავწყევლო, ვინც უბრალოა.

კაპელანი

მაშინ ნურავის დაწყევლი და არც ეს მოხდება!..
ჰოი, საბრალოვ, მიწისგან და მტვრისგან შექმნილო
ადამის შვილო, პირველივე ქარის მიერ რომ
გაიფანტები, თუმც გიმძიმს და ცას შეჰღაღადებ,
იმას უმზირე, ბევრად მძიმე ტვირთი ვინც ზიდა!
მან, მონის ხატით შემოსილმა, დამდაბლებულმა,
ძეხორციელთა ყველა ცოდვა თავად იტვირთა,
გამომსყიდველი განიმსჭვალა ყველა ტკივილით,
პირველი დღიდან ბოლო დღემდე თან რომ სდევს მიწყივ
ცოდვით დაცემულ ადამიანს, და შენს ტკივილსაც
ბევრად ღრმად რომ გრძნობს, ვიდრე თავად ხელგეწიფება!
ძალა ზეცისა აღბეჭდვოდა იმის ბაგეებს,
და ზეცის ყველა ანგელოზიც ირგვლივ უფრენდა,

და მაინც, იგი სიკვდილამდე მორჩილი იყო,
მორჩილი იყო იგი ჯვარზე აღსრულებამდე.
მან ხომ ეს მსხვერპლი სიყვარულით გაიღო შენთვის,
სწორედ თავისი იდუმალი გულმოწყალებით,
შენ კი ინებებ, მას შენს მსხვერპლზე უარი უთხრა?
თქვი უმალ: მკვდარი დამარხეთ-თქო! და მიიქეცი!

კრიმჰილდი
შენ შენი შრომა აღასრულე, აწ კი ჩემსას ვიქმ!
(მივა კუბოსთან და მის თავთან დადგება)
როგორც მე, ისე გამოდით და დამემოწმენით!

კაპელანი *(ასევე მივა კუბოსთან და მის ბოლოში დადგება)*

(სამჯერ ჩაჰბერავენ საყვირებს)

ჰაგენი *(გუნთერს)*
რა მოხდა? აქ რა ამბავია?

გუნთერი კაცი მოუკლავთ.

ჰაგენი
და რა მიზეზით ვდგავარ მე აქ?

გუნთერი შენზე აქვთ ეჭვი.

ჰაგენი
ამ ეჭვს ჩემივე გვარეული ამხსნის, და მე მათ
ახლავე ვკითხავ... თანახმა ხართ დასაფიცებლად,
არც მუხანათი და არც მკვლელი რომ არ გახლავართ?

ყველა გვარეული, გარდა გიზელჰერისა
ჩვენ თანახმა ვართ.

ჰაგენი შენ რა, დუმხარ, ჩემო გიზელჰერ?
თუ ხარ თანახმა, დაიფიცო ბიძაშენისთვის,
რომ ის არ არის არც მკვლელი და არც მუხანათი?

გიზელჰერი *(ხელის აწევით)*
მეც თანახმა ვარ.

ჰაგენი ფიცისგან კი გათავისუფლებთ.
(შედის ტაძარში, მიმართავს კრიმჰილდს)
თავადაც ხედავ, გავმართლდები, როცა ვისურვებ,
ეს ჩემგან აღარ საჭიროებს კუბოსთან დგომას,
მაგრამ მევე ვიქმ ამას, და მსურს პირველი ვიყო!
(ნელი ნაბიჯებით ავა კუბოსთან)

უტე
ნუ უმზერ, კრიმჰილდ!

კრიმჰილდი არა, არა! ჯერ ცოცხალია!
ჩემი ზიგფრიდი! ო, ერთ ბგერას გამაგონებდეს,
მზერას მტყორცნიდეს!

უტე უბედურო კრიმჰილდ! ეს მხოლოდ
მასში ბუნების ქმედებაა უკანასკნელი.
არადა, რარიგ საზარელი!

კაპელანი ეს ღვთის თითია,
რომელიც წმინდა ამ წყაროში წყნარად ეშვება,
რათა კაენის გამოსახოს მერე ნიშანი.

ჰაგენი *(გადაიხრება კუბოსკენ)*
წითელი სისხლი! ვერასოდეს დავივიწყებდი!
არადა ახლა საკუთარი თვალებით ვხედავ.

კრიმჰილდი
და არ ეცემი?
(თავს აცხრება მას) შე სატანავ, თავიდან მომწყდი!
ვინ იცის, მკვლელის სიახლოვით ჩამოღვენთილი
თითოეული წვეთი სისხლის მას რა ტკივილს ჰგვრის!

ჰაგენი
მკვდარსაც კი სისხლი როგორ უდუღს, შეხედე, კრიმჰილდ,
და ამის მერე შენ ცოცხლისგან რაღას მოითხოვ?

კრიმჰილდი
თავიდან მომწყდი! შეგიპყრობდი ჩემივ ხელებით,
ვინმე რომ იყოს აქ ისეთი, ვინც მე მათ მერე,
რომ განეწმინდა ჩემი ტანი, უმალ მომკვეთდა,
არ იკმარებდა რაკი მათი განბანვა; ვინძლო
ეს შენი სისხლით მომხდარიყო! თავიდან მომწყდი!
როდი იდექი შენ იქ ასე, როცა მოკალი,
დამიზნებული მის თვალებზე მგლური თვალებით
და სატანური მაგ ღიმილით შენი განზრახვის
მაუწყებელი წინდაწინვე! შენ მას ზურგიდან
მიეპარე და აარიდე თავი მის მზერას,
როგორც ნადირი გაექცევა მზერას კაცისას,
და ჩაუსაფრდი იმ ერთ წერტილს, მე რომ... შე ძაღლო,
რა შემომფიცე?

ჰაგენი რომ დამეცვა მე ის ცეცხლისგან
და წყლისგან.

კრიმჰილდი მაგრამ განა არა მტრისგანაც?

ჰაგენი დიახ.
და არც გავტეხდი ჩემს ფიცს.

კრიმჰილდი რათა შენ იგი თავად
მოგეკლა, არა?

ჰაგენი დამესაჯა!

კრიმჰილდი ეს ვის სმენია!
როდის ყოფილა, ცის და მიწის დასაბამიდან,
მკვლელობა დასჯა?

ჰაგენი როგორც რაინდს, გამოვიწვევდი
მე მას ბრძოლაში, აკი ამას არავინ ეჭვობს,
მაგრამ ის იყო დრაკონისგან განუყოფელი,
დრაკონს კი კლავენ. რად ინება ამაყმა გმირმა,
ლინდვურმის აბჯრით შეემოსა სხეული თვისი!

კრიმჰილდი
ლინდვურმის აბჯრით! მას ჯერ იგი უნდა მოეკლა,
ხოლო ლინდვურმის მოკვლით ყველას ბოლო მოუღო!
მოკლა ტყე მასში ბინადარი ყველა ურჩხულით,
თითოეული ის რაინდიც, მძვინვარე დრაკონს
შიშით ცოცხალს რომ ტოვებდა და - შენც მათთან ერთად!
ვერას დააკლებ! შური იყო, შენმა სიავემ
ხელში სასტიკი იარაღი რომელსაც მისცა!
ამ ქვეყანაზე ვიდრე ცოცხლობს ძეხორციელი,
მასზე და მისივ ღირსებებზე იღალადებენ,
და იქვე შენი უღირსობაც ემახსოვრებათ.

ჰაგენი
დე, ასე იყოს! *(ცხედარს გვერდიდან აართმევს ბალმუნგს)*
აწ კი მართლაც არ დამთავრდება!
(ხმალს შემოირტყამს და ნელი ნაბიჯით უკან იხევს თავისიანებისკენ)

კრიმჰილდი

მკვლელობას უკვე ძარცვაც ერთვის!
(გუნთერის მიმართ) სამართალს ვითხოვ.

კაპელანი

ის გაიხსენე, ჯვარს გაკრულმა ვინც მიუტევა.

კრიმჰილდი

სამართალს ვითხოვ! და ხელმწიფე თუ იტყვის უარს,
მაშ, ამ სისხლში აქვს თავად მასაც ხელი გასვრილი!

უტე

შეჩერდი, თორემ შენ დააქცევ მთელ შენს საბლეულს!..

კრიმჰილდი

დე, ასე იყოს! რაკი ახლა მეტი დაიქცა!

(ცხედრისკენ შებრუნდება და კუბოს გადაემხობა)

ნიკოლაუს ლენაუ

მოგონება

მოდი, მეგზურო, ლამაზო დღეო,
და გამახსენე ტკბილი წარსული,
კვლავ ჩამიარე თვალწინ სამზეოდ,
რომ სიხარულით ამევსოს გული!

ტოროლა

უტკბესი ნექტრით განალაღები
ფუტკრის ზუზუნი მინდორს იპყრობდა;
ტოროლა ციდან ლბილი ჰანგებით
თავს დამხაროდა, ბილიკს მიმკობდა.

შორეთი

როგორც იქნა, დავიპყარი ქარაფი,
ჯიუტად რომ ჩასცქეროდა უფსკრულს;
ბუნებაო, შენგან ვიყავ ნაწაფი,
რა ხმა ჰქონდა თავისუფალ ჩემს გულს!

შორს კი იწვა მიწა ვრცელი, მდიდარი,
ვაკე ჰგავდა უსასრულო ფარდაგს,
ჩუქურთმებად ევლებოდა მდინარე
ტყით, კოშკებით, მინდვრით ჭრელად ნაქარგს;

აქ კი თითქოს ავარდნილი სურვილით –

შეხებოდა ლაღად ზეცის თავანს,
ყინულით და თოვლით თავდაბურვილი,
უჩვენებდა ღრუბლებს თავის სავალს.

ჩემი თვალი, ლხენით გაბრუებული,
ხან ეკიდა კლდეს, პირველად ნანახს;
ხან კი იყო სული ჩაღრმავებული
სიშორეთა ამოუხსნელ სანახს.

მომიგზავნა ამ დროს ბნელმა შორეთმა
თავისი და, მონატრების ვნება;
რაკი მიხმო სივრცემ უფართოესმა,
მყის მივენდე მის უჩუმარ ნებას:

ბუნებამ ხომ ბარშიც ბევრი ინება,
სასწაული რასაც ეწოდება;
გულმართალიც არაერთი იქნება,
ვისი ხელიც ჩემს ხელს ელოდება!

ავდარი

ჯერაც უღრმეს მდუმარებას მოეცვა
მაღლობები; მაგრამ ამ დროს ქარი
უცებ ველურ ქარაშოტად მოიქცა,
აღმუვლდა და გააძევა დარი.

ცას აბნელებს, ყრუ გუგუნით გროვდება
შავ ღრუბელთა დაუთვლელი ჯარი:
ასე იპყრობს ღამის ლაღ შთაგონებას
მრისხანების მძაფრი ნიაღვარი.

ცა ცოფს ანთხევს, გრგვინვის ცხენებს აჭენებს

და ბნელ შუბლზე უვარვარებს ელვა;
მის დაბერილ ძარღვებს თვალს რომ ადევნებს,
მიწა შფოთავს, ეუფლება ღელვა.

ღმუის წვიმა, კოკისპირულს ჩამოღვრის;
აქ ღვარცოფი თავქვე გადმოწყდება,
ქარტეხილით ნაჩეხ ხეებს წამოყრის,
და ქუხილიც განილევა, წყდება.

აი, უკვე ფრთა დაკეცა გრიგალმა,
მშვიდად ჰყვება წვიმა ამბავს ცისას;
თვალი მოვკარ ქოხმახს ირგვლივ მზირალმა
და ალაყაფს მივაშურე მისას.

ძილი

მომეგება მოღიმარი მოხუცი,
ფიქრიანად ჩამომართვა ხელი,
ცას ახედა, უმალ ლოცვას მიეცა,
მივხვდი, იყო მარჯვე სიტყვის მთქმელი;

შეგონებამ გულში ღრმად შეაღწია:
რომ არაა თავსხმა რისხვა ღმერთის;
და წვიმამაც თითქოს ხმა შეაწია:
რომ ცით მოსულს სიყვარული ერთვის.

ერთმა კათხამ მყის მომიკლა წყურვილი,
გამინელა დარდი უამრავი,
დავეშურე საბძელს ძილის მსურველი,
თივის სურნელს მივანებე თავი.

რამაც გზადმყოფს ტკბობის ნამი მასხურა,

ის მესიზმრა, ხშირად გამელიმა;
და სიზმარშიც ჩამესმოდა, სახურავს
რა ნებივრად დასდიოდა წვიმა.

საამოა ძილი უცხო საბძელში,
როცა წვიმა რიდით აკაკუნებს;
სამარეში, გაყინულში და ბნელში,
მეგობარი ცრემლს რომ დაგაპკურებს.

დაისი

ცად ღრუბელი არსად იხილებოდა,
ჩამავალ მზეს დაცხრობოდა სხივი
და მთებს შორის ცისარტყელა ჩნდებოდა,
როს დავტოვე საგებელი თივის.

არგანს დავწვდი, გულმაც არ იმდუმარა
და ხალისით ჩამოვართვი ხელი
კარგ მასპინძელს მადლიერმა სტუმარმა,
ჩუმ მიმწუხრში გზა მელოდა გრძელი.

გაფრთხილება და სურვილი

ნუ სდევ სიცოცხლეს სწრაფს და ბობოქარს;
ეს გაზაფხულის ლაღი ფრთებია,
მიაყურადე მის ნეტარ ჰანგებს;
ღაწვები რარიგ გაგფითრებია!

ვარდი ჭკნება და კვლავ იფურჩქნება;
და გაზაფხულის თბილი ქარები
დაგვიბრუნებენ ისევ ბულბულებს;

შენ თუ გპოვებენ მათი თვალები? –

"ო, რომ შემეძლოს ისეთი წრფელი
სიცოცხლე მალთა, ალად მჩინართა,
როგორიც იყო სიცოცხლე ელვის,
იქ, იმ მთაზე რომ გაუჩინარდა!"

სამი ინდიელი

ცა უძლეველი ბოროტს იზრახავს,
დიდმუხებსაც კი ნაფოტებად ფქვავს,
ნიაგარას ხმა მის ხმაში ქრება,
და ცეცხლოვანი ელვის მათრახებს
სცემს ჩასაქცევად აზიდულ ტალღებს,
რომ არ მოაკლდეთ ბრმა მძვინვარება.

ნაპირზე დგანან ინდიელები,
ესმით ტყის შიშით აღსავსე ხმები,
ფიქრი ტალღების კოცონს უპყრია;
ერთის ჭაღარა ასაკს არ მალავს,
მაგრამ ის დროს ვერ გადაუძალავს,
ორი კი მისი ბრგე ჭაბუკია.

მოხუცს შეუკრავს ვაჟები თვალით,
მზერა სავსე აქვს მეტი ყომრალით,
ვიდრე – შავი ცის ღრუბელთა სეტყვას,
ელვაც მეტი ჭექს ამ თვალებიდან,
ვიდრე – ღრუბელთა ნაპრალებიდან,
გულის სიღრმიდან ქუხს მისი სიტყვა:

"კრულ იყოს თეთრი ადამიანი!
ტალღა, ჩვენამდე მათი მომყვანი!

ერთ დროს ხომ შველას ითხოვდნენ ჩვენგან!
კრულ იყოს ასგზის რიფი ყოველი,
მათი არდამქცევ-დამამხობელი,
ქარი, მათ გემებს ზურგში რომ ედგა!

ჩვენი თვალები გემებს ხედავენ,
მოწამლულ ისრებს, წყალს რომ სერავენ
და ესობიან ნაპირებს გროვად.
რა მისცა ჩვენს გულს ყაჩაღთა მოდგმამ,
თუ არა – მწარე ზიზღი და ბოღმა:
შვილებო, ახლა სიკვდილის დროა!"

თქვა მოხუცმა და დახარა თავი,
ტირიფის ხეზე მიბმული ნავი
ჩაჭრა, უწიეს დინების შუაგულს;
შორს მოისროლეს უმალ ხოფები,
ამღერდნენ, მოსწონთ ერთურთის ხმები
ძეს, ძმას და მამას, მკლავშემოსალტულთ.

ელვა ძაგძაგით შემოწერს მათ ნავს,
ხაფი ქუხილი მიდამოს ჭანგავს,
მხოლოდ თოლიებს ვერ მისწვდა ფრთაში;
ისმის სიმღერა მამაკაცების,
ქარაფებისკენ განატაცების,
და ჩაუვარდნენ ჩანჩქერს ხახაში.

სულით ავადმყოფი

დადაღული მაქვს ღრმა ჭრილობით გული სნეული,
მსურს ეს ჭრილობა სიკვდილამდე უტყვად ვატარო;
უკვე არ ვიცი, მისი სიღრმე რას შევადარო,
მიწყივ მემხობა თავს სიცოცხლე ჩამოქცეული.

ერთადერთია, ვისაც ძალმიძს სრულად გავენდო,
რათა უწამლოს ჩემს სატკივარს, მძიმე იარას;
მკერდზე მივეკრა, მწუხარება გავუზიარო,
მაგრამ შორს არის! ნეტავ იგი სიკვდილს დაენდო!

ო, მოდი, დედა, ეს ნატვრა რომ ამიხდებოდეს!
თუ შენს სიყვარულს არც სიკვდილში ერევა ძილი,
თუ გაქვს უფლება, შენს შვილს ახლაც თავს ევლებოდე,

მაშინ, გთხოვ, მალე დამიხსენი ამ სიცოცხლისგან,
ჩუმი ღამეა, რასაც ვნატრობ უღვთოდ დაღლილი,
უშველე ტკივილს, შენი შვილი გარიყე მისგან.

სიმარტოვე

1.

თუ შერჩენილხარ შენ ოდესმე, მარტო სრულიად,
უსიყვარულოდ და უღმერთოდ, ტრამალთა ნებას,
როს უბედობის ჭრილობები ღრმად შერთულია
ამაყ სიჩუმეს და მრისხანედ ყრუ მწუხარებას?

თუ დაშთენილხარ შენ თვინიერ იმედთა ლაღთა,
ვით მონადირე, რომ უწია ქარაფის კიდეს,
იქ კი წკავწკავი განელია დაკარგულ ძაღლთა,
ვით ციცქნა ჩიტი გაეცლება ზამთრის სიცივეს?

თუ შერჩენილხარ შენ ოდესმე ტრამალს ეული,
მაშინ მიხვდები, კაცი ქვას რომ შემოეჭდობა
და დაემხობა, რარიგ არის უკვე ძლეული;

მიხვდები, თვისივ სიმარტოვით მზერადაშლილი,
რატომ ძრწის, ცივი კლდის სიმაღლეს რატომ ენდობა,

რატომ ისკუპებს, ქარს რომ შეხვდეს მკლავებგაშლილი.

2.

არაქაური არის ქარი, ვერ შეეხები,
უსიცოცხლოა ქვა და მისგან თუ ელი ნუგეშს,
შეეჩეხები სულ სხვა პასუხს – ცივსა და უხეშს,
ვარდს უყურებ და მიტოვებულ შენს თავს ეხლები;

მალე იხილავ ამ ვარდს ვნებულს და გაფითრებულს,
საკუთარ კვდომას ბეჯითად რომ ჩახშირებია.
მიმოიხედე: ირგვლივ მხოლოდ ყრუ ჩიხებია,
ყველა კუთხეში ლპობას ხვდები, სიბნელით ხლებულს;

ხედავ, აქა-იქ, ქოხებიდან თვალები ხრჩოლავს,
მერე კი შენს წინ იხურება ყველა სარკმელი,
ჩაიქცევიან ეს ქოხები, და გიპყრობს ძრწოლა.

უსიყვარულოდ და უღმერთოდ! გზა იფერება
ქუფრით, ორპირი დათარეშობს, ცივა; რას ელი?
დამწუხრებულა უიმედო ქვეყნიერება.

სამნი

წაგებულ ბრძოლის სამი მხედარი,
ალური მდორე და წყნარზე წყნარი!

ჭრილობებიდან სისხლი, ვით დღვილი,
დის, ცხენებს დასდით ნაკადი თბილი.

სისხლი აღვირს და უნაგირს ფერავს,
მტვერს და ქაფს ერთვის, მიწაზე წვეთავს.

ბედაურები ფრთხილი სვლით ვლიან
და სისხლს მხედრები ნელ-ნელა ღვრიან.

ერთურთს რომ ეკვრის, მათი მხრებია,
სამივე ერთურთს შეხიდებია.

სამივე ერთურთს შემწუხრებია,
ასე იტყვიან, ასე ჰყვებიან:

"შინ სატრფო მელის მზეს სადარები,
ამიტომ ვდარდობ, ადრე რომ ვკვდები".

"მე – ეზო-კარი ამწვანებული,
რა მალე უნდა დავლიო სული!"

"უპოვარი ვარ, არსად მელიან,
მაგრამ სიკვდილი მაინც ძნელია".

ცაში კი სამი სვავი რიალებს
და სიკვდილის გზას თავს დასტრიალებს.

მხედრებს წივილით ინაწილებენ:
"ის შენ გერგება, ის – შენ, ის კი – მე".

გახუნებული ვარდი

ვარდს გადავაწყდი, წიგნს რომ ვფურცლავდი,
მასში დატმასნილს ფერი გაცლოდა,
მაგრამ ვინც ერთ დროს ის მისახსოვრა,
აღარ მახსოვდა.

ეჰ, მწუხრის ბინდმაც არ დააყოვნა,

გონებას ნისლავს; მალე ლაჟვარდი
გაქრება ჩემი და – იმის ხსოვნაც,
ვისაც ვუყვარდი.

პოეტს

ამ გულებს ტრფობა თავს რომ ევლება,
იქ სხვა გულები სიმწრით იწვიან,
მათში ხომ ღელვა გამოიწვია
შენმა ნათებამ; დროც გაჩერდება?!
არა, შენ შენი ტკივილი გელის,
როცა ჩაქრება ყველა ვედრება,
როცა შენს ნაღველს შემოევლება
ოდენ სიცივე ტიალი ველის;
როცა ქუხილსაც, სასტიკად ხმიერს,
გადაურჩები გულდანაჩეხი,
მაგრამ ინატრებ, დაგატყდეს მეხი,
რომ გაახსენდე ვინმე სულიერს.

ჰერმან ფონ გილმი

სულთა ხსენების დღე

სურნელოვანი რეზედებით მორთე მაგიდა,
და უკანასკნელ წითელ ასტრებს არ შერთო მრეში,
კვლავ ისე ვაქოთ ტრფობა, უმალ გონს რომ წაგვგვრიდა,
როგორც ოდესღაც ვარდობის თვეში.

მინდა ფარულად გეამბორო, მომეცი ხელი,
და რომც შეგვნიშნონ, არას ვაქნევ, როცა უბეში
გული ძგერს; ტკბილი მზერა მტყორცნე და გამახელე,
როგორც ოდესღაც ვარდობის თვეში.

რარიგ ციმციმებს და ყვავილობს ყველა საფლავი,
გარდაცვლილთათვის ამ ერთი დღით ხარობს ნუგეში;
გულზე მომეკარ, რათა ისევ დავკარგო თავი,
როგორც ოდესღაც ვარდობის თვეში.

შემოდგომა

შემოდგომავ, მზეკეთილო,
მინდვრებს ჭრელად შეფენილო,
ვარდზე კოხტა მეჩვენება
ნაღვერდალი, რომ არ ქრება.

უკვე ჩადგა ქარიშხალი,
მიინავლა ვნების ალი;
აღსავსეა სიმსუბუქით
შენი სუნთქვის ჩუმი შუქი.

მაგრამ, აი, დარდით მჟღერი,
მფრთხალი სუნთქვის მონაბერი,
ფოთოლთა ხმით დაისრული:
ახლოვდება დასასრული.

ფრიდრიხ ნიცშე

დიონისეს დითირამბები

ვინაიდან კაცობრიობისთვის უსაზღვრო ქველმოქმედების გაწევა მსურს, მე მას ვუბოძებ ჩემს დითირამბებს.
მე მათ მივხელთებ "იზოლინეს" მგოსანს, ამჟამად – და არა მხოლოდ ამჟამად – მცხოვრებ უდიდეს და პირველ სატირს...

დიონისე

მხოლოდ მასხარა! მხოლოდ მგოსანი!

ჰაერში შუქის მიმოფენისას,
როცა ცვარ-ნამის ნუგეში უკვე
დედამიწისკენ მოიჩქარის,
უჩინო და უჩამიჩუმო
– რაკი ნატიფი ხამლით მოსილა
ნუგეშისმცემი ცვარ-ნამი, მსგავსად გულმოწყალე ყველა ნუგეშის –,
თუ გახსენდება, თუ იხსენებ, მხურვალე გულო,
რარიგ მწყურვალი ჰგიებდი ერთ დროს,
დაღლილ-დათუთქულს ცრემლნი ციურნი
და მოწანწკარე ცის ნამი როს მოგწყურებოდა,
ბალახმოყვითლულ ბილიკებზე კი
შავ ხეებს შორის გამოცხრილულ მწუხრის მზის მზერებს
გაბოროტებით გაემართათ შენს ირგვლივ როკვა,
მზის ავითგანმცხრომ, ჩინისწამგვრელ, ვარვარა მზერებს.

"შენ ხარ *სასიძო ჭეშმარიტების?*" – ქირქილებდნენ ისინი ასე –
"არა! მგოსანი მხოლოდ და მხოლოდ!

ნადირი, ფლიდი, მტაცებელი, პარვით მცოცავი,
რომელიც მიწყივ უნდა ცრუობდეს,
განზრახ, ნებისად უნდა ცრუობდეს,
ნადავლის წვდომით ატანილი,
ჭრელნიღბიანი,
თვისივ თავისთვის ქცეული ნიღბად,
თვისივ თავისთვის მსხვერპლად ქცეული,
ეს სასიძოა ჭეშმარიტების?...

მხოლოდ მასხარა! მხოლოდ მგოსანი!
მხოლოდ და მხოლოდ ჭრელმოუბარი,
მასხარაული ნიღბებიდან გამოუბარი,
ცრუსიტყვაობის ხიდებზე რომ ასწრაფდება ხვიარ-ხვიარით,
რიოშ ზეცაში,
ტყუილების ცისარტყელაზე,
მოხეტიალე, მიმომხოხავი –
მხოლოდ მასხარა! *მხოლოდ* მგოსანი!

ეს სასიძოა ჭეშმარიტების?...
არა მდუმარი, შეუძრავი, სწორი და ცივი,
ხატად ქცეული,
სვეტად უფლისა,
არაღმართული ტაძართა წინ,
მცველად ღვთის ბჭეთა:
არა! სიკეთის ასევითარ ქანდაკთა მტერი,
იმაზე მეტად შინაური უშენ ალაგთა, ვიდრე – ტაძართა,
მთლად კატისებრი თავგასულობით
ნებისმიერი სარკმლით მიმხლტომი –
ჰოჰ! – ნებისმიერ შემთხვევითობას,
მიმომყნოსავი ნებისმიერ უსიერ ტყეში,
რათა ხელუხლებ უღრან ტყეებში
ჭრელად დაბანჯგვლულ მტაცებელთა შორის დარბოდე
უღვთოდ ჯანმრთელი, ლამაზი, ჭრელი,

ავხორცი დინგით,
მონეტარედ დამცინავი, მონეტარედ გეენური, მონეტარედ სისხლის
მწყურვალი,
მი-და-მორბოდე მტაცებელი, მიმპარველი, *მომტყუებელი*...

ან სულაც მსგავსი არწივისა, გარინდებული
რომ ჩასცქერს დიდხანს, დიდხანს უფსკრულებს,
თავის უფსკრულებს...
– ო, აქ ისინი, ქვედამართულნი,
ქვემორე, შიგნივ,
სულ უფრო უღრმეს სიღრმეებში მაინც რარიგ იგრაგნებიან! –

მერე,
ანაზდად,
ფრენა მისრული,
სვლა წაისრული,
დაკვრა *კრავთათვის*,
დაშვება მყისი, მძაფრი შიმშილი,
კრავთა და კრავთა ხარბად მსურველი,
ყოველთა კრავთა სულს შემომწყრალი,
სასტიკად მწყრალი ყველაფერზე, რაც გამოიმზერს
სათნოდ, ცხვარივით, დახუჭუჭებულ-დაბამბულივით,
სულელურად და ცხვრის-რძისადმი-კეთილგანწყობით...

მაშ,
არწივისებრს, პანტერისებრს
ელტვის პოეტი,
ეს ლტოლვებია *შენეული*, ათას ნიღაბქვეშ,
ვინც მასხარა ხარ! ვინც ხარ მგოსანი!...

შენ, ადამიანს ვინც უმზერდი
ვით *ღმერთს* და ვით *ცხვარს* –,
ადამიანში ღმერთის დამფლეთი,

ვით ცხვრის დამფლეთი ადამიანში,
და სიცილით მათი დამფლეთი –

ეს არის შენი ნეტარება, სწორედ ეს არის,
ნეტარება პანტერასი და არწივისა,
ნეტარება კვლავ მგოსნისა და მასხარასი!"...

ჰაერში შუქის მიმოფენისას,
და როცა უკვე მთვარის ნამგალი
მეწამულთ შორის მწვანედ ჩენილი
და შურით სავსე მიიძურწება,
– იგივ დღის მტერი,
თითოეული ბიჯით ფარულად
მომნამგლავი ვარდთა-ფარდაგთა,
დაეშვებიან ვიდრე ისინი,
გაფითრებულნი წყვდიადისკენ დაქანდებიან:

ასე დავქანდი თავად ოდესღაც
ჩემეული ჭეშმარიტების-შეშლილობიდან,
ჩემეულთა დღის-წადილთაგან,
დღით დაქანცული, ნათლით სნეული,
– თავქვე დავქანდი, მიმწუხრისკენ და ჩრდილებისკენ,
ჭეშმარიტებით
დამწვარი და მოწყურებული
– კვლავაც თუ გახსოვს, თუ იხსენებ, მხურვალე გულო,
რარიგ მწყურვალი ჰგიებდი შენ იქ? –
რომ მე დევნილად ვექეც
ყველა ჭეშმარიტებას!
მხოლოდ მასხარა! *მხოლოდ* მგოსანი!...

უდაბნო ზეობს:
ვაი მას, ვინც უდაბნოთ მალავს...

ჰა!
საზეიმო!
ღირსეული დასაწყისი!
აფრიკულად საზეიმო!
ლომის ღირსი
ან ღრიალა მორალური მაიმუნისა...
– თუმც არა თქვენი,
უძვირფასესო მეგობარო ასულებო,
ვისთა ფერხთითაც
მე, ამ ევროპელს პალმების ქვეშ,
მორთხმის ნება მებოძა. სელა.

ჭეშმარიტად საოცარია!
აქ ვზივარ ახლა,
უდაბნოსთან ახლოს და უკვე
ასე შორს იმავ უდაბნოსგან,
ხოლო იქვე – არარაშიც უდაბნოდქმნილი:
ანუ შთანთქმული
ამ მცირედი ოაზისისგან –
მთქნარებით განხვნა
მიმზიდველი თავისი პირი,
სურნელოვანი, ვიდრე ყველა ციცქნა პირია:
ჩავვარდი კიდეც ამ დროს მასში,
ქვევით, განმსჭვალვით – თქვენდა შორის,
უსაყვარლესნო მეგობარნო ასულნო! სელა.

დიდება იყოს, იმ ვეშაპის იყოს დიდება,
კეთილდღეობა თუ ანება,
მაშ, თავის სტუმარს! – ხვდებით
განსწავლულ ჩემს მინიშნებას?...

დიდება იყოს მისი სტომაქის,
მაშ, მსგავსი სტომაქ-ოაზისი
თუ იყო იგი თავისი ხიბლით,
ვით – ეს: რაც, თუმცა, ჩემს ეჭვს აღვივებს.
ამიტომაც ვარ მე ევროპიდან,
რომელიც ყველა დედაკაცზე ეჭვიანია!
გამოკეთება მისი ღმერთმა ინებოს!
ამინ.

აქ ვზივარ ახლა,
ამ უმცირეს ოაზისში,
მსგავსი ფინიკის,
მურა, დამტკბარი, თხრამლოქროვანი,
დახარბებული ქალწულის მრგვალ პირს,
მაგრამ უმეტეს – ქალწულებრივ
ცივყინულოვან თოვლივით თეთრ ფხაქათქათა
მჭრელ კბილებს: ყველა მოვარვარე ფინიკის გული
შეპყრობილია სწორედ მათი წყურვილით. სელა.

დასახელებულ ამ სამხრეთულ ნაყოფთა
მსგავსად, ერთობ მსგავსადაც,
ვწევარ აქ, სადაც ციცქნა
ფრთოსანი ხოჭოები
დამცეკვავენ-დამთამაშებენ,
კვალად კი – მათზე უფრო ციცქნა,
უფრო უგნური, მათზე უფრო აბეზარი
სურვილები და ხუშტურები, –
გარშემორტყმული თქვენით,
უტყვო, წინასწარმჭვრეტო
გოგონებო-ციცებო
დუდუ და ზულეიკა
– *შემოსფინქსული*, ერთ სიტყვაში
ჩამტმასნელი ბევრი შეგრძნების

(შემინდე, ღმერთო,
ენობრივი ეს შეცოდება!...)
– აქ ვზივარ, ვყნოსავ ჰაერთაგან საუკეთესოს,
ჭეშმარიტად სამოთხის-ჰაერს,
ნათლით აღსავსე მსუბუქ ჰაერს, ოქროს სხივოსანს,
ოდენ იმგვარად ამო ჰაერს, ოდინდელ დროში
მთვარიდან რომ ჩამობნეულა,
თუნდაც შემთხვევით
ან, შესაძლოა, ქედმაღლობის მიზეზით მოხდა?
ძველი მგოსნები ამას როგორც იუწყებიან.
მაგრამ მე, ეჭვის მგონებელი, ეჭვით ვეჭვრეტ ამას,
ამიტომაც ვარ მე
ევროპიდან,
რომელიც ყველა დედაკაცზე ეჭვიანია!
გამოკეთება მისი ღმერთმა ინებოს!
ამინ.

ოდეს უმშვენეს ამ ჰაერს ვსუნთქავ,
ოდეს ნესტონი აღმვსებია კათხათა მსგავსად,
უმერმისოს, მოგონებათა გარეშე შთენილს,
მე აქ ამგვარად მჯდომარე ვარ,
უძვირფასესო მეგობარო ასულებო,
და ვუმზერ პალმას,
მოცეკვავე ასულის მსგავსად,
რარიგ იხრება, მოიქნება, თეძოები მიმოერწევა
– ვინც ხანგრძლივ უმზერს, კიდეც აჰყვება...
მოცეკვავე ასულის მსგავსად, რომელიც უკვე,
როგორც მე ვფიქრობ, ერთობ დიდხანს, საშიშად დიდხანს,
მიწყივ და მიწყივ, ცალ ფეხზე იდგა?
– მას ამისგანვე დაავიწყდა, როგორც მე ვფიქრობ,
მეორე ფეხი?
ნებისმიერ შემთხვევაში, სულ ამაოდ
ვეძიებდი მოსაკლისებულ

ტყუპის-საუნჯეს
– ანუ სწორედ მეორე ფეხს –
მე ამ წმინდა სიახლოვეში
უძვირფასესი, უნატიფესი,
მარმაშ-მარაოდ-მობზინული მისი კაბისა.
დიახ, ლამაზო მეგობარო ასულებო,
თუ ინებებთ, მერწმუნოთ სრულად:
მან ის დაკარგა...
ოჰ! ოჰ! ოჰ! ოჰ! ოჰ!...
ის გარდასულა,
სამუდამოდ გარდასულა,
მეორე ფეხი!
ო, ეს მეორე მიმზიდველი ფეხუკა რარიგ სინანულს აღძრავს!
მაინც სად ჰყოვნებს და მწუხარებს მიტოვებული
ეს ფეხუკა, მარტოდ შთენილი?
მოცული, იქნებ,
მძვინვარე და ყვითელი და ჩალისფრადგრუზაფაფრიანი
ლომ-ურჩხულის წინაშე შიშით? ან სულაც უკვე
შემოხრული, შემოფხაული –
შემოღრღნილი! ავაჰ! ავაჰ! საბრალო! სელა.

ო, ნუ იტირებთ ჩემს წინაშე,
გულნო სათუთნო!
ნუ შემომტირით,
ფინიკნო-გულნო, კერტნო-რძიანნო!
თქვენ, ძირტკბილა-გულის-
პერანგნო!
მამაკაცობდე, ზულეიკა! სიმამაცე! გაბედულება!

ნუღარ იტირებ,
ფერმკრთალო დუდუ!
– ან, იქნებ, ჯერ არს,
რამ უმტკიცესი, გულის-განმამტკიცებელი

მოიღებოდეს?
ზეთით ცხებული რამ იგავი?
საზეიმო ნუგეშისცემა?...

ჰეი!
მოდექი, ღირსებაო!
ჩაჰბერე და ჩაჰბერე კვლავაც
სათნოების საბერველს!
ჰეი!

კიდევ ერთხელ იღრიალე,
მორალურად იღრიალე,
მორალური ლომის მსგავსად იღრიალე ამ უდაბნოს ასულთა თვალწინ!
– რაკი, ასულნო უსაყვარლესნო,
სათნოების ეგ ღრიალი
არის მეტი, ვიდრე ყველა
ძალისხმევა ევროპელის, უძღებობა ევროპელისა!
და მე უკვე აქ ვდგავარ,
როგორც ევროპელი,
სხვაგვარ არ ძალმიძს, შემეწიე, უფალო!
ამინ!

უდაბნო ზეობს: ვაი მას, ვინც უდაბნოთ მალავს!
ქვა ქვას ეფშენება, და უდაბნო აშთობს და შთანთქავს.
იმზერს სიკვდილი საზარელი, ღადარი ბნელი,
და *ცოხნის* –, მისი სიცოცხლეა მისივე ცოხნა...

ადამიანო, ვინც ტკბობის ცეცხლს ხარ თავმიძღვნილი,
გახსოვდეს: შენ ხარ ქვა, უდაბნო, შენ ხარ სიკვდილი...

უკანასკნელი ნება

იმგვარად კვდომა,
როგორც ერთ დროს მე ვიხილე მკვდომარე იგი –,
მეგობარი, ელვებს და ჭვირებს
ღვთაებრივად რომ შეტყორცნიდა ჩემს დაბურულ სიჭაბუკეში:
– თავნება და ღრმა,
ბრძოლად მროკველი –,

მებრძოლთა შორის ულაღესი,
მძლევთა შორის უმწუხარესი,
თვისსავე ბედზე შემდგარი ბედად,
კერკეტი, ჭვრეტას მიყოლილი, წინასწარმჭვრეტი –:

იმის გამო მოძაგძაგე, *რომ* გაიმარჯვა,
იმის გამო მოტყინარე, *მომაკვდავმა* რომ გაიმარჯვა –:

ოდეს კვდებოდა, მბრძანებელი,
– მან კი ბრძანა *ნადგურისცემა*...

იმგვარად კვდომა,
როგორც ერთ დროს მე ვიხილე მკვდომარე იგი:
გამმარჯვებელი, *ნადგურმცემელი*...

მტაცებელ ფრინველთა შორის

ვისაც აქ თავქვე უნებებია,
რარიგ სწრაფად შთაინთქმება
ის სიღრმის მიერ!
– მაგრამ უფსკრული
კვლავ თუ გიყვარს, ზარათუშტრა,
მსგავსად *სოჭისა*? –

მას იქ გაუდგამს ფესვი, სადაც
თვით კლდე შეძრული
ჩაჰყურებს სიღრმეს –,
იგი ყოვნდება უფსკრულებთან,
სადაც ირგვლივ ყოველივეს
თავდაღმა ნებავს:
უთმენლობათა შორის
ველური ქვაგორვილის, წყალვარდნილისა
მოთმენით მთმენი, სიტყვაუტყვი, მტკიცე,
ეული...

ეული!
სხვა ვინ გაბედავდა
აქ სტუმრად ყოფნას?
შენს სტუმრად ყოფნას?
მტაცებელი ფრინველი სწორედ,
ავითვანმცხრომი
უდრეკ მთმენს თმაში
რომ შეჰკიდვია,
შლეგი ხორხოცით,
მტაცებელი ფრთოსნის ხორხოცით...

რისთვის ამგვარი უდრეკობა?
– დაჰქირქილებს იგი სასტიკად:
ფრთა უნდა ჰქონდეთ მაშინ, როცა
უფსკრულს ეტრფიან...
არ უნდა იყონ შეკიდულნი,
შენ რარიგაც დარჩენილხარ, ჩამოკიდული! –

ო, ზარათუშტრა,
ნებროთ-მეთქი, უსასტიკესო!
ჯერაცვე ღმერთის მონადირევ მოკლე დროის წინ,
ყველა სიქველის სათხეველო,

და ისარო ბოროტებისა! –
ახლა კი –
მონადირებულო შენივე მიერ,
შენივ ნადავლო,
ჩაისრულო თავად შენშივე...

ახლა კი –
შენით მარტოეულო,
შენივ ცოდნაში მრჩობლეულო,
ას სარკეს შორის
შენივ თავის წინაშე ყალბო,
ას მოგონებას შორის
ვერმცოდნევ,
ყველა ჭრილობით გამოღლილო,
ყველა ყინვას შეყინულო,
შენივ ბაწრით ყელმოყულფულო,
თავისმცნობელო!
თავისმხრჩობელო!

რად გაიბაწრე თავი
შენი სიბრძნისვე ბაწრით?
რად შეიტყუე შენი თავი
სამოთხეში ძველი გველისა?
შენ-ში – შენ-ში
რად შეიპარე?...

აწ სნეული ხარ,
გველის შხამით რომ დასენილხარ;
აწ ტუსაღი ხარ,
უმწარესი რომ გერგო წილი:
შენს მაღაროში
მოკაკული ირჯებოდე,
შენივ თავში შეღრუვდებოდე,

ასამარებდე შენივე თავს,
უსუსური,
გახევებული,
გვამი –,
ასკეცი ტვირთით ტვირთული,
სწორედ შენით გადატვირთული,
მცოდნე!
შენივე თავის შემცნობი!
ზარათუშტრა, *ბრძენკაცი* ვინც ხარ!...

შენ ეძიებდი უმძიმეს ტვირთს:
ჰპოვე კიდეც *შენივე* თავი –,
ვერ გარდაიგდებ შენივ თავს შენგან...

ჩასაფრებული,
ჩაკაკვებული,
იგი, ვინც უკვე ველარასდროს აღიმართები!
შენი სამარის ბორცვს შეზრდილიც დამენახვები,
შეზრდილი სული!...

ახლახან ჯერაც ერთობ ამაყი,
დამყარებული შენეული სიამაყის ყველა ოჩოფეხს!
ახლახან ჯერაც განდეგილი უღვთოდ შთენილი,
ეშმაკთან ერთად განდეგილი,
ალისფერი პრინცი ყველა ქედმაღლობისა!...

ახლა კი –
ორთა არარათა შორის
ღუნვილი,
კითხვის ნიშანი,
გამოღლილი გამოცანა –
გამოცანა *მტაცებელი ფრინველებისთვის*...
– ისინი კი დასტურ "აგზსნიან",

მათ დასტურ შიათ შენი "ახსნა",
დასტურ ირგვლივ დაგფრაშფრაშებენ, მათ გამოცანას,
შენ, ჩამომხრჩვალო!...
ო, ზარათუშტრა!...
თავისმცნობელო!
თავისმხრჩობელო!

ცეცხლნიშანი

აქ, ზღვათა შორის აღმოზრდილა სადაც კუნძული,
ანაზდეული სამსხვერპლო ქვა კოშკადქცეული,
აქ ზარათუშტრა შავი ზეცის ქვეშ
აღსაზევებელ თვისივ ცეცხლთ ინთებს, –
ცეცხლნიშნებს სავალ გეზს აცდენილ მეზღვაურთათვის,
კითხვის ნიშნებსვე მათთვის, ვისაც პასუხი უვის...

ეს თეთრნაცრისფერმუცლიანი ალი ცეცხლისა
– ცივ შორეთებში იკლაკნება მისი სიხარბე,
ყელს შეიღერებს სულ უფრო წმინდა სიმაღლეთა
მიმართულებით –
გველი აწვართულ-ადრეკილი მოუთმინარედ:
ეს ნიშანია, რომ აღვმართე მე ჩემს წინაშე.

ჩემივე სული თავად არის ეს ცეცხლის ალი:
გაუმაძღარი სულ ახალი სიშორეებით
ისწრაფვის მაღლა, მაღლა მისი ჩუმი ვარვარი.
რად განელტვოდა ზარათუშტრა მხეცს და კაცთაგანს?
რად განერიდა მეყვსეულად ყველა მიწამყარს?
ის უკვე იცნობს *ექვს* მარტოობას, –
მაგრამ მას ზღვაც კი არ მიაჩნდა საკმარ-ეულად,
ხოლო კუნძულმა ის აღამაღლა, მთაზე ის ცეცხლის ალად შეიქნა,
ახლა, *მეშვიდე* მარტოობის მაძიებელი,

ის ნემსკავს ისვრის თვისივ თავზევით.

გეზს აცდენილო მეზღვაურებო! ძველთა ვარსკვლავთა
მონამსხვრევებო!
მერმისის ზღვებო! ცაო, ჯერაც შეუმეცნებო!
მე ახლა ვისვრი ნემსკავს ყველა მარტოსულისთვის:
პასუხს გასცემდეთ ცეცხლის ალის მოუთმენლობას,
მოკავეთ ჩემთვის, მეთევზისთვის მაღალთა მთათა,
ჩემი, მეშვიდე, მარტოობა *უკანასკნელი*! – –

მზე ჩადის

1

დიდხანს მწყურვალი არ დარჩები,
დამწვარო გულო!
ჰაერში უკვე აღთქმა ღუის,
მწვდება უცნობ ბაგეთაგან ამონაბერი,
– ახლოვდება დიდი სიგრილე...

თაუზე მხურვალედ დამდგომოდა შუადღით ჩემი მზე:
სალამი თქვენდა, მოახლებულნო,
თქვენდა, ქარნო ანაზდეულნო,
გრილნო სულნო ნაშუადღევისა!

უცხოდ და წმინდად დავალს ჰაერი.
იქნებ მიმზერდეს
ღამე ცერად
მაცდური მზერით?...
მტკიცედ სდექ, ჩემო მამაცო გულო!
არ მკითხო: რატომ? –

2

ჩემი სიცოცხლის დღე! –
მზე ეშვება.
უკვე მომდგარა მოოქრული
        გლუვი ნაკადი.
კლდე თბილად სუნთქავს:
        მასზე ნაჩვევი შუადღის ძილით
შუადღის ჟამს ამოდ თუ ეძინა ბედნიერებას? –
        ზურმუხტისფერ ათინათებში
ბედნიერებას ჯერაც სახობს რუხი უფსკრული.

ჩემი სიცოცხლის დღე! –
დაისს ერთვის!
წილად მსხვრეული შენი თვალი
        უკვე გიზგიზებს,
უკვე ხშირდება შენი ცვარ-ნამის
        ცრემლთა კამკამი,
თეთრ ზღვებზე უკვე წყნარად დაქრის
ძოწეული შენი ტრფობისა,
შენი მყოვნები ნეტარება უკანასკნელი.

3

მხიარულებავ, ოქროვანო, მოდი!
        სიკვდილის
უიდუმლესო, უტკბილესო წინდაწინტკბობავ!
– განა ჩემს სავალს ერთობ სწრაფად ვეშურებოდი?
ახლაღა, როცა ფეხი დაშვრა,
        მომწევია შენი მზერა,
        მომწევია შენი იღბალი.

ირგვლივ მარტოდენ ტალღები და თამაშობაა.
        რაც კი ოდესმე მძიმე იყო,
დაუძირავს ლურჯ დავიწყებას –

აწ ჩემი ნავი დამდგარა უქმად.
ქარიშხალს და ზღვაოსნობას – მერე რარიგ ივიწყებს ამას!
უკვე დამხრჩვალა სურვილი და იმედადყოფნა,
სული და ზღვა სუფევს სწორებულ.

აჰა, *მეშვიდე* მარტოობა!
არ განმიცდია
ახლორე ტკბილი სანდოობა,
მზერა მზისა უფრო თბილია.
– ჩემი მწვერვალის არ გიზგიზებს ჯერაც ყინული?
ვერცხლოვანი, მსუბუქი, თევზი –
ჩემი კარაპა – აწ განცურდება.

არიადნეს მოთქმა

ვინ გამათბოს, კვლავაც ვინ მყვარობს?
ცხელი ხელები მომაგებეთ!
მომაგებეთ გულის-სახმილი!
წარცემული, დაზაფრული,
იმ ცოცხალმკვდარს დამსგავსებული, ფერხთ რომ უთბობენ,
მოძაგძაგე, ოჰ! უცნობი ხურვებებით,
მოცახცახე მწვეტი სუსხის ყინულოვან ისართ წინაშე,
აზრო, შენგან ნანადირევი!
უთქმადო! შემობურვილო და თავზარდამცემო!
შენ, მონადირევ ღრუბელთმიღმურო!
შენგან ნამეხარწამხობილი,
შენგან, თვალო დამცინავო, ბნელით რომ მიმზერ!
ამგვარად ვწევარ,
მოვგრეხილვარ, დავგრეხილვარ, წამებული
მარადისი ყველა წამებით,
დაკრული
შენგან, მონადირევ უსასტიკესო,

უცნობო – *ღმერთო...*

უფრო ღრმად ჩამეც!
ერთხელაც ჩამეც!
განმსჭვალე, შენ ეს გული განმსჭვალე!
ჩემი წამება
წვერობლაგვი ისრებით – რისად?
რად იმზერ კვლავაც,
კაცთა-ტანჯვით დაულალავო,
ავითგანმცხრომი ღვთაებრივი-ელვა-თვალებით?
მოკვლა კი არ გსურს,
წამება და მხოლოდ წამება?
არადა რისთვის – *ჩემი* წამება,
ავითგანმცხრომო უცნობო ღმერთო?

ჰაჰა!
ასეთი შუაღამისას
მოიპარები?...
რა გნებავს?
მითხარ!
მამჭიდროვებ, შემომსალტვიხარ,
ჰა! უკვე ერთობ ახლოს მოსულხარ,
ჩემს სუნთქვას ისმენ,
ჩემს გულს უსმენ,
ეჭვიანო!
– მაინც რა გაქვს საეჭვიანო?
თავიდან მომწყდი!
რისთვის – ეგ კიბე?
გსურს შიგნით,
გულში, შეაღწიო?
უიდუმალეს
ჩემს ფიქრებში შეაღწიო?
უტიფარო! უცნობო! ქურდო!

რა გსურს შენთვის გამომტაცო?
რა გსურს შენთვის გამომსმინო?
რა გსურს შენთვის გამომგვამო,
შენ, მგეშელო,
ჯალათო-ღმერთო!
ან, იქნებ, ჯერ არს, როგორც ძაღლმა,
შენს წინაშე ვიხოხიალო?
თავი მოგიძღვნა, შთაგონებით დავკარგო თავი
შენდამი ტრფობით – და გელაქუცო?

ფუჭად დამშვრალხარ!
განაგრძე ჩხვლეტა!
შენ, ნესტარო უსასტიკესო!
მე არ ვარ ძაღლი, ოდენ – შენგან ნანადირევი,
მონადირევ უსასტიკესო!
უამაყესი ტყვედქმნილი შენი,
შენ, მძარცველო ღრუბელთმიღმურო...
ხმა ამოიღე ბოლოს და ბოლოს!
ხმა ამოიღე! შესუდრულო ელვით! უცნობო!
რა გსურს, შარაგზის ყაჩაღო, *ჩემ*-გან?...

რა მომეყურა?
გამოსასყიდი?
და რას ინებებ გამოსასყიდად?
ბევრს მოითხოვდე – გირჩევს ჩემი სიამაყე!
მოკლედ იტყოდე – გირჩევს ჩემი სხვა სიამაყე!
ჰაჰა!
მე – გსურვარ? მე?
მე – სრულიად?...

ჰაჰა!
და, ბრიყვი რომ ხარ, მაწამებ,
ჩემს სიამაყეს მიდმოაწამებ?

სიყვარული მომაგებე – კვლავ ვინ გამათბოს?
კვლავაც ვინ მყვარობს?
ცხელი ხელები მომაგებე!
მომაგებე გულის-სახმილი!
მომეგებოდე, უმარტოესს,
ყინულისგან, ოჰ! შვიდჯერადი ყინულისგან
რომ ესწავლება თვისივ მტერთა,
სწორედ მტერთა მონატრება,
მომეგებოდე, დიახაც რომ, მომელებოდე,
უსასტიკესო მტერო,
მე – *შენვე!*...

განვედ!
აქ იგი თავად განილტვა,
ერთადერთი ჩემი მოყვასი,
იგივ ჩემი დიდი მტერი,
ჩემი უცნობი,
იგივ ჩემი ჯალათი-ღმერთი!...

არა!
დაბრუნდი!
შენმიერი ყველა წამებით!
თითოეული ჩემი ცრემლი
შენსკენ სავალს დაშურებია
და ჩემი გულის ბოლო ცეცხლი
შენსკენ ალდება.
ო, დამიბრუნდი,
შენ, უცნობო ჩემო ღმერთო! ჩემო *ტკივილო*!
ჩემო ბოლო ბედნიერებავ!...

ელვა.
გამოჩნდება დიონისე ზურმუხტისფერი მშვენიერებით.

დიონისე:

არიადნე, მოუხმობდე გონიერებას!
შენ პატარა ყურები გაქვს, შენ ჩემივე ყურები გაქვს:
შენ ისინი გონიერი სიტყვით დაივსე! –
ჯერ თვისივ თავის შეძულება არ მართებთ განა, თუ ჯერარს
თვისივ თავი უყვარდეთ?...
მე ვარ შენი ლაბირინთი...

დიდება და მარადისობა

1

რა ხანს კრუხობდი
შენს ბედკრულობას?
გაფრთხილდი! შენ მე გამომიჩეკავ კიდევ
ერთ კვერცხს,
ბასილისკოს კვერცხს
შენი ხანგრძლივი მწუხარებიდან.

ზარათუშტრა მთის გასწვრივ რატომ მიფეხაკრეფობს?

მიუნდობელი, მოწყლული, ქუში,
დიდხანს მზვერავი –,
თუმც უცებ, ელვა,
ნათელი და საზარელი,
უფსკრულიდან ცისკენ ნამეხი:
– მიმორყეულა თვით მთის
წიაღი...

სად სიძულვილი და ელვის სხივი
ერთიქმნა, *კრულვად* –,
მთებზე ამჟამად ზარათუშტრას რისხვა ბინადრობს,
საავდრო ღრუბლად ფეხაკრეფობს ის თავის სავალს.

შეიმალვოდეს, საფარველი ვისაც უვის უკანასკნელი!
აბა, იჩქარეთ საწოლისკენ, ნებიერებო!
დაგრუხუნებენ აწ თაღებზე ჭექა-ქუხილნი,
აწ ძაგძაგებენ, რაც ბურჯი და ძელფენილია,
ელვანი და გოგირდისფერ-ყვითელნი ჭეშმარიტებანი აწ
შეიძრვიან –
ზარათუშტრა კრულვასიტყვაობს...

2

ამ მონეტას, რომლითაც
მთელი ქვეყნიერება გადახდილია,
დიდებას –,
აი, ამ მონეტას მე ვეხები ხელთათმანებით
და ჩემივე *ქვეშ* მას ზიზღით ვქელავ.

ვის სურს, რომ იყოს გადახდილი?
გაყიდვადებს სურთ...
ვინც გასაყიდად გამოდგმულა, წაეტანება
ქონიანი ხელებით იგი
ამ სრულიადქვეყნიერების-თუნუქადმოჟღარუნე დიდებას!

მათი ყიდვა *გსურს*?
ყველა მათგანი გაყიდვადია.
მაგრამ ბევრი შესთავაზე!
საუსე ქისა ააჟღარუნე!
– თორემ შენ მათ *გააძლიერებ*,
თორემ შენ მათ *სათნოებას* გააძლიერებ...

სათნოა ყველა იმათგანი.
დიდება და სათნოება – ერთმანეთის ალიკვალია.
ვიდრე სულდგმულობს ქვეყნიერება,
მისგან დიდების რაკა-რუკით
გადაიხდება სათნოების რატა-რუტი –,

ამ ხმაურით სული უდგას ქვეყნიერებას...

მსურს, ყველა სათნოს
        მოვალე ვიყო,
ყველაზე უფრო დიდი ვალით მოვალე მერქვას!
თითოეული დიდებით-მჟღერი-მსაჯულის თვალწინ
მატლად იქცევა ჩემი პატივმოყვარეობა –,
ამგვართა შორის
უმდაბლესად ყოფნა მწადია...

ამ მონეტას, რომლითაც
მთელი ქვეყნიერება გადახდილია,
დიდებას –,
აი, ამ მონეტას მე ვეხები ხელთათმანებით
და ჩემივე ქვეშ მას ზიზღით ვქელავ.

3

ჩუმად!
მაღალთა საგანთაგან – მე ვუმზერ მაღალს! –
ჯერარს დუმილი
თუ – მაღალი მეტყველება:
მოხიბლულო ჩემო სიბრძნევ, იტყოდე მაღალს!

მზერას აღვაპყრობ –
მიდმოძრულან იქ ნათლის ზღვანი:
ო, ღამე, ო, დუმილი, ო, ხმაური სამარისებრი!...
მე ვუმზერ ნიშანს –,
უშორესთა შორეთთაგან
თანავარსკვლავედი ნება-ნება მოკაშკაშედ ეშვება ჩემსკენ...

4

უმაღლესო მნათობო ყოფნის!
მარადიულ ნაკვეთთა დაფავ!

შენ ჩემსკენ მოხვალ? –
რაც არავის მოუხილავს,
შენი უტყვი მშვენიერება –
როგორ? ჩემეულ მზერათაგან ის არ განილტვის? –

შენ, ფარო გარდუვალობისა!
მარადიულ ნაკვეთთა დაფავ!
– მაგრამ ხომ უწყი:
რაც ყველას სძულს,
რაც მხოლოდ *მე* შემყვარებია:
– რომ ეს *შენ* ხარ *მარადიული*!
რომ ეს შენ ხარ გარდაუვალი! –
ენთება ჩემი სიყვარული
მარად მხოლოდ გარდუვალობით.

შენ, ფარო გარდუვალობისა!
უმაღლესო მნათობო ყოფნის!
– რომელსაც ვერცრა ნატვრა მისწვდება!
– რომელსაც ვერცრა **არა** შებღალავს,
სამარადისო **ჰო** ყოფნისა,
შენი **ჰო** ვარ სამარადისოდ:
რადგან მიყვარხარ მე შენ, ჰოი, მარადისობავ! – –

უმდიდრესის სიღარიბისთვის

ათი წელი გაილია –,
რაც ჩემამდე წვეთსაც კი არ მოულწევია,
არც ნოტიო ქარს, არც ტრფობის ნამს
– უწვიმო მიწა...
აწ ვთხოვ ჩემს სიბრძნეს,
ამ გვალვაში არ გახდეს ძუნწი:
გადმოიღვარე თვითვე, თვითვე მოიღე ნამი,

გადაყვითლებულ ველურ ალაგთ თვით ექეც წვიმად!

მომხდარა ერთ დროს, რომ ღრუბლები
გამირეკავს ჩემი მთებიდან, –
ასე ვიტყოდი ერთ დროს: "მეტი სინათლე, ბნელნო!"
დღეს მათვე ვიმხრობ მოსაახლებლად:
სიბნელე ჰქმენით ჩემს გარშემო თქვენი ცურებით!
– თქვენ, ძროხანო სიმაღლეთა,
მსურს, ჩამოგწველოთ!
რძეთბილ სიბრძნეს, ტრფობის ტკბილ ნამს
მოვალერი მიწას.

შორს ჩემგან, ჭეშმარიტებანო,
მრუმედ მზირალნო!
არ მსურს ჩემს მთებზე
ვიხილო ჭეშმარიტებანი მწკლარტენი და მოუთმენარნი.
მე დღეს ახლოდ მიჩს ჭეშმარიტება
ღიმილით მოოქროვებული,
მზით დამტკბარი, სიყვარულით ნამზეური, –
ხიდან მოვწყვეტ მხოლოდ *მწიფე* ჭეშმარიტებას.

მე დღეს ხელს ვიწვდი
შემთხვევითობის კულულებისკენ,
საკმარისად გონიერი, შემთხვევითობა
ბალღივით რომ გავიყოლო, თვით გავაცურო.
მე დღეს მსურს, ვიყო სტუმართმოყვარე
არსანდომის წილ,
მსურს, თვით ბედის წილ არ ვიყო მჩხვლეტი,
– ზარათუშტრა ზღარბი არ არის.

ჩემმა სულმა,
თვისი ენით გაუმაძღარმა,
ყველა კარგს და ავს გაუსინჯა მან უკვე გემო,

მას ჩაუყვინთავს ყველა სიღრმეში.
მაგრამ ის მიწყივ, მსგავსად კორპისა,
კვლავ ზედაპირზე დაცურავს მიწყივ,
მურა ზღვებზე ის ზეთივით მიმოლიცლიცებს:
მე ბედსვიანს მიწოდებენ ამ სულის გამო.

ვინ მეგულვიან მამად და დედად?
განა არ არის მამაჩემი პრინცი სიუხვე
და დედაჩემი — ჩუმი სიცილი?
განა ამ ორთა საქორწილო კავშირმა არ მშვა
მე — ნადირი-გამოცანა,
მე — ურჩხული-ნათლიერი,
მე — ზარათუშტრა, გამფლანგველი ყოველი სიბრძნის?

დღეს სინაზით დასენილი,
სიო ლელისა,
ზის ზარათუშტრა მომლოდინე, მომლოდინე თვისივე მთებში, —
თვისივ წვენში
დამტკბარი და დადუღებული,
ფერხთით თვისივ მწვერვალისა,
ფერხთით თვისივ ყინულისა,
დაღლილ-ნეტარი,
თვისივ, მეშვიდე, დღეს — შემოქმედი.

— ჩუმად!
მიმოვალს ჩემს თავზემოთ ჭეშმარიტება
მსგავსად ღრუბლისა, —
უხილავი ელვებით მმსჭვალავს.
განიერი ნელიადი კიბეებით
დაეშვება ჩემსკენ მისი ბედნიერება:
მოდი, მოდი, შენატრფობო ჭეშმარიტებავ!

— ჩუმად!

ჰა, *ჩემი* ჭეშმარიტება! –
მოორჭოფე თვალებიდან,
ხავერდოვანი ძაგძაგიდან
დამსობია მისი მზერა,
ეშხიანი, ბრაზიანი, ქალწულის მზერა...
მან საფუძველი გამოიცნო სწორედ ჩემი ბედნიერების,
მე გამომიცნო – ოჰ! ის ახლა რას განიზრახავს? –
მისი უმწიკვლო მზერის უფსკრულში
გველეშაპი მეწამულად ჩასაფრებულა.

– ჩუმად! *მეტყველებს* ახლა ჩემი ჭეშმარიტება! –

ვაი შენს თავს, ზარათუშტრა!

იმას ჰგავხარ,
ვისაც ოქრო გადაუყლაპავს:
დრო მოვა, მუცელს გამოგფატრავენ!...

შენ ხომ ერთობ მდიდარი ხარ,
ბევრთა წამხდენო!
ერთობ ბევრს აქცევ *შენ* მოშურნედ,
შენ ღარიბად ერთობ ბევრს აქცევ...
თავად მე მჩრდილავს შენი ნათელი –,
მამცივნებს: განვედ ჩემგან, მდიდარო,
ზარათუშტრა, განშორდი შენს მზეს!...

შენ ჩუქებას, განჩუქებას ინებებდი შენი სიუხვის,
მაგრამ თავადვე უხვი ხარ ერთობ!
გონიერებას უხმე, მდიდარო!
ჯერ შენივ თავი განაჩუქე, ო, ზარათუშტრა!
ათი წელი გაილია –,
და შენამდე წვეთსაც კი არ მოულწევია?
არც ნოტიო ქარს? და არც ტრფობის ნამს?

მაგრამ ვის *ჰხამდა* ჰყვარებოდი,
შენ, უმდიდრესო?
ბედსვიანობა შენი შეიქმს ირგვლივ სიმშრალეს,
სიყვარულის სიმწირეს შეიქმს
– *უწვიმო* მიწას...

აღარც ვინ გმადლობს.
შენ კი მადლობ თითოეულს,
ვინც იღებს შენგან:
ამით გცნობ მე შენ,
შენ, უმდიდრესო,
შენ, ყოველთა მდიდართაგან *ულარიბესო*!

შენ მსხვერპლად სწირავ შენივე თავს, შენ შენივე სიმდიდრე
გტანჯავს –,
შენივ თავს გასცემ,
არ ზოგავ შენს თავს, შენ არ გიყვარს შენივე თავი:
დიდი ტანჯვა გაიძულებს ნებისმიერ ჟამს,
ტანჯვა ბელელთა *ჭარბსავსეთა*, *ჭარბსავსე* გულის –
მაგრამ უკვე არავინ გმადლობს...

მეტად ღარიბი უნდა გახდე,
ბრძენო არბრძენო!,
თუ გსურს, უყვარდეთ.
მხოლოდ ურვილი შეყვარებიათ,
სიყვარულს მხოლოდ მოშიმშილეს უზიარებენ:
ჯერ შენი თავი განაჩუქე, ო, ზარათუშტრა!

– მე ვარ შენი ჭეშმარიტება...

გეორგ თრაკლი

სამი სიზმარი

I

ასე მეჩვენა, ფოთოლცვენა მესიზმრებოდა
და – შორეული კორომები და ტბები ბნელი,
მწუხარ სიტყვათა ექო იყო, რაც მე მწვდებოდა,
მაგრამ არ ვიყავ მათი აზრის ამომკითხველი.

ასე მეჩვენა, ვარსკვლავცვენა მესიზმრებოდა,
ვედრება თვალთა, ფერმიხდილთა, ცრემლების მღვრელი,
უცხო ღიმილის ექო იყო, რაც მე მწვდებოდა,
მაგრამ არ ვიყავ მისი აზრის ამომკითხველი.

ვით ფოთოლცვენის, ვით ვარსკვლავცვენის,
ჩემი მარადი მოსვლა-წასვლის ვიყავ მხილველი,
ამ ერთი სიზმრის უკვდავ ექოდ მი-და-მომჩენის,
მაგრამ არ ვიყავ მისი აზრის ამომკითხველი.

II

ჩემივე სულის ამ ბნელ სარკეში
ჰგიებენ ხატნი არნახულ ზღვათა,
ლურჯში და სავარაუდოში განღვრილ-განრეულ
და ტრაგიკულად ფანტასტიკურ მკვდარ ქვეყანათა.

ცები, სისხლივით ძოწისფერი, შვა ჩემმა სულმა,
გიგანტურ მზეთა, აზათქულთა, ძალით მხურვალი,
და – უჩვეულოდ ცოცხალი და ლაღი ბაღები,

მკვლელმა, მხუთავმა ტკბობამ კვამლა რომელთა კვალი.

და ჩემი სულის ბნელმა თავწყარომ
სასტიკ ღამეთა შექმნა ხატები,
შეძრული უთქმელ სიმღერებით და
წარუვალ ძალთა სუნთქვის მატებით.

უწყავ ზღვებში და ღამეებში, ღრმა სიმღერებში,
რომ არ უწყიან დასაწყისი და დასასრული, -
თითქოს ყოველში კვლავ ეპოვოს თავისი თავი –
ხსოვნის სიბნელით შემოსილი, ძრწის ჩემი სული.

III

ბევრი ქალაქი ვნახე ცეცხლით მიმორბეული,
ვიხილე წყებად მოზღვავება საზარელ დროთა,
და უამრავი ხალხი, მტვრად და ფერფლად ქცეული,
და ყოველივე დავიწყებას ვით ესწრაფოდა.

ვნახე, ღმერთები ღამეში რომ ჩაიქცეოდნენ,
უნუგეშოდ რომ იმსხვრეოდნენ წმინდა არფები,
იავარქმნიდან კვლავ სიცოცხლედ რომ იქცეოდა
მორჩი ურიცხვი, სინათლისკენ ანასწრაფები.

ანასწრაფები სინათლისკენ და კვლავ გამქრალი,
მარად იგივე ეს ტრაგედია,
ჩვენ რომ ვთამაშობთ, ვერ ვუნახეთ თუმც აზრის კვალი,

და მათი ტანჯვა ვით გონების დაბინდვა სრული
მშვენიერების ნაზი გლორია
ეკლის მღიმარე კოსმოსივით გვირგვინდადგმული.

ნაშუადღევს ნაჩურჩულევი

შემოდგომის მზეს გამოლევია
ძალა; ხეებქვეშ ეცემა ხილი.
ლურჯ ოთახებში სახლობს დუმილი,
როცა ხანგრძლივი ნაშუადღევია.

ლითონის ზრინი, სიკვდილცხებული;
და წაემხობა თეთრი ნადირი.
მუქ გოგონათა სიმღერა მწირი,
ფოთოლცვენაში განქარებული.

შუბლს ესიზმრება უფლის ფერები;
გრძნობს, შეშლილობის ნაზი ფრთებია.
ბორცვთან ჩრდილები ეხეტებიან,
ლპობა-ხრწნით შავად მონაფერები.

დაისი, სავსე სიმშვიდით, ღვინით;
და – გიტარათა, მწუხართა, ხმები.
როგორც სიზმარში, დაუბრუნდები
ისევ ლბილ სანათს, ანთებულს შინით.

კარლ ფრიდრიხ-კოსატი

ელეისონ

შემოდგომა როცა დგება,
კვლავ შევცქერი,
მაინც რა ფრად აენთება ჩირაღდანი.
ეშვებიან ეს ფოთლები
წითლად, ყვითლად,
ლურჯი ცისთვის ზაფხულისგან ნაბოძები.
ელეისონ.

ტყეს ვინ აგლეჯს
კენწეროთა მწვანე ფოთლებს,
უსწრაფესად
ერეკება მის გაფანტულ
ფრინველებს ცად?
მე კი ვფიქრობ,
რომ სამყარომ საკუთარ თავს
მათრახი სცა.
ელეისონ.

ოჰ, ზამთარი ახლოვდება
და მწუხრები
ჩქარდება და პირქუშდება.
ვით ვიმღერო,
როს ტყეები ასე კვდება?
დედამიწა
საფლავებით უსწრაფესად იქსელება.
ეს მინდვრება უკვე აღარ მოიხვნება.
ელეისონ.

კანტო XLV
უზურას ძალით

უზურას ძალით არავის აქვს კარგი ქვის სახლი,
როცა ქვებს ისე აგლუვებენ და ისე თლიან,
რომ მათი სახე იერსახედ გადააქციონ,
უზურას ძალით
ვერვინ იხილავს ტაძრის კედელზე დახატულ ედემს
harpes et luz-ს
ან ადგილს, სადაც ქალწულს ეუწყა,
და შარავანდედს, ბჭიდან გადმოსულს,
უზურას ძალით
გონძაგა არვის გამოუჩნდება, არც ნაგრამი და კონკუბინები
არ შეიქმნება ხატი მრავალჟამიერი, ცხოველმყოფელი,
არამედ ოდენ გასაყიდად და კვლავ და კვლავ გასაყიდად
დამზადებული
უზურას ძალით, ბუნებას რომ უტევს, იმ ცოდვით,
შენი პური ერთიანად უგემურდება
შენი პური გამომშრალა, როგორც ქაღალდი,
იგი არ არის მთის ხორბალი და არც ფქვილი შემტკიცებული
უზურას ძალით გავლებული ხაზი სქელდება
უზურას ძალით ყველა მიჯნა ბუნდოვანდება
და საცხოვრისის ასაგებად კაცს სამკვიდრო ვერ მოუნახავს
შორს დაშთენილა ქვითხუროო ქვისგან
ფეიქარი სართავ ჯარას მოშორებია
უზურას ძალით
ბაზრობამდე ვერ აღწევს მატყლი
ცხვარი მისხალსაც არ მოიღებს უზურას ძალით

უზურა არის ჭირი, უზურა
მოახლის ხელში ნემსს აჩლუნგებს,
წყვეტს დამრთავის გამჭრიახობას. პიეტრო ლომბარდო
არ მოსულა უზურას ძალით
უზურას ძალით არ მოსულან არც დუჩო და
არც პიერო დელა ფრანჩესკა; ჟუან ბელინი არ მოსულა უზურას
ძალით
არ დაწერილა „La Callunia" უზურას ძალით.
ანჯელიკო არ მოსულა უზურას ძალით; ამბროჯიო პრედისიც –
არა,
და არც ტაძარი აგებულა, გათლილ ქვაზე ამოჭრილი ამ
წარწერით: Adamo me fecit.
უზურამ არ შვა წმინდა ტროფიმი
უზურამ არ შვა წმინდა ილერი,
საჭრეთელს ჟანგი მოედება უზურას ძალით
ოსტატობასაც ის ჟანგავს და ჟანგავს ოსტატსაც
ძფსაც ის ხრავს სართავ ჯარაზე
არავინ სწავლობს მის ნიმუშზე ოქრომჭედლობას;
უზურას ძალით შეუბოჭავს კიბოს ლაჟვარდი; ძოწისფერი
დარჩენილა მოუქარგავი
ზურმუხტისფერს არ ჰყავს მემლინგი

უზურა აშთობს ჩასახულ ჩვილს დედის საშოში
თვითწარდგინება აუკრძალავს ყმაწვილკაცისთვის
საწოლში კი სისხლჩაქცევა შეუტანია, დანთხეულა
ნეფესა და პატარძალს შორის
CONTRA NATURAM
ელევსისში მეძავები შეუყვანიათ
წვეულებაზე მოსალხენად გვამები დასხეს
სწორედ უზურას განკარგულებით.

მევახშეობით*

მევახშეობით არავის აქვს კარგი ქვის სახლი,
როცა ქვებს ისე აგლუვებენ და ისე თლიან,
რომ მათი საზე იერსახედ გადააქციონ,
მევახშეობით
ვერვინ იხილავს ტაძრის კედელზე დახატულ ედემს
harpes et luz-ს
ან ადგილს, სადაც ქალწულს ეუწყა,
და შარავანდედს, ბჭიდან გადმოსულს,
მევახშეობით
გონძაგა არვის გამოუჩნდება, არც ნაგრამი და კონკუბინები
არ შეიქმნება ხატი მრავალჟამიერი, ცხოველმყოფელი,
არამედ ოდენ გასაყიდად და კვლავ და კვლავ გასაყიდად
დამზადებული
მევახშეობით, ბუნებას რომ უტევს, იმ ცოდვით,
შენი პური ერთიანად უგემურდება
შენი პური გამომშრალა, როგორც ქაღალდი,
იგი არ არის მთის ხორბალი და არც ფქვილი შემტკიცებული
მევახშეობით გავლებული ხაზი სქელდება
მევახშეობით ყველა მიჯნა ბუნდოვანდება
და საცხოვრისის ასაგებად კაცს სამკვიდრო ვერ მოუნახავს
შორს დაშთენილა ქვითხურო ქვისგან
ფეიქარი სართავ ჯარას მოშორებია
მევახშეობით
ბაზრობამდე ვერ აღწევს მატყლი
ცხვარი მისხალსაც არ მოიღებს მევახშეობით
მევახშეობა არის ჭირი, მევახშეობა
მოახლის ხელში ნემსს აჩლუნგებს,
წყვეტს დამრთავის გამჭრიახობას. პიეტრო ლომბარდო
არ მოსულა მევახშეობით

---

* თარგმანის მეორე ვარიანტი პირველის იდენტურია, ჩანაცვლებულია მხოლოდ სიტყვა-კონცეპტი USURA.

მევახშეობით არ მოსულან არც დუჩო და
არც პიერო დელა ფრანჩესკა; ძუან ბელინი არ მოსულა
მევახშეობით
არ დაწერილა „La Callunia" მევახშეობით.
ანჯელიკო არ მოსულა მევახშეობით; ამბროჯიო პრედისიც –
არა,
და არც ტაძარი აგებულა, გათლილ ქვაზე ამოჭრილი ამ
წარწერით: Adamo me fecit.
მევახშეობას არ უშვია წმინდა ტროფიმი
მევახშეობას არ უშვია წმინდა ილერი,
საჭრეთელს ჟანგი მოედება მევახშეობით
ოსტატობასაც ის ჟანგავს და ჟანგავს ოსტატსაც
ძაფსაც ის ხრავს სართავ ჯარაზე
არავინ სწავლობს მის ნიმუშზე ოქრომჭედლობას;
მევახშეობით შეუბოჭავს კიბოს ლაჟვარდი; ძოწისფერი
დარჩენილა მოუქარგავი
ზურმუხტისფერს არ ჰყავს მემლინგი

მევახშეობა დედის საშოში აშთობს ჩანასახს
თვითწარდგინება აუკრძალავს ყმაწვილკაცისთვის
საწოლში კი სისხლჩაქცევა შეუტანია, დანთხეულა
ნეფესა და პატარძალს შორის

CONTRA NATURAM

ელევსისში მეძავები შეუყვანიათ
წვეულებაზე მოსალხენად გვამები დასხეს
მევახშეობის განკარგულებით.

გ. უნტერ აიხი

ლექსები რადიოპიესიდან სიზმრები

* * *

მშურს ყველასი, ვისაც დავიწყება შეუძლია,
ვინც დასაძინებლად დამშვიდებული წვება და არაფერი ესიზმრება.
შვებულებისას მიღწეული მიზნით, ჩრდილოეთის ზღვით,
ნოტრ-დამით,
ჭიქაში წითელი ბურგუნდულით და ჯამაგირის მიღების დღით
ბრმა კმაყოფილების მომენტების გამო ჩემივე თავის მშურს.
გულისგულში კი იმას ვფიქრობ, რომ არც სუფთა სინდისია
საკმარისი,
და მეეჭვება იმ ძილის სიკეთის, რომელშიც ჩვენ, ყველანი, ვნანაობთ.
აღარ არსებობს წმინდა წყლის იღბალი (– ოდესმე კი
არსებულა? –),
და მინდა შემეძლოს ამა თუ იმ მძინარის გაღვიძება და
მისთვის იმის თქმა, რომ ასე კარგია.

შენც წამოვარდნილხარ ერთხელ სიყვარულის მკლავებიდან,
რადგან შენს ყურს ყვირილი მისწვდა, ის ყვირილი,
რომელსაც დედამიწა ამოიყვირებს და რომელიც შენ,
ჩვეულებრივ, წვიმის ხმაური ან ქარის შარიშური გგონია ხოლმე.
შეხედე, რამდენი რამ მოიპოვება: საპყრობილეები და წამება,
სიბრმავე და დამბლა, სიკვდილის მრავალსახეობა,
უსხეულო ტკივილი და ძრწოლა, რომელსაც სიცოცხლე
გულისხმობს.

ბევრი პირიდან ამონაოხრს აგროვებს მიწა,

და იმ ადამიანთა თვალებში, შენ რომ გიყვარს, გაოგნება
ჩასახლებულა.
ყველაფერი, რაც ხდება, შენ გეხება.

* * *

იფიქრე იმაზე, რომ ადამიანი ადამიანის მტერია
და რომ მას გაცამტვერება განუზრახავს.
იფიქრე ამაზე ყოველთვის, იფიქრე ამაზე ახლა,
სწორედ აპრილის ამ წამს,
ამ მოლრუბლული ცის ქვეშ,
როცა გწამს, რომ ხასხასა ზრდის ვერსაწვდომი ჭრაჭუნი გესმის,
როცა ტოროლების გალობით აღსავსე
გოგონები ნარშავებს ჩხვერენ,
ამ წამსაც კი ამაზე იფიქრე!

როცა ღვინოს აგემოვნებ რანდერსაკერის მარნებში
ან ალიკანტეს ბაღებში ფორთოხლებს კრეფ,
როცა ტაორმინას სანაპიროს სიახლოვეს, სასტუმრო
"მირამარ"-ში ჩაგძინებია,
ან სულთა ხსენების დღეს სანთელს ანთებ ფოიხტვანგენის
სასაფლაოზე,
როცა თევზაობ, დოგერ-ბენკის თავზე შლი ბადეს,
ან დეტროიტში კონვეიერიდან ჭანჭიკს იღებ,
როცა სეჩუანის ბრინჯის ტერასებზე მცენარეებს რგავ,
ანდების პლატოზე ჯორით ჯირითობ, -
იფიქრე ამაზე!

იფიქრე ამაზე, როცა ნაზად გეხება ხელი,
იფიქრე ამაზე, როცა შენი ცოლი მკლავებს გხვევს,
იფიქრე ამაზე, როცა შენი შვილი იცინის!

იფიქრე ამაზე: დიდი ნადგურცემების მერე

ნებისმიერი მტკიცებას დაიწყებს, რომ მას ბრალი არ მიუძღოდა.

იფიქრე ამაზე:
კორეა და ბიკინი გეოგრაფიულ რუკაზე არსად მდებარეობს,
არამედ – შენს გულში.
იფიქრე იმაზე, რომ შენი ბრალია ყველა საშინელება,
რაც შენგან შორს ხდება –

* * *

და მაინც, ბოლო ჟამს ვიფიქრებ, რომ დედამიწა ლამაზი იყო.
ვიფიქრებ მეგობრებზე, სიკეთეზე, უგვან სახესაც რომ ლამაზად
აქცევს,
სიყვარულზე, თვალებს რომ ნუსხავს.
ძაღლზე ვიფიქრებ, ჩემთან ერთად მოთამაშე თანატოლებზე, ბავშვი
რომ ვიყავი,
ერთი შვებულების დროს ნანახ ზამლანდის სანაპიროს ლურჯ
ხანჭკოლებზე,
კიდევ ერთხელ ვნახავ სოჭთა გრძელ ჩრდილებს ბაუერნშმიდის
საძოვარზე
და ემი გრუბერთან ერთად გედერერზე ავალ,
გავიხსენებ მერკიშ-ფრიდლანდის აეროდრომის თავზე
ფრინველთა გადაფრენას,
ლუდის სარდაფის სუნს სასტუმრო "ცუმ ჰირშენ"-ში, რომელიც
პაპაჩემს ეკუთვნოდა,
ანწლს, რაფსს და ყაყაჩოს, თვითმფრინავის სარკმლიდან რომ
შემივლია თვალი,
თოთხმეტი წლის გაბრიელე დემბიცას გაწითლებას,
სხვა თვითმფრინავის წითელ და მწვანე სინათლეებს, კასიოპეას
თანავარსკვლავედქვეშ როცა მიფრინავდა,
ლამპიონთა შუქზე Quatorze Juillet-ის ცეკვას,
დილაობით ხილის სურნელს ფარდულებთან ცელეს სასახლის წინ,

ვიფიქრებ იმ ხვლიკის გულისცემაზე, მე რომ თვალი მომკრა,
და იმ ლექსზე "დასავლურ-აღმოსავლური დივანიდან", მე რომ
მანუგეშა.

* * *

არის საგზაო ნიშნები გზებზე,
მდინარეთა იოლად საცნობი დინებები,
გადმოსახედი ბაქნები შემაღლებულ ადგილებზე,
გეოგრაფიული რუკები, რომლებზეც ზღვები ლურჯად არის
აღნიშნული,
ტყეები კი – მწვანედ,
– იოლია დედამიწაზე ორიენტირება.

მაგრამ შენ, ჩემს გვერდით რომ მოაბიჯებ, რარიგ დამალულია
ჩემთვის შენი გულის სანახი!
ნისლში ხელის ცეცებისას ხშირად მიპყრობს
უღრანის და დამალული უფსკრულის შიში.
ვიცი, არ გსურს, ვინმემ შენს ფიქრებში იხეტიალოს,
კვალის ამრევი უნდა იყოს შენი სიტყვების ექო,
– ქუჩები, უმიზნონი რომ არიან,
უგასასვლელო ტერიტორია, გაუქმებული აღნიშვნა.
ყველა საუკუნე ახალ ვითარებებს გვაძლევს დასამალად,
სიყვარულის ცნობისმოყვარე თვალისგან ხშირი ბალახით
დაცულ ალაგს,
დაფარულს სიმარტოვით, უფრო და უფრო ხშირი ფოთლეულით.

* * *

გამოფხიზლდით, ვინაიდან ცუდ სიზმრებს ხედავთ!
იფხიზლეთ, რადგან საზარელი გვიახლოვდება.

შენთანაც მოვა, შორს რომ სახლობ ადგილებიდან, სადაც ახლა
სისხლი იღვრება,
შენთანაც და – ნაშუადღევის იმ შენს ძილთანაც,
რომლის დროსაც შეწუხება არ გსიამოვნებს.
დღეს თუ არ მოვა, მაშინ ხვალ მოვა,
მაგრამ დარწმუნებული იყავი, – მოვა.

"ოჰ, საამური ძილი
წითელყვავილებიან ბალიშზე,
ანიტას საშობაო საჩუქარზე, რომელსაც ის სამი კვირა ქარგავდა,
ოჰ, საამური ძილი,
თუმც მწვადი ცხიმიანი იყო და ბოსტნეული – მსუბუქი.
თვლემისას გასულ საღამოს ნანახ საკვირაო მიმოხილვაზე
ფიქრობენ ხოლმე:
სააღდგომო ბატკნის კექსები, გამოღვიძებული ბუნება,
ბადენ-ბადენში სამორინეს გახსნა,
კემბრიჯმა ოქსფორდს სიგრძით ორნახევარჯერ აჯობა, -
ეს კმარა ტვინის დასასაქმებლად.

ოჰ, პირველხარისხოვანბუმბულიანი ეს ფუმფულა ბალიშები,
მათზე ივიწყებენ მსოფლიოს გულსაწყრომს, მაგალითად, აი, ამ
უწყებას:
აბორტის გამო ბრალდებულმა თავის გასამართლებლად განაცხადა:
ქალი, შვიდი შვილის დედა, მოვიდა ძუძუმწოვარი ჩვილით,
რომლისთვისაც საფენები არ ჰქონდა და რომელიც
გაზეთში იყო შეხვეული.
მაშ, ეს უკვე სასამართლოს საქმე ყოფილა და არა – ჩვენი.
რა გაეწყობა, თუ ერთი უფრო მაგარ საგებზე წევს, ვიდრე –
მეორე.
მოხდეს, რაც მოსახდენია, დაე, ჩვენი შვილიშვილები მას მტკიცედ
დაუხვდნენ."

"ახ, უკვე გძინავს? კარგად გამოფხიზლდი, ჩემო მეგობარო!

ნაღობებში უკვე დენი გადის, და საგუშაგოებიც გამწკრივებულია."

ნუ, ნუ დაიძინებთ, მსოფლიოს მოწესრიგეები როცა ირჯებიან!
იყავით ეჭვიანნი მათი ძალაუფლების მიმართ, ვითომ თქვენთვისვე
რომ უნდა მოიპოვონ.
იზრუნეთ იმაზე, რომ თქვენი გული ცარიელი არ იყოს მაშინ,
როცა თქვენი გულის სიცარიელის იმედად არიან!
აკეთეთ რალაც უსარგებლო, იმღერეთ სიმღერები, თქვენი
ბაგეებიდან რომ არ მოელიან!
იყავით მოუხერხებელნი, მსოფლიოს მექანიზმში იყავით ქვიშა და
არა – ზეთი!

ილზე აიხინგერი

გაჩუქებული რჩევა

მთიანეთის კიდე

მაინც რას ვიქმოდი,
მონადირეები რომ არ ყოფილიყვნენ, ეს ჩემი სიზმრები,
რომლებიც დილით
მთიანეთის მიღმა
ეშვებიან, ჩრდილში.

ზამთრის პასუხი

ქვეყნიერება შედგება მასალისგან,
რომელიც განჭვრეტას მოითხოვს:
აღარც თვალი მოიპოვება
თეთრი მინდვრების დასანახად,
არც – ყური ტოტნარში
ჩიტთა ჟივჟივის მოსასმენად.
ბებია, სად გაქრა შენი ბაგეები,
ბალახების გემო რომ შეგეგრძნო,
და ჩვენთვის ბოლომდე ცას ვინ შეიყნოსავს,
ვისი ღაწვები მიეფხავება დღესაც კი
ასე მტკივნეულად სოფელში გალავნებს?
დაბურული ტყე ხომ არ არის,
სადაც ჩვენ აღმოვჩნდით?
არა, ბებია, ის დაბურული სულაც არ არის,

მე ეს ვიცი, დიდხანს ვიცხოვრე
მე ტყის პირას ბავშვებთან ერთად,
და ეს არც ტყეა.

კვირადღის პირველი ნახევარი

ღმერთს ჰყვარობდე,
ლოცვას აღუვლენდე
და მხოლოდ მას ემსახურებოდე.
ეზოებისკენ მიმავალი
გულდამშვიდებით,
განსაზღვრულ ჟამს
შორეთიდან დანახული,
ზემორე თოვლის.

მარიანა

ნუგეშს მგვრის,
ოქროს ღამეებში
ჩვილს რომ სძინავს.
მისი სუნთქვა სამჭედლოსთან რომ ჩაივლის
და მისი მზე
ადრიანად
მამალთან და ქათმებთან ერთად
სველ ბალახს თავზე წამოადგება.

უცხოობაში

წიგნები – უცხო ბიბლიოთეკებიდან,
მოღონიერებული მტრედები.

ეს იმ ადგილზე იქნებოდა დამოკიდებული,
რომლის დასატოვებლადაც
მზად ვართ,
მისთა ჟოლოს ბუჩქთა,
თავსაფართა,
ქარში უკვე რომ მოუსწრიათ დანაოჭება,
ჩუმად იცვლებიან ისინი ჩვენს უკან,
ქვით ან ქვიშით
ნაგებ ბაღთა
თბილ ზურგებზე,
როცა ჩვენ ვრჩებით.

მიძღვნა

მე არ გწერთ წერილებს,
მაგრამ თქვენთან ერთად სიკვდილი ჩემთვის იოლი იქნებოდა.
ჩვენ ფრთხილად დავეშვებოდით მთვარეებიდან
და თუ პირველი სულისმოთქმა მატყლის გულებს მიუწვებოდა,
მეორე მოგვნახავდა უკვე მგლებთან და ჟოლოსფერთან
და არაფრის დამცხრობ კოცონთან ერთად, მესამე, ეს მე
ვიქნებოდი,
მეჩხერი ხავსით შემოსილ, თხელ და ცვენად ღრუბელთა
და ვარსკვლავთა ღარიბი ბრბოს გავლით, ასე იოლად
გადალახულის,
თქვენივე ცაში თქვენთან ერთად.

მოახლე გოგოთა ნაკლებობა

ვინ ჩაუდგება კვალში კლდეებს,
ვინ შემოქობავს ბალახს,
ვინ შემოგვისაზღვრავს მოედნებს

ქუჩების მიღმა?
იმათ, კოვზებით რომ ჭამდნენ,
ფეხსაცმლებში
ქვები ჩაილაგეს
და რა ხანია გაგვეცალნენ.
ვინღა დაგვეხმარება,
მზეს ვინ ააცეკვებს
და აათამაშებს?
მარტონი აღმოვჩნდით.
ხიდან ხემდე
თუ ჩამოეშვებიან აჩრდილები,
ეს ნუგეშისმცემლები, თავიანთი ქსელებიდან
სულ მალე ჩვენკენ?

უამინდო საათებით სარგებლობა

დაე, დაისვენოს
მინდვრების სანათმა,
ნისლში, რომელიც მაღლა ადის,
რაკიღა არაფერი გინათებს.
საშიში გამოქვაბულები გორაკებზე
დაკეტილია,
ნიადაგი რა ხანია დარჩენილა უთალგამებოდ,
ბავშვებიც გაკრეფილან.
ყვავილწნულებიღა
შემორჩენ,
ისინი ზეთს წვავენ,
მათთან ლაპარაკი შესაძლებელია.

სოფლის გზა

შემოდგომაზე შოშიები ავსიტყვაობენ,
ზოგჯერ ჩამესმის კართა ორჯერ გაჯახუნება,
მათ შორის ერთხელ სიზმარში.

ვინ გვიბოძა სურათები,
წითელი ვაშლები
მენახშირის ბაღში,
გაურითმავი, მაგრამ მზადმყოფი ჩვენთან ერთად დასანარცხებლად.

მიმოწერა

ფოსტა რომ ღამით მოსულიყო
და მთვარეს
დამუნათებები
კარს ქვემოთ შეეცურებინა:
ისინი ანგელოზებად გამოჩინდებოდნენ
თეთრად შემოსილნი
და წინკარში მდუმარედ იდგებოდნენ.

რაუხენბერგი

აღვირი,
გვირგვინები გალავნის კედელზე,
გზას მიჩვენებს
ჩრდილთა კვალი, განახლებული.

იქ, სადაც ოთხთვალას ჟანგი მოდებია
დახორხლილ შეშასთან,
სახურავიდან მსუბუქად იხრებიან
ჩემი ძვირფასები.

გვიან

ხის ფერთ
და სანთელს
ჩრდილში ჟანგისფრად ააბრიალებს,
უბერავს ქარი
ნაკაფიდან,
მზეს გაიტყუებს.

მხოლოდ მაშინ,
როცა საცხობი და საბძელი
გრძელდებიან დაისის მერე,
ცა მოიხელთებს
ხეთა ტანებს,
მორიგი წლის დადგომამდე ჟანგდება თოვლი.

მამაჩემი

ის მერხზე იჯდა,
როცა მივედი.
სავალზე თოვლი მიმოიფანტა.
ლაუდონის* საფლავის ადგილმდებარეობა მკითხა,
მე კი არ ვიცოდი.

დაუწერელის დასასრული

ასე არავის ეცოდინება,
როგორ ვსუნთქავდით,

---

* გიდეონ ერნსტ ლაუდონი (1717-1790) – ავსტრიელი ფელდმარშალი, რომელმაც 1789 წელს ბელგრადი დაიპყრო.

ხიდი როცა გადავირბინეთ,
და ვერც იმას შეიტყობენ,
თუ ჩვენ უკან რა მოვიტოვეთ:
სუსტი ხელმოწერები,
თავწაწყვეტილი მზეები.
ჰოსპიტალთა ვესტიბიულები
მდუმარებენ.

ლინცთან

მე, ფეხდაფეხ მადევარი დღით
და ოღროჩოღრო თემშარებით.
უსმინეთ ჯაყჯაყს!
ნუ დამეწევი, ჩემო დღეო,
მაგრამ მდევდე ასე, ფეხდაფეხ.

შეკითხვის ნაწილი

მოედანს წყალი ფარავს,
ჰაერი ჯერაც ბუშტულებად ადის,
მაგრამ რასაც ისინი მღერიან,
ჩემამდე უკვე ველარ აღწევს.
თევზები გარს უვლიან ეკლესიის კარებს,
ვინ მიპასუხებს:
მთაში უნდა გავყვე
თუ სახლში იმათ,
ვისაც მე ვუყვარვარ
და შორი ხედი უყვართ,
ყველა ნაბიჯის ხრაშუნი
კიდევ ერთხელ?
რარიგ შავდება ჩემი ქვეყანა,

მხოლოდ სულ ქვემოთ მრუდდება
მწვანედ დრო.

ადრიანი ზამთრი

ვიდრე სიზმრები ჟანგს მოიდებენ და დაიმსხვრევიან,
დაე, შეყვარებულები მისით დაეშვან თავქვე,
რუხპალტოიანი დიდები და პატარები,
შეხედეთ, ნათელი ზოლი, ყინული.

გუშინდელი ღამე

რამეთუ რამ უნდა იხილოს დღის სინათლე
როგორც თოვლის ზოლებმა,
ხმლებმა ბავშვობის კიდეზე
და ტყის მიმართულებით
ვაშლის ხეთა ტოტებმა,
რომლებიც მთვარემ შავად შეღება,
ქათმებმა, რომლებიც დათვლილია?

მცდელობა

კედელსა და ჩრდილოეთის კედელს შორის,
ნაშუადღევს სტუმრობასა და გამრუდებულ ფიცარს შორის,
ვაშლის და თოვლის ნარჩენებს შორის
დამყარება ურთიერთკავშირის,
რომელსაც ვერავინ აღკვეთს.

ხის ჩანახატი

ევა, პია, ფლორიან, იულიან და მანუელ აიხერებს

აქვე, ახლავე
დასწვდით ამ ტოტებს
და აღიარეთ მათი სიმართლე,
მოხატეთ ისინი, ჩამოკიდეთ,
განზიდეთ,
შემოსვით მათზე თაგვებიც
და ყველაფერიც, რაც მოგესურვებათ:
მშვიდი და მოცახცახე ხელები,
მაჩვები და ყლორტები
და სათხოვარნი დამწუხრებული
თქვენი და-ძმებისთვის,
თეთრი და წითელი ნემსები,
ყველაფერი, როგორც ხდება
და როგორც არ ხდება,
თოვლი და ცარცი,
საშველი, მაგრამ არა საშველი,
არა ნუგეში, მაგრამ ნუგეში.

გასეირნება

რაკიღა ქვეყნიერება დაშორებებისგან წარმოიქმნება,
კიბე-ბაქნებისგან და ჭაობებისგან,
და ის, რაც ასატანია, საკუთარ თავს საეჭვოდ აქცევს,
შესაბამისად, არ დაუშვათ,
რომ თქვენი გომურების უკან კაჭკაჭებმა
მცირე სიმაღლეზე იფრინონ და მოელვარედ
ჩაცვივდნენ მოელვარე ტბორებში,
რომ თქვენი კვამლი ადიოდეს

ტყეების წინ,
გვიყურებს მოვიცადოთ,
ვიდრე თოვლში ოქროსფერი მელიები
გამოგვიჩნდებიან.

სანკტ გილგენი

ჭკნობადი
ყვავილი თავის მოხაზულობებს აჩენს,
ჩაქცეულ სანაპირო ქოხთა
ხის ნახჭი,
მაიოლიკის ბზარები
მორყეულ კარნიზებზე,
შეუმჩნეველი,
ბორბლის მონახვევის
და სწრაფი დამშვიდობების კვალი,
ტოტის ჩერო იმ დროინდელი,
ყველას რომ ეძინა:
წყლის გარდასული თამაშები
შუადღისას.

თივა

თივა,
თივა საბავშვო ბელლებში,
სადაც დამწვრობა
ან უფრო დიდი უბედურების დატრიალება
ერთობ იოლია.
შეზვინული თივა,
თივა ველებზე,
თივა როგორც შესაძლებლობათა

სასიკვდილო მრავალგვარობისას
ერთმანეთის მიჯრით სწორედ ასე მოცემული ასოები,
ეს მიმართულება,
მაგრამ არამც და არამც – სხვა.
თივა, რომელიც ქარს მიაქვს,
მშრალ ნამჯაზე რჩება,
სხვებს სამუდამოდ მოწყვეტილი,
რომელიც იმ თოვლს ელის,
რომელიც მას ცას წარსტაცებს,
მის უძრავ, გაფითრებულ ალიკვალს.
იმის რწმენა, რომ არსებობს არა ნუგეში,
არამედ – აღტაცება,
თივა, თოვლი და დასასრული.

ბანქოს თამაში

შავ კუთხე-კუნჭულთა დამვიწყებლები,
სახეები
და ოქრო გალავანქვეშ,
ხელუხლებელს დავტოვებთ ყველაფერს,
რკინისკაცებიან საქანელას,
ნიმუშებს, რომლებიც გვაბრმავებენ,
და სამზარეულოს სკამქვეშ ნანახ
მარტორქას, სინათლით გამთბარს.

ბობინგერის ჩივილი

ჩემი მეგობრები განქარებულან,
ფოთლებსა და ტოტებს შორის
დავკარგე ისინი.
ვინ განმიმარტავს სურათს,

წვიმიდან ახლად ვინ აღადგენს
იმათ მსუბუქ იერსახეებს,
მათ ვინ დაუჭერს ღრუბელთა ჩაჩებს
ან მე მზის საათს ვინ დამიქოქავს?

ატერზეე

ნახატი, სადმე სიღრმეში აღსრულებულ თევზთა მონასახით,
თორმეტზე თეთრ გალავანს მინარცხებული,
თორმეტზე თეთრი გალავნიდან აღებული,
მნათეს მიერ, რომელიც ჭიშკრის დასაკეტად მოვიდა.
ეს ნახატი არავის უნახავს.

ბრაიტბრუნი

ბავშვობის დღეები
მოგვიანო დღეებისკენ
იხრებიან.
და როცა კითხვას სვამ სამშობლოს შესახებ,
ყველა, ვინც რჩება, ასე გპასუხობს:
ბალახმა თავისი გაიტანა.
არაფერს ამბობენ იმაზე,
რომ ბორცვიდან დაშვებული
დაკლაკნილი გზები
აღდგნენ და ოხრავენ.
ვიდრე ისინი სულს დალევენ,
პასტორები
სხვა სოფლებში გადადიან.

ზამთრის დასაწყისი

უჯრაში აღარაფერი დევს,
ჯარისკაცებს, შუადღისას რომ მოკვდნენ,
მინის ქვეშ უფრო მსუბუქად სძინავთ.
ქარის მიმართულებათა ბრალია,
ბალახი რომ მომსპარა
და გადამხმარა,
ჩარჩოები რომ სადაგი გამოდგა,
მომთავრებული შემოდგომები.
საით გაფრინდა ჩემი ფრანი, რა სისწრაფით,
ვით მოაღწია, ვით დაეშვა
ნარინჯისფერი, მოსვენებას რომ ღირსებოდა
სწორედ თქვენს სახლთან?

საკუთარი ხელით ნაგები

მსურს ჩემი სოფლები
დავადუმო
და მხოლოდ თოვლში
გავიჭრა
და ღობეებს ხელგაშლილი შევხვდე.
მსურს ჩემი ბეღლის სიმაღლიდან
ვუყურო იაგუარებს
და ვუსმინო მგლების სტვენას.
მართალია, აქ მზე ჭენებ-ჭენებით გასხლტა,
მაგრამ ბავშვებს
ჭირნახულის მოწევაში
ბაბუაწვერები ეხმარებიან,
მეფეს ადგილი განუმზადდეს!

მითითება

ითვალისწინებდე სურვილებს,
დედამიწის კიდეებს
ცვილში ახვევდე
ტალღებს ფორმას აძლევდე,
მათ ფურცვლას განაგრძობდე.
და ფუტურო ვარდებით,
როგორც არაერთი ფიქრობს,
ახალი დამხმარენი მოვლენილან,
გმირები, რწმუნებულები,
მხედრები.
ესე იგი, მეგობრებიო.

ხილვადობის ველში

ყველაფერი თვალსაჩინოა,
რაბინთა ოთახები
და ფუტკართა სკები,
კარადებში სამიზნე გემები,
რომლებიც ჯიუტნი არიან,
რომლებიც თავს არიდებენ სანაპიროებს,
გამოქვაბულებს და უშველებელ მხეცებს.
მუხლები გიკანკალებს,
იონათან, როცა ხტი
და წინსწრაფვას ცდილობ,
მაგრამ ისკუპე, შენ არ დაეცემი,
იები ღილკილოში ჩაიმაგრე,
ხითხურონი დაუცველნი არიან
თითოეულ ქვაში.

ჩემად

მსურდა, ხანგრძლივ ბინადრობაზე მომეთხრო,
ტერასაზე წითელი ჯოხებით
კეგლის თამაშებზე, მიდამოს ხედებზე.
მინდოდა ყინულის მოედანზე მამაკაცთა შეძახილების
გამეორება მთელი სიზუსტით, ჯოხთა დარტყმებისაც,
სარკმლის რაფაზე მოზეიმე ყვავილების აღწერაც მსურდა,
თუ როგორ მიისწრაფოდნენ მზისკენ.
რას ვიქმოდი?

ორი ადგილი, გაერთიანებული

რით ვიცნო დღეები?
ეპისკოპოსის მწვანე სამოსით,
წმინდანებთან სტუმრობით
და ხანმოკლე სიმშვიდით?

სადაც ბალახი ცხვება,
ძილისგუდები ჟანგდებიან
ბნელ საცხობებში.
ჩემს სამოთხეს
ვინ შემინახავს?

ზამთრის მიმართულება

ჩემი თავშესაფრებიდან სანადიროდ
ვუერთდები
მებუკეებს,
ცისკრის ჟამს
თოვლქვეშ,

სიყვითლემორეულ ბალახთან.

ხელებით
ვწვდები
უკვე აღთქმას წინაპრებისას,
რომლებიც მსწრაფლ მაღლა მეწევიან,
მომგვარე
მონამგლული მთვარე.

ზამთარი, ფერნაწერი

და თოვლში
თეთრბოლოკაბიანი ავსტრიელები.
მზერა აღვაპყროთ
და მივაგნოთ მათ ნაკვალევებს
ნიბლიების გალობაში,
მთათა ქიმებზე.
კედელთა
ფერი ზეთისხილის მთის,
აი, უკვე მწვანედ ბინდდება,
და – საბძელთა მობუტბუტე სახურავები.
ისე მსუბუქად, ვით დღეს, ჩრდილები
აღარასდროს შეიცვლებიან.

იოლი არჩევანი

მე მესმის ხმები,
რობინზონ კრუზოს რომ კითხულობენ,
კედლებით რომ იფარგლებიან,
მწუხარებას რომ ირჩევენ,
ზეციურ ქალწულს.

ვიძირები გამოზედვებში,
რომლებიც უკვე მტვერს დაუფარავს
და რომლებიც თვალის ერთ დახამხამებაში
სულ იოლად მომიხილავენ.

ჩვენი ქალბატონი

ჩვენი ქალბატონი
მოტირალთა კავშირის წევრია,
ველოსიპედით მიიჩქარის იგი ბელლისკენ,
უჩივის ცოცხლებს.
შესციცინებენ ბაიები და ნაკადული,
წითლად ჩაუფრენს ქვის სამტეხლო,
თვალს როცა ხუჭავს.

ადგილის დასაწყისი

არ ვენდობი მე მშვიდობას,
არც – მეზობლებს, არც – ვარდის სხლტეებს,
ნაჩურჩულევ სიტყვასაც – არა.
გამიგონია,
რომ ისინი კანებს ხაფანგს უგებენ ხოლმე,
რომ ზამთრისპირზე ისინი მერხებს აყირავებენ,
და რომ მათი აღტაცების შეძახილები,
დასაძინებლად გამზადებულნი, აიშალნენ ფრთების ტლაშუნით,
სასკოლო და საეკლესიო შენობები
გასერეს და გაუჩინარდნენ.
კვლავ ვინ მოელის იმ ფრინველებს,
აქ რომ რჩებიან,
მოკლე ბალახის თავზე ასულ კვამლს?

ადგილის დასასრული

ამოიშლება ეს სოფელი,
დაემშვიდობეთ,
დაღლილი და გადათხრილი
იწვეს
ასე, ტყვიასავით დამძიმებული,
დარღვეული საწვიმარი ღარები, მშრალი,
უკვე მზისგან გამოშაშრული,
ცარიელი ცა,
უკანასკნელი სამურველი,
წყალდიდობამდე
ნოეს გარეშეც რომ გადარჩა,
ხოხავს გუბეში,
ეს ახალი მებაჟეა, იგი იცინის.

ფლორესტანი

ახლა კი მინდა,
ჩემო ძამიკო,
გაქანებულს ხელი გტაცო,
თოვლქვეშ
შეგდევნო.
გადასასვლელთა
ჩვენება მსურს,
სულმოსათქმელ
თავშესაფართა.
მსურს
ნათელი ადგილებიდან
შენი განდევნა,
რათა გაშალო ლაღად ფრთები
და უმალ ჩემკენ,
ღამისთვის წნული

ჩვენეული გვირგვინისკენ,
გადმოიხვეწო.

ქიონიგსრაიმი

აღმოსავლეთიდან ვართ,
ეპისკოპოსის მიტრამ
ჭადრის ბაღები მყისვე სურათებად გააცოცხლა,
შავად დაგვფერა მზის მცხუნვარებამ,
გადაჭიმულები კასრებსა და
კრაინის მხარეს შორის,
გიორცსა და გრადიშკას შორის,
და თეთრი გონდოლებიც გვაქვს,
მავრებს გვეძახიან,
რაკიღა კარინტია დაკარგულია,
ბატონო ოსტატო, დაგვასაქმე,
ბატონო ოსტატო, თქვენ რა გქვიათ?

კითხვის პროცესი

საკითხავი ლიტერატურა არის მწვანე,
შემოიჭრება კვადრატული სარკმლიდან,
ქვის ფილაქანზე
რჩება წინკარში,
აზალიებისგან მოშორებით,
ჯერ ნაშუადღევია.

ფარვანას სახელი

ქვემოთ ეშვება ლოურდენსი,
საწყალი გოგო,

და ცისფერ მთებს
ხელახალი სიცოცხლით მსჭვალავს
და ფიჩხს აგროვებს
თავის ბნელ ქუდში
და ლაღად იქნევს,
ხელს სტაცებს ცხვრებს და წყალსაც ხელს სტაცებს
და თქვენს ყრუ სხლტეებს გაედება
მარტო ჩავლისას.

საქორწილო პროცესია

ჩვენ ჰოლნისის ზესთან მივედით
და მის ქვეშ
ბევრი ხავერდოვანი ბავშვი ვნახეთ,
რომელთაც ეძინათ
და სიზმარში თვალები
ფართოდ ჰქონდათ გახელილი,
თივაში ალუბლები ბრწყინავდნენ
ბელელთა კარებს შორის,
ჭავლის ლურჯი კულული,
მანქანის ძველი საბურავები,
ჯერაც ჩრდილები განრინებულ მხიარულების,
რახანია ქვეყნის სიღრმისკენ გაგორებული,
ვინ თქვა, ზღვისკენო?

ცამეტი წელი

მოსავლის აღების დღესასწაულამდე შორია,
ბაღის სახლის სარკმელთან გამწკრივებული
წაბლის ხეების ბრწყინვალება.
სახლში კი ჯერ ისევ –

სანთლები,
მსოფლიოს რელიგიები.

უდაბნოს მტვერი – ველოსიპედის კამერის ქვეშ.
ამ შუადღეს
დაისი სწრაფად მოსდევს.
პროცესია
და მწვანე კუბო,
რაისა.

ჩვენ ისევ მოვალთ საღამოხანს,
ჩვენ აღარ მოვალთ.

გონძაგაგასე

ბელლებიდან ამოვარდნილი ცეცხლის ენები ცამ გამოკვება,
მან ისინი ზემოთ აზიდა, ისინი მათ წვას ასწავლიდა, ისინი მათ შთააგონებდა
ხიდთა საყრდენ ხეებთან.
სწორედ ამ დროს მარილმზიდმა კარჭაპებმა უდარდელად ჩაისრიალეს,
გადასახადი შეწერილია, ბაჟი – გადახდილი,
მტრედებმა იმრავლეს.
მეწაღის სახელოსნოს წინ კლასობანას თამაში გახურდა.
ისინი იქ ხტოდნენ, შავ პალტოებში გამოხვეულნი,
რაკიღა გაზაფხულის საღამოები გრილია, უკრიდან უკრისკენ
ცარცის ნახევარწრემდე ქვას მისწრაფებულნი.

წლების გარეშე

ფილიპსჰოფი, ტოტნარი,
მტვერი, რაკიღა ზაფხული იყო,

და გაბედულება.
ის, რაც რჩება, აღძრავს საფიქრალს,
და რაც არ რჩება, იგივეს აღძრავს,
როზმარინს ფერი აქვს
და აკი დიახაც აქვს.
თავები მრგვალია, კუთხოვანი, გლუვი
და სხვაგვარი
ან იქნებ ეს არ არის სიტყვა,
სამყაროს აღსანიშნად,
ცის თაღები რამპების თავზე?
სიხარული სიხარულია
და კვლავ და კვლავ სიხარულია
და დარჩება კიდეც ასეთად
სოფლებში,
რომლებშიც სუფევს
თანხმობა,
მათი შუშის თევზებით,
ტყით, რომელიც რწევა-რწევით იხრება ქვემოთ,
დასაფრენი ტოტნარებით,
ქარიშხლებით და გაბედულებით.

ხუროთმოძღვრის განკარგულება პრინც ოიგენის ქუჩის მშენებლობისას

დასაწყისშივე
ქარის ფართო ზოლი,
მის კიდეზე ძმრის ხე დარგეთ,
მტრედები არ დაგავიწყდეთ
და მალე, ვფიცავ,
მტვერი შესწვდება
თქვენს ოცნებებს.
როცა ეს ღრუბლები

უფრო ნათელი ღრუბლებისკენ მიიხრებიან,
იცნობთ ნიმუშს,
მონახავთ გეგმას.

ტრიესტი

შეჯავშნული ქალაქების მონახაზებს
ვუყურებდი ფოთლების ჩრდილში,
მზიდან ბევრი ფრინველი
მოფრინდა ჩემთან,
მათ მასწავლეს
დაპლესილი ზღვის თავზე
ნასკვის შეკვრის ხელოვნებანი
და ერთ-ერთი მათგანი
ჩემს ნეკნებზე დაეშვა
და მეც გამომელაპარაკა
და მტრედების აკლდამების წინ
ჩემს ვარსკვლავსაც.

სურვილი

ხანმოკლე სტუმრობებისგან
მდუმარების სწავლა,
მუქი ფიცრებისგან,
გამოუყენებელი შუალედური სივრცეებისგან,
თეთრკაბიანი გოგონებისგან,
მტვრის კოლონებისგან, რომლებიც ტაძრებს შებჯენიან,
მოცახცახე სარკეში აღჩენილ კართაგან.

ბებიაჩემს

ორმაგი კარები
მოდენას პარკში,
საკითხი
დასაწყისის შესახებ,
რელიგიების შესახებ,
სალეზიანდერგასე,
ქალბატონი მაიორი შულტცი,
მისი უდიდებულესობა ცვიტკოვიჩი,
შეშინება,
თვინიერება,
დამოკიდებულება,
ფროილაინ ბელმონტი,
თავშესაფარი,
უცხო წინკარი,
ჭიშკარი,
რომელიც მყისიერად იღება,
გაავებული ძაღლი,
არ შეშინდე,
იგი თეთრია,
ჯერაც ლეკვია
და ჩაგირბინა.

შუალედური განაჩენი

და ვინმე თურქეთში რომ გაემგზავრება,
ამბობს ბებიაჩემი,
და იქ კვდება,
მოკლედ, იმას
თურქულ სასაფლაოზე
მარხავენ.

განმჭოლ

ჩვენ ყველანი
ოდენ მცირე ხნით ვართ აქ შეყრილები,
მაგრამ ყუნწი
იმთავითვე ჩვენგან შორს უჭირავთ,
ჩვენგან, აქლემთაგან.

დროის თვლა

თორმეტი გახდა,
თორმეტი კედელზე სურათის სურათითურთ,
გაყინული ნახტომებით.
თორმეტზე მეტიც გახდება,
იმის მიუხედავადაც კი, რომ თორმეტზე მეტი ვერ გახდება.
პირველი გახდება.

ჩამოთვლილია

დღე, როცა შენ
უფეხსაცმლოდ შეხვედი ყინულში,
დღე, როცა
ორივე ხბო
მოსაკლავად წაასხეს,
დღე, როცა მე
დავიმიზნე და მარცხენა თვალი დავკარგე,
მაგრამ არა უმეტესი,
დღე, როცა
ყასბების გაზეთში ეწერა,
ცხოვრება გრძელდებაო,
დღე, როცა ის გაგრძელდა.

მიძახილი

ლაბადა მომეცი, მარტინ,
მაგრამ ჯერ უნაგირიდან ჩამოდი
და შენი ხმალი იქ დატოვე, სადაც არის,
მთლიანად მომეცი.

მიმართვა კაცისადმი,
რომელიც ოცდასამი წელი საწოლს იყო მიჯაჭვული
და მერე ადგა

გიხაროდეს,
წამები
საწოლის კიდის გასწვრივ,
მიდი, გიხაროდეს მეთქი,
ასე გითხარი,
ქალაქ ნიუკასლ-აპონ-ტაინის
სახელით,
ცხვრის იმ პარსვის სახელით,
შენ რომ ასეთი ნებისყოფით
აკვირდებოდი,
იმ ნამატის სახელით,
ღორებზე
საფიქრალს რომ გიჩენს,
იმ შოტლანდიური
მოხდენილი ოინის სახელით,
ამაზე უფრო მეტ საფიქრალს
რომ გიჩენს,
ნუ დგახარ ასე ქვასავით
დილით,
გიხაროდეს.

ირიბი მზერა

მეტიც არაფერი,
ბეწვეულის საცავებზე
დამიზნებული პროჟექტორის შუქი,
დამწვარი გლადიოლუსები,
ერთურთს შერწყმული სანათები.
ჩვენ
ჩინებულად გვივლიან
ნათელი ჰოლანდიელები,
მაღალი ქუსლებით
მიგვაქვს სპორები,
თოვლი ჭაობის კაპელაში
და მორთულობა, მწვანე, მომტვრეული,
მეტიც არაფერი.

დაკარგული მანევრი

გარემო უკვე თეთრი იყო,
სახლები იზიდავდნენ
ძრწოლას მერმისიდან,
ბალტიმორი შორს იყო
სხვებთან – ორიონთან
და ბალახთან – ერთად.
რომელი შუაგულიდან
დავიძარით,
გამოვიპარეთ
და გამოვამტვრიეთ ლუკები,
მხოლოდ იმიტომ, რომ ის გვრქმეოდა,
რასაც სიამოვნებით ვუწოდებდით ერთურთს,
ლურჯად ან სხვაგვარად,
როცა ვამსხვრევდით

დროდადრო ზღუდეებს
და ვაიძულებდით ჩვენთან ერთად ცვენას
და გვეწეოდნენ?
ახლა ისინი აირეკლებიან,
ყველანი, ისინიც, გადარჩენილი
ფრთები, ფრენები, აღკვეთები
და თეთრი გარემო.

მშობლიური სახლი

მონიკა შიოლერს

შესაძლოა
ვენახების გადმოსახედიდან,
სადაც დიდსულოვნება ხარობს.
მიგნება სალეზიანერგასეთა,
რომლებიც სხლტებიან სხლტეებიდან,
მიწყივ ახალი მიგნებანი,
დაუთმობელია მოლოდინი
მოულოდნელის,
გაუთვალისწინებლის გათვალისწინება,
თავგანწირვა, დაფარულობა, ქმედება.

მარტი

რუხი ძროხები დააბოტებენ
სახურავებზე თავდალმართში,
მესაფლავეებს ფეხს უწყობენ
ხეთა ჩრდილები,
მზის ნაკვალევები, დანაკუწებული.
ქალები სარკმლებთან

აცხადებენ,
რომ უკვე მალე გაწვიმდება,
ჩვენი თანხმობა
ყოველთვის ნაგულისხმევია.

სამარტო სურვილი ბაღისადმი

დარჩი პანტერა,
კუპრისფერი,
დახალული და მოშიებული
აღდგომის სამშაბათებით,
წვიმის ბაწრებით,
კრიალოსნის ლოცვებით,
ისეთებითაც,
სათვალავში რომ არ ჩაიგდება,
მანკიერი მოგებებით,
საბავშვო ლატარიებით,
დამტკბარ, უშინაარსო ეპისტოლეთა
შინაარსით,
დარჩი ასეთი,
სველი და განრისხებული,
როგორიც ახლა ხარ,
მზადმყოფი
პირველივე კნუტიდან
სალეს ქვამდე
და გრძელ მანძილამდე
ყველას
და ყველა განსხვავებითურთ
გადასასანსლად,
დარჩი ასეთი,
დარჩი მოშიებული
ჩვენით.

შემდგომ

აღმოჩნდე
სოფლად,
სადაც სიწყნარეა,
მზის ქვეშ,
რომელიც დღეს
ყველგან ხმაურს თესავს,
ტრაბახს.
აღმოაჩინო,
ახლა აღმოაჩინო,
თუ საით გაქუსლეს იმათ,
აქ რომ
ყოჩაღად და წყნარად იყვნენ,
რომელ სახეებში,
გუნდებში, ორაზროვნებებში
არიან ისინი მოუხელთებელნი.

ჩინური დამშვიდობება

დღეს ჩვენ ვიძინებთ,
წყვილად ვიძინებთ,
ვისაც ჩვენი გაღვიძება სურს,
ეს სათუთად მოიმოქმედოს,
მან თავისი ხმაც დაზოგოს
და თავისი გულიც,
რამეთუ ორივე ძვირფასია.

ძველი ხედი

მე შევეჩვიე ამ სარკმელს
და იმასაც, რომ თოვლი ჩემი თვალების გავლით თოვს,

მაგრამ ვინ აედევნა დაკარგულს
ბაღის ღია ჭიშკრის გავლით,
ვინ დასტურჰყო, თუ რა იყო იქ,
საწვიმარი კასრი
და მთვარე როგორც მთვარე,
ბალახის ყველა გაყინული ღერო?
ვინ ქანაობდა დილამდე ისე,
რომ თოკები დაწყდა,
ვინ ეხება გასანთლული ხელით სამზარეულოს სარკმელს,
ვინ ჩასახლდა სითეთრეში
და ხელში ამიყვანა?

სრულად

სიკვდილისმოწმობიანი ყმაწვილები
გაუჩინარდნენ.
მათ, ნამდვილ ცხენებზე ამხედრებულებმა,
ბაზრებიდან გაიყვირითეს.
ისინი აქ აღარ არიან.

ჩვენ კი დაგვირჩა საფიქრალი:
დინოზავრების ეშმაკობა
და თუ როგორ დაპატარავდნენ
ჩვენს ზომამდე,
მათი დაშლის ნაკვალევები
და მათი მბზინავი დასასრული,
შველა და მითითება
და მათი დაისი.

ნაფიქრი

როცა წამებები შეიკონება,
წავალ ბაიონაში
და გავაღწევ გისოსებს შორის,
რომლებსაც ვგულისხმობ,
და იქ მოვისმენ ტკაცა-ტკუცსაც თაბაშირის,
რომელიც მსურდა,
როგორც მსურდა,
ისე, რომ ხელით არ ვეალერსო,
და რამდენ ხანსაც მსურს.

დასასრულისთვის სრულნაფიქრი

მაგრამ როცა სასამართლო გაიმართება,
ბაიონადან შორს ვიქნები,
შორს bonnes vacances-დან,
თუ მომაგნებენ?

თოვლის ადამიანები

იოლად სულაც არ შევერევი
თოვლისგან შექმნილ ამ უცხო ხალხს,
ნახშირიანს, ჭარხლიანს, ჯოხებიანს,
არ შევეხები, ვიდრე ისინი
თავს იწონებენ მხიარულად,
ზოგი ერთზე
მეტი სახითაც.
როცა მერე ნახშირი და
ჭარხალი სცვივათ,
ღილები და საკინძეები

და წითელი საპირე ლენტები,
მე ვაკვირდები ცივად
და უხმოდ,
მე არ ვჩქარობ მათ დახმარებას.
ხომ შეიძლება მილანურად
ჩემზე ლამაზად
ლაპარაკობენ,
და არ უნდა მოეფინოს ამას ნათელი.
ამიტომაც სუფევს სიჩუმე,
ვიდრე ნათელი მათ მსუბუქად
შეისრუტავდეს
იმ ყველაფერთან ერთად, რაც იქ
დამალულა მილანურსა და
მილანურს შორის,
ხოლო მერე – ჩემთან ერთადაც.

ვისთა სახელებით

სახელი ალისა,
სახელი ინვერნესი,
როდის და
რომელ უდაბნოთა საზღვრებიდან
მოტანილი,
რომელ ორდენთა მიერ,
ბერების ორდენთა, მონაზვნების ორდენთა,
სიგრძივ თუ განივად
და საით, საით არა,
რარიგ გამძლედ,
რარიგ მფლანგველურად
გალავნების რგოლით,
ზამთრის მზეთა ქვეშ
ამოთხრილ სანგრებში,
მიწაყრილებში, ცეცხლწაკიდებული

აკნებით, კულულებით,
ოჰ, სახელები, სახელები,
სულ მცირე თქვენ ორის სახელით
არ ვარ მონათლული
და არ ვარ დამნაშავე.

ძებნილის ფოტო

მობი დიკი:
რაბინი ფინგერჰუტი
დაიხრჩო,
ის მოკვდა,
მკვდარია.
მას ყვითელი თვალები ჰქონდა,
დიდი პირი,
და შავი რეგალიებით
ჭარბად იყო დახალული.
მობი დიკი:
რაბინი ფინგერჰუტი,
აქაბსაც უთხარი
და სხვებსაც,
შტურმანებს
და მეჰარპუნეებს,
და ეს იმათ ჩქარა უთხარი.
გადაეცი,
გაიხსენე.

საზაფხულო დღესასწაული

ჩემს თავს ვეკითხები:
რატომ გახარებს გვარები,
გასპარდი, ლებერეხტი, ზონნენრანდი?

და ასე ვპასუხობ:
რადგან ისინი შეიძლებოდა გამქრალიყვნენ,
იმის გარეშე, შენთვის რომ ნება მომეცა
გლოვის.

მცირე შეჯამება

ფალეზიდან
მილლჰილისკენ
არ ყოფილა ლასო ნასროლი,
ჯერ არ გაბმულა კავშირი
ნაპოლეონის მოაფროსნე თაყვანისმცემლებს შორის,
ისინი ჯერაც იცდიან,
თითოეულმა უგანა სიგიჟეს,
რომლის უფლებაც ჰქონდა,
არც ერთთან ერთად
რიფებიანი ძველი გზით
ცისკენ არ წასულა,
ფლობერისტების თემიც
ჯერ კიდევ ბოლომდე
მზად არ იყო დასახმარებლად,
ჩემსა და თავად ჩემს შორის
მანათობელი სიგნალი არ აღმოჩენილა,
მხოლოდ ეს იქნა დაკითხვაზე აღიარებული:
ჩამობნელდება.

შეუკონავად

ამტკიცებდეთ
და თავს შველოდეთ მტკიცებულებაში გაქცევით,
ქვასავით დამყოლნი, არა მუშტით,

რომელიც ჩაერევა, და როცა დედაბერი
თავის თმას ფეხს ადგამს,
არ გაინძრეთ,
და როცა დედაბერი
საკუთარ ნაღველს სვამს,
შინ არ შეხვიდეთ,
ხელი არაფერს ახლოთ,
შორს გაექეცით,
არ მოკვდეთ,
გზაც რომ მოკვდეს
და გვირგვინები
გზის დასასრულს დაუსრულებლად
რომ გაცვიოდეთ საფეთქლებზე
და თქვენი თავის ქალებზე
აიხორხლონ, გიხაროდეთ,
თქვენ ისე შორს ხართ.

ახალი კონა

მზეს ჩემზე ადრე სურს
ჩემს სიმშვიდეში შემოღწევა,
დახტის, მეტევება, ბრიყვულად წრიალებს,
არ მიცდის.
და ამ სიმშვიდეს,
ამ საყვარელ სიმშვიდეს
ამიტომაც გავურბივარ
ჩრდილში,
ჩემს საყვარელ ღორებთან, ერთადერთებთან,
რომლებმაც მძვინვარედ და საკმაოდ გულგრილად,
აღთქმის თანახმად
და აღთქმათა თანახმად,
ჩვენს ჩლუნგ წყალში

ჩახრჩობა იციან,
რომლებსაც მზე ვერ დაეწევა
და ვერ წაახდენს,
რომლებიც ზედაპირზე მხოლოდ დასასრულის მერე ამოდიან.
ჩემი მეფეები.

ოცდათერთმეტი

სიამოვნებით წავალ
და თან გავიყოლებ ოცდაათ ვერცხლს,
ის ერთი თუ მომცემს,
ყელზე შემოხვეული,
რათა ერთად ქანაობა შევძლოთ,
ჩვენ – ოცდათერთმეტმა,
და რათა მათი ჟღარუნი მესმოდეს
კანაფის ტოპრაკში,
ვიდრე სიცოცხლეს დავტოვებდე.
რათა, ენა რომ გამიქვავდება,
ჩემი ქათქათა ყურების წყალობით
მაინც მომწვდეს ის ხმა,
რომელიც გიბრძანებთ:
ხელახლა დაიწყეთ!
რათა ამან გამამხიარულოს.

გა და მძვინვარება

მსურს, სწორედ თქვენ გაგიჯიუტდეთ,
როცა უკანასკნელი განმკითხავი მოვა
და მინდა ვკითხო:
მაინც რატომ არ გამაღვიძე,
მაშინ, ივლისში,

სად იყავი,
როცა ორივე ნადირი დაიხრჩო,
ჩემი წითელბეწვაც და შენიც,
რომელთაგან ერთს ეიმედებოდა,
მეორეს კი — არა?

ზეგ

აღმოსავლეთის
უკანასკნელი ცნობები
ბეჯითად სულაც არ ირჯებიან
იქ, სადაც ჰაერი და ცვარ-ნამი ბალახობს.
ვინ უწყის, ვინ ვინ მიატოვა?
ხმა დევს
გასაყიდად:
ისევ და მიწყივ.

დღის განმავლობაში

ივნისის წყნარი დღე
ძვლებს მიმტვრევს,
მასახიჩრებს,
ჭიშკარს მახეთქებს,
სარჭებს მამაგრებს ის,
ვინც ფერებით,
ყვითლით, თეთრით და ვერცხლისფერ-თეთრით,
უშეცდომოდ გამომარჩევს
ნებისმიერისგან,
მხოლოდ მასხარას ჩაჩს მართმევს,
ჩემს საყვარელ ნივთს,
ყელში მიჭერს

თავისი გრილი მოხვევნით,
ვიდრე ჯერაც ვსუნთქავ.
არ გაილიო, საყვარელო დღეო.

დროითი რჩევა

პირველ რიგში
უნდა გჯეროდეს,
რომ დღე მაშინ დგება,
როცა მზე ამოდის.
მაგრამ ეს თუ არ გჯერა,
თქვი დიახ.
მეორეც,
უნდა გჯეროდეს
და თანაც – მთელი შენი ძალისხმევით,
რომ ღამე მაშინ დგება,
როცა მთვარე ამოდის.
მაგრამ ეს თუ არ გჯერა,
თქვი დიახ
ან მორჩილად დახარე თავი,
ისინი ამაზეც თანახმანი იქნებიან.

შესაძლებლობები

მე რომ,
მარცხენა მხრით
სარკიან კარადასთან შეხებისას,
ცრუმოწმეს ვშველი,
რაკილა კვდება,
მეორე რომ,
მავანი ტურენში,

მავანი დაცემული,
როცა ჩემთან სინათლეს ვაქრობ,
ისევ ხედავს მომდევნო ნაბიჯს,
მესამე რომ,
როცა დასაძინებლად ჩავიკლი
ჩემს ავადმყოფ მოყვასთა შორის,
სრულიად სხვა და სრულიად ჯანმრთელ
მოყვასთა შორის,
მაგრამ მსუბუქი, გამძლე თოკით
ხელში,
გარეთ, მინდვრად გადის.

მიგდებული ბავშვი

თოვლქვეშ შეჩურთული,
ანგელოზებთან დაუსახელებელი,
არა მადანი, არც – თავშესაფარი,
ფერიების წინაშე წარუდგენელი,
მხოლოდ სოროებში დამალული
და ტყის რუკებით
მყის შექმნილი მისი ნიშნები.
ცოფიანი მელია
კბენს და ათბობს,
აზიარებს პირველ სინაზეებს,
ვიდრე მოცახცახე და გატანჯული
თავის თავს სიკვდილში არ განდევნის.
ბავშვს კი ვინ უშველის?
ოდინდელი ძრწოლით შეპყრობილი
დედები,
რუკის გაყალბებულ გამოსახულებებიანი
მონადირეები,
თბილ ფრთა-ნაკრტენიანი

ანგელოზები,
თუმცა მითითების არმქონენი?
არა – ჩქამი ჰაერში,
არა – შარიშური,
არა – ნაბიჯი ნიადაგზე.
მერე კი მოდი კიდევ ერთხელ,
ძველო, ყოჩაღო დამხმარევ,
ხორვით უკუიქეცი მისკენ,
დაკბინე, დაკაწრე,
გაათბე, თუ შენი მტაცებლური თათები თბილია,
რადგან შენს მეტი არავინ მიხედავს,
გჯეროდეს.

დაკავშირებული

ჩემი შაევბი,
რომლებსაც მობალახეებს ვხედავ,
რომლებიც ჩემთვის ჩახშირებიან
კუნძსაც და წყალმცენარეებსაც,
ჩემი ცხოველები,
რომლებიც მიბრკოლებენ
გადარჩენას,
რომლებიც ორად ჩაჯეგავენ,
რაც წინ დაუხვდებათ,
მათ ეს იციან,
რადგან ისინი ჩემები არიან
და მეტიც არაფერი.

ნაადრევი

შენ თავქვეშ ქვას არ ამომიდებ
ჩვენი ძველი მწუხარების ასამაღლებლად,

არ მომცემ ნათელს შესაშინებლად
და არც – შიშს, რათა უფრო განათდეს,
არ გაიმეტებ დარდის ნაფლეთსაც,
რასაც მოითხოვს ყველა ვარსკვლავი.
შენ გარს უვლი შენს მიგდებულ ბავშვს,
ხოლო მე ჩემი ცვილის გოგონა
ჯერაც ისევ ვერ მომინახავს,
ისინი უფრო მეტად წყნარნი,
ვიდრე ბაგაში მწოლიარე იესოა,
ჯერ არ არიან.

მოკლე ძილისპირული

რუანა
გფარავდეს,
ვაშლის შაქარი,
ძალადობას მოკლებული
უკეთესი მზე,
გფარავდეს
რუანა, რუანა.

თხოვნა

განრისხებული ღმერთებისგან,
განრისხებული ღმერთის წინაშე
ჩემი დაცვა არ გეევალება,
რადგან შენთან მოსვლა შიშის გამო არ მომსურვებია.
თეთრ მთაზე ბრუნავენ ბორბლები,
ჰომეროსი თავის კუთხეში ჩამძიმებულა,
გამოალვიძე,
გამოალვიძე იგი ჩემთვის

უკანასკნელი შენი სიცილით,
ისე, რომ შენი ხმა ჩამესმოდეს,
როცა ბორბალში შევალ
და ის იმღერებს.

ერთი 4 მარტისადმი

არაფერი ხდება,
თავქარიანი გოგონები ქარში ფეხშიშვლები დარბიან,
მეწაღეები გამშპარან,
ღამის შუქზე დალაგებული გუშინდელი გეგმებიც ურიკებით
გაუზიდავთ,
ფართო მდელოზე გავიდეთ
და ვისაც ჩვენს შორის პირველს
ექნება სახეზე შვიდი ნისკარტი
და ყელზე შავი ჭირის წყლული,
სანამ ძილის დრო მოვიდოდეს,
გამარჯვებულიც ის იქნება.

აშვებული პწკალები

ჰაინრიხ ბიოლს მადლიერებით

ყველა საქმეს
ჩამოვიფერთხავ
და ისე მსუბუქად გავივლი მათზე,
რომ სხვა არაფერი გავსრისო,
ამ ჩუმი წკალით
წინ მივიწევ
ველის კიდისკენ

შეპასუხება

დელიში,
როცა მავანი კვდება,
მას დაცემა არ შეუძლია.
გიუნტერ აიხი

დელი
უკან მოიტოვო,
დაცემას
შეუდგე
დელი
წარიმძღვარო,
მოგზაურთა ჩამოქვეითებულ ჯგუფებს
ნელ-ნელა მიჰყვე
და ასე
შესწირო მოგზაურობა,
უხმოდ და რაც არ უნდა შეგემთხვეს
და მაშინაც როცა აღარ არის
ცნობადი

ახალგაზრდა მთრიმლავს

აქ შაშვის კვერცხია,
იქ კი – გარდაცვლილის ოთახი,
ასეთია
ერთურთთან საგანთა მიმართება.
მშვიდობა გქონდეს, მხიარულო მთრიმლავო
და მთრიმლავის შვილო
და შვილიშვილო,
მშვიდობა გქონდეს შენს ტყავეულში,
მხნედ იყავ მათში,

ვიდრე არ შეგშინებია,
მერე კი წადი.

გაჩუქებული რჩევა

I

შენი პირველი ჭადრაკის სახელმძღვანელო,
იბსენის წერილები,
შენი იყოს,
თუ შეგიძლია,
აჰა, აიღე მეთქი ან იქნებ გირჩევნია,
ფოთოლმარეკებს
ერეკებოდე შენი მინდვრიდან,
ხოლო მერე –
იბსენის თხებსაც,
თანაბრად თეთრებს და თანაბრად მოელვარეებს?
არიან თხები და არიან იბსენის თხები,
არის ცა და არის ესპანური დასაწყისი.
კარგად მომისმინე, პატარავ,
არის თეთრი თუნუქი, ამბობენ ისინი,
არის სამყარო,
შეამოწმე, ხომ არ ცრუობენ.

II

და ჰკითხე,
რა ესაქმება ბაღში
უცხო თორაქსს,
უკვე გაქვავებულს,
პირველს ამ გაზაფხულზე,
მაყვლის ბუჩქებსა,
თაგვებსა
და იმ გალავანს შორის,

რომელსაც წყალი ჩვენთვის მიეფრქვევა,
ბაღს რას რგებს თორაქსი.
ვითომ სჭირდებოდეს იგი მას,
ჩვენს ბაღს,
ან იმას — ეს ბაღი.

III

და რომ ჩვენამდე თუნდაც რამემ მოაღწია
ჭარბფოთლობიდან.
რამე საერთო თუ ექნებოდათ მათ დინებასთან, სვლასთან,
ჩავლასთან, დროებებთან
ან მათგან არც რასთან.

ერთიან

და სიზმრები რომ არ მქონოდა,
მაშინ სხვა ხომ არ ვიქნებოდი,
მე იგივე ვიქნებოდი უსიზმრებოდაც,
შინისაკენ ვინ მიმიხმობდა?

ჯუნ ჯორდანი

ბომბები ბაღდადის თავზე

I

დავიწყეთ და არ შეგვიწყვეტია 42 დღე
და 42 ღამე ისე რომ წუთით არ მოვმცდარვართ
ვბომბავდით და 110000-ჯერ დავბომბეთ
ერაყი ჩვენ ვბომბავდით ბაღდადს
ვბომბავდით ბასრას ვბომბავდით სამხედრო
ბაზებს ვბომბავდით ეროვნულ მუზეუმს
ვბომბავდით სკოლებს ვბომბავდით ბუნკერებს
ვბომბავდით წყალსაცავებს ვბომბავდით
ელექტროსადგურებს ვბომბავდით ჰოსპიტლებს ვბომბავდით
ქუჩებს ვბომბავდით ავტობანებს
ვბომბავდით ყველაფერს რაც არ მოძრაობდა ვბომბავდით
ბაღდადს 5,5 მილიონიან ქალაქს
ვბომბავდით რადიოსადგურებს
ვბომბავდით სატელეფონო ხაზებს ვბომბავდით მეჩეთებს
ვბომბავდით ასაფრენ ზოლებს ვბომბავდით ჯავშნოსნებს
ვბომბავდით სატვირთო მანქანებს ვბომბავდით ავტომობილებს
ვბომბავდით ხიდებს
ვბომბავდით სიბნელეს ვბომბავდით
მზის სხივს ვბომბავდით მათ და ჩვენ
ვბომბავდით მათ და კლასტერულ ბომბებს ვუშენდით ერაყის
მოქალაქეებს და გოგორდის ბომბებს ვუშენდით ერაყის
მოქალაქეებს
და ნაპალმის ბომბებს ვუშენდით ერაყის მოქალაქეებს და
ვაძლიერებდით
ბომბების ამ სეტყვას ვაძლიერებდით ამ "გაფრენებს"

ფრთოსანი ტომაჰავკ-რაკეტებით და ათასობით და
მრავალათასობით
ასეთ რაკეტას ვუშენდით ერაყს
(ხომ გესმის, რომ ერაყულ ბალისტიკურ რაკეტას
პირობითად თუ ეთქმის რაკეტა და საბრძოლო სათვალავში არ
ჩაიგდება
ჩვენ კი მხოლოდ იმას ვაფასებთ რაც სათვალავში ჩაიგდება)
ამიტომაც ისევ და ისევ ერაყისკენ მივმართავდით ფრთიან
რაკეტებს
და ისინიც მიფრინავდნენ ერაყისკენ
და მე ეს სულ არ მომწონს
მე ეს საერთოდ არ მომწონს
ეს ყველაფერი საერთოდაც არ თანხვდება ჩემს წარმოდგენას
იმაზე რომ "მოვლენები შეუფერხებლად ვითარდება"

II

ბომბებს ბაღდადის თავზე
არ გააჩნიათ არც სივრცე არც დრო
ჩემს სხეულსა და სუნთქვას შორის
რომელიც ეკვრის ჩემს შეყვარებულს

III

ეს იყო კასტერის* ბრძოლა "თითქმის უკანასკნელ კაცამდე"
მე ჩამესმის როგორ მღერის მომაკვდავი **შმაგი ცხენი****
ყველაფერს ვიღონებ ამ ერთი სიმღერის შესასწავლად

---

* ჯ. ა. კასტერი – აშშ-ის კავალერიის მეთაური ამერიკის სამოქალაქო ომებში და ამერიკის მკვიდრი მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებულ სამხედრო აქციებში.

** შმაგი ცხენი, Crazy Horse (1840(დახლ.)–1877) – ლოკატას შვიდი ტომის კავშირში შემავალი ოგლალას ტომის ბელადი. 1876 წლის 25-26 ივნისს დამპყრობელთა წინააღმდეგ ლითლ-ბიგჰორნთან გამართულ ბრძოლაში სწორედ ამ კავშირმა გაანადგურა აშშ-ის არმიის მეშვიდე საკავალერიო პოლკის ხუთი როტა და სიცოცხლეს გამოასალმა ჯ. ა. კასტერი.

არაბული სამყაროს ყვირილში ამ სიმღერის ჟღერადობა მესმის

IV

კასტერი უბრალოდ მიჩვეული იყო იმას რომ კარგად ემსახურა
და მიქროდა დასავლეთისკენ დიდებასთან შესაგებებლად
დებდა პირობას
გზადაგზა დაეძებდა ველურებს
მათ ღარიბულ დასახლებებს რომლებშიც ისინი
ბავშვებს ზრდიდნენ წვიმის ცეკვებს ასრულებდნენ
და კამეჩის ჯოგს წყალობას სთხოვდნენ
კასტერი კი ამ ველურებს უთვალთვალებდა
თავს ესხმოდა რიჟრაჟზე
ხოცავდა მამაკაცებს ხოცავდა ყმაწვილებს
ქალებს კი ატყვევებდა და მოაქცევდა
(ეჭვიც კი არ მეპარება)
თავის რწმენაზე
ოჰ როგორი ვნებიანი ჟესტით ემშვიდობებოდა ის თავის
საყვარლებს!
რა ტკბილი მზერით აცილებდნენ ეს ქალები ძლევამოსილ
მებრძოლს!
შაშხანებით და დენთით აღჭურვილი იღერებდა ყელს
და თეთრი რასის ღირსებას და წესებს ერთგულად იცავდა
მიქროდა დასავლეთისკენ
რათა ველურები ამოეჟლიტა
("თავდასხმა რიჟრაჟზე!")
და მათი ქვეყანა დაეპყრო
მათ ქალებს დაპატრონებოდა
მათი ბუნებრივი სიმდიდრე ეძარცვა

V

და მე აღტაცების შეძახილებით ვეგებები ინდიელთა ისრებს
და მამაც მეომრებს

VI

და ყველა ვინც ფიქრობდა რომ მხოლოდ მცირედნი უნდა
დაზოცილიყვნენ
უკვე მკვდარი იყო
და ყველა ვინც ფიქრობდა რომ მხოლოდ ადამიანად ყოფნა
საკმარისია იმისთვის რომ ადამიანის უფლებებს ფლობდე
უკვე მკვდარი იყო რადგან მათ თავზემოთ ძალა არ ჰქონდათ
და ყველა ვინც ფიქრობდა რომ შურისგება, შურისძიება, თავდაცვა
თეთრი რასის ღვთივბოძებული უპირატესი უფლებებია
და ყველა ვინც ფიქრობდა რომ ომის წარმოება განსხვავდება
პირველი და ბოლო ინსტანციის
ტერორიზმისგან
და ყველა ვინც ფიქრობდა რომ F-15, F-16 Apache-
შვეულმფრენები
B-52-ბომბდამშენები, ჭკვიანი ბომბები, სულელი ბომბები, ნაპალმი,
არტილერია,
სამხედრო გემები, ნუკლეარული საბრძოლო თავაკი რაღაც სხვა
მიზანს ემსახურება
და სულაც არ არის ტერორისტული გუნდის ბინძური იარაღი
და ყველა ვინც ფიქრობდა რომ ჰოლოკოსტი ის არის
რაც მხოლოდ თეთრებს შეემთხვევათ
და ყველა ვინც ფიქრობდა რომ "უდაბნოს ქარიშხალი" რაღაც
სხვაა
და არა ამერიკული ჰოლოკოსტის გადატანა შუა აღმოსავლეთში
ყველა ვინც ამ ყველაფერს ფიქრობდა
უკვე მკვდარი იყო
მათ სიცოცხლეს თავზემოთ ძალა არ ჰქონდა

და ეს არის სიმღერა მომაკვდავი შმაგი ცხენისთვის რომელიც
მღერის
რადგან ეს მე ვარ ვინც ცოცხალია მის საფლავში
და ეს არის სიმღერა ბაღდადის თავზე მფრენი ბომბების ყველა
მსხვერპლისთვის

რადგან ჩემი მტერი თავს დაგესხა ჩემი სახლიდან
რათა ნაფლეთებად ექცია შენი სამშობლო
ბავშვები დაენაკუწებინა
და ქვიშის მარცვლები დაედულებინა

და ახლა ამ ხოცვა-ჟლეტის მერე
რომელიც ჩემი სახელითაც მოხდა
ხელი როგორ ჩამოგართვა
სირცხვილი როგორ ჩამოვირეცხო
ტკივილით აღსავსემ?

ჩემი გული ვეღარ უძლებს
ამ უაზრო სიკვდილს
ჩემი სული ძალას კარგავს
შევუპყრივარ სასოწარკვეთას

და ეს არის სიმღერა მომაკვდავი შმაგი ცხენისთვის რომელიც მღერის
და ეს არის ჩემი სიმღერა ცოცხლებისთვის
რათა მათ კვდომის წინააღმდეგ ამოიმღერონ
რათა სიმღერით შეაკავშირონ
ცოცხლები მკვდრებთან

ლუდვიგ ლეგე

მეტაფორები

ურსკა ცერნესთვის

ჩემს სისხლში ბიზანტია იხრწნება
მწვანე მელნით წერდა იმპერატორი
ჩემი გული შავი ფრინველების ბუდეა
რომელსაც ისინი მეტაფორებივით ტოვებენ
ღამის ზეაღმართული თითები
ჩემი კოშმარული სიზმრების ბაგეებზე ეშვებიან
როცა ღამე Clair de lune-ს ასრულებდა
გრძელფეხება პიანისტმა ქალმა მთვარის სათვალე მოირგო
როიალი უდაბნოში გადააადგილეს
რათა შესრულებულიყო კონცერტი ფორტეპიანოსა და
მტვერსასრუტისთვის
რა დარჩა მუზის ნაკარნახევიდან
მას კი რამდენი ირეალური ლექსი
არ გაუციფრებია

პატარა ფრინველი

პატარა ფრინველი
პაშტეტით კმაზავს
ჩემს ნარჩევ მენიუს
ბეჰემოთი უცერემონიოდ გადამყლაპავს

ჩემი გული სნეული ფრინველია

აზრის აღმაფრენით გაურკვევლობის ღრუბლებში
ამოვარდნილი ქარის მარილიანი სუნთქვით დევნილი
ამ სუნთქვის კრისტალები ჩემს თვალებში ილექება
მე უკვე ფასეტური თვალებით ვხედავ

აი სხვებიც
მტაცებელ ფრინველთა ნისკარტების ჩხვერა
მძორიჭამიები
ძერები – ჩემი თანამგზავრები

საპირისპიროდ – მერცხალთა მწივანი შტრიხები
სამხრობის ლურჯად მოსილი პარაბოლა
გამოსამშვიდობებელი მარყუჟები ზეცაში
როცა არარა თავის მაღალი ძაბვის ხაზებს ჭიმავს
ეს უკვე რუხი დასასრულია

სიმღერა ყელში გამეჩხირა

პირქარში

პირქარში სიტყვებს თოკზე ვფენ
მაგრამ მათ წვიმაში მელანი სდით
მხოლოდ მათი ძვლები – თანხმოვნები –
ჯერაც ისევ არ დასველებულან

შვილდ-ისარი გავმართე
ისევ და ისევ ვუმიზნებ
მაგრამ ვისწავლე
რომ დაჭიმულ ლარს ხელი არ უნდა გავუშვა

არის კი ეს სწორი არჩევანი

გამყინვარების ხანა

უმოძრაოდ გაყინულან სიტყვები
გზებს რომ ჩაივლიდნენ
ზაფხულში პარკში რომ ჩურჩულებდნენ ან ხმაურობდნენ
ბადმინტონის ბურთებივით რომ დაფრინავდნენ
ჩიტების ჩახრინწულ ხმებს შორის
შეყინულფრთებიანი სიტყვების
ფრენის ყველა ეს შეწყვეტილი ჟამი
არავის გაუგონია დახშული ძახილი
დუმილის თოვლსაფარქვეშ
ჩემი სული დაუფარავთ ყინულის ყვავილებს
მე ვიცდი გარეგნულად უმოძრაო
ვიცდი დევნილი მღელვარებით
ჩემი შინაგანი დროით
რა ხანია უკვე რაც ვიცდი
როდის გათბებიან სიტყვები ისევ

დაკარგული ბიოგრაფია

მოძრაობის განრიგს ჩემს თავში ვადა გაუვიდა
შენი ოცნებები უკვე გასულია
ჟანგი მოსდებია სიჩუმეს
გრძნობ როგორ მატულობს ფილტვებში წყალი
გზა გახსნილია შენ კი სუნთქვა გეკვრის

ციმციმებენ ღამის წითელი და მწვანე თვალები

შენ გაყინული ბოლო ოცნება ხარ
დავიწყების რუხ ზამთარში
ცვილის გამლღვარი ლოკომოტივი
ყალღასულ სადგურში
რომლის რელსები გაურკვევლობაში იკვეთებიან

როცა ქარი ბრუნავს

ღამით როცა ქარი ბრუნავს
სატვირთო მატარებლების დგანდგარი მაღვიძებს
რომლებსაც ბოლო არ უჩანთ
ღამით როცა გადაუღებლად წვიმს
ფარფლები მეზრდება
ღამით როცა საათები მარტო რჩებიან
მათ ჩემთვის დრო აქვთ

მარგარეტე ან სულამით
ოჰ ტკივილის და ვნების ფანტომებო
როგორც ბგერები ნიჟარაში რომ გახლართულან
როგორც ბგერები პაპიროსის ქაღალდის მემბრანას რომ არხევენ

ოჰ მტაცებელი ცხოველის და მტრედის წნულებო
ოცნების ყვავილებო რომ აღარ წკრიალებთ
ოცნების კათხებო რომ დახუფულხართ

შენ ახლა ღამეებს საძილე აბებით არეგულირებ
შენ არარსებულის რეზონიორო
შენ წარსულიდან გადმოსულო მოსეირნევ
შენ მოფილოსოფოსე ობლომოვ
ძილშიც რომ ამთქნარებ

მე მესმის რევოლუციონრების
კოშკის საათებს რომ ესროდნენ

ინგო ცეზარო

რომ ჩვენი წარმოსახვა ზეიმობს

პირწმინდად ტანგაპარსული მოდელები
პოდიუმზე
ძვალი და ტყავი
მხოლოდ მკერდთან და სარცხვინელთან
ხშირად ვისაკლისებთ ხოლმე
მცირეოდენ ქსოვილს
და დიდი-დიდი
პირსინგს ვაგნებთ

სანატრელი ანგელოზები
კოჭებამდე მაისურებით
ბუბუსთავებს
თეთრი ქსოვილი ასკდება
შავ ჩრდილთან
იოლად საგრძნობია
მათი სარცხვინელი

რა გასაკვირია
რომ ჩვენი წარმოსახვა ზეიმობს.

მარტინ ჰეუტტელი

* * *

ხვრელები ცოცხლობენ ხვრელები კვდებიან
რათა იმემკვიდრონ მხოლოდღა ხვრელები
რომლებიც მას მერე იქ ზემოთ გარეშე
არიან გარეშე ამიტომ გარეშე

გარეშე ყოვლისა კვლავაც და უკვლავეს
რათა იმემკვიდრონ მათ **ნული** კვლავაცვე
რაც მოკლედ არც რაა თუ არა ხვრელები
რომ არც ცოცხლობენ და რომ აღარც კვდებიან

ხვრელი მოხვევია ხვრელს ნუმერირებულს
მაგრამ აბა ვნახოთ ხვრელები აკორდში
თუ დაახანებენ გაჩენის დამარხვას
თუმც არა აჰანდე ლაყბობაც გამოჩნდა

დუმილით მსგავსობენ აქ ანტიპოდები
რაც არის ის იყო თუმც არის საკმაოდ
არის კარაოკე მიღმა ხეობისა
მართლაც რომ ძაღლი თუ იყნოსებს რა ხდება

სადღაა იქ ძაღლი ხვრელი და ხვრელები
მკვდარი ქუჩები და მოსასაქმებელი
და იქვე ტყავი და ძვლები და კურტაჟი
და იქ მეტყველება ვით სეტყვა მეტყველებს

ნული თავისთავად მელოდრამატული

კადრს მიღმა მეტყველი ფუყეა ეს ხვრელი
ხვრელნი ხარხარებენ ხვრელნივე განხვრეტენ
ხვრელნი ნუ ხარხარებ ხვრელნივე ვითარცა

ხვრელები და მერე კვლავ და კვლავ ხვრელები
ხვრელები იხვევენ ხარხარს და ხვრელები
განხვრეტენ ხვრელებს თუ **ნულს** ემსგავსებიან
ხვრელნი განმხვრეტელნი არიან ან სულაც

სადმე ვინ და რა და როგორ ვერ მოგართვეს
თუმც კვლავ ახარხარდა უკვე ხვრელთახვრელი
და ახრამუნებენ შეხრამუნებული
ხვრელები უმიზნოდ სულ მთლად უსამიზნოდ

შეხრამუნებული ხვრელები ხვრელები
ისინი როს არვის აღარსად სჭირდება
ხვრელები თვალთა და ხვრელები ყურთა და

ხვრელები ცხვირთა და ხვრელები ბაგეთა
ნული ან სულაც ხომ კვლავ და კვლავ ხვრელები
და შემოხრულები ყოვლად უმიზეზოდ
ხრავენ ეს ხვრელები და ახრამუნებენ

სიტყვები ბჟაოლე სიტყვები ბჟადალუ
სიტყვები ბიჟღეთი სიტყვები ოჩხანე
ხვრელებს დახრავენ და სიტყვებს შემოხრავენ
შეხრამუნებული შეხრული ხვრელები
0000000000000000000000000000000000000

ხვრელნი მეტყველებენ ხვრელნი მდუმარებენ
და უტყვად მეტყველი ხვრელნივე არიან
დუმილი თავადვე ხვრელნი თვითმეტყველნი
ხვრელნი უხვრელონი ვითარცა და იქვე

ვით თვით მეტყველება უტყვად თვითმეტყველი
და ვით მეტყველება საზრისის არმქონე
და ვით თვითმეტყველი ან გნებავთ ვით **ნული**
და თვით თვითმეტყველი და სულაც გარეშე

ნული ვით არის და ჰეი ვინ არის და
ხვრელები სიტყვები რიცხვები გეთაყვა
სიცარიელისკენ ილტვიან ლტოლვილნი
ილტვიან ლტოლვილნი თვისივე თავისკენ

ჰეი სრულადსრული ეს სიცარიელე
ხვრელები მაშ ჰეი მაშ სულაც არარა
ვითარცა არარა და მერსი ვითარცა
ან სულაც მაგრამ და ან სულაც ვიდრემდე

ჰეი ჰეი-მეთქი ამხანაგ-ბატონო
და რომ დაივიწყო რათა დაივიწყო
ის რაც იცოდე რომ არის დავიწყება

სწორედ დავიწყება ნიშნავს დაივიწყო
ლტოლვას მიცემულმა ჰეისკენ და ჰეი
ჰეი ჰეი ჰეი

მანფრედ ხობოტი

აწმყოს მერმისი

უცხოელები ფლობენ გერმანულს
მერმისის საჭე მტკიცედ უპყრიათ
ქვეყანას სადაც ღუზა ჩაუშვეს
მორგებიან და შეთვისებიან
ხოლო ისინი აქ რომ ოდითგან
უცხოვრიათ და უშენებიათ
დაუნლოდსა და დაფორვარდებას
მორგებიან და შეთვისებიან
თავს ქულად გრძნობენ ბოდისუითიში -
შოპინგობენ და ტრეკინგობენ და
ჯოგინგობენ და ჩეკინდებიან
იზიგოინგიც უსწორდებათ და
ონლაინში და ოფშორში ყოფნაც
დათაგავენ და ალაიქებენ
აკლიკებენ და ჩეთში შედიან
ხელში ფრაისლისტს ატრიალებენ
ინვესტიციის ბროკერს ხვდებიან
ლანჩის დროსაც კი როუმინგობენ
კრეატივია როცა ჯასტ ფორ ფან
დააჭენებენ მაუნთინბაიკს
ვან-ნაით-სტანდიც ბევრს უსწორდება
პერფორმერობენ სვინგერ-კლუბებში
აუთდორში აქვთ ოვერდრესტობა
აზუმებენ და პოდკასტებს შლიან
აქ ფლეშბეკშია თოქ გერმანული:
ძაან ტეხავს და ძაან რეტროა :)

კონსტელაციები

ამერიკის პრეზიდენტი
მოლაპარაკებებისთვის ისრაელში მიემგზავრება
ანა-ბერტა ამ დროს უკვე ნიუ იორკშია
ხოლო როცა ბირგიტი ვენაში იმყოფება
და ავსტრიის ფედერალური კანცლერი
ვიცეკანცლერის და ფედერალური
პრეზიდენტის თანხლებით ახალი პაპის
წინაშე წარსადგომად მიემგზავრება
მე კლარასთან ერთად ბოლონიაში მივფრინავ
მერე კი დორისთან ერთად ვენეციასა და რომში
მას მერე როცა გერმანიის ფედერალური კანცლერი
სამხედრო მრეწველობის წარმომადგენლებთან ერთად
ჩინეთსა და საუდის არაბეთში აღმოჩნდება
ეკონომიკის მინისტრს მზის გამათბობლების
მწარმოებელთა ჯგუფის თანხლებით
საბერძნეთში მიეჩქარება
მედიის ყურადღების მიღმა რჩება
ბუდაპეშტში კლავდიას გამგზავრება
და საქართველოში სატყნაუროდ გერდის გაფრენა

ჰელმუთ ა. ნიდერლე

ვითარებანი

თუ სწრაფად სვლა გსურს
მარტო წადი

თუ მართლაც მისვლა გსურს
მარტო ნუ წახვალ

შეგრძნებათა ხურდა

არაერთი ჩემი
შეგრძნება მსხვილი ფულის თანაფარდი რომ ყოფილიყო
მათით ბევრ ვალს გავისტუმრებდი
მაგრამ ჯამში
ეს ხომ მხოლოდ წვრილი ფულია
იმდენად წვრილი
რომ დასახურდავებელი არაფერია

ორნი

თუ ჩვენი ხორცშესხმული ტანები
საკვებით თბილ სხეულებად იქცევიან
და იმ რიტმებს მიაგნებენ
რომლებიც მხოლოდ ჩვენ გვეკუთვნიან

მღელვარების მხურვალება დაგვიუფლებს
და ნექტარი
შეერევა ჩვენი ენის წვერს

გვეცოდინება
რომ სხეულებრივს მილმა არის
რაღაც ისეთი
უფრო ძლიერ რაც გვყვარებია

დროის ტყვეები

გამანადგურებელი ხანძრის
ჟამს
ყველა
მთავარი და მეორეხარისხოვანი როლის შემსრულებელია

გაძლება მხოლოდ სასოწარკვეთილი წინააღმდეგობაა

დრო ზოგჯერ
სისათუთის
დილეგად მოიქცევა:
წამები
აღსავსეა
ღრმა და მძიმე სიტკბოებით

თუმცა დილეგი ყოველთვის
ის სისასტიკეა
გასასვლელი რომ არ გააჩნია

სააქაოში

ცის ერთი ნახევარი
დედაკაცებია

მეორე ნახევარი კი –
მამაკაცები?

ვინ იფარავს ბავშვებს
როცა ისინი ტირიან?

თამაშის მცირედი თავისუფლება

ხედავდე ზებრას
ზებრა რომ არ არის
ხედავდე ჟირაფს
რომელიც ჟირაფი არ არის
და ლომსაც ხედავდე
თვითონ რომ არ არის
როგორც თავად ისინი
ვინც თვითონ არ არიან

თავის თავს არასდროს არავინ ჰგავს
როგორც ზებრა არ ჰგავს თავის თავს
და არც ჟირაფი ჰგავს
და არ ლომი ჰგავს

უმალ ზებრაა
ლომი
რაც დაუშვებელია

შიდაპირი
გარეთ როდია მიქცეული
და არც გარეპირია
ამ ყველაფრით შეურყვნელი

ეს თამაშის მცირედი თავისუფლებაა
ეს თამაში არავის აწუხებს
შეგიძლია თითები
კლავიატურაზე ასრიალო

ხოლო ამ დროს ფარულად იფიქრო
რომ მასში – არა ღიად გამოთქმულში –
ეჭვს დაქვემდებარებულში
რაღაც ისეთი იმალება
რაც – ერთობ ფრთხილად –
შეიძლება განიმარტოს
როგორც იმედის ნიშანი

მსოფლიოს ხსნის გეგმა

ვისაც მსოფლიოს ხსნა მონდომებია
არადა ვის არ სურს ეს ახალგაზრდობაში
თითების სავარჯიშოთი დაწყება მართებს

ან
მოყვასს დილით
მეგობრულად მიესალმოს

ან

წვიმის მატლი
შეცდომით ასფალტზე რომ გამოხოხებულა
გადასარჩენად
მინდორს დაუბრუნოს

გვიანი ზაფხული

დედის შეთხელებული, ჭაღარა თმა
გვიანი შემოდგომის მზის სხივებს განუმსჭვალავთ

დედა თავს ვერ აჩერებს

ამიტომაც ცეკვავენ თავის კანზე
ჩრდილები მისი მეჩხერი თმის
რომელიც თავის მხრივ კვლავ და კვლავ ინათებს

თითქოს
მზე კოცნიდეს
კიდევ ერთხელ ადამიანს
ვიდრე იგი ღამეს შეერევა
რომელშიც დღის ნათელზე
წარმოდგენაც კი არასდროს გაკრთება

ვნება და სიმშვიდე

მონასტერში მცხოვრები ბერის
ვნებას
უმაღლეს ექსტაზში მყოფი შეყვარებულის
სიმშვიდე
უნდა
დაუპირისპირდეს

ამ დაპირისპირებულობათა
გაწონასწორება
(შესაძლოა)
დასაწყისი
ყოფილიყო

მაგრამ ასევე შესაძლოა
სხვა არაფერი ყოფილიყო
თუ არა დაცემა
იგივე ცხენიდან
თუმცა ყოველთვის
მეორე მხარეს

დროთა ასული

თუ ერთმანეთთან დაკავშირებული
სიტყვა
"სრულყოფილი"
და სიტყვა
"მდგომარეობა"
"ჭეშმარიტებას" გულისხმობს

მაშინ
მტკიცება
რომ ჭეშმარიტება დროის ასულია
მოკრძალებულია
რადგან ჭეშმარიტება და დრო
თანაბრად იყოფიან

შესაძლოა
სიცრუე დროის მეორე ასულია
ისიც განქარდება
თანაბრად გაყოფილი
მაგრამ მომდევნო სიცრუე კიდევ უფრო ლამაზი იქნება
ვიდრე მისი წარმავალი დაიკო

მოცეკვავე

ბზრიალი და მერე აუჩქარებელი ლივლივით
ქროლვა და მყისვე შედგომა
ხელებით საგნების მოსინჯვა
ღილების შეხსნა
სარკმლების დახურვა
ტალღების აღწერა
არაფერი რჩება

ჰაერში დაწერილი ხაზებიდან

მოცეკვავე პოეტია
საწერი აღჭურვილობის გარეშე
წერს ის სიტყვებს
ჰაერში

წმინდა მდინარე

ერთი მასში ფეხებს იბანს
მეორე მოდის
ყლუპ-ყლუპად რომ
დალიოს წყალი

და ორივე სტუმარი
ხედავს
        პეპელას
                წამით ფრთაგახლართულს
        ყმაწვილქალს
                დროში დაბრკოლებულს
        ზოგთა კვნესას
                გახანგრძლივებულს

სიჩუმის სანახი

სიჩუმის სანახში
სადაც ხმაური ჯერ არ არის აღმოჩენილი
მარილიან წყალში
თევზია
წელიწადში მისხალით ზრდადი

მავანი თუ გაბედავს და
ამ თეზს შეჭამს
იგივეა რომ შეჭამოს ათასწლეული

სიჩუმის სანახში
მატარებლის თვლების გრიგინი
        მანქანის საბურავთა შხუილი
        დიზელის ძრავის ბლავილი
        და ხმამაღალი ლაპარაკიც კი
მკრეხელობად აღიქმება

სიჩუმის სანახში
თოვლის ლეოპარდი დააბიჯებს კიდით კიდემდე
როგორც სასიკვდილო თავდასხმა
დასასრულის მაუწყებელი

სიჩუმის სანახში
მშვიდობიანად მობალახე
აზავერთა ჯოგში
მარტორქა გარეულა ადრეკილი რქით

სიჩუმის სანახში
ცა და მიწა ჯერაც ისე ეხება ერთმანეთს
როგორც ღვთაებრივი წყვილი
ძალიან ნაზად
არც ცაა დამპყრობელი
და არც მიწაა დაპყრობილი

სიჩუმის სანახში
კაცის სუნთქვა
უსიტყვო ლოცვაა

დანიშნულება

თუ სამი ხაზი
განსაზღვრავს სივრცეს
მაშინ სივრცეც განსაზღვრავს
დამკვირვებელს -
შესაძლოა
კედელზე ჩრდილებით

დავიწყების სიმღერა

დაეშურო საკუთარი თავისკენ სავალს
რათა უცვლელ ტკივილს
        დაუნდობელი სიხარულისას
ხელახლა შეხვდე
ორივე
        დიდი ხნის წინ დავიწყებულა
        რა ხანია დამარხულა
მოგონებათა მთებქვეშ
მათ შორის – მრავალი ნაგავი
მოჩვენებითი მდუმარე ერთსულოვნებით განსვენებული

უეცრად – გადაწყვეტილება
დავიწყების ტკივილი იმღეროს
როგორც დაიკო მისი, სიხარული

ფრინველები

არსებობენ ფრინველები
რომლებსაც ფრენის დროს სძინავთ

მათ არ აქვთ ფეხები
არასდროს სხდებიან

არსებობენ ფრინველები
რომლებიც ქარში შობენ
ისინი ერთმანეთს არ ეხებიან
სამაგიეროდ ალერსს ნატრობენ

არსებობენ ფრინველები
რომლებსაც მხოლოდ ერთი ფრთა აქვთ
მათთვის ცნობილია ფრენის ხელოვნება

ადამიანურად დანახული სიკვდილი

სიკვდილი იტაცებს ადამიანს
და თავისთან ერთად მიჰყავს სხვა სამყაროში

სუდარა არ საჭიროებს ჯიბეებს
რადგან იქ
სადაც მგზავრობა დასრულდება
ყველაფერი ხარახურად გადაქცეულა
და იმდენადვე ცოტას ნიშნავს
რამდენსაც რომელიმე რელიგიის აღმსარებლობა

რატომ არ მიაქვს სიკვდილს ის ქონებაც
რომელსაც ცოცხალმა
ანთებული მზერა შეატოვა?

რათა ცოცხლად დარჩენილებს ქიშპობა შეეძლოთ

მონატრება

ზოგიერთ ენაში
"მონატრება"
დედისკენ უკუქცევას
ჰქვია

საშოს გარდა
ყველაფერი საშიში და უცხოა

რა ხდებოდა მაშინ
როცა საშო ჯერაც არ არსებობდა
მაგრამ რალაც დაბადებას ამზადებდა
და უკვე ნაწილობლივ ცოცხლობდნენ?

ხომ არ იყო ეს უცხოსთან დამშვიდობება
მონატრებისგან სულ მცირე ხნით თავდასახსნელად?

ხომ არ ჰგავს
წარსულში ჩაძირვა
მერმისისკენ გაბედულად გადადგმულ ნაბიჯს?
მონატრების დავიწყებას ხომ არ ნიშნავს
მოგონების გაფერმკრთალება?

არჩევანი

.

პიცის დაღლილი ნაჭერი
ნეონის შუქზე
მისი ამთვისებლის მოლოდინში
გადაღლილი
მაგრამ ჯერაც
ისევ ცოცხალი საიმისოდ

რომ უბრძოლველად ჩაბარდეს ბაქტერიებს

როცა შიმშილს აუტანიხარ
შეგიძლია აირჩიო
დაღლილები ტანჯვისგან იხსნა
თუ
გამანადგურებელთა ერთ გარკვეულ სახეობას
სიცოცხლის საყრდენი გამოაცალო

უკუშეუქცევლად

ადამიანი
უფრთო ფრინველი
დედის საშოში

დაბადებიდან
მშრალზე დაგდებული
უფარფლებო თევზი

სიკვდილის მერე
შურისძიებისგან თავისუფალი
ჩრდილიც კი არა
ძილში რომ ეძებს ჭეშმარიტებას
და გაღვიძებული
შეძლებდა უკუქცევას თავისი თავისკენ

დღის სიმოკლის გამო

დღის ბოლოს ყველა ფიქრს დიდი სიამოვნებით სურს
ფრინველად ქცევა
მოკლე იყო დღის განმავლობაში

განვლილი მანძილი
ოცნებაშიც კი უარიყო
მიზნის მიღწევა

ჭიქაში
ცრემლები გროვდებიან
სასოწარკვეთილნი ნიადაგში
ვიდრე ჩაჟონავენ

გრძნობების ვენტილატორი

წელიწადის დრონი
ერთმანეთს ცვლიან
როგორც გზის უკანმოტოვებული კილომეტრები

საათის ისრები რომ
სულ ოდნავ დიდები ყოფილიყვნენ
მაშინ სვავები
ისეთივე პირქუშად მოღიმარნი ისხდებოდნენ
როგორც მათი მომლოდინენი

სავარაუდოდ აზროვნება
გრძნობების ვენტილატორია

არა საფეხურ-საფეხურ

არა საფეხურ-საფეხურ
სამაგიეროდ
თოკზე დაკიდებულის
დაშვება სიღრმისკენ

არა ვარდნა

მხოლოდ საკუთარი სიკვდილის წინათგრძნობა

მოგზაურობა სიღრმეში
ხელისგულებს ტყავს არ აძრობს
სრიალს დაუფლებული
მოძრაობას დაუფლებია

ენა ვერ ჰპოვებს საკუთარ თავს
და არც მიგნებული სიტყვა
ექვემდებარება მარტოდენ გამოთქმას
თუმცა სანდოა ყოველი ასო

განა შეუძლებელია რომ სიბნელე
სინათლე იყოს
რომელსაც ხშირად ამაოდ ეძებენ?

საგანგებო ანგელოზი

უმეტესად არ იციან იმის სახელი
ვინც წარუმატებლიდან რაღაც მშვენიერს ქმნის
გაშვებული შესაძლებლობიდან კუთვნილს მოიხვეჭს
ცივი სივრცის მხურვალე გამოცდილებაში იძირება
მხიარულ აღტაცებაზე ზრუნავს
ყველა გასაჭირს თავისი ღიმილით განაჯადოვებს
და იმ გაზაფხულის მომყვანია
რომელშიც ბედნიერების ტოტები დაზიდულან

ღრმად იძირებიან ისინი სიცოცხლის მდინარეში

ასეთები ვართ ადამიანები

ვიღაც საიდანღაც შემოეხეტება
და გონებას გვართმევს
აჯობებდა ყარყატთა მსგავსად
პირველივე საკვამურზე
ჩვენი ბუდე
აგვეშენებინა

მოგვიანებით ეს უცხო თავის სახელს ძვირად დააფასებს
ისე რომ ხეირიანადაც კი არ დაასახელებს:
ის ამბობს
"მე იმედგაცრუების ანგელოზი ვარ"
მაგრამ იქვე როდი დასძენს
"ჩემი ამოცანა და დანიშნულება იყო
ამაო სურვილთა მაგ შენი აღლუმის
სულ ცოტა ხნით გახანგრძლივება"

თოვლის ფიფქებთან ერთად...

თოვლის ფიფქებთან ერთად ცვივიან
შენი დაუსრულებელი წინადადებები
ჯერაც გაუყინავ მდინარეში
სათქმელი აღარაფერია

სიამოვნებით
ვთხოვდი ჩემს გულს სიტყვის თქმას
მას ეს აეკრძალა

მოგვიანებით
- შენი სიტყვებით აღარდევნილი -
ავტობუსში
ეს-ესაა გათავისუფლებული
სკამის

უსიამოვნო სითბოს ვგრძნობ

ჩემი საყვარელი კაფის უფროს ოფიციანტს
თავს არ ვაბეზრებ
არ ვეუბნები
რომ დღის სინათლე არაფერი ღირს
და შენობაში ნათურები იაფია

შესაქმე

არა ღმერთისგან შექმნილი
არა ეშმაკისგან გაჩენილი
არა ანგელოზისგან მოვლენილი

ადამიანის მიერ ნაკეთი
არა ცეცხლი
არა სიმხურვალე
ნაპერწკლის ნასახიც კი არა

მხოლოდ ჩვეული სულმდაბლობა
დაბნელებასთან შეწყვილებული

ღრუბელი თუ ქვა

იმის არცოდნა
ჩვენ ორიდან
ჩრდილი ვინ არის
რომელსაც ჩვენ ღრუბელივით
მოვფენთ ხოლმე ერთურთის გულში

უდიდესი სიამოვნებით
იქნებოდი

ჩრდილი
რომელსაც როგორც ღრუბელს
მოჰფენ
შენი შეყვარებულის
გულში

სავარაუდოდ
ქვა უფრო ხარ
რომელიც წყალში ვარდება და
შემოწერილ ტალღებსაც
კი
აღარ ახსოვთ
ცოტა ხნის მერე

ვირის ოცნება

თვალსაჩინო შემთხვევა

გზაზე
უკვე ცეზარი
ან სხვა სარდალი
გადადიოდა
თავისი ჯარით

ამ დროს
ესა თუ ის ჯარისკაცი
გზის პირას შემთხვევით
თავმოყრილი ბუჩქნარისკენ
გამიზნულად მიაბიჯებდა

და აი პალოზე მიბმული
ვირი
საათობით

დგას ამ გზაზე
რომელიც მისთვის არავის დაუგია

მზე აცხუნებს
წვრილი მტვერი ლივლივებს მხურვალე ჰაერში
ჭრიჭინები გამაბრუებლად მღერიან

ვირს
დრო თავზე საყრელად აქვს
ახლა რომ ჭაკმა ვირმა ჩაუაროს
რომელიც არა მასსავით
"ი-ა, ი-ა, ი-ა"-ს
ყროყინებს
არამედ –
"ი-ო, ი-ო, ი-ო"-ს
ან
"ა-ი, ა-ი, ა-ი"-ს
ის უცხოში იხილავდა
მშვენიერს
იდუმალს
და უმალ შეიცნობდა

მისი სიახლოვე გააბედნიერებდა
თავისი დაბადების ხეობასაც კი
დაავიწყებდა
გულს
გაუხალისებდა და გაულაღებდა
ესოდენი ინტიმურობით

როცა ვირი გზისპირას ისე დგას
თითქოს პატრონს გადავიწყებოდეს
მას იცავს
გამოგონილი
ეს ფანტომი

ტკივილისგან
როცა მისი მხედარი
- ძილის მერე მოყოჩალებული -
მას ერთი-ორ ღონიერ დეზს
უთავაზებს
რადგან
დგომით გათანგულს
და გაშეშებულს
სახსრები
ცოტათი გაუხეშებია

თუმცა ტაკოგამობზეკილ
ჭაკ ვირზე
ოცნება
მას კარგ განწყობას
უნარჩუნებს

***

ერთი სავაჭრო ქუჩის თაღქვეშ ყოველდღიურად იყრდა რამდენიმე უპოვარი. ისინი ერთმანეთს კარგად იცნობდნენ და იმ წვრილ ფულს, რომელსაც ისინი თავ-თავის საკუთრებას უწოდებდნენ მას მერე, როცა საათობით მოიმათხოვრებდნენ, სასმელსა და სიგარეტში აბანდებდნენ. ისინი მყუდროდ მოიკალათებდნენ ხოლმე თავიანთი მწირი ნივთების – მათ შორის სიცივისგან მათი დამცავი პლედების – შუაგულში და პროფესიის ერთგვარი რადიკალური უარყოფით განასახიერებდნენ გამრუდებულ სარკეს სამსახურისკენ და სამსახურიდან სწრაფად მავალი ხალხისა, რომელიც იმას მოიხვეჭდა, რაც თავისთვის საჭიროდ მიაჩნდა. უსახლკაროთა შორის გულალმა იწვნენ თვალებდახუჭული ძაღლები, რომლებიც ცხადად განცხრებოდნენ, როცა მათ საათობით ეფერებოდნენ. ეს მაწანწალა ძაღლები რომ კატები ყოფილიყვნენ, კაცი მათ კრუტუნს გაიგონებდა.

შტეფანი გოლიში

ყველაფრად გახდომა, ყველაფრად ყოფნა

კაფკას უკანასკნელი ზამთარი 1923/24

მე შემიძლია შენი მოსმენა, დორა. მე, უბრალოდ, ისე ვიქცევი, თითქოს ყოველთვის მოგისმენ, თითქოს ყოველთვის გისმენდი. ეს ზამთარი ყველა ზამთარია და შენ ყველა ქალი ხარ. ანუ დრო სულაც არ არსებობს. მართალია, რომ ჩვენ არასდროს ვიყინებით და მართალია, რომ ჩვენ ყოველთვის ვიყინებით. ანუ დრო სულაც არ არსებობს და მამაკაცი, რომელიც გიყვარს მხოლოდ შესაძლოა, შესაძლოა

სუნ ქსუე

მამა თავის ცარიელ სახლში, ცარიელი გულით

ფინია, ჩემო მორჩილო და ციცქნა ფინია,
ჩემს ფერხთით წევხარ
და არ გესმის და ვერც გაიგებ,
თუ როგორ მაქვს აშლილი და არეული გულის სიმები!
შენმა ძველმა მეგობარმა, რა ხანია, გაგინაპირა,
და ერთად ვცხოვრობთ ცარიელ და ძველისძველ სახლში.
რაკი მოხვედი, მელაპარაკე.
ცარიელი სახლი რაა და უკვე უცეცხლოდ დარჩენილი ძველი
კერაა;
აქ ყინულივით ცივი ნაცრის ორმო დამიხვდა,
ხოლო ჰაერი, მე რომ ვსუნთქავდი, მიწას შეხვდა და იქცა
ყინულად.

შორს გაიფანტნენ ამ სახლიდან ჩემი შვილები,
თავის სარჩენად ქალაქებში გადაიხვეწნენ;
ვიგრძენი, მძიმე ტვირთად ვქცეულვარ, და ამიტომაც ვწევარ ახლა
ამ სიჩუმეში;
და ერთადერთი, რაც მე მათთვის შემიძლია გავაკეთო, ამ ჰაერის
ამოოხვრაა.

ისევ შევავლო თვალი იმათ ღაჟღაჟა ლოყებს,
და მწნილით, მათთვის გულდაგულ რომ მოვამზადე,
შევეგებო გაზაფხულის დღესასწაულზე – ეს დამირჩა ბოლო
ოცნებად;
განა არ ვიცი, რომ ბეჩავი ბერიკაცის ბეჩავი სახე
დამჭკნარი ნესვის ღვინოსავით მიმზიდველია?!

ოჯახური კერძები და ბრინჯი, ატრია, კურდღლის აპოხტი,
მათთვის არის გამზადებული.
ვიყოყმანე და მაინც ვწვდი ყურმილს:
"ჰეი, შვილებო, უნდა მცოდნოდა აკი თქვენი მისამართები!"

მიპასუხეს გაბმული და ზანტი ლულლულით:
რომ როგორმე ერთხელ ვახშმად თავს მოიყრიან,
ერთხელ, როგორმე, შინ როდესაც დაბრუნდებიან.
ჩემო შვილებო,
ორიოდე სიტყვა იყო, მამათქვენს რომ სჭირდებოდა:
"გენატრები?" "მეც მენატრები".

ზღვიდან ცამდე

გული აღარ დგას საგულეში მას მერე, როცა
ზურგი მაქცია ვეშაპების მბრწყინავმა გუნდმა.
ლაღია და უწყვეტია ლურჯი, კაშკაშა ზეცის ქვეშ მათი
მოგზაურობა.
თავს აწონებენ აცეკვებულ, ატეხილ ტალღებს და გამოსცემენ
მხიარულ ბგერებს.
უშიშარ გზამკვლევთ თავ-თავისი სხეულები სურნელოვან
ხომალდებად გამოუჭედავთ.
მაინც რამდენად უსაზღვროა ზღვის კიდეგანი? იქნებ მათ
მითხრან?
მე მხოლოდ მათი, ზარებივით აჟღერებული, გულისცემა ჩამესმის
ახლა,
სიღრმეში რომ იძირებიან.

მესიზმრა, თითქოს გავყურებდი, ზღვაზე როგორ მიმოფრენდნენ
უცნაური ფრინველები წელიწადის ნებისმიერ დროს,
ქარებს და ღრუბლებს მაღლა სწევდნენ ფრთების შხუილით.
მესმოდა მათი შეკივლებები, მომავლიდან გაჩენილი რაღაც
უცნობის,

ძლიერის და გაბედულის მაუწყებელი.
მაინც რამდენად კაშკაშა და უსაზღვროა ეს ლურჯი ზეცა?
არ მეჯერება, მათ ეს ესმოდეთ.
როცა ისინი, ქარით და ქვიშით აღძრულები, მიმოიფრენენ,
მხოლოდ ბუნდოვნად ვხედავ ირგვლივ განღვრილ სამყაროს.

მწირის ფიქრები ზამთრის ქუფრ ღამეში

ყინვის გულისკენ მამა-ზამთრის ნაბიჯებს გავყევ,
როცა ჩამესმა ღამეული მისი ძახილი.
ქუფრ ღამეში უნუგეშოს გამომეღვიძა,
რომ მივმხვდარიყავ – აუხდენელი ოცნებით ვარ დატყვევებული.
მამავ, გზამკვლევო ჩემო ვარსკვლავო, წმინდა მიწისკენ მაინც
როდის უნდა გამიძღვე?

ნაბიჯი შევდგი სიბნელეში, მახვილებით ძრწოლამოგვრილმა,
მომლოცველის სულჩადგმულმა, ხელცარიელმა.
რაც უნდა მოხდეს, უფსკრულიც რომ მიმელოდეს ყოვლის
შთანმთქმელი,
ჩემი გზიდან ოდნავადაც არ გადავუხვევ.
სხვა რა ვიღონო, ჩემს არეულ გზა-სავალს და წარსულს როცა
ჩავფიქრებივარ?
რაც გარდავიდა, იქვე დარჩეს, მე კი ჩემს ბედს უნდა მივენდო.

ცივ ზამთარში მოყარიბემ, მტკიცე სინაზით,
ნაზი სიმტკიცით გახარებულ ყვავილებსაც მოვკარი თვალი,
მძიმე თოვლშიც რომ არ კარგავენ იმედს თბილი გაზაფხულისას.
გულსაკლავად მოიფრენდნენ ჩიტები და უმალ მტოვებდნენ.
ზამთრის ქარმა კი ჩემი წმინდა და კამკამა ცრემლი –
მარტოობის სარკე – გაყინა.

და ვუყურებდი ამ სარკეს და ღირსეული ცხოვრების აზრს
ვეღრმავდებოდი.

ალიონზე დავიჩოქე, ჩემი სახის წინ ხელებით ჯვარი გამოვსახე
და ვილოცე სიცოცხლისთვის, იმ ჯიუტი ძალისხმევისთვის,
თანამგზავრებს რომ ააჩქარებს საოცნებო ქვეყნისკენ და
მხნეობას მატებს.
სუსტ ნათელში, თავს რომ იყრის ამ სამყაროს ყველა კუთხიდან.

წვიმა

დღე მოიქუფრა და ნათურით გავანათე ჩემი ოთახი.
წვიმის წვეთები ახმაურდნენ მალე კიბეზე,
ჭექა-ქუხილმაც არ დააყოვნა. მიაყურადე! გესმის? შორიდან
აღწევს გუგუნი.

წვიმს და რარიგ სახალისოა! უცქირე, როგორ ეჯახება მთელი
სხეულით
მწვანე ფოთლებს და მისი სისხლით მერამდენე გუბე ივსება.
ხოლო ცის თაღზე წვიმის შხეფებთან ერთად ხტიან ელვის
ჩხირები.

სახურავს თავზე წამოადგა ნისლის სალტე და ქარიანად
ამოიოხრა.
ხეებს თავები დაეხარათ, მორჩილად იდგნენ, დედა-წვიმა როცა
კოცნიდა.

სამყარო იქცა წვიმის სცენად, სადაც ყველასთვის
თვალსაჩინო წარმოდგენა თამაშდებოდა.
წვიმის წვეთები – ეს პატარა მაწანწალები –
მიმორბოდნენ და გვთავაზობდნენ გასაოცარ სანახაობას.

ხალხის სახე სველი ქოლგებით დაფარულიყო.
და მერე, წვიმამ როცა იკლო, თავ-თავისი მანქანებით გამოვიდნენ
მძღოლები და

ჭექა-ქუხილს, რომლის გრგვინვამ ნელ-ნელა იკლო, ხელის
ქნევით დაემშვიდობნენ.

მე სახლის კარი გამოვაღე, რაკი ვიფიქრე, აღარ წვიმს მეთქი,
და გავიგონე, დაიკო-წვიმამ სარკმელზე როგორ მომიკაკუნა
და დამიტოვა უკანასკნელი ღია ბარათი: "შეიძლება, თქვენთან
ერთად ჩაი დავლიო?"

მოქცევები და მიქცევები

გული მტკიოდა, როცა ვხედავდი, მთვარე როგორ ილეოდა ან
ივსებოდა;
იგი ყოველთვის ჩემთან იყო, ერთგული ძაღლი, ღამის კანონის
აღმსრულებელი.
ცის დასალიერს დაეძებდნენ ნაღვლიანი ჩემი თვალები.
სიყვარული ერთს ეკუთვნის და ვერასდროს მიითვისებს იმას
მეორე.

ასე ვაკოცე შენს ღიმილს და ხეებზე კვირტებს ვაკვირდებოდი;
მოქნილი ენა, გაზაფხულის სიო, ჩემს ლოყას ნაზად ლოკავდა.
რამდენი გემი ჩაიძირა უკვე ზღვაში, არ მადარდებდა.
შენს გამო ჩემი ცრემლის ტალღები მოიქცევიან,
მიიქცევიან მერე ისევ, უდასასრულოდ;
უცნობია წყალდიდობის სეზონი ჩემი ცრემლების ზღვისთვის,
სიყვარულის სეზონია ერთადერთი, იგი რასაც ცნობს.

ნამის ბეჭდები

"ეს თეთრი ოქროს ბეჭდებია, ეს – ბრილიანტის, აი, ეს კი –
ლალის ბეჭდები".
ვუპასუხე: "არ მჭირდება მე ეს ბეჭდები".

ბეჭდები მართლაც არაფერში გამომადგება...
არც ერთი... მაგრამ არის ერთი, საგანგებოდ დამზადებული.

ისე, რომ გროშიც არ გებადოს, გაემგზავრე მის საძებნელად.
მხოლოდ ჩემი მშვენიერი ღიმილია, შენ რაც გჭირდება.

ჩემო ძვირფასო, გასწიე და სათუთი და წრფელი გულით მიაგენი
ცისკრის ცვარ-ნამს მწვანე ფოთოლზე.
და იმ ბრწყინავ წვეთს ხელისგულზე როცა დამიდებ,
ჩემს მოხდენილ ჩრდილს მის ზედაპირს გადავაფარებ.
აი, ძვირფასო, ნეკა თითით წრეს შემოგიწერ,
გემუდარები, ნამის წვეთით უნაზესად დანიშნე იგი.

აი, შეხედე! აი, შენი ნამის ბეჭედი;
და როცა ხედავ შენ ჩემს ღიმილს,
აცახცახებულ შენს ხელისგულს დაეცემა ახალი ცრემლი.

ჰანს-გეორგ გადამერი

ფილოსოფია და პოეზია

არის იდუმალი ურთიერთსიახლოვე, ფილოსოფიასა და პოეზიას შორის რომ მბრძანებლობს და, ბოლოს, ჰერდერისა და გერმანული რომანტიზმის დროიდან, საყოველთაო ცნობიერებაში რომ დამკვიდრდა. ასეთი ვითარება ყოველთვის როდი იმსახურებდა მოწონებას. თუმცა ეს ჰეგელის შემდგომი საუკუნის სიღატაკის საბუთი უფრო იყო. მე-19 და მე-20 საუკუნეების საუნივერსიტეტო ფილოსოფიამ – პირველ რიგში სულაც არა შოპენჰაუერის სალანძღავი ტირადების შედეგად – ვერ გაუძლო დიდ განზემდგომთა და დიდ მწერალთა, კირკეგორისა და ნიცშეს, დარტყმას, ხოლო კიდევ უფრო დაჩრდილა იგი დიდ რომანისტთა, განსაკუთრებით ფრანგი სტენდალის, ბალზაკის, ფლობერის და რუსი გოგოლის, დოსტოევსკის, ტოლსტოის მოკაშკაშე ვარსკვლავთა ამოსვლამ. ის ან ფილოსოფიისისტორიული კვლევის დაბლობებში იყო ჩაკარგული ან შემეცნებისთეორიული პრობლემატიკის სტერილურობაში იცავდა თავის მეცნიერულობას. მაგრამ თუ ჩვენს საუკუნეში საუნივერსიტეტო ფილოსოფიამ დაიბრუნა გარკვეული მნიშვნელოვნება – დავასახელებ მხოლოდ ეგრეთ წოდებულ ექსისტენციფილოსოფოსებს იასპერსს, სარტრს, მერლო-პონტის, გაბრიელ მარსელს და მათზე უწინ მარტინ ჰაიდეგერს –, ეს იმის გარეშე არ მომხდარა, რომ პოეტური ენის მოსაზღვრე ტერიტორიებზე შეჭრა გაბედეს – რაც ხშირად სასტიკ კრიტიკას აწყდებოდა. წინასწარმეტყველის მანტია ცუდად უხდება ფილოსოფოსს, რომელსაც მეცნიერების საუკუნეში უსურვებია, სერიოზულად აღიქვანო. რატომ წაუყრუეს თანამედროვე ლოგიკის დიდ მიღწევებს, არის-

ტოტელეზე მანამდე წარმოუდგენელი აღმატებით რომ შეძლო წინსვლა ბოლო 100 წლის განმავლობაში, და უფრო და უფრო სქელ პოეტურ ღრუბელთა მიღმურ სიბნელეში რატომ ეხვევიანო?

არადა, სიახლოვე და სიშორე, პოეზიასა და ფილოსოფიას შორის ნაყოფიერი დაძაბულობა დიახაც რომ გუშინდელი და გუშინწინდელი პრობლემა არ არის. ის მთელი გზის თანამგზავრად ექცა იმ ევროპულ აზროვნებას, რომელიც სწორედ იმით გამოეყოფა ყოველგვარ აღმოსავლურ სიბრძნისმეტყველებას, რომ მან ეს დაძაბულობა თავად იტვირთა. პლატონი ლაპარაკობს პოეზიასა და ფილოსოფიას შორის ძველ უთანხმოებაზე (*παλαιὰ διαφορὰ*), პოეზიას აძევებს იდეებისა და სიკეთის მისეული სამფლობელოდან – და, იმავდროულად, მასვე ითავისებს მითების ეს მთხრობელი, საზეიმო განწყობასა და ირონიას, მითების შორეთსა და აზროვნების სიცხადეს შეუდარებლად რომ შეურევს ერთურთს. მსგავსადვე შეიძლებოდა გვეკითხა იმისთვის, ვინც პოეზიასა და ფილოსოფიას შორის, სურათ-ხატსა და ცნებას შორის მიჯნის გავლებას ისურვებდა, თუ რა ამთლიანებს ძველ და ახალ აღთქმას და – ქრისტიანული მსოფლგაგებისას და მსოფლმჭვრეტის ათასწლეულს.

ასე რომ, ძველთაძველი საკითხია, თუ რატომ და რაგვარად ძალუძს ენას, განაზრებულისა და გამონაგონის ერთადერთ მედიუმს, ამ ერთობლივისა და ამ განსხვავებულის გათანაბრება. ეს ნამდვილად არ არის ენის ყოველდღიური გამოყენება, რომლის დროსაც ასეთი ნათესაობა აშკარავდება ან, სულაც, ურთიერთწაფენით მთავრდება. ცხადია, ყოველგვარ მეტყველებას ყოველთვის ორივეს გამოხმობა ძალუძს, სურათ-ხატისაც და – აზრისაც. მაგრამ ადამიანთა საუბარი, საერთოდ, გააზრებულ გარკვეულობას და ერთმნიშვნელოვნებას მოიპოვებს სიცოცხლისმიერი იმ ურთიერთკავშირიდან გამომდინარე, რომელიც თავის კონკრეციას სიტუაციისა და მისამართის წყალობით უზრუნველყოფს. მაშასადამე, ასეთ კონკრეტულ სამოქმედო ურთიერთკავშირში თქმული სიტყვა სულაც არ არის განკერ-

ძოებით მდგომი. ის საერთოდაც არ "მდგომარეობს", არამედ "გარდადის" – თქმულის მიმართულებით. ასეთი უბნობის თვით წერითი ფიქსაციაც კი ვითარებაში არაფერს ცვლის, იმის მიუხედავად, რომ ამგვარად გამოცალკევებული ტექსტის გაგების ამოცანა გარკვეული ჰერმენევტიკული სირთულეებით ხასიათდება. ამის საპირისპიროდ, პოეტური სიტყვა, ისევე, როგორც ფილოსოფიური, სწორედ რომ მდგომარეობისა და "ტექსტის" განყენებულობაში – რომელშიც ის არტიკულირდება – თვისივე ძალმოსილებით გამოთქმის შემძლებელია. მაინც როგორ ძალუძს ენას, ასეთი რამ მოიმოქმედოს?

უდავოა, რომ ენა, ისეთი, როგორადაც ის ყოველდღიური გამოყენებისას გვხვდება, ამის შემძლებელი არ არის, მაგრამ ისიც უდავოა, რომ ის ამას არ საჭიროებს. უახლოვდება ნაგულისხმევის ერთმნიშვნელოვანი აღნიშვნის იდეალს თუ ასეთი იდეალისგან ჯერაც შორს არის – გავიხსენოთ, მაგალითად, სიტყვით პოლიტიკური გამოსვლები –, ნებისმიერ შემთხვევაში, ის თავისთვის კი არა, რაღაც ისეთისთვის მდგომარეობს, რაც გამოცდილი ცხოვრების ან მეცნიერების გამოცდილების პრაქტიკაში შემხვედრია და რის წინაშეც გამოთქმული თვალსაზრისები მართლდებიან ან რის წინაშეც ისინი მარცხდებიან. სიტყვები თავის თავში არ "მდგომარეობენ". მხოლოდ სასიცოცხლო ურთიერთკავშირია ის, რაც მათ – წარმოთქმულთ თუ დაწერილთ – თავს სრულად განახორციელებინებს. პოლ ვალერიმ ერთ თავის გონებამახვილურ – თუმცა კი ოქროთი უზრუნველყოფილ გარდასულ დროთა გამომხმობ – შედარებაში პოეტური სიტყვა ენის ყოველდღიური გამოყენების საპირისპიროდ გამოკვეთა. ეს უკანასკნელი წვრილმან ხურდა ფულს ჰგავს (ისევე, როგორც მთელი ჩვენი ქაღალდის ფული), რომელიც თავად სულაც არ ფლობს იმ ღირებულებას, რომელსაც სიმბოლურად განასახიერებს – ოქროს სახელგანთქმული ძველი, პირველი მსოფლიო ომამდელი, მონეტა კი, პირიქით, თავად ფლობდა ლითონის იმ ღირებულებას, რომელსაც აღიბეჭდავდაო. ასე რომ, პოეტური სიტყვა რაღაც სხვაზე უბრალო მითითება კი არ

არის, არამედ – ოქროს მონეტის მსგავსად – ის არის, რასაც წარმოადგენსო.

სიტყვაზე მსგავსი გამონათქვამი ფილოსოფოსებთან არსად მეგულება, თუ არა – შესაძლოა შეფარვით ნაგულისხმევი: პლატონისეულ სახელგანთქმულ კრიტიკაში ნაწერი სიტყვისა და მისი უძლურებისა, თავი დაიცვას მისი ბოროტად გამოყენებისგან. ეს კრიტიკა ხომ ფილოსოფიური აზრის არსებობის წესზე მიუთითებს, დიალოგის დიალექტიკაზე, რომელიც, თავის მხრივ, განკერძოებით დგას, იმდენად ძლიერ, რომ მას, ამ დიალექტიკას, ისიც კი ძალუძს, პლატონის დიალოგის პოეტურ მიმესისში შედგეს – ტექსტში, რომელიც, უნდა ითქვას, განსაკუთრებულ ბუნებას ფლობს, ის მკითხველს ხელახლა ითრევს იმ დიალოგში, რომელსაც განასახიერებს. აკი მხოლოდ დიალოგში ან მის იმ მდუმარე ჩაშინაგანებაში, აზროვნებას რომ ვუწოდებთ, აიგება ფილოსოფია – ფილოსოფია, ცნების ეს უსასრულო ძალისხმევა, რომელიც უკან მოიტოვებს ყოველდღიურ მეტყველებას, მისი ყველგან და ყველგან გამოყენებადი მოსაზრებებითურთ (*δόξαι*). ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ: ის უკან ცარიელ სიტყვას მოიტოვებს?

ისე ჩანს, თითქოს პოეზიასა და ფილოსოფიას შორის კავშირი, სიტყვის პრაქტიკული მიმოქცევისგან ორივე მათგანის განაპირებას და ემპირიულ მეცნიერებებზე პრეტენზიას რომ ემყარება, ბოლოს საერთოდ ირღვევა. ხომ არ არიან ისინი – შემდგარი და გამოუთქმადში გაქრობადი სიტყვა – უკიდურესობები? არადა, მათი კავშირი შენარჩუნებულიც არის და დასაბუთებასაც ექვემდებარება. სწორედ ამას ეძღვნება წარმოდგენილი განხილვა.

პირველ მითითებად შეიძლება გამოგვადგეს, რომ ედმუნდ ჰუსერლმა, ფენომენოლოგიური ფილოსოფიის დამფუძნებელმა, ფილოსოფიის ყველა იმ ნატურალისტური და ფსიქოლოგისტური გაუგებრობისგან თავდასაცავად, მე-19 საუკუნის ბოლოს რომ გავრცელდა, ფილოსოფიის არსისთვის საკუთარი მეთოდური გაგება განავითარა, რომელსაც მან "ეიდეტური რედუქ-

ცია" უწოდა. შემთხვევითი სინამდვილის გამოცდილება მეთოდურად გაიტანება ფრჩხილებს გარეთ. ასე ხდება de facto ნებისმიერი ნამდვილი ფილოსოფოსობისას, ვინაიდან ყველა სინამდვილის მხოლოდ აპრიორული საარსებო სტრუქტურები ქმნიან – იმთავითვე – ცნების ან, როგორც პლატონი იტყოდა, "იდეების" სამეფოს. ვინც ამიერიდან ხელოვნების – და, მაშასადამე, აგრეთვე და ყოვლის უწინარეს, პოეზიის – იდუმალი განსაკუთრებულობის აღწერას მოინდომებს, ვერ შეძლებს, გვერდი აუქციოს ამის მსგავსად თვითგამოხატვას. ის ხელოვნების იდეალიზებად ტენდენციაზე ილაპარაკებს. მაშინაც კი, როცა ხელოვანი ჯერაც რეალისტური ან, პირიქით, სრული აბსტრაქტულობის მოწადინე მიმართულების მიმდევარია, იგი თავისი შემოქმედების იდეალურობას, იდეალურ, გონით სინამდვილეში მის განყენებულობას ვერ უარყოფს. ჰუსერლს, რომელიც მთელი სინამდვილის-დაშვების მოხსნის შემცველ ეიდეტურ რედუქციას ფილოსოფიის მეთოდის შესახებ მოძღვრებად სახავდა, ამიტომაც შეეძლო ეთქვა, რომ ხელოვნების სფეროში ეს ეიდეტური რედუქცია "სპონტანურად სრულდება". სინამდვილის-დაშვების ჩასმა ფრჩხილებში, ეგრეთ წოდებული "ეპოქე", უკვე ყოველთვის არის მომხდარი მაშინ, როცა ხელოვნების გამოცდილებას მივეცემით – და მართლაც, ხომ არავინ მიიჩნევს რეალურად, ვთქვათ, ნახატს ან ქანდაკებას, თვით ილუზიის იმ მხატვრობის ექსტრემალურ შემთხვევაშიც კი – არა, რომელსაც სინამდვილის ილუზია იდეალურობის სფერომდე აჰყავს და მას ესთეტიკურ აღგზნებად გაათამაშებს. გავიხსენოთ, მაგალითად, რომის წმ. იგნაციოს ტაძრის თაღედი, რომელიც ამ საკითხის კარგი ილუსტრაციაა.

მაშ, როცა ენა მედიუმია, ისმის საკითხი – რომელიც განსაკუთრებით ფილოსოფიასა და ენობრივ ხელოვნებათა შორის მნიშვნელობს, – თუ როგორი ურთიერთდამოკიდებულება აქვს ენის ამ ორ თვალსაჩინო და იმავდროულად კონტრარულ ფორმას, განკერძოებით მდგომ ტექსტს პოეზიისა და – თავისი თავის

თავადვე მომხსნელ, ყველა შემთხვევის უკან მომტოვებელ ენას ცნებისა.

ჩვენ გვსურს, საიმედო ფენომენოლოგიური პრინციპის მიხედვით შევუდგეთ უკიდურესობათა შესახებ ამ საკითხის განხილვას და საწყის წერტილებად ამიტომაც ვირჩევთ ლირიკულ ლექსს და დიალექტიკურ ცნებას. ლირიკული ლექსი უკიდურესობაა, რადგან ის უდავოდ ყველაზე წმინდა სახით შეიცავს თავის თავში ორიგინალური ენობრივი გამოვლენისგან ხელოვნების ენობრივი ქმნილების განუყრელობას – რასაც სხვა ენაზე ლირიკული ლექსის უთარგმნადობა მოწმობს. ლირიკის შიგნით ჩვენ მივმართავთ მის რადიკალურ გეშტალტს, *poésie pure*-ს, როგორც ეს მალარმეს მიერ პროგრამულად იქნა დამუშავებული. უკვე თარგმნადობის საკითხი – თუნდაც მას ჯერაც ასეთი უარყოფითი პასუხი გაეცეს – ამტკიცებს, რომ, ასევე სულაც უკიდურეს შემთხვევაში, პოეტური სიტყვის ერთობ გაძლიერებული მუსიკალობისას, საქმე *ენის* მუსიკალობას ეხება. ეს არის ჟღერადობისა და საზრისის უწყვეტად შეხმატკბილებული წონასწორობა, რომელიც პოეტურ გამოსახულებად აღშენდება. თუ იმ ანალოგიას გავყვებით, რომელიც ჰაიდეგერმა შემოგვთავაზა, როცა ის ამბობს, რომ ფერი არასდროს არის იმაზე მეტად ფერი, ვიდრე – დიდი მხატვრის ტილოზე წარმოჩენილი, ქვა კი არასდროს – იმაზე მეტად ქვა, ვიდრე – იმ სვეტის კუთვნილება, რომელსაც ბერძნული ტაძრის ფრონტონი ეყრდნობა – და აკი ყველა ჩვენგანმა იცის, რომ "ბგერა", პირველ რიგში, საერთოდაც მუსიკის ბგერაა –, მაშინ საკითხი ასე დაისმის: რას უნდა ნიშნავდეს, რომ სიტყვა და ენა ლექსში ყველაზე მეტად არიან სიტყვა და ენა. რას მოწმობს ეს პოეტური ენის ყოფიერების მოწყობილობისთვის? ბგერწერის, რითმების, რიტმების, ვოკალიზაციის, ასონანსის და ა. შ. სტრუქტურირება ქმნიან მასტაბილიზებელ ფაქტორებს, რომლებიც მილეულ და გაძევებულ სიტყვას უკუაქცევენ და აჩერებენ. ასე ადგენენ ისინი "ქმნილების" ერთიანობას. მაგრამ ეს ხომ ის ქმნილებაა, რომელიც, იმავდროულად, მეტყველების ერთიანობაც არის. ეს

იმას ნიშნავს, რომ ლექსში თანამონაწილეობენ გააზრებული მეტყველების სხვა ლოგიკურ-გრამატიკული საშენი ფორმები, მიუხედავად იმისა, რომ მათ, ქმნილების შენების ამ მომენტთა სახეიროდ, უკანა პლანზე გადანაცვლება შეუძლიათ. ენის სინტაქსური საშუალებები შეიძლება გამოყენებულ იქნას უკიდურესი მომჭირნეობით. ცალკეული სიტყვები, განკერძოებით მდგომარების გამო, საჩინოებასა და გამოსხივების ძალმოსილებას მოიპოვებენ. კონოტაციებს – რომლებიც სიტყვას შინაარსის სისავსეს, ხოლო უფრო მეტად იმ სემანტიკურ გრავიტაციას ანიჭებენ, რომელიც თითოეულ სიტყვას ისეა შემკვიდრებული, რომ სიტყვის მნიშვნელობა ჭარბად მიმზიდველია, ე. ი. მრავალგვარად განსაზღვრის ამოქმედების შემძლეა – ამ სინტაქსურად უსრული გარკვეულობის წყალობით ფრთების თავისუფლად გაშლა ხელეწიფებათ. ამით განხორციელებული მრავალმნიშვნელოვნება და სიბნელე ტექსტისა, მსგავსი პოეზიის სტრუქტურული ელემენტი რომ არის, ინტერპრეტატორს სასოწარკვეთად შეიძლება ექცეს.

ეს ყველაფერი მეტყველებაში სიტყვის როლს მის პირველსაწყის შესაძლებლობასთან აბრუნებს, *სახელდებასთან*. სახელდებით რაღაც მიწყივ აწმყოშია ნახმობი. თუმცა ცალკეულ სიტყვას, როგორც ასეთს, საკონტექსტო გარკვეულობის გარეშე, არასდროს ძალუძს საზრისის ერთიანობის გამოხმობა, ეს საზრისი თავდაპირველად მეტყველების მთლიანობაში წარმოიშობა. და თუ სულაც, როგორც თანამედროვე ლექსში, სურათ-ხატის წარმოდგენის ერთიანობა ირღვევა და, საერთოდაც, ყოველი აღწერითი ძალისხმევა უარიყოფა – დაუკავშირებლისა და არაერთგვაროვნის გასაოცარი შეკავშირების სისავსის სასარგებლოდ –, მაშინ საკუთარ თავს ეკითხები, თუ რას გულისხმობენ აქ ეს სახელმდებელი სიტყვები. რა სახელდება აქ? მსგავსი ლირიკა უდავოდ ბაროკოს ლექსის მემკვიდრეა, მაგრამ ეს ლირიკა ხომ, კვლავ და კვლავ, სურათ-ხატისა და სურათ-ხატის ქმნადობის ერთიანი ტრადიციის იმ საზიარო ფონს არის მოკლებული, ბაროკოს საუკუნეს რომ გააჩნდა. ბგერითი

ფიგურებისგან და სასაზრისო ნაკუწებისგან მთლიანობა როგორ უნდა ჩამოყალიბდეს? ამის სათავე *poésie pure*-ის ჰერმეტული ხასიათია.

ბოლოს და ბოლოს, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების საუკუნეში, მსგავსი ლირიკის ჰერმეტული ხასიათი აშკარა აუცილებლობაა. აბა, სიტყვა ნაუწყების ნაკადებიდან როგორ უნდა გამოცალკევდეს? თავის თავში როგორ უნდა გამთლიანდეს, თუ არა – მეტყველების ყოვლად ნაჩვევ მოლოდინთაგან გაუცხოებით? სიტყვიერი ბლოკების მიჯრულობა ნელ-ნელა ლაგდება ნაგებობის მთლიანობად და – სულაც არა თითოეული ამ ბლოკის კონტურთა გამოკვეთის გარეშე. ეს კი ისე შორს მიდის, რომ არაერთის მიერ, როცა საქმე ერთობ თანამედროვე ლექსებს ეხება, მეტყველების საზრისის ერთიანობა – როგორც შეუსაბამო მოთხოვნა – ზოგჯერ საერთოდაც უარიყოფა. მე ვფიქრობ: უსამართლოდ. იქ, სადაც მეტყველება ჰგიეს, არც საზრისის ერთიანობა წყდება. მაგრამ ეს უკანასკნელი კომპლექსურად არის შემჭიდროებული. თითქმის ისე ჩანს, თითქოს სულაც არ იყოს საჭირო დასახელებით ამოძახებული "საგნების" მართლაც გათვალსაჩინოება, რადგან სიტყვათა თანმიმდევრობა უდავოდ არ ემორჩილება აზრთა თანმიმდევრობის ერთიანობასთან მიერთებას ან – განჭვრეტის ერთიანობასთან შელღობას. და მაინც, სწორედ *სიტყვათა* ველის დაძაბულობა, მათი ჟღერადობისა და სასაზრისო ენერგიების ურთიერთშემხვედრი და ურთიერთმონაცვლე ძაბვა ქმნიან მთლიანობას. რასაც სიტყვები გამოიხმობენ, განჭვრეტებია – დიახაც ერთად დახვავებადი, ერთურთს გადაჯვარებადი, ერთურთის მომხსნელი – მაგრამ განჭვრეტები. ლექსის არც ერთი სიტყვა იმას არ გულისხმობს, რასაც იუწყება. მაგრამ იგი, იმავდროულად, უკანვე უბრუნდება თავის თავს, რათა მეტყველების პროზისკენ და მისთვის ნიშნეული რიტორიკისკენ გასხლტომა იკრძალებოდეს. აი, ეს არის *poésie pure*-ის მოთხოვნა და უფლებამოსილება.

გასაგებია, რომ *poésie pure*-ის უკიდურესი შემთხვევა პოეტური მეტყველების სხვა ფორმების აღწერასაც შესაძლებელს

ხდის. აკი მოიპოვება აღმავალი თარგმნადობის მთელი შკალა, ლირიკული ლექსიდან ეპოსისა და ტრაგედიის გავლით – ხილვადობაში გადასვლის კერძო შემთხვევა, *μετάβασις εἰς ἄλλο γένος* – რომანსა და მომთხოვნ პროზას რომ გაუწვდება. აქ ყველგან არის არა მხოლოდ ზემოთ ხსენებული ენობრივი საშუალებები, რომლებსაც ნაწარმოების სტაბილურობა ეყრდნობა. ასევე არის რეციტაცია ან არის სცენა. ან არის მთხრობელი ან სულაც – ავტორი, რომელიც – ორატორის მსგავსად – წერით ლაპარაკობს. სწორედ ამიტომ არის ამ ფორმების შემთხვევაში თარგმნადობა, შესაბამისად, უკეთესი. მაგრამ თვით ლირიკულ ჟანრსაც მოეპოვება ფორმები, მაგალითად სიმღერა, რომელსაც გალობასთან გალობის სტილური საშუალებები – თუნდაც სტროფი და რეფრენი – აქვს საზიარო, ან – პოლიტიკურად ანგაჟირებული ლექსი, იმავე და აქ ნახსენებ სხვა რიტორიკულ ფორმებსაც რომ იყენებს. თუმცა, ენობრივი გამოვლენის ხასიათებიდან ამ შემთხვევებშიც განმსაზღვრელი რჩება *poésie pure*-ის განსაკუთრებული შემთხვევა – ისე ძლიერ, რომ სიმღერის ლირიკული გენოსი იშვიათად თანხმდება მუსიკის მედიუმში უწყვეტ გადატანას, და ყველაზე ნაკლებად – მაშინ, როცა ის თავად ყველაზე მეტად არის თვითკმარი. სიმღერას მაშინ აქვს, ჰოლდერლინის სიტყვებით რომ ვთქვათ, ზედმიწევნით თავისი "ტონი", როცა ის სხვა მელოდიად ტრანსპონირებას არ ისურვებდა. თვით "ანგაჟირებული" პოეზიისთვისაც ღირებულია იგივე საზომი. სწორედ რომ – მისთვის, რადგან ყოველივე კეთილგანაზრახი, მაგალითად, ომის ან რევოლუციურ პოეზიაში, მკაფიოდ გამოირჩევა იმისგან, რაც "ხელოვნებაა", და გამოირჩევა დიახაც სხვით არაფრით, თუ არა – ნაღვაწის ფორმის პოეტური სიმჭიდროვით, რომელიც უბრალო კეთილგანაზრახს უგანებს. მრავალ დროებათა მიმართ პოეზიის თანადროულობაც, დროით ინტერვალებს შორის მისი გაღწევაც, დროთა მსვლელობაში მისი უწყვეტი განახლება-უკუქცევაც ამას ემყარება. მისი თანადროული მნიშვნელადობების სრული გადაშენების მერე – ბერძნული ტრაგედიის შემთხვევაში საერთოდაც ყვე-

ლა მუსიკალურ-ქორეოგრაფიული თანხლების გაქრობის მიუხედავად – წმინდა ტექსტმა სიცოცხლე შეინარჩუნა, რადგან ის, როგორც ენობრივი გეშტალტი, განკერძოებით დგას.

მაგრამ რა საერთო აქვს ამ ყველაფერს ფილოსოფიასთან და – ლექსისა და აზრის ურთიერთსიახლოვესთან? რას ნიშნავს ენა ფილოსოფიაში? გონივრული ჩანს, უკიდურეს შემთხვევათა იგივე ფენოფენოლოგიური პრინციპის შუქზე, განხილვის საგნად ვაქციოთ დიალექტიკა, განსაკუთრებით – მისი ჰეგელისეული ფორმით. ცხადია, ახლა უკვე საქმე ეხება ყოველდღიური მეტყველებისგან დისტანცირების სრულიად სხვა ხერხს. მისი პროზა კი არ ქმნის იმის საფრთხეს, რომ ის ცნების ენაში შეიპაროს, არამედ – წინადადების ლოგიკა, რომელიც შეცდომაში შემყვანია – ჰეგელის სიტყვებით რომ გამოვთქვა: "წინადადების ფორმა უუნაროა სპეკულატიურ ჭეშმარიტებათა გამოსათქმელად."[1] რასაც ჰეგელი ამ გამონათქვამით აღწერს, სრულიად არ იფარგლება მისივე საკუთარი დიალექტიკური მეთოდის განსაკუთრებულობით. პირიქით, ის ამით გამოავლენს ყოველგვარი ფილოსოფოსობის – სულ მცირე, პლატონის "ლოგოი-სკენ მიბრუნების" დროიდან – საერთო პროცესს. ამ პროცესის ფარგლებში დიალექტიკის მისმიერი მეთოდი მხოლოდ თამაშის განსაკუთრებულ სახესხვაობას ქმნის. ყოველგვარი ფილოსოფოსობის საერთო წინაპირობა ის არის, რომ ფილოსოფიას, როგორც ასეთს, არ გააჩნია ენა, რომელიც მისი საკუთრივი დანიშნულების შესატყვისია. წინადადების ფორმა, პრედიკაციის – მოცემული სუბიექტისთვის პრედიკატის მიკუთვნების – ლოგიკური სტრუქტურა თუმცა კი გარდაუვალია, როგორც – ნებისმიერ მეტყველებაში, მაგრამ ის შემაცდენელ წინაპირობას დაადგენს, თითქოს ფილოსოფიის საგანი ისევე იყოს მოცემული და ცნობილი, როგორც – დაკვირვებადი ნივთები და მიმდინარე მოვლენები სამყაროში. არადა, ფილოსოფია მხოლოდ და მხოლოდ ცნების მედიუმში მოძრაობს, "იდეებში, იდეების გავლით, იდეების მიმართულებით" (პლატონი)[2].

ცნებათა ურთიერთმიმართება აიხსნება არა "გარეშე" რეფლექსიით, რომელიც სუბიექტის ცნებას გარედან, ე. ი. მავანის მიერ არჩეული ამა თუ იმ თვალსაზრისის შუქზე, ჭვრეტს. ჰეგელმა ამ "გარეშე რეფლექსიას" პირდაპირ უწოდა "აღქმის სოფისტიკურობა", სწორედ საგნის იმგვარი ჭვრეტის თვითნებურობის გამო, როცა სუბიექტის ამა თუ იმ თვისების პრედიკატირებით მისი გამოთქმა ხდება. ფილოსოფიის მედიუმი, პირიქით, სპეკულაციაა, ერთმანეთში აზრითი განსაზღვრებების არეკლვაა, რომელშიც და რომლის გავლითაც საგნის განაზრება თავის თავში მოძრაობს და არტიკულირდება. თავის თავში – ეს ნიშნავს: ცნებისთვის, იმ ტოტალურობასა და კონკრეტულობაში განაზრებად ნაგულისხმევი, რომლებიც სხვა არაფერია, თუ არა – ყოფიერება და გონი. პლატონის "პარმენიდეს" ჰეგელი იმიტომ მიიჩნევდა ანტიკური დიალექტიკის უდიდეს მხატვრულ ნაწარმოებად, რომ ამ ტექტსში პლატონი იდეების მთელს მოწყვეტილი, რომელიმე განკერძოებული იდეის განსაზღვრების შეუძლებლობას ამტკიცებდა, და ჰეგელი სწორად მიხვდა, რომ არისტოტელესეული განსაზღვრების ლოგიკაც, გამოცდილების ყოვლისმომცველი კლასიფიკაციის ინსტრუმენტი, ფილოსოფიური პრინციპების საკუთრივი განზომილებით არის ზღვარდებული. ეს პრინციპები პირველია(*ἀρχαί*), არა კლასიფიცირებადი, არამედ – მხოლოდ სხვაგვარი რეფლექსიისთვის მისაწვდომი, რომელსაც ის, პლატონის მსგავსად, "Nous"-ს უწოდებდა. "პირველი", უდიდესი, ტრანსცენდენტალური, ე. ი. ჟანრის შესატყვისად შემოსაზღვრადი ნებისმიერი დარგის გადამლახავი ეს აზრითი განსაზღვრებები – მთელი მათი მრავალფეროვნებით – ერთიანობას წარმოქმნიან. ჰეგელი მათ ერთი მხოლობითი აღმნიშვნელით სახელდებს: "კატეგორია". ისინი, ყველანი, არიან "აბსოლუტის დეფინიცია", და არა – საგანთა ან დარგთა დეფინიციები არისტოტელეს საკლასიფიკაციო ლოგიკის სტილში, რომლის მიხედვითაც საგნის არსი დარგობრივი ცნებით და სპეციფიკური განსხვავებით განისაზღვრება. ისინი არიან, სწორედ რომ "Horos"-ის სიტყვასიტყვითი აზრით, საზღვარი და დამსაზ-

ღვრელი. სწორედ გამიჯნვებია, ცნების ტოტალურობაში ერთურთს რომ დაეხსნებიან და მხოლოდ ყველანი ერთად რომ არიან ცნების ჭეშმარიტება. ასე რომ, მსგავსი დებულებები თავადვე აირეკლავენ თავიანთსავე დებულებად-ქცევის მოხსნას. ისინი იწოდებიან სპეკულატიურ დებულებებად, სარკულ დებულებებად, როგორც, ამის საპირისპიროდ, ჰერაკლიტეს აფორიზმები ამბობენ ერთს, ბრძნულს (*ἓν τὸ σοφόν*). ისინი აზრს მისსავე თვითობაში ინარჩუნებენ, ყველა გამონათქვამიდან მას უკანვე გამოიხმობენ, ისე, რომ იგი "თავის თავში" რეფლექტირდება. ამგვარად, ფილოსოფიის ენა თვისივე თავის მომხსნელი ენაა – არაფრისმთქმელი და, იმავდროულად, მთელის შესახებ მოლაპარაკე.

როგორც *poésie pure*-ის ენა, რომელიც ყოველივე პროზაულს – ან უკეთ: როტორიკულის ყველა ჩვეულ ფიგურას – უკან მოიტოვებს, საზღვრითი შემთხვევა და საზომია, ჰეგელის დიალექტიკაც ასევეა საზღვრითი შემთხვევა და, იმავდროულად, საზომი. თვით ჰეგელის მცდელობა, ეს საზღვარი აზრის დიალექტიკურად თვითგამაშუალებელი მუდმივი განსაზღვრების გზით კარტეზიანულ მეთოდიკაში მოეპოვებინა, მხოლოდღა მიახლოებად და, შესაძლოა, იმგვარადვე დასაზღვრულად რჩება, როგორც – ნებისმიერი ლექსის განმარტება. ყოველ შემთხვევაში, ჰეგელს სავსებით გაცნობიერებული ჰქონდა, რომ აზრის წმინდა მთლიანობა სრულად ვერსაწვდომ ამოცანად რჩება. იგი თავადვე ლაპარაკობდა თავისი ლოგიკის გაუმჯობესების შესაძლებლობაზე და ხშირად წარადგენდა ახალ დიალექტიკურ გამომდინარეობებს ადრეულთა სანაცვლოდ. აზრის კონტინუუმი, ნებისმიერი კონტინუუმის მსგავსად, უსასრულოდ გაყოფადია. და როგორ არის საქმე პოეზიაში? აქ დაუძლეველი ამოცანა მხოლოდ ლექსის ინტერპრეტაციული ამოწურვა როდია – *poésie pure*-ის იდეა თვით პოეტური თხზვისთვის რჩება ბოლომდე დაუძლეველ ამოცანად. ეს ეხება, ბოლოს და ბოლოს, ნებისმიერ ლექსს. ჩანს, *poésie pure*-ის შემქმნელმა, მალარმემ, უწყოდა ეს შესაბამისობა. ყოველ შემთხ-

ვევაში, ჩვენთვის ცნობილია, რომ მან წლები მიუძღვნა ჰეგელის ინტენსიურ შესწავლას, და ეს იყო მისი პოეზიის უმდიდრესი ქმნილებები, რომლებშიც ის არარასთან შეხვედრასაც და აბსოლუტის ხმობასაც სიტყვებად აქცევს. თავის მიმძღვნელი, თავის გამომტაცები? ჩანს, პოეტებისთვისაც და ფილოსოფოსებისთვისაც, პლატონიდან ჰაიდეგერამდე, ენის საიდუმლოში აღმოჩენისა და აღკვეთის ერთი და იგივე დიალექტიკა მბრძანებლობს.

საუბრის ორივე ხერხი, პოეტურიც და ფილოსოფიურიც, ამიტომაც მორჩილებს ერთ წესს. მათ არ შეუძლიათ, იყონ "ყალბი", რადგან მათ მიღმა არ მოიპოვება საზომი, რომლით მათი გაზომვაც, რომელთან მათი შესაბამებაც იქნებოდა შესაძლებელი. და მაინც, თუ ისინი რაღაც არ არიან, სწორედ – თვითნებური. ისინი არიან განსაკუთრებული სახის რისკი – მათ, შესაძლებელია, საკუთარი თავი დაკარგონ. ეს, ორივე შემთხვევაში, ისე კი არ ხდება, თითქოს საგნებთან შესაბამისობა არ მოიძევება, არამედ – ისე, რომ სიტყვა "ცარიელდება". პოეზიის შემთხვევაში ეს იმას ნიშნავს, რომ სიტყვა, იმის ნაცვლად, რომ ჟღერდეს, "გაიჟღერებს", გნებავთ როგორც სხვა ლექსი, გნებავთ როგორც ყოველდღიური ცხოვრების რიტორიკა. ფილოსოფიის შემთხვევაში ეს იმას ნიშნავს, რომ ფილოსოფიური მეტყველება შიშველი არგუმენტირების ფორმალობაში ჩარჩება ან ცარიელ სოფისტიკურობამდე დაეცემა.

ენის დაკნინების ორივე ფორმის შემთხვევაში – ლექსის, ლექსი რომ არ არის, რადგან მას "საკუთარი" ტონი არ გააჩნია, და აზროვნების ცარიელი ფორმულის, საქმეზე რომ არ გადადის – სიტყვა საკუთარ თავს კარგავს. სადაც ის სრულდება, მაშასადამე, სადაც ის ენა ხდება, ჩვენ ის სიტყვაზე უნდა დავიჭიროთ.

1977

ჩემი ენა და მე

ჩემი ენა ისაა, უცხო სიტყვებისკენ რომ იხრება. მე მათ ჩემთვის მოვიძიებ, მე ისინი შორიდან მომაქვს. მაგრამ ის მცირედი ენაა. მისი შესაძლებლობები შეზღუდულია. ირგვლივ ჰგიებს, ჩემს ირგვლივ, ყოველთვის ჩემს ირგვლივ და ასე შემდეგ. ჩვენ ჩვენივე ნების საპირისპიროდ ვმოქმედებთ. ზოგჯერ ვეუბნები, ჯოჯოხეთისკენ სავალი გზაა ჩვენთან ერთად მეთქი. შემობრუნდება, არ მპასუხობს, მას ნებავს მოვხდეთ. ზოგჯერ მებაჟეები ჩნდებიან. თქვენი პასპორტები? ჩვენ ვხდებით, ისინი გვახდენენ. ჩემს ენას არაფერი უთქვამს, მაგრამ სამაგიეროდ მე, მე დავუქნიე თავი შემართებით, მე გავახარე ისინი. მავანი და რაღაც მის ირგვლივ, ეჭვმიუტანელი. მაგრამ ეს რა იყო? სპირალური ზამბარა. არა, ორთქლი. თითოეულის ირგვლივ რაღაც არის, შენ ეს არ იცი? საბრალო ყმაწვილები, მე ისინი გულწრფელად მებრალება. დიახ, გულწრფელად. ახლა კი ბოდავ. რისთვის გებრალებიან ისინი? მაინც რისთვის გებრალებიან? ნორჩი და მეტიც არაფერი, აქ რამ უნდა აღუძრას ვინმეს სიბრალული? ეს განდიდდება, ეს გარდუვალია. განმტკიცდება და მძლავრი შეიქნება. მაშინ, როცა ჩვენ მელანში ვრჩები1თ, თავს ვიტანჯავთ, უფრო და უფრო მეტად ვიტანჯავთ და ამ დროს მხიარულთ ვთამაშობთ. და ამ დროს მხიარულებას ვკარგავთ. მართლა. წინ არის ის, ამას რომ ამბობს? მე. ეს კი მაცინებს. მე ეს მიწყივ იმას მაგონებს, ვინც მე-ს ამბობდა, როცა გვიან შინ წასვლა სურდა. მე გარეთ ვარ, მე, მე. მე ეს სწორედ იმას მაგონ-ებს, ოღონდ რა ხელობის იყო? მგონი, სახლის მნე, ჰო, სახლის მნე იყო. გშია? მე მშია. მაგრამ მე როგორღაც თითოეულ

შიმშილს გამოვტოვებ ხოლმე. ჯერ ერთს, მერე ორს, მერე სამს. მაგრამ მერე კვების დრო მოდის, ამას მე გეუბნები. ამ დროს კი არაფერი მოაკლდება, ამ დროს ყველაფერი მაგიდაზე მოაქვს, ჩემამდე. ჰოდა, ფუსფუსებენ, ჩემს ირგვლივ ბრუნავენ, ჰოდა, მეც ვიგემებ. ძილმორეული? თუ ასეა, დაიძინე, დაიძინე რაღა. შენს ნაცვლად მე მივხედავ.

ჰოდა, ვზივარ მერე ჩემს ენასთან ერთად, სამი მეტრის მანძილზე იმათგან, ასე რომ უბნობენ. მაგრამ ჩვენ ვიმარჯვეთ, ჩვენ მოვხდით, ჩვენ შეგვიძლია დავეშვათ, როცა ავქოშინდებით. ცარიელი ადგილები თავზე საყრელია, ზედაც გადასაფარებელი, მზე ყველგან ანათებს. ჩემი ენა და მე, ჩვენ ერთურთს არ ველაპარაკებით, ჩვენ ერთურთისთვის არაფერი გვაქვს სათქმელი. მე ვიცი, რისი ცოდნაც მმართებს, ჩემს ენას ცივი სამზარეულო უფრო ეამება, ვიდრე თბილი, ყავაც კი არ უნდა ცხელი. ეს მავანს მართლაც უჩენს საზრუნავს. საკმარისად აქვთ ამ დროს გასარჯელი, გასაშლელი, დასაჭრელი, სიცივე გასაზომი, სითბო გასაცივებელი. როცა ენა ზღვას უმზერს დაჟინებით. ჩემს ენას ეიოლება დაჟინებული მზერა, რადგან ყველაფერს მე ვიქმ. მე არ ვჩქარობ ისე, როგორც თავიდან, მშვიდად მიმოვასწორებ გადასაფარებელს, მშვიდად ვაწყობ მასზე ქვებს, ქარი როცა ქრის, მაგრამ ეს მართალია: მე ვმუშაობ, ის კი დაჟინებით უმზერს. სურვილების გამჟღავნებასაც კი უარობს. ეს არ იქნებოდა უარესი, რაც შეიძლებოდა მისგან მოეთხოვათ, მაგრამ ესეც ხომ რაღაც იქნებოდა. კარგი საქმე, ჩემს სასიკეთოდ მისი გარჯა, ჩემი ერთგვარი წინწაწევა. მაგრამ საამისოდ არაფერი უბიძგებს, სულ არაფერი, მე ამაში უკვე დავრწმუნდი. ის, ჩემი ენა, მხოლოდ დაჟინებით უმზერს ან მოქცევის ხმებს აყურადებს. ჩვენ მუდამ ზღვის სიახლოვეს ვართ, ამაზე მე ვზრუნავ. მე, არა ის. მინდა ვიცოდე, რა დაემართებოდა, ერთხელაც ნაპირიდან ხმელეთის სიღრმისკენ რომ ამეღო გეზი, უბრალოდ გავტრიალებულიყავი, სხვებივით, ღარტაფებს შორის ჩვენთვის ქვის მაგიდა მეძებნა, გაშალაშინებული ფიჭვები. როგორ მოიქცეოდა, წამომყვებოდა კი? ზღვაური ვნებს

ჩემს ყურებს, მე ეს ვიცი. ზოგჯერ სიმღერას ან ჭურჭლეულით კაკუნს წამოვიწყებ, სიჩუმე დაივანებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ჩვენს სამზარეულოში ჭურჭელს მწირად მოვიხმართ, მე ისინი გამომაქვს, თეფშებიც და ჭიქებიც. ვიღებ დანას და თეფშზე ფრთხილად ვაგდებ, ყოველთვის ერთი და იგივე სიმაღლიდან. ხუთი კვირით სიჩუმე ივანებს. ცოტა ხნის წინ ერთხელ ვცადე და თეფშზე დანა ცოტათი უფრო მაღლიდან დავაგდე. დანა ხმამაღლა დაეცა, მე ეს მკაფიოდ გავიგონე, მაგრამ თეფში გატყდა. ჩემი ენა სიმშვიდეს ინარჩუნებდა, ზღვაზე, სავარაუდოდ ერთსა და იმავე ადგილზე, ხედვამიჯაჭვული. მეჩვენება, რომ ეს ადგილი საპირისპიროა გარკვეული სურათებისა, რომელთა ხედები მავანს ყველგან თან სდევს. მისი იერი არავის აედევნება. ზღვის ურჩხულები და თევზსაჭერი კატარღები მას თანაბრად დაეკარგებოდნენ, მაგრამ ისინი არც ჩნდებიან. მერე მე ჩვენს ცივ ტრაპეზს ვშლი, ვასხამ ცივ ყავას, მაგრამ ამაოდ. ჩვენი გადასაფარებელი რუდუნებით გადავაფარე, ხშირად სანაპიროს ყვავილიც კი მომითავსებია სუფრის შუაგულში, ან მისი სერვიზის გვერდით. ის არ შემობრუნდება. ვიღებ მის სერვიზს და მის წინაშე ვდგამ, მასსა და ტალღათა ქაფს შორის. ჩემი სიხარული გაქრა, მიყურადების მცდელობამ გაბედულება დამიკარგა, ზღვა მაბრაზებს. ჩემს ენას ადრე ლურჯი შარფი ჰქონდა, მაგრამ აღარ აქვს. ვშიშობ, რომ ჩვენ აქ ჩვენივე ჯანმრთელობას ვავნებთ. ჩემმა ენამ ხმა თუ დაკარგა, მაშინ მას ერთი მიზეზით მეტი ექნება, რომ ჩემთან ლაპარაკად ყოფნას დაყაბულდეს. და ეს მაშინ, როცა მე მას ჯერაც ჩურჩულით და ხველებით ვუხვავებ შეკითხვებს და შეთავაზებებს. ლურჯი შარფი უხდებოდა, მეტისმეტად გრძელ ყელს უფარავდა და მის გამოუთქმელ გარეგნობას ერთდროულად რიდს და სიმტკიცეს ანიჭებდა. ეს ყველაფერი გარდასულია. ის არც საყელოს ისწორებს. ის, როგორიც ამჯერად არის, ზოგჯერ მაგონებს ზრდასრულ გედს, მაგრამ ფერად ისეთ მქრქალს, თითქოს ზრდა ჯერ არ დაესრულებინოს. ის თვითგანდიდებამ არ უნდა შეიპყროს. შორიდან მებაჟეთა ხმები მწვდება. ისინი ლაპარაკობენ და ლაპარაკობენ,

სულ მცირე, ერთი იმათგანი ლაპარაკობს გაუთავებლად. ჩემი იდეა არ ყოფილა, საბაჟო პუნქტთან ასე ახლოს დავმკვიდრებულიყავით, მაგრამ ჩემი ენა უფრო შორს წასვლაზე ვერ დავიყოლიე. მეოთხე ქვეყანა გაილია, ჩავძახე ყურში, იქ, გადაღმა უკვე მეხუთეა. უხალისოდ გამომყვა, მაგრამ მხოლოდ აქამდე. ჩვენ ასეთივე წარმატებით შეგვეძლო, მებაჟეები ვყოფილიყავით. იმათგან მხოლოდ ერთი ლაპარაკობს კვლავაც უწყვეტად, საჭმელზე და ახალგაზრდობაზე, მეორეს სძინავს. ან სარკმელში დაჟინებით გვიმზერს გამოლმა, როგორც ახლა. აქამდე, როცა მე პირადობის მოწმობებს ვეძებდი, მას ეძინა. ჩემს ენას მე მათ ვერ ვანდობ მას მერე, რაც მან შარფი დაკარგა, მათ მე ვინახავ.

იმათ იქ, გაღმა, მოიწყინეს. ან ჩვენ მათთვის საეჭვონი ვართ. მათთვის ჩემი ენაა საეჭვო, მე არა. მე ნორმალური ვარ, ვჭამ და ვსვამ, და როცა თეფშზე დანას ვაგდებ, ამ სიშორიდან ეს არ ჰგავს მიყურადების მცდელობას, ეს უგერგილობად გამოსჩანს და უფლება აქვს, ასე გამოსჩანდეს. მაგრამ აქ ჩვენი ყოფნა რომ გახანგრძლივდეს, ეს უგერგილობად აღარ გამოჩნდება, არამედ განზრახვად. ჩემი ენა რომ ჩემთან ენობდეს, მიყურადების ამგვარ მცდელობას არ მივმართავდი, მაგრამ ის მხოლოდ მცირედს იქმს საიმისოდ, რომ ეჭვშეუტანლებად მივაჩნდეთ. სულ მცირე, მე მაინც, მისთვის მე უფრო მნიშვნელოვანი უნდა ვყოფილიყავი, დიდი ხნის წინვე. ვეჭვობ, ის მხოლოდ თავის თავს ანიჭებს მნიშვნელობას. ან თავის თავსაც კი არა. ან ორივეს, გარემოებათა კარნახით. იმას, რაც მე მას მოვუმზადე, არც კი შეხებია, ტალღათა შხეფებს ამარილებინებს. ყველას მისებრ სურს. მე ასე მიმაჩნია. მე შემიძლია სხვებიც ჩემებად მივიჩნიო. მე შემიძლია საბაჟოს მზარეული გავხდე, საბაჟოს პროპაგანდისტი, მებაჟე. იმ გაღმელი ორიდან არც ერთი არ დატოვებს იმას, რასაც მე მათ მოვუმზადებ. ჩვენ ბაჟის შესახებ ვილაპარაკებთ, საბაჟო ტვირთზე, ვერცხლზე და ტყვიაზე და მსგავს თემებზე. ბანქოს თამაშებზე, მე ბანქოს თამაშებიც ვიცი. და ჩემს ენაზე, რომელიც, ვფიქრობ, აქედან უკვე აღარსად წავა. მის დამარილებულ ტრაპეზზე, მის ქუფრ იერზე.

მასზე გარჯას როგორც შევძლებ, ისე გავირჯები. ოდენ ლაპარაკიც კი დაეხმარება, მასზე ლაპარაკი, დაკვირვებები, რომლებიც მეორდებიან. დროთა განმავლობაში მისგან აღარაფერი ენდომებათ. და მე ამაში ჩემს წვლილს შევიტან. აქა-იქ თითო წინადადებას ჩავურთავ, რაც მას ეჭვშეუტანლად აქცევს.

1968

ანსელმ კიფერი

"მე რეალობას ვეძებ..."

ანსელმ კიფერთან ინტერვიუს უძღვება ხელოვნების ისტორიკოსი ფრანცისკა ლოითჰოისერი

ფრანცისკა ლოითჰოისერი: *თქვენი სტუდენტობა ფრაიბურგში დაიწყო. ზუსტად როდის განაგრძეთ სწავლა კარლსრუეს აკადემიაში?*

ანსელმ კიფერი: ხელოვნების შესწავლას ფრაიბურგში 1966 წელს შევუდექი. იქ პეტერ დრეერის[1] კლასში ვირიცხებოდი. მოგვიანებით კარლსრუეში გადავედი, მაგრამ ისევ პეტერ დრეერის მეთვალყურეობის ქვეშ ვიყავი. კარლსრუეში, იმავდროულად, ჰორსტ ანტესის კლასში ვიყავი.

და ამ დროს კარლსრუეში ცხოვრობდით?

დიახ, იქ გადავსახლდი. მაშინ ამისთვის სატვირთო მანქანა დამჭირდა. ჩემი ტილოები საკმაოდ დიდი ზომის იყო, ამიტომაც დამჭირდა ნამდვილი სატვირთო მანქანა, ფრაიბურგიის აკადემიიდან კარლსრუეში რომ გადავსახლებულიყავი.

თქვენ ჯერ სამართალმცოდნეობას სწავლობდით და სულ არ ფიქრობდით ხელოვნების შესწავლას?

არა, ასე არ იყო. მხატვარი რომ ვიყავი, ადრევე ვიცოდი. მე ვფიქრობდი – და ასეთი ფიქრი ხომ ყოველთვის სანახევროდ სწორი და სანახევროდ მცდარია –, რომ მხატვრებად იბადებიან და ამიტომ ხელოვნების აკადემია არ მჭირდებოდა.

მაშინ რისთვისღა დაგჭირდათ აკადემია?

მივხვდი, რომ კოლეგების, კრიტიკის, ვიზავის გარეშე არაფერი გამოვიდოდა.

რატომ არ მიაშურეთ პირდაპირ დიუსელდორფის აკადემიას?

მე პაულ კლეეთი და ვილი ბაუმაისტერით შთაგონებული ვიზრდებოდი. ბოისის შესახებ პირველად კარლსრუეში გავიგე.

რა გაიგეთ იქ ბოისზე?

გავიგე, რომ იქ იყო ერთი მნიშვნელოვანი ხელოვანი, რომელიც აქციებს აკეთებდა.

მე ვფიქრობ, ჰორსტ ანტესთან ხატავდნენ, არა? თქვენ კი ერთი ხანობა ამ მოწოდებასაც ახმოვანებდით: შეეშვით ხატვას.

დიახ, ეს კარლსრუეში იყო, მოგვიანებით.

რა იყო თქვენთვის მაშინ ხელოვნება?

ჩემთვის ხელოვნება იყო იმპრესიონიზმი, ექსპრესიონიზმი, "ლურჯი მხედარი" და "ხიდი". ეს იყო ჩემთვის ხელოვნება.

და ამიტომ სწავლობდით ხელოვნებას?

მე ხომ ყოველთვის მინდოდა, რომ ხელოვანი გავმხდარიყავი. ექსპრესიონიზმის გამო იყო ეს თუ – "ლურჯი მხედრის" გამო, ამის თქმა შეუძლებელია. არა, მე მსურდა, ხელოვანი ვყოფილიყავი. მსურდა, მხატვარი ვყოფილიყავი. ჩემთვის ეს იყო სრულიად ნათელი.

როდიდან გსურდათ, რომ მხატვარი ყოფილიყავით? თქვენი პირველი აქციები ხომ, მაგალითად "ოკუპაციები",[2] მხატვრობა არ იყო.

არა, ეს აქციები მაშინ გავაკეთე, როცა ბოისის შესახებ ჯერაც არაფერი ვიცოდი. ჩემთვის ერთბაშად დაკარგა მნიშვნელობა, ხელოვნების რაიმე ფორმაში ეწერებოდა თუ არა ის, რითაც მე ვიყავი შეპყრობილი და რისი გამოთქმაც მსურდა.

როგორ წარმოგედგინათ მაშინ ხელოვანი? რა გხიბლავდათ მასში?

მიჭირს ამის თქმა. ბავშვი ამას მკაფიოდ ვერასდროს წარმოიდგენს. ჩემთვის აშკარა იყო, რომ მსურდა სადმე ვყოფილიყავი, ისეთ წრეში ან ისეთ კონტექსტში, წინასწარგანსაზღვრული რომ არ იქნებოდა. მსურდა, თავი დამეხსნა ჩემი წვრილბურჟუაზიული, ვიწრო, ავტორიტარული წარმომავლობისგან – მამაჩემი ოფიცერი იყო. კლასთა და საზოგადოებრივ კონვენციათა მიღმა დგომა მსურდა.

და ამან გაამართლა? შეგვიძლია თუ არა ახლა ამ ტიპს "ღარიბი პოეტი" ან "განზემდგომი ტიპი" ვუწოდოთ, ვიღაც, ვისაც საზოგადოებაში, უბრალოდ, სხვა ფუნქცია აქვს ან სხვა ადგილი უკავია?

ბავშვობაში ეს ასე რადიკალურად არ ჩამომიყალიბებია. მე მხოლოდ ის მსურდა, რომ ჩემი კლასის წარმომადგენელი არ ვყოფილიყავი. მე ხომ წვრილბურჟუაზიულად გავიზარდე. და ამის გამო თავიდანვე მრცხვენოდა.

კარლსრუეს აკადემიაში, ალბათ, ყველაფერი ჯერაც საკმაოდ ტრადიციულად გრძელდებოდა, არა? დიუსელდორფში ბოისთან გადასვლით თავდახსნის შესაძლებლობას ხედავდით?

ბოისი მაშინ უკვე ლეგენდა იყო.

და თქვენ მას დაურეკეთ და უთხარით...

... "მე მსურს, თქვენი მოსწავლე ვიყო. როდის არის შესაძლებელი, ჩემი ნამუშევრები გაჩვენოთ?" – "ეს სულაც არ არის საჭირო. მე ყველას ვღებულობ." რა თქმა უნდა, იმედგაცრუებული დავრჩი, რაკი ყველას ღებულობდა.

ასე გიპასუხათ?

დიახ. ეს ხომ მისი პრინციპი იყო. ბოლოს მას 600 თუ 700 სტუდენტი ჰყავდა.

როდის გაემგზავრეთ პირველად ბოისთან დიუსელდორფში?

1971-ში. ამ დროს უკვე მქონდა რაღაც-რაღაცები გაკეთებული, სხვადასხვა აქცია, და ეს ყველაფერი ვაჩვენე.

"ოკუპაციებზეც" ილაპარაკეთ?

დიახ, რა თქმა უნდა. ეს ხომ მაშინ ჩემი მთავარი ნამუშევარი იყო. ბოისი პირველი იყო, რომელსაც პროფესიული რეაქცია ჰქონდა. მას ის მორალისტურად სრულიად არ შეუფასებია, მხოლოდ ეს თქვა: "კარგი აქციაა". ეს იყო აქციის, როგორც ხელოვნების ნაწარმოების, პროფესიული შეფასება. ამის მერე კი ვუთხარი: "იცი, იქ, კარლსრუეში პრობლემები მაქვს, ისინი ფიქრობენ, რომ ნეოფაშისტი ვარ." – "შენ – ნეოფაშისტი? იმის გამო, რომ გერმანულ მისალმებას გამოსახავ? ასე არაკორექტულად. ფაშისტი რომ ყოფილიყავი, ასე ხომ ვერ დადგებოდი, ეს შეუძლებელია." მე მაშინ, ბოისთან შეხვედრამდე, "ოკუპაციები" ღიად პირველად წარვუდგინე კარლსრუეს ხელოვნების აკადემიის საგამოცდო კომისიას.

და პეტერ დრეერი და ჰორსტ ანტესიც ამ კომისიაში იყვნენ?

დრეერს ნამუშევრები უნდა დაეცვა. ბევრი ვიკამათეთ მორალზე და – იმაზე, რომ მორალს ხელოვნებასთან არაფერი უნდა ჰქონდეს საერთო და ასე შემდეგ. მე მაშინ ჟან ჟენეს ყველა წიგნი წაკითხული მქონდა და კარგი არგუმენტები გამაჩნდა. მერე პეტერ დრეერმა ჩემი ნამუშევრები სენატს წარუდგინა და დაიცვა, მხარი დაუჭირა. მე ხომ ბევრი სხვა აქცია მქონდა გაკეთებული. სხვადასხვა ხელოვანს ხატვა ავუკრძალე, ჰაიდელბერგი დავტბორე[3] და ასე შემდეგ.

"ჰაიდელბერგის დატბორვა" ნამდვილი აქციიდან იდეის თეორიული მანიფესტაციისკენ გადადგმული ნაბიჯი იყო.

ეს არ იყო ექსპერიმენტი, ეს უკვე დასრულებული ქმედება იყო. ექსპერიმენტი აღარ ჰქვია იმას, ჰაიდელბერგს რომ ტბორავენ.

კი, მაგრამ თქვენ ხომ ეს არ ჩაგიდენიათ.

ჩავიდინე.

დიახ, თქვენს სურათებში.

დიახ, ჩემს წიგნში. ყოვლად უეჭველი იყო, რომ ეს ხდებოდა. მე ეჭვიც კი არ შემპარვია იმაში, რომ ჰაიდელბერგის დატბორვა კარგი რამ არის.

განა არ წერთ თქვენს წიგნში, რომ გამოკვლეულ უნდა იქნას, საკმარისია მხოლოდ სურათებში ჰაიდელბერგის დატბორვა თუ მართლაც უნდა დაიტბოროს იგი?[4] განსხვავება ხომ აშკარაა!

დიახ, ეს მართალია. ჩემს დღიურში ამ თეორიული ჩანაწერების საფუძველზე ჩემი აქციის ყოველმხრივი გაშუქება მსურდა. მე მას ისე ვუვლიდი ირგვლივ, როგორც – ქანდაკებას.

და ამგვარი რამ, ხელოვნებას შესდგომოდით თუ მის გარშემო გევლოთ, აკადემიაში თქვენმა მასწავლებლებმა გასწავლეს?

როცა რაღაც ახალს აკეთებ, ამას მასწავლებელთან უკვე აღარაფერი აქვს საერთო. კარგმა მასწავლებელმა – პეტერ დრეერი კი ერთობ კარგი მასწავლებელი იყო – მოსწავლეს უნდა მოუწოდოს, რომ მას აღემატოს.

მოგვიანებით დიუსელდორფში ბოისი თქვენი ის თანამოსაუბრე იყო, ვისთანაც, როგორც ტოლთან და სწორთან, საუბარი შეგეძლოთ?

მე მაშინვე ვიგრძენი, რომ შემეძლო ბოისთან ჩვეულებრივად მელაპარაკა. და რომ მისთვის არაფრის ახსნა არ იყო საჭირო. სურათი იქნებოდა თუ სხვა რამ, უბრალოდ, უნდა ჩამომეკიდა კედელზე, და უკვე კარგი იქნებოდა. მეტი არაფრის კეთება არ იყო საჭირო.

მისი ნამუშევრებიც მაშინვე გაიგეთ?

ბოისის გამოფენა პირველად დიუსელდორფის ხელოვნების მუზეუმში ვნახე. ეს 1969 წელს იყო.[5] გაოგნებული დავრჩი. ეს ჩემთვის გასხივოსნებაც იყო და – ხელახალი აღმოჩენაც.

თუ გახსოვთ, ყველაზე მეტად რამ მოახდინა მაშინ თქვენზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება?

დიახ, ეს იყო ვიტრინები, ვიტრინებში კი განთავსებული იყო კომიკური ნივთები. ეს დამუხტული ობიექტები იყო.

გამოფენაზე თქვენ მას პირადადაც შეხვდით?

ჩემს ცხოვრებაში მას მხოლოდ ოთხჯერ თუ ხუთჯერ შევხვდი. მე ხომ მის კლასში არ ვიყავი. ოფიციალურად შევხვედრივარ,

მაგრამ არა – პრაქტიკულად. მე მაშინ გერმანელი ხალხის სასწავლო ფონდის სტიპენდია მქონდა მიღებული და ამიტომ სადმე უნდა ჩავწერილიყავი, წინააღმდეგ შემთხვევაში ამ სტიპენდიას დავკარგავდი. ჰოდა, მეც დიუსელდორფის აკადემიაში ჩავეწერე, ბოისმა კი ხელი მომიწერა.

ასეთი შემთხვევების დროს თქვენს ნამუშევრებს თუ უჩვენებდით ხოლმე?

როგორც უკვე გითხარით, პირველად "ოკუპაციები" ვაჩვენე. ეს აქცია ძალიან მოეწონა, ასევე – ხატვის აკრძალვის ბრძანება. მერე იყო, ეს "სხვენის სურათები"[6] რომ გავაკეთე. ეს ნამუშევრებიც ძალიან მოეწონა. მე მას ამ ყველაფერს ყოველთვის მხოლოდ ვაჩვენებდი, სულ ეს იყო.

მერე კი ისევ ოდენვალდში გაემგზავრეთ და მუშაობა განაგრძეთ?

დიახ, ჩემი სურათები ისევ დავგრაგნე და დიუსელდორფი დავტოვე.

გყავდათ თუ არა კოლეგები, რომლებსაც აზრებს უცვლიდით?

არა, სხვათა შორის, არავისთან ვლაპარაკობდი. მხოლოდ მივემგზავრებოდი, შეიძლება ღამეც დავრჩენილვარ, უკვე აღარ მახსოვს, და მერე "ხოჭოთი" უკანვე ვბრუნდებოდი.

არც დისკურსი გჭირდებოდათ და არც – აღიარება?

როგორ გითხრათ! აკი ერთიც და მეორეც პირველი შეხვედრისთანავე მოვიპოვე, როცა "ოკუპაციები" ვაჩვენე; სრულიად ნათელი იყო, რომ მოვიპოვე, მან ხომ ზუსტად დაინახა. ამის მერე კი, რა თქმა უნდა, სასიხარულო იყო, "სხვენის სურათები"

რომ დავხატე და ვაჩვენე და ეს ნამუშევრებიც ძალიან მოეწონა. ხელოვანს აღიარება სჭირდება! მე ეს ჩემზე უფროსი კოლეგების შემთხვევაში გამოვცადე, ზოგჯერ გზებს მცდარი მიმართულებით მივყავართ. ამიტომ არის აუცილებელი ყოველთვის ვინმესთან დიალოგი.

პირველი გამოფენა კარლსრუეში, კაი ზერპლაც ზე მდებარე გალერეაში გქონდათ.[7]

ეს იყო ერთი ხანდაზმული მხატვარი, რომელიც ხანდაზმულ ქალბატონებს ფერწერაში ამეცადინებდა და გალერეაც ჰქონდა. ჰელმუტ რემე ერქვა. კარგად მახსოვს.

მას ეწვიეთ და ჰკითხეთ, თუ შეიძლებოდა, მისთვის თქვენი ნამუშევრები გეჩვენებინათ?

არა, ასე არ მოქცეულვარ. ჩემს ცხოვრებაში არასდროს მივიდოდი გალერისტთან და არასდროს ვკითხავდი: "შეიძლება, თქვენთან გამოვიფინო?" არა, მან თავად მკითხა. რა იყო, რომ ვაჩვენე? ჩემი წიგნები ვაჩვენე.[8]

მექმნება შთაბეჭდილება, რომ ერთობ განმარტოებით მუშაობდით და, გარკვეულწილად, ხელოვნების ინდუსტრიის მიღმა იდექით.

დიახ. დღესაც ვფიქრობ, რომ ხელოვანს ინდუსტრიისგან თავი შორს უნდა ეჭიროს.

"ინდუსტრიაში" ვგულისხმობ არა მხოლოდ გალერეებს და ბაზარს, არამედ – მთლიანად ინდუსტრიას, აკადემიებსაც და გამოფენებსაც.

არსებობს მიდრეკილებათა მრავალგვარობა. მე ყოველთვის, ასე ვთქვათ, უდაბნოში ვიყავი. სამხრეთ საფრანგეთშიც უდაბ-

ნოში ვიყავი.[9] სხვები მაინც და მაინც შუაგულში ტრიალებენ და, ამის მიუხედავად, მაინც კარგ ნამუშევრებს ქმნიან.

თქვენი პირველი კონტაქტები როგორ დაამყარეთ?

პირველი გამოფენა 1973 წელს მქონდა, კლაუს გალვიცის "14X14"-ის ფარგლებში.[10] ეს გამოფენების მოწყობის სრულიად ახალი სახეობა იყო. 14 ხელოვანი, თითოეული 14 დღის განმავლობაში, იფინებოდა ხელოვნების მუზეუმში. სწორედ მაშინ შეიძინა ბაზელიცმა ჩემი გამოფენის ყველა სურათი.

მართლა ყველა?

დიახ, ყველა.

თქვენ იქ ბაზელიცს პირადადაც პირველად შეხვდით?

არა, პირადად – არა. მე არავის ვიცნობდი. მან ნამუშევრები ოფიციალურად შეიძინა. მე ის პირადად მოგვიანებით გავიცანი. მაგრამ ფრიად გულუხვი იყო. არ დაუწყია იმაზე ფიქრი, რომ ჩემთან უნდა ევაჭრა, მეტიც, თანხას პროცენტებიც კი დაურთო ხელოვნების მუზეუმისთვის. ხელოვნების მუზეუმი 25 პროცენტს მოითხოვდა, და უნდა ითქვას, რომ მაშინ ის არც ისეთი მდიდარი იყო. ეს, ალბათ, სწორედ ის იყო, რასაც ის ბერლინში ყოველთვის ნატრობდა: რომ მასთან ვინმე მივიდოდა და ყველაფერს შეიძენდა.

ბაზელიცი და ლიუპერცი მოგვიანებით მიხაელ ვერნერმა გაგაცნოთ?

დიახ, ვერნერს ბოისმა ურჩია. არსებობს წერილი, რომელშიც ბოისი მწერს, რომ მან გალერისტ ვერნერს ყურადღება ჩემზე გაამახვილებინა. ეს წერილი დუისბურგში გამართული გამოფე-

ნის "იოზეფ ბოისი. ანსელმ კიფერი" კატალოგშია გამოქვეყნებული.[11] სხვათა შორის, ეს გამოფენა გერმანელმა მაყურებელმა, პირველ რიგში კი კრიტიკამ, საერთოდ ვერ შენიშნა.

ბოისის გარდა მაშინ დიუსელდორფში ბევრი სხვა ხელოვანიც იყო. მაგალითად – ზიგმარ პოლკე.

პოლკესაც შევხვდი ერთხელ, მაგრამ ეს ირიბი შეხვედრა უფრო იყო. ჰორსტ ანტესი ფიქრობდა მაშინ, რომ სხვებიც უნდა გამეცნო, და თავის მდივანთან ერთად დიუსელდორფში გამგზავნა. სტუმრად ვიყავი, პოლკე რომ გავიცანი და, მგონი, რიხტერიც.

თვალს ადევნებდით, რას აკეთებდნენ მაშინ ეს ხელოვანები?

მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ამდენი გამოფენა. მაგრამ როცა გამოფენა ეწყობოდა, ვათვალიერებდი.

გამოფენებს სტუმრობდით, მაგრამ არა – მაინც და მაინც გახსნის დღეს?

არა, ამას ისედაც არ ვაკეთებდი. მე იქ ჩართული არ ვიყავი.

და არც გინდოდათ ყოფილიყავით, არა?

არ გამოვიდა. ხელსაყრელი გარემოება არ შექმნილა. მე მაშინ ოდენვალდში ვცხოვრობდი, იქამდე კი შორი გზა იყო.

სურვილი რომ გქონოდათ, ოდენვალდიდან ჩამოსვლა შესაძლებელი იქნებოდა.

როგორც ჩანს, ამის მოთხოვნილება არ მქონდა.

"ოკუპაციები", სხვა ყველაფერთან ერთად, გერმანიის უახლეს ისტორიას იკვლევს. თქვენ ერთხელ ომისშემდგომი ეპოქის

შესახებ თქვით, ის ისტორიის ჩრდილი კი არა, ისტორიის გაგრძელებააო.[12]

დიახ, გაგრძელება იყო. ადენაუერის მრჩეველი, ჰანს გლობკე, რომელმაც სამოქალაქო კოდექსს ნაციონალსოციალისტური კომენტარი დაურთო[13] და რომელსაც ნაციონალსოციალისტების დროს მაღალი თანამდებობა ეკავა, ადენაუერმა შეინარჩუნა, რადგან მან თავისი საქმე კარგად იცოდა. როცა რევოლუციას ახდენენ და ყველას სანაგვეზე ყრიან, აღარაფერი გრძელდება. ელიტა ყოველთვის იგივეა.

ამას ასე ჯერ კიდევ მაშინ გაიაზრებდით?

მე მივხვდი, რომ რაღაც ხდებოდა, რაღაც საშინელი, რაღაც ერთობ უჩვეულო, რაც არ ჩანდა. ამას ვეძიებდი, და მერე ინფორმაციებიც მოვიპოვე. ეს ხომ 60-იანი წლების ჩათვლით გრძელდებოდა. ეს ყველაფერი ხომ გრძელდებოდა. ეს სპარსეთის შაჰის წინააღმდეგ დემონსტრაციებით დაიწყო.[14] ეს პოლიციელები და პოლიციის მაღალჩინოსნები ხომ ერთ დროს ნაციონალსოციალისტური რეჟიმის ნაწილი იყვნენ. ისინი არავის შეუცვლია, და იმის შესატყვისად იქცეოდნენ, რაც ნაციონალსოციალისტების დროს ისწავლეს. მათ დემონსტრანტები გალახეს და დაამწყვდიეს. წითელი არმიის ფრაქცია ხომ საერთოდაც სწორედ ამის შედეგად წარმოიშვა. სახელმწიფოს მიერ ძალის გადამეტების შედეგად. ჩვენ ამას "ძალის გადამეტებას" დღეს ვუწოდებთ, თორემ მაშინ სულაც არ ცნობიერდებოდა, ეს რომ ძალის გადამეტება იყო.

ამაზე ბაზონ ბროკსაც ვესაუბრე. ის ამბობს, რომ მაშინ, მოჩვენებითად დენაციფიცირებულ გერმანიაში, ბევრგან შეიმჩნეოდა ფაშისტური ტენდენციები, ხელოვნებაშიც, ანუ ხელოვნებით ინიღბებოდა. ის "დემოკრატიულად ლეგიტიმირებულ ფაშისტებზეც" ლაპარაკობს.

როცა ამბობ, სიკვდილ-სიცოცხლის მბრძანებელი ვარო, ეს, რა თქმა უნდა, ფაშისტურია. და მაშინ ნაწილობრივ ასეც იყო. ფაშიზმის ხანას ხომ 1945-ში არ დასმია წერტილი. 1945 წელი ქვეცნობიერად გრძელდებოდა. ამის ბევრი მაგალითი არსებობს, 1968 წელს კი ეს გამოაშკარავდა. გამოაშკარავდა, რომ ჯერ კიდევ არსებობდა სტრუქტურები, რომლებიც მარტო ავტორიტარული კი არა, ფაშისტურიც იყო.

მაგრამ ამის შესახებ თქვენს ნამუშევარში ხომ არაფერი გითქვამთ?

მაგალითად, ერთ "სხვენის სურათს" წავაწერე სახელები ენსსლინი, მაინჰოფი, რასპე და მაინსი. ახლა ეს სახელები გადაღებილია, მაგრამ სურათს კარგად თუ დააკვირდებით, სახელებს ახლაც ამოიკითხავთ. ეს მე მაწუხებდა. იმ დროს ეს შემდეგს ნიშნავდა: გერმანიის ციხეებში აწამებენ. ჩემს ერთ სურათზე ეს ასეც წერია. ასტრიდ პროლი პირველი იყო, ვინც იზოლაციურ საკანში აღმოჩნდა. მან თქვა, რომ მალე ჭკუიდან შეცდებოდა. მაინჰოფი მოგვიანებით იმავე საკანში აღმოჩნდა. ეს სისასტიკე იყო. "გერმანიის ციხეებში აწამებენ", ეს, რა თქმა უნდა, მედიალურად ძლიერ გაბუქებული იყო, მაგრამ მართლა ასე ხდებოდა. წამებაა, როცა ადამიანს ასეთ იზოლაციაში ამყოფებენ. იქ ჩქამიც არ აღწევდა, სულ არაფერი. ამ დროს ადამიანი ხომ ჭკუიდან იშლება. ჩემთვის ეს ყველაფერი ცნობილი გახდა. როცა ჰოლგერ მაინსი[15] გარდაიცვალა, ჰაიდელბერგში დემონსტრაცია გაიმართა, რომელშიც მეც ვმონაწილეობდი. მაგრამ არც ერთ ჯგუფს არ შევუერთდი.

თქვენ მაშინ გერმანული მისალმება იმიტომ შეასრულეთ, რომ თქვენი სხეულით გამოგეცადათ, ეს ჟესტი როგორ შეიგრძნობა?

ამაზე არ მიფიქრია. მე შევამჩნიე, რომ იქ იყო რაღაც, რაც ფარულად ბორგავდა. აი, ამ ჩემთვის დაფარულის გამოაშკარავება მსურდა.

რაღაც რომ დაამუშაოთ, გადაამუშაოთ და ხელოვნებად აქციოთ, ამისთვის დროითი ინტერვალი გესაჭიროებათ?

გააჩნია, მოცემული გაქვთ რაღაც, რაც უკვე გარკვეული დროის განმავლობაში არსებობს, რაც უკვე მომწიფდა, რაც საიდუმლოს ფლობს თუ პირდაპირი ჩარევაა აუცილებელი – ეს უკვე სულ სხვა რამ არის. მართალია, ყოველდღიურობის პოლიტიკა მაინტერესებდა, მაგრამ რაკი ეს სიბნელეში ხდებოდა, სწორი რეაგირების უნარს მოკლებული ვიყავი.

ეს საინტერესოა. ბოისს ხომ ორივე ჰქონდა. ის, ერთი მხრივ, თავისი ბიოგრაფიიდან ახალ მითებს ქმნიდა, მეორე მხრივ კი, პოლიტიკურად მართლაც აქტიური იყო.

მე ვიტყოდი, რომ ეს ორი სხვადასხვა რამ არის. მან მითოლოგია განავითარა. ეს ხომ რაღაც ისეთია, რაც მუდმივად ვითარდება. მეორე კი ყოველდღიურობის პოლიტიკა იყო. მას, უბრალოდ, ძალაუფლება სურდა, მას პოლიტიკური ძალაუფლება სურდა.

და თავის ხელოვნებაში მან ორივე ერთმანეთს დაუკავშირა.

დიახ, მაგრამ ეს იყო კავშირი, რომელიც არ ფუნქციონირებდა. მან ხომ, როგორც პოლიტიკოსმა, მარცხი განიცადა. ეს იმიტომ მოხდა, რომ ის მწვანეებს არ სურდათ. იმათ, მწვანეებს, ასეთი შეშლილი არ უნდოდათ, მათ ხელოვანი არ უნდოდათ. მე ბოისთან ხშირად მიკამათია მისი პირდაპირი დემოკრატიის თაობაზე. ეს ხომ, თავისთავად, ძალაუფლების მოსაპოვებელი საშუალება იყო. პირდაპირი დემოკრატია ყველაზე უარესია, რისი გაკეთებაც შეიძლება. ეს მყისიერი დაღუპვის საწინდარია. ყოველთვის ვეუბნებოდი, წადი აპენცელში, იმათ აქვთ პირდაპირი დემოკრატია-მეთქი, თუმცა კი მაშინ – ჯერაც უქალებო.

ყველა, ვისთანაც მისაუბრია და ვინც ბოისს პირადად შეხვედრია, ერთხმად აღნიშნავს, რომ ის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, თუ არა – საერთოდაც უმნიშვნელოვანესი, ფიგურა იყო 1945 წლის მერე გერმანული ხელოვნების განვითარებისთვის. ცხადია, უფრო ახალგაზრდა თაობისთვის, რომელიც მას არ მოსწრებია, მისი ნამუშევრების რეცეპცია სულ სხვაა.

ჩემთვის ასეთია კლასიკური სკულპტურები, ისინი ფლობენ ყველაფერს, რაც სკულპტურას უნდა გააჩნდეს. მას შეიძლება ირგვლივ უარო, ის გეტყვის ყველაფერს, ის სილამაზესაც ფლობს და ბევრ სხვა რამესაც. "თაფლის ტუმბო"[16] კლასიკური შემთხვევაა. თაფლი, რომელიც მთელ მუზეუმში მიედინება, ეს ხომ საოცრებაა. ეს ხომ მართლაც იშვიათი რამ არის?
მისი ნამუშევრების გამოფენის მოწყობა რთულია. მაგალითად, მიუნხენში, თანამედროვეობის პინაკოთეკაში, შეიძლებოდა მისი ქვების უკეთესად განთავსება. ან, ვთქვათ, მისი კოიოტების აქცია, რომელიც ნიუ-იორკში შედგა.[17] ქვემოთ განუწყვეტლივ პოლიციის მანქანა დადიოდა და სირენის ხმა ისმოდა. მე ეს არ მინახავს, მაგრამ წარმომიდგენია. კოიოტს ნიუ-იორკში დაუჯერებელი დატვირთვა აქვს. ბუნება, რომელიც კუნძულს უბრუნდება, მკვიდრი მოსახლეობა და, ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი რამ. ის ხელოვნურად კი არ არის დამუხტული, არამედ მას მნიშვნელობა აქვს.

ეს უდავოა. და მაინც, ჩემს თავს ვეკითხები: ბოისის პერსონასთან დისტანცირების კვალად, ხომ არ შემცირდება მისი ნამუშევრების მნიშვნელობა? რა ზომით იცვლება ეს მნიშვნელობა თაობაში, რომელიც ბოისს პირადად არ იცნობდა?

ზემოქმედება შეიცვლება, რადგან ხელოვნების ნაწარმოებები დროთა განმავლობაში იცვლებიან. მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი, ბოისს რომ წარმოებული არაფერი დაეტოვებინა, დღემდე ექნებოდა ზემოქმედება, ეს უშუალოდ მოხილვადიც რომ არ ყოფილიყო.

როგორც ჩანს, ბოისი სრულიად გამორჩეული ფიგურა იყო, არა?

დიახ, ეს სრულიად ნათელია.

არსებობდა თუ არა მეორე ხელოვანი, მეორე პოზიცია ბოისთან ერთად, რომელიც თავისი მნიშვნელობით ბოისს მიუახლოვდებოდა?

არა, ასეთი ვინ უნდა ყოფილიყო? ფლუქსუსი ხომ მრავალი ხელოვანისგან შემდგარი მოძრაობა იყო, იქ იყვნენ ართურ კიოპკე, ტომას შმიტი და ბევრი სხვა. ისინი არ შემორჩნენ, რადგან შედეგები არ არსებობს. ამის მიუხედავად, ისინი ძალიან მნიშვნელოვნები იყვნენ. ბოისის შემთხვევაში, პირიქით, შედეგები გვაქვს. მაშინაც კი, თუ ბოისის აქციების ამსახველ ფილმებს კიოპკეს და შმიტის გამოსვლებს შეადარებთ – ეს ფილმები სულ სხვაგვარად ზემოქმედებს.

როცა თქვენ "ზემოქმედებას" ახსენებთ, ამ დროს ხომ საქმე, ისევ და ისევ, პერსონას ეხება?

არა, აქ საქმე შედეგის ხასიათს ეხება. ფლუქსუსის აქტივისტები მაშინ ძალიან მნიშვნელოვანნი იყვნენ, ისინი მოქმედებდნენ, და მათ გარეშე ეს არ გამოვიდოდა. მაგრამ კიოპკეს ფოტოს ასეთი ზემოქმედება, უბრალოდ, არა აქვს. მაგრამ, აი, როცა ერთ ფოტოზე ბოისს თავზემოთ ჯვარი უჭირავს და სახეზე სისხლი დასდის, ეს უკვე შედეგია.

შემთხვევით არის გადაღებული, არა? ეს ფოტო ბოისს ხომ არ დაუგეგმავს.

პირიქით! ეს ყველაფერი მის მიერვე იყო შემუშავებული. ყველაფერი ორგანიზებული იყო.

ამ დროს თქვენც იქ იყავით?

არა, მაგრამ მე ეს ვიცი. როცა ჩვენ ტყეს ვგვიდით,[18] იმ ბატონს, ფოცხებით რომ მოგვამარაგა, გაბრიელე ჰენკელმა დაურეკა, რამეს ხომ ვერ მოიფიქრებდა ბოისის მხარდასაჭერად და ასე შემდეგ. ის კი ამის პასუხად, რატომღაც, ძალიან უარყოფითად განეწყო ბოისის მიმართ, რაც იგრძნო ბოისმა და ამის მერე მისი პროვიცირება დაიწყო და ეუბნებოდა: "აბა, დამარტყით, აბა, დამარტყით". ბოისს მართლა უნდოდა, რომ მას დაერტყა. აი, ამას ვუწოდებ "შედეგის და ნამუშევრის ხასიათს".

ბოისი პროვოცირებდა, რომ სხვები გამოეწვია თუ საკუთარი საზღვრები მოესინჯა?

ლამაზი სურათი რომ შეექმნა.

როგორ, სურათისთვის პროვოცირებდა?

რა თქმა უნდა, სურათისთვის! რა თქმა უნდა! ის ხომ მხატვარი იყო! ეს ერთმნიშვნელოვანია. საქმე ეხებოდა მხოლოდ სურათებს. როცა ის სხვებს ფეხებს ბანდა, სურათი უნდა შექმნილიყო.[19]

ფლუქსუსის ხელოვანთა აქციების დროს მაყურებელი პუბლიკის ნაწილი იყო – როგორც თეატრში...

ფლუქსუსის ხელოვანები, დამატებით, პუბლიკის ინტეგრირებას მიმართავდნენ. პუბლიკას მათ აქციებში მონაწილეობა უნდა მიეღო. ჰოდა, ერთხელაც მავანმა ბოისს ცხვირში უთავაზა, რაკი მისგან მონაწილეობის მიღებას მოითხოვდნენ.[20]

ბუნებრივია, შეიძლება ამას ასეც შევხედოთ. რომ პროვოკაციის გზით პუბლიკა გამოიწვიეს – მონაწილეობა მიეღო. ბაზონ ბროკი 1964 წელს აახენში შექმნილ სიტუაციას სხვაგვარად აღწერს. ის ამბობს, რომ ღონისძიება, უპირველეს ყოვლისა, ტიმ

ულრიხსმა ჩაშალა. განზრახ. როცა ბაზონ ბროკი ტექსტს თავდაყირა მდგომი კითხულობდა, ის ტიმ ულრიხსმა წააქცია. 1969 წელს ბოისს, ჰენინგ ქრისტიანსენთან ერთად, ბერლინში კონცერტი ჰქონდა დაგეგმილი, რომელიც მოდებოშე სტუდენტებმა ჩაშალეს[21] – წინასწარ ამის დაგეგმვა ხომ შეუძლებელი იქნებოდა?

დეტალური დაგეგმვა მართლაც შეუძლებელია. მაგრამ როცა ცხვირში მუშტის მიღებაა საჭირო, ინტუიციურად იციან კიდეც, სად უნდა მიიღონ.

ბერლინში იმ დროს, უპირველეს ყოვლისა, ისევ გაცოცხლდა ფერწერა, იყო ფიგურატულ და აბსტრაქტულ მხატვრობაზე გაუთავებელი დისკუსიები. დიუსელდორფში იყო "ზერო". ერთნი ახალ დასაწყისს, ათვლის წერტილს პროპაგანდირებდნენ, სხვები ტილოზე საშინელებათა ამსახველ თავიანთ ნამუშევრებს მანიფესტირებდნენ და გარკვეულწილად ასე უპირისპირდებოდნენ ხელოვნების თეთრ, წმინდა ნაწარმოებს, უსურათო ტილოს. ეს ის მიმდინარეობები იყო 1945 წლის მერე, რომლებიც ერთობ ურთიერთგანსხვავებულად რეაგირებდნენ მეორე მსოფლიო ომზე. თქვენ სად განათავსებდით თქვენს ხელოვნებას? თქვენ თქვენს ხელოვნებაში ისტორიის სიმბოლოებს მიმართავთ, და მაინც, თქვენი ნამუშევრები, თქვენი აქციები შედეგობრივად სრულიად გახსნილია.

დიახ, საქმე შედეგს სულ არ ეხება. საქმე აქციას ეხება. ეს, ნაწილობრივ, ისტორიასთან იდენტიფიკაციაც არის, თუნდაც – როცა ეს აწეული ხელია. სხვათა შორის, მაშინ ან არ ვიყავი ან საერთოდ არ ვიყავი ინფორმირებული. ბოისს ჯერ არ ვიცნობდი, არაფერი ვიცოდი ფლუქსუსზე და "ზერო"-ზე. მე მაშინ სავსებით კლასიკურ კონტექსტთან ვიყავი დაკავშირებული: კლეე, ბაუმაისტერი, კანდინსკი, ცხადია პიკასო და მანე, მონე, ეს იყო ჩემი სამყარო. აი, ამ სამყაროში შემოიჭრა ჰიტლერის ისტორია, უბრალოდ, შემოიჭრა.

თამატურად?

არა. როცა რაღაც უკვე ჰაერში ტრიალებს, დანამდვილებით ძნელია იმის თქმა, თუ საიდან მოდის და საით მიდის, შენ ეს არ იცი. სრულიად შემთხვევით – დღევანდელი დღესავით მახსოვს – ხელში ჩამივარდა გრამფირფიტა, რომელიც ამერიკელებმა გამოუშვეს გერმანელებისთვის, რათა ისინი მესამე რაიხთან დაკავშირებით გაენათლებინათ. ჩაწერილი იყო ყველაფერი, ჰიტლერის, გიობელსის, გიორინგის გამოსვლები. ამით ვიყავი ინიცირებული. როცა ჰიტლერს მოვუსმინე, მის მეტყველებას, მაშინვე ვიფიქრე: "ოჰო, ეს რაღაა?"

როგორ აღმოჩნდით ეგრეთ წოდებულ "კომპანიაში", მიუხედავად იმისა, რომ პირადად აშკარად ნაკლებად ჩანდით?

ძალიან დამეხმარა ჰორსტ ანტენი. მაგალითად, 1971 წელს თან წამიყვანა ნიუ-იორკში. იქ გალერეები დავათვალიერეთ და ჯორჯ სეგალს და სხვა ხელოვანებს ვესტუმრეთ. ეს ჩემთვის მართლაც განსხვავებული გამოცდილება იყო. ნიუ-იორკი ხომ კარლსრუე არ არის.

იმაზე თუ გქონდათ წარმოდგენა, რა უნდა გეღონათ თქვენი ხელოვნებით? როდიდან შეძელით თქვენი ნამუშევრების გაყიდვა?

1973 წელს ბაზელიცის მიერ შეძენილი ნამუშევრების გამოკლებით, დაახლოებით 83/84 წლებამდე, თავად მე არაფერი გამიყიდია.

სულ არაფერი გაგიყიდიათ?

მცირედი.

მიხაელ ვერნერი თუ ყიდდა თქვენს ნამუშევრებს?

დიახ, ნაწილობრივ. მაგრამ მე ის ძუნწად მიხდიდა. ფიქრობდა, რომ სოფლად ფული არ მჭირდებოდა. ეს კლასიკური შემთხვევაა. ამან, რა თქმა უნდა, ჭკუა მასწავლა და მოგვიანებით გალერისტებს მკაცრად ვექცეოდი.

მგონი, 1977 წლამდე მიხაელ ვერნერთან თანამშრომლობდით, არა? [22]

დიახ, დაახლოებით სამი წელი. 1974-ში გავიცანი, ხოლო 1979 წელს, როცა ეინდჰოფენში გამოფენა მქონდა,[23] მასთან უკვე აღარ ვიყავი.

ჯერ კიდევ 1973-ში თქვენ ამსტერდამში, გოეთეს ინსტიტუტის გალერეაში, გამოიფინეთ.[24] *თქვენ მაშინ იოჰანეს გახნანგმა მიგიწვიათ.*

დიახ, მე და გახნანგმა ერთად ერთობ ნაყოფიერად ვიმუშავეთ. მაშინ, ამსტერდამში, "ჰერენგრახტში" ორჯერ გამოვიფინე. მაშინ იყო, "პარსიფალის" მთელი ციკლი შპალერზე რომ დავხატე, რადგან შპალერი იაფი ღირდა. მერე დავგრაგნე და გახნანგს მატარებლის სადგურზე გადავეცი. მან კი ისინი ამსტერდამში გამოფინა. მე ამ გამოფენაზე არ წავსულვარ.

ბაზელიცის გარდა, თქვენი პირველი უდიდესი გაყიდვები ჰოლანდიას უკავშირდება.

აბა, რა გითხრათ, ეს არ ყოფილა დიდი გაყიდვები. ყოველთვის მოკრძალებული გაყიდვები იყო. მარტინ ვისერი იყო დიდი კოლექციონერი, მარტიენ სანდერსზეც იგივეს ვიტყოდი. მარტინ ვისერმა შეიძინა "სიბრძნის გზები",[25] სურათი თავებით, მარტიენ სანდერსმა კი – 1973-ში შესრულებული "მამაღმერთი, ძეღმერთი, სულიწმინდა".[26] ჰოლანდიაში ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი ეს ნამუშევრები გაიყიდა.

როგორ შეძელით იქ უკეთ გაყიდვა, ვიდრე – გერმანიაში?

არ ვიცი. იქ აქტიური კოლექციონრები იყვნენ: მარტინ ვისერი და მარტიენ სანდერსი რუდი ფუქსს იცნობდნენ. 1980 წლის ვენეციის ბიენალეზე პირველად შეძელი მეტ-ნაკლები ინტერესის გამოწვევა, ოღონდ – ყოვლად უარყოფითი აზრით, არც ერთი გერმანული გაზეთის მოწონება არ დამიმსახურებია.[27] ერთადერთი გამონაკლისი იყო "ფრაიბოიტერის"[28] გამომცემელი კლაუს ვაგენბახი. ის უკიდურესი მემარცხენე იყო, და რაკი ის ყველას წინააღმდეგ იყო, ცხადია, იმის წინააღმდეგაც იყო, რომ ყველა ჩემს წინააღმდეგ იყო.

თქვენს ნამუშევრებზე ასეთმა რეაქციამ მაშინ, ვენეციაში, გაგაკვირვათ?

ერთსულოვნებამ გამაკვირვა. რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ აკადემიაში სწავლის წლებიდან ვიცოდი, რომ იყო ხალხი, რომელიც ჩემს ნამუშევრებს უარყოფდა და ნეონაცისტად მივაჩნდი.

ცოტა ხნის წინ პეტრა კიპჰოფის კრიტიკა გადავიკითხე. ეს აბსურდია. დღეს ძნელად ასახსნელია, თუ როგორ იყო შესაძლებელი იმ დროს თქვენი ასე არასწორად გაგება. კლაუს გალვიცი 1980 წელს მესამედ იყო გერმანული პავილიონის კომისარი. მას ხომ ნდობა იმიტომ არ დაუმსახურებია, რომ გამოეფინა ხელოვანი, რომელიც თავისი ხელოვნებით აშკარად ნაციონალსოციალისტების იდეოლოგიას ემხრობოდა?

მე ეს დღემდე არ მესმის. ახლაც ზუსტად იგივე ხდება.

მაგრამ დღეს ხომ ნეონაცისტობას აღარავინ გაბრალებთ?! თუმცა, როცა პრესა ჟორჟ პომპიდუს ცენტრში თქვენს ახლანდელ გამოფენას აშუქებს,[29] საილუსტრაციოდ ყველაზე ხშირად გამოყენებული მასალა თქვენი "გმირული სიმბოლოებიდან"

ერთ-ერთის ფოტოგრაფიული რეპროდუქციაა, თქვენი ერთ-ერთი პირველი და, ეჭვგარეშეა, ცენტრალური ნამუშევრიდან. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ გამოფენა ბოლო 50 წლის მანძილზე შექმნილი ნამუშევრების რეტროსპექტივაა, მართლაც გასაკვირია, რომ "ჰიტლერული მისალმება", როგორც ჩანს, მასმედიისთვის დღემდე უკონკურენტოა.
ელაპარაკეთ კლაუს გალვიცს მაშინ, ვენეციის ბიენალეს გახსნამდე, თქვენს ნამუშევრებზე შესაძლო რეაქციების შესახებ?

გალვიცმა არჩევნის სრული თავისუფლება მომცა. თავიდან სხვა ნამუშევრები შევარჩიე. მაგრამ მერე კიდევ ერთხელ დავფიქრდი და ოთხი თემა ავირჩიე: "დანახშირება", "დასხეპვა", "დაძირვა" და "დასილვა".[30]

ნამუშევრების შინაარსზე გალვიცთან სულ არ გისაუბრიათ?

იმას გულისხმობთ, ამის პრობლემატიზება თუ მოვახდინეთ?

დიახ, იმაზე თუ ელაპარაკეთ, როგორი იქნებოდა ამ ნამუშევრების ზემოქმედება ასეთ კონტექსტში, ისტორიით დამძიმებულ ამ ადგილას?

ცხადია, ვიცოდი, რომ ნაციონალსოციალისტებმა შენობას 1938 წელს სახე უცვალეს. ეს დღესაც ჩემი საყვარელი შენობაა. განსხვავებით მხატვრობისგან – იმ პერიოდის სურათებს შორის ვერ ვნახე ვერც ერთი ნამუშევარი, რომელსაც შეიძლება საერთოდ ხელოვნება ეწოდოს – ეგრეთ წოდებული "ფაშისტური არქიტექტურა" სწორედ ისევე ნაკლებად ფაშისტურია, როგორც, მაგალითად, ტროკადერო პარიზში.[31]

თქვენ ამბობთ, რომ ხელოვნებას, უპირველეს ყოვლისა, თქვენთვისვე ქმნით. მაგრამ როცა თქვენს ნამუშევრებს საზოგადოებას წარუდგენთ, ვთქვათ, ვენეციის ბიენალეზე, ალბათ იმაზეც

ფიქრობთ, ამ ნამუშევრებმა დამთვალიერებელზე როგორი ზემოქმედება შეიძლება იქონიოს?

არა. მაშინ მე ამაზე არ მიფიქრია, და ამაზე არც ახლა ვფიქრობ. მე არასდროს ვფიქრობ იმაზე, რაღაც როგორ შევა. მე იმაზე ვფიქრობ, რა გამოვა, მაგრამ არა იმაზე, თუ როგორ შევა.

გერმანიაში რომ ამ ზომამდე არასწორად გიგებენ, სულ არ გაღელვებთ?

რაც შეეხება სადღეისო კრიტიკას, ჩემი ნამუშევრების გერმანული კრიტიკა ხომ არასწორი გაგება სულაც არ არის, არამედ ერთი და იგივეს გადაწერაა. ეს დაფიქრების ნაკლულობაა და, შესაძლოა, ინტელექტის ნაკლულობაც. მაგალითად, ერთხელ ჰონგკონგში პატარა გამოფენა მქონდა.[32] გალერეაში მაოს სურათებიც გამოვფინე, რომლებიც მანამდე სამ მუზეუმში – დანიის ლუიზიანას მუზეუმში, იტალიაში და ენტონი დ'ოფეის გალერეაში – მქონდა ბევრად ადრე გამოფენილი. ჰონგკონგის ამ გამოფენის მერე კრიტიკოსებმა დაწერეს, რომ მე ბოლო დროს ჩინურ ბაზარს ვემსახურები. თითქოს მე მაოს ეს სურათები ჩინელებისთვის დამეხატოს. და იმის მიუხედავად, რომ პრესას მისი ყალბი ვარაუდის შესახებ ეუწყა, კრიტიკოსებმა იგივეს წერა განაგრძეს. ეს ავტომატიზმია. ანუ არასწორი გაგება დიახაც კარგი იქნებოდა, რადგან არასწორ გაგებას შეიძლება გამოეწვია რაღაც, რასაც არასწორ გაგებასთან აღარაფერი ესაქმება. მაგრამ ამასობაში, კრიტიკის ერთი ნაწილის შემთხვევაში, არასწორ გაგებაზე ვეღარ ვილაპარაკებთ. ეს, უბრალოდ, აზროვნების უქნარობაა და მეტიც არაფერი.

და, თქვენი აზრით, არც 1980 წელს ვენეციაში ჰქონია ადგილი არასწორ გაგებას?

პირიქით, მაშინ ეს გაუგებრობა იყო. მაშინ ხომ ასაბუთებდნენ. ის გააზრებული კრიტიკა იყო. რაციონალურია, როცა ამბობენ, -

აკრძალულია, ვინმე იდგეს და ხელი ჰქონდეს აწეულიო. ის გააზრებული კრიტიკა იყო, თუმცა – უნისონური, და ყველამ იგივე დაწერა, მაგრამ ის კრიტიკა გააზრებული იყო. და ამან წაახალისა დისკუსია.

თავდაპირველად განზრახული იყო, რომ გერმანულ პავილიონში თქვენთან ერთად არა მხოლოდ გეორგ ბაზელიცი, არამედ მარკუს ლიუპერციც გამოფენილიყო. ასეთი კონსტელაცია თქვენთვის მისაღები იყო?

ეს არ იყო ჩემი განსასჯელი. როცა კომისარი ირჩევს, ასეც უნდა იყოს.

ასეთ გამოფენაში მონაწილეობის შემოთავაზება შეგიძლია მიიღო ან ისე მოიქცე, როგორც მაშინ მარკუს ლიუპერცი მოიქცა, რომელმაც გადაწყვიტა, არ მიეღო მონაწილეობა.[33]

მე სიამოვნებით მივიღე მონაწილეობა. იმას ვგულისხმობ, რომ ნებისმიერი ხელოვანი სიამოვნებით ხვდება საზოგადოებას. მე ხომ ხელოვნებას მხოლოდ შინ დასატოვებლად არ ვაკეთებ.

ამ კონტექსტში ისევ გქონდათ რამე საქმე მიხაელ ვერნერთან?

მიხაელ ვერნერს ყოველთვის პატივს ვცემდი, რადგან ის ფრიად განათლებული ადამიანი იყო, ერთობ ნაკითხი. იმ გალერისტებს შორის, რომლებსაც მე ვიცნობ, ის ერთ-ერთი ყველაზე განათლებული იყო. მაგრამ მას ერთი პრობლემა ჰქონდა: ის ყოველთვის თავის ფეხზე წაიბორძიკებდა ხოლმე.

ეს რას ნიშნავს?

მას ძალაუფლების სურვილით ძალაუფლება სურდა. მას სურდა თავად გადაეწყვიტა, ვინ, სად და როდის გამოფენილიყო. და

მე ამას ვერ ვიტანდი. გასაგებია, რომ გალერისტი ძალაუფლებას ფლობს. ამის შესატყვისად უნდა მოქმედებდეს. მაგრამ მიხაელ ვერნერს მხოლოდ ძალაუფლება სურდა, ეს კი ყოველთვის ცუდია. ეს ყოველთვის არასწორ შედეგებს იწვევს.

იმ დროს მან თქვენი ბევრი გამოფენა უზრუნველყო?

მან ჩემთვის სხვა რამ უზრუნველყო. მაგალითად, ფრანგული კულტურით უზრუნველმყო: "დიდი მოლნის" ავტორი ალენ-ფურნიე, მორის ბლანშო, ჟორჟ ბატაი, ვილიე დე ლილ-ადანი და ბევრი სხვა... ჩამოთვლა რომ გავაგრძელო, თქვენთან ერთად მთელი ჩემი ბიბლიოთეკის გადათვალიერება მომიწევს. მასთან ურთიერთობა ჩემთვის ერთობ პოზიტიური გამოდგა. მიშელ ვერნერის გალერეიდან ხალისით სულაც არ წამოვსულვარ. ეს ჩემთვის დიდი და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო. ძალიან საყურადღებოდ მიმაჩნდა მისი უნარი და მისი მოთხოვნილება, საქმე სულიერი გადმოსახედიდანაც განეჭვრიტა. მაგრამ, როგორც ვთქვი, ხელოვანს არ შეუძლია თანამშრომლობა იმასთან, ვინც ძალაუფლების სურვილით არის შეპყრობილი.

გქონდათ თუ არა იმ დროს მჭიდრო ურთიერთობა გალერეის სხვა ხელოვანებთან, მაგალითად, ბაზელიცთან, ლიუპერცთან და პენკთან?

პენკი, მგონი, 1976 წელს გავიცანი, აღმოსავლეთ ბერლინში. მე მას ძალიან ვაფასებდი და დღესაც ვაფასებ. ის იმაზე ნაკლებად დაფასებულია, ვიდრე იმსახურებს. მაგრამ ხელოვანებთან ურთიერთობა არ მქონია.

პენკს აღმოსავლეთ ბერლინში მიხაელ ვერნერთან ერთად სტუმრობდით?

დიახ.

მიხაელ ვერნერი, როგორც ჩანს, ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იმას, რომ ხელოვანებს ერთმანეთი გაეცნოთ და ერთმანეთთან ურთიერთობა ჰქონოდათ.

დიახ. ამიტომაც იყო კარგი გალერისტი. მარსელ ბროდჰარსიც და ჯეიმს ლი ბიარსიც მიხაელ ვერნერმა გამაცნო. ეს ჩემთვის ფრიად მნიშვნელოვანი იყო.

სხვა ხელოვანებთან გამოცდილების ურთიერთგაზიარებამ თუ იქონია ზეგავლენა თქვენს ნამუშევრებზე?

უდავოდ. სხვა ხელოვანებთან გამოცდილების ურთიერგაზიარება, ცხადია, რაღაც გავლენას ახდენს. როცა მერე მიხაელ ვერნერისგან წამოვედი, სხვებმაც მიმატოვეს, გარდა ჩემი ცოლისა. ფრედ იანმა აღარ ისურვა ურთიერთობის გაგრძელება, სხვებზეც იგივე ითქმის.

რაკი ვერნერს დაემშვიდობეთ, სხვებმა აღარ ისურვეს თქვენთან ურთიერთობა?

ასე იყო! ამის მერე ჰელენ ვან დერ მეიესთან ერთად ვმუშაობდი.[34] ეს ძალაუფლების ვნებით შეპყრობილი კიდევ ერთი გალერისტი იყო, რომელსაც მიხაელ ვერნერის ბრძანებები სულ არ ანაღვლებდა. ამიტომაც განაგრძო ჩემთან თანამშრომლობა.

1981 წელს სიქს ფრიდრიხთან, პაულ მენცთან და მარიან გუდმენთან გამოიფინეთ.[35]

დიახ, მარიან გუდმენი პირველი იყო, რომელმაც ამერიკაში ჩემი გამოფენა მოაწყო. 83-ში კი ენტონი დ'ოფეიმ გამომფინა.[36] გერმანიაში მაშინ ბევრი არაფერი მომხდარა, კაცმა რომ თქვას, საერთოდაც არაფერი. და დღესაც ასეა, ლა-მანშის სრუტე საზღვარია.

თუ აქვს აზსნა იმას, რომ თქვენს ნამუშევრებს იქ უკეთ იღებენ?

ამერიკაში ესენი, პირველ რიგში, ებრაელი ემიგრანტები იყვნენ, რომლებიც მერე კოლექციონრები გახდნენ. მათ გაიგეს ჩემი ნამუშევრები. მათ გაიგეს, რატომ ვაკეთებ იმას, რასაც ვაკეთებ. როცა ისინი ემიგრირდნენ, მთელი კულტურა თან წაიღეს. და, ჩანს, მოეწონათ, რომ ჩემი სახით იქ ვიღაც მსგავსი ზურგჩანთით ჩავიდა.

გერმანიაში არასდროს ულიარებიათ თქვენი ხელოვნება ისე, როგორც აშშ-ში, თუნდაც ისრაელში, გაიგეს თქვენი ნამუშევრები. ალბათ, სწორედ გერმანიისთვის იქნებოდა ერთობ მნიშვნელოვანი, რომ აქ თქვენი ხელოვნება უკეთ გაეგოთ.

მე ყოველთვის ვამბობდი, რომ გერმანელებმა არა მხოლოდ ექვსი მილიონი ებრაელი მოკლეს, რაც თავისთავად საშინელებაა, არამედ საკუთარი თავის ამპუტაცია მოახდინეს, რადგან 20-იანი წლები უჩვეულოდ ნაყოფიერი ხანა იყო, და ეს ებრაელების გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა. კოლექციონრები, კრიტიკოსები, ინტელექტუალები. ებრაული ელემენტის გარეშე გერმანული ხელოვნება ამპუტირებული კულტურაა.

ამასვე არ უნდა მივათვალოთ გერმანელების უუნარობა – გაუმკლავდნენ ამ მემკვიდრეობას? შესაძლებელია, რომ გერმანიაში, უბრალოდ, აღარ სურდეთ ამ წარსულთან საქმის ქონა? საზღვარგარეთ თქვენი შემოქმედება, ეტყობა, ეგზოტიკურობის გარკვეული ბონუსითაც სარგებლობს.

მე ვფიქრობ, ამას სხვადასხვა მიზეზი აქვს. გერმანელებს უყვართ ის, რაც ციცქნა და კოხტაა. მათ უყვართ მოკრძალება. მათ არ სურთ მხრების გაშლა და გარისკვა. მე ვფიქრობ, ეს კიდევ ერთი ასპექტია. მაგრამ მე ამაზე ხანგრძლივად არ ვფიქრობ.

არ მიგაჩნიათ, რომ საზოგადოება გერმანიაში ვერ უმკლავდება თქვენი ნამუშევრების შინაარსს?

ამას, ბოლოს და ბოლოს, უნდა მიმხვდარიყვნენ, არა? შეუძლებელია, ასე გრძელდებოდეს. აბსურდული იქნებოდა, დღესაც რომ ნეოფაშისტად მივაჩნდეთ.

არა, ჩემი აზრით, ასე აღარავინ ფიქრობს. მე უფრო ვითომდა "გერმანული ხელოვნების" ესთეტიკას ვგულისხმობ. ისევე, როგორც არც გერმანიის დროშის დანახვა სურდათ. ეს ვითარება პირველად 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატმა შეცვალა.

დიახ, გერმანელებს ერთი პრობლემა აქვთ: ერთი მხრივ, თავიანთი უპირატესობის ჩვენება უყვართ, მეორე მხრივ კი, ძალიან ბევრი კომპლექსი აქვთ. გერმანელებს საკუთარ თავთან ყოველთვის აქვთ პრობლემები. მათ ხომ არ გააჩნიათ მითები, რომლებიც სხვა ხალხებს აქვთ. ფრანგებს აქვთ დიადი რევოლუცია, ინგლისელებს აქვთ პირველი კონსტიტუცია, ამერიკელებს – ომი დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად და ასე შემდეგ. გერმანელებმა სამჯერ სცადეს რევოლუციის მოხდენა და სამჯერვე დამარცხდნენ. გამაერთიანებელი ელემენტი აკლიათ. მოკლედ, გერმანელებს არ გააჩნიათ დიადი მითები.

თქვენ, რა თქმა უნდა, არა მარტო მტრები გყავთ, არამედ – უამრავი მხარდამჭერიც. 80-იან წლებში თქვენ მოახერხეთ ინტერნაციონალური გარღვევა. ამისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა 1980 წლის ბიენალეს გერმანულ პავილიონში წარმოდგენილ თქვენს ნამუშევრებს ჰქონდა?

არა, გადამწყვეტი ის იყო, რაც ამას მოჰყვა. მე მაშინ ერთგვარი პიონერი ვიყავი. 80-იან წლებში აშშ-ში – ჩიკაგოში, ფილადელფიაში, ლოს ანჯელესში, ნიუ-იორკის ახალი ხელოვნების მუზეუმში – ჩემი გამოფენების სერიაზე ისეთი წერილები დაიწ-

ერა, რომ გაგაოგნებდათ: ატლანტის ოკეანის ორივე მხარის საუკეთესო მხატვარი და ასე შემდეგ. რატომ მოხდა ასე, არ ვიცი. ნებისმიერ შემთხვევაში, პირველად მოხდა, რომ ჩემი თაობის ხელოვანმა ასეთი წარმატება მოიპოვა.[37]

თქვენი ნამუშევრების მიმართ მზარდმა ინტერესმა გაყიდვებზეც მაშინვე იქონია გავლენა?

დიახ. მე ხომ მაშინ მარიან გუდმენთან და ენტონი დ'ოფეისთან ვთანამშრომლობდი, და არანორმალური მოთხოვნილება იყო.

ჯერ კიდევ მაშინ აშშ-ში ყველაფერი ცოტა სხვაგვარად ფუნქციონირებდა. როგორ გამოიყურებოდა იქ გალერისტებთან თანამშრომლობა თქვენს მიერ გერმანიაში მიღებულ გამოცდილებასთან შედარებით?

აშშ-ში მხოლოდ ერთი გალერისტი მყავდა, მარიან გუდმენი. ჯერ კიდევ მაშინ – და ეს იქ ჯერაც არ იყო ჩვეულებრივი მოვლენა – მას გალერეაში ევროპელი ხელოვანები ჰყავდა.

მაგალითად?

ლოთარ ბაუმგარტენი, იტალიელები ჯოვანი ანსელმო და ჯუზეპე პენონე, რებეკა ჰორნი. მარიან გუდმენმა მაშინ ამერიკაში ევროპული ხელოვნება შეიტანა.

მერე კი წელიწადში სამ-ოთხჯერ ჩამოფრინდებოდა ხოლმე გერმანიაში და თქვენს ატელიეში ნამუშევრებს არჩევდა?

დიახ, და მორიგ გამოფენას ვგეგმავდით ხოლმე.

ამას გარდა, 1981-დან 89-მდე ყოველწლიურად იფინებოდით პაულ მენცთან. როგორ ჩაეწერეთ მაშინ მის პროგრამაში? 1979

წელს მან Arte Cifra[38] გამოფინა, 1980 წელს – "მიულჰაიმური თავისუფლება".[39]

ერთი წუთით... თავდაპირველად მას აბსტრაქციონისტი ხელოვანები ჰყავდა, დანიელ ბურენი, ნიელე ტორონი და სხვები, ეს ხომ უაღრესად სუფთა პროგრამა იყო. მოწესრიგებული და სუფთა.

როგორ დაიწყო თქვენი თანამშრომლობა?

ჩემით დაინტერესდა. 1978 წელს ვერნერთან დამშვიდობების მერე ხომ გერმანიაში გალერისტი არ მყოლია, და პაულ მენცმა ინტერესი გამოხატა. დასაწყისში კარგად ვითანამშრომლეთ. სასიამოვნო იყო, მაგალითად, გამოფენა თვითმფრინავებით. მაგრამ როცა მან "მიულჰაიმური თავისუფლების" მხატვრები იმის გამო მიატოვა, რომ მათ ბაზარზე მოგება აღარ მოჰქონდათ, გავერიდე. ეს არ მომეწონა. ან ხარ დარწმუნებული ან – არა. ეს გალერისტის კი არა, ბაზრის გამოცდა იყო.

1970-იანი წლების ბოლოდან ამ სამხატვრო მოძრაობაში აღმოაჩინეთ თუ არა რაღაც, რაღაც ისეთი, რასაც შეიძლებოდა თქვენი ინტერესი გამოეწვია?

ჩემთვის, მთლიანობაში, არც ისე საინტერესო იყო. ცოტანი არიან. მაგალითად, ვალტერ დანმა შექმნა ზოგიერთი ისეთი ნამუშევარი, რომელზე მსჯელობაც შეიძლება. მაგრამ, არსებითად, ამაში ახალი არაფერი ყოფილა. ეს მანერა უფრო იყო, ვიდრე – მხატვრობის ახალი სახეობა. მაგალითად, ასე თქმის მანერა: "მე შემიძლია კუთხეში მოვჯდე, და ეს კარგია". ეს ისეთი მანერაა, რაღაც დროის განმავლობაში რომ მუშაობს. ეს პენკსაც ახასიათებდა. პენკმა თქვა, - მე, პრინციპში, საერთოდ არ შემიძლია მოვჯდე, ყველაფერი, რასაც გამოვყოფ, დიდებულიაო.

ასე თქვა?

არა, მაგრამ ასე იყო. ასე არ უთქვამს, მაგრამ მე ასე ვხედავ. სურათების კეთება ჩემთვის ყოველთვის ბრძოლაა, ჩემს თავში მიმდინარე ომია. უნდა გამოვაქვეყნო თუ – გავანადგურო, რომ მერე, მოგვიანებით, ოდესმე, ისევ აღვადგინო? ჩემთვის ნამდვილი ხელოვანი ხატთმებრძოლია.

თქვენ ფიქრობთ, რომ პენკთან ასეთი დაეჭვება არ არსებობს?

არა. მანერა, რომ ყველაფერი, რასაც აკეთებ, კარგია, რადგან ეს შენი გაკეთებულია, ყმაწვილური მანერაა, გასაოცარი მანერაა, მაგრამ ასეთი მანერით როგორ დაღვინდები? მე არ ვიცი, პენკი ამჟამად რას აკეთებს. მე ვიცნობ მის იმ ნამუშევრებს, რომლებიც დასავლეთ გერმანიაში გადმოსვლამდე შექმნა. ძალიან მომწონდა. მე პენკს ვეთაყვანებოდი.

რატომ?

თუნდაც მისი ჩხირკაცუნები! ამის კეთებას ხომ ყველა ისურვებდა, ასე არ არის?

საინტერესოა, რომ თქვენი თაობა, ერთი მხრივ, ბოისის და, მეორე მხრივ, პენკის შეფასებაში ერთსულოვანია.

მე ვფიქრობ, პროფესიონალ ხელოვანებში გავრცელებულია სრულიად ჩამოყალიბებული რწმენები, რაღაც-რაღაცებზე აღარ კამათობენ, რადგან ამაზე კამათი შეუძლებელია. მაგალითად, ლეონარდო და ვინჩიზე კამათი, ვფიქრობ, აღარ გვსურს, არა? იმათ შორის, ვინც იმას ფიქრობს, რაც საჭიროა, სულერთია, ვისაც უნდა ეხებოდეს საქმე, ყოველთვის ერთი აზრი ტრიალებს.

თავიდან გერჰარდ რიხტერის მიმართაც ყველა თითქმის სოლიდარული იყო, ყოველ შემთხვევაში, ყველა გალერისტს მასთან

თანამშრომლობა სურდა, ჰაინერ ფრიდრიხსაც, რუდოლფ ცვირნერსაც, მიხაელ ვერნერსაც და რენე ბლოკსაც.

მე მისი ნამუშევრები ყოველთვის ისეთ გასაოცარ ხელოსნურ ნიმუშებად მიმაჩნდა, რომ მათით, როგორც სწორედ ასეთებით; ყოველთვის აღფრთოვანებული ვიყავი.

ხელობა? არადა, ამბობთ, რომ მხატვრობაში ხელობა სინამდვილეში არავითარ როლს არ თანაშობს.

დიახ, რადგან მე არც ისე კარგი [ხელოსანი] ვარ.

რადგან თქვენ არც ისე კარგი [ხელოსანი] ხართ და რადგან თქვენ ამბობთ, რომ მოტივაცია იმაზე ნაკლებ როლს თამაშობს, ვიდრე – მანერა.

არა, მე ვფიქრობ, რომ მოტივაცია შეიძლება ყალბი იყოს და მაინც სწორი შედეგი მოგვცეს.

და რიხტერთან მოტივაცია შედეგის კონგრუენტულია?

არა, მე ვვარაუდობ, რომ მას მოტივაციასთან დაკავშირებით პრობლემა აქვს. ანუ მე ამას ვვარაუდობ, მე ხომ მას არ ვიცნობ. მე ვფიქრობ, რომ მას თემის მიგნების პრობლემა აქვს. ეს აშკარად ჩანს. ანუ პრობლემაა: ახლა რა უნდა დავხატო?

ეს ჩანს?

ანუ მე ამას ვხედავ.

და ეს მაშინაც ასე იყო?

დიახ, ყოველთვის ასე იყო. ყოველთვის მოტივაციის პრობლემა ჰქონდა, მე ასე მგონია. მაგრამ რაშიც ცუდი არაფერია.

არაფერია. ჩვენ ხომ კარგ ზე და ცუდ ზე არც ვსაუბრობთ. საქმე ამას არ ეხება. პოლკეს შემთხვევაში როგორ იყო?

პოლკე ჯადოქარია. პოლკე ყოველთვის ძალიან მომწონდა. ის ხომ ყველაფრით ერთობა, ეს გასაოცარია. "უზენაესი არსებები ბრძანებენ", ან თუნდაც – ბამბუკის ღეროები წყლიან თასში – "გაცოცხლების მცდელობა" –, ეს ფანტასტიკურია. ან – კარტოფილები. ეს ყველაფერი თავიდან არ ამოდის.

პოლკესთან იუმორი მართლაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს, მაგრამ მასთან სულ სხვა შრეც მოიპოვება, ასე არ არის? "უზენაესი არსებები ბრძანებენ" – ეს ხომ იუმორისტულ კომენტარზე მეტია.

ეს, ამავე დროს, შედეგიც არის, ლამაზი სურათი.

როცა თქვენი ხატვის პროცესს აღწერთ, თუ გექმნებათ შთაბეჭდილება, თითქოს, შრომის მიწურულს მაინც, უზენაესი არსება გიბრძანებდეთ?

დიახ, უდავოდ, კამათს ხომ მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, როცა სიღრმე არსებობს. ხომ არავინ კამათობს იმაზე, რაც უმნიშვნელოა.

არ ვიცი. პოლკეს ისეთი ნამუშევრებიც აქვს, მაგალითად "მუყაოლოგია", რომლებშიც ეს სიღრმე წინდაწინ არ ჩანს.

უკანა პლანზე აუცილებლად არის რაღაც ერთობ სერიოზული, კერძოდ, რომ ყველაფრით შეიძლება ხელოვნების კეთება. მარმელადით, განავლით, ყველაფრით არის შესაძლებელი რაღაცის კეთება. ხელოვანს ყველაფრის ფორმირება ან დეფორმირება ხელეწიფება. ეს არის "მუყაოლოგიის" საფუძველი. აქედან წარმოსდგება მერე ეს ირონია. მე რომ ახლა თქვენს წინაშე

გამოვიდე და გამოგიცხადოთ, რომ ნებისმიერი მასალისგან შემიძლია რაღაც ძალიან მაგარი გავაკეთო, ეს პათეტიკურად გაიჟღერებს. ეს სხვაგვარად უნდა გაკეთდეს. სწორედ ასე მიიღება "მუყაოლოგია".

რა თქმა უნდა, იმასაც ხომ ცდილობენ, რომ სურათები ამ მიზნით შექმნან. მსურს, კიდევ ერთხელ შევეხო თქვენი, როგორც ხელოვანის, მოტივაციის თემას: 60-იანი წლებიდან ხელოვანის ხატი ან თუნდაც ხელოვანის დანიშნულება შეიცვალა?

არა, სრულიადაც არა. მხოლოდ ჩანს, თითქოს რაღაც სხვაგვარად იყოს. მაგრამ ძირისძირში არაფერი შეცვლილა. ამჟამად ისე ჩანს, თითქოს ხელოვნება განივრცო, ერთბაშად ყველას სურს, რომ ხელოვანი გახდეს, ძალიან ბევრი გამოფენა ეწყობა, მასები ნაკადებად ელტვიან მუზეუმებს. ეს, ერთი შეხედვით, ფანტასტიკურია. მაგრამ არსებითად არაფერი შეცვლილა. სინამდვილეში ხელოვანთა რაოდენობა დღესაც მცირეა, და ერთობ ცოტანი არიან ისეთებიც, ხელოვნებით რაღაცის კეთება რომ შეუძლიათ. ცოტანი არიან, ამას რომ მართლაც აფასებენ. მაგრამ თივის ზვინში ნემსის მისაგნებად ცოტა უფრო მეტი შრომაა საჭირო, რადგან ბევრი სხვა საქმეც არსებობს.

თქვენ თქვენივე თავს და ხელოვნებას გარკვეულ მოთხოვნილებას უყენებთ. თქვენთან ხელოვნებას თითქმის რაღაც ფუნქცია აქვს შესასრულებელი.

"ფუნქცია" რთული ცნებაა. ბუნებისმეცნიერების სფეროში ფუნქციას როცა ეხება საქმე, ღილაკს თითს აჭერენ და რაღაც გამოდის. ფუნქცია მრუდია, რომელიც აჩვენებს, შემდეგ როგორ უნდა იმოქმედონ. იქ ყოველთვის იციან, როგორ უნდა განაგრძონ მოქმედება. ხელოვნებაში კი ასე არ არის. მე ვიტყოდი, ჩემთან განსხვავება ის არის, რომ მხოლოდ მაშინ ვხატავ, როცა აუცილებელია. ჩემთვის კი ეს აუცილებელი მაშინ არის,

როცა რაღაც ისეთი გამოვცადე, დამუშავებას რომ უნდა დავუქვემდებარო. ელდა უნდა მეცეს. აი, მაშინ ვხდები აქტიური. ასე რომ, მე იმაზე არასდროს ვფიქრობ, რა შეიძლება ახლა დავხატო. მე არ ვგავარ გოდარის ფილმის პერსონაჟს, ანა კარინას, რომელიც ზღვის გასწვრივ დადის: "Qu'est-ce que je peux faire? Je sais pas quoi faire!".

ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენი ხელოვნება პირადი აუცილებლობიდან აღმოცენდება?

აქ საქმე რეალობას ეხება. მე რეალობას ვეძებ. ვინაიდან ყველაფერი, რაც მე გარს მაკრავს, არარეალურია. თქვენ არარეალური ხართ, ეს ოთახი არარეალურია, ეს ყველაფერი არარეალურია.

რა არის რეალური?

რეალურია, მაგალითად, ლექსი ან მუსიკალური ნაწარმოები. ჩემთვის ეს არის რეალობა. სხვა ყველაფერი ილუზიაა. მე კი რეალობის გარეშე ვერ ვიცოცხლებ. მე არ შემიძლია ილუზიაში ცხოვრება.

თქვენთვის სად გადის ზღვარი ილუზიასა და რეალობას შორის?

ილუზია არის რაღაც, რაც არ არსებობს. რაც მე მეცხადება, მაგალითად, როგორც ფერი. აი, იქ წითელ სინათლეს ვხედავ, ეს ილუზიაა.

ანუ ის არ არსებობს.

პირიქით, არსებობს, როგორც ილუზია.

არც ტყე ყოფილა რეალობის ნაწილი, არა?

ტყე? ჩემთვის ტყე არ არსებობს მანამ, სანამ ტყეს თავად არ შევქმნი. ტყე თავისთავად ჩემთვის მანამ არ არის რეალობა, სანამ რომელიმე ნამუშევარში არ დაკონკრეტდება.

ვისთან ერთად იზიარებთ რეალობასა და ილუზიაზე ამ თვალსაზრისს?

ისეთ ფილოსოფოსებთან ერთად, როგორიც არის, მაგალითად, ანდრეა ემო. ის ამბობს, რომ სურათი მიმეზისი ან Apparentia კი არ არის, როგორც პლატონთან, არამედ მინიშნებაა არარსებულზე. რომ ხდომილება არაფერია, არამედ – მხოლოდ შემდგომი ინტერპრეტაცია. მას სურს, რომ სურათებს მათი არ-არსებობის ცნობიერება მიანიჭოს.

ამაზე უნდა ვიფიქრო. ჩვენ კი განვაგრძოთ: 1989-ში კიოლნში მოეწყო გამოფენა "ხატთმებრძოლეობა",[40] რომელზეც თქვენ თქვენი სურათების ჩვენება არ ისურვეთ.

"ხატთმებრძოლეობასთან" დაკავშირებით რაც მოხდა, საზიზღრობა იყო. მაშინ იოჰანეს გახნანგს წავეკიდე, სამწუხაროდ. ერთი ხანობა ის ჩემი საუკეთესო მეგობარი იყო. "ხატთმებრძოლეობა" ხომ ჩემი თემა იყო.[41] ის მე დავამუშავე. გამოფენის ორგანიზატორებს კი, მიხაელ ვერნერის რეჟისორობით, მხოლოდ კერძო საკუთრებიდან რამდენიმე მცირე ზომის სურათის ჩვენება სურდათ, თემასთან საერთო რომ არაფერი ჰქონდა, და ეს გავაპროტესტე. დღეს ეს ჩემთვის სულერთი იქნებოდა, ამაში საერთოდ არ ჩავერეოდი, მაგრამ მაშინ ეს უსირცხვილობად მივიჩნიე.

მიხაელ ვერნერს თქვენთან საერთო ხომ უკვე აღარაფერი ჰქონდა?

დიახ, სწორედ ამიტომ.

მისი მხრიდან ამას ცოტათი შურისძიების ელფერი ხომ არ ჰქონდა?

დიახ, უდავოდ. როცა გალერეა დავტოვე, დამემუქრა, რომ ამის მერე ყველგან იტყოდა, თითქოს მე ცუდი ხელოვანი ვარ. ეს, რა თქმა უნდა, მისთვისვე იყო საზიანო. სულერთია, პირადად რა დამოკიდებულება მაქვს ხელოვანთან ან ის რას ფიქრობს ჩემზე, ნამუშევარს და პიროვნებას ყოველთვის გავმიჯნავ ერთმანეთისგან.

თქვენ მაშინ პრესაში განცხადება გამოაქვეყნეთ, რომელშიც მკაფიოდ იუწყებოდით, რომ თქვენი ნამუშევრების მოხსნა გსურდათ.[42] მაგრამ იმის გამო, რომ გამქირავებელი თქვენ არ იყავით, ამას ვერ უზრუნველყოფდით. კურატორებმა თუ გამოფენის ორგანიზატორებმა თქვენი ნამუშევრები თქვენი სურვილის საწინააღმდეგოდ გამოფინეს და ამით მათი პოზიციაც თუ ძალაუფლებაც აშკარა გახადეს.

ამ შემთხვევაში ეს ნაკლებად იყო კურატორების ძალაუფლება, არამედ უფრო მეტად – ერთადერთი გალერეის.

1990/91-ში ბერლინის ეროვნულ გალერეაში თქვენი დიდი რეტროსპექტივა მოეწყო.[43] ამის მერე თქვენ ხელოვნება, სამი წლის განმავლობაში, მეტ-ნაკლებად გვერდზე გაწიეთ. მაშინ თქვენს თავს შესვენება გამოუწერეთ?

არა, მე ჩემთვის არაფერი გამომიწერია. მე მაშინ ახალი ქალი აღმოვაჩინე და მთელი მსოფლიოს გარშემო იმას დავდევდი, ყველგან. ისე, რომ ითქვას, ყოველთვის ქალებს დავდევდი.

ანუ წყვეტა სულაც არ ყოფილა პროგრამული?

ვიფიქრე, რომ დადგა დრო, როცა უნდა გამეაზრებინა, დავფიქრებულიყავი, როგორ უნდა გამეგრძელებინა. პერიოდულად ყოველთვის უნდა შეჩერდე და გაიაზრო.

სწორედ მაშინ, როცა თქვენი ხელოვნებით პირველ დიდ წარმატებებს მიაღწიეთ, არა მხოლოდ აშშ-ში, არამედ – გერმანიაშიც.

დიახ, სწორედ ამიტომ. წარმატებები ხომ საშიშია. ჩნდება საფრთხე, რომ დიდი აღიარების გამო გამეორებას მიჰყო ხელი, მოთხოვნა დააკმაყოფილო. და კარადის თაროზეც იოლად აღმოჩნდები შეგდებული.

თქვენ კი ეს არ გსურდათ?

ეს იყო გადაწყვეტილება, რომელიც ასეთი რაციონალურიც არ ყოფილა. მეუღლეს გავეყარე, ხელახლა დავოჯახდი. მერე ორი, სამი წელი ვმოგზაურობდი.

1992 წელს საფრანგეთში გაემგზავრეთ. მოგვიანებით ხელოვნების ინდუსტრიაში დასაბრუნებელ კარში იოლად შეხვედით?

არა. მე ინდუსტრიაში არ ვყოფილვარ. პაუზა გახანგრძლივდა. უნდა ითქვას, რომ დიდი ხნის განმავლობაში არაფერი მიკეთებია. ყოველ შემთხვევაში, არა – საჯაროდ.

მერე კარი როგორღა მონახეთ?

როცა რაღაც დროის განმავლობაში მუშაობ, მერე შენი ნამუშევრების ჩვენებაც გინდა.

და მერე ასევე ყველას მოუნდა, მაშინვე კვლავ გამოეფინეთ?

დიახ, იყო ისეთი გამოწვევები, როგორებიც არის, მაგალითად, პარიზის სალპეტრიერი[44] და გრან პალე,[45] რაც ძალიან ძნელი დასაძლევი იყო, რადგან გრან პალეს უზარმაზარი ინდივიდუალური დინამიკა აქვს.

ამ პაუზის მერე თქვენი მუშაობის სტილში რამე არსებითი ცვლილება ხომ არ შეგიტანიათ?

ამას მე ვერ შევაფასებ. ეს თქვენ უნდა თქვათ. მე ამის დანახვა არ შემიძლია. გერმანიის დატოვება შეცდომა იყო. დიდი შეცდომა. მერე ბარჟაკში, კაცმა რომ თქვას, გერმანია გავიმეორე.

რატომ იყო შეცდომა გერმანიის დატოვება?

სამხრეთ საფრანგეთში ძალიან ლამაზ გარემოში ვცხოვრობდი. მაგრამ ერთი ისეთი სურათიც კი არ გამიკეთებია, იქაურ ლადშაფტს რომ დაეფუძნებოდა, და ეს – იმის მიუხედავად, რომ იქაური ლანდშაფტი მართლაც ულამაზესია. ნიშანდობლივი იყო, რომ ბარჟაკში გვირაბების თხრა დავიწყე, თითქოს ოდენვალდთან კავშირს ვეძებდი. მაგრამ ის, რაც იქ ახლა შექმნილია, კოშკები, შენობები ინსტალაციებით – ამასობაში უკვე 50-ზე მეტი –, ახალი გზები, ეს ყველაფერი ამ "შეცდომის" ნაყოფია, ასე რომ, ბოლოს შეცდომა აღარ არსებობს.

აქ, კრუასში სხვა ხელოვნებას აკეთებთ, ვიდრე, მაგალითად, თქვენს პორტუგალიურ ატელიეში?

როგორც პორტუგალიაში, ისე ბარჟაკსა და კრუასში დიასპორაში ვცხოვრობ.

სიურრეალისტები თქვენთვის მაშინაც მნიშვნელოვანნი იყვნენ?

უნდა გითხრათ, რომ რასაც ჩვენ რეალობას ვარქმევთ, უკვე საკმარისად სიურრეალურია.

რაც ისევ ილუზიასთან გვაბრუნებს. და ანდრე ბრეტონი?

ანდრე ბრეტონი და, პირველ რიგში, რაიმონ რუსელი – "Locus Solus", ფანტასტიკურია!

სულ სხვა საკვანძო სიტყვა: ქალები. ხელოვან ქალებთან თუ გქონდათ მაშინ კონტაქტი?

ჩემი სტუდენტობის ხანას გულისხმობთ? დიახ, ორი, სამი ქალი კოლეგა მყავდა. ამჟამად ბევრ ხელოვან ქალთან ვმეგობრობ: დორის სალკედო, ლორი ანდერსონი, ამ წელს რომლის საოცარი ფილმიც ვნახე ნიუ-იორკში, მარინა აბრამოვიჩი, შირინ ნეშატი, ტატიანა ტრუვე, ფოტოგრაფი ბარბარა კლემი... მგონი, უფრო მეტ ხელოვან ქალს ვიცნობ, ვიდრე – ხელოვან მამაკაცს. აზრად არასდროს მომივიდოდა, მეთქვა, რომ ქალები ცუდი მხატვრები არიან. და საერთოდაც: ჩემში ქალურის იმდენივე წილს ვხედავ, რამდენსაც – მამაკაცურს. შეხედეთ, აი, იმ ფოტოს. ერთხელ ნიუ-იორკში სახლიდან ქალურად ჩაცმული გამოვედი.

დასასრულს, დიდი სურვილი მაქვს, თქვენს იმ იდეაზე ვილაპარაკოთ, გდრ მუზეუმად რომ უნდა დარჩენილიყო.

სამწუხაროა, რომ არ გამოვაქვეყნე, არა?

აკი გამოაქვეყნეთ. მე ხომ წავიკითხე.

უნდა გითხრათ, რომ "Süddeutschen"-ში, ჟურნალში, მინდოდა ამის გამოქვეყნება. რედაქტორს ვუთხარი, ერთი ტექსტი დავწერე, გდრ მუზეუმად უნდა დარჩეს, როგორც ერთადერთი ქვეყანა, რომელშიც ნამდვილი კომუნიზმია-მეთქი. ხოლო საზღვარზე სათავგადასავლო შვებულებების შეთავაზება უნდა ხდებოდეს, შტაზ-ის დაკითხვებით-მეთქი.

ვფიქრობ, ძალიან საინტერესო კონცეპციაა. თუ თქვენ ახლა იქიდან ამოდიხართ, მე კი ეს სწორედ ასე გავიგე, რომ ჩვენ მაინც ყველაფერს ვიხსენებთ, და რომ კულტურულ მეხსიერებას ან – შესაძლოა – ევოლუციურ მეხსიერებასაც გარკვეული ხანგრძლივობა აქვს, მაშინ ყოფილი სახელმწიფოს მუზეუმიზა-

ცია – და ამით გამოცდილების ამგვარი სამყაროს შექმნა – ხსოვნის დამხმარეა თუ – ვიზუალური წყვილი?

ეს ცინიკური პროვოკაცია იყო, თუმცა – გულწრფელი ფარული აზრით თანხლებული, რადგან აყვავებულ ლანდშაფტებს დღესაც ყველგან როდი შეხვდებით. ისინი უფრო მეტად ქალაქის რესტავრირებული ცენტრებით იფარგლება. თუმცა, როცა პროვოკაციის საფუძველი მხოლოდ თავად ეს პროვოკაციაა, მე მას ხელს არ ვკიდებ. მაშინ ეს ამიტომაც არ გამოვაქვეყნე.

კრუასი-ბობურგი, 2016 წლის 26 იანვარი

ინტერვიუერის შენიშვნები

1. პეტერ დრეერი (დ. 1932) – მხატვარი და გრაფიკოსი. 1965 წლიდან ასწავლიდა კარლსრუეს ნატიფ ხელოვნებათა სახელმწიფო აკადემიის ფრაიბურგის ფილიალში (ბრაისგაუში) და 1968 წელს იქვე მიიწვიეს პროფესორად.
2. 1969 წელს კიფერი მამამისის უნიფორმით გაემგზავრა საფრანგეთსა, იტალიასა და შვაიცში, რათა ბუნებაში, მნიშვნელოვა-ნი ნაგებობებისა და ძეგლების წინ, ჰიტლერული მისალმება შეე-სრულებინა. ამ აქციებს კიფერმა "ოკუპაციები" უწოდა. 1970 წელს მან, თავისი ფოტოგრაფიების საფუძველზე, შვიდი ფერწ-ერული ნამუშევარი შექმნა სახელწოდებით "გმირული სიმბო-ლოები". შდრ. "Anselm Kiefer. Bücher 1969–1990", hg. von Götz Adriani, Ausst.-Kat. Kunsthalle Tübingen, Ostfildern 1990, S. 8–19, hier S. 12.
3. 1969 წელს, სახელწოდებით "ჰაიდელბერგის დატბორვა", კიფერმა ორი წიგნი შექმნა, რომლებშიც ქალაქის განზრახ დატბორვის სცენარი განიხილება. შდრ. წიგნების სოლიდური დოკუმენტაცია კატალოგში: "Anselm Kiefer. Bücher 1969–1990", hg. von Götz Adriani, Ausst.-Kat. Kunsthalle Tübingen, Ostfildern 1990, S. 114–132.

4. "[...] გამოსაკვლევია, საკმარისი იქნება თუ არა ჰ.-ის მხოლოდ გამოსახულებით დატბორვა, ე. ი. საკმარისი იქნება თუ არა იდეის ქონა, მანიპულაციური ფოტოსურათით ამის შესაძლო ჩვენება (შესაძლოა, უკეთესი იყოს ამ შემთხვევაში მხოლოდ მისი ქონა), თუ ის მართლაც დასატბორია.": Anselm Kiefer, "Die Überschwemmung Heidelbergs", ციტ. შემდ. გამოცემიდან: Götz Adriani, "Jede Gegenwart hat ihre Geschichte", კატალოგში: "Anselm Kiefer. Bücher 1969–1990", hg. von Götz Adriani, Ausst.-Kat. Kunsthalle Tübingen, Ostfildern 1990, S. 8–19, hier S. 13.

5. "კარლ შტროერის კოლექცია", დიუსელდორფის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი. 1969 წლის 25 აპრილიდან 1969 წლის 15 მაისამდე გამოფენაზე ნაჩვენები იყო ბოისის ნამუშევრებიც შტროერის კოლექციიდან.

6. ადრეულ 1970-იან წლებში ანსელმ კიფერის მიერ შექმნილი სურათების სერია, რომელიც ხშირად "სხვენის სურათებად" მოიხსენიება, გამოხატავს მითოლოგიურ, რელიგიურ და გერმანულ სიმბოლიკას ხის ინტერიერთა ფონზე, რომელთა ნიმუშსაც ჰორნბახში კიფერის სახლის საწყობში მისი ატელიე წარმოადგენს. სხვა ნამუშევართა შორის, ამ სერიიდან არის "მამაღმერთი, ძეღმერთი, სულიწმინდა" (1973), "კვატერნიტეტი" (1973) და "ნოტუნგი" (1973). შდრ. "Anselm Kiefer", hg. von Jürgen Harten, Ausst.-Kat. Städtische Kunsthalle Düsseldorf, 24. März – 05. Mai 1984/Musée d'Art moderne de la Ville de Paris, 11. Mai – 21. Juni 1984/ The Israel Museum, Jerusalem, 31. Juli – 30. September 1984.

7. "Bilder und Bücher", Februar 1970, Galerie Helmut Rehme am Kaiserplatz, Karlsruhe.

8. სხვა ნამუშევრებთან ერთად გამოფენილი იყო წიგნები "ცა", "შენ მხატვარი ხარ", "ჰაიდელბერგის დატბორვა", "დუნაის წყარო". შდრ. Eckhart Gillen, "Selbstgefällige Marmorpaläste", in: "Badische Neueste Nachrichten", 09.02.1970, S. 9.

9. 1992-დან 2007 წლამდე ანსელმ კიფერი ცხოვრობდა სამხრეთ საფრანგეთში მდებარე ბარჟაკში, ყოფილი აბრეშუმის ფაბრიკის 35 ჰექტარის ფართობის ტერიტორიაზე.

10. 1968-1973 წლებს შორის კლაუს გალვიცმა მოაწყო გამოფენების სერია "14X14 – ახალგაზრდა გერმანელი ხელოვანე-

ბი" ბადენ-ბადენის სახელოვნებო მუზეუმში. სხვა ხელოვანებთან ერთად მონაწილეობდნენ ანსელმ კიფერი, გეორგ ბაზელიცი, ალმუტ ჰაისე, იმი კნიობელი, ბლინკი პალერმო, გერჰარდ რიხტერი, ულრიხ რიუკრიემი და გიუნთერ უეკერი.

11. შდრ. "Brief von Joseph Beuys an Anselm Kiefer, Düsseldorf, 04. März 1973", in: "Joseph Beuys. Anselm Kiefer. Zeichnungen, Gouachen, Bücher", hg. von Götz Adriani/Walter Smerling, Ausst.-Kat. Museum Küppersmühle für Moderne Kunst, Köln 2012, S. 6.

12. "მე ვიზრდებოდი გახანგრძლივებულ სისტემაში." in: Manfred Bissinger (Hg.), "Anselm Kiefer – Mathias Döpfner. Kunst und Leben, Mythen und Tod: Ein Streitgespräch", Köln 2012, S. 72–73.

13. ჰანს გლობკემ (1898, დიუსელდორფი – 1973, ბონი), რომელიც რაიხის შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფერენტი იყო, ნაციონალსოციალისტების მიერ გამოცემული ნიურნბერგის რასობრივი კანონის გავლენიანი კომენტარები დაწერა. მეორე მსოფლიო ომის მერე, 1953-1963 წლებში, გლობკე კონრად ადენაუერის მთავრობაში სახელმწიფო მდივანი იყო.

14. როცა სპარსეთის შაჰი მოჰამედ რეზა ფეჰლევი (1919, თეირანი – 1980, ქაირო), 1967 წლის 2 ივნისს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის ჰაინრიხ ლიუბკეს მიწვევით, ბერლინს ეწვია, ამან, ირანში ადამიანის უფლებათა მძიმე დარღვევების გამო, მემარცხენე სტუდენტების მრავალრიცხოვანი პროტესტები გამოიწვია. გერმანული ოპერის წინ ერთ-ერთი დემონსტრაციის დროს პოლიციელმა კარლ-ჰაინც კურრასმა მოკლა სტუდენტი ბენო ონეზორგი (1940, ჰანოვერი – 1967, ბერლინი). ეს მოვლენა კრისტალიზების არსებითი ნიშნული იყო 1968 წლის მოძრაობის შემდგომი განვითარებისა და რადიკალიზაციისთვის. იხილე ასევე: Uwe Soukup, "Ein Schuss, der die Republik veränderte: Der 2. Juni 1967", Berlin 2017.

15. ჰოლგერ მაინსი (1941, ჰამბურგი – 1974, ვიტტლიხი) წითელი არმიის ფრაქციის (RAF) წამყვანი წევრი იყო. 1966 წლიდან ის გერმანიის კინოსა და ტელევიზიის ბერლინის აკადემიაში სწავლობდა. ამ დროსვე დაიწყო მან არასაპარლამენტო ოპოზიციისა (APO) და კომუნა 1-ის წევრებთან ერთად აქტიურობა. მაინსი, ფსევდონიმით "როლფი", შეუერთდა RAF-ს 1970 წლის

ოქტომბერში. იმ ეჭვის საფუძველზე, რომ ის ასაფეთქებელი ნივთიერებებით აფეთქებებში მონაწილეობდა, 1972 წლის 1 ივნისს დააპატიმრეს ანდრეას ბაადერთან და იან-კარლ რასპესთან ერთად ფრანკფურტში. მაინსი 1974 წლის 9 ნოემბერს ვიტტლიხის ციხეში საპროტესტო შიმშილობის შედეგად გარდაიცვალა. იხილე ასევე: Gerd Conradt, "Starbuck – Holger Meins. Ein Porträt als Zeitbild", Berlin 2001.

16. "დოკუმენტა 6" (1977)-ისთვის იოზეფ ბოისმა შექმნა ნამუშევარი "თაფლის ტუმბო სამუშაო ადგილზე". კასელში, ფრიდერიციანუმის როტონდაში მან დააინსტალირა პირველი სართულიდან სახურავამდე ამავალი შლანგების სისტემა მექანიკური ტუმბოთი, რომელიც თაფლს ანაწილებდა. ინსტალაცია განივრცო საკონფერენციო დარბაზში ინტეგრირებული ასეთივე შლანგების სისტემით, ამ დარბაზში კი თავისუფალმა ინტერნაციონალურმა უნივერსიტეტმა (FIU) 100-დღიანი სამუშაო კოლექტივი დააფუძნა. იხილე ასევე: Veit Loers/Pia Witzmann, "Honigpumpe am Arbeitsplatz", in: "Joseph Beuys. Documenta. Arbeit", hg. von dens., Ausst.-Kat. Fridericianum Kassel, Kassel, Stuttgart 1993, S. 157–167.

17. "Joseph Beuys. I Like America and America Likes Me", René Block Gallery, New York, 20.–25. Mai 1974. აქციის დროს იოზეფ ბოისმა რამდენიმე დღე გაატარა კოიოტთან ერთად (რომელსაც "პატარა ჯონი" ერქვა) გალერეაში მოწყობილ გალიაში.

18. აქციის – "ბოლოს და ბოლოს სძლიეთ პარტიების დიქტატურას" – ფარგლებში, დიუსელდორფის ერთ-ერთ რაიონში, გრაფენბერგში, 1971 წლის 14 დეკემბერს, გაიმართა ეგრეთ წოდებული "გარემოს დაცვის დემონსტრაცია". ბოისმა თავისი მოსწავლეების ერთ ჯგუფთან ერთად ტყე დაგავა. აქციის ფოტოგრაფიული დოკუმენტაცია ცნობილია სახელწოდებით "გადაარჩინეთ ტყე".

19. დიუსელდორფის ხელოვნების აკადემიაში, 1971 წლის 5 თებერვალს, აქციის – "მომეცი მყარი წერტილი, სადაც შევძლებ დადგომას, და დედამიწას დავძრავ (მსოფლიოს ანჯამებიდან ამოვაგდებ)" – დროს იოზეფ ბოისმა რამდენიმე თავის სტუდენტს ფეხები დაბანა.

20. იოზეფ ბოისმა 1964 წლის 20 ივლისს მონაწილეობა მიიღო "ახალი ხელოვნების ფესტივალში", აახენის ტექნიკური უნივერსიტეტის დიდ აუდიტორიაში. პუბლიკის "ხმაურიანი სცენების" მერე, რომლის კულმინაციადაც იქცა მუშტით ბოისზე ერთერთი სტუდენტის შეტევა, ფესტივალი დროზე ადრე შეწყდა. შდრ. Götz Adriani/Winfried Konnertz/Karin Thomas, "Joseph Beuys. Leben und Werk", Köln 1986 (3. Auflage), S.125–134. Siehe auch: Heiner Stachelhaus, "Joseph Beuys", Düsseldorf 1988, S.165–168.

21. რენე ბლოკის გალერეაში გამოფენის – "ბლოკადა 69" – გახსნისას, 1969 წლის 27 თებერვალს, ბერლინის ხელოვნებათა აკადემიაში უნდა გამართულიყო იოზეფ ბოისის და ჰენინგ ქრისტიანსენის კონცერტი. მოდებოშე სტუდენტებმა აქციას ხელი შეუშალეს და ამის გამო ჩაიშალა. შდრ. Jürgen Geisenberger, "Joseph Beuys und die Musik", Marburg 1999, S. 109 f.

22. მიხაელ ვერნერის გალერეაში ანსელმ კიფერის ბოლო გამოფენა 1977 წლის 25 ოქტომბრიდან 19 ნოემბრამდე მიმდინარეობდა სახელწოდებით "ჯირითი ვაიქსელის მიმართულებით".

23. "Anselm Kiefer, schilderijen en aquarellen", Stedelijk Van Abbemuseum, Eindhoven, 09. November – 10. Dezember 1979.

24. "Anselm Kiefer. Der Nibelungen Leid", Galerie im Goethe-Institut Amsterdam, September – Oktober 1973.

25. Anselm Kiefer, "Wege der Weltweisheit", 1978.

26. Anselm Kiefer, "Vater, Sohn, Heiliger Geist", 1973.

27. ვენეციის 39-ე ბიენალეზე, 1980 წელს, გერმანულ პავილიონს კლაუს გალვიცი კურატორობდა. გამოფენილი იყო გეორგ ბაზელიცის და ანსელმ კიფერის ნამუშევრები. ორივე ხელოვანს შერჩეული ნამუშევრების გამო ბრალად დასდეს "მებრძოლი გერმანულობა" ("martialisches Deutschtum"). იხილე ასევე: Rudi H. Fuchs, "Die Kritik riecht Blut und greift an", in: "Der Spiegel", Nr. 26, 23.06.1980, S. 197–198; Petra Kipphoff, "Die Lust an der Angst – der deutsche Holzweg", in: "Die Zeit", 06.06.1980, S. 42; Werner Spies, "Überdosis an Teutschem", in: "Frankfurter Allgemeine Zeitung", 02.06.1980, S. 19 und Peter Iden, "Die Lieben der Kommissare. Zur Eröffnung der diesjährigen Kunst-Biennale von Venedig", in: "Frankfurter Rundschau", 04.06.1980, S. 7.

28. "ფრაიბოიტერი" იყო პოლიტიკის და კულტურის მემარცხენე ჟურნალი, რომელსაც გამომცემლობა "ვაგენბახი" 1979-დან 1999 წლამდე გამოსცემდა ყოველკვარტლურად.
29. "Anselm Kiefer", Centre Pompidou, Paris, 16. Dezember 2015 – 18. April 2016.
30. 1970-იან წლებში ანსელმ კიფერი მუშაობდა ნახატების სერიაზე, რომლებზეც წარმოდგენილია ხის ინტერიერები. ნაჯახის დარტყმებით, ტყვიით, ქსოვილით და სხვა მასალებით შევსებული ნამუშევრები 1980 წელს ვენეციის ბიენალეს გერმანულ პავილიონში გამოფენილი იყო სახელწოდებით "დანახშირება, დასხეპვა, დაძირვა, დასილვა". ამ სერიის უცნობილეს ნამუშევრებს განეკუთვნება "გერმანული სულის გმირები" (1973) და "პარსიფალი III" (1973). იხილე ასევე: Siehe auch: "Anselm Kiefer: Verbrennen, Verholzen, Versenken, Versanden", hg. von Klaus Gallwitz, Ausst.-Kat. Biennale Venedig 1980: Deutscher Pavillon, Stuttgart 1980 und Walter Grasskamp, "Anselm Kiefer. Der Dachboden", in: ders. (Hg.), "Der vergeßliche Engel. Künstlerportraits für Fortgeschrittene", München 1986, S. 7–22.
31. Palais du Trocadéro არქიტექტორ გაბრიელ დავიოდის ისტორიული საგამოფენო დარბაზი იყო პარიზში, რომელიც 1878 წლის მსოფლიო გამოფენისთვის აიგო. "ექსპო-1937"-ისთვის მზადებისას ის ნეოკლასიცისტური Palais de Chaillot-ით ჩაანაცვლეს.
32. "Let a Thousand Flowers Bloom", Galerie White Cube, Hongkong, 16. Mai – 25. August 2012.
33. მარკუს ლიუპერცმა ვენეციის 39-ე ბიენალეს გერმანულ პავილიონში მონაწილეობის მიღებაზე უარი თქვა აზრთა შიდა სხვადასხვაობის გამო.
34. ანსელმ კიფერს ამსტერდამში, ჰელენ ვან დერ მეიეს გალერეაში, 1977-1982 წლებში ოთხი პერსონალური გამოფენა ჰქონდა.
35. 1981 წლის იანვარში ანსელმ კიფერმა კიოლნში, პაულ მენცის გალერეაში, პირველად გამოფინა თავისი ნამუშევრები, მარტში ის ნიუ-იორკში, მარიან გუდმენის გალერეაში გამოიფინა და, ასევე, მიუნხენში, სიქს ფრიდრიხის და საბინე კნუსტის გალერეაში იყო წარმოდგენილი.

36. "Anselm Kiefer: Paintings and Watercolours", Anthony d'Offay Gallery, London, 1983.
37. სხვა პერსონალურ გამოფენებს შორის, ამას მოჰყვა ანსელმ კიფერის გამოფენები ბერლინის ახალ ეროვნულ გალერეაში (1991), Sezon-ის ხელოვნების მუზეუმში ტოკიოში (1993), თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში სან პაოლოში (1998) და ნიუიორკის მეტროპოლიტენ მუზეუმში (1998).
38. "Arte Cifra – სინათლე და თაფლი, ბრძოლა და ქაქი", სანდრო ჩია, ფრანჩესკო კლემენტე, ნიკოლაი დე მარია, ნინო ლონგობარდი, მიმო პალადინო, ერნესტო ტატაფიორე. პაულ მენცის გალერეა, კიოლნი, 21 ივნისი - 21 ივლისი 1979.
39. "მიულჰაიმური თავისუფლება და საინტერესო სურათები გერმანიიდან", ჰანს პეტერ ადამსკი, ინა ბარფუსი, პეტერ ბიომმელსი, ვერნერ ბიუტტნერი, ვალტერ დანი, ჟირი გეორგ დოკოუპილი, გეორგ ჰეროლდი, გერარდ კევერი, გერჰარდ ნაშბერგერი, ალბერტ ოელენი, თომას ვახვეგერი. პაულ მენცის გალერეა, კიოლნი, 13 ნოემბერი – 20 დეკემბერი, 1980.
40. გამოფენა "ხატთმებრძოლეობა" 1989 წლის 8-28 აპრილს მიმდინარეობდა რაინჰალენში (კიოლნი). კურატორების ზიგფრიდ გორისა და იოჰანეს გახნანგის მიერ თემა განსაკუთრებით ინტერპრეტირებული იყო, როგორც ევროპული და ამერიკული ხელოვნების განვითარებას შორის დისკუსია, ასევე – კონცეპტუალურ და სამხატვრო სახელოვნებო სცენებს შორის დაპირისპირება.
41. ცენტრალურ ნამუშევარზე – "ხატთმებრძოლეობა" (1977) - დაფუძნებული ანსელმ კიფერის ნამუშევრების ჯგუფი მოიცავს ზეთით შესრულებულ სურათებს, ფოტოგრაფიებს და სახელოვნებო წიგნებს.
42. შდრ. Vgl. Anselm Kiefer, "Anselm Kiefer: Pressemitteilung", in: "Kunstforum International", Bd. 101 (1989), S. 408.
43. "Anselm Kiefer", Nationalgalerie, Berlin, 10. März – 20. Mai 1991
44. "Anselm Kiefer. Chevirat Ha-Kelim", Chapelle Saint-Louis de la Salpêtrière, Paris, 21. September – 05. November 2000.
45. "Anselm Kiefer. Sternenfall", Grand Palais, Paris, 30. Mai – 18. Juli 2007.

ერიკ ვაგნერი

გეიტსის ფონდის სავაქცინო აქტივობა

კორონაკრიზისში, როგორც აცრის აქტივისტი, საზოგადოებრივად გავლენიან მოვლენად წარმოჩნდება მილიარდელი ბილ გეიტსი. მისი ხმა ასე ჟღერს: პრობლემას ვაქცინა გადაჭრის, საქმე მხოლოდ დანერგვას ეხება. გეიტსის თანახმად, G20 ამიერიდან "იმუნიზაციის გლობალური პროექტის ლოჯისტიკასთან უნდა იქნას შეთანხმებული". ჩანს, ამის მერე დისკუსიებისა და ალტერნატიული გზების განხილვის მიმართ ინტერესი აღარ არსებობს. დრო არ იცდის და ყველა იმ გეიტსის იმედად არის, რომელმაც პანდემიის საშიშროება, ბოლოს და ბოლოს, უკვე წინდაწინ განჭვრიტა და ამიტომაც იცის, რა არის გასაკეთებელი. რამდენად საფუძვლიანია ასეთი ნდობა?

მაიკროსოფტის ყოფილი შეფის, ბილ გეიტსის ფონდი, "Bill and Melinda Gates Foundation"(BMGF), ნდობით აღჭურვილი სამი პირის მიერ კონტროლდება.[1] ესენი არიან: ბილ და მელინდა გეიტსები და საინვესტიციო ფონდის მენეჯერი უორენ ბაფეტი. ფონდის ქონება 50 მილიარდ დოლარს შეადგენს – ამ კაპიტალის თითქმის ნახევარი[2] ბაფეტის მიერ არის ინვესტირებული – და მრავალ საქველმოქმედო პროექტს აფინანსებს.

BMGF, აშშ-ის მერე, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის(WHO) უდიდესი დონორია და 2018 წელს მან ამ ორგანიზაციას 200 მილიონ დოლარზე მეტი ჩაურიცხა, მთლიანობაში იმაზე მეტი, ვიდრე – იმავე წელს გერმანიამ, საფრანგეთმა და შვედეთმა ერთად. ეს არ არის ერთადერთი გზა, რომლითაც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია გეიტსის მიერ ფინანსდება.

სავაქცინო ალიანსმა GAVI, რომელიც ადრე ცნობილი იყო როგორც Global Alliance for Vaccines and Immunisation (ვაქცინებისა და იმუნიზაციის გლობალური ალიანსი), 2018 წელს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას 150 მილიონი ამერიკული დოლარი გადაურიცხა. GAVI-ის მთავარი დამფინანსებელი[3] კი არის ისევ და ისევ , რომელმაც მას, მაგალითად, 2016 წელს 1,5 მილიარდი დოლარი გადაურიცხა.[4]

მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ BMGF და, შესაბამისად, ცოლ-ქმარი გეიტსები და უორენ ბაფეტი, პირდაპირი და არაპირდაპირი გზებით, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის შემოსავლების მთავარ წყაროს წარმოადგენენ, რაც ამ ფინანსური არხებიდან მისი დამოუკიდებლობის შესახებ კითხვებს ბადებს.[5] ამას გარდა, 2017 წელს BMGF-ის 100 მილიონდოლარიანი დაფინანსებით[6] დაფუძნდა "ეპიდემიების პრევენციაში ინოვაციების კოალიცია"(CEPI), რომელიც ვაქცინების კვლევებით და განვითარებით არის დაკავებული. აგრეთვე, ფონდი რეგულარულად მილიონობით დოლარით აფინანსებს ისეთ არასამთავრობო ორგანიზაციებს (ერთ-ერთია, მაგალითად, PATH), რომლებიც სავაქცინო ტექნოლოგიებით არიან დაკავებული. CEPI-ის მიერ დაფინანსებულთა სიაში[7] ირიცხებიან ისეთი დიდი გლობალური ფარმაკონცერნები, როგორებიც არიან, მაგალითად, Pfizer, Novartis, GlaxoSmithKline და Sanofi Aventis. ვაქცინების სფეროში BMGF-ის ყოვლისმომცველი ზეგავლენა თვალსაჩინოა.

"კრიზისებზე დამყარებული" დაფინანსება

კორონაკრიზისში თვალში საცემია, რომ ინსტიტუციები, რომლებიც ამჟამად მნიშვნელოვან როლს თამაშობენ, ასევე BMGF-ის მიერ ფინანსდებიან. ასე იღებს რეგულარულად დიდძალ შემოწირულობებს ჯონ ჰოპკინსის ამერიკული უნივერსიტეტი, სადაც მსოფლიოს მასშტაბით და ყველა მედიაში გავრცელებული კორონა-სტატისტიკა წარმოებს. მხოლოდ ბოლო

ათ წელიწადში გეიტსების ფონდიდან ამ უნივერსიტეტში 200 მილიონი დოლარი გადაირიცხა.[8] დანიშნულება კი ოჯახის დაგეგმვის პროგრამები იყო.

გერმანიაში რობერტ კოხის ინსტიტუტმა, როგორც კომპეტენტურმა ეროვნულმა ეპიდემიოლოგიურმა დაწესებულებამ, 2019 წლის ნოემბერში 250.000 დოლარი მიიღო.[9] ბერლინის Charité-ში (რომელიც პროფ. ქრისტიან დროსტენის დამქირავებელია) 2019 და 2020 წლებში ერთად 300.000 დოლარზე მეტი გადაირიცხა.[10] ინტერესების კონფლიქტი, როგორც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის შემთხვევაში, აქაც სახეზეა, რადგან ეს ინსტიტუციები ან მათი თანამშრომლები პოლიტიკურ რჩევებს იძლევიან, რომლებსაც გავლენა აქვთ იმ დაწესებულებებზე, რომლებსაც ფონდი ეხმარება ან რომლებშიც ფულის ინვესტირებას ახორციელებს.[11]

ამასობაში პორტალზე სახელწოდებით "Frag den Staat" ("ჰკითხე სახელმწიფოს")[12] გერმანიის ჯანდაცვის სამინისტროსა, შესაბამისად Charité-სა, და BMGF-ს შორის კონტაქტებსა და ფინანსურ კავშირებზე შეკითხვები გაჩნდა,[13] ამ შეკითხვებზე პასუხები კი შეიძლებოდა შთამბეჭდავი ყოფილიყო.

გერმანიაში ფონდის აქტივობები არ იფარგლება მხოლოდ ჯანმრთელობის ასპექტებით. იგი აღიარებული მედიასაშუალებების ფინანსურ მხარდაჭერასაც ახორციელებს. მაგალითად, ჟურნალმა "Spiegel"-მა 2018 წლის დეკემბერში 2,5 მილიონი დოლარი მიიღო,[14] გაზეთმა "Zeit"-მა 2019 წლის დეკემბერში – 300.000 დოლარი.[15] შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს მუქთად არ ხდება და ამ მედიასაშუალებების კრიტიკული გამოძიება გეიტსების ფონდთან დაკავშირებით მხოლოდ საალბათო შედეგებს ნამდვილად არ მოგვცემდა.

ამას გარდა, ეს ფონდი ერთ-ერთი ორგანიზატორია "Event 201"-ის სახელით ცნობილი პანდემია-სიმულაციისა, რომელიც 2019 წლის ოქტომბერში, კორონაკრიზისის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე, განხორციელდა.[16] მასში მონაწილეობდნენ – ისევ

და ისევ – ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტი და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი.

ჯანმრთელობის სფეროს და მედიასაშუალებების გავლენიან ინსტიტუციებთან მრავალმხრივი ფინანსური კავშირების გათვალისწინებით, BMGF და მასთან დაკავშირებული ორგანიზაციები განსაკუთრებული ყურადღებით უნდა იქნან განხილული. ეს განსაკუთრებით ეხება იმ გამორჩეულ მდგომარეობას, კრიზისის მენეჯმენტში რომლის დაკავებაც ბილ გეიტსს სურს და რომელსაც მას სთავაზობენ კიდეც უკრიტიკოდ.

რა მიზანი აქვს სავაქცინო აქტივობას?

პასუხის გასაცემად შეკითხვაზე, თუ რა მიზანი აქვს გეიტსის სავაქცინო აქტივობას, სასარგებლოა – თავად გეიტსს მოვუსმინოთ. 2010 წლის ერთ TED-Talk-ში მონაწილეობისას CO2-ის პრობლემასთან და მისი გადაწყვეტის ერთ შესაძლო ნაწილთან დაკავშირებით მან თქვა:[17]

"დღესდღეობით მსოფლიოში ცხოვრობს 6,8 მილიარდი ადამიანი. ეს რიცხვი დაახლოებით 9 მილიარდამდე გაიზრდება. ჩვენ თუ ამჟამად ახალ ვაქცინებზე, ჯანმრთელობის დაცვაზე და ოჯახების დაგეგმვაზე მართლაც კარგად ვიმუშავებთ, შევძლებთ 10 ან 15 პროცენტით ამ რიცხვის შემცირებას."

ის ამით ამბობს, რომ აცრები და ჯანმრთელობის დაცვის მიღწევები, ადამიანთა გამრავლებასთან მიმართებით, ხელს შეუწყობდა მოსახლეობის შემცირებას, რაც, იმავდროულად, თუნდაც მცირედით, კლიმატური პრობლემის გადაჭრაშიც დაგვეხმარებოდა. სხვათაშორის, ამ გამონათქვამთან დაკავშირებით უკვე არსებობს სხვადასხვა თვალსაზრისი, რომელთაც აქ არ განვიხილავთ. თუმცა იმაზე კი შეიძლება შევთანხმდეთ, რომ მსგავსი ღონისძიებები მხოლოდ თანამონაწილე ადამიანებთან ერთად თანამშრომლობით და მათი მკაფიო თანხმობით უნდა ხორციელდებოდეს. ამასვე განეკუთვნება, პირველ რიგში, ასეთი ჩარევების შედეგთა და რისკთა ამომწურავი განმარტებაც.

BMFG-ის პროექტებისა და მის მიერ დაფინანსებული ინსტიტუციების დროს რომ ასე არ ხდება, ამას შემდეგი შემთხვევა გვიჩვენებს.

ვაქცინაციის ბოროტად გამოყენება კენიაში

2014 წლის ოქტომბერში კენიის ჯანმრთელობის კათოლიკურმა კომისიამ საჩივარი აღძრა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და UNICEF-ის მიერ ტეტანუსის აცრებთან დაკავშირებით.[18] ეს იმიტომ მოხდა, რომ ადრეული წლების სავაქცინო კამპანიებთან შედარებით ცვლილებები გამოვლინდა, რომლებიც პასუხისმგებელ პირებს ეუცნაურათ. მაგალითად, კათოლიკური ეკლესია, რომელიც უამრავი სამედიცინო ორგანიზაციის დამაარსებელია, კამპანიაში არ ჩართეს; მასობრივ-საგანმანათლებლო სამუშაოც, პოლიომელიტის წინააღმდეგ ადრე ჩატარებული აცრების საპირისპიროდ, ძლიერ შეზღუდულად მიმდინარეობდა. ამას გარდა, ტეტანუსის აცრები, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განსაკუთრებული სანიტარული აუცილებლობის გარეშე და მხოლოდ 14-დან 49 წლამდე ასაკის ქალებს ჩაუტარდათ. ამან გააჩინა ეჭვი, რომ აქ შეიძლებოდა საქმე ეხებოდა შობადობის კონტროლისთვის შენიღბულ აცრებს. აღნიშნული აცრები დაკავშირებულია ადამიანის ქორიანულ გონადოტროფინთან (humanes Choriongonadotropin – hCG), რომელიც ჰორმონია და ორსულობის დაწყებაზე და შენარჩუნებაზეა პასუხისმგებელი.[19]

2015 წლის თებერვალში მეანე-გინეკოლოგმა, დოქტორმა ვაჰომე ნგარემ, კენიის ექიმთა კათოლიკური გაერთიანების სახელით, დიდი ბრიტანეთის კათოლიკური სამედიცინო საზოგადოების დარგობრივ ჟურნალში "Catholic Medical Quarterly" გამოაქვეყნა ბრალდებების შემცველი სტატია.[20] მისი ამ სტატიის თანახმად, ვაქცინა მიზანმიმართულად იქნა იმპორტირებული და მისი დასახელებაც განსხვავებული თანმხლები ნომრით აღინიშნებოდა, ვიდრე – ტეტანუსის ჩვეულებრივი ვაქცინა. ამას

გარდა, აცრების ხუთი ეტაპი ექვსთვიან შუალედებად იყო დაგეგმილი, რაც ტეტანუსის შემთხვევაში უჩვეულო, მშობიარობის ჩამშლელი hCG-ვაქცინებისთვის კი ჩვეულებრივია.

ამასთან ერთად, დოქტორი ვაჰომე ნგარე იმოწმებდა ასეთ "შენიღბულ" და მეთოდურად მსგავს სტერილიზაციის ღონისძიებებს მექსიკაში 1993 წელს და – ნიკარაგუასა და ფილიპინებზე 1994 წელს, როცა გოგონების და ქალების სტერილიზება მოხდა ისე, რომ მათ ამის შესახებ არაფერი იცოდნენ. სტატიის ავტორი წერდა, რომ კათოლიკურმა ეკლესიამ, როგორც კი ცნობილი გახდა ბრალდებები, მაშინვე საჩივრით მიმართა კენიის ჯანმრთელობის სამინისტროს და ვაქცინის ტესტირება მოითხოვა, მაგრამ ამაზე უარი მიიღო. შემდგომში კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლებმა მიაღწიეს იმას, რომ ვაქცინის ამპულები მოეპოვებინათ და ისინი დამოუკიდებელ მხარეს შეემოწმებინა.

ნგარეს თანახმად, ვაქცინა მართლაც შეიცავდა ნავარაუდევ ორსულობის ჰორმონს, რაც, მისი აზრით, ასაბუთებს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის წამყვან როლს შობადობის კონტროლის მიზნით განზრახ მასობრივ სტერილიზაციაში. ვიდრე ვაქცინის საიდუმლო ანალიზის შედეგები ცნობილი გახდებოდა, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ "ღრმა შეშფოთება" გამოხატა[21] კათოლიკური ეკლესიის "ცრუ ინფორმაციის" გამო, რომლის მტკიცებულებებიც თურმე არ არსებობდა. შედეგების გამოქვეყნების მერე კი მან თანხმობა განაცხადა, ვაქცინა ერთობლივი კომისიის ხელახალ ანალიზს დაქვემდებარებოდა.

რაც ჩატარებულმა სამეცნიერო კვლევამ დაადასტურა

2017 წლის ოქტომბერში, ლუიზიანას უნივერსიტეტის (აშშ) და British Columbia-ის (კანადა) მიერ დოქტორ ვაჰომე ნგარესთან ერთად გამოქვეყნებულმა სამეცნიერო ნაშრომმა დაადასტურა გამოთქმული ბრალდებები.[22] ტეტანუსის შემთხვევაში მიმ-

ინარე აცრების ნაცვლად დაგეგმილი ხუთი აცრა იდენტური იყო მოსახლეობის კონტროლისთვის განკუთვნილისა, და დამაჯერებლად ვერ საბუთდებოდა, თუ რატომ შეადგენდნენ სამიზნე ჯგუფს მხოლოდ შობადობისუნარიანი გოგონები და ქალები.

ამას გარდა, უჩვეულო იყო, რომ კამპანიის კოორდინირება ხდებოდა არა სამედიცინო დაწესებულებიდან, არამედ – სასტუმროდან, ხოლო ვაქცინის მიწოდება და ამოღება საპოლიციო დაცვის ქვეშ მიმდინარეობდა. მედიცინის დების მუშაობის პროცესიც ასევე ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და პოლიციის მიერ კონტროლდებოდა. მეცნიერთა თანახმად, საიდუმლოდ შემოწმებულ ვაქცინებში შესაძლებელი გახდა ორსულობის ჰორმონების დადასტურება, მაშინ, როცა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მოგვიანებით მიწოდებულ ვერცერთ ვაქცინაში ისინი ვერ აღმოაჩინეს. ამრიგად, მართლდებოდა ეჭვი, რომ ნაცადი იყო ვაქცინის ჩანაცვლების მანიპულაცია და ამითვე შეიძლებოდა ახსნილიყო თავდაპირველი ვაქცინის ირგვლივ უსაფრთხოების უჩვეულო ზომები. ასე რომ, შესაძლებელი გახდა კენიაში იძულებითი სტერილიზაციისა და, შესაბამისად, მოსახლეობის კონტროლის ღონისძიებებში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მთავარი როლის დამტკიცება.

მოსახლეობის კონტროლის გეგმები ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციაში 1972 წლიდან

მეცნიერებმა ამავე კონტექსტში გამოიკვლიეს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში მოსახლეობის კონტროლის ღონისძიებებიც,[23] რომლებიც 1945 წელს ორგანიზაციის დაარსებიდანვე ფიგურირებს ევფემისტური სახელწოდებით "ოჯახის დაგეგმვა". მოსახლეობის კონტროლის მიზნით ვაქცინაციის განვითარებისთვის ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის კვლევითმა პროგრამამ სტარტი აიღო 1972 წელს,[24] გამოკვლევა კი 1976 წელს გამოქვეყნდა.25 მეცნიერთა თანახმად, წილხვდომილთა თანხმობის გარეშე ჯანდაცვის მსოფლიო ორგანი-

ზაციის სასტერილიზაციო "სერვისები" ცნობილია 1970-იანი წლებიდან, მაშინ, როცა დოქტორ ნგარეს მიერ დასახელებულმა 1990-იანი წლების შემთხვევებმა მექსიკაში, ნიკარაგუაში და ფილიპინებზე ასევე აღშფოთება გამოიწვია.

გეიტსების ფონდი, რომელიც თავდაპირველად 1994 წელს გეიტსის მამამ, უილიამ გეიტს უფროსმა დააარსა, დღესაც აფინანსებს ოჯახის დაგეგმვის ღონისძიებებს. როგორც უკვე აღინიშნა, ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტმა ბოლო ათ წელიწადში ამ მიზნით 200 მილიონ დოლარზე მეტი მიიღო.[26] ამას გარდა, BMGF აფინანსებს ორგანიზაციას სახელწოდებით "Planned Parenthood" ("დაგეგმილი მშობლობა"), რომელსაც ჯერ კიდევ ბილ გეიტსის ახალგაზრდობაში უძღვებოდა მამამისი[27] და რომელიც იშვა "American Birth Control League"-დან ("შობადობის კონტროლის ამერიკული ლიგა"). როგორც ჩანს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის დაფინანსება და გეიტსების ფონდის სავაქცინო აქტივიზმი, ასევე მოსახლეობის კონტროლის სახელით, ოჯახური ტრადიციის გაგრძელებაა.

ვაქცინაციის ბოროტად გამოყენება ერთეული შემთხვევა არ არის?

აცრების ბოროტად გამოყენებაში MBGF-ის უშუალო მონაწილეობა არ დამტკიცებულა. თუმცა კითხვები ღიად რჩება, როგორც ამას 2009 წელს ინდოეთში მომხდარი ერთი შემთხვევა ცხადყოფს.[28] იქ ფონდის მიერ დაფინანსებულმა ორგანიზაცია PATH-მა საშვილოსნოს ყელის კიბოს საწინააღმდეგო ვაქცინით 9-დან 15 წლის ასაკამდე 16.000 გოგონაზე ჩაატარა გამოკვლევა. ამის მერე გოგონებიდან ბევრი დაავადდა და ხუთი გარდაიცვალა, სხვა ადგილას კი 14.000 ბავშვიდან ვაქცინაციამ ორი შეიწირა. PATH-ს და MBGF-ს ბრალად დასდეს, რომ ბავშვების ძირითადად წერა-კითხვის უცოდინარი მშობლებისთვის ვაქცინის და მასთან დაკავშირებული რისკებისა და მიზნების შესახებ არაფერი განუმარტავთ.

ადვოკატი და აცრების კრიტიკოსი რობერტ კენედი-უმცროსი ერთ თავის სტატიაში[29] ჩამოთვლის გეიტსის მიერ მხარდაჭერილი პროექტების ფარგლებში აცრების ბოროტად გამოყენების მთელ სერიას. მისი ორგანიზაცია "Children's Health Defense" ("ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვა"), კორონაკრიზისის ფარგლებში, დაბეჯითებით მოგვიწოდებს სიფრთხილისკენ გეიტსის ვაქცინასთან დაკავშირებით.[30]

ID 2020 – ციფრული იდენტობა

გეიტსის მიერ დაფინანსებული სხვა პროექტების გათვალისწინებით, აცრების მასშტაბური არამიზნობრივი გამოყენების წარმოდგენა სავსებით შესაძლებელია.

"Digital Identity Alliance", მოკლედ "ID 2020", ერთი დევიზის თანახმად ("კარგი ციფრული პიდარობის მოწმობის მოთხოვნილება უნივერსალურია"),[31] ისეთი ციფრული იდენტობის შექმნას ესწრაფის, როგორმაც ადამიანებს შესაძლებლობა უნდა მისცეს, საზღვრებს გარეთაც იდენტიფიცირებულები იყონ და თავიანთ პირად მონაცემებზე კონტროლიც შეინარჩუნონ. პროექტის დამფუძნებელი პარტნიორები არიან გეიტსის ფირმა მაიკროსოფტი, გეიტსის მიერ ფინანსირებადი სავაქცინო ალიანსი GAVI, მეწარმეთათვის საკონსულტაციო დახმარების გაწევის სამსახური Accenture და აშშ-ის ერთ-ერთი უძველესი და უმდიდრესი როკფელერის ფონდი.[32]

2019 წლის სექტემბრიდან "Digital Identity Alliance" კოოპერირებს ბანგლადეშის მთავრობასთან, ციფრული იდენტობის შემოღების მიზნით.[33] ეს გულისხმობს აცრების კომბინირებას ბიომეტრიული მონაცემების ჩაწერასთან, მაგალითად, თითის ანაბეჭდებთან, რაც შესაძლებელს გახდის მოცემული პირის ციფრულ იდენტიფიცირებას.[34]

2020 წლის თებერვლამდე უკვე დამზადებულია პირადობის დამადასტურებელი 100 მილიონი ციფრული საიდენტიფიკაციო მოწმობა, როგორც ეს პასუხისმგებელმა მინისტრმა მსოფლიო

ეკონომიკური ფორუმისთვის განკუთვნილ თავის ერთ სტატიაში განაცხადა.[35]

ეს მოწმობები გაიყიდება როგორც "ციფრული ინკლუზივი", ვითომდა ახალი მსოფლიოს პრივილეგიებში ხელმოკლე ადამიანების შემოსაერთებლად.

მოგზაურობა მხოლოდ "იმუნიტეტის ციფრული მოწმობით"?

უკვე ევროპაშიც სახეზეა ამ ტექნოლოგიების დანერგვის პირველი მცდელობები. მაგალითად, Handelsblatt-ის ჟურნალისტი ნორბერტ ჰერინგი იუწყება მსოფლიო ეკონომიკის ფორუმის პროგრამა "Known Traveller"-ის ფარგლებში[36] მისი გამოყენების შესახებ, რაც პირველ ხანებში ითვალისწინებს თვითმფრინავით მგზავრობისას მონაცემთა ნებაყოფლობით გაღიავებას დოკუმენტაციის პრივილეგირებული დამუშავებისთვის. მაგრამ დროთა განმავლობაში შესაძლებლად მიიჩნევა სავალდებულო რეგულაციაც, როცა სისტემა გამოიცდება. 24 მარტს, TED-ის მოდერატორ კრის ანდერსონთან ინტერვიუში, გეიტსმა განმარტა:

"ბოლოს და ბოლოს, *ჩვენ დაგვჭირდება ცნობები იმის შესახებ, თუ ვინ არის გამოჯანმრთელებული პირი და ვინ არის აცრილი პირი, ვინაიდან ადამიანებმა არ უნდა იმოგზაურონ მსოფლიოში, ვიდრე არსებობენ ქვეყნები, რომლებიც სიტუაციას ვერ აკონტროლებენ. არც ის უნდა იყოს შეუძლებელი, რომ ადამიანები ამ ქვეყნებში შევიდნენ და იქიდან დაბრუნდნენ და გადაადგილება შეძლონ. ბოლოს და ბოლოს, იარსებებს იმუნიტეტის დამადასტურებელი ერთგვარი ციფრული მოწმობა, რომელიც [იზოლაციის მერე] მთელ მსოფლიოში საზღვრების გახსნას გააიოლებს*"[37]

ბოლო – ერთობ ფეთქებადსაშიში – წინადადება TED-ის ინტერვიუს ოფიციალურ ვერსიაში ამოჭრილია (33:55-ე წუთი). ნორბერტ ჰერინგი ამასთან დაკავშირებით შემდეგ კომენტარს აკეთებს:[38]

"ციფრული ცნობის ქონა პრაქტიკულად ჟღერს, რადგან სწრაფი და მარტივია. მაგრამ თუ ასეთი ციფრული ცნობა ინტერნაციონალური მგზავრობისთვის გლობალურად გამოყენებადი უნდა იყოს, ის ხომ საჭიროებს ამგვარი ცნობების მონაცემთა ისეთ ბაზასაც, რომელიც უსაფრთხოა და ყველასთვის მისაწვდომიც, სტანდარტს მონაცემთა გაცვლისთვის, რომელიც ყველგან ფუნქციონირებს, და – გლობალურ სტანდარტს ცნობის ნამდვილობის სერთიფიცირებისთვის. ამ ყველაფრის განვითარება და განხორციელება სურს აშშ-ის შინაგანი უსაფრთხოების სამინისტროსა და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ შემუშავებულ პროგრამას "Known Traveller". ბილ გეიტსი მსოფლიო ეკონომიკის ფორუმის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი წევრია, თუ ყველაზე უფრო გავლენიანი – არა.

Covod-19-ით შესაძლო ინფიცირებულთა იდენტიფიცირების მიზნით, ორი ყველაზე დომინირებადი მობილური ტელეფონის საოპერაციო სისტემებისთვის – Android და iOS – ერთიანი კორონა-აპლიკაციის შესაქმნელად Google-ისა და Apple-ის ახლანდელი თანამშრომლობით,[39] შესაძლებელი გახდებოდა მონაცემთა გლობალურად წვდომადი ბაზის შექმნა. (...) და პროგრამა "Known Traveller" პირველი გამოყენებისთვის მზად არის. (...) ყველას აქვს უფლება, თავად გადაწყვიტოს, იმოგზაურებს და აპლიკაციას გამოიყენებს თუ შინ დარჩენას აირჩევს.

ვინაიდან Google და Apple ისედაც მჭიდროდ და სრული ურთიერთნდობის სულისკვეთებით თანამშრომლობენ სახელმწიფო უსაფრთხოების ორგანოებთან და საიდუმლო სამსახურებთან, გამოყენების სხვა სფეროების დამატება პრობლემა არ იქნება. თავდაპირველად, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება უსაფრთხოების სამსახურებმა დასვან აღნიშვნა "მგზავრობა ეკრძალება" ან "ექვემდებარება საგანგებო კონტროლს". შემდგომში შეიძლება საჭიროებისამებრ სისტემის კიდევ უფრო დახვეწა (...). Covid-19-ის წყალობით ლამაზი ახალი მსოფლიო გიგანტური ნაბიჯებით გვიახლოვდება."

დროთა განმავლობაში ეს ღონისძიებები შესაძლებელს გახდის ყოვლისმომცველ კონტროლს, რომელსაც დაექვემდებარება ნებისმიერი, ვისაც ჯერ კიდევ სურს, ამა თუ იმ სახით სიცოცხლეში ჩართულობა. აშკარაა, რომ ამჟამინდელმა კრიზისულმა ვითარებამ მხოლოდ გამოსადეგი პირობები შექმნა დაჩქარებული ტემპით მსგავსი გეგმების დასანერგად.

"ჩვენ ამ ვაქცინას შვიდი მილიარდ ადამიანს დავუმზადებთ"

სატელევიზიო გადაცემამ ARD Tagesthemen ჯეროვნად მიიჩნია, 12 აპრილს პლატფორმა დაეთმო გეიტსისთვის, რათა მას გერმანელი მაყურებლისთვის თავისი ჩანაფიქრი გაეცნო.[40] ამ დროს მოდერატორი ინგო ცამპერონი ისე იქცეოდა, როგორც დისკუსიაში სიტყვის მიმცემი, საუბარი კი თავისი ხასიათით BMGF-ის პრესკონფერენციას ჰგავდა და არა – განმარტებით დაინტერესებულ ახალი ამბების გადაცემას. სავსებით გეიტსის სულისკვეთებით დაასკვნა ბოლოს ცამპერონიმ, რომ "ყველა სირთულის მიუხედავად, პანდემიას მხოლოდ მაშინ მოვერევით, როცა ვაქცინას შევიმუშავებთ".

გეიტსი ამას დაეთანხმა და ხაზი გაუსვა, რომ ჩვენ ნორმალურ ცხოვრებას მხოლოდ მაშინ დავუბრუნდებით, "როცა ჩვენ ან სასწაულმოქმედ საშუალებას მივაგნებთ, რომელიც შემთხვევების 95 პროცენტს უშველის, ან ვაქცინას შევიმუშავებთ". ამას გარდა, იმასაც გაუსვა ხაზი, რომ "ჩვენ"(!) ვაქცინას, რომელზეც ვმუშაობთ, "საბოლოოდ შვიდ მილიარდ ადამიანს დავუმზადებთ". ისმის კითხვა, თუ ვიზე ფიქრობს გეიტსი, როცა ის ამ კონტექსტში "ჩვენ"-ზე ლაპარაკობს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ესეც მისი ფონდის მიერ დაფინანსებული ინსტიტუციებია.

გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს გეიტსების ფონდის და ამ ფონდის აქტივობების კრიტიკული განხილვა, აგრეთვე – სწორედ სავაქცინო აქტივიზმთან, ციფრულ იდენტობასთან და ყოვლისმომცველ კონტროლთან და თვალთვალ-

თან დაკავშირებული მიმდინარე მოვლენების შესახებ საფუძვლიანი ინფორმაციების მოძიება.

იმას, თუ როგორი ღონისძიებების გატარება გახდა ამასობაში შესაძლებელი, გვიჩვენებს იძულებითი ტესტირების, იძულებითი ვაქცინაციის და იძულებითი მკურნალობის კანონიერი ნებართვა დანიაში.[41] თუ არ მოხერხდება ასეთი ღინისძიებებისა და სტრუქტურების შესახებ ფართო საზოგადოებრიობის ინფორმირება, ამჟამინდელ კრიზისულ სიტუაციაში საზოგადოება შესაძლებელია პოლიციურ და თვალთვალის სახელმწიფოდ გადაიქცეს, რომელმაც ეს ყველაფერი მთელი სიგრძე-სიგანით შესაძლოა მხოლოდ მაშინ გააცნობიეროს, როცა ციფრული ხელბორკილები ჩაირაზება.

[1] https://www.gatesfoundation.org/Who-We-Are/General-Information/Leadership/Executive-Leadership-Team

[2] https://www.gatesfoundation.org/Who-We-Are/General-Information/Foundation-Factsheet

[3] https://www.gavi.org/sites/default/files/document/2019/GAVI%20Alliance%202018%20Annual%20Financial%20Report.pdf

[4] https://www.gatesfoundation.org/How-We-Work/Quick-Links/Grants-Database/Grants/2016/01/OPP1131658

[5] https://www.youtube.com/watch?v=dYlia_fQOLk

[6] https://www.gatesfoundation.org/How-We-Work/Quick-Links/Grants-Database/Grants/2017/11/OPP1180343

[7] https://www.gatesfoundation.org/How-We-Work/Quick-Links/Grants-Database

[8] https://www.gatesfoundation.org/How-We-Work/Quick-Links/Grants-Database#q/k=johns%20hopkins&sort=amount

[9] https://www.gatesfoundation.org/How-We-Work/Quick-Links/Grants-Database/Grants/2019/11/OPP1216026

[10] https://www.gatesfoundation.org/How-We-Work/Quick-Links/Grants-Database#q/k=charite

[11] https://sif.gatesfoundation.org/portfolio/

[12] https://fragdenstaat.de/anfrage/kontakte-und-mehr-zwischen-dem-bundesgesundheitsministerium-und-der-bill-melinda-gates-stiftung/
[13] https://fragdenstaat.de/anfrage/spendenfordermittel-durch-die-bill-and-melinda-gates-foundation-an-die-charite-berlin/
[14] https://www.gatesfoundation.org/How-We-Work/Quick-Links/Grants-Database/Grants/2018/12/OPP1203082
[15] https://www.gatesfoundation.org/How-We-Work/Quick-Links/Grants-Database/Grants/2019/12/INV-003042
[16] https://www.centerforhealthsecurity.org/event201/
[17] https://www.youtube.com/watch?v=JaF-fq2Zn7I&feature=youtu.be&t=237
[18] https://www.kccb.or.ke/home/news-2/press-statement-5/
[19] https://de.wikipedia.org/wiki/Humanes_Choriongonadotropin
[20] http://www.cmq.org.uk/CMQ/2015/Feb/kenyan_catholic_drs_statement.html
[21] https://web.archive.org/web/20170803221642/https://www.unicef.org/kenya/media_15665.html
[22] https://www.scirp.org/html/81838_81838.htm
[23] https://www.nzz.ch/wissenschaft/bildung/ueberzaehlig-sind-immer-die-anderen-1.18072764
[24] https://www.scirp.org/html/81838_81838.htm
[25] https://www.pnas.org/content/73/1/218
[26] https://www.gatesfoundation.org/How-We-Work/Quick-Links/Grants-Database#q/k=johns%20hopkins&sort=amount
[27] http://www.pbs.org/now/transcript/transcript_gates.html
[28] https://economictimes.indiatimes.com/industry/healthcare/biotech/healthcare/controversial-vaccine-studies-why-is-bill-melinda-gates-foundation-under-fire-from-critics-in-india/articleshow/41280050.cms
[29] https://childrenshealthdefense.org/news/government-corruption/gates-globalist-vaccine-agenda-a-win-win-for-pharma-and-mandatory-vaccination/
[30] https://childrenshealthdefense.org/news/heres-why-bill-gates-wants-indemnity-are-you-willing-to-take-the-risk/

[31] https://id2020.org/digital-identity#approach
[32] https://id2020.org/alliance
[33] https://www.biometricupdate.com/201909/id2020-and-partners-launch-program-to-provide-digital-id-with-vaccines
[34] https://www.biometricupdate.com/201906/nec-and-simprints-join-forces-with-gavi-to-extend-vaccination-coverage-with-biometrics
[35] https://www.weforum.org/agenda/2020/02/digital-inclusion-made-bangladesh-stand-out/
[36] https://norberthaering.de/die-regenten-der-welt/known-traveller-2/
[37] https://www.youtube.com/watch?v=R3VowBAYKZo&feature=youtu.be&t=2338
[38] https://norberthaering.de/die-regenten-der-welt/gates-covid-19-ktdi/
[39] https://www.handelsblatt.com/technik/it-internet/coronavirus-google-und-apple-wollen-zusammen-die-coronavirus-ausbreitung-bekaempfen/25733910.html?ticket=ST-4312376-YCb33cOxg66CcqyncOLd-ap1
[40] https://www.youtube.com/watch?v=083VjebhzgI
[41] https://www.fr.de/politik/coronavirus-sars-cov-2-daenemark-notfalls-militaer-13598503.html

16.04.2020

ვოლგფანგ ვოდარგი

ომი ჯოკერის წინააღმდეგ

ფარმაინდუსტრია და მისი ვირუსოლოგები ამჟამად გამჭვირვალე მიზნებით ცდილობენ, მოახდინონ პათოგენი SARS-CoV2-ის, როგორც სტაბილური მტრის, დეფინირება. "ვირუსის წინააღმდეგ ომისთვის" საჭიროა საფრთხე, რომელსაც ეკლებიანი ბურთულის ფორმა აქვს. ვაქცინაციით შეპყრობილი ბილ გეიტსის და მისი პოლიტიკოსი მეგობრების გახმოვანებული მიზანია "კორონასგან თავისუფალი მსოფლიო". ისინი, შესაძლო ვაქცინაციის გათვალისწინებითაც კი, ცდილობენ თავს მოგვახვიონ ვირუსების სამყაროში მკაფიოდ დეფინირებადი მოწინააღმდეგის ილუზორული სურათი. იმიტომ, რომ ვაქცინის მწარმოებლებისთვის ეს არის ტესტირების ბიზნესისა და მთელ მსოფლიოში სახელმწიფოებრივად უზრუნველყოფილი სავაქცინო ორგიის მოწყობის წინაპირობა. დღეს, 2020 წლის 4 მაისს, იმართება დონორების ონლაინ-კონფერენცია სახელწოდებით "კორონასგან თავისუფალი მსოფლიოს შექმნა" (ARD-Tagesschau-ში) და კანცლერი მერკელი გვპირდება ამ მიზნით ჩვენი გადასახადებიდან მილიარდების ინვესტირებას.

მეცნიერული თვალსაზრისით, მთელი ეს მონდომება – რბილად რომ ვთქვათ – სწორი გზიდან საშიში გადახვევაა. მე ჯერ არაფერს ვამბობ ამ სიგიჟით მოხეირეებზე.

სიცოცხლე არ არის ტრივიალური და კალკულირებადი

სრულიად ნათელია, რომ SARS-ვირუსიც მიმდინარეა და დიდი სისწრაფით იცვლება.[1] და რა სარგებელი შეიძლება ჰქონდეს იმის წინააღმდეგ ვაქცინაციას, რამაც უკვე დიდი ხანია ურიცხვჯერ იცვალა სახე?

ჩვენი იმუნური სისტემის რეაგირებაც არაპროგნიზირება-

დია. ჯვარედინი იმუნიტეტები? იმუნური მეხსიერება? ტესტების სპეციფიკურობა და სანდოობა აქროლვადია. იგივე ეხება ვაქცინას.

ამიტომ არის იმუნიტეტის მოწმობა ფარსი, და თუ ამას კანონის ძალა მიეცემა, ეს იქნება ჯანმრთელობის გაუმართლებელი დაცინვა.

ამავე მიზეზით წარმოადგენს რესპირატორული ვირუსების წინააღმდეგ მასობრივი აცრები სარისკო სიბრიყვეს და, გარკვეულ შემთხვევებში, სხეულის დაზიანების მიზეზს. სწრაფად ცვალებადი პათოგენების შემთხვევაში, აცრის წარმატება, როგორც გრიპზე აცრის შემთხვევაში, გამართლების საქმეა. მხოლოდ აცრის მერე შეიძლება გაირკვეს, გრიპს აცრილები უკეთ გაუმკლავდნენ თუ – აუცრელები. ეს კარგი ბიზნესია, რადგან ეფექტურობის დამაჯერებელი შემოწმება, რა თქმა უნდა, წინასწარ არასდროს იქნება შესაძლებელი. ამას გარდა, აქამდე ასე იყო: იქ, სადაც ვირუსის ერთ რომელიმე სახეობას აცრის მიზეზით სიცოცხლე უძნელდება, სხვა ვირუსები ხარობენ და მრავლდებიან.[2]

დიდი ხანია, რაც ვუჰანის ვირუსები შარშანდელი თოვლია

საქმე ეხება იმ რნმ-ვირუსების მუტაციის ზედმეტად მაღალ სისწრაფეს, რომლებსაც SARS-CoV2 მიეკუთვნება. შთამბეჭდავად არის დემონსტრირებული ეს სისწრაფე CoV-Glue-ის ვებგვერდზე "Amino acid analysis for the SARS-CoV-2 pandemic".[3] SARS-CoV2-ისთვის ეს სისწრაფე უმოკლესი პერიოდია, დაახლოებით 4 თვეში, 7237 არასინონიმურ, ე. ი. ამინომჟავების შემცვლელ მუტაციას (შენაცვლებადს), 6 ინსერციას (დამატებითი ბაზების ჩართვას) და 87 დელეციას (გენების თანმიმდევრობაში ფუძეების განადგურებას) აღწერს მიგნებული გენების თანმიმდევრობაში.

საუბარია მხოლოდ ერთ გენომზე, როცა ის დაახლოებით 30.000 ფუძისგან შედგება და უმცირეს დროში განიცდის მუტა-

ციებს, ინსერციებს და დელეციებს. და ეს მხოლოდ რამდენიმე ათასი სეკვენცირებული SARS-CoV2 ვირუსის მონაცემებია. ბუნება კი ბევრად, ბევრად მეტს იცნობს. არასინონიმური მუტაციები იმას იწვევენ, რომ ვირუსის პროტეინებში ამინომჟავები ჩაშენდებიან. როგორც მონაცემები გვიჩვენებს, ეს მუტაციები მხოლოდ კვირების განმავლობაში (!) წარმოიქმნება.

ინსერციებს და დელეციებს განსაკუთრებული მიშვნელობა აქვთ, რადგან მათ, სხვა ყველაფერთან ერთად, შეიძლება გამოიწვიონ ფრეიმშრიფტი (ათვლის ჩარჩოს გადაადგილება), რომლის შედეგადაც მთელი მომდევნო ჯაჭვი სხვაგვარად იკითხება. ამას ემატება სინონიმური მუტაციებიც, რომლებიც SARS-CoV2-ის პირველადი სტრუქტურის პროტეინებს თუმცა კი არ ცვლიან, მაგრამ დიაგნოსტიკაში გარკვეულ როლის თამაში კი შეუძლიათ. ამას გარდა, არსებობს სხვა ბევრი ღია შეკითხვა სინონიმური მუტაციების სხვა ეფექტებთან დაკავშირებით.

პჯრ-ის (პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის) ტესტთან დაკავშირებით ეჭვი თავიდანვე გაჩნდა. ამასთან დაკავშირებით იხილეთ: Li et al., "Stability Issues of RT-PCR Testing of SARS-CoV-2 for Hospitalized Patients Clinically Diagnosed with COVID-19.", J Med Virol. 2020 Mar 26. doi: 10.1002/jmv.25786.[4]

დაუსრულებელი ისტორიის მყისიერი ფოტოკადრები

კიდევ ერთი არსებითი საკითხი ის არის, რომ დღემდე სეკვენცირებული SARS-CoV2-ის ვირუსები ბუნების უკიდურესად მცირე ფრაგმენტს გვიჩვენებენ. ეს ფრაგმენტი, ყველა კორონავირუსის საერთო გენომთან პროპორციის თვალსაზრისით, ყველა ადამიანის შემთხვევაში უმნიშვნელოა. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ არსებობს არა მარტო SARS-CoV2, არამედ ჰუმანური სხვა კორონავირუსებიც – და ისინიც მუტირებენ. ასე რომ არ იყოს, ვერც SARS-CoV2-ს გადავეყრებოდით.

SARS-CoV2-ის, მაგალითად მისი გენეალოგიის, კომპიუტერული ანალიზი (ფილოგენეტიკური ანალიზი), ბუნების იმ უკიდუ-

რესად მცირე ფრაგმენტის საფუძველზე, რომელიც დღესდღეობით არსებობს, ერთობ პრობლემურია. ბოლო 15 წლის მანძილზე კორონავირუსებს არავინ დაკვირვებია, არც ადამიანებში და არც ცხოველებში. მონაცემთა ბაზებში კორონავირუსის გენური სეკვენციების ბევრად უფრო დიდი ნაწილი ან ბოლო 4 თვის მონაცემებია ან – 15 წლის სიძველის.

ამ კრიტიკაში ახალი არაფერია, განსაკუთრებით, როცა საქმე ეხება მიგნებული გენური სეკვენციების ერთობ არაჰომოგენურ გეოგრაფიულ განაწილებას. იხილეთ: Mavian et al, "Regaining perspective on SARS-CoV-2 molecular tracing and its implications", medrxiv, 20.3.2020:[5] "ახალ გენეალოგიურ ხეზე, რომელიც მხოლოდ ერთი კვირის მერე იქნა მიღებული, სახეზე იყო გენომების 135 ახალი სრული სეკვენცია GSAID-ზე (სურათი S2), მაგრამ გერმანიასა და იტალიას შორის კავშირი გაქრა პორტუგალიიდან, ბრაზილიიდან, უელსიდან და ჰოლანდიიდან დამატებითი, ადრე არჩატარებული, კლასტერიზაციის გამო (სურათი 2b)."

ზოონოზი? ტევადი და საკამათო ცნება, რადგან ადამიანიც ზოონს წარმოადგენს

გამოქვეყნებული ნაშრომების ერთი ნაწილი იმაზე მეტყველებს, რომ SARS-CoV2-ის ჰაპლოტიპები (ე. ი. გენეტიკური ნიმუშები) ისევ გაუჩინარდნენ, ესე იგი, ისინი აღარ მოიპოვებიან ახლად სეკვენცირებულ ფუძეთა მწკრივებში. დიდი ხანია, რაც SARS(1)-იც გაუჩინარებულია. რა აზრი აქვს ორ გენურ სეკვენციას შორის არსებულ გენეტიკურ მანძილს?

თუმცა ვირუსოლოგია იმას იქმს, რასაც ბოლო 30 წლის განმავლობაში იქმოდა. ის პოულობს ვირუსულ გენურ სეკვენციას, რომელიც მისთვის აქამდე უცნობი იყო, და ახლად აღმოჩენილ ვირუსს განმარტავს, როგორც სასიკვდილო ვირუსს. ამ განმარტებამ რომ იმუშაოს, ვირუსოლოგიას ზოონოზიის ჰიპოთეზა ესაჭიროება. უამისოდ არაფერი გამოვა!

ეს – იმიტომ, რომ მხოლოდ იმ ჰიპოთეზის წყალობით, რომ პათოგენი 2019 წლის მიწურულს, მისი მატარებელი ცხოველიდან ადამიანზე ვუჰანის თევზის ბაზარში ახლად გავრცელდა, მყისიერად შეიძლება მაღალი პათოგენურობის (=დაავადების გავრცელების მაღალი პოტენციალის) დაშვება. რაკი პათოგენი ადამიანისთვის ახალი ყოფილა, თურმე ამიტომაც არ ჰქონიათ ადამიანებს შესაძლებლობა, ვირუსის საწყისი მატარებელი ცხოველების საპირისპიროდ, ამ ახალ პათოგენთან ადაპტირებულიყვნენ. ეს პროცედურა იმიტომაც ფუნქციონირებს წარმატებით, რომ დასკვნებს ყოველთვის მძიმედ ავადმყოფი პაციენტების საფუძველზე აკეთებენ, რომლებიც ასევე ხშირ შემთხვევაში, რამდენიმე სხვა დაავადებას განიცდიან (მულტუმორბიდულნი არიან), ხოლო უსიმპტომო ან სუსტი სიმპტომების მქონე ადამიანებს არ ამოწმებენ. და უმალვე ხელთ აქვთ მოჩვენებითი მტკიცებულება, რომ პოზიტიური ტესტი და სიკვდილი მხარდამხარ დგანან.

ამის მტკიცებულებად დროსტენი, ვილერი & კომპანია ორ სეკვენციას აფრიალებენ, რომელთაგან ერთი ცხოველური კორონავირუსის არის და მეორე – ჰუმანური კორონავირუსის, და დიდ გენეტიკურ მანძილს უთითებენ. ამ მტკიცებულების წამოყენება ასე მარტივად იმიტომ შეიძლება, რომ იმ ყველაფრისთვის, რაც შუალედშია, მონაცემები არ არსებობს. ცხოველური და ჰუმანური კორონავირუსები აუცილებელი სიმჭიდროვით არავის გაუზომავს ბოლო 15 წლის განმავლობაში.

ერთობ დიდ რაოდენობას ადამიანებისა, რომელთაც SARS-CoV2 გამოუვლინდათ, ან საერთოდ არ აღენიშნება სიმპტომები ან მსუბუქი სიმპტომები აღენიშნება. იმ ასიმპტომატური ადამიანების წილად, რომელთაც სიმპტომები არ აღენიშნებათ, 50-70% სახელდება. ეს შეუძლებელი იქნებოდა, იმუნური სისტემა ამ ვირუსს მომზადებული რომ არ შეხვედროდა. ეს მიგვითითებს უწყვეტ განვითარებას SARS-CoV2-მდე (და მის ბევრ ვარიანტამდე).

ვინც საწყისზე ლაპარაკობს, ამით მხოლოდ იმას გვიჩვენებს, თუ სად დაიწყო მან აზროვნება

უფრო და უფრო მატულობს ფილოგენეტიკური ანალიზების რაოდენობაც, ურიცხვი ურთიერთგანსხვავებული გენური სეკვენციიდან სხვა გენეალოგიური ხის აგების მცდელობები, საპირისპირო იმ ჰიპოთეზისა, რომ SARS-CoV2 2019 წლის მიწურულს ზოონოზის შედეგად გაჩენილი ახალი ვირუსია.

ამ სახეობის ანალიზები, უმოკლეს დროით შუალედში ჩატარებული შერჩევის გამო, პრობლემურია. მაგრამ დღესდღეობით მეტი არაფერი გაგვაჩნია. ამას ისიც ემატება, რომ ნულოვანი მომენტი, ესე იგი, ეტალონური სეკვენცია, რომლის მიხედვითაც მუტაციებს აფასებენ, ნებისმიერობით არის შერჩეული. ახალი პჯრ-ტესტით გაზომვა მხოლოდ ჩინეთში დაიწყეს და იქ იქნა პირველი გენური სეკვენციები გენერირებული. მხოლოდ ამის მერე დაიწყეს იგივე მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. ის, თუ რა არის წინმიმართული მუტაცია და რა არის უკუმუტაცია, მხოლოდ ფარდობითი მტკიცებაა ეტალონურ სეკვენციასთან მიმართებით. სავარაუდო გავრცელება მხოლოდ ტესტირების გეოგრაფიულ თანმიმდევრულობას აირეკლავს. ამით სარგებლობენ პანიკის მთესველნი ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტშიც, ჩვენთანაც და – სხვაგანაც.

"გენეალოგიური ხის" სურათზე, ბოლოს და ბოლოს, უარი უნდა ითქვას, უფრო შესატყვისი ჩანს რეკურსიული ბადის სურათი

SARS-CoV2-ის მრავალფეროვნება იმდენად მასშტაბურია, რომ ისინი მცირე ნიმუშებშიც კი კლასტერებს ქმნიან. სხვაგვა-რად შეუძლებელია იმის ახსნა, თუ როგორ მოხვდა ვირუსი ნიუ იორკში. იხილეთ: Gonzalez-Reiche et al., "Introductions and early spread of SARS-CoV-2 in the New York City area", April 16, 2020., medxriv:[5] *"SARS-CoV2-ის 84 სხვადასხვა გენომის ფილოგენეტიკური ანალიზი მიუთითებს მრავლობით, დამოუკიდებელ,*

მაგრამ იზოლირებულ შემოტანაზე ძირითადად ევროპიდან და აშშ-ის სხვადასხვა ნაწილიდან. ამას გარდა, SARS-CoV2-ის ერთობლივი გადატანის დადასტურებასაც ვპოულობთ, ამაზე მეტყველებს ურთიერთდაკავშირებულ ვირუსთა კლასტერები, რომლებიც აღმოაჩნდათ ქალაქის სხვადასხვა რაიონში მცხოვრებ პაციენტებს".

ეს კლასტერები აშშ-ში ბოლო 3 თვეში უნდა ჩამოყალიბებულიყო. ესაა SARS-CoV2, და SARS-CoV2-მდე განვითარებული – უფრო ძველი.

გენების მონაცემთა ბანკებში არსებული იგივე მონაცემების ალტერნატიული ინტერპრეტაციების(!) საფუძველზე უნდა ვივარაუდოთ, რომ უკვე 40 წელზე მეტია, რაც SARS-CoV2 ადამიანებში ვრცელდება. იხილეთ: Chaw et al., "The origin and underlying driving forces of the SARS-CoV-2 outbreak", April 14, 2020, bioxriv:[6]

"უნდა აღვნიშნოთ, რომ TMRCA-ის შეფასებაზე ძლიერ გავლენას ახდენს გენომის ნიმუშების შერჩევის სქემა. ვინაიდან ყველაზე ადრე მოპოვებული გენომი შეირჩა 12/12/2019-ში, აფეთქებიდან თითქმის ერთი თვის მერე, ახლანდელი აფეთქების რეალური წარმოშობა სინამდვილეში იმაზე ადრეულია, ვიდრე ჩვენ ვვარაუდობთ".

"იმ დაშვებიდან გამომდინარე, რომ ჩანაცვლების სინონიმური კოეფიციენტია 2,9X10-3/ადგილი/წელი, შეფასებამ აჩვენა, რომ რეკომბინაცია მოხდა დაახლოებით 40 წლის წინ (95% : 31-69 წელი; გაფანტვის დრო(t) = გაფანტვა(dS) / (ჩანაცვლება). სიჩქარე ხ 2 ხ 3), იმის გათვალისწინებით, რომ dS RBD-ში თითოეული გენომის მიხედვით საშუალოზე 3-ჯერ მეტია). მას მერე ორი გენომის RBD-ის სფეროში ამინომჟავები უზრუნველყოფილია ბუნებრივი გადარჩევით, მაშინ, როცა სინონიმური ჩანაცვლებები გროვდება. თუ ეს მართალია, მაშინ SARS-CoV-2, შესაძლოა, ადამიანებს შორის ფარულად ცირკულირებდა მრავალი წლის მანძილზე, ვიდრე მას სულ ახლახან შენიშნავდნენ".

ეს უაღრესად აქტუალური შეფასებებია და უნდა დაველოდოთ, ეს პრეპრინტი გაივლის თუ არა რეცენზირების იმ სახელ-

განთქმულ პროცესს, რომლითაც მეცნიერება თავის თავსაც და ცოდნის მდგომარეობასაც "არეგულირებს".

ადამიანისთვის ვირუსის საწინააღმდეგო პრეპარატები იგივეა, რაც გლიფოსატი – მინდვრებისთვის

ვირუსები, სავარაუდოდ, ისეთივე ძველია, როგორც – ბაქტერიები. ხერხემლიანთა იმუნური სისტემა ერთადერთია, რომელსაც ახალ-ახალი ვირუსული ვარიანტებით ორგანიზმის ჰარმონიზება შეუძლია. სწორედ ეს არის ის, რაც ევოლუციის ჩარჩოებში წარმოიქმნა. ხერხემლიანთა ჯგუფი დაახლოებით 500 მილიონი წლის წინ შეიქმნა, ხოლო იმუნური სისტემის კონცეპცია, შესაძლოა, უფრო ძველიც იყოს. ხერხემლიანთა ის იმუნური სისტემა, რომლის სავარაუდო მწვერვალზე ადამიანი დგას, 500 მილიონი წლის განმავლობაში ვირუსებთან მჭიდრო კონტაქტში ვითარდებოდა. თანამედროვე მედიცინა კი იმუნურ პასუხს კორტიკოსტეროიდებით არეგულირებს და აქვეითებს, როგორც COVID-19-ის მკურნალობის ბევრი პროტოკოლი, განსაკუთრებით აშშ-ში, გვიჩვენებს.

ამასობაში კი მრეწველობა ახალ-ახალ მედიკამენტებს უკეთებს რეკლამას. სად გამოიყენება ისინი? ტესტირების პოზიტიურ შედეგთა 98%-ის შემთხვევაში სიმპტომები ან საერთოდ არ ვლინდება ან სუსტად ვლინდება. მაგრამ მედიასაშუალებები უკრიტიკოდ ურევენ ერთმანეთში ტესტს და ინფექციას, ინფექციას და სიმპტომატურ დაავადებას, სიმპტომატურ დაავადებას და სიკვდილს. მძიმე მიმდინარეობა აღენიშნებათ 80 წლის და უფრო ასაკოვან ადამიანებს და გადამწყვეტი უმრავლესობის შემთხვევაში ინფიცირებულები მძიმე წინასწარ ავადმყოფობებს განიცდიან. ვერავინ იტყვის, მათგან რამდენია ნაჩქარევი ხელოვნური ვენტილაციის შედეგად გარდაცვლილი. ამასობაში ინტენსიური თერაპიის პაციენტების შემთხვევაში, ყველაფერთან ერთად, კვლავაც ფენტანილით სუნთქვის შეჩერებას მიმართავენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ხელოვნური

ვენტილაციის ფუნქციონირება არ მოხერხდება. ეს პაციენტები როცა იღვიძებენ, თუ იღვიძებენ საერთოდ, უკვე ბოლო სტადიის ნარკომანებს ჰგვანან. იხილეთ: ატჰერინე ლლენ ოლეყ, "Some drugs used to keep coronavirus patients on ventilators are in short supply", Quartz, March 31, 2020.[7]

შიში ინტენსიური თერაპიის განყოფილებებიდან ვრცელდება, მაგრამ მაინც რა ხდება იქ ასეთი?

ინტენსიური თერაპიის მედიცინა იმას გვიჩვენებს, რაც მას შეუძლია. ამას ემატება ისეთი მედიკამენტები, როგორიც არის, მაგალითად, რემდესივირი, რომელიც ებოლას თერაპიის დროს ზემდეტად ტოქსიკური იყო და შემდგომი ტესტირება ვერ გაიარა. Josh Farkas. "PulmCrit – Eleven reasons the NEJM paper on remdesivir reveals nothing", April 11, 2020.[8]

ვერც ერთმა ეჭვმა ხელი ვერ შეუშალა იმას, რომ სწორედ რემდესივირი ელვის სისწრაფით ჩაერთოთ საქმეში.

იგივე ეხება ქლოროქინით და აზიტრომიცინით კომბინირებულ თერაპიას, რამაც გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მქონე ადამიანებში შეიძლება გულის გაჩერება გამოიწვიოს. ან: ქლოროქინით მონოთერაპია, რაც გლუკოზა-6-ფოსფატ-დეჰიდროგენაზის დეფიციტის[9] მქონე ადამიანებში ერითროციტების დაზიანებას იწვევს. გლუკოზა-6-ფოსფატ-დეჰიდროგენაზის დეფიციტი მთელ მსოფლიოში ყველაზე მეტად გავრცელებული მემკვიდრული გენური დეფექტია, მათ შორის, აფრიკაში 20-დან 30%-მდე სიხშირით. ამ პრობლემას განსაკუთრებით სწორედ აფრიკული წარმომავლობის ადამიანები განიცდიან.

არასწორი პრიორიტეტები და შეცდომაში შემყვანი რიცხვები

ყველაფერი ინიცირებულია არაფრისმომცემი ტესტით, ნაჩქარევი ღონისძიებებით და ბუნების ევოლუციური მანქანის

იმ უმცირესი ფრაგმენტის მიმართ გაუმართლებელი ნდობით, რომელიც გენეტიკურ მონაცემთა ბანკებში ინახება.

მეცნიერება და მის რჩევას დაქვემდებარებული პოლიტიკა, მათივე მიერ გამოწვეული კრიზისის მერეც, რა თქმა უნდა, გააგრძელებენ იმავე ტემპით სვლას. თუმცა დიდად საეჭვოა, რომ ვირუსი, რომელიც ინფიცირებულთა 50-70%-ის შემთხვევაში უსიმპტომოდ მოქმედებს(!), სწორედ მაშინ ეწვია ევროპას, როცა ტესტირება დაიწყეს, როგორც ზოგიერთებს ჩვენი დარწმუნება სურთ სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებლის მრუდის დახმარებით. და ეს – იმ ავადმყოფების პოპულაციისას, რომელთა 40%, მათი მძიმე მდგომარეობიდან გამომდინარე, მოხუცთა თავშესაფრებიდან პირდაპირ ინტენსიური თერაპიის განყოფილებებში მოხვდნენ. იხილეთ: მათიას თიონსი, "Sehr falsche Prioritäten gesetzt und alle ethischen Prinzipien verletzt", Deutschlandfunk, 11.4.2020:[10] "*და ჩვენ უნდა გავიაზროთ, რომ COVID-19-ით ინფიცირებული მძიმე ავადმყოფების შემთხვევაში, როგორც ამ დაავადებას უწოდებენ, მათი 40 პროცენტი გადაუდებელ ჩარევის საჭიროებით მოჰყავთ მოხუცთა თავშესაფრებიდან, და იტალიაში სიკვდილის 2003 შემთხვევიდან მხოლოდ სამს არ აღენიშნებოდა მძიმე წინასწარი დაავადებები. ამგვარად, ეს არის ჯგუფი, რომელსაც, ძირითადად, მანამდე ბევრად მეტი პალიატიური სამედიცინო დახმარება ჰქონდა მიღებული, ვიდრე – ინტენსიური სამედიცინო დახმარება, ახლა კი მათ ახალი ავადმყოფობის დიაგნოზს უსვამენ და ყველა ამ პაციენტს ინტენსიური თერაპიის პაციენტად აქცევენ.*"

ცრუ განგაში – სოციალური ავტოიმუნური ავადმყოფობა

ახლანდელი მედიაკლიმატის და უძლიერესი პოლიტიკური ზეწოლის პირობებში, რათა მოგვიანებითაც გაამართლონ ახლანდელი დრაკონული ღონისძიებები და მათი შედეგები, ერთობ საეჭვოა, რომ ზოონოზიური ჰიპოთეზის რისკების ფრთხილი შეფასების მერე კიდევ ერთი დამოუკიდებელი სამეცნიე-

რო დისკუსია გაიმართოს. მაინც რომელი კვლევითი წინადადებები დაფინანსდება?

მილიონობით წელია, რაც ევოლუცია მიმდინარეობს და ვირუსოლოგები ბოლო 20 წლის მანძილზე ყოველ 3-5 წელიწადში ერთხელ რა ჯადოსნობით გამოჩხრეკენ ხოლმე ახალ მომაკვდინებელ ვირუსებს, რომლებიც ადამიანებს უნდა დაემუქრონ? მერსი, სარსი(1), სარსი(2), ღორის გრიპი, ფრინველის გრიპი? მართლა ასეთი ბრმები ვართ? თუ უკვე ვხედავთ, რომ მეფე შიშველია?

[1] http://cov-glue.cvr.gla.ac.uk/#/home

[2] https://www.ncbi.nlm.nih.gov/pubmed/28931240

[3] http://cov-glue.cvr.gla.ac.uk/#/home

[4] https://www.ncbi.nlm.nih.gov/pubmed/32219885

[5] https://www.medrxiv.org/content/10.1101/2020.04.08.20056929v2

[6] https://www.biorxiv.org/content/10.1101/2020.04.12.038554v1.full

[7] https://qz.com/1827177/some-drugs-used-to-keep-people-on-ventilators-are-in-short-supply/

[8] https://emcrit.org/pulmcrit/pulmcrit-eleven-reasons-the-nejm-paper-on-remdesivir-reveals-nothing/

[9] https://www.wodarg.com/covid-19-medical-detectives/

[10] https://www.deutschlandfunk.de/palliativmediziner-zu-covid-19-behandlungen-sehr-falsche.694.de.html?dram:article_id=474488

04.05.2020

რაბინი ხანანია ვაისმანი

31 მიზეზი, რომლის გამოც არ ავიცრები

1. საქმე ვაქცინას არ ეხება. აღწერის თანახმად, ვაქცინა იმუნიტეტს უზრუნველყოფს, ეს მკურნალობა კი არც ერთი დაავადების მიმართ იმუნიტეტს არ უზრუნველყოფს.

ინფიცირების მერე ის, საუკეთესო შემთხვევაში, უბრალოდ, ამცირებს მძიმე ვირუსული დაავადების ალბათობას. შესაბამისად, აქ საქმე ეხება სამედიცინო მკურნალობას და არა – აცრას. მე არ მსურს იმ დაავადების სამედიცინო მკურნალობა, რომელიც არ შემყრია.

2. ფარმაკონცერნები, პოლიტიკოსები, სამედიცინო დაწესებულებები და მასმედიის საშუალებები იმაზე შეთანხმდნენ, რომ ამ პრეპარატს მთელ მსოფლიოში "ვაქცინა" უწოდონ, იმის მიუხედავად, რომ ის ვაქცინა არ არის.

მათი მიზანია ადამიანების იმგვარად მანიპულირება, რომ მათ სამედიცინო მკურნალობით თავი უსაფრთხოდ იგრძნონ. ვინაიდან ისინი ადამიანებს ატყუებენ, მე მათ არ ვენდობი და არ მსურს საქმე მქონდეს მათ სამედიცინო მკურნალობასთან.

3. ამ სამედიცინო მკურნალობით მისაღები სავარაუდო სარგებელი მინიმალურია და, ნებისმიერ შემთხვევაში, დიდხანს არ გასტანს. ისტებლიშმენტი ამ ყველაფრის თანამონაწილეა და უკვე ლაპარაკობს დამატებით აცრებზე და ახალი "ვაქცინების" უწყვეტად ზრდად რაოდენობაზე, რომლებიც რეგულარულად უნდა იწარმოებოდეს.

მე არ დავუშვებ ჩემს გარდაქმნას ქრონიკულად ავადმყოფ პაციენტად, რომელსაც, მძიმე ვირუსული დაავადების ალბათობის შემცირების მიზნით, რეგულარული პერიოდულობით, შეუყვანენ ახალ ფარმაცევტულ პროდუქტს, იმის მიუხედავად, რომ ამ ინექციებით ვირუსის თავიდან აცილება შეუძლებელია.

4. მხოლოდ ბუნებრივი მეთოდები აძლიერებენ ჩემს იმუნურ სისტემას, რათა მძიმე ვირუსული დაავადებების მიმართ მისი მოწყვლადობა შემცირდეს. თუ ვირუსი შემეყრება, არსებობს ვიტამინები და გამოცდილი მედიკამენტები, რომლებიც ავადმყოფობასთან ბრძოლისას საუცხოო შედეგებს იძლევა – რისკებისა და ამ სამედიცინო მკურნალობის გვერდითი მოვლენების გარეშე.

5. ისტებლიშმენტი იფიცებს, რომ ეს სამედიცინო მკურნალობა უსაფრთხოა.

ეს მტკიცება მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს, რადგან არავის შეუძლია მომდევნო წლებში მისი გრძელვადიანი შედეგების წინასწარხედვა. მათ შეუძლიათ მხოლოდ ვარაუდის გამოთქმა, რომ მკურნალობა უსაფრთხოა. მაგრამ ასეთი მტკიცება უპატიოსნო ქმედებაა, რადგან არავის შეუძლია იცოდეს, არის თუ არა ეს სიმართლე. რადგან ისინი უპატიოსნონი არიან, მე მათ არ ვენდობი და მათ მკურნალობას არ დავექვემდებარები.

6. ფარმაკონცერნები აცრით გამოწვეულ ზიანზე არც პასუხისმგებლობას იღებენ და არც მათთვის ბრალის წაყენებაა შესაძლებელი. პოლიტიკოსებიც, რომლებიც ამ მკურნალობას მფარველობენ, ვალდებულებისგან გათავისუფლებულნი არიან.

მე არ შევიშხაპუნებ ახალ სამედიცინო პროდუქტს მაშინ, როცა ადამიანები, რომლებიც მის უკან დგანან, ვალდებულებას ან

პასუხისმგებლობას არ იღებენ შესაძლო გვერდითი მოვლენების შემთხვევაში. რატომ უნდა დავაყენო ჩემი სიცოცხლე რისკის ქვეშ, თუ ისინი ნებისმიერ რისკზე უარს ამბობენ?

7. ისრაელის პრემიერმინისტრმა საჯაროდ აღიარა, რომ ეს ექსპერიმენტული "ვაქცინა" მთელ მსოფლიოში ჯერ ისრაელის ხალხზე გამოიცდება. მე არ მინდა, საცდელ ბოცვრად გამომიყენონ ან ჩემი სხეული მეცნიერების განკარგულებაში იქნას გადაცემული.

8. ისრაელმა, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერების მოწოდების სანაცვლოდ, მზადყოფნა გამოთქვა, რომ უცხოურ ფარმაკონცერნებს მათ განკარგულებაში გადასცეს თავის მოქალაქეთა საპაციენტო მონაცემები. მე ასეთი მეწარმეებისთვის ჩემი საპაციენტო მონაცემების გადაცემაზე არც თანხმობა განმიცხადებია და ეს არც ვინმეს უკითხავს ჩემთვის. მე ასეთ არაკეთილსინდისიერ გარიგებებში არ ვმონაწილეობ.

9. Pfizer-ის მმართველმა ძალებმა, მმართველობისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა, სარეკლამო გნიასისა და გამუდმებული დაშოშმინებების მიუხედავად, საჯაროდ განმარტეს, რომ თავად მათ თავიანთვივე ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებით მკურნალობისგან თავი შეიკავეს.

მათ არაკორექტულად მიიჩნიეს სხვების გადასწრება. ეს სასაცილო საბაბია და მსგავსი რამის სათქმელად ადამიანს "ხუცპეს" (ებრაულად [chùtzpe], უტიფრობა, უსირცხვილობა, უნამუსობა – მთარგმნელის შენიშვნა) დიდძალი დოზა ესაჭიროება. "გადასწრება" მათი ფანტაზიის ნაყოფია.

მათ არავინ დაძრახავდა, რამდენიმე "სავაქცინო დოზას" თავიანთთვის თუ გადაინახავდნენ. ისედაც არ არიან პირადი თვითმფრინავებით და პირადი კუნძულებით უზრუნველყო-

ფილი მილიარდელები რიგში დგომით ცნობილი, რათა ის, რისი მიღებაც მათ სურთ, მათზე წინ ასობით მილიონმა გლეხმა მიიღოს.

10. მეინსტრიმ-მედიასაშუალებებმა ეს აბსურდული საბაბი უყოყმანოდ აიტაცეს. ისინი ხოტბას ასხამენ Pfizer-ის მმართველ ძალებს მსხვერპლად საკუთარი თავის შესაწირად ვითომდა მათი მზაობისთვის, რადგან მათ სურთ, თავიანთი ექსპერიმენტული პრეპარატი მხოლოდ ჩვენს მერე მიიღონ.

მე არ ვენდობი ადამიანებს, რომლებსაც სურთ, რომ ასე გამასულელონ. ამიტომ უარს ვამბობ მათ მიერ შემოთავაზებულ მკურნალობაზე, რიგში ჩემს ადგილს მათ დავუთმობ, მე კი რიგის ბოლოში გადავინაცვლებ.

11. სამი ინფორმაცია, რომელიც ერთმანეთს უნდა დავუკავშიროთ:

ა) ბილ გეიტსი აქებს ამ "ვაქცინებს", როგორც "ერთადერთ" გადაწყვეტას კაცობრიობის არსებობის შესანარჩუნებლად.
ბ) ბილ გეიტსს სჯერა, რომ მსოფლიო მოსახლეობის სიჭარბეს განიცდის და უნდა "განიტვირთოს მოსახლეობისგან".
გ) ბილ გეიტსი, სავარაუდოდ მსოფლიოში უმდიდრესი ადამიანი, ჯერაც არ აცრილა.

ოღონდ ნუ ავაჩქარებთ... ამიტომ – გმადლობთ, არა! მე უარს ვამბობ ნებისმიერ სამედიცინო მკურნალობაზე, ჩემთვის რომლის თავს მოხვევაც მას სურს.

12. ისტებლიშმენტმა ამ მკურნალობას მასობრივად და ცალსახად გაუწია რეკლამა. პოლიტიკოსები და მასობრივი მედიის სა-

შუალებები ადამიანებს წნეხის ქვეშ აქცევენ და ამტკიცებენ, რომ მათი მორალური და სახელმწიფო-მოქალაქეობრივი ვალია, ამ მკურნალობას დაექვემდებარონ.

ხდება ამ მკურნალობის სარგებლის ერთობ გადამეტებით შეფასება, რისკები უგულებელიყოფა და უცნობი გვერდითი მოვლენები იჩქმალება. ეს ადამიანები გაქნილები და მანიპულატორები არიან. როგორ უნდა ვანდო მე მათ ჩემი პირადი კეთილდღეობა?

13. ფართომასშტაბიანი საპროპაგანდო კამპანიით ადამიანები უნდა დააჯერონ, რომ ისინი ამ მკურნალობას დაექვემდებარონ. პოლიტიკოსები და ცნობადი სახეები "სელფით" თავად აღბეჭდავენ პრეპარატით თავიანთი აცრის პროცესს (არაერთი მათგანი უბრალოდ თვალთმაქცობს, ვითომ ინექციით იცრება). მედიასაშუალებების გამაყრუებელი რეკლამის თანახმად, ამ მკურნალობაზე უფრო მაგარი, ჭკვიანური, მშვენიერი და სახალისო არაფერია.

ამჟამად მსოფლიოში ყველა დროის უდიდესი მარკეტინგკამპანია მიმდინარეობს. ასეთი რამ სამედიცინო მკურნალობისთვის და, მით უმეტეს, ახალი ტიპის მკურნალობისთვის, უადგილოა. ამიტომ მე შეძრწუნებით ვაქცევ ზურგს ამ ყველაფერს.

14. მასები მწყობრად მიაბიჯებენ. ისინი გამოფენენ ავტოპორტრეტებს, თუ როგორ ღებულობენ ინექციას და ხელს უწყობენ ჯგუფურ იძულებას, რომ ყველამ ერთმანეთს მიბაძოს. ეს ყველაფერი ერთობ დამანგრეველი და ავადმყოფურია, ამიტომაც არ მივაბიჯებ მწყობრში. არასდროს მიმიღია მედიკამენტი მხოლოდ იმიტომ, რომ მას ყველა ღებულობს და რომ ეს "მაგარია". მაინც და მაინც ახლა რატომ უნდა დავიწყო ასე მოქცევა?

15. ნებისმიერი, ვინც ამ სამედიცინო მკურნალობასთან დაკავშირებულ თავის ეჭვს გამოთქვამს, განწირულია დაშინებისთვის, დისკრედიტაციისთვის, დაცინვისთვის, ცენზურირებისთვის, განკიცხვისთვის, მუქარისთვის და დათხოვნისთვის. მათ შორის არიან ჯანმრთელობის დარგის თანამშრომლები, რომლებსაც პრეპარატის მიმართ მეცნიერული ეჭვი გააჩნიათ, მაგრამ ასევე – მომვლელები, რომლებმაც საკუთარი თვალით ნახეს, ინექცირებიდან ცოტა ხნის მერე მათი მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი ადამიანები პრეპარატით გამოწვეული მძიმე გვერდითი მოვლენებით როგორ იტანჯებოდნენ და კვდებოდნენ.

ისტებლიშმენტი იმ კარგი ადამიანების წმენდით არის დაკავებული, რომლებიც ყველაფერს რისკავენ, რათა ამ ახალი სამედიცინო მკურნალობით – რომელსაც ისინი გადაჭრით სულაც არ უარყოფენ – გამოწვეული ეჭვები გაახმოვანონ. ამიტომ არის ჩემთვის ნათელი, რომ ყოველთვის ამ გაბედულ ადამიანებს უფრო მივენდობი, ვიდრე – ისტებლიშმენტს. არ მახსენდება ისტორიიდან არც ერთი შემთხვევა, ისტებლიშმენტი რომ სიმართლის და მორალის მხარეს მდგარიყო.

16. ეს კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი სამედიცინო ექსპერიმენტია.

17. ის ფაქტი, რომ ამჟამად ყველა დროის უდიდესი სამედიცინო ექსპერიმენტი, დიახ, საერთოდაც სამედიცინო ექსპერიმენტი, მიმდინარეობს, იმალება და მასობრივად იჩქმალება.

18. ისინი რომ ადამიანებთან გულახდილები ყოფილიყვნენ, ამ ექსპერიმენტში მონაწილეობას მხოლოდ უმცირესნი დათანხმდებოდნენ.

ადამიანთა მანიპულირება, რათა მათ ყალბი მიზეზებით აიძულონ სამედიცინო ექსპერიმენტში მონაწილეობა, არღვევს სამედიცინო ეთოსისა და დემოკრატიული სამართლის არსებით

საფუძვლებს. ეს ადამიანები მოკლებულნი არიან ყოველგვარ მორალს და არაკეთილსინდისიერად მოქმედებენ. მე მათ ჩემს სხეულში რაღაცის ინექცირების ნებას არასდროს დავრთავ.

19. სამედიცინო დაწესებულებები ადამიანებს ამ მაქინაციების შესახებ მისხალსაც კი არ განუმარტავენ. ისინი საცდელი პრეპარატის სავაჭრო წარმომადგენლებად იქცნენ.

ისინი ემსახურებიან დიდ კონცერნებს და პოლიტიკოსებს, რომლებმაც მათთან ხელშეკრულებები გააფორმეს. ეს პირდაპირ ეწინააღმდეგება მათ მანდატს, რომლის თანახმადაც მათ თავი უნდა მიუძღვნან იმ ადამიანების კეთილდღეობას, რომლებმაც ისინი თავიანთი ნდობით აღჭურვეს. სამედიცინო დაწესებულებები კორუმპირდნენ და ისინი სხვა არც რა არიან, თუ არა – კონცერნებისა და პოლიტიკოსების ხელქვეითები. ამიტომაც არ ვენდობი ამ საცდელ პრეპარატს, რომლით ჩემი აცრაც მათ ასე ძლიერ უნდათ.

20. რათა აცრა გვაიძულონ, ჩვენზე სხვადასხვა მეთოდით ახდენენ ზეწოლას. ეს ეწინააღმდეგება ყველა სამედიცინო-ეთიკურ ნორმას და დემოკრატიული საზოგადოების საფუძვლებს. რაც უფრო მეტად ცდილობენ, რამე მაიძულონ, მით ნაკლებად ვარ მზად ამის ჩასადენად.

21. მთავრობამ ვირუსთან და მის მკურნალობასთან დაკავშირებული სამედიცინო დოკუმენტაცია მომდევნო **ოცდაათი წლით** დალუქა. საზოგადოებას ამ ინფორმაციებზე წვდომის უფლება აქვს და მთავრობა ვალდებულია, ისინი გაასაჯაროს.

რას გვიმალავენ? მართლა უნდა მჯეროდეს მათი, რომ აქ ყველაფერი სუფთად არის და მათ მხოლოდ ჩემი ჯანმრთელობა აინტერესებთ? უკანასკნელად, როცა მათ მსგავს თაღლითობას მიმართეს, საქმე ისრაელში იემენელი ბავშვების გაქრობას ეხებოდა. თუ თქვენ არ იცით, რა მოხდა მაშინ, მოიძიეთ ინფორ-

მაცია. ისინი ახლაც მსგავსად თაღლითობენ. მაშინ მათ ეს თაღლითობა არ გაუვიდათ, არც ახლა დავთმობ.

22. მთავრობას უცხოელი მეწარმეებისთვის ჩვენი პირადი სა-პაციენტო მონაცემების გადაცემა შეუძლია, ამ ვითარებასთან დაკავშირებული თავისი დოკუმენტაციის გასაჯაროება კი არ სურს? არავითარ შემთხვევაში!

23. ისტებლიშმენტმა ექიმები, რაბინები, მედია და მასები დაიქირავა, რომ აცრაზე უარის მთქმელები სიტყვების ნიაღვარში დაახრჩოს. თავს გვატეხენ ყველაზე უარეს შეურაცხყოფებს. გვაბრალებენ, თითქოს ავადმყოფურად სასაცილო შეთქმულებების გვჯეროდეს, თითქოს მეცნიერებას უარვყოფდეთ და ეგოისტები ვიყოთ.

ამბობენ, რომ ჩვენ მკვლელები ვართ, რომ ჩვენ მოხუცები არ გვადარდებენ და რომ სწორედ ჩვენი ბრალია, მთავრობა თუ იძულებულია, მოქალაქეებს დრაკონულ შეზღუდვებს უწესებდეს. და ეს ყველაფერი – იმიტომ, რომ არ გვსურს, თავი ისე ავაცრევინოთ, თითქოს საცდელი ბოცვრები ვიყოთ.

იმასაც კი ჩაგვძახიან, რომ ეს ჩვენი რელიგიური ვალია და რომ მძიმე ცოდვას ჩავიდენთ, თუ აცრაზე უარს ვიტყვით. ისინი გვეუბნებიან, რომ სამუდამოდ ჩვენს სახლებში უნდა გამოვიკეტოთ და საზოგადოებრივ ცხოვრებას გამოვეთიშოთ, თუ არ ავიცრებით.

ეს საშინელებაა, ამაზრზენია, ეს არის ჯანსაღი ადამიანური გონების, მორალისა და თორას განადგურება და მე მათ ზურგს ვაქცევ შეძრწუნებული. ეს მხოლოდ აძლიერებს ამ ადამიანების მიმართ ჩემს უნდობლობასა და ჩემს მიერ მათი საცდელი პრეპარატის მიუღებლობას. როგორ შეუძლიათ, ასე მოიქცნენ?

24. მე ვიცნობ ბევრ ადამიანს, რომელსაც ინექცია შეუყვანეს. არც ერთ მათგანს არ ჩაუტარებია სამეცნიერო გამოკვლევა, არ დაუდია სარგებელი რისკის საპირწონედ, ეს ვარიანტი სხვა ალტერნატივებისთვის არ შეუდარებია. არც ართი მათგანი საფუძვლიანად არ გაუთვითცნობიერებიათ, რათა მერე თითოეულს თავად შეძლებოდა გადაწყვეტა, ეს საცდელი პრეპარატი მისთვის მართლაც საუკეთესო ვარიანტი იქნებოდა თუ – არა. სწორედაც პირიქით.

ამ ადამიანებმა თავიანთი აცრა ჩაიტარებინეს მასობრივი აგიტაციის, პროპაგანდის, ზეწოლის, შიშისა და იმის მიმართ ბრმა ნდობის მიზეზით, რაშიც თითქოს დარწმუნებულია "ექსპერტების უმრავლესობა".

ისინი იქიდან ამოდიოდნენ, რომ **ექსპერტები** ვითარებას ყოვლისმომცველად გააანალიზებდნენ და აბსოლუტურად ნეიტრალური იქნებოდნენ, რაც უკიდურესად საეჭვოა.

ისინი ბრმად ენდნენ გავლენიან რაბინებს (რომლებზეც იგივე ითქმის, რაც – ექსპერტებზე), რომლებმაც ისინი წნეხის ქვეშ მოაქციეს. ან ისე ღრმად შეტოპეს ისტერიაში, რომ დაიჯერეს, - მხოლოდ "აცრა" თუ იხსნიდა მათ მძიმე ვირუსული დაავადებისგან.

მასობრივი ისტერია და სამედიცინო მკურნალობის კერპთა აშკარა თაყვანისცემა ჩემში ღრმა უნდობლობას იწვევს. ამიტომ ვამბობ უარს მკურნალობაზე.

25. ფარმაცევტულ კომპანიებს ხანგრძლივი და უღირსებო ისტორია აქვთ, - როცა მათ თავიანთი სასწაულმოქმედი მედიკამენტებით არაერთ ხალხში მასობრივი სიკვდილიანობა გამოუწვევიათ და მიმნდობ ადამიანებს მას მერეც კი არ ეშვებოდნენ, როცა უმძიმესი რეაქციები გამოვლენილა. იმის ნაცვლად, რომ ვითარების საფუძვლიან ნათელყოფამდე ამ მედიკამენტების

გაყიდვა შეეჩერებინათ, ფარმაცევტული კომპანიები ყველაფერს აკეთებდნენ ინფორმაციების მისაჩქმალად და თავიანთი პროდუქტების გასაღების დასაჩქარებლად.

ამ კომპანიებისთვის და ამ ხალხისთვის ადამიანის სიცოცხლე არაფერს ნიშნავს. რატომ უნდა ვენდო მე მათ, როცა ისინი ახალ მედიკამენტს უწევენ რეკლამას? ბოლოს და ბოლოს, ჩემთვის ხომ ცნობილია მათი ადრეული მაქინაციები.

26. საზარელი შემთხვევების შესახებ ახლა უკვე ლამის ყოველ წამს გვეუწყება, მაგრამ პოლიტიკოსებს ეს სრულიადაც არ აწუხებთ. საერთო ინტერესებით გაერთიანებული სამედიცინო ჯგუფები ყველაფერს ჩქმალავენ და ამტკიცებენ, რომ ამ ყოველივეს აცრასთან არაფერი ექნებოდა საერთო ან რომ ამის თავიდან აცილება შეიძლებოდა. მედიასაშუალებები ამ პროცესს მდუმარედ ადევნებენ თვალს, ფარმაკონცერნები კი გაქანების სიჩქარეს ზრდიან.

კვლავ და კვლავ გრძელდება გამაფრთხილებელი ხმების დაშინება, ცენზურირება და დაჯარიმება. ჩემთვის უდავოა – ჩემი სიცოცხლე და კეთილდღეობა მათ არ აღელვებთ. მე მათი ლაბორატორიების საცდელ ბოცვრად არ გადავიქცევი. მე არ გავრისკავ, რომ მორიგი "შემთხვევითი მსხვერპლი" გავხდე.

27. მრავალი ადამიანი – მათ შორის სრულიად ჯანმრთელი და ახალგაზრდა – ინექციებიდან მოკლე დროში გარდაიცვალა. და მაინც, ჩვენ წართმეული გვაქვს უფლება, ეს ყველაფერი ინექციას დავუკავშიროთ. ჩანს, რომ ეს არ შეესატყვისება სამეცნიერო პროცედურას, ასე რომ, კიდევ უფრო მეტი ადამიანი მოკვდება.

ინექციასა და მის თანამდევ სიკვდილს შორის ურთიერთკავშირის უარყოფა, იმ ადამიანების განაპირება, რომლებიც ამ კავშირს ვარაუდობენ, ასევე – ფაქტი, რომ შესაძლო ურთიერთ-

კავშირის გამოკვლევის მიმართ მისხალი ინტერესი არ არსებობს, ეს ყველაფერი სწორედაც რომ მეცნიერების საპირისპიროა და ნებისმიერ შემთხვევაში შეიძლება იმით გაგრძელდეს, რომ უფრო მეტი ადამიანი უნდა მოკვდეს.

იმავე ადამიანებს სურთ დამარწმუნონ, რომ მეც ასევე უნდა ავიცრა. არა, გმადლობთ!

28. ფარმაცევტული პროდუქტის მიმართ კერპთაყვანისმცემლობა ჩემში ზიზღს იწვევს. ამიტომაც ვერ მივიღებ მონაწილეობას ამ რიტუალში.

29. ჩემი ექიმი, რომელიც, სხვათა შორის, ჩემს ჯანმრთელობაზეა პასუხისმგებელი, განუწყვეტლივ მოითხოვს ჩემგან, რომ "ვაქცინით" ავიცრა. მაგრამ მას ჩემთვის ეს მკურნალობა ან ალტერნატივები არ განუმარტავს. ინფორმაციები ისტებლიშმენტს მილმა მდგომი პიროვნებებისგან შევაგროვე. ნებაყოფლობით მკურნალობამდე აუცილებელი განათლება იძულებით მკურნალობად გარდაისახა. ასეთ მკურნალობაზე უარს ვამბობ.

30. მე ვხედავ ამდენ სიცრუეს, კორუფციას, პროპაგანდას, მანიპულაციას, ცენზურას, დაშინებას, სამედიცინო-ეთიკური ნორმების დარღვევას, არაკეთილსინდისიერ სამედიცინო ქმედებას, უმძიმესი გვერდითი მოვლენების დამალვას, სამართლიანი მღელვარების გადაფარვას.

მე ვხედავ ისტერიას, კერპთაყვანისმცემლობას, უმეცრებას, შიშს, სამედიცინო და პოლიტიკურ ტირანიას, სამედიცინო დოკუმენტაციის გადამალვას, ადამიანის სიცოცხლეზე, ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებზე ნამდვილი ზრუნვის ნაკლებობას, თორას და ჯანმრთელი ადამიანური აზრის ყალბ განმარტებას და პატიოსანი ადამიანების დემონიზებას.

მე მოწმე ვარ ყველა დროის უდიდესი სამედიცინო ექსპერიმენტის, რომელიც ხარბი, არასერიოზული, უღმერთო ადამიანების მიერ ტარდება და – პასუხისმგებლობისგან იმათი გათავისუფლებისა, ვინც ჩემგან მოითხოვს, რომ ჩემი სიცოცხლე სასწორზე დავაგდო...

დიახ, ამ ყველაფერს ვხედავ და გადავწყვიტე, რომ რიგში ჩემი ადგილი მათ დავუთმო. მე ღმერთს მივენდობი. მე ჩემს გონებას გამოვიყენებ, რომლითაც მან მაკურთხა, და ჩემს ბუნებრივ ინსტინქტს მივენდობი. მას კი იმ ბოლო მიზეზამდე მივყავარ, რომლის გამოც "აცრას" არ დავექვემდებარები.

31. ეს ყველაფერი ყარს.

დანართი I

ადრეული თარგმანებიდან

რომეო და ჯულიეტა

(ლიბრეტო)

პროლოგი
ერთხელ ვერონის ორი გვარი, სახელოვანი
ორი ოჯახი სიძულვილმა წაჰკიდა ერთურთს.
და ამ ხანგრძლივ შუღლს უმძიმესი შედეგი მოჰყვა:
სიკვდილი ხარბად დაეწაფა მათ სისხლს და მათ გულს.
მაგრამ სხვაც მოხდა: სიყვარულმა შეაკავშირა
მათი შვილები, ცუდ ვარსკვლავზე გაჩენილები,
და მხოლოდ მათმა თვითმკვლელობამ დაუდო ზღვარი
ორი ოჯახის სიძულვილს და ურთიერთმტრობას.
ამ წარმოდგენის შინაარსიც სწორედ ეს არის:
უბედურ კაცთა სისასტიკეს და ბრმა სიძულვილს
ძლვნად მირთმეული სიყვარული უმანკო სულთა,
თვით სიყვარულის მხსნელი ძალა, მისი ნათელი.
მაგრამ იქ, სადაც უძლურია ყოველი სიტყვა,
გადავულოცოთ მსახიობებს ჩვენი სათქმელი.

გრეგორიო:
გახედე ერთი, კაპულეტები ხომ არ არიან?

სამსონი:
ჩხუბი თუ ატყდა, ხომ მპირდები, რომ არ დავინდობთ?

გრეგორიო:
რამე გაეჭვებს? ვისაც თავი მოსძულებია, მხოლოდ მანიშნოს...

სამსონი:
როგორ გაცოფდი!

გრეგორიო:
მონტეკების ცოცხალიც და მკვდარიც მაცოფებს!

ხმა კულისებიდან:
ვინ არის?

გოგო:
არც ვინ.

გრეგორიო:
ჩხუბი თუ ატყდა, ბიჭს და გოგოს სულ არ გავარჩევ.

სამსონი:
გინდა თქვა, რომ გოგოებსაც თავებს წააცლი?

გრეგორიო:
ან ქალწულობის კოკორს ავაცლი! არჩევანი მათზევე იყოს!
(იცინის)

სამსონი:
მაშ, თუ ასეა, იარაღი ამოიღე, მარჯვედ გეჭიროს!

ბალთაზარი:
ეს საზიზღრობაჩვენს სარკმელში ვინ შემოაგდო?

(გრეგორიო თითს უჩვენებს)

ბალთაზარი:
მოიცა, მაგას მე მიჩვენებ? აბა, წამოდი!

გრეგორიო:
რომ დავეთანხმო, ამით კანონს მე ვარღვევ, არა?

სამსონი:
შენც კარგად იცი.

ბალთაზარი:
მითხარი მეთქი, მე მიჩვენებ?

გრეგორიო:
მე, უბრალოდ, ჩემს თითს შევცქერი...

ბალთაზარი:
იქნებ, მითხრა, ვინ შემოაგდო?!

(გრეგორიო მხრებს იჩეჩავს)

აბრაამი:
შეეშვი.

სამსონი:
საჩხუბრად მიზეზს ხომ არ ეძებთ, ბატონო ჩემო?

ბალთაზარი:
არა, არ ვეძებ, საძებარი არაფერი მაქვს.

გრეგორიო:
იქნებ ეძებთ და გერიდებათ?

აბრაამი:
არა მეთქი, ვერ გაიგონე? *(შეტრიალდება)*

ბალთაზარი:
უ, შენი...

აბრაამი:
მიდი, დაარტყი!

ბენვოლიო:
(ყვირის) შეწყვიტეთ, ყველას გეუბნებით, შეწყვიტეთ მეთქი.
რას სჩადიხართ! გონს მოეგეთ, დანა დამალეთ!

ტიბალდი:
(ბენვოლიოს) მოიცა, ამათ ერევი, არა?
აქეთ მოდექი, თუ ბიჭი ხარ! გაჩენის დღეს დაგაწყევლინებ!

ბენვოლიო:
მე ვაშველებდი, სხვას არაფერს ვაკეთებდი. შენც ამას გირჩევ.

ტიბალდი:
დანა უჭირავს ხელში და ამბობს, ვაშველებდიო. მშვიდობა უნდა!
მძულხარ და მთელი შენი მოდგმაც შენთან ერთად მძულს!
მშვიდობა, არა?! როცა მოგშივდეს, შეექეცი მაგ შენს მშვიდობას!

ჰერცოგი:
ქალაქ ვერონის სამარცხვინო მოქალაქენო,
არც მოგინოდებთ, არც გაფრთხილებთ, მე თქვენ გიბრძანებთ,
შეწყვიტოთ თქვენი ეს მხეცური ურთიერთმტრობა,
რომელიც გართმევთ სიცოცხლეს და სისხლს გაღვრევინებთ;
რომელმაც ყველას მოგვიწამლა უკვე ცხოვრება
და მოგვანატრა მშვიდი ძილი და მყუდროება.
ხელი შეუშვით იარაღს და ყური დამიგდეთ:
თუ კიდევ ერთხელ მოედებით ვერონის ქუჩებს,
მერამდენედ რომ გაუსწორდეთ უკვე ერთმანეთს
ასე უაზროდ, უმიზეზოდ, ყოვლად ბრიყვულად,
თქვენ პასუხს აგებთ საკუთარი სიცოცხლის ფასად.
ახლა კი ყველა დაიშალოს. გასაგებია?
შენ, კაპულეტი, დარჩები და მე გამომყვები.

შენ კი, მონტეკი, ნაშუადღევზე გამოცხადდები
ჩემს სასახლეში, განაჩენი რომ მოისმინო!
დანარჩენები, თავი თუ არ მოგბეზრებიათ,
აქედან გაქრით და აღარსად გადამეყაროთ.
რაც შეგეხებათ შენ, ტიბალდ, და შენ, მერკუციო,
ჩემს მოწყალებას ამის მერე აღარ ელოდოთ.

*

მადამ კაპულეტი და მადამ მონტეკი:
(დუეტი, რომელიც იმღერება)

კაპულეტი:
უფალო, შენ
მოხედე ჩვენს
ცოდვილ სულებს!
შხამი ავსებს
ჩვენს სახლებს და
ჩვენს ბნელ გულებს!

ჩვენ გვძულს, ჩვენ გვძულს!
ჩვენ ხომ სიძულვილს დავნებდით!
ჩვენ გვძულს, ჩვენ გვძულს!
ვართ სიძულვილის მონები!

ჩვენ გვძულს, ჩვენ გვძულს!
ჩვენ ხომ შავ მთვარეს დავნებდით!
ჩვენ გვძულს, ჩვენ გვძულს!
დავსებული გვაქვს თვალები!

სიძულვილს
დავნებდით!

მადამ მონტეკი:
თქვენს მიმართ მე
განვიცდი ზიზღს,
სხვას არაფერს!
ვერ ვხედავ მზეს,
სიკვდილი სჯობს
ამ სიცოცხლეს!

ჩვენ გვძულს, ჩვენ გვძულს!
ჩვენ ხომ სიძულვილს დავნებდით!
ზეცა დავთმეთ,
ერთურთის ზიზღით დავებით!

კაპულეტი:
ჩვენ გვძულს, ჩვენ გვძულს!
ჩვენ ხომ სიძულვილს დავნებდით!
გულის ბნელ გზას,
ამ ძლიერ ვნებას დავნებდით!

მადამ მონტეკი:
სამუდამოდ
ვგმობ ღამეებს,
თქვენი ხმა როცა ჩამესმის!
თქვენი ბედი,
თქვენი ეს ვნება –
ერთურთის სიძულვილია!

კაპულეტი:
შეხედეთ თქვენს
ბინძურ მეძავს –
ყველა რომ დაგიმორჩილათ!
თოჯინებო, თოჯინებო,
თქვენს გულსა და თქვენს ტვინს ის მართავს!

ერთად:
რა საზარელი წყევლაა:
ჩვენ ყოველდღე
ზიზღის გველს ვშობთ!
ო, შვილებო,
თქვენს ერთგულ გამზრდელებს,
თქვენს ერთგულ დედებს ნუ ამწარებთ!

*

ქ-ნი მონტეკი *(ბენვოლიოს)*:
შემ ხომ არ იცი, სად იქნება ახლა რომეო?

ბ-ნი მონტეკი:
საბედნიეროდ, იგი ჩხუბში არ გარეულა.

ბენვოლიო:
ერთი საათით ადრე, ვიდრე მზის თბილი სხივი
აღმოსავლეთის ოქროს სარკმელს გაუღიმებდა,
მე სასეირნოდ გამოვედი დამწუხრებული
და ლელვის ჭალას რომ ვუსწორდი, იქ ვკიდე თვალი
თქვენს ვაჟს, რომეოს: დასავლეთის ჭიშკართან იდგა
და რომ შემნიშნა მისკენ ნაბიჯაჩქარებული,
არ დაახანა და მაშინვე ტყეს შეერია.

ბ-ნი მონტეკი:
ბევრჯერ უნახავთ ალიონზე ლელვის ჭალაში.

ქ-ნი მონტეკი:
აი, რომეოც...

(რომეო მოდის)

ბენვოლიო:
...ჩვენსკენ მოდის. თქვენ გაერიდეთ
და, იმედი მაქვს, გულის ფიქრებს მალე გამიმხელს.

ბ-ნი მონტეკი:
ნეტავი, მართლა ასე მოხდეს. მეც ამას ვნატრობ.
მალე გაგანდოს გულის ფიქრი. *(თავის ცოლს)*: მაშ, გავერიდოთ.

ბენვოლიო:
დილა მშვიდობის, ძმაო!

რომეო:
ნუთუ, ისევ დილაა?

ბენვოლიო:
ცხრა ჩამორეკა...

რომეო:
...რა ზანტია ნაღვლიანი დრო.
ის მამაჩემი ხომ არ იყო, შენ რომ გაგშორდა?

ბენვილიო:
ჰო, არ შემცდარხარ. მაგრამ მითხარ, ნუ დამიმალავ,
რა ნაღველია, დროის სვლას რომ ასე გინელებს?

რომეო:
დროის დინებას რაც აჩქარებს, იმის არქონა.
(გადის)

ბენვოლიო:
რომეო!

რომეო:
დროებით, ძმაო! აქ რა მოხდა... თუმცა, მეც ვხვდები,

რა სიძულვილის ნაყოფებიც ყრია გარშემო.
ან, იქნებ, სულაც, სიყვარულის... კარგი, წავედი.

(შემოდიან ჯულიეტას მამა და პარისი)

ბ-ნი კაპულეტი:
მეც და მონტეკიც ერთნაირად დაგვაჯარიმეს.
მე ვფიქრობ, დროა, ამ ხნის ხალხმა მშვიდად ვიცხოვროთ.

პარისი:
სამწუხაროა, რომ ყველასგან პატივცემულ ხალხს
მუდამ შუღლი გაქვთ. ჩემს სათხოვარს რით უპასუხებ?

ბ-ნი კაპულეტი:
იმით, რაც ადრეც არაერთხელ გულწრფელად მითქვამს:
ჯერაც ბავშვია, მაგრამ მაინც თქვენსას ეცადეთ;
იქნებ მოხდეს და მისი გული მოინადიროთ.
წვეულება გვაქვს ამ საღამოს. თავადაც იცით,
თუ დარჩებით და დაგვეწვევით, გვასიამოვნებთ.

(იხსნება კედლები)

პარისი:
ო, ქალბატონო კაპულეტი!

*

პარისი და ბატონი კაპულეტი
(დუეტი, რომელიც იმღერება)

პარისი:
თქვენ იცით
მე ვინ ვარ

და მე რისთვის მოვსულვარ,

თქვენს ასულს
ვაღმერთებ
და გთხოვთ შემრთოთ
მე ცოლად.

კარგი სასიძო ვარ,
გაგიხარებთ გულს,
სიტყვის კაცი ვარ,
ღალატი მძულს.

მეფე-
ები
და პრინ-
ცები
კარგად მიცნობენ,
მაფასებენ.

კაპულეტი:
ძვირფასო
რაინდო,
გაოცებას ვერ ვმალავ,

რომ თქვენი
გრძნობები
ძლიერია
ესოდენ,

მაგრამ მე გირჩევდით,
საღამოს მოდით
წვეულებაზე,
ეცეკვეთ მას.

არ შევც-
დეთ და
არ ვი-
ფიქროთ,
თითქოს ქალის გულს
ჩვენ გამოვტაცებთ დროს
და დავეუფლებით.

ძვირფასო
რაინდო,
მე ვაფასებ
თქვენს სიყვარულს.

*

გამზრდელი, ჯულიეტა, ქ-ნი კაპულეტი:

გამზრდელი:
აბა, გამზრდელის სიხაულო, მარდად ადექი!
შენი დედიკო მოიჩქარის შენს სანახავად!
აქეთ მობრზანდით, ქალბატონო! აქეთ მობრძანდით!

ქ-ნი კაპულეტი:
ეჰ, ჯულიეტა, მე მამაშენს აღარ ვუყვარვარ.
ისიც მაეჭვებს, თუ ვუყვარდი მას მე ოდესმე.
ერთმანეთი რომ გავიცანით, რაც მაშინ სურდა,
დაოჯახება ერქვა იმას, სხვა არაფერი.
სიყვარული კი, ალბათ, მხოლოდ მაშინ ეწვია,
როცა შიშველი მიხილა და სურვილს მინებდა.
ნუ გიკვირს, შვილო, რასაც ვამბობ... მშვიდად... დაწყნარდი...
რამდენი ქალი შენატროდა ჩემს სილამაზეს!
საიდან შენი სილამაზე, თუ არა ჩემგან?!
მამაშენს კარგი თვალი ჰქონდა, არ უჩიოდა

უგემოვნობას, ამიტომაც გამომარჩია.
მაგრამ ამქვეყნად დროის ბრუნვა განაგებს გრძნობებს
და მამაშენის სიყვარულიც დრომ გაანელა.
ქალთა მოდგმა კი მხოლოდ ერთზე ფიქრობს ყოველთვის,
და ამ ერთს ცხელი სიყვარული ჰქვია სახელად.
შენც, ჯულიეტა, უკვე დროა, გათხოვებაზე
იფიქრო, რათა სიყვარული გაიხანგრძლივო
და შენს მეუღლეს, ვიდრე ცეცხლი ჩაუქრებოდეს,
ტკბილი ნექტარი გამოსწურო ჭარბად და უხვად.

გამზრდელი:
ოჰ, ეს სულელი, ეს საბრალო მამაკაცები!
მათ არაფერი არ იციან ჩვენზე, ქალებზე!
მაგრამ გამოვტყდეთ, ქალს იოლად ვერ შეიმეცნებ!

ქ-ნი კაპულეტი:
არ იციან და ამიტომაც ვერ ვიტან კაცებს!

გამზრდელი:
მე კი ვაღმერთებ მამაკაცებს!

ქ-ნი კაპულეტი:
...ალბათ იმიტომ,
რომ კაცებს ჯერაც არაფერი უვნიათ შენთვის!

გამზრდელი:
ასეა, მაგრამ ჯერ იმედი არ დამიკარგავს,
რომ მეც მავნებენ უფრო ხშირად, ვიდრე თქვენ გავნეს!
(ჯულიეტას) ყური დაუგდე შენს დედიკოს, ის მართალს ბრძანებს,
და თუ მას ჰყავდა საყვარლების მთელი არმია,
ვგრძნობ, საამისოდ მას ურიცხვი მიზეზიც ჰქონდა.

ქ-ნი კაპულეტი:
არ დაუჯერო მაგ შურიანს, ჩემო ლამაზო,

ცუდი მეუღლე არ ვყოფილვარ მართლაც არასდროს!
და მამაშენიც ერთადერთი მამაკაცია,
ვინც კი მყოლია ცხოვრებაში. და არც გავრჯილვარ,
სხვა მამაკაცთა ღირსებები რომ მომეჩხრიკა
ჩემი მეუღლის ღირსებებთან შესადარებლად.
მამაშენს ესმის ქალთა მოდგმის, კარგადაც ესმის!
შენ კი გახსოვდეს, ჯულიეტა, ჩვენი სიცოცხლე
ლამაზია და წარმავალი, და არ ღირს იმად,
რომ ქორწილის დღე გამოტოვო და ასცდე იმას,
რაც საქორწილო აღთქმის ძალით შენი იქნება.
ერთსაც გაგიმხელ: შენი კაბა უკვე მზად არის,
შესაკერად და გასაწყობად თავად ვიზრუნე.

ერთად:
ჩვენ სუსტ არსებებს გვეძახიან და არც ცდებიან,
ჩვენი ხვედრია მწუხარება და ცრემლის ფრქვევა.
შენ გათხოვდები, შენს მამაკაცს მოინადირებ
და ამ ხვედრისთვის, ჩვენ რომ გვერგო, შურსაც იძიებ!

ქ-ნი კაპულეტი:
ჩვენი სიცოცხლე ლამაზია, მაგრამ ხანმოკლე,
და არ ღირს იმად, ქორწილის დღე რომ გამოტოვო
და ასცდე იმას, რითაც ეს დღე დაგაჯილდოებს.

ერთად:
უნდა გათხოვდე და შეიტკბო ახალგაზრდობა!
დადგება დრო და გავიგონებთ შენგან მადლობას.

ქ-ნი კაპულეტი:
ამას რას ვხედავ! ჩემი კაბა, წვეულებისთვის
რომ შევუკვეთე! მინდა, ტანზე ჩქარა მოვირგო!

ჯულიეტა *(გამზრდელს)*:
და მაინც, რაღაც უცნაური აზრი მგონია

ეს გათხოვება – მე ხომ ჯერაც ისე ნორჩი ვარ!

გამზრდელი:
ნორჩი? რას ამბობ, საყვარელო! მე შენს ასაკში
ჩემს ქმარს შევტრფოდი, ვუვლიდი და ვეფერებოდი!

ჯულიეტა:
შენ ქმარი გყავდა? არ მატყუებ? შენ – გათხოვილი?

გამზრდელი:
ჰო, ასე იყო, არ გატყუებ. მე – გათხოვილი!
მაგრამ... უფალმა გაანათლოს... გარდაიცვალა.

ჯულიეტა:
შენ ის გიყვარდა? თქვი, გიყვარდა?

გამზრდელი:
...როგორ არ მინდა,
რომ ყველაფერი არასწორად გაიგო, შვილო!
თუმცა, ერთ ამბავს გავიხსენებ და ვინც ჯერ კიდევ
უცხოა შენთვის, შენთვის უცხო აღარ იქნება.
სულ ციცქნა იყავ, თუმცა ფეხი ადგმული გქონდა,
დარბოდი კიდეც, მაგრამ ერთხელ პირქვე დაეცი
და ლამაზ შუბლზე უშნო კოპი წამოგასკუპდა.
ჩემმა ქმარმა კი აგიტაცა ატირებული
და დაგიყვავა: "ცუგრუმელავ, პირქვე დაეცი?
ეგ არაფერი, გაგვეზრდები, დაგვიქალდები
და მაშინ უკვე დაეცემი მხოლოდ გულაღმა!"
და უმალ გკითხა სიყვარულით, ხომ ასეაო.
და ეს რომ გკითხა, შენ ტირილი უმალ შეწყვიტე
და ღუღუნა ხმით უპასუხე, - ჰო, ასეაო.

*

ქვეყნიერების მეფეები
(იმღერება)

რომეო:
ძლიერნი ამა ქვეყნისანი
აქებენ ოქროს და აქებენ ფულს,
ჭუჭყიან სხეულზე იცვამენ ფრაკს,
მათი სიბინძურე სიყვარულს კლავს.

ბენვოლიო:
ისინი სისხლს სვამენ, ჩვენ ღვინოს ვსვამთ,
ჩვენ არ დავნებდებით არასდროს მათ,
მათი სიცოცხლე ახარებს სიკვდილს,
ისინი გვესვრიან ტალახს და ქვას.

გუნდი:
არ დავნებდებით ამ ღორებს,
მათ ავუშენებთ საღორეს.

გუნდი:
არ დავიჩოქებთ, არ დავთმობთ,
გულში მათ სიძულვილს ვათბობთ.

მერკუციო:
ისინი ლამაზად იკრეჭენ თმებს,
მკვლელებსაც ლამაზად უწყობენ ხმებს;
მერე კი ეძებენ მონებს და ბრმებს,
გვიქსევენ ძაღლებს და გვესვრიან ქვებს.

მერკუციო, რომეო:
მკვლელებსაც ლამაზად უწყობენ ხმებს,
(ბენვოლიო: უწყობენ ხმებს)
ყოველთვის ეძებენ მონებს და ბრმებს,

(ბენვოლიო: მონებს და ბრმებს)
და ვერ იტანენ ამ ჩვენს სიმღერებს,
(ბენვოლიო: ამ ჩვენს სიმღერებს)
ისინი ვერ იტანენ სიცოცხლეს.

გუნდი:
არ დავიჩოქებთ, არ დავთმობთ,
ჩვენ ამას ხმამაღლა ვამბობთ.

გუნდი:
ჩვენ კარგად ვხედავთ ამ ღორებს,
ჩვენ მათ ვუშენებთ საღორეს.

*

მერკუციო:
ძმებო, თუ იცით, ეს სიახლე: ბალ-მასკარადი
რომ იმართება ამ საღამოს?

რომეო:
მერე რა?

ბენვილიო:
ვისთან?

მერკუციო:
კაპულეტებთან...

ბენვოლიო:
რაო მერე, ჩვენც დაგვპატიჟეს?

მერკუციო:
ცხადია, არა...

ბენვილიო:
...ჰოდა, მაშინ ჩვენ რა შუაში ვართ?

მერკუციო:
უნდა ვეწვიოთ!

ბენვოლიო:
ო—ჰო—ჰო—ჰო – ვეწვიოთ, არა?

მერკუციო:
უ-ჰუ-ჰუ-ჰუ – დიახ, ვეწვიოთ!

რომეო:
კარგია სტუმრად სიარული, მაგრამ სიკეთეს
ეს არ მოიტანს...

მერკუციო:
...ვითომ რატომ?

რომეო:
...სიზმარი ვნახე.

მერკუციო:
უცნაურია, რომ მეც ვნახე...

რომეო:
...შენ რაღა ნახე?

მერკუციო:
ის, რასაც სიზმრის მნახველები ხშირად ტყუიან.

რომეო:
სიზმარმა უფრო ადრე იცის, რა ბედიც გველის.

მერკუციო:
ვხედავ, სიზმარში საზარელი პანი გწვევია.

რომეო:
პანი ვინღაა?..

მერკუციო:
...ვის წინაშეც ყველა შიშით ძრწის.
ჰოდა, გეწვია ალბათ პანი, წელზემოთ კაცი,
ხოლო წელსქვემოთ თხა, რომელიც, ქვეყნად რომ იშვა,
ისეთი უშნო, საზარელი ჩვილი გამოდგა,
იგი მშობელმა დედამაც კი გაინაპირა,
ძუძუ არ მისცა, გააძევა, ზურგი აქცია,
მაგრამ ჰერმესმა, მამამისმა, ოლიმპოს ღმერთებს
მიჰგვარა, რათა ჩაეხედათ იმათ თვალებში
ამ საშინელი არსებისთვის და ამის მერე
გადაეწყვიტათ მისი ბედი, დანიშნულება.
ეს ის პანია, ოლიმპოზე რომ გამოზარდეს
და იმის მერე ტყეებსა და გარეულ მხეცებს
და ცხვრის ფარებსაც რომ მფარველობს და თხის არვეებს,
და მეცხვარეებს ზოგჯერ ისე გამოუჩნდება,
რომ საბრალოებს გაჩენის დღეს დააწყევლინებს;
შეყვარებულებს, ცხოვრების და დროის ტყეებში
რომ გახლართულან, ჩაძინებულთ თავს დაადგება
და ისე ტკბილად დაამღერებს თავის ფლეიტას,
რომ სიყვარული სამუდამოდ რჩება იმათთან
და სიზმარშიც და ცხადშიც მათი ბატონი ხდება.
ეს ის პანია, ღამით ცხენებს ფაფარს რომ უწნავს
და კუდსაც უწნავს, ველად გაჰყავს, გააჯირითებს,
და ვაი იმას, ვინც გაბედავს, მას ამ საქმეში
წინ გადაუდგეს, ის დღის ნათელს ვეღარ იხილავს.
ხან ჩაუქროლებს მსაჯულებს და ქრთამს მოაჩვენებს,
ხან მძინარე მღვდელს შუა მარხვაში გოჭს მოალანდებს

და ამ გოჭის კუდს ცხვირწინ ისე დაუტრიალებს,
რომ საცოდავი აყვირდება და პირჯვარს იწერს.
და ხდება ასეც: ბანჯგვლიანი ეს ჯადოქარი
თუ გადააწყდა ჩაძინებულ ქალიშვილს სადმე,
მიეპარება, დააწვება ზემოდან მძიმედ
და კამასუტრას ერთ ღამეში დააძლევინებს.
აი, ეს პანი მოგეველინა ალბათ მძინარეს.

რომეო: *(ლოყაში ხელებს შემოარტყამს, გამოაფხიზლებს)*
კარგი, დამშვიდდი, გონს მოეგე, რამ გაგაგიჟა.

მერკუციო:
შენ მართალი ხარ. კაცმა რომ თქვას, რაა სიზმარი,
თუ არა მხოლოდ ილუზია, თუ არა ქარი
და ქარზე მეტად ცვალებადი...

ბენვოლიო:
...ჰო, ეგ ქარია,
თავგზას რომ გვიბნევს და ფეხს ვითრევთ, ამ დროს კი უკვე
შუა ვახშამია სასახლეში კაპულეტებთან.

(მერკუციო, ბენვოლიო და ამალა გადიან)

რომეო:
მე კი ვშიშობ, რომ ან ძალიან ადრე არ იყოს
ან ისე გვიან, რომ ჩემს ვარსკვლავს ჩემივე ბედი
მოსწყდეს და ფრთხილად შეერიოს ამ უცნაურ ლხინს
და ამოქმედდეს საწამლავი... მე ეს მაფიქრებს.

*

რომეო:
მეშინია *(იმღერება)*

მაშინ, როცა
თქვენ ყველაფერს
დაუფიქრებლად
დასცინით,
მე ამ დროს
მეშინია,
რომ სიკვდილი
ჩვენ დაგვცინებს.

მეგობრებო,
ჩემო ძმებო,
მინდა თქვენ
ერთგულებით
და ტკივილით
გამოგიტყდეთ:
რაღაც მაშინებს!
რაღაც!

ში-ში,
ში-ში,
ამ შიშის აჩრდილი
თან დამდევს მუდმივად
და მეჩურჩულება
სიბნელეს და წყვდიადს.

ში-ში,
ში-ში,
ში-ში,
ში-ში,
ში-ში,
ში-ში,
ეს შიში ჩამძახის,
რომ ერთხელ ჩვენ გულებს

უფსკრულში ჩაყრიან
სასტიკი ქარები.

ეს შიშია, რაც ჩამძახის,
რომ რაც ჩნდება, იღუპება;
ჩვენს სიცილსაც, ჩვენს გულებსაც
ზამთრის სუსხი ეუფლება.
რა ძნელია, ქვის აჩრდილებს
როცა უკვე ახლოს ხედავ.
მძიმეა, მძიმე – ეს ტვირთი:
ჩვენი მშობლების სიცრუე.

ში-ში,
ში-ში,
ეს შიში ჩამძახის,
რომ ყველა სიბნელეს,
ჩვენამდე დათესილს,
ჩვენ გვამკევინებენ.
ში-ში,
ში-ში,
ში-ში.

ეს შიში ჩამძახის,
კაშკაშა ვარსკვლავი,
ჩვენს გზას რომ ანათებს,
ხვალ უფსკრულს გვანახებს.
ში-ში,
ში-ში,
ში-ში.

აი, რა მაშინებს:
ამ ბედნიერებას,
ბედი არ შეგვარჩენს,

ბედი არ დაგვინდობს.
ში-ში,
ში-ში,
ში-ში.

*

(შემოდიან მერკუციო და ბენვოლიო)

ბენვოლიო:
ნეტავ, რას დარდობ... გამომართვი შენი ნიღაბი!
(აწვდის ნიღაბს)

რომეო:
ნიღაბი – რისთვის?

ბენვოლიო:
...წავიდეთ და ცოტა ვიცეკვოთ.

რომეო:
ამქვეყნად ცეკვაც არ ხერხდება უნიღბოდ, არა?
თითქოს გრიმის და ნიღბის მეტი რამე გაგვაჩნდეს!
მსახიობიც კი ვერ შეძლებდა ამდენი ნიღბის
ისე ხშირად და ისე სწრაფად გამოცვლას, როგორც
ჩვენ შეგვიძლია. რა, ძნელია შეყვარებულის,
პოლიტიკოსის, ერისკაცის, მზრუნველი მშობლის
ან კაზანოვას ან ბრძენკაცის ნიღბის მორგება?
ასე არა რის?

ბენვოლიო:
...კი, ასეა. ყოველთვის ის ვართ,
ჩვენ ვინც არა ვართ!

მერკუციო:
საკუთარ თავს თუკი დაეძებთ,
მაშინ იცეკვეთ დღე და ღამე, თან საკუთარ ჭიპს
ჩააშტერდით და პარტნიორის ჭიპიც ეძებეთ.

ბენვოლიო:
ჰოდა, წავიდეთ, რაღას ვუცდით?

რომეო:
...კარგი, წავიდეთ.

მერკუციო:
მიყვარს, დამყოლი ხასიათის ადამიანებს
როცა ვუყურებ, დრო გადის და მათგან მართლაც რომ
საუკეთესო მეგობრები ყალიბდებიან.

რომეო:
ადამიანებს?

ბენვოლიო:
...აბა, მაგის რა მოგახსენო...

(კარებში დგას კაპულეტი და ყველას ეპატიჟება)

კაპულეტი:
მობრძანდით, მობრძანდით!
ოოო, შენც გვეწვიე, მშვენიერო ჩემი დისწულო!
აქეთ მობრთანდით, ბატონებო, აქეთ მობრძანდით!

(ცეკვა მიუზიკლის მიხედვით, რომეოს და ჯულიეტას დუეტამდე)

რომეო:
ღმერთო, ვინ არის ეს ასული, რა სილამაზეს

უძლებს სიცოცხლე მისი სახით, მე კი მაბრმავებს
და მაიძულებს, ჩემს მეგობრებს ვუთხრა მადლობა,
რომ შემიძლია მე ამ თეთრი სინათლით ტკბობა.
უმანკო კაცს რომ თავს დაატყდეს პირველი გრძნობა,
ისე ვარ ახლა და მე ვიცი, რაც ჩემში ხდება,
სიცოცხლეც არის და სიკვდილიც იმავდროულად,
რადგან დამთავრდა ის რომეო, გუშინ რომ ვიყავ
და ახლა ვხვდები, რომ არც ჰამლეტს და არც დონ ჟუანს
არ განუცდია ცხოვრებაში ასეთი გრძნობა.
ღმერთო, ნუ მომკლავ, ვიდრე ცეკვას დაამთავრებდეს
და ჩემს ხელს მის ხელს შევახებდე და შევიტკბობდე.

(რომეო თან სდევს ჯულიეტას, შემდეგ ხელს სტაცებს)

რომეო:
უღირსი ხელით თუ შევეხე მშვენიერებას,
ნება მიეცით ამ ჩემს ტუჩებს, ლოცვით დაღლილებს,
ეს შეცოდება თბილი კოცნით გამოისყიდონ.

ჯულიეტა:
არადა, მე რომ გამოსასყიდს ვერაფერს ვხედავ
შენი ხელების საქციელში, როგორ მოვიქცე?
მლოცველებიც ხომ ეხებიან ხელით წმინდანებს?!

რომეო:
მერე ტუჩები რისთვის მისცა ღმერთმა მლოცველებს?

ჯულიეტა:
მხოლოდ იმისთვის, რომ ილოცონ, ჩემო მლოცველო!

რომეო:
მაშ, თუ ასეა, ჩემს ტუჩებსაც მიეცეთ ნება,
ხელებს მიბაძონ და ილოცონ მორწმუნის წესით.

ჯულიეტა:
თავს არ აქნევენ წმინდანები თანხმობის ნიშნად.

რომეო:
ნურც შენ დააქნევ. მსურს შევიტკბო შენი თანხმობა!
(კოცნის)
შენმა ტუჩებმა მოაცილეს ჩემს ტუჩებს ცოდვა.

ჯულიეტა:
და ჩემს ბაგეებს შეატოვეს...

რომეო:
...ღმერთო, რა ტკბილი
საყვედურია. მე ვიბრუნებ უკან ჩემს კოცნას.

ჯულიეტა:
საღმრთო წიგნებმა თუ გასწავლეს ასეთი კოცნა!

რომეო და ჯულიეტა კოცნიან ერთმანეთს მასკარადზე და იწყება დუეტი მიუზიკლიდან

*

(ეს დუეტი იმღერება)

რომეო:
რა ჰაეროვანი,
რა ნაზი ასული
დაფრინავს
ჩემს სიზმარში,
ფერიას ჰგავს.
რით დავიმსახურე, ღმერთო!

ჯულიეტა:
რა თვალით მიყურებს,
რა ცეცხლში გამხვია!
ამ ზეციურ ანგელოზს
რა უნდა აქ!
ნუ გამომაღვიძებ, ღმერთო!

რომეო:
შემიყვარებდეს
ნეტავ
ოდესმე და
სამუდამოდ!

ჯულიეტა:
შემიყვარებდეს
ნეტავ
ოდესმე და
სამარადისოდ!

რომეო:
შენ თუ გახდები
ჩემი
სიყვარული?

ჯულიეტა:
თუ გეყვარები
მუდამ,
ჩემო მზეო?

ერთად:
ჩვენ თუ გავხდებით
ერთი
ოდესმე და

სამუდამოდ?

რა არის
განა ღმერთი,
თუ არა
სიყვარული!

სცენა დუეტის შემდეგ.

გამზრდელი:
დედა გეძახით.

რომეო:
დედამისი ვინ არის, ნეტავ?

გამზრდელი:
როგორ, ყმაწვილო, დიასახლისს არ იცნობთ განა?
თქვენი მასპინძლის ხალისიან, კეთილ მეუღლეს?
სწორედ ამ წუთას ჭუკჭუკებდით მის ქალიშვილთან,
რომლის გამზრდელიც, არ დავმალავ, თავად გახლავართ,
და არც ის არის დასამალი, რომ ვინც ჩემს გაზრდილს
მოინადირებს, ხელს გამოკრავს ოქროს ზოდებსაც.

რომეო:
მაშ, კაპულეტი? უბედობაც ასეთი უნდა!
მტრის გალიაში სამუდამოდ გამოვმწყვდეულვარ!

სცენის მეორე კუთხეში.

ტიბალდი *(ქ-ნ კაპულეტის)*:
ამას რას ვხედავ, ამ ჩვენს ძვირფას წვეულებაზე
მონტეკის ხროვის ნაბიჭვრები შემოგვპარვია!
(მიატოვებს და გარბის ბიძამისთან)

ერთი უყურე, ბიძაჩემო, ჩვენს სასახლეში
მონტეკის ხალხი რა მზაკვრულად შემოპარულა!
რაც ჩაიფიქრეს, კარგად ვიცი, მაგრამ ვანანებ
მათ ამ საქციელს...

ბ-ნი კაპულეტი: *(თვალს გააყოლებს მის თითს)*
...მოიცადე, ეს რომეოა?

ტიბალდი:
ჰო, რომეოა, ეგ ღვთის გლახა, რისთვის მოეთრა,
წვეულება რომ აგვირიოს და ჩაგვიშალოს?

ბ-ნი კაპულეტი:
აბა, დაწყნარდი! ნუ აყენებ შეურაცხყოფას,
გლახა კი არა, ღირსეული აზნაურია,
ისე უჭირავს თავი, როგორც რაინდს შეჰფერის
და ვერც ზრდილობას დაუწუნებ. არ გეკადრება!
კაცი ვერ ვნახე ვერონაში, პატივს არ სცემდეს
ამ ახალგაზრდას. ვერც ჩემს სახლში გაბედავს ვინმე
ასეთი სტუმრის გაბრაზებას და წყენინებას.

ტიბალდი:
(ხედავს, როგორ ცეკვავენ ჯულიეტა და რომეო, იფეთქებს)
როგორ ვერ ხედავ, ბიძაჩემო, თავი გვეჭრება!

ბ-ნი კაპულეტი *(გვერდზე გაიყვანს)*:
ამას უყურე, რა დღეშია! დამშვიდდი, თორემ
არ გაპატიებ, ჩემს წინ ხტომას მწარედ განანებ!

ტიბალდი:
მე ამას დიდხანს ვერ მოვითმენ...

ბ-ნი კაპულეტი:
...არა, მოითმენ!

ზრდილობა-მეთქი. ჩემს ხასიათს შენ კარგად იცნობ...

ქ-ნი კაპულეტი:
რა დაგემართათ, რა შეგიჩნდათ? *(ტიბალდს)* გადაირიე?

(ესალმება ყველას თავაზიანი ღიმილით. ქმარს ხელს გაუყრის და საცეკვაოდ მიემართებიან)

(გრძელდება ცეკვა. II ნაწილი)
ცეკვის ფინალის მერე.

ჯულიეტა:
ჩემო გადია, ერთი მითხარ, აი, ის კაცი,
ვინ უნდა იყოს?

გამზრდელი:
...თუ არ ვცდები, პეტრუჩიოა.

ჯულიეტა:
მას რომ მიჰყვება, ის ვინ არის?

გამზრდელი:
...მაგას კი ვერ ვცნობ.

ჯულიეტა:
მიდი სასწრაფოდ და გამიგე მისი სახელი.

(გადია მიდის ტიბალდთან)

ტიბალდი:
რომეოა, გვარად მონტეკი.

გამზრდელი *(შეშფოთებული)*:
რომეო გახლავს, შენი მტრების ერთადერთი ძე.

ჯულიეტა:
სადაც ჩვენს გვარებს გაუმართავთ სასტიკი მტრობა,
იქ გაიშალა ჩემი გულის პირველი ტრფობა.
მაშ, ეს ყოფილა ჩემი ბედი, რა გაეწყობა.

აივნის სცენა.

რომეო:
ეს რა ნათელი აელვარდა ძვირფას სარკმელში?
ჯულიეტაა, ჩემი მზე და ჩემი სინათლე.
აი, ნიკაპი ჩამოაყრდნო კოპწია ხელებს.
გადამაქციე, ღმერთო ჩემო, ხელთათმანებად,
ჩემი ძვირფასის თბილ ღაწვებს რომ მივეალერსო.

ჯულიეტა:
ღმერთო, ასეთი რა შეგცოდე!

რომეო:
ეს მისი ხმაა!

ჯულიეტა:
ოი, რომეო, ო, რომეო, სად ხარ, რომეო?
უარყავ მამა, დაგმე გვარი, და თუ ეს არ გსურს,
მომეცი აღქმა სიყვარულის, შენი რომ გავხდე,
მერე კი ერთი სიტყვით ბრძანე, ჩემო ბატონო,
და ჩემს გვარს დავგმობ, კაპულეტი აღარ ვიქნები.

რომეო:
როგორ მოვიქცე? ვუსმინო თუ პასუხი გავცე?

ჯულიეტა:
შენი გვარი მტრობს ჩემს გვარს! აბა, ჩვენ რა შუაში ვართ?!
შენ რომეო ხარ და ჩემი ხარ, მე შენ მიყვარხარ,

და ვერ ვპოულობ შენს გვარს მაგ შენს ზღაპრულ თვალებში,
და ვერც შენს ხმაში, ვერც შენს გულში, ვერც შენს ხელებში!
მაინც რას ნიშნავს ეს მონტეკი? ანდა სხეულის
რა ნაწილია, იოლად რომ ვერ მოიცილო?
გთხოვ, გადააგდე ეს გვარი და მე წამიყვანე.

რომეო:
სიტყვაზე გიჭერ, თუ ასეა, ამიერიდან
არ ვარ მონტეკი, მხოლოდ ის ვარ, შენ ვინც გწყურია.

ჯულიეტა:
ვინ ხარ მანდ, ღამის სიბნელეში რომ იმალები?
ჩემს გულისთქმასთან რა ხელი აქვს უცხო არსებას?

რომეო:
არ ვიცი, რა ვთქვა. იქნებ, უკვე მართლა უცხო ვარ,
რაკი ჩემივე გვარ-სახელი მომძულებია?!
ვიცი მხოლოდ, რომ ის ვიქნები ამიერიდან,
ვინც შენს სიხარულს დაიცავს და გაუფრთხილდება.

ჯულიეტა:
რომეო, შენ ხარ? მონტეკი ხარ?

რომეო:
არცერთი არ ვარ.

ჯულიეტა:
რატომ მაშინებ, სიყვარულო, რატომ მაშინებ?
არ მინდა, ჩემი სიყვარული გექცეს ხაფანგად!
ეს შენი მტრების ბუნაგია, აქ როგორ გაჩნდი?
ბაღის სასტიკი გალავანი როგორ დაძლიე?

რომეო:
მე გადმოვფრინდი სიყვარულის მსუბუქი ფრთებით!

ასეთ სიყვარულს ქვის ჯებირი რას შეაჩერებს!

ჯულიეტა:
რაკი მისმენდი, დასამალიც არაფერია!
გულწრფელად მითხარ, რომ გიყვარვარ და არ თვალთმაქცობ!
თქვი და გენდობი! შემომფიცე!... მაგრამ ამბობენ,
იუპიტერი იცინისო მიჯნურთა ფიცზე.

რომეო:
მაშ, შემოგფიცო? გეფიცები რაინდის ფიცით!

*

სიყვარული
(ეს დუეტი იმღერება)

რომეო:
ერთად ავანთოთ ღამე
და თავად ვიყოთ ცეცხლი.
ვფიცავთ, დროს ვძლიოთ ერთად;
ვფიცავთ, ვიფრინოთ მარად.

ჯულიეტა:
ხელი შევახოთ ზეცას;
გული ფეთქავდეს მარად;
ერთად ვანთებდეთ სანთლებს,
ვფიცავთ, რომ ვიყოთ ერთად!

ორივე:
ვფიცავთ გავცემდეთ იმას,
საუკეთესო რაც გვაქვს,
ვფიცავთ ჩვენს გულში ენთოს
ცეცხლი და ვიყოთ ერთად!

გუნდი:
მარად, გვიყვარდეს მარად;
მარად, ვიფრინოთ მარად;
მარად დროს ვძლიოთ ერთად;
მარად ჩვენ ვიყოთ ერთად.
ხელი შევახოთ ზეცას;
გული ფეთქავდეს მარად;
ერთად ვანთებდეთ სანთლებს!
ვფიცავთ, რომ ვიყოთ ერთად!

ჯულიეტა:
რომ ვიყოთ ერთად!
მარად, გვიყვარდეს მარად.

ჯულიეტა: გვიყვარდეს მარად!
ერთად ვანთებდეთ სანთლებს,
ვიყოთ სიზმრებშიც ერთად.

*

გამზრდელი:
ქალბატონო, ჯულიეტა!

ჯულიეტა:
ახლავე მოვალ *(გაიქცევა, მერე ისევ შემოდის)*:
ჩემო რომეო, თუკი მართლა გულით გიყვარვარ
და გადაწყვიტე, ერთად ვიყოთ, მაშინ ხვალ დილით
კაცს გამოვგზავნი და უთხარი, სად და როდის გსურს,
ღმერთის წინაშე შევფიცოთ და ჯვრისწერა შედგეს,
რათა შენ გახდე ერთადერთი ჩემი მეუფე
და ჩემი გული, ბედ-იღბალი და მომავალი
შენ შემოგწირო, შენ გამოგყვე ქვეყნის კიდემდე.
მაგრამ იცოდე...

გამზრდელი:
ქალბატონო!

ჯულიეტა:
მოვდივარ მეთქი...
(რომეოს) მაგრამ იცოდე, თუკი გულში ბილწი ზრახვა გაქვს,
გემუდარები...

გამზრდელი:
ჯულიეტა!

ჯულიეტა:
ახლავე მეთქი!
(რომეოს) ჩემს გამოგზავნილ კაცს ელოდე!

რომეო:
სულო, ილხინე!

ჯულიეტა:
რომეო, გესმის? არ წასულხარ?

რომეო:
გისმენ, ძვირფასო!

ჯულიეტა:
რომელ საათზე გამოვგზავნო ხვალ დილით კაცი?

რომეო:
საათის ცხრაზე.

ჯულიეტა:
დამავიწყდა, რა უნდა მეთქვა.

რომეო:
დაგელოდები, გაიხსენე, მე არსად წავალ.

ჯულიეტა:
უკვე თენდება, წასვლის დროა, უნდა იჩქარო.
ო, რა მწარეა დროებითი ეს განშორება
და რა ტკბილია მოლოდინი ჩვენი შეხვედრის,
ამ განშორებას რომ მოჰყვება და სამუდამოდ
დაგვაკავშირებს! მაგრამ ახლა წადი, იჩქარე,
უკან მოგყვება ჩემი ლოცვა ზურგის ქარივით.
(გადის)

ლორენცო და რომეო
(ლორენცო აგროვებს ყვავილებს)

ყვავილი 1:
მე ქრისტესისხლას მეძახიან, ჩემს რძიან წვენში
დიდი ძალა და სიკეთეა, ჭრილობებს ვკურნავ,
წყლულებსაც ვკურნავ, არ დამტოვო, თან წამიყვანე.

ყვავილი 2:
მე ტანწერწეტა ღიღილო ვარ! აბა, მომხედე,
დაღლილ თვალს ჩემზე საიმედოდ ვერავინ კურნავს!

ყვავილი 3:
არც მე გამოგრჩე, სალბი მქვია, უხვად გაჩუქებ
ეთერზეთებს და ვიტამინებს, კარგად გიწამლებ,
ანთებას ვაცხრობ, ხველას ვაქრობ, სუნთქვას ვაამებ.

ყვავილი 4:
მე კი ტუხტი ვარ, თავმდაბალი, რაც მაბადია
კაცისთვის მარგი, თბილ, ძარღვიან ჩემს ფესვებშია.
კუჭი გაწუხებს თუ ნაწლავი? ყივანახველა?

იქნებ კუნთები გეჭიმება? ნერვები გტკივა?
მაშინ ამ მინდვრად ჩემზე სანდოს ვერვის მონახავ!

ყვავილი 5:
მე კი სამფერა ია მქვია, მეც გაგახარებ!
იქნებ, ბავშვი ჰყავს ვინმეს ავად, სისხლდენას ვაცხრობ,
საყმაწვილო სენს ჩემზე კარგად ვერავინ კურნავს!
გთხოვ, არ დამტოვო, მომწყვიტე და თან წამიყვანე!

ლორენცო:
ვიდრე ცისკარი დღის სინათლით შეივსებოდეს,
ამ ყვავილებით შეივსება ჩემი კალათა.
მომწამლავითაც, მკურნავითაც, სურნელოვნითაც,
ცეცხლოვანითაც, მსუსხავითაც, მეტად მწარეთიც.
მიწა იძლევა ყოველ მათგანს, ბუნების დედა,
იმავდროულად ამ ბუნების მძიმე საფლავი.
ბრუნავს სიკეთის დიდი ძალა ყვავილთა შორის
და ქვათა შორის, ხეთა შორის, ბალახთა შორის.
არ არის ქვეყნად სიბნელე და ბოროტი ძალა,
დედამიწას რომ არ აძლევდეს რამე სიკეთეს.
არც სიკეთეა ისეთი, რომ ამქვეყნად გაჩნდეს
და რამე ჩრდილი არ მოიდოს, ბნელსა და ბოროტს
არ შეერიოს, არ აიმღვრეს, არ აირიოს.
ხშირად სიკეთე გზას აცდება, ბოროტი ხდება,
ბოროტება კი კეთილ ძალად გადაიქცევა.
არის ისეთი ბოროტებაც, ბოროტი რომ სურს,
მაგრამ ყოველთვის კეთილს სჩადის, რასაც მწარედ სწუხს.
შენზე რაღა ვთქვა, პაწაწინა მინდვრის ყვავილო,
შხამიან ნექტრით რომ ავსილხარ, მაგრამ მკურნავით;
ვინც შეგიყნოსავს, ძლიერდება, მაგრამ ვინც შენი
გემოს გასინჯვას მოინდომებს, მიწად იქცევა.
ყველა სულდგმულში კეთილი და ბოროტი ბუდობს
და ერთმანეთით განსაზღვრულა, განწონის ერთურთს.

როცა ბოროტი გამარჯვებას ზეიმობს, მაშინ
ნაზი მცენარეც იცელება სიკვდილის ცელით.

რომეო:
მშვიდობის დილას მოგისურვებთ, წმინდა მამაო!

ლორენცო:
ამ სისხამ დილით ასე ტკბილად ვინ მესალმება?
ვგრძნობ, მძიმე სევდას შეუპყრიხარ შენ, ჩემო შვილო,
ამ დილაბნელზე ლოგინიდან რამ წამოგაგდო?
მაგრამ, მე ვფიქრობ, არც ის არის გამორიცხული,
რომ წუხელ თვალი წამითაც კი არ მოგიხუჭავს.

რომეო:
მართალსაც ამბობ, მთელი ღამე ტკბილად მეღვიძა.

ლორენცო:
როზალინასთან იქნებოდი...

რომეო:
...როზალინასთან?
არა, მამაო, ეგ სახელი აღარც კი მახსოვს,
შენ გამახსენე და მრცხვენია, რომ იმ ცარიელ
და უსიცოცხლო დროს მახსენებ, რაც მაშინ იყო.

ლორენცო:
კარგი, ბატონო! მაშინ ის თქვი, სად ბრძანდებოდი?

რომეო:
ყველაფერს გეტყვი: ჩვენი მტრების სახლში ვიყავი,
და ისე მოხდა, რომ იქ ერთმა სასტიკად დამჭრა
და მეც დავჭერი, და ორივე შენ შეგთხოვთ ახლა,
რომ გვიშველო და უმკურნალო ამ ჩვენს ჭრილობებს.

ლორენცო:
პირდაპირ მეტყვი თუ ქარაგმას მეც ქარაგმებით
ვუპასუხო და დაგავიწყო შენივ სათქმელი?

რომეო:
გეტყვი, რაც მოხდა: ჩემი გული კაპულეტების
ასულს ეკუთვნის სამუდამოდ, ფიცი მივეცით
უკვე ერთმანეთს და ყველა გზას შენკენ მოვყავართ:
წმინდა ქორწილით შეაუღლე ჩვენი სულები.
გემუდარები, დღესვე უნდა დაგვწერო ჯვარი.

ლორენცო:
ღმერთო ძლიერო! ასე უცებ რამ გამოგცვალა!
უკვე ღალატობ როზალინას? ყვავილს თუ რგავდი,
განა წყლის დასხმა რატომ უნდა დაგვიწყებოდა?

რომეო:
წმინდა მამაო!

ლორენცო:
...ქალმა რა ქნას, როცა ვაჟკაცი
ასე ცახცახებს ქალწულივით?

რომეო:
...წმინდა მამაო,
აკი მტუქსავდი როზალინას სიყვარულისთვის?

ლორენცო:
სიყვარულისთვის არ გტუქსავდი, მხოლოდ – ვნებისთვის.

რომეო:
ნუღარ დამტუქსავ, ფუჭი ვნება წყალმა წაიღო.
ვინც ახლა მიყვარს, გულით მიყვარს, მასაც ვუყვარვარ

და ამ სიყვარულს მესაჭედ ჰყავს დიდი უფალი.
(ჰაერში დაირხევა რალაც ჰანგი-ნიშანი. ლორენცო მოჯადოებული უსმენს)
ზეცაში ჩემმა ანგელოზმა გადაიფრინა.

ლორენცო:
კარგი, დამშვიდდი, გამომყევი, დაგეხმარები.
იქნებ მოხდეს და ამ ჯვრისწერამ ორ დიდ გვარს შორის
მტრობა და შუღლი სიყვარულად გადააქციოს.

შემდეგი სურათი.

ჯულიეტა:
გამზრდელო, ჩემო საყვარელო, წადი, სასწრაფოდ
ნახე რომეო და მაცნობე მისი პასუხი!

გამზრდელი *(მიმართავს პიეტროს)*:
აბა, სასწრაფოდ!
ჯულიეტაზე მოუთმენლად მე ველი ახლა
რომეოს პასუხს! დრო არ იცდის, წავიდეთ, ჩქარა!

ქუჩა.

მერკუციო, ბენვოლიო და ბალთაზარი მაყურებლისკენ ზურგშექცევით სხედან და ეწევიან. სიცილის "კაიფს იჭერენ". რომეო მათ პირდაპირ ზის, სახით მაყურებლისკენ.

მერკუციო *(ბენვოლიოს)*:
ერთი შეხედე, რა სახე აქვს, ველარც კი იცნობ!
ქვირითგამოცლილ ქაშაყს არ ჰგავს ჩვენი რომეო?

ბენვოლიო:
მაშ, სიყვარულმა დაგვიჩაგრა ძმაკაცი, არა?

ეშმაკთა მოდგმის ნაშიერმა ბებერმა ძუკნამ!
ისე, იცოდე, რაც შენ გუშინ გაგვიჩალიჩე,
არც მე ვიყავი ამის ღირსი, არც მერკუციო!

რომეო:
ვერ ვხვდები, მაინც რას გულისხმობ?

მერკუციო:
ვითომ არ ახსოვს!
ბალ-მასკარადი რომ დამთავრდა, სად გაგვეპარე?
თუმცა, არ მიკვირს! ვინც სიყვარულს ტაკოს უკოცნის,
ის მერე ისე შტერდება, რომ მხოლოდ ერთს ფიქრობს:
რა მოუხერხოს თავის კომბალს და სად შეჩურთოს.

შემოდიან გამზრდელი და პიეტრო.

ბენვოლიო:
ამას რას ვხედავ! გასართობიც ასეთი უნდა!

(პიეტროს ხელში ვეებერთელა მარაო უჭირავს, თითქმის მუხლებამდე ან –ქოლგა. პიეტრო შეშინებულია, რადგან მტრის ტერიტორიაზეა და მარტოა, ამიტომ გამზრდელს უფრო ეფარება, ვიდრე იცავს და როცა მას მასხრად იგდებენ, ისიც იგდებს მას მასხრად.
მონტეკები ჩხუბის ხასიათზე არ არიან. ბალთაზარი მარიხუანას აწევინებს. პიეტრო ხარბად ეწაფება და ისიც იკრიჭება).

გამზრდელი *(ვერ ხვდება, რა აცინებს ყმაწვილებს, ტანისამოსს და ძუძუებს ისწორებს)*:
ნეტავი ერთი რა გაცინებთ! რა ხორხოცია! ხა-ხა-ხა.

მერკუციო:
რომეო, ისევ შენ გეძებენ! როგორც ყოველთვის,

ახლაც გაქრები სადმე, არა?

რომეო:
...ამჯერად – არა!

მერკუციო:
ეს რა სახე აქვს შეყვარებულ ჩვენს ძმას - რომეოს!
საბრალო როგორ დაუჩაგრავს ეშმაკის მოდგმას!

ბენვოლიო:
ერთი შეხედე, მერკუციო, რა სტუმარი გვყავს;
კაპულეტების მუნჯ მოახლეს აქ რაღა უნდა?!
(მიმართავს მუნჯ მოახლეს)
აბა, გვითხარი, როგორ გინდა გასიამოვნოთ?
აქ ინებებ თუ სადმე სხვაგან? არ დაგვიმალო!
მუნჯი ხარ, მაგრამ ყრუ ხომ არა! მიდი, გვანიშნე!

გამზრდელი *(შემოდის)*:
დაანებეთ თავი მაგ გოგოს!

*

სიმღერა

გამზრდელი:
ხა, ხა, ხა,
რა ხორხოცია!
ხა, ხა, ხა,
წყალწაღებულო
ქუჩის გმირებო,
თქვენ სიყვარულის
ძალა წაგართვათ
ღმერთმა!

ხა, ხა, ხა,
დაკარგულებო,
ხა, ხა, ხა,
თქვენ გული უკვე
ამოცლილი გაქვთ
და ამიტომაც
დასცინით სხვების
უმანკო გულებს!

ბენვოლიო:
ხა, ხა, ხა,
ამას ვის ვხედავ!
ხა, ხა, ხა!
ვწუხვარ, რომ ცდები!
სიყვარული ხომ
შენისთანების
მონაჩმახია,
ჩვენთვის კი მხოლოდ
გულის მახეა.

გუნდი: *(2-ჯერ)*
ბრიყვიც
და ჭკვიანიც,
უშნოც
და ლამაზიც
განგების ძალას
მორჩილებს!
ასე გვწამს ბედის
მორჩილებს!

გამზრდელი:
ხა, ხა, ხა,

გამიგონია,
ხა, ხა, ხა,
თქვენისთანების
ბედი ეს არის:
ეგდოთ ქუჩაში,
გკლავდეთ ბოღმა და
შური.

მერკუციო:
ხა, ხა, ხა,
რა სიბრიყვეა!
ხა, ხა, ხა,
ყველას ახსოვდეს,
ყველამ იცოდეს,
სიყვარულს მხოლოდ
ის ემონება,
ვისაც წაართვა
ღმერთმა გონება!

გუნდი:
ბრიყვიც
და ჭკვიანიც,
უშნოც
და ლამაზიც
განგების ძალას
მორჩილებს!
ასე გვწამს ბედის
მორჩილებს!

*

გამზრდელი:
მომშორდით, თავი დამანებეთ, უვარგისებო!

ბენვოლიო:
რომეო!

გამზრდელი:
მომწყდით თავიდან!

ბენვოლიო:
ყველა შენ გეძებს. აბა, ნახე, ირგვლივ რა ხდება!
დედაშენი რომ შენს საძებრად დამგეშავს ხოლმე,
ამას არ ვამბობ. ახლა უკვე კაპულეტებმაც
შენს მოსაძებნად ეს გადია გამოგვიგზავნეს.

რომეო:
გადია?

მერკუციო *(მუნჯ მოახლეს მიმართავს)*:
შენ ისევ აქ ხარ?

გამზრდელი:
ხელი არ ახლო!
შენთან კი არა, რომეოსთან მოვედი სტუმრად!

მერკუციო:
მერედა, რისთვის?

გამზრდელი:
სწორედაც რომ შენ არ გეხება.

ბენვოლიო:
ჰო, კაი, კაი, აგერ არის შენი რომეო.

გამზრდელი:
ღმერთო! რომეო! როგორც იქნა! ყური დამიგდე:

მე ჯულიეტამ გამომგზავნა! შენ მართლა გიყვარს
ჩემი პატარა?

რომეო:
...მართლა მიყვარს, და მერე როგორ!

გამზრდელი:
მაშინ მითხარი, რა გადავცე, როგორ მოვიქცეთ?

რომეო *(ჩურჩულებს)*:
გთხოვ, ჯულიეტას გადაეცი, მამა ლორენცოს
სენაკში ველი... თანახმაა, ჯვარი დაგვწეროს.

გამზრდელი *(მუნჯ მოახლეს მიმართავს)*:
წადი, აცნობე ჯულეტას, რომ... მე მოვდივარ!

არია. არიის მერე:

გამზრდელი *(ბენვოლიოს)*:

ბატონო, ხომ ვერ გამანდობდით, მაინც ვინ არის
ეს უსირცხვილო ქუჩის ბიჭი, ამდენს რომ ბედავს?

ბენვოლიო:
მერკუციოა ეგ ბატონი, ჩემი ძმაკაცი!
გატყობ, ვიღაცა დაგკარგვია! მითხარ, ვის ეძებ?

გამზრდელი:
ჰოდა, შენს ძმაკაცს თუ ჰგონია, თავს ვერ დავიცავ,
ძალიან ცდება! მაგისთანა ვიგინდარების
არ მეშინია! ერთს კი არა, ოცსაც მივბეგვავ!
რა საშაყირო მე მომნახა! მაგის ტოლი ვარ?
(ჩასცხებს თავში პიეტროს)

შენ კი დგახარ და ნებას აძლევ ყველა იდიოტს,
შეურაცხყოფა მომაყენოს! ეს გევალება?

პიეტრო:
არ შემინიშნავს მე, ღმერთმანი, აქ თქვენთვის ვინმეს
ეკადრებინოს უკადრისი, თორემ ყამაზე
წამოვაგებდი და კანონიც გამამართლებდა.

მერკუციო *(ფეხს დაუბაკუნებს)*:

გაშპი აქედან!
არ წავიდეთ სახლში, რომეო?
დღეს მამაშენთან ვსადილობთ და ამიტომ ვჩქარობ!

რომეო:
წადით, მეც მალე დაგეწევით!

გამზრდელი:
ეს არამზადა!
ბრაზისგან მუხლი მეკვეთება, ისე ვკანკალებ!
(რომეოს)
თქვენთან საქმე მაქვს, საიდუმლო უნდა გაუწყოთ,
ჩემმა პატარა ქალბატონმა რაც დამაბარა...
ჯერ კი გაფრთხილებთ, რომ მის წმინდა და სათუთ გრძნობას
თუ გააწბილებთ, ეს იქნება უსინდისობა...

რომეო *(აწყვეტინებს)*:
გამზრდელო, მხოლოდ ღირსეული თაყვანისცემა
გადაეცი და... გადაეცი ამასთანავე...

გამზრდელი:
დიახ, გადავცემ, ერთ ასოსაც არ გამოვტოვებ!

რომეო:
კი, მაგრამ თქმას თუ არ დამაცდი, რაღას გადასცემ?

გამზრდელი:
თანახმა რომ ხარ მისი შერთვის, ამას გადავცემ!

რომეო:
უთხარი, შუადღე რომ დადგება, ლორენცოს ნახვა
და მის სენაკში აღსარება მოიმიზეზოს!
მეც იქ ვიქნები და ჯვარს დაგვწერს ჩვენი ლორენცო!
ეს კი შენ – შენი ქალბატონის ერთგულებისთვის!
(უწვდის ქისას)

გამზრდელი:
არა, ბატონო, ხელს არ ვახლებ, როგორ იქნება!

რომეო:
კარგი, აიღე, ნუ უარობ.

გამზრდელი:
მაშ, დღეს, შუადღისას!
ფიქრი არ გქონდეთ! დანიშნულ დროს თქვენთან იქნება!

რომეო:
მშვიდობით! ჩემი სიხარული გაუზიარე!

გამზრდელი:
გავუზიარებ თუნდაც ასჯერ! პიეტრო, ჩქარა!

პიეტრო:
გისმენთ!

გამზრდელი:
მარაო გამომართვი! შინისკენ – ჩქარა!
(გადიან)

ბოლო სცენა:

ჯულიეტა:
გამზრდელო!

გამზრდელი:
ჩემო ჯულიეტა!

ჯულიეტა:
გული არ მითმენს... აბა, რა თქვა, ჩქარა მიამბე!

გამზრდელი:
ვინ, პატარავ? ვინ რა თქვაო?

ჯულიეტა:
ვინ და რომეომ!

გამზრდელი:
აააა, რომეომ? ... რა მითხრა და... დამავიწყდა!

ჯულიეტა:
რას ამბობ! როგორ დაგავიწყდა?!

გამზრდელი:
ჰო, დამავიწყდა!

ჯულიეტა:
კარგი რა! გული გამიწვრილდა, რატომ მაწვალებ?!
რა თქვა? ვუყვარვარ ისე, როგორც მე მიყვარს იგი?

უნდა თუ არა, რომ შემირთოს? ჩქარა მითხარი!

გამზრდელი:
უნდა და როგორ, სიყვარულო!.. აღარ დაყოვნდე,
მამა ლორენცოს სენაკისკენ მოკურცხლე ჩქარა,
სადაც გელიან მოუთმენლად...

ჯულიეტა:
გმადლობ, გადიავ!

გამზრდელი:
მე კი ნუ მმადლობ... აბა, შეხედე!

ჯვრისწერის სცენა.

რომეო და ჯულიეტა შედიან ეკლესიაში. ლორენცო მათ ეგებება, მოჰყავს საკურთხეველთან და იწყებს ჯვრისწერის რიტუალს.

*

გუნდი:
(იმღერებს)

ერთად ავანთოთ ღამე
და თავად ვიყოთ ცეცხლი.
ვფიცავთ, დროს ვძლიოთ ერთად;
ვფიცავთ, ვიფრინოთ მარად.

ხელი შევახოთ ზეცას;
გული ფეთქავდეს მარად;
ერთად ვანთებდეთ სანთლებს,
ვფიცავთ, რომ ვიყოთ ერთად!

ვფიცავთ გავცემდეთ იმას,
საუკეთესო რაც გვაქვს,
ვფიცავთ ჩვენს გულში ენთოს
ცეცხლი და ვიყოთ ერთად!

მარად, გვიყვარდეს მარად;
მარად, ვიფრინოთ მარად;
მარად დროს ვძლიოთ ერთად;
მარად ჩვენ ვიყოთ ერთად.
ხელი შევახოთ ზეცას;
გული ფეთქავდეს მარად;
ერთად ვანთებდეთ სანთლებს!
ვფიცავთ, რომ ვიყოთ ერთად!

რომ ვიყოთ ერთად!
მარად, გვიყვარდეს მარად.

გვიყვარდეს მარად!
ერთად ვანთებდეთ სანთლებს,
ვიყოთ სიზმრებშიც ერთად.

პირველი აქტის დასასრული.

მეორე აქტი

ტიბალდის არია "დრო დადგა"

ტიბალდი:
მე ვიცი - ქალს,
ქერას თუ შავს,
გამხდარს თუ მსუქანს,
რაც უყვარს,

რა ცეცხლი წვავს.

მაგრამ იმ ერთს,
იმ ერთადერთს
ვერ შევადარებ
ვერც ერთ ქალს
და მე ის მკლავს.

ვიზრდებოდით
ჩვენ ერთად
და ყოველთვის
ის ერთი მიყვარდა

და სწორედ ის,
ვინც მიყვარდა,
ჩემი მტრის შვილმა
წამართვა,
შემარცხვინა.

ვანანებ მწარედ, ვფიცავ,
გველის ნაშიერს!
მე ამ გველის წიწილს
ავკუწავ, ვფიცავ!

გუნდი და ტიბალდი:
დადგა დრო!
დადგა დრო!
დადგა დრო!
დადგა დრო!

ტიბალდი:
ის პასუხს აგებს
ამისთვის!

სიკვდილს ვაჩუქებ
ამისთვის!

თუმცა, არ მოვკლავ,
მძიმედ დავჭრი,
როგორც მან დამჭრა,
როცა წამართვა
ჩემი ჯულიეტა!

მე, ვინც ქალებს
ბუზებივით
ვიგერიებდი,
ვაღმერთებდი ერთად-
ერთ ქალს,
ჯულიეტას,
მე ის
წამართვა ჩემმა
მოსისხლე რომეომ,
მოსისხლე მტერმა.

გუნდი და ტიბალდი:
დადგა დრო!
დადგა დრო!
დადგა დრო!
დადგა დრო!

ტიბალდი:
შურისძიების დროა!
სისხლის აღების დროა!
თუმცა, არ მოვკლავ,
მძიმედ დავჭრი,
როგორც მან დამჭრა,

როცა წამართვა
ჯულიეტა!
ჯულიეტა!

გუნდი და ტიბალდი:
დადგა დრო!
დადგა დრო!
დადგა დრო!
დადგა დრო!

ტიბალდი *(გუნდის ფონზე)*:
შენ პასუხს აგებ!
მე მოგძებნი!
ვფიცავ ჩემს სიყვარულს!
არ გაპატიებ ამას!
რასაც მალავდა
გული,
რაც დღემდე იყო
ფარული,
სიყვარული
დაიცვას დანამ!
მოძებნოს დანამ
უღირსი სული!

*

არია "დუელი"
(შიგადაშიგ ჩართულია საუბრები)

მერკუციო *(მღერის)*:
ტიბალდ, ტიბალდ!
რა გაცინებს!
ტიბალდ, ტიბალდ!

შენ მოკვდები
ჩემი ხელით!
ეგ შენი
ბინძური
სული ჩაძაღლდება!

შენს ტრაბახს
დღეს ბოლო მოეღება!
შენი ხმაც კი
გულს მირევს,
შე მახინჯო!
ტიბალდ, ტიბალდ,
დღეს შენ მოკვდები!

ტიბალდი:
ჰე, მერკუციო, ერთი კარგად შეხედე შენს თავს!
ხელმოცარული მოლექსე ხარ, მეტიც არავინ!
და რა ძალა აქვს ამ ჩემს ტრაბახს, მალე გიჩვენებ!

ტიბალდი *(მღერის)*:
აქ მოდი, მასხარავ,
დრო დადგა!
შენ დღეს ჩემთან
პასუხს აგებ!
მერკუციო,
მე შენ მოგკლავ!
დანაზე
წამოგაგებ!

რომეო:
შეჩერდით, რა ხდება!
ჭკუაზე შეშლილხართ!
ვინ მოგცათ უფლება,

სიცოცხლეს უტევდეთ?!
შეჩერდით!

გუნდი *(მღერის)*:
ხმა!
სიცოცხლის ხმა!
არ გძულდეს სხვა!
არ მოკლა ძმა!
ხმა!
სიყვარულის,
სიხარულის,
სიცოცხლის ხმა!

ხმა!
გავიგონოთ
სიყვარულის,
სიცოცხლის ხმა!

რომეო *(მღერის)*:
უარი ვუთხრათ
მტრობას და ზიზღს!
სილამაზე
ვადიდოთ!

რომეო და გუნდი *(მღერიან)*:
ხმა!
სილამაზის ხმა!
ხმა!
სიყვარულის ხმა!

გუნდი *(3-ჯერ)*:
ხმა!
სიცოცხლის ხმა!

არ გძულდეს სხვა!
არ მოკლა ძმა!
ხმა!
სიყვარულის,
სიხარულის,
სიცოცხლის ხმა!

რომეო *(იმპროვიზაცია გუნდის ფონზე)*:
შეჩერდით!
შეიტკბეთ
სიცოცხლე,
სინათლე!

დაკეცეთ დანები!
დავამარცხოთ
სიკვდილის ძალა,
გვიყვარდეს მზე!

რომეო და გუნდი *(მღერიან)*:
ხმა!
სილამაზის ხმა!
ხმა!
სიყვარულის ხმა!
ო – ო – ო!

მერკუციო *(მღერის)*:
რას ამბობ, რას?
ეს ძაღლი მიყვარდეს?
რომეო!
ცოფიანი ეს ლაჩარი?
როგორ მიყურებს!
როგორი ზიზღით!

ტიბალდი *(მღერის, მიმართავს რომეოს)*:
მაშ, სიყვარულმა გაგანაზა და მტრობა არ გსურს?
როგორ, დღეიდან ჩვენ სხვა ვართ და შენ კიდევ – სულ სხვა?
ჩვენი სანაგვე აღარ მოგწონს, ზეცის რაინდო?

ტიბალდი დანას სცემს მერკუციოს და მღერის:
ხმა!
ბრძოლის ხმა მესმის!
ხმა
მტრის დამარცხების!

ტიბალდი *(იცინის)*:
ტიბალდი: ადექი, მერკუციო!

გუნდი:
ხმა!
ხმა!
სიცოცხლის
ხმა!
სიცოცხლე
გვინდა!
სიკვდილი
არა!

ხმა!
სიცოცხლის ხმა!
არ გძულდეს სხვა!
არ მოკლა ძმა!
ხმა!
სიყვარულის,
სიხარულის,
სიცოცხლის ხმა!

სი - ცოცხ - ლე!

რომეო:
მერკუციო! მერკუციო! მერკუციო!

ხმა გუნდიდან:
არა!

რომეო:
მერკუციო, შენ დაჭრილი ხარ?

მერკუციო:
არა!
რას შეუძლია ჩემი დაჭრა? მხოლოდ სიცოცხლეს!

(ტიბალდი დანას გადაუგდებს რომეოს)

რომეო:
მაგრამ მე ვხედავ, შენ სისხლისგან როგორ იცლები!

მერკუციო:
შენ რა ეშმაკმა ჩაგაყენა ჩვენს შორის, ძმაო!
მაგ ძაღლმა დანა შენს მკლავსქვემოთ შემოაცურა!

რომეო:
მერკუციო, მე ვცდილობდი...

მერკუციო:
თავს ნუ იმართლებ, როგორც ბავშვი! შენ ხომ კაცი ხარ!
შენ ჯულიეტას სწორედ როგორც კაცი უყვარხარ!

(ტიბალდი იცინის)

რომეო:
შენ რა, ტირიხარ?

მერკუციო:
გიყვარდეს შენი ჯულიეტა; გულით გიყვარდეს!
ვერც ერთი ქალი იმაზე მეტს ვერაფერს მოგცემს!

რომეო:
მერკუციო!

მერკუციო სიკვდილის წინ *(მღერის):*

ვკვდები,
შენს მკლავებში
ვკვდები!
მშვიდობით,
რომეო!
მივდივარ,
ჩემო ძმაო,
ველარ
ვნახავთ
ამ ქვეყნად
ერთმანეთს!
შენ კი
დარჩი
და იომე!
იქ დაგელო-
დები!
მე სადაც მივდივარ,
იქ არავინ
ომობს.
ვკვდები რომ
იცოცხლო,

მაგრამ ვიცი:
უჩემოდ
სიცოცხლეს
ვერ შეძლებ შენ!
მე ყველას
გპატიჟებთ იქ!
რომეო!
განაგრძეთ ბინძური ომი!

რომეო დასტირის მერკუციოს *(არია)*:
რო-
გორ გიყვარდა,
ჩემო ძმაო,
სიცოცხლე!

სიცოცხლე მართლაც
ჯოჯოხეთი-
ა!

ო – ო!

ორკესტრი *(ტირილის თემა)*:

ღმერთო, სიცოცხლე
ჯოჯოხეთი-
ა!
რომეო კლავს ტიბალდს.

II სურათი. ლორენცო, რომეო და გადია.

რომეო:
სიკვდილი მიჯობს გადახვეწას. გთხოვ, შემიბრალო.

ნუ ჩამახედებ გადახვეწის სასტიკ თვალებში. (ტირის)

(კაკუნი)

ლორენცო:
გაჩუმდი, ჩქარა დაიმალე. ვიღაც მოვიდა.
ვინ აბრახუნებს?! მოიცადე... ვინ ხარ, რა გინდა?

გადია:
შემომიშვით და მოგახსენებთ. მე ჯულიეტამ...

ლორენცო:
კეთილი იყოს შენი მოსვლა, ჩქარა შემოდი.
(შემოდის გამზრდელი)

გადია:
მამაო, ჩემი ქალბატონის მეუღლეს ვეძებ.

ლორენცო:
აქ არის. ცხარე ცრემლით ტირის ჩვენი რომეო.

რომეო:
ვერონის გარეთ არ არსებობს ჩემთვის სიცოცხლე.

გადია:
ასეთ დღეშია ჯულიეტაც, მოთქვამს და ტირის.
ამბობს, სიკვდილი მირჩევნია ასეთ ყოფასო.
კარგი, გეყოფა! წამოდექი! ვაჟკაცი არ ხარ?
ადექი, კაცო! ჯულიეტას ხათრით ადექი!

რომეო:
ძიძა!

გამზრდელი:
სიკვდილის შვილები ვართ ყველა, რომეო!

რომეო:
შენ ჯულიეტას ახსენებდი! მითხარ, რას ამბობს?
ალბათ, მკვლელი და ავაზაკი ვგონივარ, არა?
ან ჩვენს დაღუპულ სიყვარულზე რას ამბობს ცემი
მარადი სატრფო, საიდუმლო ჩემი მეუღლე?

გამზრდელი:
არაფერს ამბობს. სულ არაფერს. მოთქვამს და ტირის.
დამხობილია სარეცელზე და თავს თუ ასწევს,
ან ტიბალდს უხმობს ან "რომეოს" წამოიყვირებს.

რომეო:
მითხარ, მამაო, სად ბინადრობს ჩემი სახელი?
ჩემი სხეულის რომელ ბინძურ ნაწილში ბუდობს?
მინდა მივაგნო! გულით მინდა, რომ ამოვძირკვო!

ლორენცო:
გამოგიტყდები, შენი ქცევა გამკვირვებია.
კაცი მგონიხარ, შენ კი ცრემლებს აფრქვევ ქალივით
და ისე ბორგავ, როგორც ბრიყვი და უგუნური.
ღმერთს გეფიცები, უფრო მტკიცე ნების მეგონე.
ტიბალდი მოჰკალ! ახლა გინდა, თავიც მოიკლა?
ვიღას უტოვებ შენს მეუღლეს, შენს მეტი ვინ ჰყავს?!
ეიმედები, შენით ცოცხლობს, შენ კი თითქოსდა
თვალები ნაცრით აგვსებია, ვერაფერს ხედავ!
ისე არ მოხდეს, უმადურს და წყალობის ვერმცნობს
შენმა მფარველმა ანგელოზმა ზურგი გაქციოს.
გიჯობს წახვიდე, ანუგეშო შენი მეუღლე,
დაემშვიდობო რაღაც დროით, ვიდრე ეს საქმე
მოგვარდებოდეს... ახლა წადი, მაგრამ იცოდე,

მცველებს დაასწარ, არ დაყოვნდე, დროზე დატოვე
შენი მეუღლის სასახლეც და ჩვენი ქალაქიც.
მანამ დარჩები ქალაქგარეთ, ვიდრე ხელსაყრელ
დროს მოვნახავდეთ და ჯვრისწერას გავამჟღავნებდეთ.
პრინცს პატიებას გამოვთხოვთ და შენც დაბრუნდები.
ასე რომ, გლოვამ რაც მოგტაცათ, ლხინმა შეგძინოთ,
როცა დრო მოვა საამისო... წადი, ძიძავ, და
შენს გაზრდილს ასე გადაეცი, გლოვისგან დაღლილ
სანათესაოს მოსვენება, ძილი ურჩიოს.
რომეოც მალე ეახლება თავის ქალბატონს.

(რომეო ხელზე კოცნის გამზრდელს. გამზრდელი გადის)

სურათის დასასრული.

II აქტი. III სურათი

ჯულიეტა *(ყურს უგდებს ჩიტების ჟივჟივს)*:
გათენებამდე ჯერ ადრეა. ეს ბულბულია,
ტოროლას სტვენა არ გეგონოს, ჩემო რომეო!

რომეო:
ტოროლა იყო სამწუხაროდ. მალე ინათებს.
ღამის ლამპრებიც ჩაიფერფლა და განთიადი
ნისლიან მწვერვალს ფეხაკრეფით უახლოვდება.

(მათი საწოლის ზემოთ ღია აივანზე ბ-ნი კაპულეტი და პარისი დგანან. კაპულეტს ხელში ვერცხლის დოქი უჭირავს და პარისს ღვინოს ასმევს)

კაპულეტი:
ერთიც მიირთვი, ჩემო პარის! ნუ გეფიქრება.
როგორც შევთანხმდით, ყველაფერი ისე იქნება.

ჩემს ნებას ჩემი ქალიშვილი არ გადაუხვევს.
კეთილშობილი ოჯახის წესს დამორჩილდება.

ჯულიეტა:
ეს დილის სხივი ნუ გგონია, მეტეორია.

რომეო:
ეჰ, როგორ მინდა დაგიჯერო, მაგრამ რა ვქნა, რომ
უნდა ვიჩქარო, სიკვდილი რომ არ დავაჩქარო.

ჯულიეტა:
არა, ჯერ არა. მოიცადე. ჯერ არ წახვიდე.

რომეო:
რაკი არ გინდა ჩემი წასვლა, მეც არ ვიჩქარებ.
რომც დამატყვევონ, შიში არ მაქვს. რაა სასჯელი
ჩვენს სიყვარულთან, ერთადყოფნის ამ ძვირფას დროსთან.

კაპულეტი:
მაშ, დღეს რა დღეა, შემახსენე?

პარისი:
ორშაბათია,
ჩემო ბატონო!

კაპულეტი:
კეთილი და პატიოსანი!
ხუთშაბათი ვთქვათ. ჯვარს დილითვე დაგწერთ მოძღვარი.
მოკრძალებულ ლხინს დავჯერდებით. ტიბალდის სული
არ გვაპატიებს ზარ-ზეიმს და უგვან ღრეობას.
მოვიპატიჟოთ რამდენიმე ჩვენი მოკეთე,
დიდი სუფრა კი სამომავლოდ შემოვინახოთ.

პარისი:
ნეტავ ხვალ იყოს ხუთშაბათი, ჩემო ბატონო!

კაპულეტი: (*რომელიც თვალს მოჰკრავს ქალბატონ კაპულეტის*)
ჩემო ძვირფასო, გთხოვ ძილის წინ ჯულიეტასთან
ისაუბრო და მოამზადო ქორწინებისთვის.

ჯულიეტა:
უკვე გათენდა! ეს კი მართლაც ტოროლას ხმაა!
მითხარ, რომეო, რა ახარებთ ადამიანებს,
ეს საშინელი ხმა რომ ესმით დილით ზეციდან?!
წადი, ძვირფასო, ჩქარა წადი, არავინ გავნოს,
უფრო და უფრო ემატება დილას ნათელი.

(შემოდის ძიძა)

გადია:
უკვე გათენდა, ჯულიეტა, ფრთხილად იყავი,
დედაშენს მგონი სწორედ შენსკენ მოუჩქარია.

რომეო:
ერთი კოცნაც და გაგშორდები...

ჯულიეტა:
მაგრამ შემპირდი,
რომ თავს მოუვლი და და შენს ამბავს ხშირად მაცნობებ.
ხომ იცი, როცა შენ ვერ გხედავ, ჩემთვის წუთიც კი
საუკუნეა.

რომეო:
ისე, როგორც ჩემთვის, ძვირფასო!
სხვა საფიქრალი არც მექნება, ერთ შემთხვევასაც

არ გამოვტოვებ, ჩემი ხმა რომ არ მოგაწვდინო!
(გადის)

ჯულიეტა:
წყეულო ბედო, ქვეყნად ყველა მუხთალს გეძახის!
ჰოდა, მაშ ახლაც გაამართლე შენი სახელი,
არ დააყოვნო დიდხანს შენთან ჩემი რომეო,
დაემდურე და ისევ უკან გამომიგზავნე!

ქ-ნი კაპულეტი:
თავს როგორა გრძნობ, ჯულიეტა?

ჯულიეტა:
ცუდად ვარ, დედა!

ქ-ნი კაპულეტი:
გეყოფა გლოვა! სიყვარული ზომიერ გლოვას
გულისხმობს, შვილო! ბევრი მოთქმა და ვაი-ვიში
ჭკუასუსტობის ნიშანია, ნუღარ იტირებ!
შურისძიება ჩვენ მოგვანდე, ჩვენ უკეთ ვიცით,
როგორ ვანანოთ მონტეკის გვარს ეს საქციელი.
ის გარეწარი მანტუაში ჩასულა უკვე.
იქაც მივწვდებით! კაცს გავგზავნით, და საწამლავი
ტანჯვით ამოხდის სულს რომეოს!

ჯულიეტა:
თუ კაცს მონახავ,
მაშინ, დედილო, გთხოვ, საწამლავს მე მოვამზადებ.
ჩემზე სასტიკი ამ საქმეში არვინ იქნება.

ქ-ნი კაპულეტი:
კარგი, შევთანხმდით, საწამლავი შენ მოამზადე.
კაცს მე მოვნახავ... მაგრამ ახლა აი, რას გეტყვი:

ხუთშაბათ დილით წმინდა პეტრეს ტაძარში, შვილო,
შენ და პარისი იქორწინებთ სამარადისოდ.

ჯულიეტა:
წმინდა პეტრესაც და ყველა სხვა წმინდანსაც ვფიცავ,
რომ არასოდეს არ გავხდები პარისის ცოლი.

შემოდის ბ-ნი კაპულეტი.

ბ-ნი კაპულეტი:
ჩემო მეუღლევ, გაუმხილე, რაც გადავწყვიტეთ?

ქ-ნი კაპულეტი:
ჰო, მაგრამ მგონი მადლობის თქმას სულ არ აპირებს.

ბ-ნი კაპულეტი *(განრისხებით)*:
რას არ აპირებს? ვერ გავიგე! გინდა მითხრა, რომ
ეს ლაწირაკი სულ ვერ ხვდება, პარისის სახით
რა ღირსეული კაცის ცოლი გახდება მალე?
ოხ, ეს გომბიო! ეს სულელი! ეს ვინ გავზარდე!

ქ-ნი კაპულეტი:
კარგი, გონს მოდი, გეხვეწები! რა გემართება?!

ბ-ნი კაპულეტი:
ოხ, შე გომბიო!
(*მივარდება და დასახრჩობად წაეტანება*)

გადია (*გამოგლეჯს ხელიდან ჯულიეტას*):
თქვენი შვილია, რას სჩადიხართ, ჩემო ბატონო!

ბატონი კაპულეტი (*უცებ გონს მოდის, ჯულიეტას ჩაიკრავს გულში და იწყებს სიმღერას*):

*

ჯულიეტას მამის არია "ქალიშვილი როცა ჩნდება":

ქალიშვილი
როცა ჩნდება,
იქვე ეჭვი
იბადება:
ღმერთის არის
თუ ეშმაკის?
ვინ მაჩუქა
ეს არსება?

ვინ მაჩუქა
მისი მზერა?
წკრიალა ხმით
გაცინება?
სამუდამო
სატანჯველით
ჩემი დასჯა
ვინ ინება?
ქალიშვილი
როცა ჩნდება,
ის ხომ ქალად
იბადება
და ეშმაკი
მისი ხელით
გვიმონებს და
გვისახლდება.

ბედია თუ
უბედობა,
ის რომ ჩნდება?

ქალიშვილი
როცა ჩნდება,
მამამისის
გული კვდება:
დამნაშავე
ხდება იგი,
მაგრამ იქვე
მსხვერპლიც ხდება.
ის სისხლია
ჩემი გულის,
ჩემი სულის
ნაწილია!
ის ჩემია!

სასტიკი ბედია:
დგება დრო და
შენ ის გტოვებს:
შენი ანგელოზი!

მამის გული
ასეთია:
ქალიშვილი
როცა ჩნდება,

ზიზღი კაცთა
მოდგმის მიმართ
ალბათ იქვე
იბადება.
ყველა კაცის
ხრიკი ვიცი,
ყველა მათი
ცბიერება.

დრო მოვა და ვინმე
ჩემს ქალიშვილს
მიითვისებს.
სამუდამოდ ვწყევლი ამ დღეს,
რადგან ვიცი,
რაც მოხდება:
ჩემი გული
მოკვდება და
სამუდამოდ
დაობლდება.

ქალიშვილი
როცა ჩნდება,
იქვე ეჭვი
იბადება:
ღმერთის არის
თუ ეშმაკის?
ვინ მაჩუქა
ეს არსება?

ღმერთმა თუ ეშმამ?

*

(არიის შემდეგ გაისწორებს ტანსაცმელს და ცივი გამომეტყველებით და ჩუმი ხმით გასცემს ბრძანებას)

ბ-ნი კაპულეტი:
როგორც უკვე ვთქვი, ხუთშაბათ დღეს გაემზადები
და ჯვარს დაიწერ წმინდა პეტრეს ეკლესიაში.
(გადის)

ჯულიეტა *(მივარდება დედას)*:

დედა, ძვირფასო, გევედრები, ნუ მომიძულებ,
ერთი თვით ანდა ერთი კვირით მაინც გადადე
ეს საშინელი ქორწინება ან ადექი და
ტიბალდის გვერდით დამაწვინე ცივ აკლდამაში.

ქ-ნი კაპულეტი:
ნუ მეხვეწები, საქმე უკვე გაჩარხულია.

ჯულიეტა:
გაჩარხულია? ღმერთო ჩემო, რას მეუბნება
მშობელი დედა! რა ვიღონო, ჩემო გამზრდელო?
გთხოვ, მანუგეშე და შენ მაინც მირჩიე რამე!

გადია:
რაკი ამგვარად დატრიალდა ეს ყველაფერი,
მართალი გითხრა, მეც უკეთესს ვერაფერს გირჩევ.
გირჩევ, მისთხოვდე ისევ პარისს, შენი რომეო
ვერონას უკვე ველარასდროს დაუბრუნდება.
ო, რა ბიჭია! ან რომეო მასთან რას მოვა!
მარტო მის თვალებს რომ შეხედავ, მწვანედ ელვარეს,
არწივივით რომ იყურება, სულ დაგავიწყებს,
სხვა მამაკაცის არსებობას ამ ქვეყანაზე!
მე ვფიქრობ, რომ ეს ქორწინება მართლა გპირდება
ბედნიერებას იმის მერე, რაც განიცადე
და რაც, მერწმუნე, წარსულია, სხვა არაფერი,
თანაც ზედმეტ და მძიმე ტვირთად გაწვება ზურგზე!

ჯულიეტა:
შენ ამას გულით მეუბნები?

გამზდრელი:
და მთელი სულით!

ჯულიეტა *(ხანგრძლივი პაუზის მერე)*:
რა ჩინებულად მანუგეშე! ახლა კი წადი,
და გადაეცი დედაჩემს, რომ ლორენცოს ვნახავ,
აღსარებასაც ჩავაბარებ და მამაჩემის
განრისხებისთვის გამოვითხოვ პატიებასაც.

გამზრდელი:
ყოჩაღ, ჯულია, რა ჭკვიანი გოგო ხარ მაინც!
ახლავე წვრილად მოვახსენებ ამას დედაშენს!
(უნდა მიფერება. ჯულიეტა განერიდება)

სურათის დასასრული.

IV სურათი.

ჯულიეტა *(შავ მანდილში)*:
მამაო, კარი დაკეტე და თუ შეგიძლია,
შენც ჩემი ხვედრი ჩემთან ერთად გამოიტირე.
აღარც იმედი, აღარც ხსნა და აღარც საშველი!

ლორენცო:
რაც თავს დაგატყდა, ჯულიეტა, მე უკვე ვიცი.

ჯულიეტა:
იცი და – მეტიც არაფერი? ნუთუ, შენც ის ხარ,
ვინც ვერ მიშველის თავის სიბრძნით, თავის სიკეთით?

(მის მუხლებთან დაემხობა. ლორენცო ხელებს ასავსავებს. ჯულიეტა სატევარს იშიშვლებს და მკლავზე დაისვამს. ლორენცო მივარდება. ხელს უხვევს)

ლორენცო:
რაკი მაღალი ღმერთი შენც და შენს რომეოსაც

ციდან დაგცქერით, რა თქმა უნდა, იმედიც არის!
თუნდაც მცირედი, მაგრამ – მაინც! და ეს იმედი
შენგან მოითხოვს თავგანწირვას! დაწყნარდი, ვხედავ,
შენ თავგანწირვა არ გაკლია. აქ დამელოდე...
(*გადის და შემოდის პატარა შუშით ხელში*)
ახლა მისმინე ყურადღებით. შინ მშვიდად წადი,
გამხიარულდი და მიეცი მშობლებს პირობა,
რომ შენ პარისზე ჯვარს დაიწერ, ხვალ კი, ოთხშაბათს,
მარტო დარჩი და ეცადე, რომ შენი გამზრდელი
შენთან არ დარჩეს. მერე, როცა ძილის დრო მოვა,
დაწექი და რაც ამ შუშაში სითხე ასხია,
ბოლომდე მოსვი, ერთი წვეთიც კი არ ჩატოვო.
(*უწვდის ფლაკონს*)
და რაც მოხდება ამის მერე, შენ ვეღარ იგრძნობ:
ძარღვებში სისხლი გაცივდება, პულსი შეწყდება
და არც ისუნთქებ, გულისცემაც არ გაამჟღავნებს,
რომ შენს სიცოცხლეს საფრთხე სულ არ დამუქრებია.
მკვდარი იქნები გარეგნულად და ამ ყოფაში
შენ ორ დღე-ღამეს გაატარებ, მერე კი ისე
გამოიღვიძებ, ძილის მერე ყოველდღიურად
როგორც იღვიძებ, როცა ჩიტი იწყებს გალობას.
მე კი ყველაფერს შენს რომეოს შევატყობინებ.
ისიც ჩამოვა და როცა შენ გამოიღვიძებ,
ერთად დატოვებთ წყეულ ქალაქს იმავე ღამეს.
არც სარისკო და არც საშიში არაფერია.

ჯულიეტა:
შიში? რა შიში? რისი შიში? მომეცი ჩქარა.

ლორენცო *(აძლევს ფლაკონს და უყურებს თვალებში)*:
გამომართვი და დაიცავი ბედნიერება.

ჯულიეტა ხელზე კოცნის და გარბის.

V სურათი

ჯულიეტას არია ("დასაძინებელი")

ვინ გვიქრობს
ოცნებებს?
ვინ გვიკლავს
გულს?
მელოდე,
მე მოვალ,
მოგნახავ
ხვალ!
ფარავდეს ღმერთი
ჩვენს სიყვარულს!

რომეო,
ხომ ხედავ,
წაგვართვეს
მზე!
დაგვცინეს,
მაგრამ მე
არ დაგთმობ
შენ!
ფარავდეს ღმერთი
ჩვენს სიყვარულს!

ეს მართლა
შხამია,
მაგრამ არ
კლავს!
ცოტათი
მოვკვდები,
სულ ცოტათი!

ხვალ დილით კი
მოვალ!
ეს შხამი გვიშველის
და ერთად ვიქნებით!

გუნდი და ჯულიეტა:

ვინ გვიქრობს
ოცნებებს?
ვინ გვიკლავს
გულს?
მელოდე,
მე მოვალ,
მოგნახავ
ხვალ!
ფარავდეს ღმერთი
ჩვენს სიყვარულს!

*

ბენვოლიოს არია "როგორ გავუმხილო?"

რა ვიღონო, არ ვიცი!
მე ხომ მისი მეგობარი ვარ!
ჩვენ ერთად ვხარობდით
ყოველთვის,
ყოველთვის!

ჩვენ, ყველანი, სამყაროს
მეფეები ვიყავით!
ყველაფერი დამთავრდა!
რა მწარედ ვცდებოდით!
ვცდებოდით!

რა ვიღონო, არ ვიცი!
როგორ გავუმხილო, რაც მოხდა!
არადა, ეს ჩემი ვალია:
ვუთხრა, რომ აღარ ჰყავს ის, ვინც მას
უყვარდა!
რომ თავი მოიკლა!

მაგრამ როგორ,
როგორ ვუთხრა?
როგორ გავუმხილო,
რომ ცხოვრება
ასე მალე დამთავრდა!
რომ ვერც კი მოვასწარით
შეგვეტკბო სიყვარული!
შეგვეტკბო სილამაზის და
სიცოცხლის ხმა!
რა ვიღონო?
როგორ ვუთხრა?

მერკუციო, შენ მაინც
ყოფილიყავი ჩემთან
შენი ლექსით, შენი სიმღერით,
სიცოცხლით!

ახლა სულ მარტო დავრჩი
და ვერ ვხვდები, რა ვიღონო!
რატომ მოგვექცა ბედი
ასე სასტიკად ყველას?

რა ვიღონო, რომეოს
როგორ გავუმხილო, რაც მოხდა?
რომ ასე ხანმოკლე აღმოჩნდა
მისი ოცნება!

ყველაფერი
დამთავრდა!
სიკვდილი გამეფდა.

VI
რეჟისორული სვლა.

VII სურათი

არია "რომეოს სიკვდილი"

მაინც აჯობეთ
თქვენ მას,
სიცოცხლე წაართვით
თქვენ მას,
თქვენ აჯობეთ ჩემს
ჯულიეტას.

ისე გაგიტანჯავთ,
რომ მან
მეც კი დამტოვა
და თავი მოიკლა.

ის მოკვდა უჩემოდ,
სხვაგან!
მოკვდა უჩემოდ,
მარტო!

სიყვარულო,
გულში ჩავიკრავ შენს ხელს
და წავალ შორს
ამ სიბნელიდან.
მე შენ იქ გნახავ,

იმ სინათლეში,
სადაც ჩვენ ყოველთვის
ვიქნებით ერთად!
სამარადისოდ
ვიცოცხლებთ
იქ!

ღმერთო,
ღმერთო,
ყველაფერი დამთავრდა.
მე მოვდივარ.
დაღლილი მოვდივარ,
ძვირფასო, შენთან.
ჯულიეტა,
მოვდივარ შენთან,
მოვდივარ დაღლილი
ამდენი ტანჯვით!

სიყვარულო,
გულში ჩავიკრავ შენს ხელს
და წავალ შორს
ამ სიბნელიდან.
მე შენ იქ გნახავ,
იმ სინათლეში,
სადაც ჩვენ ყოველთვის
ვიქნებით ერთად!
სამარადისოდ
ვიცოცხლებთ
იქ!

*

არია "ჯულიეტას სიკვდილი"

ამ მიწაზე, სადაც შენ
უკვე აღარ იქნები,
არ დამრჩენია არაფერი,
მე შენთვის სიკვდილს ვირჩევ.

ჩვენ ვერ გაგვიგეს მიწაზე,
მათ არ ესმოდათ ჩვენი,
ჩვენი სიყვარული ცამ შექმნა,
მიწას გამოსტაცა ის.

მე მიყვარხარ შენ,
მე ვიქნები შენთან.

რომეო,
რომეო,
მე უშენოდ რა მინდა აქ?

რომეო,
მიყვარხარ
და ამიტომ ერთად ვნახავთ
ამის მერე ყველა სიზმარს!

რომეო,
რომეო,
უკვე მოვდივარ
შენთან;
რომეო,
მიყვარხარ
და ამიტომ მეც ვიგემებ,
შენმა ბაგემ რაც იგემა.

თქვენ კი, თქვენ კი დარჩით აქ და
ისევ გძულდეთ ერთმანეთი,
ისევ ხოცეთ ერთმანეთი
და აავსეთ ზიზღით მიწა!

მე მივდივარ შორს,
მე რომეო მელის!

რომეო,
რომეო,
მე უშენოდ რა მინდა აქ?

რომეო,
მიყვარხარ
და ამიტომ ერთად ვნახავთ
ამის მერე ყველა სიზმარს!

რომეო,
რომეო,
უკვე მოვდივარ
შენთან;
რომეო,
მიყვარხარ
და ამიტომ მეც ვიგემებ,
შენმა ბაგემ რაც იგემა.

*

ლორენცოს არია

არა,
არ ვიცი
ამ ყველაფრის მერე

თუ მაქვს მე შენი რწმენა,
თუ ღირს
ქვეყნად სიცოცხლე!

მე შენთვის დავტოვე
ამ ქვეყნის სიბნელე,
მე შენთვის ვთქვი უარი
მიწიერ ვნებებზე,
მე შენი მჯეროდა,
მე შენთვის ვცოცხლობდი,
მაგრამ ეს ყველაფერი
შენვე წამართვი მე, შენვე,
მარტო დამტოვე,
მე უკვე აღარ მწამს,
რომ სიყვარული ხარ,
და რომ ჩემს სიცოცხლეს
მართავს სიკეთე.

არა,
არ ვიცი,
მჯერა თუ არა უკვე
სიკეთის და სიყვარულის;
არა,
მე აღარ მჯერა!

მშურს ყველა წმინდანის,
მშურს მათი სიკეთის,
მშურს მათი სიყვარულის,
მე უკვე სულ სხვა ვარ,
მე ძალა აღარ მაქვს,
რომ მტერი მიყვარდეს,
და მე შენ შემოგყურებ
შენი დაღუპული შვილი,

გულგატეხილი
ამ ხალხის სიბნელით,
მათი ვერაგობით,
და მინდა გაიგო,
რატომ ვგიჟდები.

მე შენთვის მიყვარდა
სასტიკი ეს ხალხი,
მე შენთვის ვლოცულობდი
ფხიზელიც, მძინარეც.
მე უკვე დაგკარგე,
ჩემს გულში ამოშრა
შენი სიკეთის წყარო,
და მე ვარ ღარიბ-ღატაკი
უსიყვარულოდ,
მე უკვე შემძულდა
ხალხიც და სიცოცხლეც,
ჭკუიდან ვიშლები,
ღმერთო, მიშველე!

არა,
არ ვიცი,
მჯერა თუ არა უკვე
სიკეთის და სიყვარულის;
არა,
მე აღარ მჯერა!

*

დატირება

კაპულეტი:
ვინ დაგვღუპა,

ჩვენი შვილი
ვინ წაგვართვა?
მის სიცოცხლეს
რა ძალებით
დავიბრუნებთ?

მონტეკი:
ჩემმა შვილმა
მოკლა, მაგრამ
ყველამ იცით,
რომ პირველად
სისხლი ტიბალდ-
მა დაღვარა!

ქალაქისთავი:
რა არ ვცადე,
მაგრამ მაინც
ვერ გაჯობეთ,
ახლა მაინც
ერთად ვძლიოთ
ამ სიგიჟეს.

რომეო:
ვფიცავ, რომ არ მინდოდა
მე ეს შურისძიება.
რაც მძულს, ის ჩავიდინე,
მაგრამ როცა ჩემივე ძმა
თვალწინ მომიკლეს,
მკვლელი გავხდი.

მაგრამ თქვენ როგორ ბედავთ
ჩვენს განსჯას, ერთმანეთი
ასე რომ გეზიზღებათ!

ჩვენ ხომ თქვენი შვილები ვართ!
თქვენ ხართ მკვლელები
და არა ჩვენ!

*

არია "დამნაშავენი"

მონტეკი:
ჩვენი ცხოვრება ჰგავს
უკვე დაღუპულ გემს,
რისთვის ვიცოცხლოთ ჩვენ,
ვინ ჩამოგვრეცხავს, ვინ
ჩვენი შვილების სისხლს!
ჩვენ დავავიწყდით ღმერთს!

კაპულეტი:
ისევ მათ ვთხოვოთ ხსნა!
მათ გვაპატიონ, მათ,
რაც დავატეხეთ თავს
ამ ორ უმანკო სულს.
იქ ეზიარონ, იქ
ციურ სიყვარულს სრულს.

მონტეკი:
ჩვენ კი ვერ ავცდებით
სასჯელს ვერც აქ და ვერც იქ!
ეს ჩვენ მოვკალით, ჩვენ,
რომეოც, ჯულიეტაც.

ტრიო (მონტეკი, კაპულეტი, გამზრდელი):
ჩვენ კი ვერ ავცდებით
სასჯელს ვერც აქ და ვერც იქ!

ეს ჩვენ მოვკალით, ჩვენ,
რომეოც, ჯულიეტაც.

გუნდი *(4-ჯერ)*:
ვცოდეთ,
ვცოდეთ,
და ამიტომ
დაგვსაჯოს ღმერთმა.

გამზრდელი:
არ მოვწყდეთ
სიყვარულს!

მამა კაპულეტი:
ვძლიოთ
სიძულვილს!
ვძლიოთ
სიძულვილს!

ლიბრეტოს მასალები

პოეტი

მაყურებელთა დარბაზის კარი იღება და სპექტაკლის ყველა მონაწილე სცენაზეა. ბენვოლიო გიტარაზე უკრავს და თავისთვის ღიღინებს ნინო როტას მელოდიას (მთავარ თემას) ფილმიდან "რომეო და ჯულიეტა". მარცხნივ, დანადგართან, ჩულქებჩაჩაჩული ბალერინა მუშაობს. დასის გამგე ანეკდოტებს უყვება და ახარხარებს ბატონ კაპულეტის და პიეტროს. მარჯვენა კუთხეში მერკუციო 66-ე სონეტს კითხულობს. გააფრთებული ტიბალდი მარტო ფარიკაობს უხილავ მტერთან. სცენის შუაში ვიღაც აკრობატულად ხტის. ხიდის თავთან ორი ან-

გელოზი ზის – შავი და თეთრი, გაშეშებული, როგორც ქანდაკებები.

შემოდის პოეტი.

დასის ხელმძღვანელი (ეგებება):

აბა, მაჩვენე! სულ ეს არის?

პოეტი:
არა, ჯერ მხოლოდ
პირველი აქტი მოგიტანე!

დასის ხელმძღვანელი:
ამდენი როლი?
მსახიობები არ გვეყოფა!

პოეტი:
თუ არ გვეყოფა,
გავინაწილოთ როლები და ჩვენ ვითამაშოთ.

ჯულიეტა:
(მოწყდება რომეოს, რომელთანაც ეროტიკულად ცელქობდა, წაართმევს ქალალდს, ჩასცქერის)

მე ვის ვთამაშობ?

პოეტი *(ჯულიეტას)*:
ვისაც თამაშობ, იმას შენი სახელი ჰქვია.
დაე, ეს იყოს სახსოვარი სამარადისო,
ჩემგან მოძღვნილი შენთვის როგორც ძღვენიც, მადლობაც.
(ჯულიეტა, რომელსაც ხელში ყვავილწნული გვირგვინი უჭირავს, გაექანება და პოეტი მას ხელში აიტაცებს)

ჩემმა პიესამ შეარიგოს სამარადისოდ
ჩვენი სიცოცხლის წარმავლობა და ხელოვნების
წარუვალობა, სიყვარულის ეს ორი ძალა.
და როცა ქვეყნად არც მე, არც შენ აღარ ვიქნებით,
შენმა სახელმა სულ სხვა დროთა შეყვარებულებს
ისე მოუხმოს, ვით ტაძარი უხმობს თავის მრევლს.
(ამ ბოლო სიტყვებს ამბობს ნაღვლიანად და ჯულიეტას ნელ-ნელა დაუშვებს იატაკზე)

ჯულიეტა *(ხელიდან დაუსხლტება და კეკლუცად ეუბნება)*:
ჩემს შეყვარებულს, რა თქმა უნდა, შენ ითამაშებ.

პოეტი:
არა, მე – არა. ვიცი, ჩემში ფოთლებგაცვენილ
შემოდგომის ხეს რომ ხედავ და გულში იღიმი.
(ხელს წაავლებს არლეკინის ტანსაცმელში ჩაცმულ ყმაწვილს)
აი, რომეო ეს იქნება. მე ფრანცისკანელ
ლორენცოს როლსაც დავჯერდები, ესეც მეყოფა.

ჯულიეტა:
ოტელოს ეჭვით ეჭვიანობ?

პოეტი:
არა, რას ამბობ!
შენ ჩემი სუნთქვა წამითაც კი არ მიგატოვებს.
(პაუზა)
ძნელია აქო საკუთარი სულის ნაწილი!
ამიტომ უნდა გავიყაროთ, გავხდეთ უბრები.
მინდა სცენაზე დავინახო შენი მშვენება.
(ჯულიეტა რაღაცის თქმას აპირებს, პოეტი აწყვეტინებს)
გთხოვ, ნუ დამძრახავ! თუ არ დაგთმე, როგორ ვუჩვენო
სხვას ის მშვენება, რასაც დღემდე მხოლოდ მე ვხედავ.
ამ როლს მიენდე! ის აგიხსნის, რაც ჩავიფიქრე.

დასის ხელმძღვანელი:
პოეტო, მზად ვართ. აბა, ვიწყებთ. სად ხარ, ჯულია?
(ჯულიეტა კოცნის პოეტს და გამორბის სცენაზე)
ფარდა დახურეთ. მოემზადეთ. რომეოს უხმეთ.

პოეტი *(დაჰყურებს გვირგვინს, რომელიც მას ჯულიეტამ დაუტოვა)*:
როცა დროის სვლა შენც ჩემსავით დაგაუძლურებს,
გვირგვინს წაგართმევს და გადასცემს სულ სხვა ასულებს,
მარადიული გაზაფხული მაინც შენს სახელს
გაერითმება და სიმღერით დაასახელებს
ყველა დროში და სწრაფცვალებად ყველა სიზმარში.
(გააჩერებს რომეოს, რომელიც სცენისკენ მიემართება)
ის, ვინც მე მიყვარს, ამ წუთიდან შენი იქნება.
მაგრამ გახსოვდეს: ეს წამითაც კი არ მაღონებს,
ჩვენს მეგობრობას ეს გამოცდა მხოლოდ სრულყოფს და
სულ სხვა ომებში საბრძოლველად გააძლიერებს.
(რომეო აპირებს რაღაცის თქმას, მაგრამ პოეტი აწყვეტინებს)
ნურაფერს მეტყვი! კარგად ვიცი, რას მიპასუხებ!
ქალის შობილი უარის თქმას ძნელად თუ შეძლებს,
როცა მას სწორედ ქალი უძღვნის თავის სავანეს.
(პაუზა)
მაგრამ თქვენ ჩემი ეს პიესა სხვა ბედს გაპირდებათ:
იგი წაგიყვანთ ძალიან შორს სივრცეშიც, დროშიც,
და თქვენ გახდებით სამუდამოდ ერთ სულ და ერთ ხორც.
მე მხოლოდ ასე თუ შევძლებდი ჩემი თავის და
თქვენს გადარჩენას ხელოვნების დიდ სამყაროში.

აივნის სცენისთვის

მე მხატვარი ვარ, შენი სახის გამომხატველი!
ჩემი პიესის ჩარჩოში ხარ უკვე ჩასმული!
მასში დარჩენა დაგაბედე დღეს და ყოველთვის.

რატომ შეგქმენი ამ ბინძურ და უგულო დროში?
მხოლოდ იმიტომ, რომ შეძლო და გააბათილო
ამ დროის ყველა სიმახინჯე და ბოროტება.
მე ვიცნობ ამ დროს: მონების და მათხოვრების დროს,
რომელმაც უღირსს ჩააბარა ქვეყნის ღირსება,
სინათლეს ბნელი ამჯობინა, კეთილს – ვერაგი,
უვარგისი და უწიგნური გააბრძენკაცა.
უკვე დაღლილს და ხელჩაქნეულს ეს მინდა მხოლოდ:
არ დარჩეს ობლად სილამაზე! შენ გიპატრონო!
შენ, გაძარცვული ჩემი ქვეყნის ავლადიდება
და ყველა დროის პოეზიის ჩუმი სამხილი,
დაგტოვო როგორც ანდერძი და გადავიხვეწო,
შორს გავეცალო უნაყოფო ამ ხალხის მინას!
მე აღვასრულე შენს წინაშე პოეტის ვალი
და შენი შექმნით ვეზიარე ღვთაებრივ ცოდნას:
რომ წარმავალსაც შეუძლია, შვას წარუვალი.

დანართი II

ოთხი ინტერვიუ გერმანულენოვან პოეტებთან

ბენედიქტ ლედებური

"ენობრივად დამყაყებულის და ავტომატიზებულის მსხვრევა პოეზიის პრეროგატივაა"

ძვირფასო ბენედიქტ, მოდი, დაუყოვნებლივ არსებითის თემატიზებას შევუდგეთ. რას ნიშნავს შენთვის პოეტად – და არა ამა თუ იმ გამომცემლობასთან დაკავშირებულ ავტორად – ყოფნა? რას ეფუძნება, შენი აზრით, პოსტკლასიკურ ევროპაში ლიტერატურისკენ-ნება?

ლიტერატურისკენ-ნება შეიძლება რაღაც საპირისპიროა ძალაუფლებისკენ-ნებისა პოლიტიკური აზრით. პოეტად ყოფნა მე წარმომიდგენია, როგორც ენასთან, ენობრივ მასალასთან, მის ჟღერადობასთან, მის რიტმთან იმგვარი ურთიერთობა, როცა პირობითობები, რომლებიც ჩვენს განკარგულებაშია, იმსხვრევა, გაცვეთილი და ცრურწმენებით დახუნძლული კლიშეები ქრება. სწორედ პოეტები უზრუნველყოფენ თავიანთი ქმედებით იმას, რომ ჩვენს თავში სინამდვილის შრეები და ტერიტორიები, თუნდაც სავსებით პოლიტიკური აზრით, ერთმანეთს უკავშირდებიან. უამისოდ ისინი ვიწრო ინტერესებით ერთმანეთს მოწყვეტილი დარჩებოდნენ. თუმცა, ამავე დროს, ყველა კავშირი და პრეზენტაციის ყველა ფორმა ჩვენების მიცემის ვალდებულებისგან თავისუფლდება, ხელ-ფეხი ეხსნება, რათა ესთეტიკური მოთხოვნილების დაკმაყოფილება გახდეს შესაძლებელი. მაგრამ არის კი ეს ქმედება? ეს უკვე პოლიტიკურად დატვირთული შეკითხვაა. ბლეზ პასკალისა არ იყოს, იქნებ ქვეყნიერებას უკეთესი იერი ჰქონოდა, ადამიანები თავ-თავიანთ სახლებში რომ დარჩენილიყვნენ. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს მაშინ არის გამართლებული, როცა ადამიანს სახლი აქვს.

კაცმა რომ თქვას, ამ აზრით ხომ სწორედ პოეტი, როგორც სხვა არავინ, უნდა გრძნობდეს თავს შინ, სახლში! არა მხოლოდ ის საჭიროებს სახლს, არამედ ყოფიერების სახლიც საჭიროებს მას. მეორე მხრივ, პოეტის საქმიანობა პოლიტიკას

მოწყვეტილი ხომ არასდროს ყოფილა. მაინც რატომ უნდა იყოს ჩვენს პოლიტიკურ დროში პოეზია დაკავებული საკითხებით, რომლებიც პოლიტიკის მიერ საბოლოოდ არის პრივატიზებული?

პოეზიის მიერ დაპროექტებული სახლის კედლები მოცემულობათა ყველა შრემდე და ყველა სისტემამდე აღწევენ და მოიცავენ მათ, მათ შორის – სოციოლოგიურსაც. ყველა სახურავი უკვე ნაფიქრი გადახურვის შედეგია. გამოყენებითი პოეზია მალევე გადაგვარდება ხოლმე ცარიელ რიტორიკად ან – ყალბ დიდებად. თუნდაც მაშინ, როცა პოეტური შემოქმედება თავის თავს ყველაფრისგან განაკერძოებს, როცა მხოლოდ საკუთარ შესაძლებლობებზე ზრუნავს, ის მაინც ბიძგისმიმცემია და, შესაბამისად, პოლიტიკურიც.

როგორ გამოიყურება უშუალოდ შენი პოეტური პრაქტიკა ამ კონტექსტში? მე ვფიქრობ, შენთან "ფორმა-შინაარსის" კლასიკურ დიქოტომიას უკვე აღარაფერი დაკარგვია. შენს ლექსებში შინაარსობრივი სტრუქტურებიც კი გამიზნულად ფორმალიზებულია. შენთან ფორმა კი აღარ დომინირებს, არამედ შინაარსი განიღვრება ფორმაში, რათა არსებობის განსაკუთრებული წესი მოიპოვოს. შენს "სწრაფ ლექსებში" შენი ესთეტიკური "პოლიტიკა" საბოლოოდ რადიკალიზდება.

პოეტური შემოქმედების ერთი პარადოქსი ხომ ესეც არის: რაც უფრო მეტია პოეტური (ანუ, იმავდროულად, ფორმალური) პირობითობა, მით მეტად თავისუფალი ხდება გამოთქმადის წყალქვეშა დინებები, მით მეტად ნატიფდება ნიუანსირებები და მოდულირების შესაძლებლობები, ან – მოთხოვნილების შესაბამისად – მით მეტად ბრძოლისუნარიანი, მძლავრი ხდება ჟღერადობა და გამონათქვამი. პოეტური შემოქმედების დროს სიტუაცია, რომელიც "შინაარსს" თითქოსდა გამოათავისუფლებს, რათა თავი ესთეტიკურ საკითხებს მიუძღვნას, თითქმის სრულიად საპირისპიროა საუბრის, დიალოგის ან ინტერვიუს სიტუაციისა, როცა ჩვენ, ისე, რომ ჩვენი ენობრივი საშუალებები ჩვენი უშუალო ყურადღების ველში არ ექცევა, ჩვენი სოცი-

ალური და ენობრივი გაწაფულობით გვსურს ერთმანეთის გამონათქვამებში გარკვევა. მაგრამ ფატალური შეცდომა იქნებოდა, პოეტური სიტუაცია უაზრობაში რომ აგვრეოდა, სწორედ რომ პირიქით: ენის პოეტური წვდომა აზროვნებას მოქნილ, უმცირეს ელემენტებამდე მგრძნობიარე ნიშნურ სისტემას სთავაზობს, რაც აზროვნებას შესაძლებლობას აძლევს, მრავალმნიშვნელოვნებას ცნობიერად დაუკავშირდეს, ეს კი აზრებს ღრმად და ნიუანსირებულად აფუძნებს, იდეალურ შემთხვევაში კლიშეებისგან და ცარიელი სიტყვებისგან ათავისუფლებს. ძლიერ გაცვეთილი რითმებიც ხომ არსებობს. რაც შეეხება ფორმისა და შინაარსის დიქოტომიას, ძალიან გონივრული მგონია სტრუქტურალისტების მიდგომა. მათი აზრით, ნებისმიერი შინაარსი შეიძლება ფორმაც იყოს სხვა ფორმისთვის, რომელსაც ის საკუთარი შინაარსის სახით მოიცავს და, შესაბამისად, მხოლოდ შინაარსია, ვინაიდან მას სხვა, უფრო დიდი ფორმა მოიცავს. რის აღსაწერადაც შენ სიტყვა "განღვრა" გამოიყენე, იმიტომაც მუშაობს, რომ პოეტური შემოქმედების პროცესში საქმე ეხება არა მხოლოდ ფორმალურ ფიქსაციას, ანუ – არა ფორმის წერილობით ფიქსაციას, არამედ – სწორედ ამ ურთიერთგაცვლას, შესაბამის მოცემულობებსა და ელემენტთა ფუნქციებს შორის ამ გაცვლა-გამოცვლას. არ მინდა ისე შორს წავიდე, როგორც – ფრანგი ფილოსოფოსი ალენ ბადიუ, რომელიც კანტორის სიმრავლეთა თეორიას იმისთვის მოუხმობს, რომ თავისი ფორმათა მეტაფიზიკა დააფუძნოს, რომელშიც სამყაროს ფორმალური აწყობით და დაშლით ასეთი თამაშისას უკანასკნელი ელემენტი ცარიელი სიმრავლე გამოდის. მე ამაში უფრო ლიტერატურული კოსმოსის შიგნით მოქმედ ცირკულაროზას ვგულისხმობ, რადგან მათემატიკა თავისთავადი ნიშნური სისტემაა (ან სისტემები), საკუთარი წესებით და საკუთარი ძალმოსილებით. ნიშანთა ამ სისტემაში (თუ მას საკმარისად კონსტრუქტივისტული გონება უღრმავდება) პოეტური თხზვაც შესაძლებელია, რაც, ცხადია, ენობრივ შესაძლებლობებთან გაცვლა-გამოცვლას გამოიწვევს, არა მხოლოდ ფორმალური ლოგიკის და ენის ანალიტიკური ფილოსოფიის აზრით, არამედ – ესთეტიკურთან კავშირის აზრითაც, რის ჩვენებაც XX საუკუ-

ნეში გერმანიაში, მაგალითად, მაქს ბენზემ ჯგუფების თეორიის გამოყენებით სცადა.

ალბათ, წმინდა პოეტურის პოეტიკის გასტონ ბაშლარისეული აზრითაც, არა? ხომ სწორედ მისი ბრწყინვალე მცდელობა – პოეტური კოსმოსი და, საერთოდ, პოეტური წარმოსახვის ძალა უკანასკნელი სტრუქტურული ბასტიონისგანაც კი გაეთავისუფლებინა – აღმოჩნდა ერთ-ერთი პირველი გზამკვლევი ექსპერიმენტული ხელოვნების ფილოსოფიაში. უკვე დიდი ხანია, რაც შენ პოეზიასა და მათემატიკას შორის უღრმეს კავშირებს იკვლევ. შეძლებდი ლექსის, როგორც ერთგვარი მათემატიკური ფორმულის, აღწერას? ვგულისხმობ პოეტურის ექსისტენციალურ და არა ლოგიკურ-ფორმალურ დონეს. პირადად მე ეს საკითხი მას მერე მაინტერესებს, რაც ჩემს თავს ემილ შტაიგერი აღმოვუჩინე.

სავსებით მართალი ხარ, გასტონ ბაშლარს რომ იმოწმებ, რადგან პოეზიის რაციონალიზებასაც თავისი საზღვრები აქვს. ბაშლარი ხომ მეცნიერულ აზრს, რომელსაც ის აღიარებს, მაგრამ რომელსაც მეტაფიზიკური აზროვნებით ჩაანაცვლებს, პოეზიას უპირისპირებს, როგორც თანაბარღირებულს და მასსავით ტევადს, ოღონდ პოეტურ შემოქმედებაში წინ წამოიწევენ სუბიექტური წარმოდგენები და წარმოსახვები, ენით გამო-ხმობილი სურათ-ხატები, ანუ – ის ყველაფერი, რაც ობიექტურ მეცნიერებებში მეთოდური აუცილებლობით უნდა განიდევნოს, რადგან შედეგების მისაღებად მათი გათვალისწინება არ ხდება. (ჩემთვის საინტერესოა მისი ის დებულებაც, რომელიც მეცნიერების ისტორიას აღწერს, როგორც ილუზიის შედეგს, როგორც იმ არასწორი შეთანხმების შედეგს, რომელიც მერე განუწყვეტლივ კორექტივებს ექვემდებარება, ანუ რასაც პოპერის მეცნიერული კვლევის ლოგიკა ამბობს). ბაშლართან ფილოსოფია ამ ორ ავტონომიურ და მრავალფეროვან დარგს შორის შუამავლის როლს ასრულებს. აქ შესაძლებლობების ფართო ველია გადაშლილი ანალოგიების შესაქმნელად, და მე ეს უფრო მეტად მომწონს და ჩვენი განცდებისთვის ბევრად უფრო შესატყვისიც მგონია, ვიდრე – ნებისმიერი მეცნიერული რედუქციონიზმი,

რომელსაც ერთადერთ მეცნიერულ მოდელამდე იმის დაყვანა სურს, რაც მოცემულობათა დონეზე ხდება. როგორც ახლა მოდაშია, მაგალითად, მეტყველების ამომცნობი მოწყობილობის დაყვანა ნევროლოგიურ მეცნიერებათა ზოგად პირობებზე და ექსპერიმენტულ სიტუაციებზე. როცა შენ ახლა მათემატიკურ ფორმულასთან ლექსის შედარება გსურს, შესატყვისობები მართლაც არსებობს, რადგან ფორმულის უკანაც და ლექსის უკანაც ნიშანთა სისტემებია საგულვებელი, იმის მიუხედავადაც კი, რომ მათი სამოქმედო ბუნება სხვადასხვაა. მაგალითად, მათემატიკის შემთხვევაში იგი ფორმალურად დამაჯერებელია (როგორც გიოდელის მერე დასაბუთებულია, მის ლოგიფიცირებას საზღვრები აქვს), რაც მის სიძლიერეზეც მეტყველებს და – თუ მექანიზირებისადმი მის იოლად დაქვემდებარებადობასაც მივიღებთ მხედველობაში – სისუსტეზეც. მაშასადამე, ფორმულის სახით წარმოსახული ლექსი უფრო ღიაა, ის სუბიექტური ღირებულებებით თავისი მრავალგანზომილებიანი, ენობრივი პარამეტრების "ათვისების" უფლებას იძლევა, მაგრამ ის, მსგავსად მათემატიკური ფორმულების კონდენსირებისა, შეჯამებისა თუ შეკონვისა, ამის უფლებას იძლევა ერთი ენის შიგნით, რაც ლექსს "გათვლილი" აქვს, თორემ ნებისმიერი ინტერპრეტაცია (ემილ შტაიგერი კი ინტერპრეტაციის ოსტატების რიგშია) შესაძლებელი იქნებოდა.

როგორ დაახასიათებდი ერთი მხრივ თანამედროვე ევროპულ კულტურულ კონტექსტს, რომელშიც ამდენი პოეტური ნაწარმოები იქმნება, მეორე მხრივ კი – როგორ გამოიყურება იგივე კონტექსტი როგორც სივრცე, რომელშიც გუშინდელი და "ახლადგამომცხვარი" პოეტური ტექსტები გვერდიგვერდ არსებობენ და ერთმანეთზე ზემოქმედებენ, ერთმანეთს განსაზღვრავენ?

თარგმნა, რომელიც შენს პროექტებში ასეთ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს, არა მხოლოდ წაკითხვის უზუსტესი ფორმაა, არამედ – უმნიშვნელოვანესი ინტერაქტიული ფაქტორიც საიმისოდ, რომ ტექსტების ურთიერთგანმსაზღვრელი, ენობრივად მასშტაბური კულტურული კონტექსტი წარმოიქმნას. რამდენად

მნირია ასეთი საქმიანობით მიღებული ეკონომიკური შემოსავალი და ლიტერატურის მიმართ ყველა საზოგადოების დამოკიდებულებაც როგორი არარელევანტურია, შენ ეს კარგად იცი. ლიტერატურის სახლები საგამომცემლო პროექტებში ხშირად მხოლოდ იმიტომ იღებენ მონაწილეობას, რომ მეორეხარისხოვან, კლიშეებში მომწყვდეულ, მაგრამ კარგად გაყიდვად ბელეტრისტიკას ამოუდგნენ მხარში, იმის ნაცვლად, რომ კრიტიკული და ექსპერიმენტებით მდიდარი ლიტერატურის წინ წამონევაზე იზრუნონ. ნამდვილი პოეტური შემოქმედება კი – და დოსტოევსკის, ტოლსტოის, პრუსტის, მუზილის ან ჯოისის დიდ რომანებსაც ამ ტრადიციას ვაკუთვნებ – აღნიშნული ქსელისგან თავისუფალია. ნამდვილი პოეზია იცნობს ლიტერატურულ ტრადიციას, განურჩევლად იმისა, გააგრძელებს მას თუ გაწყვეტს მასთან კონტაქტს. მას თავისი წვლილი შეაქვს ლიტერატურის ავტონომიური სტატუსის დაცვაში. და ეს პროცესი მხოლოდ ევროპით არ შემოიფარგლება. მე ერთხელ ჩარლზ ბერნშტაინის ლიბრეტო ვთარგმნე ერთი ოპერისთვის სახელწოდებით "აჩრდილთა დრო", რომელიც მერე მიუნხენში დაიდგა. ბერნშტაინი ამერიკაში ენის პოეზიის წამყვანი ფიგურაა, პაუნდის მცოდნე და ლუის ზუკოფსკის ტექსტების გამომცემელი. ლიბრეტოში საქმე ეხებოდა იმ მომენტს, როცა ნაციონალსოციალისტებისგან გაქცეულ ვალტერ ბენიამინს ესპანეთის საზღვარზე იჭერენ და ის, გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი, თავს იკლავს. ლიბრეტო, რომელიც ექსპერიმენტული პოეზიის იარაღებით არის შექმნილი, ვალტერ ბენიამინის ლიტერატურულ ცხოვრებას გვახსენებს. მასში ჩანს, თუ როგორი მნიშვნელოვანია საზღვრების გადალახვა, არა მხოლოდ იმ პოლიტიკურ მოცემულობებს შორის, რომლებიც, ძალაუფლებაზე თავიანთი მიბმულობიდან გამომდინარე, ყოველთვის რაღაც თავნებურს და ძალადობრივს შეიცავენ, არამედ აგრეთვე – კულტურულ სფეროებს შორის, ტექნიკებს შორის, ლიტერატურასა და მუსიკას შორის.

მე სწორედ ექსპერიმენტული ლიტერატურის ეს გამორჩეული საკომუნიკაციო სისტემა მხიბლავს. იგივე ბერნშტაინი, თუნდაც როგორც პირველხარისხოვანი თეორეტიკოსი, ჩვენს ლიტერატურულ-ინტელექტუალურ წრეებში დიდი ხანია

ცნობილია. ლოკალურიც და ინტერნაციონალური ექსპერიმენტული ლიტერატურული კომუნიკაციაც საზოგადოებრივი ტრანსპორტივით ფუნქციონირებს: ვისაც ავტობუსის ესა თუ ის მარშრუტი ყოველდღიურად სჭირდება, იმან იცის კიდეც ისინი. მით უმეტეს, რომ ამ ლიტერატურას დემოკრატიულს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ. ის, როგორც ჩანს, თავის "არაცნობიერ" რიტმს მიჰყვება, რათა სწორედ შენს მიერ ნახსენები საზღვრები გადალახოს.

ლიტერატურაში დემოკრატიული, ალბათ, უფრო ლიტერატურული გაერთიანებების აქტივობით ამოქმედდება ხოლმე. ჭეშმარიტებაზე ან ესთეტიკის საკითხებზე შეთანხმებებს ნაკლები აზრი აქვს. სატრანსპორტო მიმოქცევასთან დაკავშირებულ შენს შედარებაზე უნდა დავფიქრდე, თუ რამდენად არის შესაძლებელი "კოლექტიური არაცნობიერით" განსაზღვრული მიმოქცევა. რიტმი უდავოდ თან ახლავს ამ ყველაფერს, განსაკუთრებით პოეტურ შემოქმედებაში, ბევრი რამის დასაწყისში. როგორ დაახასიათებდი მის როლს, ასევე – არაცნობიერის როლს, მაგალითად, თარგმნის პროცესში?

ჩემი პირადი პრაქტიკა იმთავითვე ხაზგასმულად "ეგოისტური" იყო. გეორგ თრაკლის თარგმნა იმისთვის დავიწყე, რომ თრაკლით ჩემი აღტაცება დამეძლია და გადამელახა. ჩემს დიდ ავსტრიულ პროექტსაც პირწმინდად სუბიექტური საფუძველი ჰქონდა: მსურდა ავსტრიელებისთვის მადლობის გადახდა იმ სიკეთისთვის, რომელსაც ჩემი გერმანელი და ავსტრიელი მეგობრების დახმარებით ვეზიარე. წიგნს, რომელზეც შენ ამჟამად მუშაობ, უეჭველად შენი, როგორც მთარგმნელის, გამოცდილების შუალედური შეჯამების ხასიათი ექნება. შენი თვითდაკვირვებების ერთი ნაწილი, რომელსაც უკვე ვიცნობ, მარწმუნებენ, რომ შენ ცდილობ, შენი თავი უფრო ჰერმენევტიკულად თარგმნო, ვიდრე – ფსიქოლოგიურად ან სოციალურად.

შენი ფორმულირება, რომ მე ჰერმენევტიკულ ენაზე ვთარგმნი ჩემს თავს, მიუხედავად ინტერპრეტაციაზე აქცენტირებისა, მი-

მანიშნებს, რომ სიმძიმის ცენტრი მთარგმნელზე და მის თავისებურებებზე გადაგაქვს. როცა მე ვცდილობ, ტრისტან ტცარას ლექსების თარგმნისას, ზუსტად და გულწრფელად აღვწერო, თუ რა ხდება ჩემში, ამ დროს მართლაც ერთგვარ "თარგმნის პროცესში თვითდაკვირვებას" მივმართავ და, შესაბამისად, ვიკვლევ, ასეთი რამ საერთოდ თუა შესაძლებელი. მართლაც, აშკარაა, რომ ეს აღწერა-პროტოკოლიზაცია ერთი მხრივ მთარგმნელის საქმიანობაში ძლიერ ჩარევას ნიშნავს; "თვითდაკვირვების" ფოკუსში ექცევა თვით ეს პროტოკოლიზაცია, და ამგვარად – სულ მცირე – პოტენციური უსასრულო რეგრესი ხდება, მეორე მხრივ კი აშკარავდება, თუნდაც ჩემს წარმოდგენებს და ასოციაციურ ჯაჭვებს ვაფიქსირებდე, თუ როგორ და რარიგ ძლიერად ვარ შემოფარგლული ენობრივი სტრუქტურული წარმონაქმნებით და მათი განშლით. ასე რომ, მართალი ხარ, როცა ამბობ, რომ ისევ ჰერმენევტიკას ვუბრუნდები. აზროვნების ეკონომიის მიზნით ხომ ენაში ბევრი რამ შემოკლებული, ავტომატიზებული, ფორმალურია, და თავის შეცნობადობასა და თარგმნადობაში ძნელად ექვემდებარება დაკვირვებას. თუ სიტყვების შრით, მეორადი გამოკვერვით და ჩანაცვლებით დავკმაყოფილდებით, მაშინ პოეზიაში, საუკეთესო შემთხვევაში, მივიღებთ მნიშვნელობის ნორმირებული შრის პწკარედულ თარგმანს, რაღაც ისეთს, რასაც კომპიუტერული პროგრამები სულ უფრო წარმატებით ართმევენ თავს. მაშინ, როცა ლექსის წერის დროსაც და ლექსების თარგმნის პროცესშიც შეძლებისდაგვარად უფრო მეტ ენობრივ პარამეტრს ვაქცევ ყურადღებას, მე სწორედაც გატკებნილი გზების აყრას ვცდილობ, და ეს ჩემთვისაც და ჩემი დაკვირვებებისთვისაც უფრო საინტერესო მგონია. ლექსების თხზვის და ლექსების თარგმნის დროს რაღაც რომ მივიღოთ, ისევ უნდა დავთმოთ კონტროლი, საჭიროა თავისუფალი მოძრაობა მივანიჭოთ იმას, რაც ტექსტის შესწავლისას ჩამოყალიბდა, რათა სიახლეს ისეთი ზემოქმედება ჰქონდეს, როგორიც გაგორებულ კამათელს აქვს, და არ იყოს შეკოწიწებული. ჩემი აქამდელი მთარგმნელობითი მცდელობების შუალედურ შეჯამებას, ალბათ, ვერ განვახორციელებ, სამისოდ მეხსიერება აღარ მივარგა. ეს უფრო იმასთან დაკავშირებული ექსპერიმენტირებაა, თუ რამდენად ზუსტად შემიძლია

თავი გავართვა ენას, ტექსტებს და საკუთარ თავს. ამან შეიძლება აღიარების ხასიათიც მიიღოს. რაც აქედან მიიღება, თარგმანებზე რომ არაფერი ითქვას, არ არის ყოველთვის საინტერესო. ამიტომ შეიძლება გადაჭარბებულიც კი იყოს თვითდაკვირვებაზე ლაპარაკი, ეს უფრო ერთგვარი დიალოგია საკუთარ თავთან.

და გატკეპნილი გზების აყრა ამ კონტექსტში იმასაც ხომ არ ნიშნავს, რომ ამ დროს კვლევის პროცესში პოეტის ხმა უფრო შესამჩნევი ხდება, ვიდრე – მეცნიერის ან მთარგმნელის?

ენობრივად დამყაყებულის და ავტომატიზებულის მსხვრევა და ჩაძირული ტროპების ამოზიდვა, მაგალითად – ისეთი მეტაფორების გაცოცხლება, ჩვენი ყურისთვის უკვე სტანდარტული ჟღერადობის რომ გამხდარან, უდავოდ პოეზიის პრეროგატივაა, ვინაიდან შემოქმედება, რომელიც უკვე შეთანხმებულ რეალიზმში, გაცვეთილ კლიშეებში და სურათ-ხატებში, ათასჯერ გამოყენებულ რელაციებში მოძრაობს, დიდ ღირებულებას ვერ შეიძენს. და ასეთ დროს ვერც მეცნიერული ცოდნა დაგვეხმარება, მაგალითად ლინგვისტიკა, და ვერც – იმ მთარგმნელის ბრწყინვალე უნარები, რომელიც თავის ენასაც და ორიგინალის ენასაც უნაკლოდ ფლობს (თუმცა, ეს არც თარგმანს უნდა ვნებდეს და არც – თხზვას). ხშირად ირიბი პერსპექტივა ან გარკვეული "ენაბრგვილობაც" საკმარისია გამოსახვის ახალი ფორმების მისაგნებად, როგორც ამას სახელგანთქმული მხატვრების – ფიროსმანის, გოიას ან მატისის – შემთხვევაში ვხედავთ. მნიშვნელოვანია მეთოდების და ტექნიკების მიგნება ენის სხვადასხვა შრეს შორის (საზრისი, ჟღერადობა, რიტმი და ა. შ.) სინთეზის და შესატყვისობების განსახორციელებლად, ხოლო ცნობიერედ ხდება ეს თუ – გაუცნობიერებლად, პოეზიაში ნაკლებად მნიშვნელოვანია.

არის კი დღეს შესაძლებელი გამოსახვის ახალი ფორმების მიგნება? უფრო ზუსტად, რაში მდგომარეობს დღესდღეობით, პოსტ-პოსტკლასიკურ ეპოქაში, გამოსახვის ახალი ფორმების საზრისი და შინაარსი?

არის თუ არა შესაძლებელი გამოსახვის ახალი ფორმების მიგნება, მართლაც პრობლემური საკითხია. სიახლე მოცემულ კულტურულ გარემოსთან მიმართებაში უნდა განისაზღვროს, მისი ფორმის და სტრუქტურის გარკვეული ასპექტების გათვალისწინებით, ან – იმის გათვალისწინებით, რაც გამოისახება, ანუ – იმ სინამდვილის, საიდანაც ისინი წარმოსდგებიან. ახალი ასევე შეიძლება, უბრალოდ, არათანადროული იყოს. როცა ინგლისელი მეტაფიზიკოსი პოეტის, ჯონ დონის თარგმნა დავიწყე, აღფრთოვანებული ვიყავი იმ ოსტატობით, რომლითაც მასთან რიტორიკული ტექნიკები გამოიყენება, მეტრული ვარიაციებით და რითმების წნულებით, იმით, თუ როგორ იყენებს ჯონ დონი ენობრივ მასალას, მარადიული პოეტური თემების გვერდით, თავისი დროის მეცნიერული და ფილოსოფიური საკითხების დასამუშავებლად. რა თქმა უნდა, რენესანსის ეპოქაში ყველანი ნეოპლატონიკოსები იყვნენ. თარგმნის პროცესში მკაცრად ვიცავდი მეტრულ უპირატესობებს და კიდევ უფრო მკაცრად – ბგერით სტრუქტურებს, სულ მცირე – რითმებს, ფილოსოფიური და სხვა სახის საფუძვლადმდებარე მოცემულობებთან დაკავშირებით კი სრულ თავისუფლებას ვაძლევდი ჩემს თავს. მე იმედი მაქვს, რომ თხზვის პროცესში ამით ჩემი დროისთვის გამოსახვის ახალ ფორმებს მივაგენი, მიუხედავად იმისა, რომ ძველი გამოვიხმე.

ჩვენი ამ ნაჩქარევი საუბრის ბოლოს მინდა სტანდარტულად გკითხო, ვინ არიან ის პოეტები და ფილოსოფოსები, ის კულტურული დინებები, რომლებმაც შენი ჩამოყალიბების პროცესში შენს არსებით ლიტერატურულ წყობაზე და საბაზისო იდეებზე გავლენა იქონიეს?

ჩემს შემთხვევაში სხვადასხვა ფაზა იყო. ფილოსოფიაში, სასკოლო განათლების მერე, ბერძნულ ფილოსოფიას, გერმანელ კლასიკოსებს, მაგალითად ფრიდრიხ ნიცშეს, მერე კი პირველი თაობის ენის ფილოსოფოსებს ჩავუღრმავდი, კერძოდ ფრიც მაუთნერს (მახის თანამედროვე იყო, ლუდვიგ ვიტგენშტაინი მას თავის "ტრაქტატში" ახსენებს მისგან დისტანცირების მიზნით), მერე – სკეპტიციზმის ტრადიციას, მონტენს, ანტიკურ

სკეპტიკოსებს, რომლებსაც მონტენი უტრიალებს; თანამედროვეებიდან ბენსონ მათესით და სტენლი კაველით დავინტერესდი (ორივე აშშ-ში, ბერკლიში ასწავლიდა). სკეპტიკოსებს შორისაც მოიპოვებიან გამორჩევით ბრძენი რელატივისტები (აკადემიკოსები, რომლებიც ალბათურ დასაბუთებებს მიმართავენ) და დოგმატიკოსები (რომლებიც ლოგიკური არგუმენტებით ოპერირებენ, ისეთი ფიგურებით, როგორიც არის უსასრულო რეგრესი, ცირკულარობა, პარადოქსი), რომლებიც ცოდნის ფიქსაციის საპირისპიროდ მუშაობენ. მთლიანობაში კი დიდხანს ვიყავი გადავარდნილი ენის ფილოსოფიაში, როგორც მკაცრად ანალიტიკურში, ისე – "ყოველდღიური ენისაში", მაგრამ ყოველთვის მაინტერესებდა ისეთი თავისუფალი მოაზროვნეები, როგორიც პოლ ფეიერაბენდია (მისი "მეთოდური იძულების წინააღმდეგ"). პოეტიკაში ზიგმუნდ ფროიდთან ერთად დიდად ვემადლიერები ფრანგულ ტრადიციას: პოლ ვალერის და მის "აზრებს", სტრუქტურალისტებს, მაგალითად ლევი სტროსს და რომან იაკობსონს (მათ ერთად განახორციელეს ბოდლერის "კატების" გენიალური ანალიზი), ანტიკურ რიტორიკაზე როლან ბარტის ესსეებს, მიშელ ფუკოს ნაშრომებს და სხვ. მერე, როცა ინფორმატიკას ვსწავლობდი, მათემატიკის და პოეზიის ურთიერთობით, უკვე ნახსენები მაქს ბენზეს გამოკვლევებით დავინტერესდი. რა თქმა უნდა, ოდის მეტრული სალექსო ფორმებით ჩემი ექსპერიმენტირებისას არ ავცდენივარ დიდ გერმანელებს, მაგალითად, კლოპშტოკს და ჰიოლდერლინს. თავისუფლების მოპოვებაში დამეხმარა ავანგარდის სხვადასხვა ხაზი, ტრადიციაზე ორიენტირებული წრე ეზრა პაუნდისა, გერტრუდა სტაინი, სიურრეალისტები და დადაისტები.

თბილისი-ვენა
ივნისი, 2015

უტე აიზინგერი

"ლექსები საუბარია იმათთან, ვისაც ისინი სჭირდება..."

ძვირფასო უტე, ვცდილობ ცდუნებას ვძლიო და ჯერჯერობით არაფერი გკითხო საქართველოსთან შენს მჭიდრო ურთიერთობაზე, ამიტომ მინდა გთხოვო, ქართველ მკითხველს წარუდგე, როგორც ავტორი.

სიტყვა "ავტორი" ჩემთვის უცხოა, რადგან წერა ჩემთვის დავალებაა, რომელშიც წილი მიდევს, რომელსაც ვასრულებ, ჩემამდე არსებულ და ჩემს მერე მოსასვლელ იმ ხელოვანთა შორის, რომლებიც ერთმანეთს ენაცვლებიან ენათა და დროთა სავალზე. ჩემი დავალება ლექსებია – მათი წაკითხვა, გაგება, წერა. ჩემს ლექსებთან ერთად, რეცენზიებს ვწერ სხვათა ლექსებზე, მაგალითად, იოსებ ბროდსკიზე და გივი მარგველაშვილზე, და სხვათა ლექსები მათი მშობლიური ენებიდან ჩემს ენაზეც მითარგმნია, ანუ გადმომიგერმანულებია. მაგალითად, დილან თომასი, ილია კულიკი, ჰარტ კრეინი. ჩემს ლექსებზე კი შეიძლება შემდეგი ითქვას: ეს არის აბსტრაქციისკენ ძლიერ მიდრეკილი ენობრივი წარმონაქმნები, და რადგან ისინი ლექსებია, ისინი იმავე საშუალებებს იყენებენ, რომლებსაც – მუსიკა, რომელიც დროის მსვლელობას გარდაქმნის; ამასთან, ისინი სურათებს ქმნიან. ჩემს ბოლო წიგნებში ვცადე, ტაქტიკა შემეცვალა: ლექსებად "წამეკითხა" სურათები, რომლებიც სხვა მხატვრებმა შექმნეს.

"აბსტრაქცია" კლასიკურ მოდერნში დამკვიდრებული მნიშვნელობით თუ – თანამედროვე ექსპერიმენტული ხელოვნების გაგებით, როცა ის ხშირად ტოტალურ ენობრივ ატომიზმს ნიშნავს?

ვგულისხმობ აბსტრაქციის მოდერნისტულ გაგებას: განსაკუთრებულის რედუქციას ზოგადამდე, პიროვნულის – ზეპიროვნუ-

ლამდე, წარმავლის – ზედროულამდე. ამავე დროს, სხვა მიმართულებითაც ვმოძრაობ, უსაგნოს გასაზრისიანებას ვცდილობ, როცა, მაგალითად, ექსპერიმენტულად გაფერადებულ კინოკადრებს აღვრიცხავ ("წერტილლექსი") ან ექსპერიმენტულად მოპოვებული მასალის საზრისს აღვადგენ ("დამასკოური").

ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ შენ ლექსებს კი არ წერ, არამედ განსაზღვრული პრინციპებით აგებ მათ.

ო, არა, არა! მაშინ ასე ვთქვათ: მეოთხედ საუკუნეში, ჩემს შვილებზე ზრუნვას რომ შევალიე, ენობრივ-ექსპერიმენტულად დაყენებული ცდები და თარგმნა ძლიერ დამეხმარა იმაში, რომ წერაზე საერთოდ არ მეთქვა უარი. იმის აღსაქმელად, რაც მოძრაობს, უმოძრაოდ ყოფნაა საჭირო.

მსგავსადვე დაყენებულმა დადაისტების ცდებმა, რომლებსაც თან ახლდა ბავშვთა სამყაროში პერმანენტული ჩაღრმავება, ხელოვნების სისტემა შეცვალა... შენს აქცენტს გაიზიარებს ნებისმიერი ხელოვანი, ვისთვისაც ბავშვების აღზრდასთან დაკავშირებული ყოველდღიურობაა ცნობილი. უკან რომ იხედები, რას ხედავ სანუგეშოს, ამ ნახევარ საუკუნეში შექმნილს?

ჩემს შვილებს, ცხადია! რაც შეეხება ჩემს ლექსებს: LEG O STEINE იმ დროს დავწერე, როცა მთელი ბინა ლეგოს კუბიკებით იყო მოფენილი. აქ საქმე ეხება ლექსში შესაძლებელ მოძრაობის ნაირსახეობებს; რაკი მე მაშინ სათამაშო სივრცე არ გამაჩნდა, კიდევ უფრო მეტად დავინტერესდი იმით, თუ რა ხელეწიფებათ ლექსებს. შინაარსობრივად ლექსებს ბიოგრაფიასთან ბევრი არაფერი აქვთ საერთო. ჩემი ცხოვრებისეული გამოცდილება და ჩემი, როგორც მკითხველის, გამოცდილება ერთმანეთისგან დიდად სულაც არ განსხვავდება. ყველაფერი, რაც გამაჩნია, გამოსადეგი მასალაა. მე ბევრი რამ მაინტერესებს. თხზვა ხომ ხდომილებებს შორის კავშირების შექმნაა – პირველ რიგში, შენთვისვე. უნდა ვთქვა, რომ დადაისტებთან არაფერი მაკავშირებს. როცა "მშვილდში" აღვწერ, თუ როგორ ამზა-

დებენ ე. წ. სკვითურ აწყობილ მშვილდებს, ან მის ერთ-ერთ შემადგენელ ელემენტს, აქ ჩემს პოეტიკასთან ანალოგიას უფრო ეხება საქმე, ვიდრე – ინდიელად გარდასახვის ასაკში მყოფი ჩემი ვაჟის მოჯადოებას მშვილდ-ისრობით. როცა ხელში შვილების აყვანის ან მათ კუდში დევნის აუცილებლობისგან გავთავისუფლდი, ჩემი პოეზიის აღვირიც მივუშვი. როცა ისინი ტყეში თამაშობდნენ, ჩნდებოდა მომენტები, ჩემს თავთან მარტო დარჩენას და თავისუფლად ფიქრს რომ ვახერხებდი. ასე დავწერე "განსაკუთრებული მდგომარეობა": იმ მომენტებზე, როცა სამყარო მდინარებას წყვეტს და ლექსად დედდება. როცა ჩემი შვილები ბაღში შევიყვანე, მე კი სკოლაში მასწავლებლად დავიწყე მუშაობა (სადაც უფრო მეტ ბავშვზე უნდა მეზრუნა...), აღმოვაჩინე, რომ ადამიანი მარტო და სხვებისგან თავისუფალი მხოლოდ ტყეშია. ამან დამაწერინა HERZUNRUH, ერთგვარი ცხოვრება ტერცინებად, როგორც დანტეს "ღვთაებრივ კომედიაში", ოღონდ – ნამდვილ ტყეში, ჩემი ქალაქის კიდეზე, რათა ჩემს თავს თავისუფლად სუნთქვა შეძლებოდა.

შენი შვილები თუ კითხულობენ შენს ლექსებს?

არ კითხულობენ. ჩემს პოეტურ საღამოებს კი ესწრებიან მას მერე, რაც წამოიზარდნენ. და მისმენენ კიდეც, როცა ახალ ტექსტს "ვამოწმებ", ანუ საწერი მაგიდიდან მათკენ გავაქანებ ხოლმე და ხმამაღლა ვუკითხავ, რათა გავიგო, როგორ ჟღერს; ასე რომ, მდოგვსაც ისინი მოასხამენ ხოლმე. ძალიან ამაყებიც არიან, როცა ვინმე ეკითხება: "აიზინგერის ნათესავი ხარ? მისი წიგნიც კი მაქვს სახლში!"

ნამდვილად არ უნდა იყოს შენთვის უცხო შენივე ლექსებთან კომუნიცირება მას მერე, როცა ისინი უკვე დაწერილია. ვგულისხმობ კომუნიკაციას ლექსთან, როგორც დასრულებულ მთელთან, რომელიც უკვე ლიტერატურული სამყაროს წარმოსახულ ან რეალური ნაწილად ქცეულა.

რა კარგი შეკითხვაა! ლექსსა და მის შემქმნელს შორის ურთიერთობა მართლაც არ მთავრდება იმით, რომ თავისუფლად მო-

ლივლივე ენობრივი მოცემულობა წარმოიქმნა ან სააზროვნო ნაგებობა აშენდა. საკუთარ ლექსთან პოეტის კრიტიკული დამოკიდებულების საფუძველზე საინტერესო ურთიერთობის ჩამოყალიბება იწყება – ვგულისხმობ აპოლონურ მოთხოვნას: "შეიცან თავი შენი!". ამ აზრით, პოეტური ქმნადობა ჩემი სახელოვნებო ტექნიკაა, ერთგვარი ჯადოქრობა, რომლითაც რაღაც ისეთი განხორციელდება და სრულიყოფა, რაც გონებას, განსჯას ერთი ნაბიჯით წინ უსწრებს. მთელი სიღრმით იმის გაგება, რაც იმ ლექსით ითქვა, რომლის შექმნის დროსაც შემქმნელმა იგრძნო, რომ რაღაც "ნამდვილად ასეა", მართლაც არის ფართო ჰორიზონტის მომცველი და ჩემი წერისთვის საზრისის მიმნიჭებელი თვითშემეცნების აქტი. ბანალურად რომ ითქვას: ლექსების წერა ჩემთვის შთაბეჭდილებებიდან შემეცნებებამდე გახანგრძლივებული გადამუშავება-მონელების პროცესია, ურთიერთშეუსაბამოთა ურთიერთდაკავშირების აქტია. ეს საერთო სუფრაა, რომელსაც იმ ადამიანთა (ძირითადად ხელოვანთა) ნაფიქრ-ნააზრევს შემოვუსხამ ხოლმე, რომლებიც ერთმანეთს არ შეხვედრიან; რათა ხელახლა "აენთონ", სხვებს იმპულსი მისცენ, მათი სიტყვა რომ აუტაციათ, და სადაც ერთი შეჩერდა, იქ მეორემ განაგრძოს თხრობა. ზოგჯერ მეხსიერებაში ამოტივტივდება სალექსო სტრიქონი და აკვიატებულ მელოდიად მექცევა, და ამ დროს ვეჭვობ ხოლმე, რომ ეს სტრიქონი ამა თუ იმ პოეტს ეკუთვნის ან იმ თარგმანიდანაა, რომელიც დიდი წვალებით მომიპოვებია. ჩემდა გასაოცრად, არაერთი ჩემივე სალექსო სტრიქონია იმათ შორის, ქვეცნობიერში რომ დალექილა. მათ კვალში ჩადგომა რომ შევძლო, ვიწყებ მათ გათამაშებას, ვუახლოვდები, ვრთავ თამაშში – ვიდრე შედგებოდნენ და გავიაზრებდე, თუ რას ეხება საქმე.

ეს იმას ნიშნავს, რომ წერის პროცესი მხოლოდ შენთვის კი არა, შენი ლექსებისთვისაც (ან, პირველ რიგში, სწორედ შენი ლექსებისთვის) თვითშემეცნების აქტია, ისევე, როგორც – სხვა პოეტთა სალექსო სტრიქონებისთვის, რომლებიც, საკუთარი თავის მაძიებელნი, უცებ შენს ლექსებში იღვიძებენ. და სწორედ ასეთი პოეტური კონტექსტები დასცინიან ნებისმიერი სახის ინტერტექსტუალობას, მთლიანობაში კი – ნების-

მიერი სახის მონდომებას ერთი მხრივ სამეცნიერო პროზამდე პოეტური შემეცნების დასაყვანად, მეორე მხრივ კი – ნებისმიერი სახის სამეცნიერო სერიოზულობის საშენ მასალად მის გამოსაყენებლად.

პოეტთან შედარებით, რომელიც საყვარელს შეესატყვისება, ლიტერატურათმცოდნეობა გინეკოლოგიაა (კარლ კრაუსის თავისუფალი რემინისცენცია). ლიტერატურა ჩემთვის, თუნდაც როგორც კვლევის საგანი, სურვილი და ვნებაა. გერმანულ ენაში ასეთი გამოთქმა არსებობს: "sich einen Reim auf etwas machen", ანუ რაღაცის გაგება, რაღაცაში გარკვევა ერთ სიტყვასთან მეორის გარითმვასთან არის შედარებული. ეს პოეტური ძალისხმევის გამომხატველი ლამაზი გამოთქმაც არის: იდეებთან იდეების ურთიერთგანდობის, ერთი იდეის მიერ მეორე იდეის ნდობის მოპოვების გამომხატველი. ოვიდიუსი იტყოდა: ყველაფერი შეიძლება ყველაფრად გარდაისახოს. ლექსის წერა მეტამორფოზის ხელოვნებაა, ისევე, როგორც თარგმნაა დამსგავსების ხელოვნება. ჩვენი სამყარო ბრეიგელის სურათს ჰგავს: ყოველ წამს ერთდროულად ხდება ჩინებული და საშინელი ამბები, ადამიანები ერთმანეთის მიმართ დიდებულ და საზარელ საქმეებს სჩადიან. პოეტებს განსაკუთრებით მგრძნობიარე გრძნობის ორგანოები აქვთ და, ამიტომაც, უფრო დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ; ისინი არიან ადამიანები, რომლებიც ნაკლებს "კითხულობენ", ანუ ხედვით გაგება და კავშირთა წარმოქმნა, კონტექსტთა ურთიერთშერწყმა შეუძლიათ. ლექსები საკითხავი სათვალეებია. ეს – რაც ჩემს პოეტურ პოზიციასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას. რაც შეეხება ჩემს სამუშაო პროცესს და მასალის გამოყენებას, ეს ყველაფერი ჩემს განვითარებას და მოცემულ პირობებს ექვემდებარება. მთლიანობაში შეიძლება ითქვას: არაფრისგან არაფერი იქმნება. ლექსის ნებისმიერი "გამომწვევის" არსებობის მიუხედავად – იქნება ეს, როგორც ხშირად ხდება, პოეტურ ხატად მოცემული ბგერითი მწკრივი თუ რიტმული უჯრედი – ლექსები დროის ხანგრძლივ მონაკვეთში მზადდება. ჩემს დღიურებსა და პირად წერილებში მოგვიანებით აღმოვაჩენ ხოლმე, თუ რა დიდხანს ვუტრიალებ ერთსა და იმავე საკითხს, ვიდრე რომელიმე ვარიანტი, შედარება, პოეტური ხა-

ტი შეიქმნებოდეს. შემდეგ ვუბრუნდები ამ აზრობრივ კონცენტრატებს, როცა ვიგრძნობ, რომ ამის დროა: როცა ჩემში სახეზეა ერთდროულად უშფოთველობა-მორჩილება და ერთგვარი ნაყოფიერი შფოთი. ასე გამოიყურება საუკეთესო მომენტები, როცა ყველაფერი თითქოს საჩუქრად გეძლევა, უცებ ყველაფერი ერთმანეთთან თანხმობაშია. ხშირად ციტირებადი მუზა ლამაზი და კეთილია; თუ პოეტს მოთმინება არ ჰყოფნის, რომ მუზის "კოცნას" დაელოდოს და რთულ პერიოდებში სამუშაო იარაღების ფლობის უნარი გამოავლინოს, კარგი ლექსი არ მიიღება.

ყველა პოეტს თავისი მიზეზი აქვს სხვა პოეტთა სათარგმნელად. ზოგი პოეტი საკუთარი პოეტური ენის გასამდიდრებლად თარგმნის, ბევრიც იძულების წესით თარგმნის, მრავალი პოეტისთვის თარგმნის აქტი სხვა პოეტურ სამყაროებთან ერთგვარი არსებითი ურთიერთობაა და ა. შ. როგორ იბადება შენს შემთხვევაში ის ადგილები, სადაც შენს თავს დამსგავსების ხელოვნებას უძღვნი?

ეს ყველაფერი ერთად არის: აკვირდებიან სხვა ენაში იმას, რაც საკუთარ ენაში არ მოეპოვებათ; იყენებენ სხვის ელექტროენერგიას მაშინ, როცა საკუთარი პოეტური ენერგია ყოველდღიურობას ამოუწურავს; ცდილობენ უფრო კარგად გაიგონ კოლეგა, რომლითაც აღფრთოვანებული არიან, დაეტოლონ მას, როცა იმავდროულად ორიგინალის დაძლევას ცდილობენ. როგორც თითქმის ყველა ხელოვნებაში, შემოქმედებითი საქმიანობის გამომწვევიც სიმარტოვეა. ლექსის წერა – მუიზიცირების ან გამოსაფენი არტეფაქტის შექმნის საპირისპიროდ – საკმაოდ განმარტოებული საქმიანობაა. იმავდროულად კი, წინამორბედის პოეტური მიღწევის შიგნიდან გაგების მცდელობა შემეცნების პროცესია – ძველი აღქმის გაგებით. სასურველ ტექსტს ვერ მიუახლოვდები, თუ ის საკუთარ ენაზე არ შეასრულე, შენს ენაზე არ ააჟღერე. უნდა ვთქვა, რომ შეკვეთილ თარგმანზე მუშაობა არ მიყვარს. ძირითადად მაინც იმიტომ ველტვი და ვუკავშირდები "ჩემს" ტექსტებს, რომ უკვე არსებული თარგმანებით უკმაყოფილო ვარ ან საერთოდაც არ არსებობს იმის თარგმანი,

რამაც ამაღელვა. ამ დროს მინდება, სრულიად მივეცე ამ პროცესს – და სწორედ ეს ხდება თარგმნის დროს.

როგორც ვიცი, შენ ქართველი პოეტებიც თარგმნე. როდის აღმოაჩინე საქართველო? მე ათ წელზე მეტი ხნის წინ წავიკითხე ჟურნალ "Salz"-ისთვის დაწერილი შენი სტატია "ქართული ლიტერატურა ისტორიის სარკეში". საფუძვლიანად რომ იცნობდი ჩემს ქვეყანას, ამას მაშინვე მივხვდი, მაგრამ არ მავიწყდება, თუ როგორი დიდი სიყვარულით იყო ეს ტექსტი დაწერილი.

პირველად საქართველოში 1987 წელს ჩამოვედი, უცხო ენათა ინსტიტუტში გერმანული ენის ლექტორად ვიყავი მიწვეული. ეს პერესტროიკის დროს იყო, მაშინ, როცა, ასე ვთქვათ, თავისუფლების ქარმა დაჰბერა. საქართველოც შესატყვისი სილაღით მომესალმა, როგორც პირველ მერცხალს. დიდი ინტერესით შემეგებნენ და სურდათ, ყველაფერი სცოდნოდათ ჩემს სამყაროზე – ევროპის მეორე ნახევარზე; და რაკი ადრე ბევრს ვმოგზაურობდი და ამ მოგზაურობებიდან წიგნებით, ხელოვნების კატალოგებით, შთაბეჭდილებებით და მუსიკალური ჩანაწერებით ზურგდატვირთული ვბრუნდებოდი, საქართველოში ყველგან სიამოვნებით მეპატიჟებოდნენ და ეს ქვეყანა ყველა წარმოსადგენი კუთხით გამაცნეს. როცა სამშობლოს, რომელშიც თავს ყოველმხრივ შინ გრძნობ, სხვა ქვეყნის სასარგებლოდ ტოვებ, ეს განვითარებაში წინგადადგმული დიდი ნაბიჯია. ამ დროს ადამიანი ზედმიწევნით ყურადღებაგამახვილებულია და დაკავებულია ახალი შთაბეჭდილებების ინტენსიური გადამუშავებით, მისი დრო მდიდრდება. ჩემი პირველი ქმრის, კინორეჟისორ ტატო კოტეტიშვილის წყალობით, მოვლენების შუაგულში ვტრიალებდი. მამამისის, ვახუშტის, სახლში თავს იყრიდნენ მისი თაობის უაღრესად საინტერესო ადამიანები. მე და ვახუშტის საერთო პოეტური ინტერესები გვქონდა, ის მაშინ თავაუღებლად თარგმნიდა რილკეს, მე კი მას თრაკლის და ცელანის პოეზია გავაცანი; სამაგიეროდ მან ქართველი პოეტები გამაცნო, რომელთაგან ზოგიერთი ვთარგმნე. ხშირად მიკითხავდა ქართულ ლექსებს, რათა მე ისინი მეგრძნო; რუსულად განმიმარტ-

ავდა კონტექსტს და სემანტიკას. ჰო, ეს მართლაც სიყვარულია: კარგის გაზიარება; თვითშეწირვა და სიხარული. მაშინ საქართველოში ადამიანები ხშირად ისხდნენ ერთად და აზრთა ინტენსიური გაცვლა-გამოცლით ამდიდრებდნენ ერთმანეთს. ისინი სწორედ იმაზე ლაპარაკობდნენ, რაც მე მაინტერესებდა: ლიტერატურაზე, მხატვრობაზე, ფილმებზე, მუსიკაზე, სხვა ქვეყნებზე და იმაზე, თუ როგორ უნდა გახდეს სამყარო უკეთესი.

მინდა გთხოვო, ქართველ მკითხველს ზოგიერთი მაშინდელი "თავყრილობის" შესახებ უამბო. წარმომიდგენია, ჩემი თაობის ლიტერატურის მოყვარულები როგორი ინტერესით წაიკითხავენ ამ ინტერვიუს. მაშინდელი წლები ხომ დროში გაჩენილი ერთგვარი ნეიტრალური ზონა იყო.

ეს ყველაფერი ძალზე უბრალოდ ხდებოდა მაშინ – იმის მიუხედავად, დაპატიჟებული სტუმარი გემრიელი კერძებით ჩაზნექილ მაგიდასთან იჯდა თუ სადღაც ვინმე ვინმესთან ერთად რაღაცას ელოდა და ვინმე მისთვის აქამდე უცნობ შემოსწრებულს ესაუბრებოდა; ადამიანები ერთი მხრივ თავს დაცულად გრძნობდნენ თავ-თავიანთ ურთიერთობებში, მეორე მხრივ კი თავისუფლად აზროვნებდნენ, ოღონდ არა ზედაპირულად. ეს იმით აიხსნებოდა, რომ ისინი სამსახურებრივ წნეხს არ განიცდიდნენ. მაშინ დროც ბევრი ჰქონდათ და ხშირადაც მიდი-მოდიოდნენ, ოჯახების და მეგობრების წრეში თავს კარგად გრძნობდნენ. მე სულ სხვა ვარსკვლავიდან ვიყავი და ილუზიური თავისუფლებით ვტკბებოდი. ეს კი ჩემს თანამოსაუბრეებს იმის შესაძლებლობასაც აძლევდა, ჩემთვის თავისუფლად ეკითხათ ისეთ რამეებზე, რაც ჩემს ვარსკვლავზე სმენოდათ, მაგრამ მკაფიო წარმოდგენა ვერ შექმნოდათ. ამიტომაც იყო, მუდამ ინტენსიური დისკუსიების გულისგულში რომ ვტრიალებდი – შიდსზე და წმინდა გრაალზე, რილკეზე და რენესანსის მხატვრობაზე, მეგობრობაზე და გოეთეს პედაგოგიურ კონცეპტებზე, ხატებზე და 1937 წელზე, ელესდეზე, ტამპონებზე, ფსიქოანალიზზე და ეგვიპტურ მიცვალებულთა წიგნზე. სადღეგრძელოების კულტურის წყალობით თქვენთან მჭევრმეტყველების ნაკლებობას არავინ განიცდიდა, სპარსელებთან კულტურული ნათესაობის

წყალობით პოეზია დიდ პატივში იყო, და ჩემი მონუსხული სულიც შთაგონებული საზრდოობდა ამ ყველაფრით. ასეც შეიძლება ითქვას: შთაგონების ნიჭით დაჯილდოებული ნებისმიერი ადამიანისთვის მაშინდელი გარემო მართლაც რომ მისწრება იყო – განსხვავებით იმ დასავლეთისგან, რომელიც თავს ისე წარმოაჩენს, თითქოს ძალიან "მაგარი" იყოს.

დღესდღეობით ევროპაში ბევრი ჭკვიანი ადამიანისგან გვესმის, რომ დასავლეთში ლიტერატურულმა ცხოვრებამ უმთავრესი – არასტერილურობა – დაკარგა. როგორია შენი აზრი ამ თემაზე?

გულისხმობ იმ აზრს, რომ ევროპის დალხენილი ქვეყნების ლიტერატურა უმარილო და სისხლნაკლული გახდა? მე ბევრს ვკითხულობ, თუმცა – ერთობ უსისტემოდ. ამჟამად საუკეთესო მთხრობელები პორტუგალიელები და რუმინელები არიან – ანუ იმ ქვეყნების წარმომადგენლები, რომლებიც ან ჯერ არ არის ან სულ ცოტა ხნის წინ გახდა ევროკავშირის წევრი. ზოგიერთი ქვეყნის ეროვნული ლიტერატურა ჩემთვის საერთოდ უცნობია. ავტორიტეტული ადამიანების აზრს ვენდობი და ვიტყვი, რომ ეს ლექსებს უფრო ეხება, ვიდრე პროზას. ჩემი საყვარელი პოეტია ადამ ზაგაევსკი. დანიელი ინგერ ქრისტენსენი ჩემთვის სანიმუშო პოეტი იყო. ცოცხალი ურთიერთობა მაკავშირებს ჩემს ინგლისელ, ამერიკელ და ჰოლანდიელ თანამედროვეებთან, ანუ მათ ლექსებზე რეცენზიებს ვწერ ან ვთარგმნი და მათ ვუგზავნი. ესენი ყველანი მარტოხელა მგლები არიან, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი ზოგჯერ პრემიასაც კი მოიპოვებს ხოლმე. მათ პოეტურ საღამოებზე, საუკეთესო შემთხვევაში, ხანდაზმული ქალბატონების და მხოლოდ ნაცნობი კოლეგების ორი ათეული თუ მოიყრის ხოლმე თავს. მე ვფიქრობ, დიქტატურულ ქვეყნებში ლიტერატურას ადამიანთა სულ სხვა ტიპები ქმნიან, ვიდრე – დემოკრატიული წყობის ქვეყნებში. ასევე ვფიქრობ, რომ ქვეყნებში, სადაც მომხმარებლობა ცხოვრების სტილია, ლიტერატურა გართობის ინდუსტრიის უმნიშვნელო განშტოებად არის გადაქცეული. კი არ უნდა მოვთქვამდეთ, პირიქით, უნდა გვიხაროდეს, რომ არჩევანი გვაქვს. რაც უფრო

კარგად არის რაღაც გაკეთებული, უფრო ღრმად უნდა შევძლოთ მასში წვდომა. იოლად პროდუცირებადი მასობრივი საკვების ეპოქაში, როცა ადამიანები ნებაყოფლობით თანხმდებიან იმას, რომ ისინი სატელევიზიო ეკრანებიდან მართონ, ინდივიდუალისტები უცხოპლანეტელებივით გამოიყურებიან. ყველა სახის იზოლაციის მიუხედავად, ჩვენ, ვინც თავი წერის ხელოვნებას მივუძღვენით, ვტკბებით იმ პრივილეგიით, რომ ჩვენს საყვარელ საქმეს ვაკეთებთ. მთავარია, ადამიანს ამ საქმით დალხენილი ცხოვრების სურვილი და პროპაგანდისტული ცნობიერება არ გაუჩნდეს: ანალიტიკურ ინსტიტუციებში, Think Tanks-ის ტერიტორიაზე არავინ გააჭაჭანებს გადალახულ მოდერნიზმს. ჩვენი სტიქია საზოგადოების პროგრესს კი არა, ხდომილებაზე დაკვირვებას ემსახურება, შეკითხვას, თუ როგორ არის შესაძლებელი საშინელი იმავდროულობის, ერთმანეთის გვერდიგვერდ განვითარებული ამ მოვლენების ნათელყოფა.

მარტოხელა მგლების თემა, შესაძლოა, თანამედროვე ხელოვნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თემაა. შენ, ნაწილობრივ, საკუთარი გამოცდილების მაგალითზე განმარტე, თუ როგორ ეძებენ და პოულობენ ერთმანეთს, მერე კი როგორ ურთიერთობენ ერთმანეთთან მარტოხელა მგლები. მე ხშირად ვიმეორებ სავსებით გულწრფელად, რომ დღესდღეობით კარგი ლექსის დაწერა სულაც არ არის პრობლემა. მაგრამ პოეტად ყოფნა კარგი ლექსების წერას სულაც არ ნიშნავს. მარტოხელა მგლებმა ეს იციან. და ამ უკანასკნელთ არც ყოველთვის კიდეზე დარჩენა სურთ. თუ შეგიძლია, ავსტრიაში იმ დაძაბულობის შინაარსზეც თქვა რამე, ლიტერატურულ ბიზნესსა და ლიტერატურული კონფორმიზმისგან შორსმყოფ პოეტებს შორის რომ სუფევს?

ჩემო ძვირფასო დათო, აკი თავადაც ამბობ: არავინ წერს იმისთვის, რომ არ მოუსმონონ და არ წაიკითხონ; პირიქით: ენა ურთიერთგაგებინებაა, ის გაგებადობას ეფუძნება. "ენა მისი გამოყენებაა", როგორც ვიტგენშტაინი იტყოდა. რაც უფრო ნაკლებს ლაპარაკობენ ერთმანეთთან საზოგადოებაში, მით მეტად ღარიბდება ენა. ეს კი ფატალურია პოეტებისთვის, რომლებიც ნიუ-

ანსებით და მინიშნებებით ცდილობენ, რომ მათ გაუგონ. ჩვენს – პოეტების – მოდგმას გადაშენება ემუქრება და გვახარებს ყველა, ვინც სახელოვნებო იარაღებით ჭეშმარიტებას ეძებს – ნაცვლად სურვილისა, რომ მოწონებულ იქნას. სხვა ქვეყნებთან შედარებით, ავსტრიაში ხომ ლიტერატურაზე სახელმწიფო ზრუნავს, ანუ არსებობს პრემიები და სტიპენდიები, რომლებიც უფრო და უფრო მეტად არის დაკავშირებული საგამომცემლო კონტრაქტებთან ანუ კონკრეტულ მარკეტინგთან. ეს კარგია. მაგრამ ავტორს ხომ, ამას გარდა, თავის სარჩენად პროფესია, მდიდარი მემკვიდრეობა ან დალხენილი პარტნიორი ესაჭიროება. ერთმა ჩემმა ნაცნობმა მწერალმა წყვილმა, ილზე კილიკმა და ფრიც ვიდჰალმა, ეს პრობლემა ამგვარად გადაჭრა: შეთანხმდნენ, რომ ისინი ყოველ სამ წელიწადში მონაცვლეობით იმუშავებენ, და როცა ერთი იმუშავებს, მეორეს წერის შესაძლებლობა ექნება. როგორც ყველგან, ავსტრიაშიც არიან ადამიანები, რომლებიც კარგადაც კომუნიცირებენ და საზოგადოებასთან ურთიერთობის ნიჭითაც გამოირჩევიან. ისინი სცენაზე რეგულარულად ჩნდებიან, იბეჭდებიან და ფინანსურ მხარდაჭერას ღებულობენ. მათ გვერდით კი არიან სხვები, რომლებიც მათ განკარგულებაში არსებულ დროს წერას ახმარენ და დროის ასეთი ფლანგვა არ შეუძლიათ ან არ სურთ. რადგან ჩვენს ქვეყანაში თავისი საქმით ანთებული ლიტერატურის კრიტიკოსები არ მოიპოვებიან და სულ სხვა პრინციპია გაბატონებული – ვისაც აქვს, იმასვე მიეცემა – ანუ ვინც პრემიას ღებულობს, გამოქვეყნებაც და სასურველი სტიპენდიაც მასვე ეჩუქება, შესაბამისად, წელიწადში სულ რამდენიმე სახელია, ლიტერატურის ბაზარზე რომ ჩნდება, სხვები კი შეუმჩნეველნი რჩებიან. როგორც მკითხველს, ყოველთვის მაოცებს, როცა ისეთ მოკალმეს აღმოვაჩენ ხოლმე, რომლის შესახებაც მანამდე არაფერი მსმენია – არადა, მართლა ბევრს ვიცნობ –, და ეს მაშინ, როცა გამუდმებით ერთსა და იმავე კერძს გვთავაზობენ: სწორედ ეს არის საბაზრო სტრატეგია, რომელიც ლიტერატურულ ხარისხზე ნაკლებად მეტყველებს. მე რაც შემეხება: მე არ მჭირდება ხმაური საიმისოდ, რომ ჩემი ლექსებით კარგად ვიცხოვრო; ჩემი გვარის წაკითხვა არ მჭირდება საიმისოდ, რომ ვიცოდე, რა გამომივიდა კარგად, და ისიც მესმის, რომ საოჯახო სიმშვიდისთვის აუცი-

ლებელია გიმნაზიაში ჩემი მასწავლებლობით რეგულარული შემოსავლის უზრუნველყოფა. რაც მე ბევრად უფრო მაღელვებს, ჩემი ნამუშევრების ხარისხის შესახებ ცოდნაა, რადგან ამ ნამუშევრების დიდი ნაწილი გამოუქვეყნებელი რჩება. რაკი მათი გამოცემის შესაძლებლობა არ მაქვს, ისინი წაუკითხავი რჩება. მაქვს შეგრძნება, რომ ვალად მადევს ჩემი ლექსების გამოუქვეყნებლობა. სიამოვნებით წარვუდგებოდი კრიტიკოსებს, სხვებთან დებატებში ჩავერთვებოდი, სხვებს გავეჯიბრებოდი. ამ ყველაფერს მოკლებული ვარ – მიუხედავად იმისა, რომ ეს ენისა და დაწერილი სიტყვის არსს შეესატყვისება, რომელიც ღია წერილია. ნამდვილად არც ერთ ადამიანს, ვინც ლექსს წერს, არ სურს, რომ კედელს ელაპარაკებოდეს; ლექსები საუბარია იმათთან, ვისაც ისინი სჭირდება, და თუ ადამიანებს ისინი მართლა სჭირდება, მაშინ საუბრები არ უნდა აღიკვეთოს.

ვფიქრობ, ეს პასუხი უაღრესად მნიშვნელოვანია ჩვენი ლიტერატორების ახალგაზრდა თაობისთვის... აქვე მინდა გკითხო, თუ არსებობს ავსტრიაში მწერალთა ერთგვარი სოლიდარობა ბაზრისა და ლიტერატურული ბიზნესის წინააღმდეგ, რათა ნამდვილმა ლიტერატურულმა პროცესმა სული არ დალიოს? როგორ უდგანან ისინი ერთმანეთს მხარში სალიტერატურო იარაღებით?

იკრიბებიან, ტექსტებზე მსჯელობენ, ერთმანეთს წიგნებს ურჩევენ, ერთმანეთის ხელნაწერებს კითხულობენ... ერთი ხანობა კვირაში ერთხელ ვხვდებოდი რამდენიმე ჩემს კოლეგას ხელოვნების აკადემიიდან, რათა ამოცანები დაგვესახა და ერთგვარი წერითი თამაშები გაგვემართა. ამასობაში კი სწორედ ამ უნივერსიტეტში ასწავლიან უკვე საგანს "ენის ხელოვნება". თუმცა, დოცენტებისგან ვიცი, რომ ახალგაზრდები მხოლოდ თავიანთ ბრწყინვალებას განადიდებენ და სულაც არ აინტერესებთ, თუ რას აკეთებენ და რას წერენ სხვები. ჟურნალის დამაარსებელთა ენთუზიაზმი დიდი ხნის ჩავლილი საქმეა. უამრავი ნორჩი მოკალმე ბლოგერობს და ინტერნეტში მობზრიალეთა გუნდს ეკუთვნის. დიდად არ ვარ მათით დაკავებული, მაგრამ დიდი ნაწილი იმისა, რაც იქ გამოიფინება, ნაჩქარევად არის ჩაყრილი

და სწრაფი კვების ობიექტებში შემოთავაზებული პროდუქტია და არა – ნამდვილი კერძი. არც აქ არის იოლი ინიციატივის მოპოვება, რადგან ისინი, ვინც რაღაცას მიაღწია, ყურადღებას არ აქცევენ იმათ, ვისაც ჯერ არაფრისთვის მიუღწევია. ჩვენს ინტერესებს კი ავტორთა გაერთიანება, ავსტრიული ლიტერატურის საზოგადოება და გრაცის ავტორთა ერთობა იცავს.

ახლა, როცა ამ ინტერვიუს ვამზადებთ, შენ რუსეთში იმყოფები. რას საქმიანობ იქ, როგორც პოეტი და მთარგმნელი?

სწორედ გუშინ ვთარგმნე არსენიც ტარკოვსკის "Вот и лето прошло" და აღტაცებული ვკითხულობ ანდრეი ბელის ექსპერიმენტულ რომანს "პეტერბურგი", თუმცა, აქ რუსულის შესასწავლად ვარ ჩამოსული. ქალაქს ვათვალიერებ და დღიურს ვწერ, სხვას არაფერს ვაკეთებ. როცა ყური მოვკარი ინფორმაციას, რომ რუსულის მასწავლებლებისთვის ჰერცენის უნივერსიტეტში თავისუფალი ადგილები იყო ოთხკვირიანი კურსის გასავლელად, მაშინვე დავრეგისტრირდი, იმის მიუხედავად, რომ ისტორიას და გერმანულს ვასწავლი. ჩიკაგოში მცხოვრები რუსი პოეტი, ილია კულიკი, რომელიც დიდი ხნის წინ ვთარგმნე, ჩემთან ერთად გერმანიაში და ავსტრიაში ლეზუნგების სერიას გეგმავს, და არ მინდა ჩავფლავდე. სანკტ პეტერბურგი საოცარი ქალაქია, რუსები კი, მე რომ ვეცნობი, მეგობრული და დახმარებისთვის ყოველთვის მზადმყოფი ხალხია. ლიტერატურა, მუსიკა და მხატვრობა აქ ჯერაც დიდად დაფასებულია. თითქოს საბაბს ეძებენ, რომ ლექსი წარმოთქვან. თუმცა, რა გასაკვირია: მსოფლიო ლიტერატურის მნიშვნელოვანი ნაწილი ხომ პეტერბურგელების შექმნილია! მართლაც სასიამოვნოა იმ სახლების და მოედნების თვალიერება, რომელთა შესახებაც წამიკითხავს. რატომ ვთარგმნე ტარკოვსკის ლექსი? იმიტომ, რომ გუშინწინ ფილმ "სტალკერის" მიხედვით დადგმული სპექტაკლი ვნახე, რომელშიც "ზონის" "ვერგილიუსი" "პროფესორს" და "მწერალს" ლექსს უკითხავს; მალე ორივეს მობეზრდება და "ქუჩის შლაგერს" აუწევენ, რადიოში რომ ისმის: ცუდი მუსიკა – მაგრამ კარგი მაგალითი. ინტერნეტში გამიჭირდა ტექსტის მოძებნა, კუჩური სიმღერა კი იქ უხვად არის.

ვიცი, რომ შემოდგომაზე საქართველოშიც ჩამოხვალ.

დიახ, ოქტომბრის ბოლო კვირაში ერთი პროექტის ფარგლებში, რომლის სახელწოდებაც არის "Thonet-Stories", ხელოვნების უნივერსიტეტში "ვენური სავარძლის" დიზაინზე ვისაუბრებ და ვორკშოპიც მექნება თემაზე "კაფეების ლიტერატურა". ჩემს ტექსტებსაც წავიკითხავ. იმედია, მსმენელი მეყოლება...

თბილისი-პეტერბურგი
ივლისი, 2016

ჰელმუთ ა. ნიდერლე

"ირონია და ჰარმონია ერთი მედლის ორი მხარეა"

როდის აღმოაჩინე, რომ არა მხოლოდ წერა, არამედ შენს მიერ დაწერილის გამოქვეყნებაც გსურდა?

ბავშვობაში, სკოლაში შესვლამდე ბევრად ადრე, წარმოსახვითი ანბანი მოვიფიქრე, მერე კი, როცა წერაც შემეძლო და კითხვაც, ყოველთვის ვწერდი: ეს იყო ბავშვური ისტორიები და სასიმღერო ტექსტები. გამოქვეყნებაზე თავიდან სულაც არ ვფიქრობდი. გიმნაზიაში ჩემი სწავლის მიწურულს ერთი საოცარი გერმანისტი და მაღალი კლასების პროფესორი – ჰერმან მაიერი – გავიცანი. ის ლეგენდად ქცეული ჟურნალის, "ახალი გზების" თანამშრომელი იყო და ჩემი ტექსტები გამოაქვეყნა. ზოგი მათგანი, როგორც უმწიფარი, უკან დამიბრუნა. ასე აღმოვჩნდი მოულოდნელად იმ ავტორთა შორის, რომელთაც უკვე ვიცნობდი და ვაფასებდი. ესენი იყვნენ, მაგალითად, ანდრეას ოკოპენკო და ერნსტ იანდლი. მე-20 საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისისთვის რაინჰარდ ფედერმანმა გამოაცხადა, რომ ის ახალ ლიტერატურულ ჟურნალს გეგმავდა, სახელად Die Pestsäule ("შავი ჭირის კოლონა"). ზოგიერთი ჩემი ნამუშევარი გავუგზავნე და მათ შორის რამდენიმე გამოქვეყნდა. მერე კონტაქტი გაღრმავდა. ფედერმანმა, ავსტრიის პენ-ის გენერალურმა მდივანმა, კლუბში ჩემი ტექსტების წასაკითხად მიმიწვია. იმ ავტორტა წინაშე მომიწია კითხვა, რომლებიც ლიტერატურის მეტრებად მიმაჩნდა: მილო დორი, ერნსტ შიონვიზე. ვიდრე გონს მოვიდოდი, დაიბეჭდა კიდეც ეს ტექსტები. მაშინ იყო, შიონვიზემ მისთვის ჩვეული, განმაიარაღებელი მეგობრულობით რადიოში რომ მიმიწვია და რადიოსთვის წერა დავიწყე.

მას მერე ორმოცი წელი გავიდა. ალბათ, ხშირად გიფიქრია, თუ რა განასხვავებს ერთმანეთისგან წერისკენ სწრაფვას და მოკალმის სწრაფვას – თავისი ადგილი მოიპოვოს ამა თუ იმ ლიტერატურულ კონტექსტში.

როცა ბავშვობაში წერით და ხატვით ჩემი თავის გამოხატვა დავიწყე, სწორედ ის განვიცადე, რაც, ჩემი აზრით, ყველა ადამიანისთვის მშობლიურია: საკუთარი აზრების გადმოცემის უნარი, რაც სულში მიმდინარე მოვლენებს ირეკლავს. როცა ბავშვებს ვაკვირდებით, ვხედავთ, რომ ისინი, როგორც წესი, სიტყვებით თამაშობენ, მუსიკის მოსმენისას ცეკვავენ, ხატავენ. ისინი ქაღალდს ისე იყენებენ, როგორც ზღვის სანაპიროს ქვიშიან სიბრტყეს. ჩემშიც ეს ლაღი შემოქმედებითობა (ნუ შეგვეშინდება ასეთი გამოთქმის) ბუდობდა. სწავლის წლებმა ამ ყველაფერს ფორმა უცვალა, მაგრამ ჩემში თამაშის მსურველი ბავშვი გადარჩა. ლიტერატურასთან (და არა მარტო ლიტერატურასთან) კონფრონტაციამ შემაცნობინა, რომ, მართალია, წერა პიროვნების შინაგან ქურაში მიმდინარეობს, მაგრამ ის, რაც ქურაში უნდა გამოიწრთოს, გარედან მიღებული შთაბეჭდილებებია. რასაც ადამიანი ხედავს, ყველაფერი ხომ არ იყრის ხოლმე თავს ამ ქურაში. მაგრამ რაც იქ აღმოჩნდება, გადამუშავებასაც განიცდის. გადამუშავების პროცესი კი თვითნებურად კი არა, გარკვეული ესთეტიკური კონცეპციის შესატყვისად ხდება, რომელიც ეგოს ტვირთის წიდას იშორებს. დაბოლოს: არსებობს განსხვავება პირადულ ჩანაწერებსა (რათა რაღაც არ დაიკარგოს) და იმას შორის, რაც წიგნის ყდაში უნდა მოექცეს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაზა, როცა ტექსტი უნდა დადგეს და დაღვინდეს. მხოლოდ მას მერე, როცა ეს ფაზა განვლილია, ნაწერი გადახედვას ექვემდებარება და შედეგი ხელახალ გამოცდას უძლებს, ტექსტი გამოსაქვეყნებლად მზად არის. ნამდვილად სანდო მეგობრებიც მნიშვნელოვანია, რომლებთან ერთადაც შესაძლებელია ტექსტებზე მსჯელობა და რომლებიც "შეცდომებზე" და "ნაკლოვანებებზე" მიგითითებენ.

შენი ლიტერატურული ჩამოყალიბება ავსტრიულ ლიტერატურაში უმნიშვნელოვანეს მოვლენებს დაემთხვა. ავსტრიული ავანგარდის "მამებს" უკვე მთელ ევროპაში ჰქონდათ სახელი განთქმული. ერნსტ იანდლი და ანდრეას ოკოპენკო ახსენე, როგორც შენგან დაფასებული ავტორები. ავანგარდი ხომ საშენ მასალად სწორედ იმ "შეცდომებს" და "ნაკლოვანებებს" იყენებს, რომლებსაც შენი პოეტიკა გვერდს უვ-

ლის. ცხოვრების დისჰარმონიაზეც არც თუ იშვიათად წერ მწარე ირონიით, მაგრამ მაინც – ჰარმონიულად (განსაკუთრებით პროზაში). ჩანს, შენი ენისთვის ესთეტიკა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე – ანტიესთეტიკა.

მართალია, აღმაფრთოვანებდა ის, თუ როგორ წერდნენ ერნსტ იანდლი და ანდრეას ოკოპენკო, მაგრამ ძალიან ადრე ავირჩიე სხვა გზა. მე მათზე მეტად აღმაფრთოვანებდა ჰერმან იანდლი, რომელსაც მახვილი ენით და ენობრივი თამაშებით საზოგადოებრივი ურთიერთობების მკაფიოდ აღწერა შეეძლო. ლიტერატურაში ექსპერიმენტებს ხშირად აღვიქვამდი ერთი და იგივე ნიმუშის გამეორებად და ამიტომ მოსაწყენად მიმაჩნდა. ჩემი მისაბაძი მაგალითები, პირველ რიგში პროზაში, ისეთი ავტორები იყვნენ, როგორებიც ნიკოს კაზანძაკისი და იანიშირო ტანიძაკი არიან, თუმცა ასევე – ალბერტო მონტეროსო, სომერსეტ მოემი და ჯეიმს თიორბერი. მათ პროზაში განსაკუთრებული ძალმოსილებით და დახვეწილი სიმძაფრით იყო ასახული სამყარო, პერსონაჟებს შორის ურთიერთობები – დეტალურად დამუშავებული და მკაფიოდ ფორმულირებული. ძალიან ადრე დავინტერესდი პოსტკოლონიური ლიტერატურით და მივაგენი განწყობილებებს და ხატებს, რომლებმაც მრავალფეროვნებაში გამარკვია. აღმოვაჩინე, რომ სამყარო უფრო დიდი უნდა ყოფილიყო, ვიდრე – ერთი-ორი დანაწევრებულ-დახლეჩილი სიტყვა. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ექსპერიმენტულ ლიტერატურას არ ვკითხულობ. როგორც ჩანს, ჩემს ტექსტებში ეს გამოცდილება კოდირებული სახით უფრო ილექება. ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო და ასეთადვე რჩება შემდეგი: ნებისმიერი თემა შესატყვის ლიტერატურულ ფორმას მოითხოვს. ირონია და ჰარმონია ერთი მედლის ორი მხარეა.

შენ პროფესიონალი ეთნოლოგი ხარ და აფრიკულ და აზიურ კულტურებს იკვლევ. იმ უდიდესმა გამოცდილებამ, რომელიც სხვადასხვა კულტურასთან მრავალწლიან დიალოგში შეიძინე, შენი ლიტერატურული ჰორიზონტი ერთი მხრივ გაამდიდრა, მაგრამ მეორე მხრივ ამან შენგან ზღვა დრო და ენერგია მოითხოვა.

იმ კულტურებთან ურთიერთობას, რომლებსაც, როგორც წესი, უცხო კულტურებს უწოდებენ, უდავოდ ჩემს ბავშვობაში აქვს ფესვები გადგმული. ავსტრიაში 1955 წლამდე სხვადასხვა ქვეყნის ჯარისკაცები იყვნენ განთავსებული. ისინი არა მხოლოდ უცხო ენებზე მეტყველებდნენ, არამედ კანის ფერიც უცხო ჰქონდათ. ჩემს ბაღის მეგობრებში სამი გოგონა ერია, რომელთა მამებიც აფროამერიკელები იყვნენ. ჩემს ოჯახურ წრეშიც იყვნენ ნათესავები, რომლებიც სხვა ქვეყნებში ცხოვრობდნენ, მათ შორის – ტრანსატლანტიკურ ქვეყნებში. ამიტომაც არ ქცეულა ჩემთვის დიდი ფიქრის საგნად, კულტურული და სოციალური ანთროპოლოგიის შესწავლას რომ შევდგომოდი. სტუდენტობის წლებშივე ვკითხულობდი არაევროპელ მწერლებს. ლათინურამერიკული ლიტერატურით მოდური გატაცების პირველი ტალღის პარალელურად აფრიკულ და აზიურ ლიტერატურასაც ვკითხულობდი. არა მარტო ეგრეთ წოდებულ "კლასიკურ" ტექსტებს ვკითხულობდი, არამედ – თანადროულ ავტორებსაც. ამ ლიტერატურებში მივაგენი ყოვლისმომცველობას, რომელიც ისეთ დეტალებში მახედებდა, ვერცერთ მედიაში (რადიოში, ტელევიზიაში, გაზეთებში) რომ ვერ მივაგნებდი. მრავალწლიანი კითხვის და თარგმნის მერე არა მარტო სარკეს ვხედავ (უცხო ხომ საკუთარსაც ხილვადს ხდის), არამედ – მსოფლიოს მასშტაბით მრავალფეროვანი დიალოგის მოთხოვნილებას, რაც, სულ მცირე, იმას იწვევს, რომ ურთიერთგაგება ჩნდება. ამის გარდა, ლიტერატურაში ის ასიმეტრია აისახება, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა და რომელსაც ლტოლვილობის პრობლემაც განეკუთვნება.

არა მგონია, აზიურ კულტურებთან შენი ურთიერთობა, რომელიც დღემდე გრძელდება, დასავლეთის მწერლებისთვის ტიპობრივ გამოცდილებათა რიგიდან იყოს. ეს ქვეყნები შენთვის არ წარმოადგენენ მსოფლიოს ეგზოტიკურ ადგილებს, რომლებიც, როგორც მწერალს, პირდაპირ თუ ირიბად, ლიტერატურული საქმისთვის გამოგადგებოდა.

აზიურ კულტურებთან შეხვედრამ მაჩვენა, რომ შესაძლებელია ადამიანის, რელიგიის, სულიერების სრულიად სხვა კონცეპციე-

ბი. ევროპაში ყველაზე ხშირად იმ ვარაუდიდან ამოდიან, რომ ადამიანი სუფთა დაფაა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ განვითარების პროცესი სრულიად თავისუფალია და ყველაფერი, რაც ადამიანს მერე და მერე ხელეწიფება, შესწავლას უნდა დაექვემდებაროს. ინდოეთში კი ძირითადად ინკარნაციიდან ამოდიან. ეს ნიშნავს, რომ მშობლებმა, ძირითადად დედებმა, უნდა გამოიძიონ, თუ ვინ დაუბრუნდა ამ სამყაროს. განურჩევლად იმისა, სჯერათ თუ არა ხელახლა დაბადების, ბავშვის განვითარებისთვის გადამწყვეტია, რომ უფროსი ადამიანი მას ამას განუმარტავდეს. ამიტომ, ასეთი მუშაობა ბავშვის სოციალიზაციის პროცესის ძვირფასი ნაწილია. ვინც იმ წინაპირობიდან ამოდის, რომ მილიონობით ღმერთი არსებობს, რომელთაგან უმცირესი თუ ინტერესდება ადამიანებით, მას თვალწინ სულ სხვა სულიერი სივრცეები გადაეშლება. ადამიანს შეუძლია, ნებისმიერ ღმერთს მიმართოს. განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ამ სივრცეებში ადამიანებს მაშინაც შეუძლიათ სრულყოფილებას მიაღწიონ, როცა იმ წინაპირობიდან ამოდიან, რომ ღმერთი არ არსებობს. ეს მრავალფეროვნება არა მხოლოდ ქრისტიანობისთვის, არამედ თითქმის ყველა მონოთეისტური რელიგიისთვის უცხოა. წინასწარმეტყველი, რომელიც ამტკიცებს, რომ ის გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლეა, სრულ ტოტალობაზე აცხადებს პრეტენზიას. ინდოეთში კულტურებისთვის ასეთი აზრები სრულიად უცხოა. იქ ეს სულიერი ჰორიზონტი შემეცნების საკუთარი გზის ძიების გამოწვევად გაიგება. იქ არ არსებობს დოგმა, რომლითაც მავანს პატრიარქი ან პაპი დაამძიმებდა. ვიცი, რომ იაპონიაზე ან ჩინეთზე, ასევე სხვა კულტურებზე, შეიძლება ითქვას, რომ საქმე ეხება ცოდნას, რომელსაც, ინდოეთის მსგავსად, ფესვები ისტორიაში ღრმად აქვს გადგმული და კანონის ძალას ფლობს.

ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ მყარი სტრუქტურები, რომლებიც ადამიანს, სულ მცირე, აღზრდის და ენობრივი გარემოს გავლენით უყალიბდება, მას მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე უცხო სამყაროებთან კონფრონტაციაშიც ამყოფებენ და მის მიერ ამ უცხო სამყაროებთან კავშირების ძიებასაც უზრუნველყოფენ, რათა ადამიანმა საკუთარი კულტურული კუნძული დაიცვას. შენ თუ გაქვს ასეთი კუნძული?

ერთი მხრივ, ყველა ადამიანმა ისე უნდა გაიდგას საკუთარ საზოგადოებაში ფესვები, რომ ის ამ საზოგადოებას შეუთავსდეს და მასში ცხოვრება შეძლოს. მეორე მხრივ კი ამავე საზოგადოებაში ისე უნდა იყოს ფესვგადგმული, რომ ყოველთვის რჩებოდეს სივრცე დისტანციისთვის. ეს დისტანცია იმ საჭირო მანძილის შესაძლებლობას უზრუნველყოფს, რომელიც ურთიერთობების კრიტიკულად დანახვისთვისაა საჭირო. ვისაც კრიტიკული ხედვა არა აქვს, იმას ადევნებულ-აკიდებულად გადაქცევის საშიშროება ემუქრება, ძალაუფლების და ძალაუფლების აღმასრულებელთა ხელში ბრმა იარაღად გადაქცევის საშიშროება. არ ვიცი, მაქვს თუ არა უფლება, ჩემს კულტურულ კუნძულს საკუთარი ვუწოდო, მაგრამ ვიმედოვნებ, ისეთი ნატიფად აწყობილი ინსტრუმენტების ნაკრები კი მოვიპოვე, ქმედება და უკუქმედება რომ შეუძლია, სათუთი რხევებს რომ აღიქვამს და ძლიერი რხევები რომ ვერ მოშლის. ინსტრუმენტების ეს ნაკრები თავს არ მალავს არც ყოველდღიურ ცხოვრებაში და არც ლიტერატურაში. ლიტერატურა წიგნის გვერდებიდან ისე ამოიზრდება, რომ ავტობიოგრაფიად არ გადაიქცეს. შესაძლოა, ეს ლივლივი თუ ქანქარი ჩემი კულტურული კუნძულია. მოკლედ: მე მას აღვიქვამ არა როგორც კუნძულს, არამედ – როგორც ფრენას, რომელიც კვლავ და კვლავ სძლევს დედამიწის სიმძიმეს და მოულოდნელი სილამაზის გაელვებებით გამოწვეულ სიხარულს მანიჭებს.

ვითარება აღმოსავლეთში, რომელსაც მთელი მშვიდობიანი და გონიერი მსოფლიო განგაშით და ძრწოლით ადევნებს თვალს, რაღაც სრულიად ახლის მატარებელია თავის თავში, რაღაც ტოტალურად სისტემურის, ტოტალურად არაადამიანურის. მაინტერესებს ამ პროცესთან დაკავშირებით შენი ანუ იმ ადამიანის აზრი, რომლისთვისაც უმაღლესი ევროპული ღირებულებები ბევრად უფრო ძვირფასია, ვიდრე – ნებისმიერი ძალაუფლების პოლიტიკური თამაშები.

არა მარტო აღმოსავლეთში შექმნილი ვითარებაა საგანგაშო! უამრავი ისეთი პოლიტიკოსია, ძალაუფლების ჟინს და ფანტაზიებს რომ არის აყოლილი. რა თქმა უნდა, განგაშის მიზეზს იძ-

ლევა კრემლში მჯდომი ავტოკრატი. ზიზღისმომგვრელია, თუ როგორ ითელება ადამიანთა უფლებები მისივე ქვეყანაში და როგორ თანაუდგას ის სირიაში სისხლიან მბრძანებელს. მაგრამ ვინმეს თუ სჯერა, რომ მეამბოხეები სირიაში ჰუმანურობის წარმომადგენლები არიან? ქცევის ის ფორმები, რომლებსაც კრემლის ბატონი უკრაინაში იყენებს, ომის მძიმე საშიშროებას გამოკვეთს. მაგრამ ეგრეთ წოდებულმა დასავლეთმა თუ იღონა რამე კრემლით გამოწვეული ძრწოლის შესამცირებლად? განა ნატომ არ გაშალა აღმოსავლეთში ფრთები იმგვარად, რომ რუსეთში ნებისმიერი სამხედროსთვის ძილი დაეფრთხო? როგორც მწერალს, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება იმ სამყაროში გაატარა, რომელმაც უფლება მოითხოვა, სხვებისთვის მორალი ეკარნახა, იმის მეტი არაფერი შემიძლია, რომ ჩემი უკმაყოფილება გამოვთქვა. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი, რომელსაც შეუძლია დაუფიქრებლად წამოიძახოს "Grab her by the Pussy" და ატომური იარაღის პირველგამოყენებასაც არ გამორიცხავს, ისევე მაშფოთებს, როგორც ბევრი ის ევროპელი პოლიტიკოსი, რომელიც შორს არის იმისგან, რასაც ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ თავდაჭერილობას და ღირსებას უწოდებდნენ. და ასეთ საშიშ ვითარებაში ხელოვნების და, შესაბამისად, ლიტერატურის ამოცანაა, ოცნება არ დააძინოს. ვგულისხმობ ოცნებას სხვა მსოფლიოზე, რომელიც შეიძლება არსებულიდან განვითარდეს. ეს რთულია, მაგრამ როცა ოცნებას თმობენ, უსახურები იმარჯვებენ.

როცა შენს საგამომცემლო საქმიანობას და საზოგადოებრივ აქტივობას ვაკვირდები, მიკვირს, დროს როგორ პოულობ შენივე ლიტერატურული პროექტებისთვის. ახლა რაზე მუშაობ?

იმ ბედნიერთა მსგავსად, ღრმად კონცენტრირებაც რომ შეუძლიათ და – დროის განაწილებაც, ვახერხებ ყოველდღე წერას. სწორედ ახლახან დავასრულე ლექსების წიგნზე მუშაობა, რომელსაც "ამაოების სამშენებლო მოედანი" ჰქვია. მასში იმ შეხედულებას ვავითარებ, რომ რაღაც ბოლოვადის გააზრება და აღმართვა ერთობ მაცდუნებელია. არადა, წარმავალში, რომელიც რაღაც სხვა ისეთის საფუძველი ხდება, თავის მხრივ წარ-

მავლის საფუძვლად რომ იქცევა, არის რაღაც ადამიანური. ეს ახალი წიგნი წარმავალს იცავს, რადგან მასში მალულად წარუვალია დავანებული.

თბილისი-ვენა
მარტი, 2018

მანფრედ ჯოპოტი

"საზღვრების აზომვა იმ მიზნით, რომ მათი გადალახვა შევძლოთ..."

ძვირფასო მანფრედ, 70-იან წლებში, როცა შენი ლექსები და პროზაული ნაწარმოებები პირველად გამოაქვეყნე, უკვე არა მხოლოდ გერმანულენოვან სივრცეში, არამედ მთელ ევროპაში მნიშვნელოვან მოვლენად იყო აღიარებული ავსტრიული ნეოავანგარდის ფენომენი (გერჰარდ რიუმი, კონრად ბაიერი, ფრიდრიხ ახლაიტნერი, ოსვალდ ვინერი, ელფრიდე გერშტლი, ერნსტ იანდლი, ფრიდერიკე მაირიოკერი...). რას ნიშნავდა შენთვის, როგორც ახალბედა ავსტრიელი ავტორისთვის, ეს საყრდენი, ერთდროულად როგორც გამართლება და ტვირთი?

ჩემი ახალგაზრდობის წლებში "ვენის ჯგუფს" ჩემთვის მართლაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, პირველ რიგში ამას ვიტყოდი ჰ. კ. არტმანზე, მის დიალექტურ ლექსებზე და მის ენობრივ თამაშებზე, რამაც ენის შესაძლებლობებში ჩამახედა (მაგალითად, "მე ძვირფასი მუმია ვარ, ეგვიპტიდან წამოსული"); ასევე – კონრად ბაიერის და გერჰარდ რიუმის ერთობლივი ტექსტები (რიუმმა როვოლტის გამომცემლობაში ვენის ჯგუფის ანთოლოგია გამოსცა). იგივეს ვიტყოდი ბაიერის პროზაზე, მაგალითად, "მეექვსე გრძნობაზე". ოსვალდ ვინერის "ცენტრალური ევროპის გაუმჯობესებამ" ნაკლებად დამაინტერესა, მიუხედავად იმისა, რომ ეს "რომანი" წავიკითხე. ერნსტ იანდლს და ელფრიდე გერშტლს დიდად ვაფასებ, განსაკუთრებით იანდლის მიერ გახსნილ ენის შესაძლებლობებს, და ასევე მიმაჩნია, რომ ის საკუთარი თავის გაუმეორებლობის დიდოსტატი იყო, მისი ყოველი ახალი წიგნი ახალი მეთოდით იწერებოდა. მას შეეძლო ერთდროულად გარდასახულიყო კიდეც და არც თავისი "ხელწერა" დაეკარგა, თავისი თავის ერთგული დარჩენილიყო. არტმანზეც იგივე ითქმის. გერჰარდ რიუმმა, ჩემი აზრით, ექსპერიმენტები არ განავითარა, ერთ წრეზე ტრიალებ-

და, მე მასთან "განვითარებას" ვერ ვხედავ. მაირიოკერი ჩემთვის ზედმეტად "ჰერმეტული" იყო, ის სრულიად საპირისპირო იყო იმისა, რასაც მე ლექსისგან მოველი: გასაგებობას. ჩემი აზრით, ლექსი "სუდოკუ" არ უნდა იყოს, მე არ მიყვარს მარჩიელობა, რას უნდა ნიშნავდეს რაღაც და რა გამონათქვამი თუ მნიშვნელობა შეიძლება იმალებოდეს მის უკან. ასე რომ, იანდლის და არტმანის იუმორი ჩემთვის განუზომლად უფრო ახლობელი იყო. 70-იან წლებში ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყვნენ "ბიტ პოეტები", მათი ენისა და მათი თემების რადიკალობა, არავითარი ტაბუ, არც სექსუალური და არც პოლიტიკური. პირიქით, ტაბუს მტრები იყვნენ ალენ გინზბერგი, მაიკლ მაკლური (სწორედ იგია ჯოპლინის "მერცედეს ბენცის" ტექსტის ავტორი), ლორენს ფერლინგეტი, ჯეკ კერუაკი, ანე ვალდმანი (მე ის პირადად გავიცანი 2016 წელს ბრატისლავაში, პოეზიის ფესტივალზე). სან ფრანცისკოს სცენის გვერდით, იგივეს ვიტყოდი ნიუ იორკის სცენაზე: პირველ რიგში, უნდა დავასახელო ტული კუპფერბერგი თავისი ჯგუფით "The Fugs", ეს "პანკამდე" ბევრად ადრე შექმნილი პირველი "პანკ ჯგუფი" იყო. გარდა ამისა, მაინტერესებდა ერთმანეთის გამომრიცხავი ორივე ისეთი პოეტი, როგორებიც ჩარლზ ოლსონი და რობერტ კრილი იყვნენ, პირველი თავისი გრძელი სტრიქონებით, როცა ყოველი სტრიქონი სუნთქვის ხანგრძლივობას შეესატყვისება, მეორე კი – თავისი მოკლე სტრიქონებით, რაც ჩემთვის უფრო ახლობელი იყო. და არც ბიტ პოეტების "მამად" შერაცხილი უილიამ კარლოს უილიამსი უნდა გამოვტოვოთ.

ანუ ყველაფერი, რაც, ერთი მხრივ, თავისუფლების მუსიკასთან იყო დაკავშირებული და რამაც ხელოვნების სამყარო არსებითად შეცვალა, მეორე მხრივ კი – მეოცე საუკუნის პირველი მეოთხედის სული გააცოცხლა. ვენური მოდერნის პერიოდის ავსტრიული სახელოვნებო სცენა ხომ, პრაქტიკულად, ლიტერატურასა და ენის ფილოსოფიაში დღემდე ცოცხალი ყველა ტენდენციის არა მხოლოდ ეპიცენტრი, არამედ შემქმნელიც აღმოჩნდა.

ჩემი შემოქმედების სულ ადრეულ ფაზაში იმასაც კი ვფიქრობდი, რომ ლირიკას თუ მომავალი ჰქონდა, მხოლოდ – მუსიკასთან

ანუ სიმღერის ფორმასთან კავშირში, და რომ ის ლირას უნდა დაბრუნებოდა. ბიტ-პოეტები ხშირად გამოდიოდნენ მუსიკოსებთან ერთად და ზოგიერთი მუსიკოსი ბრწყინვალე ლირიკოსიც იყო, მაგალითად, ბობ დილანი (რომელმაც დამსახურებულად მიიღო ლიტერატურაში ნობელის პრემია), ჯონ ლენონი, ჯიმ მორისონი, ასევე პეტი სმითი, რომლის შემოქმედებაში ტექსტი და მუსიკა ერთმანეთისგან გაუმიჯნავ მთლიანობას ქმნიდნენ. ვფიქრობდი, რომ ამისთვის დიალექტი განსაკუთრებით შესატყვისი იყო და ადრეულ ლექსებსაც მხოლოდ დიალექტით ვწერდი. დიალექტი ხომ თვალსაჩინო ცნებების ისეთ არსენალს ფლობს, როგორიც ლიტერატურულ ენას ან საერთოდ არ მოეპოვება ან თუ მაინც მოეპოვება, მხოლოდ – შეზღუდული რაოდენობით. აქედან გამომდინარე, ლოგიკური იყო, რომ ინტენსიურად დავიწყე მუსიკოსებთან ერთად მუშაობა. იმ დროს სიმღერების ავტორებსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდათ პოეტურ ლიტერატურაში. ისინი ხშირად მიმართავდნენ პოლიტიკურ თემებს (მე ვფიქრობ, სიმღერების ავტორებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს იმაში, რომ ცვენტენდორფის ატომური ელექტროსადგურის ამოქმედების საკითხი სახალხო რეფერენდუმმა უარყოფითად გადაწყვიტა). ტექსტისა და მუსიკის გამთლიანების აზრით, რაღაც ამის მსგავსი მოვლენაა ის, რაც მოგვიანებით სლამ-პოეტების აქტივობამ გააცოცხლა, ისინი ხომ თავიანთ ტექსტებს "მღერიან" და "პერფორმირებენ". რაც შეეხება ვენურ მოდერნს, ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო ართურ შნიცლერი თავისი შინაგანი მონოლოგის "აღმოჩენითაც" და ფსიქოლოგიური ასპექტის წინა პლანზე წამოწევითაც; პეტერ ალტენბერგი, რომელიც თავის ტექსტებს "სიცოცხლის ექსტრაქტებს" უწოდებდა და ყოველდღიური ცხოვრების ერთი შეხედვით უმნიშვნელო ეპიზოდებს აშუქებდა; ანტონ ქუ, რომლის მარგინალიები პოლიტიკურ ასპექტებს სასაცილოდ და სატირულად ააქტიურებდნენ; მერე – ალფრედ პოლგარი და ეგონ ფრიდელი, რომლებიც კაბარეტისტებიც იყვნენ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის ზიგმუნდ ფროიდი, მისი სიზმრების განმარტება და სექსუალობაზე მისი ესსეები.

ახლაც მახსოვს ათზე მეტი წლის წინანდელი ჩემი ძლიერი შთაბეჭდილება, როცა შენი გრამფირფიტების კოლექცია მაჩ-

ვენე. შენ ხომ რეცენზიებსაც წერდი სხვადასხვა სამუსიკო ჟურნალისთვის.

ჰო, ოთხიდან ხუთიათასამდე გრამფირფიტა დამიგროვდა. რაკი ყოველთვის სიამოვნებით ვუსმენდი მუსიკას და მათი ფლობაც მსურდა, გამიჩნდა იდეა (მაშინ რადიოში ვმუშაობდი, ერთი ყოველდღიური ახალგაზრდული გადაცემის თავისუფალი თანამშრომელი ვიყავი), რომ გრამფირფიტების რეცენზირება კარგი შესაძლებლობა იქნებოდა, ფირფიტები სტუდიებისგან საჩუქრად მიმეღო. ვწერდი სხვადასხვა ჟურნალისთვის და ისეც ხდებოდა, რომ თვეში 30 ფირფიტაც კი მიმიღია ფირმებისგან. ცხადია, ყველას რეცენზირებას ვერ შევძლებდი. პანკ-ჯგუფები ჯერ კიდევ მომწონდა, მაგრამ რამაც მერე ბაზარი დაიპყრო – აღარ, ბასის გადამეტებული ბრახა-ბრუხი და გადაჭარბებული ელექტრონული ჟონგლიორობა. დისკო-მუსიკაც მოსაწყენი იყო. აღფრთოვანებული ვიყავი ეგრეთ წოდებული "ეთნომუსიკით", მაგრამ ჟურნალებს ეს არ აინტერესებდათ, ერთმა ჟურნალმა შემიკვეთა რეცენზია, მაგრამ აღარ დაბეჭდა. ათი წელი ვიყავი რეცენზირებით დაკავებული და მერე ამ საქმეს შევეშვი.

რაც შეეხება დიალექტურ ლექსს, რომლისთვისაც დღემდე არ გიღალატია და რომელიც შენი, როგორც ავსტრიელი ავტორის, იდენტობის მნიშვნელოვანი ნაწილია: როგორ ჰარმონიზებდნენ/ჰარმონიზებენ შენს სუბიექტურ გამოცდილებაში ვერბალურად და ლინგვისტურად ერთ გარკვეულ კულტურულ ადგილს მიმაგრებული ენობრივი თამაშები და შენი კულტურული ღიაობა? მეორე მხრივ, მე სწორედ ეს ტიპობრივად ავსტრიული კულტურული თვითშეგნება აღმაფრთოვანებს, რომელიც მიზანმიმართულად ქმნის ლიტერატურაში თავის ენობრივ კოსმოსს და რომლისთვისაც სულერთია, რომ ეს ტექსტები სხვა ენებზე თარგმნას არ ექვემდებარება.

უნდა შეგეკამათო: საყოველთაოდ გავრცელებული შეცდომაა, რომ სხვა ენებზე დიალექტური ლექსის თარგმნა შეუძლებელია. პირიქით, შესაძლებელია! ის ფაქტი, რომ სხვა ქვეყნებში დიალექტური ლიტერატურა არ არსებობს, სულაც არ ნიშნავს, რომ

ასეთი ლექსების თარგმნა შეუძლებელია. მაგალითად, ჩემმა სლოვაკმა მეგობარმა და კოლეგამ, მარიან ჰატალამ, ჩემი დიალექტური ლექსები თავის რეგიონულ დიალექტზე თარგმნა და წიგნადაც კი გამოსცა. ჩემმა სხვა კოლეგებმაც თარგმნეს დიალექტური ლექსები თავიანთ დიალექტებზე – კარინტიულზე და ფორარლბერგურზე (ეს ავსტრიული დიალექტია, რომელიც არ განეკუთვნება ბავარიულ (sic!) დიალექტთა ჯგუფს, განსხვავებით სხვა ავსტრიული, ბავარიული, ფრანკული თუ სამხრეთ-ტიროლური დიალექტებისგან, არამედ საერთო დიალექტურ ჯგუფს განეკუთვნება, როგორც შვაიცური დიალექტები). მე კი ერთი სამხრეთტიროლელი პოეტი ქალის ლექსები ლადინური ენიდან ვენურ დიალექტზე ვთარგმნე. ლადინური ენა რეტორომანული ენების ჯგუფს განეკუთვნება, ამ ენაზე შვაიცშიც ლაპარაკობენ. ურიგო არ იქნება იმის დაზუსტებაც, რომ ლადინური და რეტორომანული (ისევე, როგორც ესპანეთში კატალანური) ძველი ფორმებია, რომლებიც ლათინურიდან განვითარდა და შვაიცისა და სამხრეთ ტიროლის ხეობებშია შემონახული. ასე თუ ისე, ყველაფერი თარგმნადია, თუმცა, რა თქმა უნდა, ყოველთვის არის გარკვეული განსხვავებები სხვადასხვა ქვეყნისა და კულტურის მენტალიტეტსა და გარემოში. პოეზია (უმცირესობათა) ენებიდანაც ასევე ითარგმნება, ფინურიდან, ალბანურიდან თუ ბოშების აწინკნურიდან. დიახაც "ბოშები", რადგან ეს სიტყვა სალანძღავი სულაც არ მგონია. არც უნგრულია ფართოდ გავრცელებული ენა, უნგრელი ბოშები კი თავის თავს ბოშებს (*cigány*) უწოდებენ (არც იმის მომხრე ვარ, რომ გერმანულში სიტყვა "ზანგი", "Neger" აიკრძალა; გამოვიდა, რომ იმ აშშ-ის სინდისის ქენჯნა გავიზიარეთ, სადაც nigger სალანძღავი სიტყვაა; თუმცა ეს სხვა თემაა, რომელიც ერთგან გამოწვლილვით მაქვს გაანალიზებული). აი, კიდევ რა: ჩემი დიალექტური ლექსები მევე ვთარგმნე ლიტერატურულ გერმანულზე და ორივე ვერსია ერთ წიგნად გამოვეცი. ქართული ენის შესახებ არაფერი ვიცი და ამიტომაც მინდა გკითხო: საქართველოს სხვადასხვა რეგიონს შორის ენობრივი განსხვავებები არ არსებობს? როგორ უნდა დაადგინოს ამა თუ იმ მშობლიური ენის მატარებელმა, საიდან მომდინარეობს ეს ენა? კუნძულის ხორვატული განსხვავდება კონტინენტის ხორვატულისგან, ნეაპოლში და ვენეციაში სხვადასხვაგვარად ლაპარაკობენ, ესპანეთში და ლათ-

ინურ ამერიკაში – სხვადასხვაგვარად, ტექსასში და ნიუ იორკში – სხვადასხვაგვარად; გერმანიაშიც ასეთივე ლოკალური ენობრივი განსხვავებებია ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის, ქვემოგერმანულსა და ბერლინურ გერმანულს შორის, ავსტრიულ გერმანულსა და გერმანიის გერმანულს შორისაც ასეთივე განსხვავებებია, გამოთქმებში, სიტყვის მარაგში და ა. შ. თარგმნის დროს ერთადერთი სიძნელე ისაა, რომ მთარგმნელი შესაბამის დიალექტს უნდა ფლობდეს, მაგრამ ლიტერატურული თარგმანის შუამავლობით ამ ბარიერის გადალახვაც შესაძლებელია. დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი დიალექტური ლექსების თარგმნას უპრობლემოდ შეძლებ, თუ მე პწკარედს მოგაწვდი. აი, ერთი კომპაქტური მაგალითი:

so füü drekk im nest

a nestbeschmuzza
is ana dea auf de scheisse
zaagt de aundare ins nest
gschissn haum

ეს რამდენი ქაქია (სიბინძურეა) ბუდეში

ბუდის შემბილწველი
არის ის ვინც იმ ქაქზე
მიუთითებს (ყურადღებას ამახვილებს) რომელიც სხვებმა
დადეს (ბუდეში დააკოსეს, დატოვეს)

ზოგჯერ ჩემი დიალექტური ლექსები უხეშია, მაგრამ აუცილებელი არ არის, რომ დიალექტური ლექსი მაინც და მაინც ასეთი იყოს, ბევრი სრულიად "წესიერი" დიალექტური ლექსიც დამიწერია, მათ შორის სატრფიალო ან – სახალისო შინაარსის. აი, კიდევ ერთი მაგალითი:

entschuidigns

entschuidigns d schtearung

i kumm fom blindnfabaund
brauchns biaschtn oda besn?

fua da tia schteet
a oida maun mit an graun mauntl

brauchns ka biaschtn
fian buggl oda fias auto

i brauch niks naa
hob i gsogt naa daunkschee i hob ois

kaun ma niks mochn
niks fia unguat i hob nua gfrogt

ea hot gseifzt
d schuitan zukkt und is gaunga

Refrain

i brauch fü net
wos hob i ois wos i goa net brauch

fia wü fü scheiss
hob i scho göód aussegschmissn

soit dea oide
wida kumma kauf i eam wos o

mia san net blind
mia segn ois mia haum den duachblik

anschtott wos zkaufn
schreib i jezt a teppates gedicht

entschuidigns d schtearung

i kumm fom blindnfabaund
brauchns fileicht a brüün?

მაპატიეთ

მაპატიეთ რომ გაწუხებთ
უსინათლოთა გაერთიანებიდან ვარ
ჯაგრისი ან ცოცხი ხომ არ გჭირდებათ?

კარის წინ დგას
რუხპალტოიანი მოხუცი კაცი

ხომ არ გჭრდებათ ჯაგრისი
ზურგისთვის ან მანქანისთვის

მე არაფერი მჭირდება
ხომ ვთქვი არა გმადლობთ მე ყველაფერი მაქვს

რა გაეწყობა
საწყენად არ მითქვამს მხოლოდ ვიკითხე

მან ამოიოხრა
მხრები აიჩეჩა და წავიდა

რეფრენი

ბევრი რამ არ მჭირდება
რამდენი რამ არის რაც მე არ მჭირდება

რამდენ ქაქში (ნეხვში, ნაგავში)
მაქვს უკვე ფული გადაყრილი

თუ ეს მოხუცი
ისევ მოვა მისგან რამეს შევიძენ

ჩვენ არ ვართ ბრმები

ჩვენ ყველაფერს ვხედავთ ჩვენ განვჭვრეტთ

იმის ნაცვლად რომ რამე შევიძინო
მე ახლა იდიოტურ ლექსს ვწერ

მაპატიეთ რომ გაწუხებთ
უსინათლოთა გაერთიანებიდან ვარ
სათვალე ხომ არ გჭირდებათ?

ავსტრიულ ლიტერატურაში დიალექტურ ლექსს უკვე აქვს ტრადიცია, სულ მცირე 1958 წლიდან, როცა ჰ. კ. არტმანის "შავი მელნით" ("med ana schwoazzn dintn") გამოქვეყნდა. ცამდე მართალი ხარ, როცა ამის უკან კულტურულ თვითშეგნებას ხედავ, რადგან მე ჩემს თავს ავსტრიელ მწერლად, გერმანულენოვან ავსტრიელად მოვიაზრებ. დუდენის ლექსიკონში კაცი ამოიკითხავს, ავსტრიული გერმანული გერმანული გერმანულის ვარიანტიაო. ამ თვალსაზრისს ვერ გავიზიარებ, რადგან შეიძლება პირიქითაც იყოს, ანუ შეიძლება გერმანული გერმანული ავსტრიული გერმანულის ვარიანტი იყოს. ამიტომაც ვსარგებლობ არა დუდენით, არამედ – ავსტრიული ლექსიკონით. დიალექტი ჩემი იდენტობის ნაწილია. მოხდა, რომ ერთთვიანი სტიპენდიით პარიზში ვცხოვრობდი. არადა, ფრანგული არ ვიცი. მთელი ერთი თვე დიალექტურ ლექსებს ვწერდი.

ჩვენ, ქართველებს, ოცზე მეტი ცოცხალი დიალექტი გაგვაჩნია საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. გარდა ამისა, მრავალი დიალექტი (რაც ყველა ერისთვის ბუნებრივი მოვლენაა) ჩვენი ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში გაქრა. სრულიად გეთანხმები იმაში, რომ ყველაფერი თარგმნადია. ბევრი ჩემი ექსპერიმენტი ეფუძნება ამ მორალს. პოეტურადაც და დინამიკურადაც სწორედ მსგავსი თარგმანებით მდიდრდება ენები (მათ შორის, სოციალური ენებიც). ჩემი აზრით, ჩვენს პოზიციებს შორის განსხვავება მხოლოდ შემდეგია: მე არ ვარ იმის მომხრე, რომ სხვა ენაზე დიალექტური ლექსის ტრანსფორმაციას თარგმანი ეწოდოს. დიალექტური ლექსი, ტიროლელი გლეხი წერს მას თუ – ვენელი ლიტერატურული

პოეტი, პოეტური ტოტალობაა, რომელიც მტკიცედ არის მარკირებული ექსტრემალური ენობრივ-მუსიკალური, სოციოლექტური და ეთნოგრაფიული ნიშნებით. ცხადია, წარმატებით შეიძლება ასეთი ლექსის სემანტიკური მხარის "გამოთავისუფლება" და პწკარედული თარგმანის მომზადება (სწორედ ასე იქმნება აკადემიური, კომენტირებული პწკარედული თარგმანები), მაგრამ დიალექტური ლექსის იშვიათი და – იმავდროულად – ექსტრემალური არსებობა ხომ სწორედ მისი ფორმაა ანუ – მისი სახე, მისი ეროტიკა, რომელიც განშიფრვას არ ექვემდებარება. მე ვფიქრობ, რომ ჰ. კ. არტმანმა, როგორც ავანგარდისტმა პოეტმა, დიალექტური ლექსის სწორედ ეს ასპექტი აღმოაჩინა, ანუ – დიალექტური ლექსი, როგორც წმინდა ფორმა, ექსტრემალური ავტონომია, როგორც ულამაზესი პროვოკაცია ტექნიკური საუკუნის საპირისპიროდ... ჩემი მთავარი მიზნიდან, შენი ინტერვიუირებიდან, რომ არ გადავუხვიო, მოდი, ჩვენი პოზიციები დავაფიქსიროთ და საუბარი განვაგრძოთ შენი ესთეტიკის სხვა მნიშვნელოვან ასპექტებზე (თუმცა აქვე ჩემს აღტაცებას იწვევს ის ფაქტი, რომ სწორედ შენი თანადგომის წყალობით არ ვკარგავ იმედს – "მე-20 საუკუნის ავსტრიული ლირიკის" მრავალტომეულის ერთი ტომი ავსტრიული დიალექტური პოეზიის თარგმანებს დავუთმო). შენ არ განეკუთვნები ავტორებს, რომლებიც კაბინეტურ სალიტერატურო ცხოვრებას ეწევიან და თავიანთი სოციალური პოზიციის წერილობითი მანიფესტაციებით იფარგლებიან. მეორეს მხრივ, ვერც ანგაჟირებულ ავტორს გიწოდებ. თავად როგორ დაახასიათებდი შენს სოციალურ ესთეტიკას, რომელიც მოიცავს საგამომცემლო საქმიანობას (მაგალითად, სერია "ლირიკა ავსტრიიდან", რომლის 50 ტომი გამოეცი, ასევე პროექტი "გენიოსი და პროჭი"), ლიტერატურის პოლიტიკას, მხატვრულ ფოტოგრაფიას და ბევრ სხვა ხილულ თუ უხილავ სოციალურ ლანდშაფტს?

უკვე იქითკენ ვიხრები, რომ შეიძლება ანგაჟირებული ავტორი მერქვას. ადრე, 68-იანელთა მოძრაობის ოპტიმიზმით ინსპირირებულს, იმის ილუზიაც კი მქონდა, რომ ლიტერატურას მსოფლიოს შეცვლა ანუ ზოგიერთი გარემოებისა და განუკითხაობ-

ის აღკვეთა შეუძლია. დროთა განმავლობაში იმ დასკვნამდე მივედი, რომ ეს, სამწუხაროდ, შეუძლებელია. "ანგაჟირებულში" იმას ვგულისხმობ, რომ (საზოგადოებრივ-)პოლიტიკური საკითხები ყოველთვის მაღელვებდა და მაღელვებს, ვინაიდან არ მინდა, რომ ჩემმა – ან სხვათა – შვილიშვილებმა ერთხელაც ისე მისაყვედურონ, როგორც ომის თაობის შვილებმა, ანუ 68-იანელებმა, თავიანთ მშობლებს უსაყვედურეს: რომ ისინი ნაცისტების დროს გატყდნენ, დადუმდნენ, განზე ყურება დაიწყეს. ამიტომაც ვარ საავტორო ინტერესთა გაერთიანების გამგეობის წევრი. ეს პროფესიონალ მწერალთა გაერთიანებაა, რომელიც ყოველთვის ხმას იმაღლებს როგორც აქტუალურ პოლიტიკურ საკითხებზე, ასევე – ავტორიტარულ რეჟიმებში ავტორთა და ჟურნალისტთა დაპატიმრების, წამების, საპყრობილეში მათი გამომწყვდევის წინააღმდეგ; ან, თუნდაც – რადიოს, ტელევიზიის და თეატრის უნიფიკაციის წინააღმდეგ, ანუ იმის წინააღმდეგ, რაც დღეს უნგრეთსა და თურქეთში ხდება. როგორც სერიის "ლირიკა ავსტრიიდან" გამომცემელი (ეს გამოცემა მას მერე განვაგრძე, როცა ალიოს ფოგელს უკვე 50 წიგნი ჰქონდა გამოცემული და 70 წლის ასაკში გადადგა), ყოველთვის იმას ვცდილობდი, რომ თანამედროვე ლირიკის რაც შეიძლება ფართო ტერიტორია მომეცვა. არც ჩემი ესთეტიკისთვის უცხო ხელნაწერები გამიწევია განზე, თუ ისინი საინტერესო და კარგ პოეზიად მიმაჩნდა. გარდა ამისა, ვცადე, ახალგაზრდებისა და ხანდაზმულების ერთგვარი მთლიანობა შემექმნა. ზოგიერთი პოეტი, რომელსაც ამ სერიაში გამოცემას ვთავაზობდი, უარს ამბობდა, რაკი სხვა გამომცემლობების წინაშე იყო ვალდებული, ზოგიც მთანხმდებოდა. რაც შეეხება "გენიოსს და პროჭს", ამ წიგნის გამოცემის იდეა მას მერე გაჩნდა, როცა ზოგიერთი ხელოვანისა თუ მწერლის ბიოგრაფიის გაცნობისას გულში ვამბობდი: "შენ როგორც ამ სიტუაციაში მოიქეცი, პროჭი ხარ და მეტიც არაფერი". ჰოდა, რაკი სათაურიც ჰაერში ტრიალებდა, მოვიწვიე კოლეგები და შევთავაზე, ხომ არ ექნებოდათ სურვილი, ამა თუ იმ ავტორზე თემის შესატყვისი სტატია დაეწერათ. ცხადია, ვაცნობიერებდი, რომ "პროჭი" პროვოკაცია იყო, და ასეც უნდა ყოფილიყო. ჩემთან პირდაპირ ინტერვიუში ბერლინ-ბრანდენბურგის რადიოს მოდერატორი ამ სიტყვას საოცარი ტკბობით

წარმოთქვამდა. ინტერვიუ რომ დასრულდა, ვუთხარი, დარწმუნებული ვარ, ამ სიტყვას კიდევ ბევრჯერ გაიმეორებდით მეთქი. მომიგო, რა თქმა უნდა, ასეა, აბა, სხვა დროს რომ ვთქვა ეთერში ეს სიტყვა, სამსახურიდან მომისვრიანო. მივუგე, აი, ხომ ხედავთ, ამიტომაც ჰქვია ამ წიგნს ის, რაც ჰქვია მეთქი. სხვათაშორის, ამასობაში უკვე ამ წიგნის ხელახალი გამოცემის დროც დადგა. მეც ხშირად ვექსპერიმენტირებდი, ფორმალურადაც და შინაარსობრივადაც, ოღონდ ისე არა, როგორც ამას არაერთი "პროფესიონალი ავანგარდისტი" სჩადის, ძველ ღვინოს რომ ახლად ასაღებენ და თავი ისე მოაქვთ, თითქოს კონკრეტული პოეზია ან დადაიზმი ან გუშინდელი მოვლენა იყოს ან – მათ მიერვე მოგონილი. ვენური ჯგუფის ეს ეპიგონები მერე ჩაგვძახიან, ნაკლებად ექსპერიმენტულები და ზედმეტად ნარატიულები ხართო! დიდი სიამოვნებით ვკითხულობდი კურტ შვიტტერსსაც, ავგუსტ შტამსაც და ექსპრესიონისტებსაც, მათგან ბევრი რამ ვისწავლე. არაერთი ჩემი ახალგაზრდა კოლეგა ფიქრობს, რომ ორთქლის მანქანა ხელახლაა გამოსაგონებელი, რაკი თავად არაფერი სმენია ასეთი მანქანის სიძველეზე. რაც მათ იციან, ინტერნეტი და მობილურია. ასე იქმნება ის ტექსტები, რომლებიც გერმანისტიკას ცამდე აჰყავს. არის მერე სწავლულ თავთა გნიასი და ინტერპრეტაციების სიუხვე და დეტალური კირკიტი, სანამ არ გაბეზრდებიან. როცა ეს შეუძლებელია, ავტორიც მდუმარების მსხვერპლი ხდება. ასე მოექცნენ, მაგალითად, პაულ შეერბარტს (1863-1915), რომელსაც მე დიდად ვაფასებ. ჩემი საყვარელი ავტორია დანიელ ხარმსიც. ჩემთვის ექსპერიმენტს სხვა მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, დავწერე სმს-რომანი, რომელიც მხოლოდ მობილურით უნდა წაკითხულიყო და შეძენილიყო. საქმე ეხებოდა ქალის და კაცის ურთიერთობას, რომელიც 150 ნიშნით უნდა შემოფარგლულიყო. ჩვეულებრივი "თხრობა" შეუძლებელი იქნებოდა, გამოსავალი ისე უნდა მოძებნილიყო, როგორც მოკლე უწყების თუ მოკლე ამბის შემთხვევაში ხდება. ისიც კი მკითხეს, რომელიმე ახალგაზრდა ავტორს რატომ არ მოუვიდა თავში ასეთი იდეაო. ანუ იმას მეკითხებოდნენ, რაც ჩემთვის კი არა, ახალგაზრდა ავტორებისთვის უნდა ეკითხათ. ზოგმა ისიც თქვა, იმეილ-რომანი ხომ არის უკვე დაწერილიო. მოკლედ, იმის განმარტებაც კი გახდა საჭირო, რომ

სმს-რომანი და იმეილ-რომანი სხვადასხვა რამ არის. "პარალელური ისტორიებიც" მაქვს დაწერილი, ორი ისტორია, ურთიერთგამომრიცხავი მინიშნებებით, ერთი ისტორია წიგნის მარცხენა, მეორე კი მარჯვენა გვერდზე ვითარდება. მინიმალური კრიმინალური ისტორიების წიგნიც გამოვეცი, რომლებშიც სინამდვილეში კრიმინალური მხოლოდ ფონია, მთავარი კი ამ ისტორიებში ხუმრობაა. ჩემი შემოქმედების არსებითი ელემენტებია სატირა (ზოგჯერ ცინიკური) და ხუმრობა. მე ვფიქრობ, ეს ის საკმაზებია, რაც ტექსტს მიმზიდველს და კითხვადს ხდის. ერთ სტუდენტ გოგონას, ჩემზე სადიპლომო ნაშრომის წერას რომ შეუდგა, მაშინვე ვუთხარი, კითხვა სიამოვნებას უნდა განიჭებდეს და არა ტანჯვას მეთქი, რაშიც მალევე დამეთანხმა. ჩემი აზრით, მუდმივმა ექსპერიმენტირებამ – უკითხვადობამდე – ლომის წილი ითამაშა კრიმინალური რომანების სიჭარბეში. ფოტოგრაფია ყოველთვის მანიჭებდა სიამოვნებას, კერძოდ – სასაცილო სანახაობების ფოტოგრაფირება, მაგალითად, როცა ფეხით მოსიარულეთა პიქტოგრამიანი ისარი ოსლოს მიმართულების მაჩვენებელია, ან როცა აფთიაქს წარწერა აქვს "ნარკოტიკები და ქიმიკატები" (სიტყვების თამაშია: გერმანულად Drogen სამკურნალო მცენარეებსაც ნიშნავს და ნარკოტიკებსაც. – დ. ბ.), ან როცა, მაგალითად, ციცაბო აღმართთან "ვაკის" აღმნიშვნელი საგზაო ნიშანია დასობილი.

ორთქლის მანქანის ხელახლა გამოგონება საქართველოში, დიდი ხანია, ყოველდღიური "ლიტერატურული" ცხოვრების ნაწილად არის ქცეული. ჩვენში, მაგალითად, ჩვეულებრივი ამბავია დროის ეკონომიის მიზნით შეგირდობის წლებზე უარის თქმა. ამან კი მთელი ლიტერატურული "ჟანრი" – ნახევარფაბრიკატების ლიტერატურა – წარმოშვა. ჩემი დაკვირვებით, არც დასავლეთშია სახარბიელო სიტუაცია, თუმცა არა ისეთი მძიმე, როგორიც – ჩვენთან. ეს ტენდენცია იმითაც ხომ არ აიხსნება, რომ თაობებს შორის დიალოგი აღარ არსებობს?

როცა ახალგაზრდა ვიყავი, ჩემთვის ერთი სიამოვნება იყო უფროსი და წარმატებულ ავტორებთან ურთიერთობა, რაც ყოველთვის აღფრთოვანებას არ ნიშნავდა, ეს ზოგჯერ დაპირისპირე-

ბას და დისკუსიას პროვოცირებდა. და, რა თქმა უნდა, ბევრს ვკითხულობდი, მათ შორის ისეთ წიგნებსაც, ჩემს გემოვნებას რომ არ პასუხობდა, მაგრამ სწორედ ამ გზით სწვდება ახალგაზრდა ავტორი თავის ძლიერ და სუსტ მხარეებს. ომი და საკონცენტრაციო ბანაკები ის თემები იყო, რომლებზეც რაც შეიძლება მეტი მინდოდა გამეგო. პირველ რიგში მიზიდავდა თვით ეს ძიების პროცესი, რაც ხშირად სულაც არ იყო იოლი. დღეს ყველაფრის მოძიება შეიძლება ინტერნეტში, ამიტომ თავს არავინ იწუხებს ბუკინისტურ მაღაზიებში თვალების დაღლით, არც – ისეთი ალტერნატიული გამომცემლობების ძიებით, მეინსტრიმისმიღმურ წიგნებს რომ გამოსცემენ. აუტსაიდერთა ძიებამ და მიგნებამ თავგადასავლების მაძიებელ, ჩემთვის უცნობ კუნძულთა აღმომჩენად ჩამომაყალიბა: მინონა (ანუ "ანონიმ"), იგივე სალომო ფრიდლენდერი, ან, ვთქვათ, რუმინელი ურმუცი, ან ალფრედ ჟარი, ფრანც იუნგი, ერიხ მიუზამი, ალბერტ ერენშტაინი, რაიმონ კენო... ეს მხოლოდ არასრული სიაა. დღეს ახალბედა ავტორები წერის ვორკშოპებს ესწრებიან და მასწავლებლის მიერ დასახელებულ საკითხავ ლიტერატურას არიან მინდობილი. ეს მათი პირველი წიგნის გამოცემასაც ძალიან აჩქარებს. ასე მიიღება, როგორც შენ სწორად აღნიშნე, "ნახევარფაბრიკატები". მერე კი კრიტიკის ქურუმთა ჯერი დგება და ისინიც ერთმანეთს ეჯიბრებიან მომდევნო იმედისმომცემი გენიოსის აღმოჩენაში. ჩემი დაკვირვებით, ახალგაზრდა ავტორები უფროს თაობებთან დიალოგით დაინტერესებული არ არიან. "ინტერნეტში ხოა, რისი ცოდნაც მინდა".

ასე ჩაენაცვლება ცოდნას მკვდარი ინსტრუქციები. მზამზარეული იდეების საზოგადოება, რომელიც მსგავს ინსტრუქციებს ეფუძნება, შენს ტექსტებში უმნიშვნელო თემა სულაც არ არის... მაგრამ ვჩქარობ, ქართველ მკითხველს მანფრედ ზღვაოსანიც გავაცნო. ეს ხომ ოცდაათი წლის წინ არ ყოფილა, გასულ წელს იყო. ვგულისხმობ შენს მეუღლესთან, დაგმართან ერთად, შენს თითქმის ოთხთვიან მოგზაურობას მსოფლიოს გარშემო.

ჩვენი ქორწინების 50 წლისთავი ახლოვდებოდა და ვერ გადაგვეწყვიტა, სადღესასწაულო სუფრას შემოვსხდომოდით თუ სა-

მოგზაუროდ წავსულიყავით. ამ დროს დაგმარი საგაზეთო განცხადებას გადააწყდა, რომელიც დაინტერესებულ პირებს მსოფლიოს გარშემო თითქმის ოთხთვიან მოგზაურობას სთავაზობდა. გემით კრუიზზე საერთოდ არ ვფიქრობდით, გემის კაიუტები ვიწროა, რწევაც არაა სასიამოვნო. მერე კი ჭკუაში დამიჯდა ეს იდეა. ეს ხომ უამრავი იმ ადამიანის გაცნობის შესაძლებლობას მაძლევდა, რომელსაც უამისოდ ვერსად გავიცნობდი. ბორტის ენა გერმანული იყო, გამგზავრების და დაბრუნების პორტი კი – ჰამბურგი. გადავწყვიტე, ჩემი ციფრული დიქტოფონიც ჩამერთო საქმეში და თანამგზავრები გამომეკითხა. ბოლოსდაბოლოს, მრავალი წელი ავსტრიული რადიოს თანამშრომელი ვიყავი და მიმოხილვებიც დიდწილად სწორედ რესპოდენტთა ხმოვან ჩანაწერებს ემყარებოდა. დაგმარი ამ იდეით დიდად არ აღფრთოვანებულა. მითხრა, შენ მუშაობას აპირებ, იმის ნაცვლად, რომ მოგზაურობით დავტკბეთო. მაგრამ უამისოდაც ხომ მომიწევდა ჩანაწერების გაკეთება. დავუკავშირდი შესაბამის რედაქციებს, რომლებიც მსგავსი რეპორტაჟებით დაინტერესდებოდნენ. გადაცემათა ერთი სერიაა: "გარემომცველი სამყარო – მოგზაურობის ხელოვნება", რომლის რედაქტორი ქალბატონიც ამ იდეამ მაშინვე მოხიბლა. შევთანხმდით, რომ რამდენიმე გადაცემა ჩემს მიერ იქნებოდა უზრუნველყოფილი. რა სახე და ფორმატი ექნებოდა ამ გადაცემებს, ამაზე ჯერ წარმოდგენაც კი არ გვქონდა. ბევრი შესაძლო არჩევანი იყო: მაგალითად, აკუსტიკური დღიური, რომლითაც თავად მოვყვებოდი თავს გადამხდარს, ან – ამა თუ იმ შთამბეჭდავი ადგილის დეტალური აღწერა... მერე ბორტზე თანამგზავრთა ინტერვიუირებას შევუდექი, თავიდან მათ ასეთი ხანგრძლივი მოგზაურობის მიზეზებზე ვეკითხებოდი. ბევრისთვის გადამწყვეტი არგუმენტი სწორედ "მსოფლიოს გარშემო მოგზაურობა" იყო, თანაც არა თვითმფრინავიდან თვითმრინავში დამღლელი გადაჯდომებით და აეროპორტებში ყურყუტით, არამედ – "სასტუმროს" პერმანენტული თანხლებით ერთი უწყვეტი მოგზაურობა. იყვნენ ისეთებიც, გემით ასეთი მოგზაურობა არაერთხელ რომ განეხორციელებინათ. მოგზაურობის ხანგრძლივობიდან გამომდინარე, თავისუფალი დროის ასეთი ფუფუნება, ძირითადად, პენსიონერთა პრივილეგიაა და

ჩვენი გემის მოგზაურთა საშუალო ასაკიც შესატყვისი – 69 წელი – იყო. უფრო ახალგაზრდები, თავ-თავიანთ სამსახურებზე რომ იყვნენ დამოკიდებული, მხოლოდ დროის რაღაც მონაკვეთს ატარებდნენ გემზე და მერე თვითმფრინავით შინ ბრუნდებოდნენ. ამასობაში ჭრელი მასალის დიდძალი რაოდენობა დამიგროვდა, ზოგი ჩანაწერი ტექნიკურად უხარვეზო, ზოგიც – უხარისხო. მაგრამ რაც ჩემთვის სრულიად მოულოდნელი გამოცდილება აღმოჩნდა, იყო შემდეგი: ბორტზე ბევრი სასიამოვნო ადამიანი გავიცანი, მაგრამ ბევრი – ნაკლებად სასიამოვნოც, მთლად უსიამოვნო დახასიათება რომ არ გამომივიდეს. მანამდე ვერც კი წარმოვიდგენდი, როგორი წვრილმანების გამო შეიძლება ადამიანი გაბრაზდეს ან თავი არაკომფორტულად იგრძნოს. არაერთხელ გახდა აუცილებელი ზოგიერთი მგზავრის ჰოსპიტალიზება, მაშ შორის – ვერტმფრენითაც. თითქმის მიახლოებული ვიყავით ავსტრალიის ჩრდილოეთ სანაპიროს, როცა ერთ-ერთი მგზავრის ჯანმრთელობის გაუარესებამ აუცილებლობა წარმოშვა, სხვა პორტისკენ აგვეღო გეზი, სადაც ექიმთა შესაბამისი გუნდი იყო მობილიზებული. სიამოვნებით ვიხილავდი მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი ჩვენი თანამგზავრის ადგილას ერთ ქალბატონს, რომელმაც პირადი დისკომფორტით გამოწვეული აღშფოთება ვერ დამალა: "და ასეთი ლუქსუსი – ერთადერთი ადამიანისთვის!". მალე მივხვდი, რომ არა მარტო გადაცემებისთვის, არამედ წიგნისთვისაც ვაგროვებდი მასალებს: "116 დღე მსოფლიოს გარშემო – სავახტო ჟურნალი". რაც შეეხება უშუალოდ გადაცემას, მასალების რაოდენობას ვეღარ მოვერიე და მისი შეკვეცა-რედაქტირება მთლიანად რედაქტორს მივანდე. ორი გადაცემა გამოვიდა, გემის კაპიტნის განკარგულებების, თანამგზავრთა შეძახილების, სიმღერების აუთენტური ჩანაწერებით რომელთა გაფორმებამ სერიოზული შრომა მოითხოვა. მთლიანობაში, ამ გადაცემებზე, ჟურნალ "ლიტერატურა და კრიტიკისთვის" დაწერილ ნარკვევზე და წიგნზე ინტენსიურ მუშაობას ათი თვე დავუთმე. ფოტოებით თანხლებულ წიგნს უახლოეს კვირებში გამოსცემს "ლოკერი". ბევრი ჩვენი თანამგზავრი ამტკიცებდა, რომ ასეთმა მოგზაურობებმა მიჩვევა იცის. ჩვენს შემთხვევაში ასე არ მომხდარა, განსაკუთრებული სიხარული კი მოგვანიჭა. ამ მოგზაურობის

გამეორებას არ ვისურვებდი, ისევე, როგორც არ ვისურვებდი მის დავიწყებას.

ვიდრე ამ ინტერვიუსთვის გულითად მადლობას გეტყოდე, შენთვის კიდევ ერთ შეკითხვის დასმა მსურს. რა არის შენთვის, როგორც ევროპელი ადამიანისთვის და მწერლისთვის, არსებითი ღირებულებები, რომლებსაც შენს ცხოვრებაში გამიზნულად იცავ და რომლებზეც შენი ესთეტიკური პრინციპებია დამოკიდებული?

ყოველთვის ვიცავ დემოკრატიას, ადამიანის უფლებებს, პრესის თავისუფლებას, თანასწორობას, ვებრძვი ანტისემიტიზმს და ომის გამღვივებლებს. ჩემი პოზიცია სოციალდემოკრატიულია. იმ მემარჯვენე რადიკალი პოპულისტების მიმართ, რომლებიც დღეს ავსტრიას მართავენ და ევროპაში ძლიერდებიან, ღრმა სიძულვილს განვიცდი. ეს ის ხალხია, რომელიც შიშს აღვივებს, რათა "მხსნელად" მოგვევლინოს. ასეთივე დამოკიდებულება მაქვს იმ პოლიტიკოსების და ეკონომიკის ბოსების მიმართ, რომლებიც განუწყვეტლივ იტყუებიან, ხოლო როცა ტყუილი აღარ გასდით, მაშინვე მწვავე ალცჰაიმერს დაიმართებენ და ყველაფერი აშინვე ავიწყდებათ; კორუფციაც მძულს. მაგრამ გადამწყვეტი ცვლილებებისთვის ლიტერატურის შესაძლებლობები, სამწუხაროდ, უკიდურესად მწირია. ადრე ვფიქრობდი, რომ, სულ მცირე, ცვლილებათა ბიძგისმიმცემი მაინც შეიძლებოდა ყოფილიყო ლიტერატურა, მაგრამ ცხოვრებამ სხვა გაკვეთილი ჩამიტარა. მსოფლიოს გარშემო მოგზაურობამ კი საერთოდაც ყველა ილუზია გამიქრო. იქ იყო ხალხი, რომელთან ერთადაც საღამოებს ვატარებდი. მე ისინი გონიერ ადამიანებად მიმაჩნდა. ესენი ავსტრიელები იყვნენ. ისინი პროლეტარები არ ყოფილან. მათ შორის, მაგალითად, ერთი ექიმი და ერთი ინჟინერიც იყვნენ. რა თემებზე არ ვლაპარაკობდით, მაგრამ პოლიტიკაზე რომ მიდგებოდა საქმე, მეფეც მაშინვე შიშვლდებოდა. თურმე ერთადერთი ვიყავი, რომელსაც ახლანდელი ფედერალური პრეზიდენტისთვის, ალექსანდელ ვან დერ ბელენისთვის მიუცია ხმა, ყველა სხვას მემარჯვენე კანდიდატებისთვის დაუჭერია მხარი, ისინი კმაყოფილი იყვნენ იმ მე-

მარჯვენე პოპულისტი მთავრობით, რომელიც ძირს უთხრის დემოკრატიას. მემარჯვენე პოპულისტები, ისევე, როგორც დიქტატორები, ხალხის ემოციებით თამაშობენ და ადამიანებს შთააგონებენ, რომ ისინი ერთ ბანაკს ეკუთვნიან. ნაცისტების დროს ეს იყო არიული "თანამემამულეობა", ტრამპის შემთხვევაში ეს არის "America first", მსოფლიოს მმართველად ყოფნის ამბიცია, ერდოღანი ქვეყნის გარეთ მცხოვრებ თურქებს "იმად ყოფნას" შთააგონებს, ოსმალეთის იმპერიას რომ ეკუთვნიან... და ასე შემდეგ. უკვე აღვნიშნე, რომ ლიტერატურაში სატირის გზას ვადგავარ და კვლავინდებურად მჯერა, რომ სატირა მკითხველის გულს იოლად იპყრობს. კითხვა ტკბობას უნდა გვანიჭებდეს. ამავე დროს, ჩემი ამბიციაა საზღვრების აზომვა იმ მიზნით, რომ მათი გადალახვა შევძლოთ. სანამ ცოცხალი ვარ, ამას ვიღაღადებ. ჩემს თავს ვენდობი იმდენად, რომ ენას არ ვენდო და ჭეშმარიტება ჭეშმარიტებისკენ სწრაფვად მიმაჩნდეს; ქვას ქვაზე იმიტომ ვდებ, რომ ქვეშ არ მომიყოლოს; განვსჯი იმიტომ, რომ განსჯილი არ აღმოვჩნდე. მე ქვეყნიერების შესახებ იმიტომ ვყვები, რომ ამ ქვეყნიერებას ყურს ვუგდებ. "ლექსები ისე უნდა დაიწეროს, რომ თუ მათ სარკმლის მიმართულებით მოვისვრით, მინები ჩაამტვრიონ". ეს რუსმა პოეტმა, დანიელ ხარმსმა, დაწერა. მის მოთხოვნას უპირობოდ ვუერთდები.

თბილისი-ვენა
აპრილი, 2019

ავტორთა შესახებ*

ფრიდრიხ ჰებბელი – "ნიბელუნგები" გერმანელი დრამატურგისა და პოეტის, ქრისტიან ფრიდრიხ ჰებბელის (1813-1863) ერთ-ერთი საუკეთესო დრამაა, იმავდროულად კი – XIII საუკუნეში შექმნილი გერმანული საგმირო ეპოსის – "სიმღერა ნიბელუნგებზე" – სასცენო დამუშავების უამრავ მცდელობას შორის უმნიშვნელოვანესიც. ჰებბელი მას ათი წელი (1850-1860) წერდა. "ნიბელუნგები" ავტორის ბოლო დასრულებული დრამა აღმოჩნდა და მასში თავი მოიყარა ავტორის დიდმა დრამატურგიულმა გამოცდილებამ. დრამის სასცენო პრემიერა 1861 წელს შედგა ვაიმარში და მას მერე იგი დღემდე წარმატებით იდგმება მთელ გერმანიაში (წიგნად გამოიცა 1862 წელს).

ჰებბელმა ბრწყინვალედ შეძლო შუა საუკუნეებში შექმნილი ეპოსის გმირთა ინდივიდუალიზებაც და მათი ქცევითი მოტივაციების ფსიქოლოგიური გართულებაც, რაც თითოეული პერსონაჟის მეტყველებას დამახასიათებელ ჟღერადობას და რიტმული მდინარების განსაკუთრებულობას ანიჭებს (ამ თვალსაზრისით, მაგალითად, გამორჩეულია ზიგფრიდის მეტყველება). მეორე მხრივ, ხმების ასეთი "გადანაწილება" უზრუნველყოფს დიალოგებში არაზედაპირული, კონცეპტუალურად დატვირთული დაძაბულობის შენარჩუნებასაც და – კონფლიქტური სქემების ბუნებრივად გამოკვეთასაც. მათ შორის დომინანტურია ბედისწერის გარდუვალობის ფონზე გაშლილი კონფლიქტი ქალურ და მამაკაცურ საწყისებს შორის, რაც ტექსტში სისტემურ ხასიათს ატარებს და რომანტიკოსების მიერ ამ თემის პრობლემატიზება მასში არა მხოლოდ აირეკლება, არამედ მრავალმხრივ მხატვრულ ანალიზს ექვემდებარება (აღსანიშნავია, რომ შელინგის მოწაფის, იოჰან იაკობ ბახოფენის, მთავარი ნაშრომი და კლასიკური მოდერნის ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი წიგნი "დედის სამართალი" სწორედ 1861 წელს გამოიცა), მეტიც, დრამაში გათვალისწინებულია როგორც აღნიშნული კონფლიქტის ისტორიული და მითოლოგიური ასპექტები, ისე – თემის თანადროული სამეცნიერო რეცეპციები.

არანაკლებ მნიშვნელოვანია "ნიბელუნგების" ესთეტიკის გასაგებად ავტორის მიერ კიდევ ერთი კონფლიქტური სქემის – ძლიერების/ძალაუფლების უთანასწორო ადეპტთა შეხვედრის – პრობლემატიზება და თავიდანვე მისი გამწვავება. ზიგფრიდისა და ჰაგენის კონფლიქტი ერთდროულად ნათელ და ბნელ ადამიანურ საწყისებს შორის დაპირისპირებაც არის და – ძალაუფლების ველზე

* ავტორთა და მათ ნაწარმოებთა შესახებ საინფორმაციო ტექსტები, რომლებითაც თანხლებული იყო პირველი ქართული პუბლიკაციები, აქ უცვლელად არის გადმოღებული. ყველა თარგმანი, როცა ორიგინალის ენა საგანგებოდ არ არის მითითებული, შესრულებულია გერმანულიდან.

ზებუნებრივისა და ბუნებრივის შეხვედრის შედეგად გათამაშებული დრამაც, რომლის პარალელურად განვითარებული არანაკლებ პარადიგმული კონფლიქტი – ბრუნჰილდსა და კრიმჰილდს შორის დაპირისპირება – ასევე ბუნებრივი და ზებუნებრივი საწყისების გარდუვალი შეხვედრაა.

ტექსტში კონფლიქტების თავბრუდამხვევ კალეიდოსკოპს კიდევ უფრო მეტ სილრმეს სძენს ბუნების უხილავი ნების ხელში ინსტრუმენტალიზებული ქალური და მამაკაცური საწყისების მიერ საპირისპირო სქესის ინსტრუმენტალიზების პროცესებით მიღებული დამანგრეველი ენერგიების ისე გადახლართვა ერთმანეთში, რომ უკვე ძნელი გასარკვევი ხდება (იქნებ, არც იყოს ამის გარკვევა მნიშვნელოვანი!), თუ სად მთავრდება ტანჯვა და სად იწყება ტკბობა; როდის გადადის უმწეობა ძლიერებაში და – პირიქით; როდის იწყებს სიძულვილი სასიყვარულო ენერგიის აბსორბირებას ან სიყვარული როდის იმუხტება სიძულვილის ენერგიით.

ეს ნაწარმოები, შეიძლება ითქვას, ურთიერთგამომრიცხავ ძალებს შორის კონფლიქტების, მეტიც, დიალექტიკური კონფლიქტების ველია. და ამაში გასაკვირი არაფერია: ჰებბელი არა მხოლოდ უპირობო ჰეგე-ლიანელი იყო, არამედ პოეტს, მისივე აღიარებით, ეზიზღებოდა ჰეგელის დიალექტიკა. ეს კი ჰებბელის საზროვნო ესთეტიკას კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის (ჰებბელის დიალექტიკური სქემების ესთეტიკურ ასპექტებში გასარკვევად ჩემთვის ბევრისმომცემი აღმოჩნდა ფრიდრიხ კიტტლერის გამოკვლევა "ჰებბელის წარმოსახვის ძალა – ბნელი ბუნება").

თარგმნის პროცესში, სწორედ პოეტის ამ შინაგანი დუალიზმით მოხიბლული, ვცდილობდი როგორც ვრცელი თხრობითი პასაჟებისა და მოკნილი დიალოგების რიტმული სახესხვაობისა თუ დაძაბულობის შემამზადებელი ტროპული ნიუანსების შენარჩუნებას, ისე – ექსტაზური ან პათეტიკური მონოლოგებისა და ქრისტიანულ-დიდაქტიკური შეგონებების აქტორთა ხასიათობრივი და სოციალური თავისებურებების, ამ ყველაფერთან ერთად კი – კომპოზიციური და სასცენო სტრუქტურის მთლიანობის გათვალისწინებას. არც ტექსტის შედარებით მშვიდობიანი მონაკვეთებისთვის ნიშნეული ზამბარასავით დაჭიმული რიტმული წყობა უნდა დაკარგულიყო (თუმცა, ის არც ექსპრესიონისტულ სახისმეტყველებაში უნდა გადაზრდილიყო).

ორიგინალთან მაქსიმალური სიახლოვის მიუხედავად, ვცადე, სიზუსტეს არ შეწირვოდა ქართული სამეტყველო ენის ბუნებრივი მდინარება, მაგრამ არც ორიგინალის გალამაზების და არაბუნებრივი გზით (პირველ რიგში, მდიდარი ქართული ლექსიკის ბოროტად სარგებლობით და "ორნამენტული" სიტყვების უკონტექსტო ჭარბწარმოებით) თარგმანის "გამდიდრების" გზა ავირჩიე, ისევე, როგორც უარი ვთქვი გერმანული ენისთვის ბუნებრივი, გრძელი სამეტყველო კონსტრუქციების გამარტივებაზე.

ბედნიერად ჩავთველი თავს, მკითხველი ჩემი შრომის ნაყოფში ივანე მაჩაბლის თარგმანების სასიკეთო გავლენას თუ ამოიკითხავს.

ქართულად ჰებბელის ეს დრამა ორ მცირე ტომად გამოდის. წინამდებარე ტომი მხოლოდ "ნიბელუნგების" პირველ ორ ნაწილს, "რქოვანგარსიან ზიგფრიდს" და "ზიგფრიდის სიკვდილს" აერთიანებს. მომდევნო ტომში კი ტრილოგიის მესამე ნაწილი "კრიმჰილდის შურისძიება" იქნება წარმოდგენილი.

თარგმანი პატივისცემით და მადლიერებით ეძღვნება ძვირფას მეგობარს, *ქალბატონ გიტე ვალთერსს.*

ნიკოლაუს ლენაუ – ნიკოლაუს ლენაუ (ნიკოლაუს ფრანც ნიმბშ ფონ შტრელენაუ) 1802 წლის 13 აგვისტოს დაიბადა ჩატადში, უნგრეთის სამეფოში, რომელიც მაშინ ჰაბსბურგების იმპერიაში შედიოდა. დედა გერმანელი ჰყავდა, მამა კი – სილეზიელი. მომავალი პოეტი ხუთი წლის იყო, როცა მამამისმა, სახელმწიფო მოხელემ, ჯერ დარდიმანდულ ცხოვრებას და აზარტულ თამაშებს შესწირა ოჯახის ფინანსური კეთილდღეობა, მერე კი სული განუტევა. დედა ხელმეორედ გათხოვდა სამხედრო ექიმზე, რომელმაც ცოლი და გერი თან წაიყვანა უნგრეთის ჩრდილოეთში. ათი წლის ლენაუ ბუდაპეშტში, პიარისტების გიმნაზიაში შეიყვანეს, თექვსმეტი წლისა კი ვენის შორიახლოს მდებარე შტოკერაუში ბებიასთან და პაპასთან გადავიდა საცხოვრებლად. ამას მოჰყვა არათანმიმდევრული სწავლის წლები პრესბურგის, ვენისა და ალტენბურგის უნივერსიტეტებში.

ლენაუს პოეტური ცხოვრება ვენის ლიტერატურულ წრეებთან დაახლოებით დაიწყო და რაკი ვენაში ასეთი ცხოვრება ლიტერატურული კაფეების გარეშე წარმოუდგენელი იყო, ლენაუც ერთ-ერთი ასეთი კაფის, "ნოინერშენ"-ის ყოველდღიური სტუმარი გახდა, მაგრამ ლიტერატურული სალონის დიასახლისისთვის – არასასურველი, რაც, ძირითადად, მისი დაუდევარი და მოუხელთებელი ხასიათისა და ცვალებადი ბუნების, არეული გუნება-განწყობის ბრალი იყო. თანამედროვენი მას ახასიათებენ, როგორც უაღრესად ლაბილური განწყობის მქონე და უკიდურესობებს შორის თვალშეუვლები სისწრაფით მოძრავ ადამიანს. მისი ხანგრძლივი დუმილი მოულოდნელად იცვლებოდა ფილოსოფიური მსჯელობით, ღრმა და დინჯი ლიტერატურული საუბარი – ეგზალტირებული დეკლამაციით. ხედავდნენ მასში რაღაც ისეთსაც, რაც ხასიათის საზღვრებიდან გადიოდა და სულიერ პრობლემებზე უტყუარ მინიშნებას იძლეოდა, მაგრამ ეს ყველაფერი თანხლებული იყო უჩვეულო პოეტური ენერგიით, რომელიც აღაფრთოვანებდა მის ნაცნობ-მეგობრებს. ერთი თანამედროვე მას ცხოვრებაში შემოჭრილ ლექსს უწოდებდა.

ლენაუს ნამდვილი სტიქია გზადყოვნა იყო. მან ცხოვრების დიდი ნაწილი მოგზაურობაში გაატარა, რასაც მის მიერ ნამუშკიდრევი სიმდიდრე უზრუნველყოფდა. ეს მოგზაურობა კი ნიშნავდა არა ერთი ან ორი, არამედ მრავალი დიდი და პატარა საბარგულის თანხლებას, რომლებიც სავსე იყო უამრავი უმცირესი ნივთით. ეს ნივთები ლენაუს ამა თუ იმ ძვირფას მოგონებას უკავშირდებოდა და მისი პოეტური ინსპირაციის წყაროც იყო, ასე რომ, პოეტი მათ არასდროს იშორებდა გვერდიდან.

1831 წელს ლენაუ გაემგზავრა შტუტტგარტში და დაუმეგობრდა შვაბ პოეტებს, რომლებმაც ის მაშინვე აღიარეს. პოეზიის საღამოები, რომლებსაც ლენაუ მართავდა, სავსე იყო პუბლიკით, მისი ლექსები კი განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა. მომდევნო წელს აქ მისი ლექსების პირველი წიგნიც გამოიცა. მაგრამ როგორც ვენაში, არც აქ მიუტოვებია პოეტი სულიერ აშლილობას, რომელიც აგზნების მწვავე გამოვლენებსა და მელანქოლიის ხანგრძლივ შემოტევებში ვლინდებოდა და დროთა განმავლობაში კიდევ უფრო გაუმწვავდა. ამასობაში მეგობართა და მკითხველთა სიყვარულით გარემოცულმა ლენაუმ მორიგი მოგზაურობა წამოიწყო და ყოველგვარი პრაგმატული მიზნის გარეშე, არსებითად ნიაგარას ჩანჩქერების სანახავად, მიაშურა ამერიკას, რომელმაც მისი შემოქმედებითი ენერგია ძლიერი იმპულსებით გაამდიდრა. მან ამერიკაში მიწაც კი იყიდა, მაგრამ ვერ იგუა იქ გამეფებული მატერიალიზმი და ერთი წლის მერე ისევ ევროპაში დაბრუნდა, სადაც მცირე ხნით ბრემენში დაიდო ბინა. ამას მოჰყვა მოგზაურობების სერია გერმანიის სხვა ქალაქებში და ავსტრიაში.

ლენაუ ბევრს წერდა, მისი პოეტური ხელოვნება კი წლიდან წლამდე იხვეწებოდა და მდიდრდებოდა, 30-იან წლებში კი ეპიკურ ჟანრშიც მოსინჯა კალამი. 1836 წელს დაწერილი მისი "ფაუსტი" და მომდევნო წელს შექმნილი "სავონაროლა" ვრცელი ლექსები უფროა, ვიდრე – პოემები. ლენაუ ფილოსოფიური იდეების მხატვრული ხორცშესხმის ოსტატი და სისტემურ პოეზიაზე ორიენტირებული ავტორი არ ყოფილა, მისი სტიქია ლირიკა იყო. იგივე ითქმის მის ბოჰემურ ცხოვრებაზეც, რომელიც ყოველმხრივ ბაირონიზმის სულისკვეთებით იყო განმსჭვალული. ლენაუმ დონ ჟუანის საკუთარი ვერსიის შექმნაც სცადა, მაგრამ პოემა დაუსრულებელი დარჩა.

პოეტის პირად ცხოვრებაში გადამწყვეტი დრამატულ გამოცდილებად იქცა მისი უნუგეშო სიყვარული მისი მეგობრის მეუღლისადმი, პოეტ სოფია ლეონთალისადმი, რომელიც მისი პოეზიის მუზა იყო. ფიქრობენ, რომ სწორედ ეს უპასუხო სიყვარული და სასოწარკვეთა აღმოჩნდა ლენაუს შიზოფრენიის მაპროვოცირებელი. 1844 წლის სექტემბერში მას ავადმყოფობამ საბოლოოდ დაუბინდა გონება და სიცოცხლის ბოლო ექვსი წელი ვენის შეშლილთა თავშესაფარში გაატარა. ლენაუ 1850 წლის 22 აგვისტოს გარდაიცვალა. აღსანიშნავია, რომ

სოფია არა მხოლოდ მისი საუკეთესო მეგობარი იყო (რასაც მათი მიმოწერაც ადასტურებს), არამედ ავადმყოფ პოეტზეც ინტენსიურად ზრუნავდა, და მერეც, როცა პოეტი გარდაიცვალა, ლენაუს პოეტური მემკვიდრეობის გამოცემებს ფინანსურად უზრუნველყოფდა.

ლენაუ გერმანულენოვანი რომანტიზმის მნიშვნელოვანი წარმომადგენელია. მე-19 საუკუნის ავსტრიულ პოეზიაში კი მას საერთოდაც ერთ-ერთი უდიდესი პოეტის სახელი აქვს მოპოვებული. ბიდერმაიერის ეპოქის გერმანულენოვან ლირიკაში ლენაუს ლექსების იშვიათი კეთილხმოვანება, უმდიდრესი პოეტიკა და ყველა სხვა პოეტისგან განსხვავებული მელანქოლიური ტონალობა ის მახასიათებლებია, რომლებმაც პოეტის არაერთი შედევრი აქცია სასიმღერო ტექსტად და ინსპირაციის წყაროდ ისეთი დიდი კომპოზიტორებისთვის, როგორებიც რობერტ შუმანი, ფელიქს მენდელსონი, ფრანც ლისტი თუ რიხარდ შტრაუსი იყვნენ. თავად ლენაუ ინსპირირებული იყო ბეთჰოვენის მუსიკით, გერმანული ხალხური პოეზიით და ხალხური მუსიკით.

ლიტერატურის ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ ლენაუს, როგორც ბუნების ლირიკის ოსტატს, გერმანულენოვან პოეზიაში ვერავინ შეედრება, თუ მისი პოეზიის ერთ არსებით მომენტს გავითვალისწინებთ: ლენაუ, ერთის მხრივ, პოეტური თემების მუსიკალური განზოგადების ჯადოქარია, მეორეს მხრივ კი, გერმანულენოვან ლირიკაში ლენაუმდე ბუნება არავის უქცევია ადამიანური სულის მოძრაობის, განწყობის, ხასიათის ცვალებადობის ყოვლისმომცველ სარკედ; ყველაფერი, ბუნებაში რის მოხელთებაც და პოეტურ სახეებად გარდაქმნაც ხერხდება, ლენაუსთვის კონკრეტული ადამიანის სულის გამოვლენის ფორმებია.

ჰერმან ფონ გილმი (1812-1864) – ავსტრიელი პოეტი.

ფერდინანდ ფონ ზაარი (1833-1906) – ავსტრიელი პოეტი და დრამატურგი.

ფრიდრიხ ნიცშე (1849-1900) – "დიონისეს დითირამბები" კლასიკური მოდერნისტული პოეზიის ცენტრალური ტექსტია, რომლის პოეტიკამ – ავტორის ფილოსოფიასთან ერთადაც და მისგან დამოუკიდებლადაც – უდიდესი გავლენა იქონია XX საუკუნის ევროპულ პოეზიაზე. იგი აღმოჩნდა თვით ნიცშეს შემოქმედების პოეტური შეჯამებაც. სხვადასხვა დროს დაწერილი (პირველი სამ დითირამბს უკვე შეიცავდა "ასე ამბობდა ზარათუშტრა") და ერთ ციკლად თავმოყრილ-გადამუშავებული ლექსების ეს კორპუსი "წყლისმსმელმა" პოეტმა (როგორც ნიცშე თავის თავს უწოდებდა) სულ ბოლოს (სავარაუდოდ 1889 წლის იანვარში) დაასათაურა. შესაბამისად, ეს მისი ხელიდან დასაბეჭდად

გამოსული უკანასკნელი მთლიანობაა. დიონისური სულისკვეთებით აღსავსე ამ ლექსების თითოეული სტრიქონი და სიტყვა შექმნილი, დაწერილი და დამზადებულია აპოლონური სიზუსტით და სიბეჯითით. "დიონისეს დითირამბებში" ენა არა მხოლოდ მეტყველებს, არამედ თავის თავთანაც მეტყველებს და – იმასთანაც, რასაც იგი მას მერე მეტყველებს, როცა ამ ენის/ამ ნიცშეს მიერ ერთადერთ ჭეშმარიტებად ჭეშმარიტების არარსებული სამოთხიდან გამომძევებულად-ყოფნა და წერა-კითხვით მწარე ტკბობის შესაძლებლობა ცნობიერდება.

თუ ნიცშეს გავიაზრებთ, როგორც (სულ მცირე) ბერძენ ფილოსოფოსთა, კანტის, ჰეგელის, შოპენჰაუერის, გოეთეს, ვაგნერის დაშსახურებით და მათთანვე დაპირისპირებით დიონისური სულისკვეთებისა და პათოსის გერმანულენოვან მთარგმნელ-ინტერპრეტატორს, მაშინ "დიონისეს დითირამბების" ნებისმიერი უცხოენოვანი მთარგმნელი სხვა არავინ გამოდის, თუ არა – გერმანულ ენაზე უკვე თარგმნილი სულისკვეთებისა და პათოსის მთარგმნელი ანუ – ორმაგად "საჭოჭმანები საქმის" მქმნელი. მე ეს საქმე თითქმის თხუთმეტი წლის წინ ჩავიფიქრე, მაგრამ მხოლოდ ახლა განვახორციელე. შესაძლოა, გადამწყვეტი აღმოჩნდა ჩემს მიერ ნიცშეს დითირამბების – როგორც ბედით განსაზღვრული წერა-კითხვის იმავდროულობის დაუსრულებელი პროცესის – გააზრება და – სწორედაც რომ იმავდროულად – თარგმნის პროცესით მასთან ჩემი მიმართების, ჩემი სიყვარულის აღწერის მოთხოვნილება.

მართალია, სხვადასხვა დროს ნიცშეს ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ბევრი სარგო წიგნი მაქვს წაკითხული, მაგრამ უშუალოდ დითირამბების თარგმნის პროცესში ფასდაუდებელი დახმარება რამდენიმე მათგანმა გამიწია. ესენია:

Martin Heidegger: Nietzsches Lehre vom Willen zur Macht als Erkenntnis. Gesamtausgabe. Band 47. Vitorio Klostermann GmbH, Frankfurt am Main 1989.

Wolfram Groddeck: Friedrich Nietzsche – "Dionysos-Dithyramben". Band 1: Textgenetische Edition der Vorstufen und Reinschriften. Band 2: Die "Dionysos-Dithyramben". Bedeutung und Entstehung von Nietzsches letztem Werk. De Gruyter, Berlin 1991.

Christian Benne / Claus Zittel (Hg.): Nietzsche und die Lyrik. J. B. Metzler Verlag, Stuttgart 2017.

თუ "დიონისეს დითირამბების" თარგმნა ჩემმა შინაგანმა აუცილებლობამ განაპირობა, იგივეს ვერ ვიტყვი მისი გამოცემის მიზეზთა გამო. უამისოდაც შეიძლებოდა ჩემი ვიწრო სამეგობრო წრისთვის, ჩემი სტუდენტებისთვის და სკოლის რამდენიმე მოსწავლისთვის წინამდებარე ინტერპრეტაციების გაზიარება. მძლია მხოლოდ ნორჩი და ახალგაზრდა თაობის ჩემთვის უცნობ იმ მკითხველებთან დიალოგის წყურვილმა, რომლებიც ჯერ არ არიან "გასაყიდად გამოდგმული" (მერვე დითირამბი). დავაპირე თითოეული ლექსისთვის კომენტარების დარ-

თვაც, მაგრამ მალევე დავკარგე ხალისი. აქ წარმოდგენილი რამდენიმე სახელდახელო შენიშვნა წასაშლელად დამენანა, მეტიც არაფერი. ტექსტი თარგმნილია შემდეგი გამოცემიდან: Friedrich Nietzsche: Werke in drei Bänden. Herausgegeben von Karl Schlechta. Hanser Verlag, München 1954, Band 2, S. 1237-1267.

ეპიგრაფი

"იზოლინეს" მგოსანი - ფრანგი პოეტი, რომანისტი, დრამატურგი და ლიბრეტისტი კატიულ მენდესი (1841-1909). "იზოლინე" არის 1888 წელს დაწერილი მისი ლიბრეტო ანდრე მესაჟეს ამავე სახელწოდების ოპერისთვის.

უკანასკნელი ნება

* *ელვებს და ჭვირებს* – დედანშია Blitze und Blicke. რაკი Blick-ის ერთ-ერთი, აქ კონტექსტუალურად უფრო გამართლებული, მნიშვნელობაა "მზის სხივი", ამიტომ მივმართე რუსთაველის "ჭვირს" (რამეში გამოტანებული სხივი).

მზე ჩადის

* *ჰაერში უკვე აღთქმა ღუის* - (დედანშია: Verheißung ist in der Luft ანუ *აღთქმა ჰგიეს ჰაერში*, მაგრამ ბუკვალურ თარგმანში დაიკარგებოდა Verheißung-ში პარანომაზიულად კოდირებული heiß ანუ "მხურვალე"). "ღუის" იგივეა, რაც "გამოსჩანს", "გამოსჭვივის", ანუ დიახაც – *ჰგიეს*; მეტიც, სწორედ Verheißung-ით გათამაშებული ნიცშეს სათქმელის და სულისკვეთების გამომთქმელია: დრო დამწიფდა, შეივსო, სიგრილე სიმხურვალეს უბრალოდ კი არ უნდა მოენაცვლოს ან ჩაენაცვლოს, არამედ მისგან უნდა იშვას და მისგანვე გამომზეურდეს. იხ. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ამ ზმნის საილუსტრაციო ნიმუშები: "მზე წითლად-ყვითლად... ღუოდა მთის წვერისკენ გადახრილი" (ილია) და "ყურძენი დამწიფებულა, დახე, როგორ წითლად ღუის!" (რ. ერისთ.), ასევე დიალექტური "წითლად ღუილი ფურნისა".

* *ახლორე* – ანუ "ახლოს, მეტად ახლოს" (ძველი ქართული ენის შეერთებული ლექსიკონი, თბილისი, საქ. საპატრიარქოს გამომცემლობა, 2008).

არიადნეს მოთქმა

* *მომეგებოდე (...) მომელებოდე* – მე-6 სტროფის მე-8 სტრიქონში მხოლობითში უკვე მეოთხედ გამეორებული gib-ის მერე (რაც, თავის მხრივ, პირველი სტროფის მე-2 და მე-3 სტრიქონებში სამიზნე ჯგუფის მიმართ წარმოთქმული მრავლობითი gebt-ის კონტრარული და დიონისესადმი დრამატული კვანძის გამხსნელი მიმართვაა), მე-12 სტრიქონის – gib, ja ergib, – ქართულად თარგმნა, პრაქტიკულად, შეუძლებელია, თუ ზმნა geben-ისა და, მით უმეტეს, მისგან

ნაწარმოები ergeben-ის არა მხოლოდ უდანაკარგოდ გათამაშებას მოვინდომებთ, არამედ მე-14 სტრიქონისეული dich-ის გადარჩენასაც ჩავიფიქრებთ და "შენს თავს"-ზე უარს ვიტყვით. ergeben-ში რამდენიმე არსებითი კოდი იყრის თავს და ყველა მათგანი ნიცშეს ამ ლექსის საკვანძო კონცეპტთან არის დაკავშირებული, კერძოდ – გამოელენა, ჩვენება, გამომდინარეობა, დამორჩილება, დანებება, თავის სრულად მიძღვნა. ძველქართული "ღება", სხვა სიტყვებთან შედარებით, საუკეთესოდ ინარჩუნებს ergeben-ის მნიშვნელობების დიდ ნაწილს მაშინ, როცა შესანარჩუნებელი მნიშვნელობების და კონოტაციების ამ მძიმე ტვირთს "მომეგებოდე" ინაწილებს.

* *ერთადერთი ჩემი მოყვასი* – mein einziger Genoß – ქართულ "ამხანაგს", რომელიც ეტიმოლოგიურად "ხანაგა"-ს ანუ "ობლების საკრებულო სახლს" (საბა) და იქ თავმოყრილ თანა-ობლების ერთობას უკავშირდება, თითქმის არაფერი აქვს საერთო გერმანულ "Genoß"-თან, რომელიც ძმები გრიმების ლექსიკონში "wertvolles und lehrreiches altes wort"-ად იწოდება და რომლის ისტორიულ-ექსისტენციალურ თავგადასავალსაც გრიმები განსაკუთრებული ტკბობით აღწერენ (აქვე შევნიშნავთ, რომ ამ ლექსიკონისგან მოწყვეტით ნიცშეს პოეტური თუ პროზაული ტექსტების თარგმნა ნებისმიერ მთარგმნელს უპირობო წარუმატებლობას ჰპირდება). ეს სიტყვა, თავისი უმდიდრესი სინქრონულ-დიაქრონული კონოტაციებით, შინაარსობრივად სწორედ "მოყვასს" შეესატყვისება.

დიდება და მარადისობა

* *ბასილისკოს კვერცხს გამომიჩეკავ* – იხ. ესაია 59:5: "ასპიტის კვერცხებს ჩეკავენ და ობობას აბლაბუდას ქსოვენ; მათი კვერცხების მჭამელი კვდება და, თუ გატყდა, უნასი იჩეკება". ლუთერის ბიბლიაში არის არა Natter, არამედ - ბასილისკო: "brüten Basilisken eyer / vnd wircken Spinneweb" (1540 წლის გამოცემა). ბასილისკოს, სწორედ იმის გამო, რომ ის "თვალით მაკვდინებელი მხეცია" (საბა), ტექსტის გასაგებად არანაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე – წმინდა წერილთან ამ და სხვა უამრავი პასაჟის დიალოგს.

* *თუმც უცებ, ელვა, / ნათელი და საზარელი, / უფსკრულიდან ცისკენ ნამები* – aber plötzlich, ein Blitz, / hell, furchtbar, ein Schlag – რა თქმა უნდა, Blitz (ელვა)-ისა და Schlag (დარტყმა, ქუხილი, ჭექა)-ის დაწყვილება შემთხვევითი არ არის, მათი გაერთიანებით Blitzschlag ("მეხი") მიიღება, აქედან – ჩვენი "ელვა" და "ნამეხი" (და არა "ნაქუხი" ან "ნაჭექი").

* *ელვის სხივი* – Blitzstrahl – ეს სიტყვა, გრიმების ლექსიკონზე დაყრდნობით, შეიძლებოდა თარგმნილიყო, როგორც "ელვის ისარი", მაგრამ, ჯერ ერთი, "ისარი" (Pfeil) დითირამბების ციკლში სამჯერ არის ნახსენები და სამჯერვე – ურთ-

იერთგანსხვავებული მეტაფორული დატვირთვით, მეორეც, "სხივი" ნიცშესთან კონცეპტუალიზებული სიტყვაა, რომელიც კონოტაციების მთელ ბადეს ქსოვს.
* *რომელსაც ვერცრა ნატვრა მისწვდება* – დედანშია Wunsch (სურვილი, სურვება) და არა "ნატვრა", მაგრამ კონტექსტუალურად "ნატვრა" და "სურვილი" აქ ერთმანეთს ემთხვევა. საქმე ის არის, რომ ერთმანეთისგან როგორმე უნდა გამემიჯნა "სურვილი", როგორც ამ კონკრეტულ კონტექსტში "ნატვრა-ოცნების" იდენტური "Wunsch" და "სურვილი", როგორც "wollen" "ნდომა" ("ნებება"), რომლითაც დატვირთულია ლექსის მეორე თავი და რომელიც ნიცშეს ფილოსოფიაში მისი მასწავლებლის, შოპენჰაუერის, ფილოსოფიიდან გადმოსული ცენტრალური კონცეპტია. მართალია, "Wille" (ნება) ქართულად "ნებად" უნდა ითარგმნოს, მაგრამ არავითარი აუცილებლობა არ არსებობს, რომ wollen ყოველთვის ითარგმნოს, როგორც "ნდომა" და "ნებება". ნიცშეს ფილოსოფიურ პროზაშიც და პოეზიაშიც ხშირად კონტექსტუალურად უდანაკარგოდ ხერხდება "ნების" ჩანაცვლება "სურვილით". ამიტომ ვთარგმნეთ მე-2 თავის მე-2 სტროფის პირველი სტრიქონი *"Wer* will bezahlt sein?" როგორც – "*ვის* სურს, რომ იყოს გადახდილი?",მე-2 თავის მე-3 სტროფის პირველი სტრიქონი "*Willst* du sie kaufen?" როგორც – "მათი ყიდვა *გსურს*?" და ამავე თავის მე-5 სტროფის მე-2 სტრიქონი "will ich schuldig sein" როგორც – "მსურს (...) მოვალე ვიყო".

გეორგ თრაკლი (1887-1914) – ავსტრიელი პოეტი.

კარლ ფრიდრიხ-კოსატი (1900-1945) – ავსტრიელი პოეტი.

ეზრა პაუნდი (1885-1972) – ამერიკელი პოეტი. ლექსი თარგმნილია ინგლისურიდან ლექსიკონის დახმარებით. ტექსტის ინგლისური დედნის პარალელურად, ესარგებლობდით ევა ჰესეს მიერ შესრულებული გერმანული თარგმანით.
* Usura, მევახშეობა (ლათ.) – *ჩვენ შეგვეძლო ქართულ თარგმანში წინამდებარე კანტო ასე დაგვესათაურებინა: "მევახშეობით" (შესაბამისად, "უზურა" ყველგან გვეთარგმნა, როგორც "მევახშეობა"). მაგრამ ეზრა პაუნდის მიერ საზროვნო პარადიგმად დამკვიდრებული ეს ლათინური სიტყვა (რომლის პირველ ასონიშანს ის ყოველთვის მთავრულით წერდა) თანამედროვე არაიდეოლოგიზებული პოეტური აზროვნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გასაღებია და აღნიშნავს ყოველივე ძალადობრივს, კულტურაში ბუნებრივად მოსამწიფებლისა და შესაქმნელის ჩამხშობს, ნაჩქარევს, ტოტალურად არაკულტურულს, სულიერებისგან დაცლილს და მატერიალურ მოგებაზე ორიენტირებულს. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე პაუნდმა დააზუსტა, რომ უზურა სიმპტომია, მიზეზი კი არის სიხარბე.*

* harpes et luz – *არფა და ლუტნა (ფრ.)*

* *წმინდა ლუიჯი გონძაგა (1568-1591)* – იეზუიტი ბერი, ახალგაზრდებისა და სტუდენტების მფარველი, რომელიც შავი ჭირის ეპიდემიამ იმსხვერპლა, როცა ავადმყოფებს ეხმარებოდა.

* *კონკუბინა* – ძველ რომში დაბალი ფენის გაუთხოვარი ქალი, რომელთანაც მამაკაცი კანონიერი ქორწინების გარეშე ცხოვრობდა. ასეთი ურთიერთობა მოკლებული იყო კანონიერი ქორწინების თანმხლებ ყველა უფლებას, ხოლო თანაცხოვრების შედეგად გაჩენილი ბავშვები არ ითვლებოდნენ კანონიერად.

* *პიეტრო ლომბარდო (1435-1515)* – იტალიელი მოქანდაკე და ხუროთმოძღვარი.

* *დუჩო დი ბუონინსენია (დ. დაახლ. 1255, გარდ. 1319)* – იტალიელი მხატვარი, სიენას სკოლის წარმომადგენელი.

* *პიერო დელლა ფრანჩესკა (დ. დაახლ. 1420, გარდ. 1492)* – იტალიელი მხატვარი და ხელოვნების თეორეტიკოსი.

* *ძუან ბელინი, იგივე ჯოვანი ბელინი (დ. დაახლ. 1430, გარდ. 1516)* – იტალიელი მხატვარი, ვენეციური სკოლის წარმომადგენელი.

* *La Callunia (ცილისწამება)* – სანდრო ბოტიჩელის (1445-1510) ფერწერული ნამუშევარი, შესრულებული 1494-95 წლებში.

* *ფრა ანჯელიკო (დ. დაახლ. 1386-1400, გარდ. 1455)* – იტალიელი მხატვარი.

ამბროჯიო დე პრედისი (დ. დაახლ. 1455, გარდ. დ. 1508) – იტალიელი მხატვარი, მილანის სკოლის წარმომადგენელი, მუშაობდა ლეონარდო და ვინჩისთან ერთად.

* *Adamo me fecit (ადამი და მე – ლათ.)* - იგულისხმება წარწერა და წმინდა ძენო მაჯორეს ტაძარი ვერონაში (მე-12 ს.). ტაძრის შესასვლელიდან მარცხნივ, საძვალის ჩასასვლელთან, კაპიტელზე ამოკვეთილი წარწერა სრულად ასე იკითხება: ADAMINUS DESCO GEORGIO. ME FECIT

* *წმინდა ტროფიმი* – წმინდა ტროფიმის ტაძარი არლში (მე-12-მე-15 ს.ს.).

წმინდა ილერი – წმინდა ილერის (ილარიონის) ტაძარი საფრანგეთში.

* *ჰანს მემლინგი (დ. დაახლ. 1433-1440, გარდ. 1494)* – გერმანელი მხატვარი, ნიდერლანდური სკოლის წარმომადგენელი.

* *CONTRA NATURAM* – ბუნების საწინააღმდეგოდ (ლათ.)

* *ელევსისი* – ნაყოფიერების ქალღმერთების, დემეტრას და პერსეფონეს და მათთან დაკავშირებული ელევსინური მისტერიების საკულტო ცენტრი ძველ საბერძნეთში.

გუნტერ აიხი (1907-1972) – გერმანელი პოეტი, დრამატურგი და პროზაიკოსი.

ილზე აიხინგერი (1921-2016) – ავსტრიელი მწერალი ილზე აიხინგერი სამწერლო ასპარეზზე გასული საუკუნის 40-იან წლებში, მეორე მსოფლიო ომის მერე, გამოვიდა. მას აღიარება პირველივე პროზაულმა ტექსტებმა მოუტანა, როგორც ავსტრიული მოდერნისტული ლიტერატურული ხაზის – განსაკუთრებით ფრანც კაფკას ესთეტიკის – გამგრძელებელს. აიხინგერის ერთადერთი რომანი "უდიდესი იმედი" 1948 წელს გამოიცა ამსტერდამში. ნაწარმოები კლასიკური მოდერნისთვის დამახასიათებელი პოეტიკური ინტრუმენტარით აღწერს ნაცისტური პერიოდის ავსტრიაში რასისტულ ნიადაგზე ადამიანების დევნის რეალობას, მაგრამ – ისე, რომ მოქმედების დრო და ადგილი ლოკალიზებული არ არის და სათქმელი ალეგორიულად განზოგადდება. თავად ავტორი თავის რომანს განმარტავდა, როგორც თხრობას იმის შესახებ, რაც "მართლა მოხდა".

50-იან წლებში აიხინგერის ლიტერატურულმა ნაყოფიერებამ იკლო, შემდგომ და შემდგომ კი იგი არა მხოლოდ იშვიათად წერდა, არამედ სრულ მინიმალიზმამდე სათქმელის დაყვანას ესწრაფოდა და ევროპულ ლიტერატურაში – განსაკუთრებით პოეზიაში – იმ პროგრამის რეპრეზენტატორი იყო, რომელსაც ლიტერატურათმცოდნეობაში დუმილის ესთეტიკას უწოდებენ. 80-იანი წლებიდან კი, მთელი ერთი ათწლეულის განმავლობაში, თითქმის არაფერი დაუწერია, არც პოეტური და არც პროზაული, და მხოლოდ ასეთი ხანგრძლივი პაუზის მერე მეტ-ნაკლებად განაახლა წერა, რაც სიტყვის გამაუფასურებელი ლიტერატურული სიჭარბის, მეტიც, ლიტერატურული ბიზნესის ინსტრუმენტად სიტყვის გადაქცევის მიმართ მის პროტესტსაც ააშკარავებს.

მიუხედავად იმისა, რომ ილზე აიხინგერის პოეზია XX საუკუნის მეორე ნახევრის ავსტრიული მოდერნისტული ლირიკის ცენტრალურ მოვლენებს შორის სახელდება, იგი წარმოდგენილია 1978 წელს გამოცემული ერთადერთი თხელტანიანი კრებულით "გაჩუქებული რჩევა" (მეორე, 2011 წელს გამოცემულ პოეტურ კრებულში "მოკლე ჩართვები" თავმოყრილია ავტორის მიერ 50-იან წლებში დაწერილი ოცდაოთხი ლექსი პროზად). წიგნი, დიდწილად, აიხინგერის მეუღლის, გიუნტერ აიხის პოეტური მეტყველების სასიკეთო გავლენით არის ნიშანდებული. მეორეს მხრივ, უკიდურესად ატომიზებული ეს ლექსები ინტერტექსტუალური თამაშების მდიდარი ასპარეზი და ენასა და არაენობრივ რეალობას შორის წარმოქმნილი უნუგეშო დისჰარმონიის აღმწერი ოპუსებია, რომლებიც ენის შესაძლებლობებში დაეჭვებულ პოეტურ ცნობიერებას ეფუძნება. აიხინგერის არაერთი თეორიული მანიფესტაცია განმარტავს და სხვადასხვა ასპექტით აშუქებს იმ პოზიციას, რომლის ქვაკუთხედიც პოეტური ნონკონფორმიზმია: ისეთ ენაზე და ენობრივ კონსტრუქციებზე უარის თქმა, როგორებიც დაშლილ-დანაწევრებული, საბოლოოდ დეფრაგმენტირებული სამყაროს მთლიანობის ილუზიას

ქმნიან. მსგავსი ილუზიის უარმყოფელი, ენის შესაძლებლობებში გაწბილებული და მკითხველის მოტყუებაზე უარისმთქმელი აიხინგერი თავის პოზიციას არა მხოლოდ მოიაზრებს ნიცშეს, ჰოფმანსთალის, ვიტგენშტაინის ენობრივი სკეფსისის და მისით ნასაზრდოები მოდერნისტული ლირიკის ტრადიციაში, არამედ რადიკალური პოეტური აქტივობით – მაგრამ ენობრივი არსენალიდან გაუსვლელად – უტევს კონვენციური ენის ავტომატიზმს.

პოეტს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ მას არა მწერლობა, არამედ ექიმობა სურდა (სწავლობდა კიდეც მედიცინას ვენაში და დედამისიც ექიმი იყო), და რომ იმ სამწერლო პრაქტიკის ველში, რომელსაც XX საუკუნეში პროფესიულ საქმიანობად არ მიიჩნევდა, მხოლოდ წარუმატებელი სამედიცინო მონდომების შედეგად მოხვდა. როცა 75 წლის აიხინგერს მისი შემოქმედების რაოდენობრივი სიმწირის მიზეზიც ჰკითხეს, აღნიშნა, რომ მას ომის შესახებ მხოლოდ ერთი წინადადების დაწერა სურდა და არა – ოცის, და იქვე განმარტა, ომი ჩემთვის უბედნიერესი დრო იყო, რადგან მან ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა, ჩემთვის ყველაფერს ნათელი მოჰფინა, ეს უდიდესი იმედის დრო იყოო. ერთმანეთთან რაოდენობრივი ნაყოფიერებისა და იმედის თემების ასეთი დაკავშირება ხელოვნური კონსტრუქტი სულაც არ ყოფილა. მხატვრული ენის სიჭარბეს აიხინგერი საერთოდაც უკიდურესი ეჭვით უყურებდა და ამბობდა, როცა ორი-სამი წარმატებული მხატვრული წინადადება გამომდის, მიჩნდება განცდა, რომ სამყარო მთლად აბსურდულიც არ არისო. და მაინც, მისი ლექსები არა სამყაროს აბსურდის, არამედ თვით საბედისწეროდ დაეჭვებული ენის აღმწერი არტეფაქტებია. აქ სიტყვები აღარ ენდობიან ერთმანეთს, მათ შორის კავშირი დარღვეულია, რაც შეუძლებელს ხდის აღსაწერი რეალობის ოკუპირებას, და ეს – მიუხედავად იმისა, რომ აიხინგერის ლექსებს აბსტრაქტული ან მეტაფიზიკური პოეზიის სახესხვაობას ვერ ვუწოდებთ, ისინი კონკრეტული დეტალების კონსტელირებით მიღებულ პირობით მთლიანობებად უფრო აღიქმება. ამ მთლიანობათა შემადგენელი სიტყვები არ შეიძლება ლამაზი ან ესთეტიკურად დახვეწილი იყოს (აქ ავტორი გიუნტერ აიხის პოეტიკას ემიჯნება კიდეც, თუმცა, ფორმალურად, მისი ლექსები თითქოს აიხის ორბიტაზე ბრუნავენ). თავად პოეტის ცნობილი გამოთქმით, სამყარო მის აღმნიშვნელ სიტყვაზე ცუდია და, შესაბამისად, ეს სიტყვაც ცუდია. აქედან გამომდინარე, ენასთან კონფრონტაციაში მყოფი პოეტი მკითხველს არა სახელდებული რეალობის მიმართ პოზიტიური ან ნეგატიური დამოკიდებულების გამომუშავებისკენ, არამედ ამ ენობრივი შეჯირვების თანაგანცდისკენ უბიძგებს.

აიხინგერის პოეტური სამყარო ძალიან ჰგავს სიზმრის კვალდაკვალ სწრაფად მავალი ადამიანის რეპორტაჟებს, მეტიც, სიზმრის ლოგიკის გადარჩენის და ცხადში მისი ამოქმედების მოწადინე ადამიანის აქტივობას, მაგრამ ეს ზედაპირული ეფექტია. სიზმარი პოეტისთვის მხოლოდ სამალავი და პერიოდული

სულისმოთქმის შესაძლებლობაა და არა – საკომუნიკაციო-საბრძოლო იარაღი. სინამდვილეში, საქმე უფრო რთულად არის. "ცუდი სიტყვები" (ასე ჰქვია 1976 წელს გამოცემულ მის ერთ კრებულს) სიტყვისმიღმური რეალობის რეალურობის საკითხს უდიდესი იმედის დამკარგავ პოეტთან არკვევენ, ხოლო ერთმანეთთან ენისა და პოეტის დაპირისპირება კიდევ უფრო ააშკარავებს სწორედ სიზმრებისგან დაშრეტილი, სიზმრების წარმოების უნარს მოკლებული რეალობის ერთგანზომილებიანობას. მასში საგნები და მოვლენები მხოლოდ სიტყვის ძალით, სახელდების პერმანენტული პროცესით უკავშირდებიან ერთმანეთს, სიტყვა და პოეტური ძალისხმევა ერთადერთი ძალაა, რომელიც იწვევს მათ შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს, მსგავსი კავშირები კი არ შეიძლება სანდო იყოს, ენის და სახელდების აქტივობით "დადგენილი" კავშირები ყოველთვის პირობითია. მაგრამ აიხინგერის პოეზია ხაზს უსვამს სწორედ ამ პარადოქსის ბუნებრიობას: ენა არა მხოლოდ გამოავლენს სამყაროს, არამედ, პარადოქსულად თუ ვიტყვით, გამოავლენს მას უკვე მოწესრიგებული, ე. ი. უკუღმართი სახით, ანუ – ისეთს, როგორიც ის არის.

მკვლევართა ერთი ნაწილი შორს დგას იმ აზრისგან, თითქოს აიხინგერის შემოქმედება ჰერმეტულ ლირიკას განეკუთვნებოდეს. ეს პოზიცია, ალბათ, გასაზიარებელია. აიხინგერის ძირითადი სათქმელი მაქსიმალურად გამჭვირვალეა: იმისგან, რაც ენისმიღმურია, რასაც ნივთების და მოვლენების სამყარო ჰქვია, ხეირი არ იქნება. ასეთი სამყაროს იმედად ყოფნა ორმაგი აბსურდია. გამოსავალი, უბრალოდ, არ არსებობს. სწორედ ამ მთავარი სათქმელის კომბინაციური სიუხვეა უზრუნველყოფილი ავტორის თითოეული ლექსის ინტერტექსტუალური სიმრავლით, ისტორიული ფაქტების ან პირადი წარსულიდან შემონახული მტკივნეული სურათების ხშირი გამოხმობით, ისევე, როგორც – სიურრეალისტური ნიღბებით, რომლებიც კი არ მალავენ, მხოლოდ ესთეტიკურ თამაშში რთავენ პოეტის "მე"-საც და მის გაჩუქებულ რჩევასაც, როგორც აუცილებელ ღალატს ან – ღალატის საპირწონე ქმედებას, ან – ღალატით მიღებულ შედეგს (გერმანული Rat, რჩევა – და Verrat, ღალატი – აიხინგერის ამ კრებულში კონოტაციურად ერთმანეთისგან განუყრელი, მეტიც, ერთმანეთის განმმარტებელი სიტყვებია). პოეტის მკვლევარი და ბიოგრაფი სემუელ მოზერი საგანგებო ანალიზის საგნად აქცევს აიხინგერის პოეტიკაში ამ ორერთობას, იმოწმებს აიხინგერის ერთ სადღიურო ჩანაწერს – "ჩვენ გვაქვს არჩევანი პეტრესა და იუდას შორის: უარყოფა ან ღალატი" (1950) – და განმარტავს, რომ წერა სწორედ ღალატია და არა – უარყოფა; გამცემს, გამყიდველს თუ რამეს ვერ დააბრალებ, ეს სიცრუეა. ის კოდექსს არღვევს და სიმართლეს ამბობს, დუმილის ძალაუფლებას ანგრევს, იქცევა ისე, როგორც ლექსი იქცევა თავისი გამოვლენის წესით.

XX საუკუნის 50-იანი წლების ევროპულ ფილოსოფიაში ფართოდ გავრცელებულ (და შოპენჰაუერის და ნიცშეს შემოქმედებით ნასაზრდოები ევროპული ხელოვნებისთვის შინაგან აუცილებლობად ქცეულ) ასეთ და მსგავს საზრო ვნო მოდელებს აიხინგერის შემთხვევაში არაფერი ჰქონდა საერთო მოდური ტენდენციებით სნობურ თამაშთან, ეს მისი შინაგანი გამოცდილება იყო, ისევე, როგორც გიუნტერ აიხის ანარქიზმი იყო მოკლებული ყოველგვარ არტისტიზმს (და არტიზმს). როგორც ჩანს, ამიტომაც მოხდა, რომ ილზე აიხინგერთან, რომელმაც სიცოცხლეს სიკვდილის განაჩენი გამოუტანა, დუმილის ძალაუფლების დასასრული პოეტური დუმილისკენ მიმავალ გზად იქცა.

ჯუნ ჯორდანი (1936-2002) – ამერიკელი პოეტი ქალი. ეს ლექსი ჩემს მიერ თარგმნილია Clemens Umbricht-ის (დ. 1960) გერმანული თარგმანიდან, რომელიც პირველად 2002 წლის 31 დეკემბერს გამოქვეყნდა რეგიონულ შვაიცურ გაზეთში St. Galler Tagblatt. გერმანელმა მწერალმა, მთარგმნელმა და გამომცემელმა Axel Monte-მ (1962-2016) ეს თარგმანი 2003 წელს გადმობეჭდა თავისი ჟურნალის – *RUDE LOOK ORIENTAL* – 125-ე ნომერში (გამოცემისთანავე ჩემს ხელთ რომლის მოხვედრასაც დომინიკ ირტენკაუფს ეუმადლი). საჟურნალო პუბლიკაციაში მითითებულია, რომ ტექსტი ამერიკულიდან გერმანულად თარგმნილია შემდეგი გამოცემიდან: June M. Jordan, Kissing God Goodbye. Poems 1991-1997. Doubleday, New York, 1997. წინამდებარე პუბლიკაციის თავაზიანი ნებართვისთვის მადლობას ვუხდი როგორც Clemens Umbricht-ს, ისე - ჯუნ ჯორდანის ნაწარმოებთა საავტორო უფლებების მფლობელებს, ჰელენ ლევის და ქრისტოფ კელერს, რომლებმაც მიმდინარე წელს განახორციელეს პოეტის ლექსების ახალი გამოცემა: "The Essential June Jordan", edited by Jan Heller Levi and Christoph Keller, Copper Canyon Press, 2021. (c) June M. Jordan Literary Estate Trust. Used by permission. უფრო დეტალურად იხ. ვებგვერდი: www.junejordan.com

ლუდვიგ ლეგე (დ. 1936) - გერმანელი პოეტი.

ინგო ცეზარო (დ. 1941) – გერმანელი პოეტი.

მარტინ ჰუტტელი (დ. 1944) – გერმანელი მწერალი, გამომცემელი, ექსპერიმენტული ხელოვნების ჯგუფის – Aspei – დამაარსებელი და ხელმძღვანელი.

მანფრედ ხოგოტი (დ. 1947) – ავსტრიელი პოეტი და პროზაიკოსი.

ჰელმუთ ა. ნიდერლე (დ. 1949) ავსტრიელი მწერალი, მთარგმნელი და გამომცემელია. მას მერე, რაც ვენის უნივერსიტეტში შეისწავლა ეთნოლოგია, ხელოვნების და სოციოლოგია, ათწლეულების განმავლობაში იყო ავსტრიის ლიტერატურული საზოგადოების მეცნიერ-თანამშრომელი, 2003 წლიდან კი – ვენის უნივერსიტეტის ეთნოლოგიის, კულტურისა და სოციალური ანთროპოლოგიის ინსტიტუტის ლექტორი. 2011 წლიდან ავსტრიის პენ-კლუბის პრეზიდენტია. არის ავსტრიაში არაერთი წარმატებული საგამომცემლო სერიის ინიციატორი და ხელმძღვანელი, უამრავი საერთაშორისო ლიტერატურული პროექტის თანაავტორი. ნიდერლეს ლირიკული შემოქმედება იზიარებს ევროპაში პოეზიის კრიზისის ეპოქისთვის დამახასიათებელ ფსიქოლოგიურ დაღლილობას, რომელიც მისივე პოეტური მედიტაციების ერთ-ერთი მთავარი თემაა. შინაარსთა "ამოწურვით" გამოწვეული სკეპსისი, მოდერნისტული ფორმალური ენთუზიაზმის გაქრობა და, პირველ რიგში, ორიგინალური თუ ნასესხები პოეტური ფორმების მრავალფეროვნებით გაჯერებულ ლიტერატურულ სივრცეში მოძრაობის იძულება მისი ლექსების ესთეტიკაზეც დაუფარავად ზემოქმედებს. სწორედ აქედან მოდის ავტორის მიერ მოსაწყენ ყოველდღიურობაში მაღალი თემების ირონიული "ინტეგრირების" და დიდაქტიკით თამაშის პრაქტიკა.

შტეფანი გოლიში (დ. 1961) – გერმანელი პოეტი, მთარგმნელი და ლიტერატურათმცოდნე.

სუნ ქსუე (დ. 1970) – ჩინელი პოეტი ქალის, სუნ ქსუეს შემოქმედება, რომელიც არა მარტო ლექსებს, არამედ რამდენიმე რომანსაც აერთიანებს, უკვე ხშირად ქვეყნდება ცნობილი ჩინური ანთოლოგიების ფურცლებზე და გამოიცემა კარგ გამომცემლობებში. მკითხველი შენიშნავს, რომ ქსუეს ლექსებში ერთმანეთს ერწყმის ევროპული პოეტური ტრადიცია და პირწმინდად ჩინური თემატური მოტივები, სიმბოლური აზროვნება და ჩინური ტრადიციული საგნობრიობა, ლირიკული აღსარებისა და სათუთი ქალური მგრძნობელობის სურათები. როგორც ლიტერატურათმცოდნეები აღნიშნავენ, ეს საერთოდ დომინირებადი ტენდენციაა თანამედროვე ჩინურ პოეზიაში, რომელიც არა იმდენად ევროპულ აღიარებას ესწრაფის, რამდენადაც – ევროპულ-აზიურ სინთეზს. ლექსები თარგმნილია პწკარედიდან, რომელიც ინგლისური თარგმანის საფუძველზე მოამზადა გვანცა ანანიაშვილმა.

ჰანს-გეორგ გადამერი (1900-2002) – გერმანელი ფილოსოფოსი.
ტექსტი თარგმნილია შემდეგი გამოცემიდან: Hans-Georg Gadamer, Gesammelte Werke, Band VIII. Mohr Siebeck Verlag, Tübingen 1993. გვ. 232-239.

[1] შდრ. "Wahrheit und Methode" (Ges. Werke, ტ. 1), გვ. 470 იქვე, და ჩემი სტატია "Die Idee der Hegelschen Logik", გამოცემაში Ges. Werke, ტ. 3, გვ. 65-86. (ავტორი)

[2] Politeia 511c$_2$: εἴδεσιν αὐτοῖς δι' αὐτῶν εἰς αὐτά. (ავტორი)

[3] ამასთან დაკავშირებით იხ. ჩემი "Heraklit-Studien" გამოცემაში: Ges. Werke, ტ. 7, გვ. 43-82. (ავტორი)

ანსელმ კიფერი (დ. 1945) – გერმანელი მხატვარი. წინამდებარე თარგმანი ბროშურის სახით გამოიცა 2020 წელს შემდეგი წინასიტყვის თანხლებით:

2014-2018 წლებში აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში რამდენიმე აკადემიურ სალექციო კურსს ვუ ძღვებოდი (პარალელურად ან მონაცვლეობით). 2018 წელს, როცა განათლების და კულტურის სამინისტროები გაერთიანდა, სამხატვრო აკადემიის ხელმძღვანელობამ მიიჩნია, რომ ამიერიდან მისი უშუალო მაკონტროლებელი განათლების სამინისტრო იქნებოდა და აკადემიას აიძულებდა ყველა კანონის ზედმიწევნით შესრულებას, მათ შორის – 2013 წელს "საქართველოს მაცნეში" გამოქვეყნებული იმ დოკუმენტის, რომლის თანახმადაც სამეცნიერო ხარისხის არმქონე პირებს ეკრძალებათ უმაღლეს სასწავლებლებში აკადემიური სალექციო კურსების წაკითხვა. ვინაიდან სამეცნიერო ხარისხი არ გამაჩნდა და ლექციებს დოქტორანტის სტატუსით ვკითხულობდი, სამხატვრო აკადემია რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა და იძულებული გახდა, შეგვლეოდა მეც და – არაერთ სხვა ლექტორსაც. სამხატვრო აკადემიის რესტაურაცია-კონსერვაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტს იმედი ჰქონდა, რომ, დისერტაციის დაცვისთანავე, კვლავ მიმიწვევდა ლექციების წასაკითხად.

მას მერე, რაც სამხატვრო აკადემიას მაღლიერებით დავემშვიდობე, მრავალ დაწყებულ სალიტერატურო, მთარგმნელობით და საგამომცემლო პროექტზე მუშაობამ, ასევე – მინიმალური სტაბილური ფინანსური შემოსავლის უზრუნველყოფის მიზნით საჯარო სკოლებში პედაგოგიურმა საქმიანობამ, დღ ემდე არ მომცა ჩემი სადოქტორო დისერტაციის დასრულება-დაცვისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მოპოვების შესაძლებლობა. ამის მიუხედავად, მიმდინარე წლის გაზაფხულის სემესტრში, ფაკულტეტმა კვლავ მიმიწვია ლექციების წასაკითხად, მეტიც, შემომთავაზა – თავად ამერჩია ჩემი რამდენიმე სალექციო კურსიდან ერთ-ერთი. ჩემთვის ძვირფასი ადამიანების შემოთავაზებას ერთადერთი პირობით დავთანხმდი: ლექციები უსასყიდლოდ უნდა წამეკითხა. როგორც მოსალოდნელი იყო, კეთილისმსურველი უარი მიეიღე, მაგრამ აღნიშნული პირობის დარღვევა გულში არც კი გამივლია. მხოლოდ სამხატვრო აკადემიისთვის ჩემი სემესტრული ჯამაგირის დაბრუნების ფორმა იყო მოსაფიქრებელი, ამისთვის კი დრო საკმარისზე მეტი მქონდა.

სწორედ აღნიშნული პირობის შესრულების მიზნით, აკადემიის სტუდენტებისთვის (პირველ რიგში კი – იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც 2020 წლის გაზაფხულის სემესტრში ვუკითხავდი ლექციების კურსს "პოეზია და ფილოსოფია: გერმანული გამოცდილება" და რომლებსაც მეორე შუალედური წერითი გამოცდის ერთ-ერთ საკითხად შევთავაზე პროვოკაციული თავისუფალი თემა "მე რომ მხატვარი ვყოფილიყავი"), და მხოლოდ ამის მერე – ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, ვთარგმნე და გამოვეცი წინამდებარე ინტერვიუ (რომელიც ორიგინალში დასათაურებული არ არის, ამიტომ თავს უფლება მივეცი და ინტერვიუდან ამონარიდი ციტატით დავასათაურე). მე ის მსგავსი ტექსტების ზღვაში გამოვარჩიე, და თუ მისმა თარგმნამ ჩემგან მხოლოდ ორი დღის შრომა მოითხოვა, სამაგიეროდ, შერჩევის პროცესში, თვეები დავუთმე ჩემთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ***სიზუსტის*** განხორციელებაზე ფიქრს. შესაბამისად, ამ აქციის არც ერთი დეტალი, არც ერთი ნიუანსი შემთხვევითი არ არის (სწორედ ქართული კონტექსტის უინტენსიურესი გათვალისწინებით).

თუ სამხატვრო აკადემიის სტუდენტები ამ ერთი შეხედვით რიგით ბიოგრაფიულ ინტერვიუს, რომელშიც ლაყბობის მისხალიც არ ურევია, გულდასმით წაიკითხავენ (მისი ფრთხილი, მწვავე და სასტიკი სიუჟეტური განვითარების ჩათვლით) და მის ისტორიულ-კულტურულ საკონტექსტო ბილიკებზე სიარულსაც არ დაიზარებენ, მიხვდებიან, რომ მე მათთვის თანამედროვე ხელოვნების ნამდვილი სახელმძღვანელო (=ანტისახელმძღვანელო) ვთარგმნე. მაგრამ თუ ისინი მეტს გაბედავენ, ანუ მოინდომებენ და ამ ინტერვიუს თვალებშიც ჩახედავენ, მაშინ ისეთი გამოცდა ელით, როგორსაც მათ ვერ მოუწყობდა დედამიწაზე არსებული ვერც ერთი სამხატვრო აკადემიის ვერც ერთი პროფესორი.

p. s. ფორმალური დეტალები ასე გამოიყურება: ჩემმა ჯამაგირმა 2020 წლის გაზაფხულის სემესტრში 360 ლარი შეადგინა. აღნიშნული თანხით შესაძლებელი გახდა ბროშურის მხოლოდ 150 ეგზემპლარის დასტამბვა. ასორმოცდაათიე ეგზემპლარი გადაეცემა სამხატვრო აკადემიის რესტავრაცია-კონსერვაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტს, პირველ რიგში – აღნიშნული სტუდენტების დასაჩუქრების თხოვნით. წიგნის ტირაჟი კი 160 ეგზემპლარია. მაშასადამე, დანარჩენი 10 ეგზემპლარი, რომელიც საჩუქრად უნდა დაეგზავნოს რამდენიმე ბიბლიოთეკას, დამატებითი თანხით არის გამოცემული.

ერიკ ვაგნერი დაიბადა 1990 წელს, შეისწავლა პედაგოგიკა, ისტორია და პოლიტიკური მეცნიერებები ლაიპციგში, შემდეგ – სამხრეთაღმოსავლეთევროპისმცოდნეობა ბელგრადსა და ლუბლიანაში. ამჟამად მუშაობს ერთობლივი სწავლების თავისუფალ სკოლაში (Gemeinschaftsschule) აღმზრდელად.
წყარო:
https://multipolar-magazin.de/artikel/der-impfaktivismus-der-gates-stiftung

ვოლფგანგ ვოდარგი (დ. 1947) გერმანელი ექიმი, ეპიდემიოლოგი და პოლიტიკოსია. მრავალი წლის განმავლობაში იყო უსაფრთხოების, მედიცინის და ჯანმრთელობის საკითხებში გერმანიის ბუნდესთაგის და ევროპის საბჭოს წევრი. სწორედ ის იყო ღორის გრიპის პანდემიაში ვაქცინის მწარმოებელთა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის როლის გამოძიების ინიციატორი. გერმანიაში ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკაში მისი როლი განუზომელია და მის, როგორც უმაღლესი რანგის ექიმისა და შეულახავი რეპუტაციის მქონე პოლიტიკოსის, ავტორიტეტს მისი იდეური მოწინააღმდეგეებიც კი უპირობოდ აღიარებენ. საერთაშორისო აღიარების მქონე პროფესიონალებს შორის ვოდარგი ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც გერმანულ თავისუფალ მედიაში ხმა აიმაღლა კორონავირუსის დემონიზაციის წინააღმდეგ. მაგალითად:
https://www.youtube.com/watch?v=BrBuv6kq6Rc (ინგლისურად)
https://www.youtube.com/watch?v=XnlT3rPNUp0 (გერმანულად)
https://www.youtube.com/watch?v=hW4qzAPP5pU (გერმანულად)
https://www.youtube.com/watch?v=NJwltqiIISc (გერმანულად)
https://www.youtube.com/watch?v=YxJ9SJGcNj8 (გერმანულად)
წყარო:
https://www.wodarg.com/2020/05/04/corona-was-always-here/

რაგინი ხანანია ვაისმანი: 2020 წლის მაისში მეგობრებმა თემატური ბლოგი შევქმენით, რომლის პრეამბულაც ამგვარად ჟღერდა: *წინამდებარე ბლოგი პარტიული და იდეოლოგიური ბრძოლებისგან დამოუკიდებელი, მხოლოდ მოქალაქეობრივი ვალის მოხდის მიზნით შექმნილი მთარგმნელობითი პლატფორმაა. ჩვენი, როგორც არაპარტიული რიგითი მოქალაქეების, სიტუაციური აქტივობა საღი აზრის რეაქციაა COVID-19 CORONAVIRUS-ის ირგვლივ განვითარებულ დებატებთან დაკავშირებით ქართულ საზოგადოებაში არსებულ ინფორმაციულ სიმწირეზე და იგი მოწოდებულია აღნიშნული სიმწირის შესამცირებლად. ბლოგი თავს უყრის როგორც ცნობილ ბიოლოგთა, ვირუსოლოგთა, ბაქტერიოლოგთა, ეპიდემიოლოგთა და ექიმთა, ისე - განათლებული მსოფლიო საზოგადოებრიობის მიერ აღიარებულ ფილოსოფოსთა და სოციოლოგთა დისკურსს. ჩვენ შორს ვართ ილუზიისგან, რომ აქ წარმოდგენილი მასალები ჩვენი საზოგადოებისთვის სრულიად უცნობია, მაგრამ რეალობა გვიჩვენებს, რომ მათში რეპრეზენტირებული ცოდნა არ ცირკულირებს ქართულ საზოგადოებაში. ვაცნობიერებთ იმასაც, რომ აქ წარმოდგენილი მასალების ინსტრუმენტალიზებისგან დაზღვეული ვერ ვიქნებით. რა გაეწყობა: ნებისმიერი საზოგადოება ისეთია, როგორიც ის არის. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ზურგი ვაქციოთ გოეთეს შეგონებას: "არაფერია იმაზე უფრო საშინელი, ვიდრე - მოღვაწე უცოდინრობა". გვეიმედება,*

რომ ჩვენი ყოვლად უწყინარი არაპოლიტიკური აქტივობა ოდნავ მაინც შეამცირებს ყოვლისმცოდნეთა აგრესიას, ინდოქტრინებულთა სისასტიკეს, პროპაგანდის მსხვერპლთა მავნებლობას და რევანშისტთა მიერ საუკეთესო გონებათა დიფამირებას, ამის საპირისპიროდ კი ხელს შეუწყობს თავისუფალი, არაიდეოლოგიზებული და არასოფისტური აზროვნების გაძლიერებას; არა - ყბადაღებული "განსხვავებული აზრის" მიმართ ფაშისტური ფსევდოტოლერანტობის წახალისებას, არამედ - იმის გაცნობიერებას, რომ აზროვნება სხვა არაფერია, თუ არა - ერთმანეთისგან განსხვავებულ აზრთა პოლიფონია. (https://virusidamsoflio.blogspot.com/2020/05/blog-post_6.html)

ჩვენი აქტივობა, მიზეზთა გამო, მალევე შეწყდა, მაგრამ მას მერე პერიოდულად ერთმანეთს ვუზიარებდით ვირუსთან დაკავშირებულ საკითხებზე დასავლეთის სამყაროში ფრთაგაშლილ ინტელექტუალურ დისკურსსა და საქართველოში არსებულ უსუსურ ანალიტიკურ აქტივობას შორის საკმაოდ ბუნებრივი კონტრასტით გამოწვეულ ჩვენს გულისტკივილს. ამ უფსკრულს, რა თქმა უნდა, ვერაფერი ამოავსებს: იქ თუ უკვე ფილოსოფიაში, სოციოლოგიაში, პოლიტიკის თეორიაში, თუნდაც მედიცინის, ბიოლოგიის და ფსიქოლოგიის ჟურნალისტიკაში უხვად შეიქმნა დიდი თუ მცირე ტექსტები, რომლებიც დაინტერესებულ მკითხველს თავბრუდამხვევ ინტელექტუალურ-ესთეტიკურ სიამოვნებას განაცდევინებს, აქ ჯერ ვირუსის არსებობა-არარსებობის ირგვლივ განვითარებულ ფსევდოსქოლასტიკურ ომებს ვადევნებდით თვალს, მერე კი ამ ომებს ორგანულად ჩაენაცვლა ვაქსერ-ანტივაქსერთა შორის გააქტიურებული და ერთმანეთის უმოწყალო ლანძღვა-დაცინვით და საბრძოლო ყიჟინით თანხლებული ბატალიები; იქ თუ ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფალი ნების ირგვლივ განვითარებულ დებატებს, სამეცნიერო სამყაროში უცნობილეს ავტორიტეტთა სკეპტიციზმს და თავისუფალი ინტელექტუალების მიერ ისტებლიშმენტის არგუმენტირებულ კრიტიკას სახელმწიფოები არ დაუნგრევია, აქ ცოცხალი აზრის ნებისმიერი გაბრძოლებაც სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობაზე დესტრუქციულად მოქმედებს და ერთი ადამიანის "თავისუფალი ნების" ზეიმიც მხოლოდ მეორე ადამიანის თავისუფალი ნების დათრგუნვის ფასად მიიღწევა; იქ თუ ინტელექტუალები და თავისუფალი ხელოვანები სწორედ ამ ნისლიან ამინდში თავიანთი პრინციპების ერთგულად დაცვას მიიჩნევენ ცხოვრების საქმედ, აქ მათი შორეული კოლეგები ისტებლიშმენტში პირდაპირი და ირიბი გზებით ადგილის მოსაპოვებლად არც თავს ზოგავენ და არც – სხვებს; იქ თუ მათთვის "ეს ყველაფერი" სერიოზული საქმეა, აქ მათი შორეული კოლეგებისთვის "ეს ყველაფერი" არტისტული თამაშია და მეტიც არაფერი; იქ თუ კულტურული მეხსიერების წინაშე ყველა საკუთარი ერთადერთი ბიოგრაფიით აგებს პასუხს, აქ

კულტურული მეხსიერება დემენციის კანონებით ისჯება და იგი თითოეული "მებრძოლის" ყველა ბიოგრაფიის წინაშე აგებს პასუხს.
წინამდებარე ტექსტი თარგმნილია არა ორიგინალიდან, არამედ – ორიგინალის ენიდან მარია შნაიდერის მიერ შესრულებული გერმანული თარგმანიდან და ინტერნეტქსელში სულ ახლახან, 6 აპრილს, რუბრიკა "თვალსაზრისის" ქვეშ გამოქვეყნდა.
წყარო:
https://www.epochtimes.de/meinung/gastkommentar/rabbi-weissman-31-gruende-warum-ich-mich-nicht-impfen-lassen-werde-a3486405.html

ჟერარ პრესგურვიკი: წინამდებარე ლიბრეტო წარმოადგენს ჟერარ პრესგურვიკის მიუზიკლის "რომეო და ჯულიეტა" რუსულენოვანი ტექსტის თარგმანსა და ლიტერატურულ დამუშავებას. ეს სამუშაო 2008 წელს შევასრულე თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო ცენტრალური საბავშვო თეატრისთვის, ჩემთვის მანამდე უცნობი მუსიკალური რეჟისორის, ბატონი მერაბ კიკნაძის უშუალო დაკვეთით. ამ მიზნით მისი გაცნობის ინიციატივას ბატონ ალექსანდრე კვაჭაძეს ვუმადლი. ბატონ მერაბთან 2008 წლის 23 მარტს შემდგარი სატელეფონო საუბარი, სულ მალე, ჩვენს ინტელექტუალურ მეგობრობაში გადაიზარდა. ქართული სპექტაკლის პრემიერა შედგა 2009 წლის 26 ოქტომბერს.

გენედიქტ ლედებური (დ. 1964) - გერმანელი პოეტი, მთარგმნელი, ესსეისტი და კრიტიკოსი.

უტე აიზინგერი (დ. 1964) - ავსტრიელი პოეტი, მთარგმნელი და ლექტორი.

პირველი პუბლიკაციები

ფრიდრიხ ჰებბელი
ფრიდრიხ ჰებბელი, ნიბელუნგები. რქოვანი ზიგფრიდი. ზიგფრიდის სიკვდილი. თბილისი, 2019.

ნიკოლაუს ლენაუ
ნიკოლაუს ლენაუ, შორეთი. ლექსები. თბილისი 2018.

ჰერმან ფონ გილმი
მე-20 საუკუნის ავსტრიული ლირიკა, ტ. IX. თბილისი 2019.

ფერდინანდ ფონ ზაარი
მე-20 საუკუნის ავსტრიული ლირიკა, ტ. IX. თბილისი 2019.

ფრიდრიხ ნიცშე
მხოლოდ მასხარა, მხოლოდ პოეტი!: 23.12.2020-04.08.2021 demo.ge (807 ნახვა).
მთელი ციკლი: ჟურნალი "არილი", N3, 2021.

გეორგ თრაკლი
სამი სიზმარი: საილუსტრაციო თარგმანი ერთი თეორიული ტექსტისთვის. ნაშუადღევს ნაჩურჩულევი: გეორგ თრაკლი, DE PROFUNDIS. თბილისი 2019.

კარლ ფრიდრიხ-კოსატი
მე-20 საუკუნის ავსტრიული ლირიკა, ტ. IX. თბილისი 2019.

ეზრა პაუნდი
უზურას ძალით: demo.ge 21.07.2019-04.08.2021 (3511 ნახვა).
მევახშეობით: ეზრა პაუნდის XLV კანტო. თბილისი 2021.

გიუნტერ აიხი
გამოფხიზლდით, ვინაიდან ცუდ სიზმრებს ხედავთ: demo.ge 21.03.2021-04.08.2021 (562 ნახვა).
მთელი ციკლი: იბეჭდება პირველად.

ილზე აიხინგერი
ცალკეული ლექსები: ჟურნალი "ახალი საუნჯე", N1, 2020.
ყველა ლექსი: ილზე აიხინგერი, გაჩუქებული რჩევა. თბილისი, 2018.

ჯუნ ჯორდანი
demo.ge 30.05.2020-04.08.2021 (224 ნახვა).

ლუდვიგ ლეგე
Ludwig Legge, Unbeirrt. Tbilissi 2019.
Ludwig Legge, Unbeirrt. Tbilissi 2021.

ინგო ცეზარო
Ingo Cesaro, Dass unsere Fantasie jubelt. ICHverlag Häfner+Häfner. 2018.

მარტინ ჰოუტტელი
ზუგდიდის თანამედროვე ხელოვნების ფესტივალი ‍5, 2020 (დეკლამაცია).

მანფრედ ხობოტი
თბილისის V საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალი, 2019 (დეკლამაცია).

ჰელმუთ ა. ნიდერლე
ჰელმუთ ა. ნიდერლე, წმინდა მდინარე. თბილისი 2018.

შტეფანი გოლიში
იბეჭდება პირველად.

სუნ ქსუე
ჟურნალი "ახალი საუნჯე", N5, 2019.

ჰანს-გეორგ გადამერი
იბეჭდება პირველად.

ანსელმ კიფერი
ანსელმ კიფერი, "მე რეალობას ვეძებ..." თბილისი, 2019.

ანსელმ კიფერი, "მე რეალობას ვეძებ..." 03.07.2021-04.08.2021 demo.ge (199 ნახვა)

ერიკ ვაგნერი
https://virusidamsoflio.blogspot.com/
demo.ge 08.05.2020-04.08.2021 (721 ნახვა).
მთარგმნელის ფსევდონიმი: ვახტანგ იმედაძე.

ვოლფგანგ ვოდარგი
https://virusidamsoflio.blogspot.com/
demo.ge 12.05.2020-04.08.2021 (904 ნახვა).
მთარგმნელის ფსევდონიმი: ვახტანგ იმედაძე.

რაბინი ხანანია ვაისმანი*
13.04.2021-02.08.2021 demo.ge
მთარგმნელის ფსევდონიმი: ვახტანგ იმედაძე.

ჟერარ პრესგურვიკი
იბეჭდება პირველად.

---

* მთარგმნელის შესავლით თანხლებული ტექსტი (შესავალი იხ. წინამდებარე წიგნის გვ. 575-577), ჩემთან და მოქმედ რედაქტორთან - ირაკლი ყოლბაიასთან – შეუთანხმებლად, იქნა პორტალიდან მოხსნილი პორტალის დამფუძნებლის, პაატა შამუგიას მიერ, როგორც "ანტივაქსერული და მდარე პროპაგანდით აგებული კონსპირაცია" და "ფეიკი", რომელშიც "პირველი პუნქტიდანვე მიდის ვულგარული ლინგვისტური მანიპულაცია, რომლითაც შეცდომაში შეჰყავს მკითხველი". რედაქტორმა ეს ფაქტი 2 აგვისტოს შეიტყო და მეც იმავე დღეს ჩამაყენა საქმის კურსში (ტექსტის ნახვის რაოდენობა ამიტომ დარჩა ჩემთვის უცნობი). მე კი მას დაუყოვნებლივ ვთხოვე, პორტალზე სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული ყველა ჩემი ორიგინალური და თარგმნილი ტექსტის მოხსნა. აღმოჩნდა, რომ რედაქტორს, მისდა გასაკვირად, პორტალზე წვდომა აღარ ჰქონდა და ამიტომ ჩემი თხოვნა მაშინვე აცნობა დამფუძნებელს. აღნიშნული სათხოვარი ამ უკანასკნელის მიერ ოპერატიულად დაკმაყოფილდა 4 აგვისტოს, რისთვისაც მადლობის მეტი არაფერი მეთქმის.

ბენედიქტ ლედებური: "ენობრივად დამყაყებულის და ავტომატიზებულის მსხვრევა პოეზიის პრეროგატივაა". ჟურნალი *ახალი საუნჯე*, №7 (25), 2015.

უტე აიზინგერი: "ლექსები საუბარია იმათთან, ვისაც ისინი სჭირდება..." ჟურნალი *ახალი საუნჯე*, №7 (37), 2016.

ჰელმუთ ა. ნიდერლე: "ირონია და ჰარმონია ერთი მედლის ორი მხარეა". ჟურნალი *ახალი საუნჯე*, №3 (57), 2018.

მანფრედ ხობოტი: "საზღვრების აზომვა იმ მიზნით, რომ მათი გადალახვა შევძლოთ..." ჟურნალი *ინდიგო*, №39, მაისი, 2019.

სარჩევი

ფრიდრიხ ჰებბელი

ნიბელუნგები

მიძღვნა 5
პირველი ნაწილი. რქოვანგარსიანი ზიგფრიდი 7
მეორე ნაწილი. ზიგფრიდის სიკვდილი 41

ფრიდრიხ ნიცშე

დიონისეს დითირამბები

მხოლოდ მასხარა! მხოლოდ მგოსანი! 182
უდაბნო ზეობს: ვაი მას, ვინც უდაბნოთ მალავს... 186
უკანასკნელი ნება 191
მტაცებელ ფრინველთა შორის 191
ცეცხლნიშანი 195
მზე ჩადის 196
არიადნეს მოთქმა 198
დიდება და მარადისობა 202
უმდიდრესის სიღარიბისთვის 205

გეორგ თრაკლი

სამი სიზმარი 210
ნაშუადღევს ნაჩურჩულევი 212

კარლ ფრიდრიხ-კოსატი

ელეისონ 213

ეზრა პაუნდი

კანტო XV

უზურას ძალით 214
მევახშეობით 216

გჳუნტერ აიხი

ლექსები რადიოპიესიდან სიზმრები

***მშურს ყველასი, ვისაც დავიწყება შეუძლია... 218
***იფიქრე იმაზე, რომ ადამიანი ადამიანის მტერია 219
***და მაინც, ბოლო ჟამს ვიფიქრებ... 220
***არის საგზაო ნიშნები გზებზე... 221
***გამოფხიზლდით, ვინაიდან ცუდ სიზმრებს ხედავთ! 221

ილზე აიხინგერი

გაჩუქებული რჩევა

მთიანეთის კიდე 224
ზამთრის პასუხი 224
კვირადღის პირველი ნახევარი 225
მარიანა 225
უცხოობაში 225
მიძღვნა 226
მოახლე გოგოთა ნაკლებობა 226
უამინდო საათებით სარგებლობა 227
სოფლის გზა 228
მიმოწერა 228
რაუხენბერგი 228
გვიან 229
მამაჩემი 229
დაუწერელის დასასრული 229
ლინცთან 230
შეკითხვის ნაწილი 230
ადრიანი ზამთრი 231
გუშინდელი ღამე 231
მცდელობა 231
ხის ჩანახატი 232
გასეირნება 232
სანკტ გილგენი 233

თივა 233
ბანქოს თამაში 234
ბობინგერის ჩივილი 234
ატერზეე 235
ბრაიტბრუნი 235
ზამთრის დასაწყისი 236
საკუთარი ხელით ნაგები 236
მითითება 237
ხილვადობის ველში 237
ჩემად 238
ორი ადგილი, გაერთიანებული 238
ზამთრის მიმართულება 238
ზამთარი, ფერნაწერი 239
იოლი არჩევანი 239
ჩვენი ქალბატონი 240
ადგილის დასაწყისი 240
ადგილის დასასრული 241
ფლორესტანი 241
ქიონიგსრაიმი 242
კითხვის პროცესი 242
ფარვანას სახელი 242
საქორწილო პროცესია 243
ცამეტი წელი 243
გონძაგაგასე 244
წლების გარეშე 244
ხუროთმოძღვრის განკარგულება... 245
ტრიესტი 246
სურვილი 246
ბებიაჩემს 247
შუალედური განაჩენი 247
განმჭოლ 248
დროის თვლა 248

ჩამოთვლილია 248
მიძახილი 249
მიმართვა კაცისადმი... 249
ირიბი მზერა 250
დაკარგული მანევრი 250
მშობლიური სახლი 251
მარტი 251
სამარტო სურვილი ბაღისადმი 252
შემდგომ 253
ჩინური დამშვიდობება 253
ძველი ხედი 253
სრულად 254
ნაფიქრი 255
დასასრულისთვის სრულნაფიქრი 255
თოვლის ადამიანები 255
ვისთა სახელებით 256
ძებნილის ფოტო 257
საზაფხულო დღესასწაული 257
მცირე შეჯამება 258
შეუკონავად 258
ახალი კონა 259
ოცდათერთმეტი 260
გა და მძვინვარება 260
ზეგ 261
დღის განმავლობაში 261
დროითი რჩევა 262
შესაძლებლობები 262
მიგდებული ბავშვი 263
დაკავშირებული 264
ნაადრევი 264
მოკლე ძილისპირული 265
თხოვნა 265

ერთი 4 მარტისადმი 266
აშვებული პწკალები 266
შეპასუხება 267
ახალგაზრდა მთრიმლავს 267
გაჩუქებული რჩევა 268
ერთიან 269

ჯუნ ჯორდანი

ბომბები ბაღდადის თავზე 270

ლუდვიგ ლეგე

მეტაფორები 275
პატარა ფრინველი 275
პირქარში 276
გამყინვარების ხანა 277
დაკარგული ბიოგრაფია 277
როცა ქარი ბრუნავს 278

ინგო ცეზარო

რომ ჩვენი წარმოსახვა ზეიმობს 279

მარტინ ჰეუტტელი

***ხვრელები ცოცხლობენ ხვრელები კვდებიან 280

მანფრედ ხობოტი

აწმყოს მერმისი 283
კონსტელაციები 284

ჰელმუთ ა. ნიდერლე

ვითარებანი 285
შეგრძნებათა ხურდა 285
ორნი 285

დროის ტყვეები 286
სააქაოში 286
თამაშის მცირედი თავისუფლება 287
მსოფლიოს ხსნის გეგმა 288
გვიანი ზაფხული 288
ვნება და სიმშვიდე 289
დროთა ასული 290
მოცეკვავე 290
წმინდა მდინარე 291
სიჩუმის სანახი 291
დანიშნულება 293
დავიწყების სიმღერა 293
ფრინველები 293
ადამიანურად დანახული სიკვდილი 294
მონატრება 295
არჩევანი 295
უკუშეუქცევლად 296
დღის სიმოკლის გამო 296
გრძნობების ვენტილატორი 297
არა საფეხურ-საფეხურ 297
საგანგებო ანგელოზი 298
თოვლის ფიფქებთან ერთად... 299
შესაქმე 300
ღრუბელი თუ ქვა 300
ვირის ოცნება 301
***ერთი სავაჭრო ქუჩის თაღქვეშ 303

შტეფანი გოლიში

ყველაფრად გახდომა, ყველაფრად ყოფნა 304

სუნ ძსუე

მამა თავის ცარიელ სახლში, ცარიელი გულით 305

ზღვიდან ცამდე 306
მწირის ფიქრები ზამთრის ქუფრ ღამეში 307
წვიმა 308
მოქცევები და მიქცევები 309
ნამის ბეჭდები 309

ჰანს-გეორგ გადამერი
ფილოსოფია და პოეზია 311

ილზე აიხინგერი
ჩემი ენა და მე 324

ანსელმ კიფერი
"მე რეალობას ვეძებ..." 329

საზოგადოებრივი აქტივობის ნიშნით თარგმნილი
ერიკ ვაგნერი
გეიტსის ფონდის სავაქცინო აქტივობა 375
ვოლგფანგ ვოდარგი
ომი ჯოკერის წინააღმდეგ 390
რაბინი ხანანია ვაისმანი
31 მიზეზი, რომლის გამოც არ ავიცრები 401

დანართი I
ჟერარ პრესგურვიკი
რომეო და ჯულიეტა (ლიბრეტო) 415

დანართი II
ბენედიქტ ლედებური
"ენობრივად დამყაყებულის და ავტომატიზებულის მსხვრევა პოეზიის პრეროგატივაა" 507

უტე აიზინგერი
"ლექსები საუბარია იმათთან, ვისაც ისინი სჭირდება..." 518
ჰელმუთ ა. ნიდერლე
"ირონია და ჰარმონია ერთი მედლის ორი მხარეა" 532
მანფრედ ხობოტი
"საზღვრების აზომვა იმ მიზნით, რომ მათი გადალახვა შევძლოთ..." 540